ივანე ჯავახიშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში გამოცემული ნაშრომები

თბილისი
2025

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები ქვეყნდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის (FR-21-9053) ფარგლებში.

წამყვანი ორგანიზაცია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო დავით სართანიამ

რედაქტორი - მალხაზ მაცაბერიძე

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (grant number – FR-21-9053)

ISBN 978 – 9941 – 8 – 7518 - 2

შინაარსი

ივანე ჯავახიშვილის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომების მოკლე მიმოხილვა 7

ქართველი ერის ისტორია 7

ქართული სამართლის ისტორია 12

ივანე ჯავახიშვილი, პარიზის სამშვიდობო კონფერენცია და ქ. სტამბულში შექმნილი ორი ნაშრომი: „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ და „დამოკიდებულება რუსეთსა და საქათველოს შორის მე-18 საუკუნეში“ 13

ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება XVII-XVIII სს. 15

ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის მდგომარეობა 17

ქართველი ერის მოკლე ისტორია. წიგნი მეორე.....21

თავი პირველი. საქართველოს ცხოვრება და თავგადასავალი 21

I-VII საუკ. პირველ ნახევრამდე 21

თავი მეორე. საქართველოს კულტურა I-VII ქრ. შ. 44

თავი მესამე. არაბების შემოსევა და მათი ბატონობა პირველს ორს საუკუნეში 55

ქართული სამართლის ისტორია წიგნი II.....62

წინასწარი ცნობები 62

საქართველოს სახელმწიფოს მიწა-წყალი 63

საქართველოს მკვიდრნი და მოსახლეობის ერთეულები 67

საზოგადოებრივი და წოდებრივი დანაწილება 74

მმართველი წრეები 82

პატრონყმობა 95

მოჯელენი დ მოჯელეობა 119

ვაზირები 124

მწიგნობართ–უხუცესი 128

ამირსპასალარი და მისი საჯელოჲ 137

მანდატურთ-უხუცესი და მისი საჯელო 146

მეჭურჭლეთ-უხუცესი და მისი საჯელო 151

ათაბაგი 157

მსახურთ-უხუცესი და მისი საჯელო 159

მეღუინეთ-უხუცესი და მისი საჯელო 163

მონადირეთ-უხუცესი და მისი საჴელო 165

ტყისმცველთ-უხუცესი დ ტ ყ ის-მცველნი 166

ვაზირობა 167

საქვეყნოდ გამრიგე მოჴელენი 169

დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე -XVIII-ე საუკუნეში 179

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 179

წყაროების შემოკლებულ სათაურებისა და სიტყვების განმარტება 179

შ ე ს ა ვ ა ლ ი 180

I თ ა ვ ი. რუსეთის პოლიტიკური დახმარების მოიმედეობა ვახტანგ VI–ის დროს საქართველოში და მისი შედეგი 182

II თ ა ვ ი. აღმოსავლეთ საქართველოს განსაცდელი და თეიმურაზ II და ერეკლე II ღვაწლი საქართველოს წინაშე 185

III თ ა ვ ი. დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის1783 წ. ხელშეკრულებამდე 186

§ 1. რუსეთ-ოსმალეთის პირველი ომი ეკატერინე II დროს, საქართველოს ჩათრევა ამ ომში ოსმალეთის წინააღმდეგ და ამის შედეგი 186

§2. აღმ. საქართველოს მდგომარეობა 1773-1883 წ. ერეკლე II დამოუკიდებული პოლიტიკის წყალობით 189

IV თ ა ვ ი. 1783 წ. ხელშეკრულება რუსეთ საქართველოს შორის 189

§ 1. მისი წარმოშობის ისტორია 189

§ 2. 1782 წ. ხელშეკრულების შინაარსი და მის მიერ დამყარებული უფლებრივი დამოკიდებულება 191

V თ ა ვ ი. 1783 წ. ხელშეკრულების შედეგი 194

VI თ ა ვ ი. რუსეთის მიერ მიტოვებულ საქართველოს მდგომარეობა 196

VII თ ა ვ ი. აღა-მაჰმედ-ხანის შემოსევა საქართველოში 198

VIII თ ა ვ ი. რუსეთის გალაშქრება აღა-მაჰმედ ხანისა და სპარსეთის წინააღმდგ. 1796 წ., მისი მოჩვენებითი და ნამდვილი მიზეზები და დასასრული. 199

IX თ ა ვ ი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთი დამოკიდებულების საფუძველი და მისწრაფებათა შეურიგებლობა 202

X თ ა ვ ი. საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა რუსეთის მთავრობის მიერ და რუსეთთან შეერთება 205

საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული 209

შესავალი 209

I თ ა ვ ი. ჩრდილოეთის სამზღვარი 210

§ 1. ჩრდილო-დასავლეთის ხაზი. აფხაზეთ-ჯიქეთი 210

§ 2. ჩრდილოეთის ხაზი. დვალეთი 211

§ 3. ჩრდილოეთის ხაზი. დარიალანი და საქართველოს კარი 213

II თავი. აღმოსავლეთის სამზღვარი 215

§ 1. აღმოსავლეთის ხაზი. ჰერეთი 215

III თავი. სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი 217

§ 1. ჰერეთი, ქიზიყი, ყარაია 217

§ 2. საქართველოს სახელმწიფოებრივ სამზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ხაზი 218

IV თავი. სამხრეთის საზღვარი 218

ქვემო ქართლი. გამყოფელი ხაზი საქართველოსა და სომხეთს შორის 218

§ 1. ისტორიული მიმოხილვა. ბრძოლა ამ საზღვრის გამო II ს. ქ. წ. – XI ს. ქ. შ. 219

§ 2. ქვემოქართლის ვითარება და მნიშვნელობა XI-XII საუკუნეებში 222

§ 3. საქართველოს ვითარცა მფარველ და თავშესაფარ სახელმწიფოს მნიშვნელობა და მიმზიდველობა სომეხთათვის 223

§ 4. ქვემოქართლის მნიშვნელობა საქართველოსთვის და სამხრეთის სამზღვრები XVI-XVIII საუკუნეებში 224

§ 5. ქვემოქართლის უაღრესი ეკონომიური მნიშვნელობა საქართველოსთვის 226

§ 6. ამ კუთხის მოსახლეობის ბედიღბალი XVII - XVIII ს.ს. და სომეხთა გადმოსახლება227

§ 7. სომეხთა გადმოსახლების განსაკუთრებული ხასიათი XVIII-XIX ს.-ში 228

§ 8. ქვემო ქართლის კუთვნილების საკითხი ისტორიულისა და თანამედროვე თვალსაზრისით 230

V თ ა ვ ი. სამხრთ-დასავლეთის სამზღვარი მესხეთი ანუ ზემო ქართლი 232

§ 1. პალაკაციო ანუ აბოცი და საქართველოს ამ სამზღვრის ხაზი 233

§ 2. ტაო-ისპირის მოსახლეობა უძველეს დროს და VIII-XII ს.ს. 233

§ 3. მესხეთის მდგომარეობა და პოლიტიკური ბედიღბალი XIII-XVIII ს. და მისი გამაჰმადიანება 234

§ 4. უფლებრივი დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასა და მესხეთს შორის XVIII ს. 234

§ 5. რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთება და მისი შედეგი. სომეხთა გადმოსახლება ამ კუთხეში 235

§ 6. სომეხთა წამოდავება ჯავახეთის სომხეთთან შესაერთებლად და ამ საკითხის ახლო წარსული 236

§ 7. ჯავახეთ-სამცხის უმჭიდროესი ეკონომიური კავშირი საქართველოსთან წარსულშიცა და ეხლაც 237

§ 8. როგორ უნდა შევხედოთ სომეხთა წადილს ჯავახეთის დაპატრონებისას? 239

VI თავი. საქართველოს სამზღვრის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის ხაზი 240

§ 1. კოლა-არტაანი, ტაო, თორთუმი და ისპირი 240

§ 2. ლაზისტანი 240

ბოლოსიტყვაობა 241

ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს 244

1.ქალაქები და სტატისტიკური ცნობები მათ შესახებ 244

2. საქალაქო წეს-წყობილება და ცხოვრების ვითარება 248

ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტის მდგომარეობა (პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება) 257

ივანე ჯავახიშვილის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომების მოკლე მიმოხილვა

ივანე ჯავახიშვილი 1917 წლიდან მოყოლებული, როცა იგი ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებით და მისი აღმშენებლობით იყო დაკავებული, სანამ უნივერსიტეტის რექტორის (1926 წ.) პოსტს იკავებდა, თავისი ნაშრომების გამოსაქვეყნებლად ნაკლებად იცლიდა, მაგრამ მოცემულ პერიოდში მაინც მნიშვნელოვანი პუბლიკაციები განახორციელა. ესენია:

1. ქართველი ერის მოკლე ისტორია. წ. 2. I-XII სს. ქრ. შ. ქუთაისი, 1918 წ.
2. ქართული სამართლის ისტორია. წ. 1. ქუთაისი, 1919 წ.
3. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფ. 1919 წ.
4. დამოკიდებულება რუსეთსა და საქათველოს შორის მე-18 საუკუნეში. თბ., 1919 წ.
5. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება XVII-XVIII სს. პრომეთე, 1918 წ. N 1.
6. ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის მდგომარეობა (პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება), სახალხო საქმე, 1920 წ. N 903.

მართალია 1921 წ. გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, პირველი ნაწილი. ჩვენ არ ვიცით ზუსტად ამ წლის რომელ თვეში გამოიცა ეს ნაშრომი, მაგრამ ვეჭვობთ რომ იგი იანვარ-თებერვალში მომხდარიყო. ხოლო ვინაიდან 1921 წლის თებერვლის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა აღარ ფუნქციონირებდა, ჩვენც აღნიშნულ ნაშრომს გვერდს ვუვლით. რაც შეეხება დანარჩენთ, მათ მოკლედ დავახასიათებთ.

ივანე ჯავახიშვილის ბიო-ბიბლიოგრაფიაში 1918 წლის ქვეშ მითითებულია: О знаках препинания при издании древне-грузинских текстов. Пгр. 1916, 12 с. [Пособия для работ по армиано-грузинской филологии. III][1]. ეს ნაშრომი პეტერბურგშია დაწერილი და მართლაც 1916 წელსაა გამოცემული. იგი ბიობიბლიოგრაფიაში შეცდომით უნდა იყოს 1918 წლის ქვეშ დაბეჭდილი. ამიტომ მას ჩვენ გვერდზე ვტოვებთ. ხოლო დანარჩენ ნაშრომებს მოკლედ მიმოვიხილავთ.

ქართველი ერის ისტორია

ნაშრომი სათაურით „ქართველი ერის ისტორია“ გამოვიდა 1908 წელს, თუმცა იგი 1905 წ. დასაბეჭდად მზად ყოფილა[2]. ეს იყო ამ ნაშრომის პირველი წიგნი. მასში ავტორმა იმთავითვე განსაზღვრა მისი დანიშნულებაც, ქრონოლოგიური ჩარჩოც და სტრუქტურაც. ამ გამოცემის წინასიტყვაში იგი წერდა: „ისტორია“ ოთხ წიგნადა მაქვს განსაზღვრული: პირველი წიგნი უძველეს ხანას შეიცავს ვიდრე VII საუკუნის პირველ ნახევრამდე, ანუ არაბების ბატონობამდე; მეორე – VII-XIII საუკუნეებს; მესამე – XIII-XV საუკუნეებს; მეოთხე – XVI-XVIII საუკუნის

[1] ივანე ჯავახიშვილი, ბიობიბლიოგრაფია, თბ., 1976. გვ. 48.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ. 1979. გვ. 33.

დასასრულამდე.“[1] თუმცა მეცნიერს მუშაობის პროცესში **თანდათანობით ცვლილებებიც შეჰქონდა** არა მარტო ამ ნაშრომის **ცალკეული წიგნების შინაარსში,** არამედ მის მიერ მოაზრებულ ქართველი ერის ისტორიის ფართოდ გასაშუქებელ **გეგმაშიც**. ეს გამოწვეული იყო კვლევა-ძიების პროცესში წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებითა და ცალკეული საკითხების გაღრმავებული შესწავლით.

„ქართველი ერის ისტორიის“ 4 წიგნად დაწერის გეგმა მან მოგვიანებით შეცვალა. აი, რას გვეუბნება ამის შესახებ ავტორი 1924 წელს გამოცემულ „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნის წინასიტყვაში: „ქართველი ერის ისტორიის დაწერას რომ შევუდეგი, მთელი შრომა ოთხ წიგნად მქონდა ნავარაუდევი, მაგრამ შემდეგ ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული ჩვენი სამშობლოსა და ერის თავგადასავლის უტყუარი სურათის აღდგენა წყაროების მეტად დიდ კრიტიკულ განხილვას მოითხოვდა და ოთხი წიგნი ამის გამო საკმარისი არ იქნებოდა. (...) მესამე წიგნის მეტის-მეტი სიდიდის თავიდან ასაცილებლად და განსაკუთრებით კი რათგან XIII საუკუნე და XIV საუკუნის დასასრულს საქართველოს პოლიტიკურს ცხოვრებას მონღოლთა ბატონობა თავისებურ ელფერს ადებდა, გადავწყვიტე XIII-XIV სს-ისათვის ცალკე წიგნი მიმეძღვნა. ამგვარად, უფრო მიზანშეწონილად ვცანი ეს ხანა მესამე ტომად გამომეყო, XV-XVI სს. – მეოთხე წიგნად მექცია, რომ XVII და XVIII სს. ამბები მეხუთე წიგნში ყოფილიყო მოქცეული.“[2]

ამდენად, „ქართველი ერის ისტორიის“ ხუთწიგნეული დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით და შემდეგნაირადაა განაწილებული:

წიგნი I. „ქართველი ერის ისტორია“ (უძველესი ხანიდან VII საუკუნის პირველ ნახევრამდე, ანუ არაბების ბატონობამდე);

წიგნი II. „ქართველი ერის ისტორია“ (VII-XII საუკუნეები);

წიგნი III. „ქართველი ერის ისტორია“ (XIII-XIV საუკუნეები);

წიგნი IV. „ქართველი ერის ისტორია“ (XV-XVI საუკუნეები);

წიგნი V. „ქართველი ერის ისტორია“ (XVII და XVIII საუკუნეები).

ავტორმა ამ ნაშრომის დანიშნულება პირველივე გამოცემაში (1908 წ.) ასე განსაზღვრა: იგი „ქართველი მკითხველი საზოგადოებისთვის“ დაიწერა და „მარტოოდენ მეცნიერთათვის არ ყოფილა განკუთვნილი.“[3] შემდგომი სრულყოფის ეტაპზე ეს ორი ფუნქცია ამ წიგნს არ მოშორებია და იგი დარჩა ყველა იმ შემოწმებულ-დადგენილი ფაქტის, მოვლენის, გამოთქმული თვალსაზრისის განმაზოგადებელ ნაშრომად, რომელიც ქართველი ერის გარდასულ ეპოქას და მის ცხოვრებას შეეხება. ავტორის განმარტებით, რადგან წიგნის მკითხველად ფართო საზოგადოებას გულისხმობდა, იგი ცდილობდა „წვრილმანი და დაწვრილებითი დასაბუთებით წიგნის კითხვა“ არ გაეძნელებინა, მაგრამ „ამ მოთხოვნილების აღსრულება ყველგან და ყოველთვის არ შეიძლებოდა“. ეს იმიტომ, რომ ბევრი დებულება მის „ჯერედ გამოუქვეყნებელ მონოგრაფიულ გამოკვლევებზე“ იყო დამყარებული და ამიტომაც წიგნში შეტანილი „აზრი და მსჯელობა დაუსაბუთებული [რომ] არა ყოფილიყო“ იმ გამოუქვეყნებელი მონოგრაფიების აქ გადმოტანა უწევდა.[4] აქვე მკვლევარი მიუთითებს, თუ რა საკითხებია ესენი: 1. ქართველი ტომების უძველესი დროის გეოგრაფია; 2. ქართველების

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ. 1979. გვ. 32.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III, თბ. 1982. გვ. 237.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ. 1979. გვ. 32-33.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ. 1979. გვ. 33.

კულტურა და 3. ქართველების წარმართობა. აქედან ჩანს, რომ მეცნიერი იძულებული რომ არ ყოფილიყო და ეს საკითხები რომელიმე ცალკეულ ნაშრომებში ყოფილიყო გაშუქებული, მაშინ მათ თავის „ქართველი ერის ისტორიაში“ აღარ შეიტანდა. ამით ისიც ჩანს, რომ ამ საკითხებს იგი „ქართველი ერის ისტორიის“ ორგანულ ნაწილად არ მიიჩნევდა.

ამ წიგნის მესამე გამოცემაში (1928 წ.) ავტორი აღნიშნავს: „მომავალში კი ამ ისტორიის დამთავრების შემდგომ, ამაზე დამყარებული საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის გამოცემაც მაქვს განზრახული“.[1] სამწუხაროდ, ეს განზრახვა მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა და „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნის სამივე გამოცემას (1908 წ, 1913 წ. და 1928 წ.) ძირითადად, რომელიც მეცნიერის სიცოცხლეში განხორციელდა, სხვადასხვა საკითხებზე კვლევა-ძიების ფართოდ დამტევი ნაშრომის ფუნქცია შერჩა. სწორედ ამიტომ მეცნიერი ყოველთვის განმარტავს, რომ იძულებულია „ქართველი ერის ისტორიაში“ შეიტანოს უამრავი ისეთი მასალა, რომლისთვისაც გვერდის ავლა შეიძლებოდა, რომ ცალკე სპეციალური გამოკვლევები ან გამოცემები არსებულიყო. „პირველი წიგნის შევსებისა და ახალი პრობლემების გაშუქების დროს გამოირკვა, რომ ამ წიგნში შეტანილი ახალი თვალსაზრისისა და ახლად წარმოყენებული დებულებების დამაჯერებლობისათვის წყაროების ცნობებისა, აქამდე არსებული თეორიებისა და გაბატონებულ შეხედულებათა გათვალისწინება და კრიტიკული განხილვაა საჭირო. სჯობდა, რომ ეს წინასწარ ან ცალკე წიგნად ან რომელსამე სპეციალურ სამეცნიერო ორგანოში გამოქვეყნებულიყო: მაშინ მკითხველს „ქართველი ერის ისტორიის“ წაკითხვა უფრო გაუადვილდებოდა. მაგრამ ასეთი ქართული ორგანოს უქონლობამ და სპეციალური წიგნების გამოცემის სიძნელემ მთელი ამ წყაროთა მიმოხილვისა და კრიტიკული გაცხრილვის შემცველი ნაწილების ამ პირველ წიგნშივე შეტანა აუცილებელი გახადა“.[2] ამან კი თავისი დაღი დაასვა ნაშრომს. „ამ გარემოებამ – ამბობს ივ. ჯავახიშვილი, – ისედაც ძნელი საკითხავი წიგნი მეტისმეტად დატვირთა და მას საისტორიო გამოკვლევის ხასიათი მიანიჭა“.[3] თუმცა იქვე დასძენს, რომ ისტორია რთული მეცნიერება არის და საისტორიო მეცნიერება არასდროს გასართობ წიგნად არ გამოდგება.[4] ერთი სიტყვით, ცალკე სპეციალური საისტორიო გამოკვლევებით განებივრებული რომ ვყოფილიყავით, მაშინ „ქართველი ერის ისტორია“ „ძნელად საკითხავ წიგნად“ არ იქცეოდა, რადგან იგი „საისტორიო გამოკვლევის ხასიათს“ არ მიიღებდა.

ყოველივე ზემოთქმული ლოგიკურად ბადებს აზრს, რომ ივანე ჯავახიშვილს სურდა „ქართველი ერის ისტორია“ უფრო ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის დაწერილიყო, მაგრამ აღნიშნული გარემოებების გამო იგი იძულებული გახდა ეს ნაშრომი ისე დაეწერა, რომ მან „საისტორიო გამოკვლევის ხასიათი“ შეიძინა.[5]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ. 1979. გვ. 40.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ. 1979. გვ. 39.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ. 1979. გვ. 39.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ. 1979. გვ. 37.

[5] ამ წიგნის ორმაგი ხასიათი კარგად შენიშნა ექვთიმე თაყაიშვილმა და სხვა შენიშვნებთან ერთად, ამის გამოც ნაშრომი დაიწუნა. იგი ამის თაობაზე ნიკო მარს წერდა: ივანე ჯავახიშვილის „ისტორია გადავიკითხე. მთვარეს კულტის შესახებ მშვენიერი გამოკვლევაა, სხვა კი **ნაჩქარევია და ზოგჯერ სუსტიც.** მასთან ისე ცუდათ არის დაბეჭდილი და იმდენი კორექტურული შეცდომებია, რომ ძნელი საკითხავია. ისტორია ჩემის აზრით **ან მეცნიერული უნდა იყოს, ან პოპულარული** მოთხრობა უკვე გამოკვლეულისა. ეს **არც ერთია და არც მეორე.** ავტორს კი **ორივეს შეერთება** (ხაზგასმა ყველგან ჩემია, დ.ს.) ჰქონია სახეში. ტყუილა ამბობს, რომ საკმაო საბუთებია ქართული

როგორც ითქვა, ივანე ჯავახიშვილი 1908 წელს „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის პირველი გამოცემის წინასიტყვაში მიუთითებდა, რომ იგი „ქართველ მკითხველ საზოგადოებისათვის უნდა ყოფილიყო დაწერილი და მარტოოდენ მეცნიერებსათვის არა ყოფილა განკუთვნილი“.[1] ამიტომ იგი „ისე უნდა დამეწერა, რომ წვრილმანი და დაწვრილებითი დასაბუთებით წიგნის კითხვა მეტად არ გამეძნელებინა. მაგრამ სამწუხაროდ, ამ მოთხოვნილების აღსრულება ყველგან და ყოველთვის არ შეიძლებოდა... შემდეგ წიგნების ბეჭდვის დროს, მე ვგონებ, ეს ნაკლი თავიდან ავიცილო“.[2]

ამ ამონარიდიდან ნათელია, ავტორის მიზანი: მას სურს „ქართველი ერის ისტორია“ „მეცნიერებისათვის“ ანუ ვიწროდ შემოფარგლული სპეციალისტებისათვის კი არ დაწეროს, არამედ ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, მას სურს ფართო მასებისათვის განკუთვნილი ადვილად საკითხავი პოპულარული ნაშრომი შექმნას. იმ ხანად ამას ვერ ახერხებს, რადგან ქართველი ერის ისტორიის ცალკეული საკითხები მონოგრაფიულად დამუშავებული არ არის და სანამ ყველაფერი მეცნიერულად გაანალიზებული არ იქნება, მანამ პოპულარული წერა მიზანშეუწონელია. ამ ამოცანის დაძლევა მას მომავალში ეიმედება.

გადის დრო და მეცნიერი თავის წადილს ჯერჯერობით ვერ ისრულებს. 1913-1914 წლებში, როცა გამოდის მისი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის გადამუშავებული ვარიანტი ახალ მეორე წიგნთან ერთად, ავტორი წინასიტყვაში ამბობს: „ვცდილობდი რამდენადაც შეიძლებოდა ხშირად თვით წყაროები... ამემეტყველებინა, რომ მკითხველმა თვით ჩაიხედოს ამა თუ იმ მოვლენის სიღრმეში, იცოდეს, რაზეა დამყარებული ჩემი შეხედულება და დასკვნა... მე კარგად მესმის, რომ სწორედ ამის გამო ჩემი თხზულება ძნელ საკითხავ წიგნად იქცა... მაგრამ მაინც მე საჭიროდ არ მიმაჩნდა მოთხრობა განზრახ გამემარტივებინა“.[3] რადგან ამ გზით წავედიო, აგრძელებს მეცნიერი, ეს წიგნი „არც სკოლაში სახმარებლად, არც საშუალო სასწავლებლების მოწაფეთათვის [არ] არის დაწერილი, არამედ მხოლოდ მოზრდილთათვის, განათლებულ და მომზადებულ მკითხველებისათვის. სკოლაში სახმარებლად და ხალხისათვის საკითხვად იქმნება განსაკუთრებული გამოცემა“.[4]

ამდენად, ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ივანე ჯავახიშვილს „ქართველი ერის ისტორიის“ დაწერა სურს როგორც „მეცნიერებისათვის“, „მოზრდილთათვის, განათლებულ და მომზადებულ მკითხველებისათვის“, ისე „სკოლაში სახმარებლად და ხალხისათვის საკითხავად“. მაგრამ ეს ერთ წიგნში ვერ მოხერხდება, არამედ ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ წიგნებში უნდა განხორციელდეს. ერთი იქნება სამეცნიერო გამოკვლევა, დატვირთული საისტორიო წყაროებით, აღჭურვილი სამეცნიერო აპარატით და უფრო მძიმედ საკითხავიც იქნება, რომელსაც მომზადებული მკითხველი სჭირდება, ხოლო მეორე იქნება წყაროების ციტატებისგან დაცლილი, მსუბუქად დაწერილი და იოლად აღსაქმელი ნაშრომი. იგი ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის იქნება განკუთვნილი. მართალია,

---

ისტორიის დასაწერათო. მისივე შრომიდან სჩანს, რომ საკმაო საბუთები არ ყოფილა.“ იხ. ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა (1888-1931 წწ.), გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს რ. კავილაძემ და მ. მამაცაშვილმა. თბ., 1991. გვ. 227.

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ. 1979. გვ. 32-33.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ. 1979. გვ. 33.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ. 1979. გვ. 37.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ. 1979. გვ. 37.

ივანე ჯავახიშვილმა ამ ამოცანის ბოლომდე გადაჭრა ვერ მოასწრო, მაგრამ ორივე მიმართულებით შექმნილი ნაშრომები დაგვიტოვა.

ივანე ჯავახიშვილს თავისი „ქართველი ერის ისტორია“ მოეპოვება ვრცელი და მოკლე ვარიანტებით. ვრცელი ვარიანტი არის სამეცნიერო გამოცემა და მოკლე კი – პოპულარული. ამის თაობაზე თავად გვეუბნება ერთგან: საისტორიო წყაროების „კრიტიკული კვლევა-ძიებით დატვირთულობა ჩემი თხზულების პირველსა და მეორე წიგნზე მეტად მას (მეოთხე წიგნს, დ.ს.) **ძნელ საკითხვად** და **ჩვეულებრივი მკითხველისათვის** ზოგჯერ **მოსაწყენადაც** ხდის“-ო, – აცხადებს მეცნიერი და იქვე აგრძელებს: თუმცა „ეს შრომა ჩვეულებრივ, **ადვილ საკითხავ წიგნად არც არის განზრახული** და განკუთვნილი. როდესაც ამ ნაწაროების ბეჭდვა დამთავრდება, მაშინ ვფიქრობ **ჩვეულებრივი მკითხველისათვის შედგენილი ისტორიაც გამოვაქვეყნო** (ხაზგასმა ყველგან ჩემია, დ.ს.)“.[1]

„ძნელად საკითხავი“ და **„ადვილად საკითხავი“** ცნებებით აღინიშნება სწორედ ის ორი სახის „ქართველი ერის ისტორია“, რომელსაც დღეს ვუწოდებთ სამეცნიეროსა და პოპულარულს. ამგვარი პოლულარული ისტორიებია 1917 და 1918 წლებში გამოცემული „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი და მეორე წიგნები. მისი გამოცემა 1917 წელს დაიწყო და 1918 წელს დასრულდა ქუთაისში. მათ ასეთი სათაური აქვთ: „ქართველი ერის მოკლე ისტორია“. ამ გამოცემაში ვერ ვიპოვით საისტორიო წყაროსეულ ციტატებს, ამ ციტატებისა და სხვადასხვა მეცნიერების დებულებებზე მითითებებს, ქარაგმებს, რომლებითაც დახუნძლულია მეცნიერის სხვა ნაშრომები და ა.შ. ამდენად იგი მართლაც არის პოპულარული ნაშრომი, რომელიც გამოსადეგია „სკოლაში სახმარებლად და ხალხისათვის საკითხვად“.

1941 წ. გამოიცა ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, რომელსაც აწერია „მესამე წიგნი. XIII-XIV ს.ს.“. იგი სწორედ ზემოთგანხილული ორი წიგნის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ. ქრონოლოგიური თვალსაზრისით, სწორედ რომ მათი გაგრძელებაა და თანაც პოპულარულადაცაა დაწერილი, განტვირთული წყაროების ციტატებისა და სქოლიოებისაგან. 1949 წ. ს. ყაუხჩიშვილმა მეცნიერის არქივში დაცული მასალების მიხედვით გამოსცა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი, რომელსაც ასეთი სათაური მისცა: „საქართველოს ისტორია, XI-XV საუკუნეები“. ეს მასალაც პოპულარულადაა დაწერილი და ამიტომ ზემოთგანხილულ ნაშრომებთან ერთად პოპულარულ ისტორიას წარმოადგენს. მეცნიერის არქივში კიდევ სხვა მასალაც ინახება ამგვარი პოპულარული სახით დაწერილი, რომელიც ქრონოლოგიურად XV საუკუნეს მოიცავს. მაშასადამე, ზემოთ დასახელებული ყველა ნაშრომი ცხრილის სახით შემდეგ სურათს გვაძლევს:

„ქართველი ერის ისტორიის“ მოკლე ანუ პოპულარული წიგნები:

#	დასახელება	გამოცემის თარიღი
1	ქართველი ერის მოკლე ისტორია, წიგნი მესამე, უძველესი დროიდან I საუკუნემდე)	1917 წ. ქუთაისი
2	ქართველი ერის მოკლე ისტორია, წიგნი მესამე, (I -XII საუკუნეები)	1918 წ. ქუთაისი
3	ქართველი ერის [შემოკლებული] ისტორია, წიგნი მესამე, (XIII-XIV ს.ს.)	1941 წ. თბილისი
4	[ქართველი ერის ისტორია], მოკლე ვარიანტი. წიგნი	გამოუცემელია[2]

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III, თბ. 1982. გვ. 238-239.

[2] მზადდება გამოსაცემად.

	მეოთხე, (XV ს).	
5	[საქართველოს ისტორია, XI-XV საუკუნეები]	1949 წ. თბილისი

ყველა ეს ნაშრომი ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ პოპულარული ისტორიის ერთ რკალს ქმნის, რომლიდანაც მეორე წიგნი ჩვენი კვლევის პერიოდშია გამოცემული, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს ვერ ვაცილებთ პირველ და მეორე წიგნებს. პირველი წიგნი 1917 წელსაა გამოსული, მაგრამ ეს წელი ხომ ყველაფრით იმ სხვადასხვა პროცესების მოსამზადებელი წელია, რაც შემდეგ 1918 წელს განხორციელდა: უნივერსიტეტის დაარსება, სახელმწიფოებრიობის აღდგენა და სხვა. ამიტომ მკითხველს ორივეს ერთად ვთავაზობთ.

ქართული სამართლის ისტორია

ქართველებს, როგორც ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოებრიობის მქონე ერს, სხვა საისტორიო წყაროებთან ერთად დღემდე შემორჩა მრავალი იურიდიული ხასიათის ძეგლი. მათი შესწავლა დაიწყო XIX საუკუნეში, თუმცა ფრაგმენტულად. ქართულ სამართლებრივ კულტურაზე გარკვეულ მოსაზრებებს ვხვდებით მ. ბროსეს, პ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის, დ. ფურცელაძის, ალ. ხახანაშვილის, თ. ჟორდანიასა და ექ. თაყაიშვილის შრომებში. ქართულ ჩვეულებითი სამართალს იკვლევდა მ. კოვალევსკი და ცალკეულ სამართლებრივ ინსტიტუტებს ეხებოდნენ ევროპელი მკვლევარები: რ. დარესტი, ფ. ჰოლდაკი, რ. კლუტმანი, ჟ. კარსტი. რაც შეეხება სპეციალურად ქართული სამართლის შესწავლას, პირველობა ეკუთვნის ნიკო ურბნელს (ხიზანაშვილი). ივანე ჯავახიშვილი მის ღვაწლს პატივს სცემდა და სათანადოდ აღნიშნავდა კიდევაც, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ქართული სამართლის საფუძვლიანი და ყოვლისმომცველი კვლევა. ასეთი სამუშაო მხოლოდ ივანე ჯავახიშვილმა შეასრულა.

ჯერ კიდევ 1904 წელს რუსულად გამოქვეყნდა ნაშრომი სოციალური ბრძოლისა და დემოკრატიული რეფორმების შესახებ IX-XI საუკუნეების ქართულ ეკლესიაში.[1] მომდევნო წელს კი დაისტამბა მონოგრაფია ძველ საქართველოსა და სომხეთში სახელმწიფო წყობილების შესახებ.[2] ამავე წელს გამოქვეყნდა საქართველოში ჯერ გაზეთში „ცნობის ფურცელი“ და შემდეგ ცალკეც მეორე მონოგრაფია „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“.

ივანე ჯავახიშვილი 1906 წელს გაზეთ „ივერიაში“ იწყებს მონოგრაფიის „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში“ ბეჭდვას. სამწუხაროდ, დაიბეჭდა მხოლოდ პირველი წერილი.[3] შემდეგ იგი მცირეოდენი ცვლილებებით შეიტანა მეცნიერმა თავის სამართლის ისტორიაში. 1909 წელს მკვლევარი კითხულობს 2 საჯარო ლექციას ქართული სამართლის ისტორიაში, რომლის შესახებ ვრცელი ინფორმაცია ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში.[4]

ზემოხსენებული ეს მოკლე ჩამოთვლაც კი ნათელყოფს ივანე ჯავახიშვილის დიდ ინტერესს ქართული სამართლის ისტორიისადმი. არათუ ინტერესი, არამედ ამ საკითხზე ინტენსიურადაც მუშაობდა და 1908 წელს გამოსულ „ქართველი ერის ისტორიაში“, რომელიც 1905 წელს მზად ყოფილა გამოსაცემად, ამბობს, რომ მას უკვე გამოსაქვეყნებლად დამზადებული აქვს „ქართული სამართლის ისტორიის“ I წიგნი.[5] სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიების გამოცემა დაგვიანებით ხდება და ასეთივე ბედი ეწია

[1] К истории церковных реформ в древней Грузии. ЖМНП, 1904, № 2.
[2] Государственный строй древней Грузии и древней Армении. Т. I. СПБ, 1905.
[3] იხ. გაზეთი „ივერია“, 1906 წ. ## 10, 11, 13.
[4] იხ. „ერი“, 1909 წ. ## 1, 2. „ჩვენი ერი“, ## 1, 2; „საქართველოს მოამბე“, ## 1, 3.
[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფ. 1908 წ. იხ. წინასიტყვაობა.

„ქართული სამართლის ისტორიასაც“. მხოლოდ 1919 წელს გამოდის ამ სათაურით მისი მონოგრაფია ქუთაისში. მასში მითითებულია, რომ იგი არის პირველი წიგნი, მაგრამ სინამდვილეში არის მეორე წიგნის პირველი ნაწილი, სადაც განხილულია IX-XIII სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის, მოსახლეობისა და მოხელეობის საკითხები. ეს გამოჩნდა მოგვიანებით, როცა ავტორმა 1928 წელს დაიწყო ამ კაპიტალური შრომის სრულად გამოქვეყნება. 1928 წელს დაიბეჭდა პირველი წიგნი, სადაც ძირითადად სამართლის წყაროებია განხილული, ხოლო მეორე წიგნის პირველი ნაწილში მთლიანად შევიდა 1919 წელს დასტამბული სამართლის ისტორია. 1929 კი გამოქვეყნდა „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის მეორე ნაწილი. ამჟამად ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ „ქართული სამართლის ისტორიის“ სწორედ 1919 წელს ქუთაისში გამოცემულ ნაწილს.

ივანე ჯავახიშვილი, პარიზის სამშვიდობო კონფერენცია და ქ. სტამბულში შექმნილი ორი ნაშრომი: „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ და „დამოკიდებულება რუსეთსა და საქათველოს შორის მე-18 საუკუნეში“

1918 წ. 21 ნოემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შექმნა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგაცია, რომელიც შედგებოდა სამი პირისაგან (კ. ჩხეიძე, ნ. ნიკოლაძე და გ. რცხილაძე). მოგვიანებით კი 7 დეკემბერს დელეგაცია გაფართოვდა და მასში ივანე ჯავახიშვილიც იქნა შეყვანილი. 1919 წ. 9 იანვარს დელეგაცია თბილისიდან მატარებლით ბათუმს გაემგზავრა, სადაც 11 იანვარს ჩავიდა. იმავე დღეს ივანე ჯავახიშვილი წერილს უგზავნის აკაკი შანიძესა და იოსებ ყიფშიძეს, სადაც აღნიშნავს: „ინგლისელების სიტყვა ისევ მრუდე აღმოჩნდა: გემი აქ არ არის და ერთ კვირაზე ადრე არც იქნება“.[1] ბათუმში ერთი კვირის ლოდინის შემდეგ დელეგაცია სტამბულში გაემგზავრა, მაგრამ იქიდან კი მხოლოდ კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი გაუშვეს პარიზში. დანარჩენებს კი და მათ შორის ივანე ჯავახიშვილსაც, საფრანგეთის მთავრობამ ვიზა არ მისცა პარიზში ჩასასვლელად. მეცნიერმა აქ აპრილამდე დაჰყო და მერე სამშობლოში დაბრუნდა. მაგრამ სტამბულში მას დრო უქმად არ დაუკარგავს. დაწერა ორი მონოგრაფია: „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“[2] და „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში“.[3]

მონოგრაფია „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ სათაურიდანვე იპყრობს ყურადღებას. იგი მიგვანიშნებს ორ გარემოებაზე: თუ რა ტერიტორიას ფლობდა ქართველი ერი ისტორიულად და სად უნდა გადიოდეს ახალი სახელმწიფო საზღვრები „თანამედროვე თვალსაზრისით“.

პირველ საკითხს – საქართველოს სახელმწიფოს ისტორიულ საზღვარს – ავტორი მოკლედ, მაგრამ დეტალურად განიხილავს. იგი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების მიმოხილვას იწყებს ჩრდილო-დასავლეთიდან – შავი ზღვის სანაპიროსთან, შემდეგ კავკასიონის ქედის კალთებსა და თხემზე, სადაც გარკვეული ბუნებრივი ბარიერიებია (მდინარე, კავკასიონის მთისწინა ზოლი და ფერდობები). შემდეგ მსჯელობა მისდევს კავკასიონის მთავარ ქედს (თხემურ ზოლს), რომელიც აღმოსავლეთით მდ. გიშისწყლამდე

[1] ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, თბ., 2016, გვ. 73.

[2] საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფ. 1919.

[3] დამოკიდებულება რუსეთსა და საქათველოს შორის მე-18 საუკუნეში. თბ., 1919 წ.

გრძელდება. ამის შემდგომ აღწერს სამხრეთ საზღვარს სომხეთთან და ოსმალეთთან მიმართებით და ბოლოს, კვლევა-ძიება კვლავ შავ ზღვასთან მთავრდება.

მეორე საკითხს – თუ რა ტერიტორიას უნდა ფლობდეს ანუ სად უნდა გადიოდეს საზღვარი დამოუკიდებლობა ახალაღდგენილ საქართველოსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს შორის, ავტორი თავის პოზიციას აფუძნებს **„სახელმწიფოებრივ თვალსაზრისზე“,** რომლის მიხედვითაც ყოველ ერს დაუბრკოლებლად უნდა შეეძლოს თავისი კულტურისა და ეკონომიკის განვითარება და ასევე სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. იგი ამის თაობაზე წერს: **„საქართველოს სამზღვრების საბოლოვო მოხაზულობის გამორკვევის დროს ქართველ ერსა და მის მთავრობას შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იხელმძღვანელოს... სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მას გარეშე მტრის შემოსევისაგან თავდაცვის** საშუალება ჰქონდეს და მისი მყუდრო სამოქალაქო ცხოვრება უზრუნველყოფილი იყოს“. სწორედ ამ პრინციპის დაცვითაა მონოგრაფიაში საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვარი განხილული. ავტორის სიტყვით: **„ქვემომოყვანილს მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული სამზღვრები, ისე როგორც თვით იგი ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრეთვე გეოგრაფიული და ეკონომიური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა“.**

სწორედ ეს მიდგომა აძლევს ავტორს ხელიუფლებას მისცეს შემდეგი რჩევა: **„კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლებაზე იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს“.** ეს არის ივ. ჯავახიშვილის რეკომენდაცია და იქვე იძლევა მის საილუსტრაციო რამდენიმე მაგალითს: საქართველოს შეუძლია „აღმოსავლეთით, საინგილოში სამზღვრად გიშის წყლის მაგიერ კას-ჩაი დასდვას, სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვრის ხაზად კი ისტორიულის მაგიერ დებედას შემდინარეების წყალთ-გამყოფელი მთა აირჩიოს, ხოლო სამხრეთის ხაზად ისტორიულის სამძღვრის ერევნის (= ბამბაკის) მთების მაგიერ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ბერდუჯის (= რუს. ბეზობდალის) მთები მიიჩნიოს მოსაზღვრე ხაზად: საქართველოს ხელში ბერდუჯის მთები იქნება, სომხეთის ზღუდედ და სამზღვრად ერევნის მთები“.

რაც შეეხება ნაშრომს „დამოკიდებულება რუსეთსა და საქათველოს შორის მე-18 საუკუნეში“, როგორც თავად სათაურიდანაც ჩანს, ავტორი მასში არკვევს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხებს მე-18 საუკუნეში, თუმცა ივ. ჯავახიშვილს მხოლოდ მე-18 საუკუნე კი არ აინტერესებდა, არამედ მანამდელი და მერმინდელი პერიოდებიც, რაზეც მეტყველებს მის არქივში შემორჩენილი მასალები. ისინი ძირითადად გათვალისწინებული იყო მისი მონოგრაფიის „ქართველი ერის ისტორიის“ სათანადო ტომებისათვის. სამწუხაროდ, მეცნიერს ამ განზრახვის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა.

აღნიშნული მონოგრაფიის წინასიტყვაში ავტორი ჯერ მოცემული საკითხის ჯეროვან გამოუკვლელობაზე ამახვილებს ყურადღებას და შემდეგ პრაქტიკულ ამოცანასაც ახსენებს: **„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე მოვალეა თავის ქვეყნის წარსული იცოდეს, განსაკუთრებით ისეთი ხანა, როგორიც მე-XVIII-ე ს-ეა. აწინდელმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულშიაც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისთვისაც ბევრი რამე საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს“.**

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ყველა პოლიტიკური ასპექტი და თხრობა სრულდება რუსეთის მიერ 1783 წელს დადებული ტრაქტატის დარღვევისა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების ანალიზით. ავტორის დასკვნით ასეთი კრახით დამთავრდა „ქრისტესმოყვარე“ რუსეთის მოიმედეობა: „რუსეთის

მთავრობის პოლიტიკამ საქართველოში ნათლად დაამტკიცა ამ განუსაზღვრელი ნდობისა და გულუბრყვილობის სრული უსაფუძვლობა“.

ამდენად, ივ. ჯავახიშვილი ქართველების პოლიტიკას „გულუბრყვილოს“ უწოდებს და სწორედ ესაა ის, რაც **„ქართველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულშიაც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისთვისაც ბევრი რამე საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს“.**

ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება XVII-XVIII სს.

ივანე ჯავახიშვილის ნარკვევი „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს.“ პირველად დაიბეჭდა 1918 წელს ჟურნალ „პრომეთეს“ პირველ ნომერში. იგი დამოუკიდებელი ნაშრომი არ არის და ამის შესახებ იქვე სქოლიოშია მითითებული: „საქართველოს ეკონომიურ ისტორიის ჯერ დაუბეჭდავ უკანასკნელ წიგნითგან არის ამოღებული“. ამ სათაურით მან შრომა გამოაქვეყნა ჯერ კიდევ 1907 წელს, ხოლო შევსებული და ფაქტობრივად ახლად დაწერილი რამდენიმე წიგნიანი გამოკვლევის ბეჭდვა დაიწყო 1930 წელს. ამ წელს გამოიცა აღნიშნული მონოგრაფიის პირველი წიგნი, მეორე კი – 1934 წელს. დანარჩენი კი მის პირად არქივში დარჩა. სწორედ ამ უკანასკნელის ნაწილია წინამდებარე გამოკვლევა.

რამ გამოიწვია ამ ნაშრომის მომავალში გამოსაცემი მონოგრაფიიდან ამოღება და ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნება? ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი არ არსებობს. მხოლოდ რამდენიმე ცნობის ერთმანეთთან შეჯერებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონოგრაფიის სხვა თავებისაგან მისი გამოყოფა და შემდეგ **გამოქვეყნება მხოლოდ მიმდინარე მომენტმა განსაზღვრა.** ჟურნალში გამოქვეყნებული ეს ნაშრომი შემდეგი აბზაცით სრულდება:

„თანამედროვე საქალაქო თვითმმართველობის ორგანოთა მთავარი დანიშნულება და სამოქმედო მიზანი ქალაქისა და მის მცხოვრებთა კეთილდღეობაზე და მშვიდობიან ცხოვრებაზე ზრუნვა შეადგენს. მაგრამ ამას გარდა ისინი მოვალენი არიან ყოველი ღონისძიება იჴმარონ, რომ ცხოვრებისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე და სხვაგვარი საჴმარი ქალაქში ბლომად მოიპოვებოდეს და პირიან ფასადაც იყიდებოდეს, ამასთანავე ფხიზლად თვალ-ყური ადევნონ, რომ საწყავ-საზომების სიმრუდითა და ნაკლებობით ვაჭრებმა მოქალაქეთა ჯიბეები არ შეათხელონ. ამ ჩვენი გამოკვლევის გულდასმით გადამკითხველისათვის იმედია ცხადი გაჴდება ჯერ ერთი ის, რომ ეს მიზანი და მოვალეობა ძველ საქართველოშიაც კარგად გათვალისწინებული და შეგნებული ჰქონიათ და ქალაქის მმართველთ აუცილებელ ვალადა ჰქონდათ დაკისრებული, ხოლო მეორეც ის, თუ რაოდენად შემცდარია გაბატონებული აზრი, ვითომც საქალაქო მართვა-გამგეობის წესწყობილება ჩვენში პირველად რუსეთის მთავრობას შემოეღოს. ყველა ზემონათქვამითგან ვგონებ აშკარა უნდა იყოს, რომ ძველ საქართველოში მართვა-გამგეობის ეს დარგიც საკმაოდ შემუშავებული იყო და რომ საქალაქო თვითმმართველობის ჩანასახი უკვე მაშინაც არსებობდა“.

ამდენად, ნათლად ჩანს, რომ ამ აბზაცში ივანე ჯავახიშვილი საქალაქო თვიმმართველობის დანიშნულებას უსვამს ხაზს და შემდეგ ორ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას: 1. საქალაქო თვითმმართველობა საქართველოსთვის არ იყო უცხო და 2. მის შემოღებაში რუსები არ ყოფილან პიონერები.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ დასკვნისთვის მოხდა ნაშრომის მონოგრაფიიდან ამოღება და ჟურნალში გამოქვეყნება.

ამ კითხვაზე საპასუხოდ ჯერ გავიხსენოთ, რომ ჟურნალის ეს ნომერი, სადაც ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი დაიბეჭდა, არის ახლადაარსებული გამოცემის პირველი ნომერი. ამიტომ მასში მოთავსებულია სარედაქციო წერილიც, რომელშიაც ვკითხულობთ: „ჟურნალში

დაიბეჭდება ლიტერატურული, პოლიტიკური და მეცნიერული შინაარსის წერილები“. შემდეგ კი თითოეული ეს განყოფილება ცალ-ცალკე მოკლედაა დახასიათებული. სამეცნიერო განყოფილებაზე შემდეგია აღნიშნული: „სამეცნიერო ნაწილში მოქცეული იქნება **საშუალო მკითხველისათვის ადვილად გასაგები გამოკვლევანი და წვრილ-წვრილი მონოგრაფიები** (ხაზგასმა, დ.ს.) ჩვენი ისტორიიდან, მწერლობის ისტორიიდან, ეკონომიური ისტორიიდან, ეთნოგრაფიიდან, არქეოლოგიიდან, ქართული ენისა და მის მონათესავე ენის შესახებ, მოგზაურობანი, მემუარები, დღიურები და სხვ. და აგრეთვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ამ სფეროში“. ამ ამონარიდიდან ცხადი ხდება, რომ სამეცნიერო ნაწილის თემატიკა შემოისაზღვრება მხოლოდ ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებით და თანაც მხოლოდ „წვრილ-წვრილი“ ანუ მცირე მოცულობის ნაშრომებით, რომლებიც „საშუალო მკითხველისათვის“ ანუ სპეციალური მომზადების არმქონეთათვის „ადვილად გასაგები“ (მარტივად აღსაქმელი) იქნება. ივანე ჯავახიშვილის ეს ნაშრომიც ამგვარივეა. თავად ავტორიც ნაშრომის ბოლოში აღნიშნავს, რომ მრავალი სხვა საკითხის განხილვაც შეიძლებოდა, „მაგრამ ეს მონოგრაფიული გამოკვლევა ჟურნალისათვის ისედაც დიდი გამოვიდა და რაკი ამ საკითხის გამორკვევისათვის რთული გამოანგარიშებაცაა საჭირო, ამიტომ მას აქ აღარ შევეხებით“-ო. ამდენად, ავტორმა გაითვალისწინა რედაქციის მოთხოვნა და ნაშრომი შეამოკლა, რომ იგი „წვრილ-წვრილ მონოგრაფიის“ საზღვარს არ გასცდენოდა და თანაც „ადვილად საკითხავი“ რომ გამხდარიყო თავი აარიდა იმ საკითხებს, რომლებსაც „რთული გამოანგარიშებები“ სჭირდებოდა.

ჟურნალი დათარიღებულია 1918 წლით და არის ამ დასახელების გამოცემის პირველი ნომერი. ამ გამოცემის დაარსების აუცილებლობა კი რედაქციის მიერ ასეა გადმოცემული: „არასოდეს არ ყოფილა საჭირო ჩვენთვის დიდი და დინჯი ჟურნალი, როგორც დღეს. დღეს ეყრება საფუძველი ჩვენს ახალს პოლიტიკურ შენობას, დღეს კვლავ იწყებს ბრუნვას ჩვენი მთელის საუკუნის განმავლობაში შეჩერებული საქელმწიფოებრივი ცხოვრების ჩარხი, დღეს უნდა დაადგეს განახლებისა და აღორძინების გზას ჩვენი კულტურა, კულტურა რომელსაც თავისებური, ქართული სახე აქვს და რომელსაც მრავალი საუკუნე უმაგრებს ზურგს, დღეს უნდა გამრთელდეს გამწყდარი ჯაჭვი, და ასეთ დროს, როცა ასე სწრაფად ირღვევა ძველი კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობა და მის ადგილას ახალი მკვიდრდება, განზრახული ტიპის ჟურნალის არსებობა ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია“.

ესაა ჟურნალის[1] რედაქციის მიერ გაცხადებული სამოქმედო პროგრამა, რომლის მიხედვითაც ჟურნალის დაარსება გამოუწვევია შექმნილ რეალობას, როცა „ირღვევა ძველი კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობა და მის ადგილას ახალი მკვიდრდება“. ეს ისეთი დრო ყოფილა, როცა „ეყრება საფუძველი ჩვენს ახალს პოლიტიკურ შენობას“ და „კვლავ იწყებს ბრუნვას ჩვენი მთელის საუკუნის განმავლობაში შეჩერებული საქელმწიფოებრივი ცხოვრების ჩარხი“. ამიტომაც სწორედ ამ დღიდან „უნდა დაადგეს განახლებისა და აღორძინების გზას ჩვენი კულტურა...რომელსაც მრავალი საუკუნე უმაგრებს ზურგს“ და ამით უნდა გამრთელდეს წარსულთან აწმყოს დამაკავშირებელი „გამწყდარი ჯაჭვი“.

ყოველივე ამას ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის ბოლო აბზაცში მოცემულ შინაარს თუ შევადარებთ, ცხადი გახდება, რას გამოუწვევია მისი მონოგრაფიიდან ამოღება და ცალკე სახით დაბეჭდვა. საქალაქო თვითმართველობის საკითხი ერთ-ერთია, რომლითაც წარსულთან აწმყოს დამაკავშირებელი „გამწყდარი ჯაჭვი“ უნდა გამრთელდეს.

რაც შეეხება იმ რეალობას, როცა „ირღვევა ძველი კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობა და მის ადგილას ახალი მკვიდრდება“, აშკარად პირველი მსოფლიო ომის

[1] სარედაქციო კოლეგიაში დასახელებულნი არიან: აკაკი შანიძე, აკაკი პაპავა, იოსებ ყიფშიძე, კოწია გამსახურდია. გამომცემელია ისიდორე სტურუა.

მიმდინარეობისას 1917 წელს რუსეთში მომხდარი რევოლუცია და მისი შედეგები იგულისხმება. ეტყობა, ქართულ საზოგადოებას მაშინათვე დაუწყია საგანგებო სამზადისი ჟურნალის გამოსაცემად, მაგრამ ქაღალდისა და სტამბის ხარჯების სიძვირის გამო, რომელიც თავად სარედაქციო წერილშია აღნიშნული, 1918 წლამდე ვერ მოუხერხებია. ამაზე მეტყველებს ნომრის ბოლოში მოცემული სარეკლამო განცხადება, რომ „1918 წლის პირველ იანვრიდან მიიღება ხელის მოწერა“ აღნიშნულ გამოცემაზე. მაშასადამე, თუ 1918 წლის 1 იანვრიდან ხელიმომწერთ ეპატიჟებიან და ამ განცხადებას უკვე გამოსულ პირველივე ნომერში ბეჭდავენ, გამოდის, რომ იგი წინა წელს უკვე იყო გამზადებული, მაგრამ ზემოაღნიშნული სიძნელეების გამო სწორედ 1918 წელს გამოვიდა.

ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის მდგომარეობა

როგორც კი რუსეთში 1917 წ. თებერვალში რევოლუცია მოხდა და ხელისუფლება დაემხო, ივანე ჯავახიშვილმა სწორად შეაფასა ვითარება და ეროვნული განვითარებისათვის პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. ერთ-ერთი ასეთი იყო თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეა. როგორც კი იგი გახმიანდა, ამოქმედდა მოწინააღმდეგეთა ძალები. პირველ რიგში ეს იყო რუსეთის დროებითი ხელისუფლება, რომელმაც სასწრაფოდ გადააკეთა თბილისში 1909 წელს დაარსებული ქალთა უმაღლესი კურსები უნივერსიტეტად. ასევე დააჩქარა ადრიდანვე განზრახული თბილისის პოლიტექნიკური ინსტიუტის დაარსებაც. ეს უკანასკნელი გაიხსნა 1917 წლის 9 ოქტომბერს.

რაც შეეხება რუსულ უნივერსიტეტს, მისი დაარსება ოფიციალურად 1917 წელს მოხდა, მაგრამ ფუნქციონირება მოგვიანებით დაიწყო, როგორც ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტმა. კერძომ იმიტომ, რომ მას თავდაპირველად რუსეთის დროებითი მთავრობა უჭერდა მხარს და მისი დამხობის შემდეგ, საქართველოში ქართული უნივერსიტეტის მეტოქე რუსული უნივერსიტეტის დაარსებას ზურგგამმაგრებელი გამოეცალა. ეტყობა, დროებით ხელისუფლების ჩამნაცვლებელ ბოლშევიკებს მაშინ ამ საქმისთვის არ ეცალათ. სავარაუდოდ, ამიტომ უნდა გაჩენილიყო მის დასახელებაში სიტყვა „კერძო“. ასეთ პირობებში კი მას ფუქციონირება გაუჭირდა და, როგორც ივანე ჯავახიშვილი ამ მოხსენებაში მიუთითებს, გამოსავლის ძებნა უნივერსიტეტის მესვეურებმა კავკასიაში ახლად წარმოშობილი და დამოუკიდებლობააღდგენილი სახელმწიფოების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ხელისუფლებებთან სცადა, რაც უშედეგოდ დამთავრდა.

ეს რუსული უნივერსიტეტი, რომელიც ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტად იწოდებოდა, ანტიქართული განწყობილების ბუდედ იქცა. ამის შესახებ ვიგებთ მიხაკო წერეთლის ერთი წერილიდან, რომელიც მან ივანე ჯავახიშვილს 1918 წლის 29 აგვისტოს გაუგზავნა. მასში ვკითხულობთ: „არ არის სასიამოვნო, რომ მანდ კიდევ რუსული უნივერსიტეტია... თორემ ბუდე შხამისა, რომლითაც მოგვწამლავენ შემდეგ, მანდ არის“.[1] ეს არასასურველი ტენდენციის არსებობა ძალიან კორექტულად თავად ივანე ჯავახიშვილის მოხსენებიდანაც გამოსჭვივის.

საქართველოს ხელისუფლებას გადაწყვეტილება რომ მიეღო ამ უნივერსიტეტის ბედის თაობაზე, შექმნა საგანგებო კომისია ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. მას უნდა გამოერკვია, რამდენად შეესაბამებოდა ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტი იმ დროისათვის არსებულ საგანმამათლებლო სტანდარტებს, რომ მასზე მზრუნველობა ხელისუფლებას აეღო. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ მიზნითაა შექმნილი. იგი დაიბეჭდა გაზეთში „სახალხო

[1] მ. წერეთელი, ივანე ჯავახიშვილის შესახებ, თბ., 2014, გვ. 103.

საქმე“.[1] ეტყობა, საზოგადოებაში ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის მიმართ ორაზროვნება რომ არ გაჩენილიყო, საჭიროდ ჩაითვალა ამ მოხსენების პრესაში საჯაროდ გამოქვეყნება, თორემ ხელისუფლებისადმი მიმართული სხვა მოხსენებებიც დაუწერია ივანე ჯავახიშვილს და ისინი არ გამოქვეყნებულა. კომისიამ მკაცრი, მაგრამ პირუთვნელი დასკვნა გააკეთა, რომ ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტს არც ფინანსური და არც აკადემიური რესურსი არ ჰქონდა ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს ხელისუფლებამ იმავე 1920 წელს დახურა ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტი, ხოლო სტუდენებს შეთავაზა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება. ამისთვის კი შეიქმნა პარალელური განყოფილება, სადაც სწავლების ენა რუსული იყო. მასში სასწავლებლად გადმოვიდა ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის გარკვეული ნაწილი.

1920 წელს ივანე ჯავახიშვილმა დაწერა „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1918-1920 წ. მოღვაწეობის საზოგადო მიმოხილვა“, რომელიც მთავრობას გაუგზავნა, ცალკე ისაუბრა ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტიდან გადმოსულ სტუდენტებზეც. იგი ავტორს ცხრილის სახით აქვს წარმოდგენილი. ამ მასალას მთლიანად მოვიტან:

„ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პარალელურ განყოფილების სტუდენტთა რიცხვი კურსების მიხედვით:

<table>
<tr><td rowspan="3">მე-2 კურსი</td><td colspan="2">ჩარიცხულნი მე-3 სემესტრზე</td><td colspan="2">ჩარიცხულნი მე-4 სემესტრზე</td><td>ჩარიცხულნი მე-3 სემესტრზე</td><td>ჩარიცხულნი მე-4 სემესტრზე</td><td>ვაჟი და ქალი ორივე სემესტრზე</td></tr>
<tr><td>ქალი</td><td>ვაჟი</td><td>ქალი</td><td>ვაჟი</td><td>ვაჟი და ქალი ერთად</td><td>ვაჟი და ქალი ერთად</td><td></td></tr>
<tr><td>142</td><td>70</td><td>4</td><td>7</td><td>212</td><td>11</td><td>223</td></tr>
<tr><td rowspan="3">მე-3 კურსი</td><td colspan="2">ჩარიცხულნი მე-5 სემესტრზე</td><td colspan="2">ჩარიცხულნი მე-6 სემესტრზე</td><td>ჩარიცხულნი მე-5 სემესტრზე</td><td>ჩარიცხულნი მე-6 სემესტრზე</td><td>ვაჟი და ქალი ორივე სემესტრზე</td></tr>
<tr><td>ქალი</td><td>ვაჟი</td><td>ქალი</td><td>ვაჟი</td><td>ვაჟი და ქალი ერთად</td><td>ვაჟი და ქალი ერთად</td><td></td></tr>
<tr><td>38</td><td>32</td><td>12</td><td>8</td><td>120</td><td>20</td><td>140</td></tr>
<tr><td rowspan="2">მე-4 კურსი, მე-8 სემესტრი</td><td>ქალი</td><td>ვაჟი</td><td colspan="2">ვაჟი და ქალი ერთად</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>55</td><td>12</td><td colspan="2">67</td><td></td><td></td><td>67</td></tr>
</table>

სულ ---------- 430.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პარალელურ განყოფილების სტუდენტთა რიცხვი კურსების მიხედვით

[1] ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის მდგომარეობა (პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება), სახალხო საქმე, 1920 წ. # 903.

მე-2 კურსი	ჩარიცხულნი მე-3 სემესტრში 1920 წ.		ჩარიცხულნი მე-3 სემესტრში 1920 წ.	ჩარიცხულნი მე-4 სემესტრში 1920 წ.		ჩარიცხულნი მე-4 სემესტრში 1920 წ.	
	ქალი	ვაჟი	ვაჟი და ქალი ერთად	ქალი	ვაჟი	ვაჟი და ქალი ერთად	
	4	5	9	4	3	7	16
მე-3 კურსი	ჩარიცხულნი მე-5 სემესტრში 1920 წ.		ჩარიცხულნი მე-5 სემესტრში 1920 წ.	ჩარიცხულნი მე-6 სემესტრში 1920 წ.		ჩარიცხულნი მე-6 სემესტრში 1920 წ.	
	ქალი	ვაჟი	ვაჟი და ქალი ერთად	ქალი	ვაჟი	ვაჟი და ქალი ერთად	
	29	3	32	29	3	32	
			41			39	

1920 წ. შემოდგომის სემესტრში დახურულ ამიერკავკასიის უ[ნივერსიტე]ტის სტუდენტთათვის მოეწყო დროებითი რუსული პარალელური 2 და 3 კურსები, რომლებზედაც სულ 480 სტუდენტია. მათგან 278 ქალი და 202 ვაჟი. სამკურნალოზე 257 ქალი ითვლება და 194 ვაჟი, საბუნებისმეტყველოზე კი 21 ქალი და 8 ვაჟი".[1]

ამდენად, თუ ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტში რეალურად სულ 830 სტუდენტი ითვლებოდა[2], საქართველოში სასწავლებლად ამ სტუდენტების ნახევარზე მეტი (510)[3] დარჩენილა, თავიანთ სამშობლოში კი 320 ახალგაზრდა დაბრუნებულა ან უარი უთქვამს საქართველოში სწავლაზე. როგორც ივ. ჯავახიშვილის მოხსენებიდან ჩანს, 830 სტუდენტიდან საქართველოს მოქალაქე მხოლოდ 129 ყოფილა. გამოდის, რომ 381 (510-129=381) სტუდენტს – უცხო ქვეყნების ქვეშევრომებს – გაუგრძელებია სწავლა საქართველოში. ამდენად, საქართველოში უცხო ქვეყნის ქვეშევრდომი სტუდენტებიდან საქართველოში მეტი დარჩენილა (381), ვიდრე წასულა (830-510=320) ან სხვადასხვა მიზეზებით არ გაუგრძელებიათ სწავლა. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის მაშინდელი ვითარებისდა მიხედვით ნორმალური პირობები ყოფილა შექმნილი: ვისაც კი სწავლის გარძელება სურდა საქართველოში, ყველასთვის მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პარალელური განყოფილება რუსულ ენაზე და მიეცა შესაძლებლობა არჩეულ პროფესიას დაუფლებოდა.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი დროის არცთუ ისე დიდ მონაკვეთს მოიცავს, ამ მცირე ხანაშიც ივანე ჯავახიშვილმა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი კველევები ჩაატარა და ნაწილი შრომებისა გამოსცა კიდევაც. მართალია, თითოეულ მათგანზე კვლევა-ძიება ადრე ჰქონდა დაწყებული, მაგრამ მათს თუნდაც სასტამბოდ გამზადებას დრო სჭირდებოდა, რომელიც მას ფაქტობრივად არ ჰქონდა. ამ დროს კი მას, საზოგადო სამქმეებში მონაწილეობას რომ თავი დავანებოთ, ძირითადად უნივერსიტეტის სხვადასხვა პრობლემებზე ზრუნვა ართმევდა. ამის საილუსტრაციოდ აქ მოყვანილი ერთი მოხსენებაც კმარა, რომელიც ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტს ეხება. გაკოტრებული უნივერსიტეტის სტუდენტებზე ზრუნვა ისევ ივანე ჯავახიშვილს მოუწია, რომ მათთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პარალელური რუსული განყოფილება შეექმნა და ყველა საჭირო და აუცილებელი პირობებით. ასე რომ, ამ

[1] საქართელოს უახლესი ისტორიის ეროვნული არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 26, ფ. 7-10.

[2] იხ. აქვე ივ. ჯავახიშვილის მოხსენება.

[3] პარალელური განყოფილების მეორე და მესამე კურსის 480 და მესამე კურსის 80 (41+39) სტუდენტი, ერთად 510-ია.

ფონზე მან ის, რაც ნაბეჭდი სახით საზოგადოების წინაშე გამოიტანა, მაინც შთამბეჭდავია, რაშიაც მკითხველიც თავად დარწმუნდება.

P.S. რადგან წინამდებარე კრებული სხვადასხვაგვარი დანიშნულებით დაწერილი ნაშრომებისაგან შედგება, ერთგვაროვნებაც არ აქვს: ზოგი პოპულარული ნაშრომია და ზოგი სამეცნიერო. ამიტომ პირველში მსჯელობა წყაროებისა და მითითებების გარეშეა, ხოლო მეორე კი უხვადაა ილუსტრირებული ამგვარი მასალებით. გარდა ამისა ეს ნაშრომები როცა ქვეყნდებოდა არცთუ ისე სახარბიელო ვითარება იყო ქვეყანაში – ქაღალდიც ჭირდა და წიგნის სრულყოფილი გამოცემა ფერხდებოდა. ამიტომ ამ ნაშრომებში ბეჭდვისმიერი ლაფსუსები ბევრია. მაგ. დაბეჭდილია: მანც, ვინაობს, ქლიერ, ღვიძილი ძმები და სხვა. აშკარაა, რომ უნდა ეწეროს: მაინც, ვინაობას, ძლიერ, ღვიძლი ძმები და ა. შ. ყოველივე ეს ბეჭდვისას დაშვებული შეცდომებია და მას მითითების გარეშე ვასწორებთ. ანალოგიური შეცდომაა თავების მითითებისას. მაგ. წერია „თავი მეშვიდე“ და უნდა იყოს „თავი მეექვსე“. ამ ნაშრომის (ქართველი ერის მოკლე ისტორა) დედანი არ არის შემონახული, ამიტომ საკონტროლო შემოწმება არ შეგვიძლია. თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ შეცდომა სტამბაშია დაშვებული. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვსარგებლობთ ივანე ჯავახიშვილის ტექსტოლოგიური მუშაობისათვის სახელმძღვანელო მითითებით, რომ „შეცდომების გასწორება ტექსტში არ შეიძლება, მხოლოდ წიგნის ბოლოს, განსაკუთრებით დამატებაში უნდა იყოს აღნიშნული“[1]. ამ დებულებიდან გამომდინარე ამგვარ თითო-ოროლა შეცდომას არ ვასწორებთ ანუ უცვლელად ვტოვებთ და მხოლოდ სქოლიოში ვუთითებთ.

კრებულში შესულ ნაშრომების უმეტესობას თავისი სარჩევი აქვს. ვინაიდან სარჩევის დანიშნულებაა მკითხველს სათანადო შინაარსი გააცნოს და მერე საჭირო გვერდზე გადაიყვანოს, თითოეულ ნაშრომზე დართული სარჩევი თავისი ადგილიდან ამოღებულია და კრებულის თავშია გადმოტანილი. ამდენად, კრებულს ერთიანი სარჩევი აქვს.

ზემომოხსენებული გარემოებების გარდა ავტორისეულ ტექსტში არ ჩავრეულვართ.

შემდგენლები დიდი ყურადღებით მიიღებენ თითოეულ საქმიან შენიშვნას, რომელიც გამოცემას გააუმჯობესებს და აგრეთვე შემდგომ მუშაობაში გამოგვადგება.

დავით სართანია

[1] ივანე ჯავახიშვილის წერილი ი. გედევანიშვილს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის თაობაზე. ამის შესახებ იხ. ვ. კიკნაძე, „შეცდომების გასწორება ტექსტში არ სეიძლება“ ანუ „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე წიგნის თავგადასავალი, „საქართველო-ევროპა-ამერიკა“, 1997, # 2.

ქართველი ერის მოკლე ისტორია. წიგნი მეორე

I- XII ს. ქრ. შ.

თავი პირველი. საქართველოს ცხოვრება და თავგადასავალი I-VII საუკ. პირველ ნახევრამდე

პირველად რომაელებმა საქართველოში ფეხი შემოსდგეს 65 წელს ქრ.წ.; თავის თანამოძმეებს გზა გაუკვლია სახელოვანმა სარდალმა პომპეიუსმა, რომელიც ამ დროს მითრიდატ მეფეს ეომებოდა, მეფედ მაშინ იბერიაში **არტაგი,** ანუ, რო გორც მას ბერძენი ისტორიკოსი დიონ კასსიოსი ეძახის, **არტოკი** ყოფილა; როცა რომაელების სარდალმა სომხებზედაც გაიმარჯვა, არტაგმა იფიქრა, ვაი თუ ჩემს ქვეყანასაც მოადგეს და დაიპყროსო, და თვითონაც მის საწინააღმდეგოდ მზადებას შეუდგა; პომპეისუსათვის-კი რომ თვალები აეხვია და შეეცდინა, დესპანები მიუგზავნა, დავმეგობრდეთო. რასაკვირველია, იბერიის მეფეს არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო; იქნებ პომპეიუსს მეგობრობასა და კავშირზე უარი ეთქვა და ქვეყნის დასაპყრობად წამოსულიყო. მაგრამ, როცა რომაელების სარდალმა იბერიის მეფის მზადების ამბავს ყური მოჰკრა, ძალიან ეუცხოვა დ გადასწყვიტა: ისევ სჯობია იბერებს ახლავე ანაზდეულად თავს დავეცე, სანამ არტაგი მოემზადებოდეს და მიუვალ ვიწროებში ჩამისაფრდებოდესო. პომპეიუსიც მართლა დაიძრა თავის მხედრობითურთ და იბერიას მოადგა. არტაგ მეფე სამზადისში იყო გართული და ასე მალე მაინც-და-მაინც რომაელების თავდასხმას არ მოელოდდა. პომპეიუსმა ისე სწრაფად გაიარა მთელი მანძილი სამეფოს სამზღვრითგან დედაქალაქამდის, რომელიც მტკვარზე იდო, რომ არტაგმა მხოლოდ მაშინ შეიტყო მტრის შემოსევის ამბავი, როცა რომაელების ჯარი სატახტო ქალაქს მოუახლავდა. თავზარდაცემულმა იბერიის მეფემ გაქცევა ირჩია; მტკვარს გაღმა გავიდა და ხიდი დასწვა, რომ მტერი ვერ დასდევნებოდა. დედაქალაქის ციხის მცველმა ჯარმა მეფის გაქცევის ამბავი რომ შეიტყო, მხნეობა დაჰკარგა, ბრძოლაში ძლეულმა პომპეიუსის წინაშე ქედი მოიხარა დ სატახტო ქალაქი გამარჯვებულს მტერს გადასცა.

რაკი პომპეიუსმა ეს ადგილი, რომელიც მთელი ხეობის კარად ითვლებოდა, ხელში ჩაიგდო, ციხეში თავისი დარაჯები ჩააყენა, თვითონ კი გასწია და მტკვრის მთელი აქეთი ნაპირი დაიპყრო. ის-ის იყო რომაელების სარდალმაც მტკვარს გაღმა გასვლა დააპირა, რომ არტაგმა მოციქულები მიუგზავნა, ოღონდ ჩვენს შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდეს, ხიდსაც ისევ ავაშენებ და სურსათსაც მოგცემო; ორივე პირობა მეფემ მაშინვე აასრულა, მაგრამ პომპეიუსი მაინც ხიდეზე გავიდა. არტაგს შეეშინა, ჩემი დაჭერა არ უნდოდესო, და მდინარე პელორის პირას გაიხიზნა; რომაელების სარდალი უკან დაედევნა, დაეწია და დაამარცხა; მეფემ მაინც ტყვეობას თავი დააღწია, წყალ გაღმა გავიდა, ხოლო ხიდი აქაც დასწვა და გაიქცა. იბერთა ლაშქარის ერთი ნაწილი ომში დაიხოცა, ერთი ნაწილი კიდევ მდინარეში დაიხრჩო; ვინც გადარჩა, ტყეებში მიიმალა და იქითგან ისარს ესროდა რომაელებს, მაგრამ ესენიც დახოცეს რომაელებმა. მაშინ არტაგმა პომპეიუსს ისევ მოციქულები მიუგზავნა და საჩუქრებიც მიართვა. სარდალმა საჩუქრები კი მიიღო, მაგრამ მეფეს პასუხად შეუთვალა: თუ მშვიდობიანობა გსურს, ჯერ მძევლებად შენი შვილები გამომიგზავნეო. არტაგი ყოყმანობდა, ამასობაში ზაფხულმაც მოატანა და მდინარე პელორი დაპატარავდა; ამით ისარგებლა პომპეისმა და ერთ ალაგას, სადაც ფონი იყო, გაღმა გავიდა, მაშინ-კი არტაგ მეფემ იკადრა და თავისი შვილები მძევლებად გამოიმეტა. ამის შემდეგ იბერიის მეფემ და რომაელების სარდალმა ხელშეკრულობა დასდვეს.

ძლევამოსილი პომპეიუსი ახლა-კი დაიძრა და კოლხეთში გადავიდა და იქ მეფედ **არისტარხი** დააყენა[1]. ასე შემოდგეს ფეხი რომაელებმა საქართველოში: რაკი ერთხელ გზა გაკვლეული ჰქონდათ, კავკასიას ხშირად ეწვეოდენ ხოლმე. ამიერითგან საქართველო რომაელების მძლავრი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მართალია თუმცა მითრიდატის შვილმა, ფარნაკმა პომპეიუსისა და იულიოს კეისარის შორის ატეხილის შუღლითა და მტრობით ისარგებლა (48 წ. ქრ წ.), თავის მამის სამფლობელოს აღდგენას შეუდგა და კოლხეთი და სომხეთიც ადვილად დაიმორჩილა; მაგრამ იულიუს კეისარმა, სძლია თუ არა თავის მეტოქეს, მაშინვე მცირე აზიასა და კავკასიაში შემოიჭრა და ფარნაკი დაამარცხა, ხოლო პომპეიუსის დაპყრობილი ქვეყნები ისევ რომაელების სახელმწიფოს დაუბრუნა.

იბერებს მაინცა და-მაინც ქედი დიდი ხნით არ მოუხდიათ და რომაელების მეგობრობაცა და ბატონობაც უარუყვიათ. 36 წ. (ქრ.წ.) პუბლიოს კანიდიოს კრასოსი იძულებული იყო ისევ იბერების წინააღმდეგ გაელაშქრა; რომაელების სარდალმა გაიმარჯვა და იმდროინდელი იბერიის მეფე **ფარნავაზი** (ფარაბაძოს) დაამარცხა და აიძულა მეგობრობა ეკისრნა. არც ეს გამარჯვება ყოფილა ხანგრძლივი: 15 წ. (ქრ.წ.) იბერიაში ისევ ამბოხება მოხდა. მაგრამ ეს აჯანყებაც ჩაუჭრიათ რომაელებს და ქართველებს ისევ რომაელების მეგობრობა და ზავი აურჩევიათ. იმპერატორი აუგუსტუსი (29 წ. ქრ.წ.-14 წ. ქრ.შ.) თავის „ანკყრიის ძეგლში“ მოგვითხრობს, რომ იბერებს რომის კეისრისა და ერის მეგობრობა ჰსურდათ და იხვეწებოდენო. ასე მაგრად ჩადგეს ფეხი რომაელებმა დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში; ეს ის დრო იყო, როცა რომაელების განთქმული თავისუფლება და რესპუბლიკური წესწყობილება გადაგვარდა და მკაცრი თვითმყრობელობა აღმოცენდა.

ამ წიგნის პირველ ნაწილში დაწვრილებით გამორკვეულია, თუ რა სამზღვრები ჰქონდა იბერიასა და კოლხეთს სწორედ I საუკუნეში ქრ.შ., ამიტომ ამ საგნის თაობაზე ლაპარაკი მეტი იქნებოდა. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია აქ საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა აწერას შევუდგეთ. მხოლოდ იმ დროინდელ აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილების შესახებ მოგვეპოვება ცნობები, დასავლეთი საქართველო ამ მხრივ აწერილი არ ყოფილა. იბერიის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი და წესებულება საგვარეულო წეს-წყობილებაზე ყოფილა დამყარებული. იმ დროს, როცა რომაელებმა ჩვენს სამშობლოს თავისი მძლავრი კლანჭები ჩაუჭირეს, **მიწის კერძო საკუთრება არ არსებობდა და მთელი უძრავი ქონება მთელ საგვარეულოს ეკუთვნოდა.** ამ ქონებას თვითოეული გვარისშვილი ან სახლობა კი არ უვლიდა, არამედ **მთელ უძრავ ქონების ერთად-ერთ გამგედ და მეურნედ გვარის უფროსი ითვლებოდა და „მამასახლისად“ იწოდებოდა.** გვარი და საგვარეულო წეს-წყობილება მაშინდელ ცხოვრების დედა-ბოძი იყო. დაბა-სოფლები და ქალაქებიც იმნაირადვე იყვნენ მოწყობილნი, როგორც საგვარეულო, იმიტომ რომ უმეტეს შემთხვევაში **თვითოეული სოფელი მხოლოდ ერთს საგვარეულოს ეჭირა ხოლმე.**

მაგრამ გვარიც არის და გვარიც: ზოგი მრავალრიცხოვანი, დიდი გვარი იყო ხოლმე, ზოგი კიდევ პატარა. რასაკვირველია, მრავალრიცხოვან გვარს მეტი ძალა და უფლება ჰქონდა თავის კუთხის დანარჩენ გვარებზე; დიდგვარიანი მამასახლისი მაზრის მეთაურად და გამგედ იყო. ქვეყნის გამგეობის სათავეში მეუფე-მამასახლისი იდგა: **იბერიის უზენაესის მართველობის უფლება ერთს საგვარეულოს ეკუთვნოდა; ამ საგვარეულოს უფროსი წევრი, მაშასადამე მამასახლის, იმავე დროს ქვეყნის მეუფედ ითვლებოდა;** როდესაც მეფე გადაიცვლებოდა, ვინც განსვენებულის მომდევნო იყო წლოვანებით, ის ადიოდა სამეფო ტახტზე, ამგვარად, **სამეფო უფლების მემკვიდრეობა იმავ საზოგადო წესს მისდევდა, რომელიც თვითოეულ საგვარეულოში სუფევდა.**

მეუფე-მამასახლისის მომდევნო საგვარეულოში ქვეენის მთავარ-მსაჯულად და მხედართმთავრად ითვლებოდა. ხოლო საერთაშორისო საქმეები ამ დროს ქურუმების ხელში ყოფილა. სამხედრო წოდება ამ დროს ჯერ არ არსებობდა. დღევანდელი მიწის-მოქმედებას

[1] ამ არისტარხს ეკუთვნის ის ფული, რომელსაც შემდეგი ზედწერილი აქვს: კოლხიდის მეფის არისტარხისა.

მიმყოლი გვარი-მვილი, ხვალ, თუ ქვეყანას მტერი შემოესეოდა, ჯარის კაცად გახდებოდა ხოლმე. სამეფო გვარეულობის გარდა, ყმები სხვებს არავის არ ჰყოლია; ყმები, თურმე, სამეფო გვარის მამულზე ცხოვ რობდენ და ჭირნახულით განსაზღვრულს გადასახადსა და ბეგარას იხდიდენ.

რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც რომაელებმა საქართველოს თავის მეგობრობა ძალად დააკისრეს, ადგილობრივი სახელმწიფო წეს-წყობილება მათ ძლიერ გავლენის ქვეშ შეიძლება შელახულიყო. რომაელები სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საქმეებში ერეოდენ და ტახტზე თავიანთ მომხრეს სვამდენ, მაგრამ ძველი წესი მაინც ძლიერი იყო.

როცა, 35 წ. ქრ.შ., პართელმა მეფემ არტავანმა იმოდენა კადნიერება გამოიჩინა, რომ რომაელების უფლების ქვეშე მყოფი სომხეთი მათ დაუკითხავად თავის შვილს არშაკს მისცა, კეისარმა ტიბერიუსმა ამით ისარგებლა და სპარსეთის საქმეებში ჩაერია. არტავანის მედიდურობით თავმობეზრებული და გულზემოსული პართელების ერთი წილი მეფეს აუჯანყდა და რომის კეისარს სამეფო კაცის დანიშნვა სთხოვა, მაგრამ რომაელებისათვის არტავანის წინააღმდეგ ბრძოლა რომ უფრო გაეადვილებინა, კეისარმა **მაშინდელ იბერიის მეფეს** მისწერა და უბრძანა: შენის ჯარით სომხეთს შეესიეო. ტიბერიუსი დარწმუნებული იყო, მამა შვილს მიეშველებოდა და სწორედ ამ დროს რომაელებს სპარსეთის ტახტის დაპყრობა გაუადვილდებოდათ; კეისარმა სომხეთის ტახტის მეფედ წინდაწინვე **იბერიის მეფის ფარსმანის ძმა მიჰრდატი** დანიშნა და ნაჩხუბარი ძმები შეარიგა. მიჰრდატმა სომხეთის მეფის არშაკის მსახურები ფულით მოისყიდა და ბოროტმოქმედება ჩაადენინა; ამევე დროს იბერნი დიდი ჯარითურთ სომხეთს შესივნენ და ქალაქი არტაშტი (არტასტა) დაიპყრეს. არტავანმა რომ ეს ამბავი შეიტყო, თავის შვილის სისხლის ასაღებად საჩქაროდ მეორე შვილი ოროდი გამოგზავნა; იმავე დროს ნაქირავებ სპის მისაწვევად აქეთ-იქით მალემსრბოლნი აფრინა, ქართველებმაც ალბანელები მოიშველიეს და სარმატებიც მოეიხმეს, რომელთა ერთი ნაწილი ქართველებს ეხმარებოდა, მეორე სპარსეთის ჯარში აპირებდა წასვლას, მაგრამ, რაკი კაკკასიონის გზა ქართველების ხელში იყო, მათ სპარსელების მომხრე სარმატები აღარ გადმოუშვეს. მეშველ და მოკავშირე ლაშქრით გამხნევებული ფარსმანი ოროდს მიადგა და ალყა შემოარტყა. პართელებს საქმე გაუჭირდათ იმიტომ, რომ მათ მხოლოდ ცხენოსანი ლაშქარი ჰყავდათ, ქართველები და ფარსმანი-კი ქვეითითაც სჯობნიდენ; ამის გარდა, რაკი ქართველები და ალბანელები მთა-ადგილებში ბინადრობდენ, იმათთვის სომხეთში მოძრაობა და მოქმედება უფრო ადვილი იყო, ქვეყნის მდებარეობაც კარგათ იცოდენ. ორივე მხრივ ომის დროს გაცხარებული და მედგარი ბრძოლა იყო, მაგრამ თანდათან ქართველებმა და ალბანელებმა მტერს ძლევა დაუწყეს და ცხენებითგან ჰყრიდენ. ფარსმანი და ოროდი თავ-თავიანთ ჯარს გატაცებით ამხნევებდენ დ ვერც-კი შეამჩნიეს, ერთმა ნეთს როგორ მიუახლოვდენ. როცა მათ ერთმანეთი იცნეს, ფარსმანმა ფიცხლავ ცხენით იერიში მიიტანად და ოროდს მახვილით ჩაფხუტი და თავი გაუჩეხა, მაგრამ ცხენი დროზე ვერ შეიმაგრა და მტერი ხელითგან გაუსხლტა; როცა სპარსელებმა თავიანთი სარდალის დაჭრის ამბავი შეიტყვეს, ეგონათ მოკვდაო, შედრკენ და სრულებით დამარცხებულ იქმნენ.

მაშინ მეფე არტავანმა მთელი თავისი ჯარი შეჰკრიბა, რომ შური ეძია; მაგრამ ქართველები სჯობნიდენ, სპარსეთის მეფე ბრძოლას მაინც თავს არ დაანებებდა, რომის სარდალს ვიტალიუსს რომ თავისი ლეგიონები არ შეეყარა და ხმა არ დაეგდო, ვითომც მას შუა მდინარეში შესევა დაეპირებინოს; ამ ამბავმა არტავანი შეაფიქრიანა და სომხეთს თავი დაანება, ხოლო რომაელებმა სომხეთში მეფედ მიჰრდატი დანიშნეს.

რაღაც საქმისათვის ეს მიჰრდატი კეისარ გაიოზ კალიგულას (33-41 წ. ქრ. შემ.) რომში მიუპატიჟნია, იქ დაუჭერინებია და ბორკილები გაუყრია. როცა კლავდიუსი 41 წ. იმპერატორად აღიარეს, მან მიჰრდატი (ვგონებ 47 წ.) განათავისუფლა და სამშობლოში გაისტუმრა; შინ რომ დაბრუნდა, იმისმა ძმამ, მეფე ფარსმანმა, მიჰრდატს შეატყობინა, რომ პართელებს ერთმანეთში შუღლი და ბრძოლა ჰქონდათ, მან იფიქრა, რომ ამაზე მოხერხებულ დროს სომხეთის დასაპყრობად ვეღარ მოვესწრებიო; რომაელების ჯარი ციხე-სიმაგრების ასაღებად მიუჩინა, ხოლო იბერების მხედრობა ბარს მოეფინა; დაამარცხეს თუ არა ქართველებმა სარდალი დიმონაკტი, სომხებს წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. თუმცა მცირე

სომხეთის მეფე კოტჯს, რომელსაც დიდებულებმა მიჰმართეს, ვითომც ქომაგობას აპირებდა, მაგრამ კეისარმა მას წერილი გაუგზავნა და მიჰრდატს ყველა დაემორჩილა; მხოლოდ იგი მეტად მკაცრი მმართველი გამოდგა.

ფარსმან მეფეს, სხვათა შორის, ერთი შვილი ჰყავდა, რომელსაც სახელად რადამისტს (უეჭველია როდამს) ეძახდენ; თვალადი და ტანადი ჭაბუკი იყო იგი, სამშობლოში ღონითა და დახელოვნებულ მოასპარეზედ განთქმული; მეზობლებშიაც დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი; მამა ჩემი მოხუცებულია და იბერიას შესაფერისს მეთაურობას ვერ უწევს, ხალხს აძაბუნებსო, გაიძახოდა იგი და ტახტის განთავისუფლებას მოუთმენლად მოელოდა. შვილის ნალაპარაკევმა, რასაკვირველია, ფარსმანამდისაც მიაღწია და მან გადაწყვიტა თავმოყვარე რადამისტი როგორმე თავითგან მოეშორებინა და ამიტომ ჩააგონა მას: წადი, თუ გინდა სომხეთი დაიპყარო; მოხუცმა ფარსანმა თავისი ღვიძლი ძმა არ დაინდო და ბიძაშვილი ბიძის წინააღმდეგ აამხედრა: მას იმედი ჰქონდა, რომ ამგვარად თავის სამფლობელოს გააფართოვებდა და სომხეთს იბერიას შემოუერთებდა.

რადამისტი წავიდა მიჰრდატთან ვითომცდა იმიტომ, რომ თავის მამასთან და დედინაცვალთან ვერა რიგდებოდა; მიჰრდატმა სიხარულით მიიღო ძმისწული: რას მოიფიქრებდა, თუ რა ვერაგი განზრახვით ესტუმრა ჭაბუკი. თანდათან რადამისტი თავის საქმის მზადებას შეუდგა, სომეხ დიდებულებს აგონებდა, მიჰრდატს უღალატეთო. როცა ამგვარად ნიადაგი მოამზადა და დარწმუნდა, რომ თავის წადილს მიაღწევდა, ისევ იბერიაში დაბრუნდა, ვითომცდა მამასთან შესარიგებლად; ის კი არა, თურმე მამისთვის უნდა ეთხოვნა, რომ მისთვის ქართველი ჯარი მიეცა. მეფე ფარსმანმაც მოიმიზეზა: მე რომ ალბანელთა მეფეს ვეომებოდი, რომაელების მოხმობა მინდოდა და შენ, მიჰრდატმა, დამიშალეო, და ვითომც ამიტომ სომხეთს ომი გამოუცხადა.

იბერიის ჯარი თავის შვილს რადამისტს ჩააბარა. გაოცებულმა მიჰრდატმა, რასაკვირველია, ომისთვის მომზადება ვერ მოასწრო და თავი გარნისის ციხეში შეაფარა, რომელსაც მდებარეობაც კარგი ჰქონდა და რომაელების ჯარიც იცავდა. რადამისტმა და ქართველმა ჯარმა პირდაპირ იერიშით ციხე ვერ აიღეს იმიტომ, რომ საჭირო მანქანები არა ჰქონდათ, და ისევ ალყა შემოარტყეს; ამასთანავე, რადამისტმა რომაელების ერთი მოხელე მოისყიდა და ამის დახმარებით მიჰრდატს ურჩევდა ზავზე დათანხმებულიყო. ფარსმანი შენი უფროსი ძმა არისო, იმის ქალი გყავს ცოლად და რადამისტი შენი ცოლის ძმაო; თუმცა იბერნი ახლა შენზე ძლიერი არიან, მაგრამ მაინც მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე უარს არ ამბობენ; სომხები საზოგადოდ ვერაგი ხალხია, და ამ ციხის გარდა სხვა თავშესაფარი არ გაბადია, ომს ისევ შეთანხმება სჯობიაო. მეორე მოხელე, გარნისის ციხის ჯარის ასისთავი, იბერიაში წავიდა და ფარსმანს ძალას ატანდა, რომ ქართველი ჯარი სომხეთითგან გამოეყვანა; მეფე განგებ აჭიანურებდა მოლაპარაკებას და გადაჭრილ პასუხს არ აძლევდა ჩუმად კი თავის შვილს მოციქულს მოციქულზე უგზავნიდა, ციხე რაც შეიძლება მალე აიღო. რაკი მოსყიდული რომაელების დარაჯები აჯანყდენ და გამოაცხადეს, ციხის დაცვა აღარ შეგვიძლიანო, მიჰრდატი დათანხმდა და რადამისტთან მივიდა მოსალაპარაკებლად. თუმცა ძმისწულმა შეფიცა, რომ ხელს არ ახლებდა, მაგრამ იმდენი სულმდაბლობა გამოიჩინა, რომ ვერაგულად დააჭერინა და ფეხებში ბორკილი გაუყარა. მაშინვე ხალხი, რომელიც მეფის მკაცრ მმართველობით უკმაყოფილო იყო, შეგროვდა და დატყვებულს მიჰრდატს შეურაცხყოფა მიაყენა. მალე ფარსმან მეფის საიდუმლო ბრძანება მოვიდა, რომ მიჰრდატი მოეკლათ; რადამისტმა ეს საზა რელი ბოროტმოქმედება თავის ბიძისა და სიძის წინაშე საჩქაროდ აასრულებინა. რომის კეისარის წარმომადგენელმა ფარსმანს მოციქულები მიუგზავნა, შენი ჯარი და შვილი სომხეთითგან გამოიყვანეო; მაგრამ ის, როგორ კა ჩანს, ყურსაც არ იბერტყავდა.

ამ საქმეში სპარსეთის მეფე ვალარშიც ჩაერია; იფიქრა, ახლა-კი შეიძლება სომხეთში ჩემი ძმა ტირდატი გავამეფოო, და თავისი ჯარით სომხეთს შეესია; ქართველებმა ქვეყანა უომრად დაანებეს და ქალაქები არტაშატი და ტიგრანაკერტი პართელების ბრძანებას დაჰმორჩილდენ; მაგრამ სპარსელებს იქ დიდხანს არ უბოგინნიათ: სურსათიც საკმარისი არ ჰქონდათ დამზადებული; თანაც შავმა ჭირმა იჩინა თავი, და ვალარში იძულებული იყო სომხეთითგან

გამოსულიყო. გაიგო თუ არა ეს ამბავი რადამისტმა, მაშინვე ისევ სამეფო ტახტი დაიპყრო; მაგრამ ხალხზე გულმოსული იყო, და მეტად მკაცრად ექცეოდა ქვეშევრდომებს, თითქოს ყველანი მოღალატენი ყოფილიყვნენ. ასეთმა ქცევამ სომხები მოთმინებითგან გამოიყვანა და შეიარაღებული გაშმაგებული ხალხი სასახლეს გარშემოერტყა; რადამისტმა სიკვდილს ძლივს დააღწია თავი და იბერიაში შეიხიზნა, ხოლო სომხეთს ისევ პართელები დაეპატრონენ.

რა დანაშაული ჩაიდინა ამის შემდეგ რადამისტმა - არ. ჩანს, მაგრამ ფარსმანმა მოაკლევინა იგი, როგორც მოღალატე, რომ ამით რომაელებისათვის თავის ერთგულება დაემტკიცებინა; იქნებ რომაელები მის მოქმედებას სომხეთში რომის სახელმწიფოს ინტერესების ღალატადა სთვლიდენ და დასჯას უპირებდენ; მაგრამ ამის შემდეგ ფარსმანი უფრო მეტის მძულვარებით ეპყრობოდა სომხებს და მესხებმა სომხეთის მიყრუებულ ადგილებს რბევა და ტყვევნა დაუწყეს. ფარსმან მეფეს რადამისტს გარდა ერთი შვილი ჰყოლია, რომელსაც სახელად მიჰრდატ ერქვა; იბერიის სამეფო ტახტზე მემკვიდრედ მამის შემდეგ სწორედ ეს მიჰრდატი ყოფილა. ქართველებსა და რომაელებს იმის დროს დიდი მეგობრობა და ერთობა ჰქონიათ და ამ კეთილ განწყობილების ნიშნად რომის კეისრებს მცხეთაში გალავანი გაუმაგრებიათ და შიგ ძეგლად წარწერა ჩაუსვამთ. რომელიც 1867 წელს მცხეთის მახლობლად იპოვეს და ახლა თბილისის მუზეუმში ინახება: „თვითმპყრობელმა კეისარმა ბესპასიანემ სებასტოსმა, დიდმა მღვდელმთავარმა, მეშვიდედ ტრიბუნის უფლებით მოსილმა, მეთოთხმეტედ თვითმპყრობელად (არჩეულმა), ჰუპატიოსმა ექვსჯერ და მეშვიდედ არჩეულმა, სამშობლოს მამად სახელდებულმა და თვითმპყრობელმა ტიტემ კეისარმა სებასტოსის ძემ, ტრიბუნის უფლებით მოსილმა ჰუპატიოსმა ოთხჯერ და მეხუთედ არჩეულმა და დომიციანემ კეისარმა, სებასტოსის ძემ ჰუპატიოსაა სამჯერ არჩეულმა და დანიშნულმა მეოთხედ - იბერთა მეფეს მიჰრდატს (მითრიდატს) ფარსმანის ძეს და იამაზდ... კეისარის მეგობარსა და რომაელების მოსიყვარულე ერს ეს ზღუდე გაუმაგრეს“-ო. ეს წარწერა ამოჭრილია 75 წელს 1 ივლისის შემდგომ.

როგორ მიდიოდა ამის შემდეგ საქმეები საქართველოში, ტროიანეს (98-117 წ.) კეისრად არჩევამდე, არავითარი ცნობები არ მოიპოვება; 114-117 წლების განმავლობაში მან პართელებს სომხეთი გამოჰგლიჯა და რომის სახელმწიფოს დაუმორჩილა; ამავე დროს მას მეგობრული განწყობილება ჰქონია ალბანელებთან და იბერბეთან, და უხვ საჩუქრე ბით მათ გულს იგებდა.

ტროიანის მემკვიდრეს ადრიანე კვისარსაც (147-138) ჩინებული განწყობილება ჰქონია იბერებთან და იმათ მეფე ფარსმანთან; არც ერთ მეფე იმდენს საჩუქარს არ უგზავნიდა ხოლმე კეისარი, რამდენსაც ფარსმანსაო, მოგვითხრობს ერთი რომაელი ისტორიკოსი; საუკეთესო ძღვენს გარდა მან მისცა მეფეს სპილო და 500 მხედარი; თავის მხრივ ფარსმანსაც დიდძალი ძღვენი მიურთმევია ადრიანესივის, სხვათა შორის - ოქროთ შემკული წამოსასხამებიც. ხოლო, როცა ფარსმან მეფე თავის ცოლითა, შვილითა და ამალითურთ რომში კეისარს ეწვია, მან დიდი პატივი სცა, კაპიტოლში საღმრთოს შეწირვის ნება მისცა და იმის სამფლობელოს სამზღვრები გაფართოვა. ადრიანე კეისარი ფარსმანისა, იმის შვილისა და სხვა დიდებულ ქართველების სამხედრო ასპარეზობას უყურებდა და შემდეგ მარსის ველზე იბერიის მეფის ცხენიანი ქანდაკება დაადგმევინა. ანტონინე კეისართანაც (13-191 წ.) ფარსმან მეფეს მეგობრობა ჰქონია; იბერიის მეფე იმასაც სწვევია სტუმრად რომში და ანტონინესთვის უფრო მეტი ძღვენი მიურთმევია, ვიდრე მის წინამოადგილესთვის; ხოლო ლაზებისათვის კეისარს მეფედ თურმე **ბაკერა** დაუნიშნავს.

მესამე საუკუნის დასაწყისში სპარსეთში პართელ სამეფო გვარს ხელმწიფობა ხელითგან გამოსტაცა სასანელთა გვარმა და ამ გვარეულობითგან პირველ შაჰად, რომელმაც მთელი სპარსეთის სამფლობელო დაიპყრო, გულადი არტაშირი (არტახშათრ) იყო; 224 წელს მან არტავან მეფედ მეფე სუზიანაში, ჰორმიზდანგანის ველზე, დაამარცხა და მოჰკლა; ორი წლის შემდეგ სატახტო ქალაქიც ხელში ჩაიგდო და სპარსეთის ბატონად გახდა; თავის ძლევამოსილებისა და გამარჯვების ძეგლად არტაშირმა ნაყში-რუსტამის კლღეზე ქანდაკება ამოაჭრევინა, სადაც მას ცხენოსნად დახატულს, ცხენოსანივე ღმერთი აჰურამაზდა ხელმწიფების ნიშანს უწყალობებს, ხოლო მეფის ცხენის ფეხქვეშ ვალარში და მეფეთ-მეფე არტავანი არის განრთხმული. მეფე არტაშირი საზოგადოდ მთელი სასანელთა სამეფო გვარი

სპარსეთის ეროვნულ-სარწმუნოებრივ მიმართულების განმაახლებელი და სულჩამდგმელი იყო; მათ გააძლიერეს ზრადაშტის, ანუ ზარატუშტრას მოძღვრება, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემლობაზე იყო დამყარებული და სპარსელების მამაპაპეულ სარწმუნოებად ითვლებოდა; მათ გააძლიერეს სპარსეთი და რომაელებს შესაფერს მეტოქეებას უწევდენ; მათ დროს აყვავდა აგრეთვე სპარსული ეროვნული მიმართულებაც.

როცა არტაშირმა სპარსეთში ფეხი მაგრად მოიკიდა, მაშინვე რომაელებს ომი აუტეხა. ამიერითგან რომის სახელმწიფოს ღირსეული მოპირდაპირე გაუჩნდა, საქართველოს-კი ძლიერი და საშიშარი მეზობელი.

მე-III-ე საუკუნეშივე, 225-260 წლების განმავლობაში, დასავლეთ საქართველოში, ლაზიკასა და მთელ შავი ზღვის ნაპირებს სკვითები ეწვიენ. საცა კი ისინი გაჩნდებოდენ და შეესეოდენ, ყველაფერს იკლებდენ და ანადგურებდენ. ყველაზე მეტად ამ დროს ფაზისი, ანუ ფოთი და პიტიუნი, ანუ ბიჭვინთა დაზიანდა; ფოთში ადგილობრივი ღვთაების ტაძარი-კი ვერ ჩაიგდეს ხელში, დიდ კედლებით გარემოზღუდული და კარგი ნავთსადგურიანი პიტიუნი-კი მეორედ ადვილად აიღეს და მთელი იქ მყოფი რომაელების ჯარი ამოსწყვიტეს. ადგილობრივი მცხოვრებნი მიუვალ ადგილებში იყო შეხიზნული.

აღმოსავლეთ საქართველოს, იბერიას, მესამე საუკუნის დამლევს, სპარსეთის ახალ სამეფო გვარეულობის ხელმწიფენი გადაეკიდენ: სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ რომის მფარველობა მოსპობილიყო და თვითონ-კი როგორმე დაჰპატრონებოდენ ქართველობას; მაგრამ პირველად ბედმა უმტყუნა. სპარსეთის მეფე ნასე (263-392) დიოკლიტიანე კეისარმა დაამარცხა და ქ. ნიზიბსში 298 წელს დადებულ ხელშეკრულობის ძალით იბერია კვლავინდებურად რომის მფარველობის ქვეშ დარჩა.

მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში იბერიაში მეფედ მჯდარა **ბაკურა,** რომლის დროსაც აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა ნებადართულ და სახელმწიფო სარწმუნოებად იყო აღსაარებული, - ამას ამტკიცებენ მისი თანამედროვე და მხილველი რომაელი ისტორიკოსი რუფინუსი და პეტრე ქართველის ასურულ ცხოვრების დამწერი. რაკი ბაკურს, „დიდ ბაკურს“, როგორც მას პეტრე ქართველის ცხოვრება უწოდებს, ქრისტიანობა კოსტანტინე კეისრის დროს მიუღია, ამიტომ იგი 323-337 წ. უკვე იბერიის სამეფო ტანტზე მჯდარა. ბაკურს 361 წ. უწინარეს მეფობისათვის თავი დაუნებებია. რუფინუსი მოგვითხრობს, რომ მან ბაკურ მეფე 378–397 წლებში იერუსალიმში თავისი თვალით ნახა და ელაპარაკა კიდეც; მაშინ ბაკური თურმე კეისრის სეფე-ჯარის უფროსად ითვლებოდა და თანაც პალესტინის მონაპირე მთავრად ყოფილა, ბინაც თვით ქ. იერუსალიმში ჰქონია. მაშინ იბერთა პირველი ქრისტიანე მეფე, რასაკვირველია კარგა მოხუცებული იქნებოდა.

ბაკურ მეფის თანამეცხედრეს სახელად „დუხტი“ რქმევია. ცოლიცა და ქმარიც თურმე მეტად მორწმუნე და ქველმომქმედნი იყვნენ; კვირაში სამჯერ მეფე თავის ხელით სატახტო ქალაქის ეკლესიაში მოწყალებას არიგებდა, სასახლეში საჭმელს ამზადებინებდა და ღამ ღამობით თავისისავე ხელით ღარიბებს ურიგებდაო. ბაკურ მეფემ ღარიბთათვის, თურმე თავშესაფარიც-კი ააგო, ხოლო დედოფალი დუხტი იმდენად გულმოდგინე ყოფილა, რომ სამეფო სამოსელსა და სამკაულს ქვეშე ძაძა სცმია, თავისი ოქრო-მარგალიტი-კი ვითომც ღარიბთათვის გაუყვია.

ნიზიბისის 298 წლის ხელშეკრულობას აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის ხარბის თვალისაგან ვერ დაუფარავს და სპარსთა ხელმწიფეს ბაკურ მეფესთან პირობა ჰქონია დადებული, რომ ქართველთა მეფე ლაშქრობაში სპარსელებს უნდა მიჰშველებოდა ხოლმე. თვით ბაკური სპარსეთის სამეფოს სარდლადაც-კი ითვლებოდა თურმე. მაშასადამე აღმოსავლეთს საქართველოსა და სპარსეთს შორის უკვე მჭიდრო პოლიტიკური კავშირი ყოფილა.

ეს ხელშეკრულობა, ვგონებ, ქართლის მოქცევამდე უნდა ყოფილიყო დადებული, სანამ ჯერ ქრისტიანობა თვით ბაკურს მიღებული არ ჰქონდა. გაქრისტიანების შემდგომ, როცა ბაკურ მეფემ სპარსთა ბანაკში მყოფმა მაზდეანობისაებრ მზეს თაყვანი არა სცა, სპარსთა დიდებულებმა დაასმინეს შაჰთან ქართველთა ბატონი და თუმცა მაშინ შაჰმა მას ვერა დააკლო-რა, მაგრამ მაინც განრისხებული იყო.

საზოგადოდ ქრისტიანობამ ძირიანად შეცვალა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა: შემდეგ საუკუნეებში ბევრჯერ ყოფილა საქართველოს თავგადასავალი ამ ახალ სარწმუნოებაზე დამოკიდებული; იმიტომ რომ ქრისტიანობაზე უწინ მთელ საქართველოში, მნათობთა თაყვანისცემის შემდ გომ სპარსეთის მეზობლობისა და გავლენის წყალობით, ცეცხლთაყვანისმცემლობა იყო გაბატონებული და ამ მხრივ მას უფრო მეტი მიდრეკილება ექნებოდა ერთმორწმთნე სპარსეთისამდმი. საქართველოს გაქრისტიანების შემდგომ-კი მდგომა რეობა შეიცვალა და სპარსეთი თანდათან მტრად იქცა.

361 წელს იბერიის მეფე **მირიჰანი** იყო. რომაელები ცდილობდენ მირიჰანთანაც კარგი განწყობილება ჰქონოდათ. მეტადრე მას შემდგომ, როცა 361 წ. რომაელებმა სპარსთა მეფე ზამთარშიაც-კი რის ვაი-ვაგლახით უკუ აქციეს. მათ ეშინოდათ გაზაფხულზე უფრო ძლიერად არ შეგვებრძოლოსო და ამიტომ ტიგროსის იმიერი ქვეყნების მეფეებსა და მთავრებს ძღვენი მიუგზავნეს და ცდილობდენ მათი გული რომაელებისათვის მოეგოთ. განსაკუთრებით-კი რომაელები არას ზოგავდენ, რომ ბრწყინვალე სამოსლებითა და მრავალგვარ საჩუქრებით სომხეთის მეფე არშაკი და იბერიის მეფე მირიანი მოესყიდათ; იმიტომ რომ, თუ იმგვარს გაჭირვებულს მდგომარეობაში, როგორშიაც რომაელები იმყოფებოდენ, სომხები და ქართველები სპარსეთს მხარს დაუჭერდენ, რომაელების საქმისათვის შეეძლოთ დიდად ევნოთ.

მირიჰანს როგორც ეტყობა დიდხანს არ უმეფნია, 368 წელს მეფედ უკვე **საურმაგი** ყოფილა.

სპარსეთის მეფეები თანდათან საქართველოსაც მოადგენ; ამ დროს ისინი უკვე თავისუფლად დათარეშობდენ სომხეთში და იბერიაც უნდოდათ ამგვარადვე ხელში ჩაეგდოთ; მაშინ იბერიაში მეფედ რომაელების დამტკიცებული **საურმაგი** იჯდა; 368 წ. სპარსეთის მეფე შაბური შეესია აღმოსავლეთ საქართველოს და მეფე საურმაგი ქვეყნითგან განდევნა, ხოლო მის მაგიერ მისივე ნათესავი **ასპაგური** აიყვანა სამეფო ტახტზე და დააგვირგვინა. რაკი იგი რომაელების მფარველობის ქვეშე მყოფ იბერიის მეფეს ასე უდიერად მოექცა, რომაელებს, რასაკვირველია, ეწყინათ. სპარსელების განდევნილი საუმაგი რომაელებთან მივიდა და იმათგან 12 ლეგიონი რომაელების მეშველი ჯარი ტერენტის მეთაურობით თან წამოიყვანა; მტკვარს რომ მოუახლოვდა ასპაგური შეეხვეწა: მაინც ნათესავები ვართ და მოდი ორივემ ერთად ვიმეფოთო; ასპაგური ვერ ბედავდა უფლება დაეთმო იმიტომ, რომ მისი შვილი სპარსეთის მეფეს მძევლად ჰყავდა წაყვანილი და შიშობდა, ვაი თუ შაბურმა ჯავრი იმაზე ამომიყაროსო. როცა რომაელების კეისარს ამ წინადადების შესახებ მოახსენეს, ომსა და მტრობას ისევ მშვიდობიანი შეთანხმება არჩია და ასპაგურის განზრახვა მოიწონა; **იბერია** ამის გამო **ორ ნაწილად გაყვეს: ერთს იბერიის აღმოსავლეთი ნაწილი შეადგენდა**, რომელსაც ალბანია ჰსაზღვრავდა, ხოლო **მეორეს - დასავლეთი იბერია,** რომელიც ლაზიკაზე და სომხეთზე იყო მიკრული. **ამ ორ სამეფოს შუა სამზღვრად მტკვარი იყო, მაგრამ მდინარე არაგვიც უნდა ყოფილიყო**; **ასე გაეცეს იბერია ორ სამეფოდ.**

როცა სპარსეთის მეფემ შაბურმა იბერიის ორად გაყოფის ამბავი შეიტყო, წინააღმდეგობა გამოაცხადა. ჩემდა დაუკითხავად მოხდა ყველაფერი და თქვენს გადაწყვეტილებას არ ვეთანხმებიო; ომისათვისაც მზადებას შეუდგა, რომ ყველაფერი თავის ნებაზე მოეწყო. ბოლოს 374 წელს შაბურ მეფემ დესპანების გაგზავნა იკადრა და კეისარს ვალენტს შეუთვალა, იბერიითგინ თქვენი ჯარი გამოიყვანეთ, სამეფოს ორად გაყოფა ამოჰკვეთეთ და მთელ იბერიის მეფედ ისევ ჩემი დანიშნული ასპაგური იყოსო; მაგრამ კეისარმა ამაზე ცივი უარი შეუთვალა.

შაბურ მე-II-ის შემდგომ იეზდიგერდ I (399-420-მდე) სპარსეთში შინაური უწესოება მოხდა და მთელ ამ ხნის განმავლობაში თვით სპარსეთი დასუსტებული და შინაური საქმეებით გართული იყო, მაშინ სპარსეთი იბერიისათვის ვერ მოიცლიდა, აღმოსავლეთი საქართველოც მოცლილი იქნებოდა. იქნებ ამ დროსვე მოისპო სპარსთა წყალობით შემოღებული იბერიის ორ სამეფოდ დაყოფა. მაინც-და-მაინც საყურადღებოა, რომ პეტრე ქართველის ცხოვრებაში ორ სამეფოზე არაფერია ნათქვამი, და შემდეგ დროსაც აღმოსავლეთ საქართველო ერთ სამეფოდ ჩანს.

არკადი კეისრის (395-408) დროს, დაახლოვებით 395-404 წ. შუა, იბერიაში მეფედ **ფარსმანი** დამჯდარა, რომელიც თავდაპირველად კეისრის კარზე ცხოვრობდა, დიდი პატივის ცემა ჰქონდა დამსახურებული და სპასალარადაც იყო. მაგრამ მერე გამოაშკარავდა, რომ დედოფალს ევდოქსიას ჰყვარობდა და ამის გამო თავის სამშობლოში გამოიქცა. როდესაც ფარსმანი იბერიაში გამეფდა, რომაელებს მტრობა დაუწყო და მტრობითვე მან თეთრი ჰუნნები გადმოიყვანა და რომაელთა ქვეშევრდომებს მიუსია.

რამდენს ხანს მეფობდა ფარსმანი არა ჩანს, მაგრამ დაახლოვებით 413–416 წ., თუ უფრო ადრე არა, იბერიის მეფედ **ბუზმარა**[1] ყოფილა, დიდ ბაკურ მეფის სიძე, მისი ქალის ბაკურ-დუხტის მეუღლე. ბუზმარის დროს სპარსთა მეფეებს კვლავ განუახლებიათ თავიანთი ცდა, რომ აღმოსავლეთი საქართველო მორჩილ მოკავშირედ გაეხადათ და ამიტომ ბუზმარს სთხოვდენ, შენი შვილი მძევლად გამოგვიგზავნეო. რომ თავი როგორმე დაეღწია, მან თავისი მცირეწლოვანი შვილი, შემდეგ განთქმული საეკლესიო მოღვაწე პეტრე ქართველი მაჲუმელი ეპისკოპოსი, მთაში დასამალავად გაჰხიზნა. მაგრამ ამავე დროს ბიზანტიის კეისარი თეოდოსი II-ც (408-450) ბუზმარს შვილსა სთხოვდა მძევლად; მაშინ ბერძნებსა და სპარსელებს შორის ომი იყო და კეისარს ეშინოდა ქართველები ჩემს მტერს არ მიეხმარონო. მრავალგზისი თხოვნით თავმობეზრებულმა ისევ ქრისტიანი კეისარი ირჩია თეოდოსის თავისი შვილი 421-424 წ. შუა კოსტანტინეპოლში გაუგზავნა, სადაც იგი მეფურად იზრდებოდა.

შვილის გასტუმრების შემდგომ დიდხანს აღარ უცოცხლია და გარდაიცვალა, მაინცა-და-მაინც დაახლოვებით 429-437 წ. შუა იბერიაში მეფედ იჯდა უკვე დიდ ბაკურის ძმა, ძალზე მოხუცებული **არჩილი.** ბუზმარის დაქვრივებული თანამეცხედრე დედოფალი ბაკურ დუხტი მთელს თავის ქონებას და დროს ქველმოქმედებას ანდომებდა და უძლურთა და სნეულთათვის სასტუმრო-ფუნდუკები და სასნეულოები ააგო.

ბერძენ სპარსთა მტრობის მიზეზად ის იყო, რომ იეზდი-გერდ I-ის დროს სპარსეთში პირველად დაუწყეს ქრისტიანებს დევნა; რაკი სპარსეთის თავზარდაცემული ქრისტიანები ბიზანტიაში იხიზნებოდენ და იქ ემალებოდენ შაჰის მოხელეებსა და მოგვებს, ამიტომ სპარსეთის მთავრობამ შეუთვალა კეისარს, ჩემი ქვეშევრდომი ქრისტიანები თავიანთ ქვეყანაში გამორეკეო. კეისარმა ამაზე ცივი უარი შეუთვალა და ქრისტიანები არ გასცა. ამის გამო სპარსელებმა ომი გამოუცხადეს, რომელიც იეზდიგერდის სიკვდილის შემდეგაც არ შეწყვეტილა; მაგრამ ამ ბრძოლაში ბიზანტიელებმა გაიმარჯვეს და სპარსეთის ლაშქარი მრავალჯერ დაამარცხეს ისე, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ კიდეც 421 წ. ომი შეეწყვიტათ და მშვიდობიანობა ჩამოეგდოთ. ამავე დროს სპარსეთში ქრისტიანობის თავისუფლება ისევ აღდგენილ იქმნა.

როცა იეზდიგერდ II-ე (438-457) ტახტზე ავიდა, მან კავკასია და ქრისტიანობას ისევ ყურადღება მიაქცია. სპარსეთის გავლენასა და ბატონობას, სომხეთსა და იბერიაში ქრისტიანობა უშლიდა ხელს და ამ ორისავე ქვეყნის გული და სული ბიზანტიისაკენ იყო. ამის გამო სპარსეთის მთავრობა სულ იმის საგონებელში იყო, რომ ქართველთა, სომეხთა და ალბანელთათვის სარწმუნოება შეეცვალათ; წინად, როცა ამ სამსავე ხალხში ცეცხლთაყვანისმცემლობა იყო გავრცელებული, სპარსეთთან მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ და ახლაც სპარსეთის შაჰან-შაჰი და მთავრობა მოწადინებული იყო, რომ კავკასიაში მაზდეიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გაეხადათ. ამ სურვილის განსახორციელებლად მან შემდეგ ხერხს მიჰმართა: სომხეთში, იბერიაში და ალბანიაშმი ბრძანების წერილები გაგზავნა და სამივე ქვეყნითგან მოწინავე გვარების თავი-კაცები დაიბარა; აქეთგან წავიდენ დიდგვარიანი მამასახლისები და ქართლის პიტიახში არშუშა. სამივ ქვეყნის მოსულ თავ-კაცებს იეზდიგერდმა გამოუცხადა, ან ქრისტიანობაზე უარი სთქვით და მაზდეიანობა აღიარეთ, ან არა და თქვეცა და თქვენ სახლობასაც დავღუპავო; ცოტა ხნის ყოყმანისა და ერთმანეთში მოლაპარაკების შემდგომ წარმომადგენლები ნებაუნებლიეთ იძულებულნი იყვნენ გარეგნობით მაინც შაჰან-შაჰის მოთხოვნილება აესრულებინათ.

[1] რომ საქართველოში ამგვარი სახელი უნდა ყოფილიყო, ამას ამტკიცებს ჯავახეთის სოფლის „ბუზმარეთი“-ს სახელი.

რაკი სპარსეთის მეფემ თავისი გაიყვანა, სამივე ქვეყნის თავი-კაცები დაითხოვა და თან მოგვები გააყოლა; მხოლოდ მძევლები ჩამოართვა და ქართველთათაგან არშუშა პიტიახში დაანარჩუნა.

ამავე დროს დასავლეთი საქართველო ისევ ბიზანტიის დამოკიდებულების ქვეშ იყო. ეს დამოკიდებულება მხოლოდ გარეგნობაზე იყო დამყარებული და უფრო მფარველობას ჰგავდა: ლაზები, ანუ კოლხები არც ხარკს, არც განსაკუთრებულს გადასახადს არ უგზავნიდენ კეისარს, არც სხვაფრივ, რაშიმე ემორჩილებოდენ მას ომიანობის დროს; ლაზიკის მკვიდრნი მოვალენი იყვნენ მხოლოდ, თავიანთი ჩრდილოეთის სამზღვრები გაემაგრებინათ და იქითგან ჰუნები არ გადმოეშვათ და ბიზანტიელების სამფლობელოები ამით მტრის შემოსევისაგან დაეცვათ. გარეგნობით ლაზიკის მეფეების კეისრებისაგან დამოკიდებულება იმაში გამოიხატებოდა, რომ ლაზიკის სახელმწიფო ტახტზე ამავალს მეფეს სამეფო უფლების ნიშნებს (გვირგვინსა და სხვ.) ბიზანტიის ბატონი უგზავნიდა ხოლმე.

კოლხეთის მეფემ **გუბაზმა** გადასწყვიტა ამგვარ გარეგნულ დამოკიდებულებისაგანაც განეთავისუფლებინა თავისი სახელმწიფო; ეს გაუგეს ბიზანტიელებმა და გაუწყრენ.

456 წელს მათ კოლხეთში ანუ ლაზიკაში სამრად თავისი ჯარი გამოგზავნეს, მაგრამ მერე მალე უკანვე დააბრუნეს და ხელმეორედ ომის მზადებას შეუდგენ. ეს რომ ლაზებმა შეიტყვეს, მაშინვე სპარსეთის მეფესთან მოციქულები მიგზავნეს, ბიზანტიელების წინააღმდეგ მოგვეხმარეო; ამ დროს იეზდიგერდი მკვდარი იყო († 459 წ.), ხოლო მისი შვილი პეროზი (459-484) თვითონაც ჰუნნებს ებრძოდა; ამიტომ ლაზებს დახმარებაზე უარი უთხრა. რაკი სპარსეთის მოშველების იმედი გაუცრუვდათ, ლაზები იძულებულნი იყვნენ ისევ ბიზანტიელებს მშვიდობიანად მორიგებოდენ. ლაზიკის მეფემ ამისათვის კეისარს დესპანები გაუგზავნა, მაგრამ იმან უპასუხა: ან გუბაზმა სთქვას მეფობაზე უარი, ან მისმა შვილმა, უამისოდ ჩვენ ომს არ შევწყვეტთო. ძველ ჩვეულებისდა მიუხედავად მამა-შვილის ერთად მეფობა არ შეიძლებაო. გუბაზმა ისევ თვითონ სთქვა უარი მეფობაზე და კეისარს სთხოვა, ჩემს შვილს ნუღარ ემტერებიო. იმან კიდევ კოლხეთის ნამეფარი თავისთან დაიბარა, ანგარიში ჩამაბარეო. გუბაზს კოსტანტინეპოლში წასვლაზე უარი არ უთქვამს; მხოლოდ პირობა მომეცით, რომ არაფერს არ შემამთხვევთო. კაისარმა თავისი მონელე დიონისე გამოუგზავნა; შეთანხმების შემდეგ, სპარსულად გამოწყობილი და მიდიელთა წესზე მცველების თანახლებით გუბაზი და დიონისე კოსტანტინეპოლს მივიდენ, როცა ის-ის იყო სატახტო ქალაქი გადამწვარიყო, ესე იგი 465 წლის შემდეგ; ლაზიკის მეფე გუბაზი ლეონ კეისარს (457-475) წარუდგა; თუმცა თავდაპირველად ლაზიკის მეფე საყვედურით აავსეს, მაგრამ მან თავისი ლაპარაკით სრულებით მოხიბლა მთავრობა და თავისი ქვეყანა განსაცდელს გადაარჩინა.

ამავე დროს იმიერ კავკასიითგან ჰუნნების ერთი ტომი სარაგურები სპარსეთის წინააღმდეგ ამხედრდა; წამოვიდენ და კასპის კარს მოადგენ, მაგრამ ეს ადგილი მათ გამაგრებული დახვდათ; სპარსელებს აქ თავისი მცველები ეყენათ. დაბრუნდენ უკან და სხვა გზით, ივრის ხეობაზე, საქართველოსა და სომხეთს შემოესიენ; ქართლი დაარბიეს და აიკლეს. ეს რომ სპარსელებმა შეიტყეს, შეწუხდენ იმიტომ, რომ უამისოდაც ჰუნნებს–კიდარელებს ეომებოდენ და ახლა ესენიც რომ სპარსეთსა სწვევდენ, საქმე ძალიან გაუჭირდებოდათ. რაკი თვითონ ამისი თავი არ ჰქონდათ და არა ეცალათ, ბიზანტიელებს კაცები მიუგზავნეს და სთხოვეს: მაინც ხომ ჰუნნები თქვენ სამფლობელოსათვისაც საშიშარი არიან და ქვეყანას თქვენც დაგიწიოკებენო, ისევ ან ფულით, ან ჯარით დაგვეხმარეთ, რომ ივრის ხეობა გავამაგროთ და ჰუნნები შევიკავეთო. ამაზე ბიზანტიელებმა უპასუხეს; თვითოელმა სახელმწიფომ თავისი სამფლობელო თვითონვე უნდა დაიცვვასო.

ქართლში ამ დროს მეფე **ვახტანგი** იყო, ხოლო ქართლის პიტიახშად არშუშას მაგიერ მისი შვილი **ვასქენი** და უნიშნავთ; ამ ვასქენმა ქრისტიანობაზე უარი თქვა და მით სპარსეთის მეფის წყალობა დაიმსახურა. ეს ის ვასქენია, რომელმაც ქრისტიანობის გულისათვის თავისი ცოლი შუშანიკი ჯერ აწვალა, ხოლო მერე სიკვდილამდის ექვსი წელიწადი ციხეში ჰყავდა დამწყვდეული.

რაღაც მიზეზის გამო, იქნებ ვითარცა სპარსეთის ერთგული ყმა და თავის ქვეყნის ერთგული მტერი, ვახტანგ მეფემ. პიტიახში ვასქენი 484 წელს მოაკვლევინა. ეს სპარსეთის

ბატონობის წინააღმდეგ ამბოხების წინამორბედი იყო; სწორედ ასეც ჩამოართვეს ეს ამბავი სომხებმაც, რომელთა შორის პირველ დამარცხების შემდგომაც სპარსეთისადმი უკმაყოფილება წინანდებურად ღვიოდა, და თვითონაც აუჯანყდენ სასანელ მეფეს. ვახტანგ მეფე რომ საომარ საზადისს შეუდგა, გაიძახოდა: სპარსელებს-კი არ ეგონოთ, ვითომ მათ მარტო მე შევებრძოლებოდე, იმოდენა ჰუნნებს გადმოვასხამ პირიქითითგან, რომ სპარსელები წინ ვერც-კი დაუდგენო. ამ ამბავის გაგონებაზე სომხებს გაუხარდათ და იმედი მოეცათ, ქართველები და ჩვენ ერთად სპარსელებს როგორმე ვსძლევთო. მაგრამ ერთმა სომეხმა ნახარარმა დააბეზღა თავისი თანამოძმეები და სპარსეთის მარზპანს მათი მოქმედიბის გეგმა შეატყობინა, ამის შემდეგ სპარსელები მზადებას შეუდგენ.

ვახტანგ მეფეს ჯერ ომის სამზადისი არ დაესრულებინა, რომ საქართველოს სპარსეთის დიდძალი ჯარი შემოესია. ვახტანგმა დაინახა, რომ მტერს მარტო ვერ გაუმკლავდებოდა; მაშინვე თავის ჯარითურთ ქართლისა და სომხეთის სამზღვარზე გაიხიზნა და იქ მთეებში შეეფარა; ამასთანავე ვახტანგ მეფემ სომხებს შიკრიკები გაუგზავნა და შეატყობინა: საქართველოში დიდძალი ჯარი შემოვიდა და რაკი დავინახე, რომ წინააღმდეგობას ვერ გავუწევდი სომხეთის სამზღვრისაკენ გამოვიხიზნეო. ეს რომ სომხებმა შეიტყეს, ვახტანგ მეფისაკენ გაეშურეს, რომ შეერთებულის ძალით სპარსეთის ჯარი დაემარცხებინათ, ვახტანგი ჰუნნების მოლოდინში იყო და შვიდ დღეს უცდიდა; მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ აქაც იმედი გაუცრუვდა და ქართველები და სომხები სპარსელებს მარტოკა უნდა შებრძოლებოდენ, მთებითგან ბარად ჩამოვიდენ.

ამ დროს განმავლობაში მათ კვალს მიჰრნაანთ შაბურმა მიაგნო და თავის ჯარით მტკვრის ნაპირას დაბანაკდა. ბრძოლის წინა ღამეს ბევრნი წავიდენ სომხეთის ჯარითგან და სპარსეთის სარდალს ჩააგონეს: ჩვენ ჩვენის ნებაყოფლობით არ მოვსულვართ სპარსელებთან საბრძოლველად, სულ ვაჰან მამი კონიანის ბრალია, იმან წაგვიყვანაო; და ბრძოლის დროს სპარსელების მხარეზე გადასვლა აღუთქვეს. თავისი დაპირება აასრულეს კიდეც. მეორე დღეს ბრძოლის დროს შეერთებული ჯარი შედრკა და სომხებიცა და ქართველებიც ძლეულნი. აქეთ-იქით გაიფანტენ; ვახტანგ მეფემაც თავი დააღწია. ამ გამარჯვების შემდგომ სომხეთში მდგომ სპარსელთა ჯარის მთავარ-სარდალს ჰაზარავუხტს (483-484) პეროზ მეფესაგან (458-484) ბრძანება მოუვიდა: საჩქაროდ გაემგზავრე მთელის ჩვენი ჯარით ქართლში, სომხეთში–კი აქაური ჯარით შაბურ მიჰრანის გვარის შვილი დასტოვე, და ქართველთა მეფე ვახტანგი ან დაიჭირე, ან მოჰკალ, ან ქვეყნითგან განდევნეო. ჰაზარავუხტმა მაშინვე აასრულა თავის ხელმწიფის ბრძანება. მივიდა თუ არა საქართველოში, ჰაზარავუხტს მაშინვე სპარსეთის მთავრობის ერთგული ქართველები მიეშველენ, მათ მიემხრენ ბევრი ისეთნიც, რომელნიც თავდაპირველად ვახტანგ მეფის მხარეზე იყვნენ და სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდენ, მაგრამ ჰაზარავუხტმა, რომ შაჰის წყალობა და ჯილდო აღუთქვა, თავის ქვეყანასა და მეფეს გადუდგენ და უღალატეს. როცა ვახტანგ მეფემ დაინახა, რომ თავისიანებმაც უმტყუნეს და ბევრი ქართველი სპარსელების მხარეზე გადავიდა, ქართლითგან გაიქცა და სამეგრელოში გადაიხიზნა.

ამავე 484 წელს მოკვდა პეროზი და სპარსეთის დიდებულებმა ჰაზარავუხტი ქართლითგან დაიბარეს სახელმწიფო საქმეებზე მოსალაპარაკებლად. სამეფო ტახტზე აიყვანეს ვალარში, მაგრამ დიდხანს არ უმეფნია: 488 წელს იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და მის მაგიერ კავადი (488-531) დასვეს. 484 წ. მოყოლებული ვახტანგ მეფის მოღვაწეობისა და ცხოვრების შესახებ სანდო ცნობები არ მოგვეპოვება. თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს რომ მეფე ვახტანგი აღესრულა“ „ციხესა შინა უჯარმოისასა, რომელი აგებული იყო ვახტანგ გორგასლანისაგან“-ო. ისტორიკოსის ჯუანშერის სიტყვით, სახელოვანი მეფე სპარსთა მეფის ლაშქრის შემოსევის დროს დაჭრილა და წყლულებისაგან გარდაცვლილა. სპარსთა მეფემ სთხოვა ბერძნებთან ომში მომეხმარეო, მაგრამ უარი შეუთვალა და ამით განრისხებულმა შაჰმა თავისი ლაშქარი ქართველთა მეფის წინააღმდეგ გამოგზავნაო. რამდენად მართალია ეს, არ ვიცით, მაგრამ ამგვარი შემთხვევა სხვა დროსაც მომხდარა და შესაძლებელია, ვახტანგ მეფესაც მართლა შემთხვეოდეს.

არსენი კათოლიკოზის სიტყვით მეფე ვახტანგი მაღალი ტანის კაცი ყოფილა და დიდებულ მეფის სამხედრო იარაღი და სამოსელი თურმე არსენის დროსაც კი ინახებოდა. იმავე ავტორის მოწმობით ვახტანგ გორგასალი დასაფლავებული ყოფილა მცხეთის დიდებულს სიონში, თვით ეკლესიაში „წინაშე სუეტსა ცხოველსა“ და საფლავის ქვაზე სურათი ყოფილა გამოყვანილი იმავ ზომისა, რა ზომისაც თვით განსვენებული გვირგვინოსანი ყოფილა – ეს ალბათ მისი საფლავის ძეგლი იქნებოდა.

კავადის დროს დაიწყო თავისი შესანიშნავი ქადაგება მაზდაკმა; მას უნდოდა, რომ ხალხში მშვიდობიანობა და სიყვარული დამყარებულიყო, ხოლო ამისათვის საჭიროა მოვსპოთ და ძირიანად აღმოვფხრათ ადამიანთა შორის სიძულვილისა და უთანხმობის მიზეზიო, ამბობდა მაზდაკი. ხოლო ყოველგვარ უსიამოვნობისა და ერთმანეთის მტრობის დედა-ბუდე საკუთრებისა და ლხინისადმი მისწრაფებაო. მაშასადამე თუ ჩვენ ვგსურს, რომ ქვეყნიერებაზე მშვიდობიანობა დამყარდეს, ამისთვის მთელი საკუთრება უნდა გაიყოს და მთელ ხალხს თანასწორად მიეცეს. ცოლებიც კი კერძო საკუთრებას არ უნდა შეადგენდენ; უნდა მოისპოს აგრეთვე წოდებრივი უსწორმასწორობა და სულდგმულ ცხოველების დახოცვა და ჭამა აიკრძალოსო.

მეფე კავადი მაზდაკს მიემხრო ალბათ იმ აზრით, რომ დიდებულები დაემხო, მაგრამ განრისხებულმა სპარსელმა დიდებულებმა 497 წელს მეფე დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. ხოლო მის მაგიერ მისი ძმა ჯამასპი გაამეფეს; კავადის ცოლმა თავისი ქმარი მაინც ციხითგან განათავისუფლა და 499 წელს ჯამასპა ისევ თავის ძმას დაუთმო სამეფო ტახტი.

გამეფების დროს კავადს ჰუნები დაეხმარენ და ამისათვის მათთვის სასყიდელი უნდა მიეცა. თვითონ რომ საჭირო ფული არ ებადა, ბიზანტიელებს 503-504 წ. ომი აუტეხა, მაგრამ დიდი არაფერი შეუძენია. კავადი ბიზანტიელებს, სხვათა შორის, ლაზიკის გამოც ემდუროდა, წინად თუ მისმა წინა მოადგილემ პეროზმა, ჰუნნებთან ომით გართულმა, ლაზების მეფეს გუბაზს ბიზანტიელების წინააღმდეგ დახმარება ვერ მიაშველა, კავადს ლაზთა მეფე **წათე** თავის მფარველ კალთას ქვეშ ამოუფარებია. მაგრამ როცა უგემნია, ალბათ არც წათეს მოსწონებია სპარსთა მეგობრობა.

515 წელს ლაზთა მეფე ბიზანტიაში გაემგზავრა და იქ კეისარს იუსტინეს აუწყა, რომ მას ჰსურს გაქრისტიანდეს და ლაზთა მეფედ იყოს დამტკიცებული. იუსტინე კეისარი, რასაკვირველია, ამ ამბავმა მეტად ასიამოვნა და **სიხარულით მონათლა მეფე წათე და მისი შვილი.** წათემ ბიზანტიაში თანამეცხედრედ რომაელი დიდებული ქალი შეირთო, პატრიკიოსისა და აპოკურაპალატის ნომის ასული. სამეფო გვირგვინითა და ძვირფას სამოსლითა და სამკაულით მორთული, მრავალის საჩუქრით დატვირთული წათე სამშობლოში დაბრუნდა.

მეფის გაქრისტიანებას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ **ლაზიკაშიც ამიერითგან ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქნებოდა ცნობილი,** თორემ დიდიხანია რაც ლაზიკაში ქრისტიანობა გავრცელებული იყო.

ეს რომ კავადმა შეიტყო, კეისარს უსაყვედურა ჩვენ შორის მეგობრობა და მშვიდობიანობა სუფევს და შენ-კი მმტრობ და ჩემს ქვეშევრდომებს მართმევო. კეისარმა ცბიერად შეუთვალა, რომ ჩვენ თქვენს საქმეებში არ გავრევულვართ, არც ვინმე წაგვირთმევიაო; მხოლოდ მეფე წათე მოვიდა ჩვენთან, ქრისტიანობა მიიღო და ისევ თავის ქვეყანაში გავისტუმრეო. ეს პასუხი, აბა რა თქმა უნდა, სპარსთა ბატონს არ დააკმაყოფილებდა და ამის გამო სპარსელებსა და ბიზანტიელებს შორის მტრობა ჩამოვარდა.

517 წლის ახლო ხანებში კავადმა მაინც შერიგება ირჩია და ამისათვის ორივე მხარემ ერთმანეთს დესპანები გაუგზავნეს მოსალაპარაკებლად. როცა ელჩები ერთად შეიყარენ და ურთი-ერთს გამოეცნაურენ, სპარსეთის ერთმა წარმომადგენელმა სეოსმა (შიოშ. პაჰლ. სიავუშ) სიტყვა ლაზიკაზე ჩამოაგდო და ბიზანტიის მოციქულებს უმტკიცებდა, თქვენ კანონიერ უფლების ძალით-კი არა, ძალმომრეობით გიჭირავთ კოლხეთი: იმთავითვე სპარსელების მფლობელობას შეადგენდაო, ბიზანტიელებს ეს არაფრად ეჭაშნიკით; მოლაპარაკება ერთ სხვა მიზეზის გამოც უსიამოვნებით გათავდა და ორივე მხარე თავის სახელმწიფოში დაბრუნდა.

520 წ. სპარსთა მეფემ მაინც თავი ვერ შეიკავა და ლაზთა მეფის წათეს წინააღმდეგ გაილაშქრა, რომ იგი ორგულობისათვის სასტიკად დაესაჯა. კეისარმა ლაზთა მეფეს ზურგი გაუმაგრა და სამი სარდლით, ველიზარითმა, კირჯკით და ირინიონით მიეშველა.

ლაზთა და ბიზანტიელთა შეერთებულმა მხედრობამ სპარსთა ლაშქარს სძლია და ბევრნი ტყვედ წაიყვანა.

ბიზანტიელებზე გულმოსული მეფე კავადი სულ იმის ფიქრში იყო, თუ როგორ ამოეყარა ჯავრი, მაგრამ ამ დროს იბერიაში ამბოხება დაიწყო. პროკოპი კესარიელის სიტყვით, ქართველები იმიტომ აჯანყებულან, რომ კავადმა მოიწადინა იბერიაში კვლავინდებურად ცეცხლთ-თაყვანისმცემლობა გაებატონებინა და ბრძანება გასცა, იბერიაში მოგვობის ყველა წესი მტკიცედ დაიცევით და არამცა და არამც მიცვალებულები მიწაში არ დამარხოთო. ასეთმა მომეტებულმა ბრძანებლობამ ქართველები ისევ მოთმინებითგან გამოიყვანა **მეფე გურგენმა** იუსტინე კეისარს (518 -527) მოციქულები გაუგზავნად შეუთვალა: მოგემხრობით თქვენსკენ გადმოვალთ, თუ კი პირობას მოგვცემ, რომ თქვენ ჩვენ, ქართველებს, არას დროს სპარსელებს აღარ გაგვცემთო. გახარებულმა კეისარმა თანხმობა გამოაცხადა და მაშინვე ბოსფორში ერთი პატრიკი, სახელად პრობი, გაგზავნა და თან ფულებიც გაატანა, რომ ჰუნნები ქართველებს მიშველებოდენ. მაგრამ გაგზავნილმა პატრიკმა ვერა გაარიგა რა: ამიტომ კეისარმა კოლხეთში, ანუ ლაზიკაში პეტრე სარდალი გაგზავნა და თან რამდენიმე ჰუნნი გააყოლა, რომ გურგენ მეფეს მიშველებოდენ, კავადმა, ქართველების განდგომის ამბავი შეიტყო თუ არა, მაშინვე იბერიაში დიდი ჯარი გამოგზავნა. სამწუხაროდ ბიზანტიელების მეშველი რაზმი იმდენად რიცხვმცირე იყო, რომ სპარსეთის ახალმოსულ ლაშქარს გურგენი ვერ გასცემდა პასუხს. ამის გამო მეფე გურგენი თავის ოჯახითა და შვილით პერანითურთ (უეჭველი „ფირანი“ იქნებოდა) და ქართველი დიდებულები ლაზიკაში გაიქცენ. თუმცა სპარსეთის ჯარი უკან დაედევნა, მაგრამ ლაზიკაში ქართველ მეფეს და დიდებულებს ვერა დააკლეს რა, ვიწრო ხეობები დიდად აბრკოლებდენ სპარსელებს.

ლაზიკათგან გურგენი თავის სახლობითა და ამალით 523 წელს ბიზანტიაში წავიდა; მაღე სარდალი პეტრეც უკან და იბარეს; რაკი ლაზიკის სამზღვარზე მდებარე ორი ციხე ცარიელი დარჩა, ხოლო ადგილობრივ მკვიდრთ უარი გამო აცხადეს, - ჩვენ ამის დამცველები აღარ ვართო, სპარსელები დაეპატრონენ, ბიზანტიელებმა მხოლოდ იმით გადაუხადეს მაგიერი, რომ სპარსეთის ბატონობის ქვეშ მყოფ სომეხთ შეესიენ, ქვეყანა ააოხრეს და მრავალი ტყვე წაასხეს.

531 წელს გარდაიცვალა სპარსეთის მეფედ-მეფე კავადი; მისმა მემკვიდრემ ხოსრო I-მა (531-579) და ბიზანტიელებმა მშვიდობიანობაზე მოლაპარაკება დაიწყეს. ეს საქმე თვით ბიზანტიელებმა ითავეს დ სპარსეთის ბატონს თავიანთი წარმომადგენლები გაუგზავნეს. ხოსრომ ელჩებს გამოუცხადა, რომ იგი ბიზანტიელებთ.ნ საუკუნო ზავის ხელშეკრულობას დასდებდა, თუ კი მას 110 კენდინარს[1] დაუთვლიდენ და სხვათა.შორის, ლაზიკის იმ ორ ციხის დაბრუნებაზე, რომელსაც სპარსელები დაეპატრონენ, ამიერითგან ლაპარაკი აღარ იქნებოდა. ბიზანტიის კეისრის ელჩებმა ამ უკანასკნელ პირობაზე უპასუხეს, თუ კეისარს არ შევეკითხეთ, ამის გადაწყვეტას ჩვენდა თავად ვერ ვიკისრებთო. თუმცა იუსტინიანე (527- 565) კეისარმა რომ ხოსროს პირობები შეიტყო, თავდაპირველად ლაზიკის ორი ციხის დათმობის თანხმობაც გამოაცხადა. მაგრამ მერე გადიფიქრა და ინანა; მაშინვე სპარსეთში მიმავალს თავის დესპანს წერილი დაადევნა, არამცა-და-არამც სპარსელებს ლაზიკის ციხე არ დაუთმოთო, ამის გამო სპარსელები და ბიზანტიელები ვერ შეთანხმდენ და მოლაპარაკება ჩაიშალა.

ცოტა ხნის შემდგომ ორივე მხარემ მოლაპარაკება ისევ დაიწყო და **532 წელს „საუკუნო ზავის“ ხელშეკრულობა დასდეს**, რომელიც შემდეგ პირობებს შეიცავდა: ორივე მხარე დაპყრობილ ქვეყნებს ერთმანეთს დაუბრუნებს და სპარსეთის წინააღმდეგ ბიზანტიელებს სამზღვარზე საგანგებო მხედართმთავარი ქ. დარაში აღარ ეყოლებოდათ. **იბერიითგან**

[1] კენდინარი ას (კენტ-centum) დინარს ნიშნავს, ოქროს ფული იყო და ას ლიტრა ოქროს იწონიდა (იხ. პროკოპი კესარიელი De bello persico, I, წ. 22, დესტუნისის 1, 291; დაახლოვებით ახლანდელ ფულის კვალობაზე 11() კენდინარი 60665 მანეთს უდრის.

გამოქცეულ ქართველებს სურვილისამებრ შეეძლოთ, ან სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, ან არა და ბიზანტიაში დარჩენილიევნენ. ხელშეკრულობისდა თანახმად სპარსელებმა მართლაც ლაზიკის ორივე ციხე ბიზანტიელებს დაუბრუნეს. ბევრი გაქცეული ქართველი დაბრუნდა ბიზანტიითგან სამშობლოში, მაგრამ ბევრი მაინც არ ენდო სპარსეთის მთავრობას და ისევ ბიზანტიის სახელმწიფოში ირჩიეს დარჩენა (იქვე); იბერიის სამეფო სახლობაც, რასაკვირველია, სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. პერანი (ფირანი) ბიზანტიელების სამხედრო სამსახურში შევიდა და სარდლად იყო დანიშნული.

მას შემდგომ, რაც ქართველები გურგენ მეფის მეთაურობით სპარსელებს აუჯანყდენ, ბიზანტიის მფარველობას მიჰმართეს, მაგრამ კეისრის მხრივ პირობის აუსრულებლობის გამო ძლეული იქმნენ, ხოლო სამეფო სახლობა და ამბოხების მოთავე დიდებულები იძულებული იყვნენ ბიზანტიაში გაქცეულიყვნენ ამის შემდგომ სპარსელებმა, როგორც პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, **ქართველებს ნება აღარ მისცეს საკუთარი მეფე ჰყოლოდათ, და მეფობა გ**ააუქმეს. მართლაც წმ. ევსტატე მცხეთელის მარტვილობაში († 544-545 წ.), რომელიც თანამედროვეს მიერ არის დაწერილი, ქართველი მეფე მოხსენებული არ არის და ქვეყნის მთელი უზენაესი გამგეობა სპარსეთის მთავრობის მოხელეებს აბარია: ამ დროს მეფობა, როგორც ეტყობა, მოსპობილი ყოფილა. ამდროინდელი უმეფობა მტკიცდება აგრეთვე კირიონ ქართლის კათალიკოზისა და აბრაამ სომეხთა კათალიკოზის მიწერ-მოწერითაც. **ქართლში მეფობის უფლება გაუქმდა** მაშინვე, როცა გურგენი თავის შვილითა და სახლობით ბიზანტიაში გაიხიზნა, ესე იგი 523 წ. მაგრამ **საბოლოოდ ეს გაუქმება 532 წლის „საუკუნო ზავის“ ხელშეკრულობამ დააკანონა,** იმიტომ რომ ქართველების ვინ თომცდა მფარველმა ბიზანტიელებმა, სპარსელებთან მოლაპარაკების დროს, თავი არ შეიწუხეს და იბერიის მეფობის არსებობის შესახებ არავითარი განსაკუთრებული პირობა არ დაუდვიათ, არამედ მხოლოდ გაქცეულ ქართველებისათვის (სამშობლოში დაბრუნების ნებართვა ითხოვეს; მაშასადამე მეფობის გაუქმების წინააღმდეგ არაფერი უღონიათ და ამით, რასაკვირველია, თითქოს თანხმობაც გამოუცხადებიათ. ასე სამწუხაროდ დაბოლოვდა იბერიისთვის ბიზანტიელების მფარველობა.

როდესაც სპარსელებმა აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა მოსპეს და „დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ“ სპარსნი „განძლიერდეს“ და „ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიონთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთისა და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დორძოკეთისასა და იგი მთიოლნი გომარდად დადგინეს და კხუაჲ ვინმე კაცი დაადგინეს მთავრად წანარეთისა ჴევსა და მორჩილებაჴ დასდვეს მისი“. არც გასაკვირველია: სპარსელებმა ხანგრძლივ გამოცდილებით იცოდენ, რომ ქართველებს მთეულებითა ჰქონდათ ზურგი მაგარი, გამოიყვანდენ პირიქითელ ხაზარებს და ჰუნნებს და მიუსევდენ სპარსეთს, იმათაც მეტი არა უნდოდათ რა. ახლა, რაკი სპარსელებმა ამიერ-კავ კასიის ყველა გზის კარები ხელში ჩაიგდეს და ხელთ ეპყრათ, ჩრდილოელთა შემოსევისაგან უზრუნველყოფილი იყვნენ. ქართველებსაც ამ გზით მეშველნი და მოკავშირენი მოაკლდებო დათ.

საუკუნო ზავის შემდეგ, შეშინებულმა ბიზანტიელებმა, ვაი თუ სპარსელებმა იბერიას ლაზიკაც ზედ მიაყოლონ და ხელითგან გამოგვტაცონო, ლაზიკაში ჯარი გაგზავნეს. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ბიზანტიელებმა ლაზიკაში ჯარი ჩააყენეს. წინად ამისთანა მაგალითი არ ყოფილა. რასაკვირველია, ლაზებს ეს არაფრად მოეწონათ, მაგრამ ამას კიდევ როგორც იქნებოდა აიტანდენ. განსაკუთრებით კეისარის მიერ ამ ჯარის უფროსად დანიშნულს პეტრეს ემდურებოდენ ყველანი: მეტად ბრიყვი კაცი იყო და სხვისი შეურაცყოფა არაფრად მიაჩნდა. პეტრეზე უარესი გამოდგა ის ჯარის უფროსი, რომელიც იუსტინიანე კეისარმა დასავლეთ საქართველოში პეტრეს მაგიერ გამოგზავნა. სახელად მას იოანეს, მეტ სახელად კიდევ „ციv“ ს ეძახდენ. ივანე ციvმა მხოლოდ გაიძვერობით მიიღო ეს თანამდებობა: საძაგელი კაცი იყო ყოველგვარ უწესო საშუალების გამოძებნა და მოხერხება იცოდა, ოღონდ-კი თვითონ გამორჩენა-სარგებლობა ჰქონოდა. მან ურჩია კეისარს, რომ შავი ზღვის ნაპირას მდებარე პატარა კიხე – დაბა ქალაქად ექცია. იუსტინიანე კეისარმა თავის ჯარის უფროსს დაუჯერა,

გარშემო კედლით შემოზღუდა, გაამაგრა და შიგნით გაამშვენიერა. ამ ციხე ქალაქს სახელად პეტრა დაარქვეს; ბიზანტიელების ჯარი და თვით სარდალი იოანე ცივიც იქ დაბინავდენ.

ბიზანტიელების ბრიყვი და თავხედი მხედართ-მთავარი იმდენად გათამამდა, რომ სამეფოს ყველა საქმეში ერეოდა; მეფე გუბაზი ისე შეწუხდა, რომ მას მარტოდენ მეფის სახელი ღა შერჩა, თორემ ნამდვილად საქმეების გამგეობას თვითონ ჩემულობდა.

მაგრამ მთელი თავისი ძალმომრეობა და ანგარება იოანე ცივმა შემდეგ სამარცხვინო საქციელში გამოიჩინა. დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს აღებ-მიცემობას ამ დროს ორი მთავარი სავაჭრო გზა ჰქონდა: ერთი იყო სამხრეთისა და სომხეთის ქალაქს დვინში მიდიოდა; აქ თავს იყრიდა მრავალი ვაჭარი და თავიანთი საქონელი ინდოეთითგან, სპარსეთითგან, ქართლ-კახეთითგან და დასავლეთ საქართველოთგან მოჰქონდათ ხოლმე გასასყიდად, მეორე, და მთელ საქართველოსათვის უმთავრესი სავაჭრო გზა დასავლეთისა და შავი ზღვის ნაპირას მდებარე ნავთსადგურებისაკენ მიდიოდა და იქ მოჰქონდათ უცხოეთითგან, განსაკუთრებით ბიზანტიითგან, სავაჭრო საქონელი და იქვე ჰყიდულობდენ ბიზანტიელი ვაჭრები ადგილობრივ ნაწარმოებსა და საქონელს. იოანე ცივმა მთელი შავი ზღვის ნავთსადგურების აღებ-მიცემობა ძალმომრეობით ხელში ჩაიგდო: არც ბიზანტიელ ვაჭრებს, არც ადგილობრივ მკვიდრთ იგი ერთმანეთისაგან საქონლის ყიდვა-გაყიდვის ნებას არ აძლევდა და მხოლოდ თვითონ ჰყიდულობდა ყველაფერს; შემდეგ კი, როგორც იმისი ნება იყო, იმ ფასად ჰყიდდა; ამგვარად იგი მთელი აღებ-მიცემობის სრულ ბატონად გადიქცა, მთელი ქვეყანა ქონებრივ-ეკონომიურად თავის კლანჭებში ჩაიგდო, და მხოლოდ თავის ჯიბეებს ისქელებდა.

ასეთი უსინდისო საქციელი და ხალხის ყვლეფა სწორედ უმაგალითო იყო; **მეფე გუბაზი** და მისი ქვეშევრდომები მოთმინებითგან გამოვიდენ; სპარსეთის მეფეს ხოსროს მოსალაპარაკებლად საიდუმლოდ კაცები მიუგზავნეს. ხოსრო მეფემ ლაზების მოციქულები მიიღო და მათი სიტყვა მოისმინა. კოლხები და სპარსელები იმთავითვე მოკავშირენი იყვნენ და ერთმანეთს ეხმარებოდენ ხოლმეო, სთქვეს ელჩებმა, ამას მოწმობს მრავალი ნაწერი საბუთი, რომელიც ჩვენცა გვაქვს და თქვენს სასახლეში ინახებაო, მაგრამ შემდეგ ჩვენი წინაპრები, - იმიტომ რომ თქვენ ყურს არ უგდებდით, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, ჩვენ ნამდვილად არაფრის თქმა არ შეგვიძლიან, - რომაელებს შეეკრენ კავშირით. ახლა ჩვენ და ლაზიკის მეფე ქვეყნითურთ გეყმობითო. შემდეგ მოციქულებმა აუწერეს სპარსეთის მეფეს, რანაირად შეავიწროვეს, შეაწუხეს ლაზიკის მეფე და ხალხი ბიზანტიის კეისრის სარდლებმა, და არწმუნებდენ, რაკი ჩვენი ერი ბიზანტიელებზე ასე გულმოსულია, შეგიძლიათ მიენდოთ მას და დარწმუნებული იყავით, რომ ისინი თქვენი ერთგული მოყმეები იქმნებიანო; თვითონ თქვენ დიდ სარგებლობას ნახავთ, თუ ლაზების თხოვნას აასრულებთ, იმიტომ რომ ამგვარად სპარსეთს უუძველეს სამეფოს შეუერთებთ და ამით თქვენს უფლებას მეტი ფასი დაედება. ამასთანავე ჩვენი ქვეყნის საშუალებით თქვენ შეგეძლებათ რომაელების ზღვამდე მიაღწიოთ და თუ რომ ზღვაზე ხომალდებს ააგებთ, მაშით თუ გინდ თვით ბიზანტიის კეისრის სასახლემდიც მიხვალთო; მაშინ თქვენს ნებაზე იქნება დამოკიდებული და, როცა მოინდომებთ, იმიერ კავკასიითგან ველურ ხალხებს ბიზანტიის სამფლობელოს მიუსევთო, - სთქვეს მიგზავნილმა კაცებმა.

სპარსეთის მეფეს ეს, რასაკვირველია, ძალიან მოეწონა და ჭკუაში მოუვიდა, დაჰპირდა მოციქულებს, მფარველობას გაგიწევთო. დესპანებმა აღუთქვეს, გზების ფიქრი ნუ გაქვს, შენს ჯარს გზებს ჩვენ გავუკეთებთ და გავუკვლევთო. მეფემ სთხოვა ელჩებს, რომ სპარსელების დახმარების ამბავი ჯერ არ გამოემჟღავნებინათ; თვითონაც რომ ლაშქრის შეგროვე ბას შეუდგა, განგებ ხმებს ავრცელებდა, იბერიაში მივდივარ, იქაური საქმეები უნდა განვაგოო.

542 წელს, როცა ხოსრო მეფე ომისთვის უკვე მზად იყო, დიდძალი ლაშქრით ჯერ იბერიაში შევიდა და მერე იქითგან ლაზიკაში გადავიდა, ლაზების მოციქულები წინ მიუძღოდენ. სპარსელები ჰკაფავდენ დიდრონ ხეებსა და ამგვარად გზას იკეთებდენ. ლაშქარმა რომ ქვეყნის შუაგულს მიაღწია, ხოსრო. მეფეს მოეგება ლაზიკის მეფე **გუბაზი,** მიესალმა თავის მხრივ და მთელი თავისი სამეფოს მაგიერადაც ყმობა აღუთქვა.

თუმცა ქალაქ პეტრას გარემოცვაზე ხოსრო მეფემ დიდი ზარალი ნახა და ბევრი მეომარი დაეხოცა, მაგრამ ქალაქი მაინც აიღო. მას შემდეგ, რაც ბიზანტიელების სარდალი იოანე ცივი ჭრილობისაგან გარდაიცვალა, ციხის მცველები სასოწარკვეთილებას მიეცენ, გათამამებულმა სპარსელებმა კი ციხეს ზღუდეს ქვეშ თხრილი გაუკეთეს. მაშინ ბიზანტიელებმა შიშით ციხის დათმობაზე მოლაპარაკება ჩამოაგდეს, და როცა სპარსეთის მეფე დაჰპირდა, თქვენა და თქვენს ქონებას ხელს არ ვახლებო, ქალაქი დაუყოვნებლივ ხოსროს გადასცეს. სპარსეთის მეფემ მართლაც მხოლოდ იოანე ცივის დიდძალი ქონება ჩაიგდო ხელში, სხვას-კი არც თვითონ შეჰხებია რასმე, არც თავის ლაშქრისათვის მიუცია ნება.

ხოსრო მეფე გახარებული იყო, რომ ლაზიკა ხელში ჩაიგდო; იმ სარგებლობისა და უპირატესობის გარდა, რომელსაც მას ლაზების მოციქულები უქადდენ, მას კარგად ესმოდა, რომ ამიერითგან იბერიას ამბოხების ატეხა გაუძნელდებოდა, დასავლეთისაკენ ზურგი გამაგრებული აღარ ექნებოდა და ლაზიკა ქართველ მეამბოხეთ თავშესაფარად ვეღარ გამოადგებოდა. ამ გარემოებას–კი სპარსელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომ, რომ ქართველები სპარსელების ბატონობის წინააღმდეგ უკმაყოფილებას არც-კი მალავდენ, და ცხადად ეტყობოდათ, რომ ოღონდ-კი მოხერხებული შემთხვევა ყოფილიყო და აჯანყებით მაშინვე აჯანყდებოდენ.

მაგრამ მეფე ხოსრო არც დასავლეთ საქართველოს უყურებდა ნდობის თვალით: ლაზების ერთგულებისა მას არა სწამდა-რა; მალე ლაზებმაც გული აიყარეს სპარსელებზე: მათ ეგონათ, რომ სპარსელების ბატონობა ლაზიკისათვის უკეთესი იქმნებოდა; მაგრამ სპარსელების მიერ ქრისტიანობის დევნამ და ლაზიკის ბიზანტიაზე მოწყვეტამ, რომელთანაც იგი ეკონომიურად მჭიდროდ დაკავშირებული იყო, ხალხს თვალი აუხილა და დაანახვა, რომ პოლიტიკურმა ცვლილებამ მას აღებმიცემობის უმთავრესი წყარო დაუწყვიტა და სარგებლობის მაგიერ ზიანს უქადდა. ცოტა ხანს შემდგომ ლაზები დარწმუნდენ, რომ პოლიტიკურადაც სპარსელების მთავრობა ბიზანტიის მთავრობაზე გაცილებით უფრო მკაცრი და მედგარი იყო. რაკი ხოსრო მეფე ლაზებს არ ენდობოდა, მან გადასწყვიტა დასავლეთ საქართველოს საქმეები იმთავითვე ისე მოეწყო, რომ ხალხს აჯანყება ვეღარც-კი მოეხერხებინა: ამიტომ მან გადასწყვიტა ლაზიკის მეფე **გუბაზი** მოეკვლევინებინა, ლაზიკითგან ყველა მცხოვრები სპარსეთს გადაესახლებინა, ხოლო მათ მაგიერ ლაზიკაში სპარსელები და სხვა ტომის ხალხი დაებინავებინა.

ჯერ, რასაკვირველია, მეფითგან უნდა დაეწყო. ამ ვერაგ განზრახვის განხორციელება ხოსრომ ვიღაც ფავრიზს მიანდო და თან 300 გულადი მეომარი გააყოლა; გუბაზი მას ისე უნდა მოეკლა, რომ მკვლელის ვინაობა არავის გაეგო.

როცა ფავრიზი ლაზიკაში მოვიდა, მოიხმო ვიღაც ფარსანსი (ფარსმანი?), რომელზედაც გუბაზი გაჯავრებული იყო და სასახლეში არ უშვებდა; მას ეგონა, რომ ამ შეთქმულების აღსრულებაში ეს გუბაზის უმადური კაცი დაეხმარებოდა და ამიტომ დაეკითხა, მონდობილ საქმის განხორციელება როგორ უფრო ემჯობინებაო. ამ კაცმა ურჩია, პეტრაში წადი და იქ მიიწვიე მეფე გუბაზი, ვითომცდა საქმეებზე მოსალაპარაკებლადაო: მაგრამ გუბაზსაც მაშინვე შეატყობინა, გაფრთხილდი, სპარსეთის მეფის მოგზავნილ კაცს შენი მოკვლა სწადიანო. აღშფოთებული მეფე გუბაზი ამიტომ არამც თუ პეტრაში არ მივიდა, პირიქით გადასწყვიტა სპარსეთის ბატონობა უარეყო და ისევ ბიზანტიელებს მიმხრობოდა. ამისთვის მან იუსტინიანე კეისარს მოციქულები მიუგზავნა, ჩვენი დანაშაული დაივიწყე და ისევ თქვენ მხარეზე გადმოვალთო. ეს რომ კეისარმა გაიგო, ძალიან იამა და მაშინვე დაგისთეს მეთაურობით 7000 ჯარის კაცი და 1000 ჭანი ლაზებს მეშველად გაუგზავნა. როცა ფავრიზმა დაინახა, რომ ვერც მონდობილი საქმე აასრულა და ქ. პეტრასაც, უეჭველია, ლაზე ბი გარს შემოერტყმოდენ, აიყარა თავის 300 კაცით დ სპარსეთს დაბრუნდა.

მოუვიდათ თუ არა ლაზებს ბიზანტიელებისა და ჭანების მეშველი ჯარი, მაშინვე ქ. პეტრას გარს შემოერტყენ. სპარსელი ციხის მცველები გულადად დაუხვდენ შეერთებულს მტრის ძალას და, რაკი სურსათი ბლომად ჰქონდათ, კარგა ხანს მაგრად იყვნენ.

ხოსრო მეფე, დასავლეთ საქართველოს აჯანყების ამბავი რომ შეიტყო, ძალიან შეწუნდა და მერმეროეს მეთაურობით საჩქაროდ ძლიერი მხედრობა და ქვეითი ჯარი გაგზავნა. გაიგო

თუ არა მეფე გუბაზმა, რომ სპარსელების დიდი ლაშქარი მოდიოდა, ბიზანტიელების სარდალს დაგისთეს ურჩია: მდ. რიონის სამხრეთისაკენ სამზღვარზე ვიწროების დასაცავად და გზების შესაკრავად ჯარი გაგზავნე და პეტრასაც, სანამ არ აიღო, თავი არ დაანებოო; თვითონ-კი მთელი თავისი ჯარითურთ ლაზიკის აღმოსავლეთს სამზღვარზე წავიდა ვიწროების დასაცავად და გზების შესაკრავად. ამასთანავე მან ალანები და სავირები თავისკენ მოიმხრო და იმათ სამ კენდინარად (ე.ი. 300 დინარად) არამცთუ ლაზიკის მტრისაგან დაცვა იკისრეს, არამედ დაჰპირდენ, იბერიასაც ისე ავაოხრებთ, რომ სპარსელებს იქ აღარ შეესვლებოდეთო. გუბაზს ავიწყდებოდა, რომ იბერიის აოხრებით თუ სპარსელებს ზიანი მოუვიდოდათ, მთელი ეს უბედურება მაინც მის თანამომძე ქართველებს და ატყდებოდა თავზე.

ბიზანტიელების ჯარის უფროსი დაგისთე უხეირო სარდალი გაოდგა; იმის მაგიერ, რომ ვიწროების სადარაჯოდ დიდი ჯარი გაეგზავნა, მან მარტო ასი კაცი გაგზავნა; ვერც ქ. პეტრას აღება მოახერხა, თუმცა-კი კეისარს შეუთვალა, დღე-დღეზე ქალაქს ხელში ჩავიგდებთ და თქვენს წყალობას ველიო. ამასობაში მერმეროემ სპარსეთის ლაშქრითურთ იბერიის სამზღვარზე გამოიარა, მაგრამ იმ ადგილას კი არა, საცა მეფე გუბაზი იდგა, არამედ სამხრეთით, და სულ ლაზიკის სამხრეთის სამზღვრის გასწვრივ მიდიოდა, ესე რომ მდ. რიონი მარჯვნივ რჩებოდა. აქეთკენ მოსახლეობა უფრო თხლად იყო და ჯარისათვის არავითარი საფრთხე არ არსებობდა.

სპარსელთა სარდალმა მთელი ლაზიკა ისე განვლო, არსად მეტოქე არ უნახავს, მხოლოდ როცა ვიწროებთან მივიდა, სპარსელებს ბიზანტიელების რაზმი დაუხვდა და მტერს გზას მედგრად უკრავდა. მაგრამ არც ამათ დაუხევიათ უკან. ბიზანტიელების მიერ ერთს ამოხოცილ მეომართა რაზმს მეორე მოსდევდა, მეორეს მესამე, სანამდის ვიწროების მცველი ბიზანტიელი ასი მეომარი არ მოიქანცა: მაშინ ისინი მახლობელ მთის წვერზე ავიდენ და იქ შეეფარენ. დაგისთემ რომ ეს ამბავი გაიგო, მაშინვე ქ. პეტრას ალყა ახსნა, და საჩქაროდ რიონისაკენ გაემგზავრა; მას თავის ჯარისთვის არაფერი უბრძანებია და უპატრონო ჯარის კაცებმაც თავის სარდლის მაგალითს მიჰბაძეს და გაიქცენ. მაშინ-კი პეტრაში დამწყვდეული სპარსელები გამოვიდენ ციხითგან და ბიზანტიელების ბანაკს ცარცვა დაუწყეს; მაგრამ ამ დროს მათ უცებ ჭანები დაეცენ; ეს ის ჭანები იყვნენ, რომელნიც ბიზანტიელებს გაქცევის დროს არ გაჰყვნენ; ჭანებმა მრავალი ამოსწყვიტეს დ მთელ ბანაკს თვითონ დაეპატრონენ; ამის შემდეგ ჭანებიც აიყარენ და სამშობლოში დაბრუნდენ. სწორედ ამის შემდგომ მოასწრო მერმეროემაც სპარსეთის ჯარითურთ: ცხრა დღემ განვლო მას შემდეგ, რაც დაგისთე გაქცეულიყო: ქ. პეტრას ჯარი უკიდურეს გაჭირვებაში დავხდა, 150 მეომრის გარდა ყველანი დახოცილიყვნენ; ციხის კედლებიც სრულებიც დაზიანებული აღმოჩნდა; მხოლოდ დაგითესავით მხდალ სარდალს შეეძლო ალყა აეხსნა ასეთ ციხითგან. როგორც იყო მერმეროემ ზღუდე დროებით გაამაგრებინა, ჩაყენა იქ 3000 გულადი მეომარი, სურსათიც ბლომად დაუტოვა, თვითონ-კი უკან დაბრუნდა. ახლა სხვა გზით წავიდა, ამ დროს ერთმა დიდებულმა ლაზმა დაგისთე აიძულა და 2000 მეომრით სპარსელებს უკან დაედევნა, მტერს ჩაესაფრა. როცა ისინი ისვენებდენ, უცებ თავს დაესხა და რამოდენიმე კაცი მოკლა, ხოლო სპარსელების ყველა ცხენი წამოასხა, მერმეროე უკან არ მობრუნებულა და ისევ გზას გაუდგა. თუმცა გუბაზმა შეიტყო, როგორ შეირცხვინეს თავი ბიზანტიელებმა ქ. პეტრას წინააღმდეგ ბრძოლით, მაგრამ გული არ გაიტენა, და ვიწროებს მხნედ იცავდა.

ამ დროს იუსტინიანე კეისარმა გუბაზს და ლაზებს ფული: მოაშველა და ლაზების მოკავშირეებსაც სასყიდელი გაუგზავნა, ჯარითაც დახმარებას დაჰპირდა. რაკი სპარსელთა სარდალმა ნახა, რომ ლაშქრისათვის საკმაო სურსათი არ იშოვებოდა, დასტოვა ლაზიკაში ფავრიზის მეთაურობით 500 მეომარი, თვითონ-კი სომხეთში გადავიდა და ქ. დვინის მიდამოებში დაიბანაკა. ეს 5000 სპარსელი მეომარი აიყარა და რიონის პირად დადგა ბანაკად; აქეთგან პატარ-პატარა რაზმებად ახლო-მახლო სოფლებში დანავარდობდა და სცარცვავდა ხოლმე. შეიტყო თუ არა მეფე გუბაზმა ეს ამბავი, ბიზანტიელ სარდალს დაგისთეს შეუთვალა, საჩქაროდ მოდი და მომეშველეო. დაგისთეც მთელი თავისი ჯარით აიყარა და რიონის სამხრეთის ნაპირ-ნაპირ გასწია დასავლეთისაკენ და იმ ადგილას მივიდა, სადაც რიონს გაღმა ლაზები იყვნენ დაბანაკე ბული. სწორედ აქ იყო კარგი ფონი, მაგრამ არც ბიზანტიელებმა, არც

სპარსელებმა ეს არ იცოდენ; ლაზები ერთბაშად ფონს გავიდენ და ბიზანტიელებს შეუერთდენ. სპარსელებს ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ რიონზე ამ ადგილას ლაზები გადმოსვლას გაბედავდენ და არხეინად იყვნენ. ხოლო სიფრთხილის გულისათვის 1000 საუკეთესო მეომარი ბანაკის მცველად დასტოვეს. ორი ამ მცველთაგანი დასაზვერავად გამოსული ბიზანტიელებს ხელში ჩაუვარდათ და მათგან მოკავშირეებმა სპარსელების მდგომარეობის ამბავი შეიტყვეს. მა შინ გაემგზავრენ საჩქაროდ ლაზები და ბიზანტიელები და 1000 სპარსელს მოულოდნელად თავს დაესხენ; ვერც ერთმა ვერ დააღწია თავი და ვერ მოასწრო გაქცევა; უმეტესი ნაწილი დაიხოცა, დანარჩენი მოკავშირეებს ტყვედ ჩაუვარდათ.

ამ ტყვეებისაგან მეფე გუბაზმა და დაგისთემ დანარჩენ სპარსელ ლაშქრის ბინადრობისა და რაოდენობის ამბავი გაიგეს. ადგენ ისევ და შეერთებულის 14 000 ჯარითურთ მაშინვე გაემგზავრენ, რომ შუაღამეს უგრძნეულად თავს და სცემოდენ. სპარსელებმა არაფერი იცოდენ და იმ დროს არხეინად ეძინათ. ჯერ კიდევ ბინდი იყო, როცა ბიზანტიელები და ლაზები სპარსელების ბანაკს თავზე დაადგენ; უმეტეს ნაწილს ტკბილად ეძინა, ვისაც გაეღვიძნა, ჯერ ჩაუცმელი იყო და უიარაღოდ მტრის მოგერება არ შეეძლო. ბევრი სპარსელი დახოცეს მაშინ ლაზებმა და ბიზანტიელებმა, და ვინც სიბნელეში გაქცევა ვერ მოასწრო, ისინი ტყვედ წაიყვანეს; დიდძალი სურსათი, რომელიც იბერიითგან იყო გადმოტანილი, ფული და დროშები. სულ მოკავშირეებს დარჩათ. მეორე დღეს გაქცეულებს დაედევნენ და იბერიის საზღვრამდე სდიეს; აქ ლაზების ერთი რაზმი მონაპირედ დააყენეს, რომ სამზღვარი დაეცვათ და სპარსელები ლაზიკაში არ გადმოეშვათ, თვითონ-კი ძლევამოსილნი შინ დაბრუნდენ. ასე განდევნეს სპარსელები ლაზიკათგან. ეს ამბავი მოხდა 549 წელს.

როცა სპარსეთის მეფემ ეს ამბავი შეიტყო, ძალიან შეწუხდა, მაგრამ მაშინ რაღა გაეწყობოდა. 550 წელს მისმა საუკეთესო სარდალმა ხურიანემ დიდძალი სპარსეთის ჯარი შეიყვანა ლაზიკაში და მუხურისის ხეობაში, ცხენის წყალის ნაპირას, დააბანაკა. მეფე გუბაზი და დაგისთე შეერთდენ, რომ მტერს ერთად დაჰხვედროდენ.

წინა წლის გამარჯვებამ ლაზები ისე გაათამამა, რომ ბი ზანტიელებს არაფრად აგდებდენ: ჩვენი ქვეყნისათვის გული არ ეწვით და გულადად არ ომობენო. ამიტომ ლაზებმა გადასწყვიტეს თავიანთი ჯარი ცალკე გაემწკრივებინათ; ასეც მოიქცენ და ამით კინაღამ საქმე არ გააფუჭეს. როდესაც სპარსეთის ჯარი ლაზებს მოაწყდა, ისინი შედრკენ და, ბი ზანტიელებს რომ გასაოცარი მხნეობა არ გამოეჩინათ, ბრძოლა წაგებული იქნებოდა. საშინელის სისხლის ღვრის შემდგომ სპარსელები დამარცხდენ და თავის ბანაკისაკენ გაიქცენ; მაგრამ მოკავშირენი დაეწიენ და თუმცა სპარსელებმა ხანგრძლივი და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაინც მთელი ბანაკი ხელში ჩაიგდეს. ვინც თავი დააღწია და გაქცევა მოასწრო, მხოლოდ ის გადარჩა.

დამთავრდა თუ არა ეს ომი, მთავრობამ დაგისთე კოსტანტინეპოლში დაიბარა და რაკი ლაზებმა დაასმინეს - სპარსელების მოსყიდულიაო, - ციხეში ჩააგდო, ხოლო მის მაგიერ ლაზიკაში ბესსა გამოგზავნეს, რომელსაც სომხეთში მდგომ ჯარის უფროსობაც მიანდვეს.

ბესსა რომ ლაზიკაში მოვიდა, იქ უკვე სპარსეთის სარდალი ნაბედი დახვდა. ბიზანტიელების მოხელეების ურცხვ ბატონობას, თურმე ისე მოებეზრებინა აფხაზები, რომ ისევ აჯანყება ირჩიეს და თავიანთ მეფეებად აღმოსავლეთ აფხაზეთში **ოფსიტე,** დასავლეთ აფხაზეთში-კი **სკეპარნა** აირჩიეს. ხოლო ბიზანტიელებისათვის რომ წინააღმდეგობა გაეწიათ სპარსელებთან მოლაპარაკება დაიწყეს და დახმარება სთხოვეს. სპარსეთის მთავრობამ თავისი სარდალი ნაბადი გამოგზავნა, რომ აფხაზებისათვის მძევლები გამოერთმია. რასაკვირველია, ბიზანტიის კეისარმა, შეიტყო თუ არა აფხაზების ამბოხების ამბავი, თავის სარდალს ბესსას უბრძანა აფხაზები დაემოჩილებინა.

ამ დროს სკეპარნა ჯერ სპარსეთში იყო, ოფსიტემ-კი მთელი ხალხი შეაიარაღა და ბიზანტიელებს დაუხვდა, მაგრამ დამარცხდა. გაქცეულ აფხაზებს ბიზანტიელები კვალ-და-კვალ მისდევდენ კავკასიონის უღელტეხილის ქედზე აშენებულ ციხემდე. შეჰყვნენ გაქცეულებს ციხეშიაც, ცეცხლი მოსდეს და გადასწვეს. ოფისტემ მოასწრო და ჰუნნებთან გაიქცა, იმისი და სკეპარნას სახლობა კი ბიზანტიელებს ჩაუვარდა ხელში.

ამავე დროს ლაზების ჯარის უფროსი ტერნეტ აუჯანყდა თავის ბატონს; აფშილებს, რომელნიც რიონის ჩრდილოეთით აფხაზების და ლაზების შორის ბინადრობდენ და

იმთავითვე ლაზებს ემორჩილებოდენ, ერთი ძლიერი ციხე წიბელთა ჰქონდათ. ტერდეტემ მეფე გუბაზს როგორღაც შესცოდა და რაკი სასჯელს მოელოდდა, აიღო და ეს ციხეც საიდუმლოდ სპარსელებს გადასცა; თვითონაც, რასაკვირველია, იმათ მხარეზე გადავიდა, მაგრამ მერე ინანა. ბიზანტიელი ჯარი იოანე გუზის მეთაურობით შევიდა აფშილეთში (აფსილია) და მშვიდობიანი მოლაპარაკებით იგი ისევ გუბაზს დაუმორჩილა.

ამის შემდეგ 551 წელს ბესსა თავის ჯარითურთ ქალ. პეტრასაკენ გაეშურა და გარშემოერტყა. დიდი მხნეობა გულადობა გამოიჩინა ქ. პეტრაში დაბინავებულმა სპარსელმა ჯარმა. როცა ციხის ბედ-იღბალი გადაწყვეტილი და მისი არსებობის დღენი მიწურული იყო, ბესსამ სპარსელებს შეუთვალა, თქვენის ნებით დამნებდითო, მაგრამ სპარსელმა მეომრებმა ცივი უარი შემოუთვალეს, თუმცა-კი იცოდენ, რომ ბიზანტიელები ქალაქს გადაწვას უპირებდენ. აიღო თუ არა ბესსამ პეტრა, მაშინვე ცინის კედლები დაანგრევინა. უეჭველია სიფრთხილე მოითხოვდა, რომ იგი თავისი ლაშქრითურთ ლაზიკის და იბერიის სამზღვარზე დამდგარიყო, რომ იქ მდებარე ციხეები სკანდა და შორაპანი დაეჭირა და სპარსელებისათვის გზა შეეკრა; მაგრამ ბესსა იმდენად ხარბი ადამიანი იყო, რომ ლაშქარი თავის ხელქვეით ჯარის უფროსების ამარა გაისტუმრა, თვითონ კი პონტოსა და სომხეთში, წავიდა, და იქ ხარკის აკრეფასა და ხალხის ყვლეფას შეუდგა. ამ დროს კი ლაზიკისაკენ, სპარსეთის ჯარითურთ, მერმეროე მიეშურებოდა; თავის აზრით ვითომც ქ. პეტრას უნდა მიჰშველებოდა; მას ჯერ გაგებული არა ჰქონდა, რომ ბიზანტიელებმა ეს ქალაქი აიღეს და ზღუდეს კედლები მოუნგრიეს კიდეც. გზაზე მერმეროემ ეს ამბავი შეიტყო და რომაელების ბანაკისკენ გაემგზავრა. ლაზიკის დედა-ქალაქს „ძველქალაქს“ (არხაᲲოპოლის) მიადგა და ალყის შემორტყმას შეუდგა. უცებ ციხითგან ბიზანტიელების ჯარი გამოიჭრა და სპარსეთის ლაშქარს თავს დაეცა, ისინი ასეთს გაბედულობას სრულებით არ მოელოდენ და ქალაქის გარშემო უიარაღონი ხვრელის გაკეთებაზე მუშაობდენ; ბიზანტიელები მეხივით თავს დაეცენ სპარსელებს; მათ არავითარი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ და, რომელმაც-კი მოასწრო, გაქცევით სიკვდილს თავი დააღწია; დანარჩენი ან თვით ბერძნების მსხვერპლად გახდა, ან არეულობის დროს სპილოების ფეხებ ქვეშ გაისრისა. სპარსელებს ამ ბრძოლაში 4000 ჯარის კაცი და 3 სარდალი დაეხოცათ, და 4 დროშა დაეკარგათ.

მერმეროემ თავის გადარჩენილ ჯარითურთ უკან დაიხია და ერთი დღის მანძილზე დაიბანაკა; ეს ადგილი მჭიდროდ დასახლებულ და ნაყოფიერ მუხურისის სანახებში იყო და ქუთაისი ერქვა. აქ სპარსელმა სარდალმა ზამთრისათვის თავშესაფარი ააშენებინა; სპარსელები რომ აქ გამაგრდენ, მერმე რომ ბიზანტიელების ხელში მყოფ ციხე უხიმერიონს გვერდით მიმავალი გზა, რომელიც მთელ სკᲣმნიეთსა და სვანეთთან (სკᲣმნია, სუანია) აერთებდა, ჩაიგდო და შეჰკრა.

ამავე დროს სპარსელები ვითომც დაეზავენ ბიზანტიელებს, ფულიც ბლომად გამოსცინცლეს, მაგრამ მაინც თავიანთი პირობები არ აუსრულებიათ და ლაზიკაში ბრძოლა არ შეუწყვეტნიათ. თუმცა მეფე გუბაზი კეისრის ერთგული იყო, მაგრამ რაკი ბერძნების ჯარი მეტად უსირცხვოდ სძარცავდა ქვეყანას, მისმა ქვეშევრდომებმა ბიზანტიელებზე გული აიყარეს და ჩუმად სპარსელებს ეხმარებოდენ. მათი დახმარებით მერმეროემ ციხე უხიმერიონი და მისი მმიდგომი ქვეყანა ხელში ჩაიგდო; მერე რიონის შესართავისკენ გაემგზავრა და გზაზე შეიტყო, რომ ბიზანტიელები გაფანტულიყვნენ: გუბაზი კიდევ თავის ცოლ-შვილითა და ერთგულ ლაზებით მთებში გახიზნულიყო. მთელ ზამთარს მეფემ და გახიზნულებმა იქ დიდი სიცივე და გაჭირვება გამოიარეს, მაგრამ იმდენად სძულდა მას სპარსელები, რომ კეისრისათვის არ უღალატნია და ხოსროს არ მიმხრობია.

551 წელს, გაზაფხულდა თუ არა, მერმეროე, ხოსრო მეფის ბრძანებისამებრ, მეშველ ჰუნნების ჯარითურთ ხელმეორედ რიონის შესართავისაკენ გაემართა, სადაც ბიზანტიელები და გუბაზი გამაგრებულიყვნენ. ბევრს ეცადა და დიდი მხნეობა გამოიჩინა სპარსელმა სარდალმა, მაგრამ ამაოდ, თავის მოწინააღმდეგეებს ვერა დააკლო რა და ხელცარიელი უკან მობრუნდა აფხაზეთის გზით, მაგრამ აქაც გზები შეკრული დახვდა. მაშინ პირი „ძველქალაქისაკენ იბრუნა, მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა და ვერა გააწყო რა. ამის შემდეგ მან მუხურისისაკენ დაიხია, მაგრამ აქაც, როცა ხეობაში შევიდა, უეცრად ბიზანტიელები დაეცენ

და ბევრი ჯარის კაცი, მათ შორის ჰუნნების ბელადიც, დაუხოცეს. როგორც იყო მერმეროე 551 წლის დამლევს მუხურისსა და ქუთაისში მივიდა. აქეთგან გაემგზავრა ციხე ტელეფისისაკენ, რომელიც ლაზიკის მისავალში იდო ფრიალო კლდეებს შუა; გარეშემო ადგილი ღრმა ტბებითა, და ხშირი ტყეებით იყო მოფენილი, ამის გამო მისავალი გზა მეტად ძნელი და სახიფათო ჰქონდა. ბიზანტიელი სარდალი მარტინე, რომელსაც კარგად ესმოდა ამ მიუვალი ციხის მნიშვნელობა, შევიდა თავის რაზმითურთ და უფრო მეტად გამაგრებას შეუდგა. როცა მერმეროემ შეატყო, რომ ძალით ვერას გააწყობდა, ისევ ხერხი იხმარა: თავი მოიავადმყოფა და განგებ ხმა გაავრცელა, მერმეროე უკანასკნელ დღეშია და კვდებაო. შემდეგ სიკვდილის ხმაც დაჰყარეს. ბიზანტიელებმა რომ ამ ამბებს ყური მოჰკრეს, გაუხარდათ და სიფრთხილით თავი აღარ შეუწუხებიათ, და აქეთ-იქით გაიფანტენ. მაშინ-კი დაიძრა მერმეროე თავის ლაშქითურთ და უჩუმრივ ტელეფისის ციხეს მიადგა. ბიზანტიელების ჯარი თავზარდაცემული გაიქცა და იმ კუნძულზე თავი შეაფარა, რომელიც რიონისა და ნოკონის შემაერთებელ არხთან იყო წარმომდგარი. მერმეროემ ციხის გარდა ბიზანტიელების მთელი ბანაკი ჩაიგდო ხელში, მაგრამ მაინც ვეღარ გაბედა და ჯარს არ დასდევნებია, არამედ რიონს გაღმა გავიდა და ციხე ონოგურის მცველები გაამრავლა და გაამაგრა; მერე ისევ მუხირისში დაბრუნდა; აქ ავად გახდა; თავისი ჯარი ლაზიკა ში დასტოვა, რომ დაპყრობილი ქვეყანა მტრისათვის არ და ენებებინათ, თვითონ-კი იბერიაში გადავიდა. ქ. მცხეთაში რომ მიიყვანეს, მძიმედ ავადმყოფს მერმეროეს დიდხანს აღარ უცოცხლია და 554 წელს გარდაიცვალა. მის მოადგილედ სპარსეთის მეფემ ნახორაგანი გამოგზავნა.

სპარსელების გამარჯვებას მეფე გუბაზი სულ ბიზანტიელ სარდლების მარტინეს, ბესსა და რუსტიკის უნიჭობასა და ანგაარებას აბრალებდა: საფუძველიც ჰქონდა: სამისვე უკმაყოფილო იყო, არც ერთს არ ენდობოდა და კეისარს შესჩივლა, შენი მოხელეები საქმეს მიფუჭებენო. კეისარმა ბესსა დასაჯა, დანარჩენებსაც უმადურობა გამოუცხადა. ეს არაფრად მოეწონათ თავგასულ სარდლებს და გადაწყვიტეს გავლენიანი მეფე გუბაზი თავითგან მოეშორებინათ მოეკლათ; განზრახული ბოროტმოქმედება რომ სასახელო საქმედ ეჩვენებინათ, კეისარს კაცი მიუგზავნეს და გუბაზი დაასმინეს, იდუმალ სპარსელებს ელაპარაკება და შენი ღალატი სწადიანო. იუსტინიანე კეისარმა ეჭვის თვალით შეხედა ამ დასმენას და გუბაზსთან პირადად მოლაპარაკება მოისურვა; „იმან რომ უარი განაცხადოს წამოსვლაზე, როგორ მოვიქცეო“? - შეეკითხა ვერაგი მოხელე. – „მაშ ძალით წამოიყვანეთ. მაგრამ ისე, ვითომც ამალა ახლდესო“, უპასუხა კეისარმა. - „წინააღმდეგობა რომ გაგვიწიოს, მაშინ რაღა ვქნათო?“ - „მაშინ შეგიძლიანთ მას ისე მოეპყრათ, როგორც აჯანყებულს“-ო. „შეგვიძლიან მოვკლათ კიდეც?“ შეეკითხა უკანასკნელად მოხელე. „შეგიძლიან მხოლოდ მაშინ, თუ ცხადად აჯანყდა“-ო, უპასუხა იუსტინიანემ, ამგვარივე შინაარსის წერილი გამოართვა კეისარს ამ მოხელემ და გახარებული იყო; საქმე კანონიერად მოწყობილი მიაჩნდა. ლაზიკაში დაბრუნდა თუ არა, თავის ამხანაგებს წერილიც გადასცა და სიტყვიერადაც უამბო; სამივემ გადასწყვიტა, რომ ამიერითგან გუბაზის სიკვდილ-სიცოცხლე მათ ხელში იყო. ახლა, იმათი აზირით, საჭირო იყო მხოლოდ რამე მოემიზეზებინათ. ამისთვის გუბაზს შეუთვალეს, კინე ონოგურის აღება გვინდა და ჯარით მოგვეშველეო. როცა მეფე მოვიდა, რუსტიკმა გაუმეორა, ონოგურის ციხე გვწადიან ავიღოთო, ამაზე გუბაზმა მიუგო: „ეს ციხე თქვენ დაუთმეთ სპარსელებს, როგორც დაჰკარგეთ ისე დაიბრუნეთ, მაგ საქმეში არ გავერევიო“. ეს პასუხი მოიმიზეზეს, გუბაზი კეისარს ჰღალატობსო და იქვე ხანჯლით მოჰკლა სწორედ იმ სარდალმა, რომელიც იუსტინიანესთან იყო ამ საქმის თაობაზე. ეს სამარცხვინო მკვლელობა მოხდა 544 წელს. ამის შემდგომ ბიზანტიელი სარდლები ჯარითურთ ონოგურის ასაღებად გაემგზავრენ, მაგრამ საშინლად დამარცხდენ.

მეფე გუბაზის ვერაგულმა მკვლელობამ მთელი ლაზიკა ააშფოთა. ხალხი განრისხებული იყო ბიზანტიელ სარდლებზე. დიდებულები შეიყარენ ამ საქვეყნო საქმეზე მოსალაპარაკებლად. კრებაზე ორგვარი აზრი ტრიალებდა: ერთი ბიზანტიელების მოძულე და სპარსელების მომხრე დასი, რომლის მეთაურადაც მთელ სამეფოში განთქმული კაცი აეტი იყო, მეფის მკვლელობის ბრალს იუსტინიანე კეისარსაც სდებდა: სულ იმისი საქმეა, ბერძნები საზოგადოდ ვერაგი ხალხია, ამიტომ ისევ სჯობია სპარსელებს მივემხროთო; მეორე,

ბერძნების მომხრე, დასი ამტკიცებდა, რომ უეჭველია კეისარი ამ სამარცხვინო მკვლელობის მონაწილე არ იქნება და საკმაოა იუსტინიანეს აუხსნათ საქმის ვითარება და ბოროტმოქმედთა დასჯა მოვთხოვოთ, რომ ყველაფერი აგვისრულობსო, ამ დასის მეთაურად დიდებული კაცი ფარტაძე ითვლებოდა. ხანგრძლივისა და ცხარე კამათის შემდეგ ამ უკანასკნელმა აზრმა გაიმარჯვა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეშინოდათ სპარსელები ქრისტიანობის აღსარებას დაგვიშლიან და დევნას დაგვიწყებენო. კრებამ საუკეთესო დიდებულები აირჩია და კოსტანტინეპოლში გაგზავნა, რომელთაც იუსტინიანე კეისრისათვის უნდა ეამბნათ, რანაირად იქცეოდენ ლაზიკაში მისი მოხელეები და რა ვერაგულად მოატყუეს კეისარი მეფე გუბაზის ვითომც და ღალატის შესახებ, უნდა მოეთხოვათ, რომ დამნაშავენი სასტიკად და სამაგალითოდ დაესაჯა, ხოლო ლაზიკის მეფედ გუბაზის უმცროსი ძმა **წათე** დაემტკიცებინა. ამ დროს **წათე** თავის სახლობითურთ სწორედ კოსტანტინე პოლში იყო; განსვენებულმა მეფემ თავის მამობრივ სიყვარულითა და მზრუნველობით ისედაც პატივცემული სამეფო გვარეულობა უფრო მეტად შეაყვარა.

ლაზების ამორჩეულმა კაცებმა საქმე სასურველად დაატრიალეს: კეისარმა **წათე** ლაზიკის მეფედ დაამტკიცა და სამეფო ნიშნები მისცა; მიუდგომლობით განთქმული ანასტასი სენატორი, ახალ მეფეს თან გაატანა და უბრძანა ბოროტმოქმედება სასტიკად გამოეძია დამნაშავენი მკაცრა დაესაჯა. წათე საჩქაროდ გაემგზავრა ლაზიკაში, მას თან ახლდა ანასტასიც. მობრძანებულ მეფეს ერი აღტაცებით მიეგება; ბიზანტიის მთელი მხედრობა თავის სარდლებითურთ სამეფო ტანისამოსში გამოწყობილს წათეს დახვდა და მიესალმა; ნავთსადგურითგან მოყოლებული სამეფო ქალაქამდე ეს ჯარი მეფეს წინ უძღოდა; მიბძანდა თუ არა წათე სასახლეში, ანასტასი სენატორმა რუსტიკი დაატუსაღებინა და აფსართა ციხეში გაგზავნა; იოანე გაიქცა, მაგრამ დაედევნენ და დაჭერილი ციხეში მიიყვანეს.

მაგრამ საქმის გარჩევა გადაიდო; ნახორაგანი სპარსელების დიდის ჯარითურთ მუხირისაკენ გაემგზავრა და ბიზანტიელები ბრძოლისათვის უნდა მომზადებულიყვნენ. იმის მაგიერ, რომ ასეთს გარემოებაში ყველას გული მოეგოთ, კოსტანტინეპოლითგან გამოგზავნილმა სოტერიხვა, რომელსაც უტიგურებისა, ალანებისა და ლაზიკის სხვა მეზობელ ტომებისათვის ფული უნდა დაერიგებინა, რაკი ისინი სპარსელებს არ მიუდგენ, თავისის მედიდური ქცევით მისიმიელთა ტომი ააჯანყა. მისიმიელნი აფშილეთის ჩრდილოეთ-სამხრეთისაკენ ბინადრობდენ და ლაზიკის მეფის მოყმენი იყვნენ, მაგრამ საკუთარი ენა და ადათი ჰქონდა. როცა სოტერიხი მოვიდა, მათ ეგონათ, რომ ბიზანტიელები იმათ ქვეყანაში ბინის გაჩენას აპირებენ, მივიდენ და წინააღმდეგობა გამოუცხადეს. ეს იწყინა მოხელემ და მოგზავნილი კაცები დააჭერინა, აცემინა და ცოცხალ-მკვდარი შინ გაისტუმრა. ამ ამბავმა ხალხი იმდენად ააღელვა, რომ მაშინვე იგრიალეს და ღამე მძინარე სოტერიხს მიადგენ და თავის ოთხი შვილითურთ ამოხოცეს, გაცარცვეს მოკლულნი, გაიტაცეს მათი ბარგი და მოტანილი ფული. შინ რომ დაბრუნდენ და დამშვიდდენ, მაშინ-კი შეფიქრდენ და შეშინდენ, კეისარი ხომ არ შეგვარჩენს და ისევ სჯობია სპარსელებს მივემხროთ და დახმარება ვთხოვოთო.

ამ დროს ნახორაგანი, მრავალრიცხოვან სპარსელთა ჯარითურთ რიონის კუნძულისაკენ მიეშურებოდა; სარდალს იქ ბიზანტიელების ჯარი ეგულებოდა და იმათი დამარცხება სწადდა, მაგრამ ძალიან შეცდა. ბიზანტიელებმა ორჯერ საშინლად დაამარცხეს სპარსელები; ერთხელ ძველქალაქის (არხაᲘიოპოლის) მახლობლად, მეორედ ქ. ფოთთან (ფაზისი). ამ ქალაქს ხის გალავანი ერტყა და აქა-იქ დანგრეული იყო, მაგრამ დიდი თხრილი გარშემოავლეს, ტბის წყლით გაავსეს და დიდის მეცადინეობით ყოველნაირად გაამაგრეს. გამწვავებულ და თავგამოდებულ ბრძოლის შემდგომ 554 წელს სპარსელები საშინლად დამარცხდნენ. სარდალიცა და ლაშქარიც ქუდმოგლეჯილი და თავზარდაცემული გარბოდენ ბრძოლის ველითგან. ნახორაგანმა მთელი თავისი მხედრობა მუხირისში ჩააყენა, თვითონ კი იბერიაში გადავიდა.

დაამარცხეს თუ არა სპარსელები, ბიზანტიელები მაშინვე მეფე გუბაზის მკვლელების საქმის გარჩევას შეუდგენ. ანასტასი სენატორმა ძველქალაქში (არხაᲘოპოლში) მაღალი საყ დარი ააგებინა, მოაყვანინა რუსტიკი და იოანე და საჯაროდ გაასამართლა. დიდძალი ხალხი

და ჯარი დაესწრო ამ საქმის გარჩევას. ბრალმდებლებად ლაზების მოწინავე კაცები იყვნენ. ორივე ბრალდებულნი ანასტასი სენატორმა დამნაშავედ ცნო და სიკვდილი გადაუწყვიტა.

ამის შემდეგ ბიზანტიელებმა 555 წელს მისიმიელების დასასჯელად გაილაშქრეს; მათი მხედრობა დაბანაკდა აფშილებისა და მისიმელთა ქვეყნის საზღვარზე მდებარე ციხე წიბელთავში (წიბელიოს). აფშილებს უნდოდათ თავიანთი მეზობლები განადგურებისაგან გადაერჩინათ და ამიტომ მათ თავის მხრივ მოციქულები მიუგზავნეს, ბიზანტიელებთან შეგარიგებთო. მისიმიელნი-კი იმდენად გამხეცდენ, რომ ეს მოციქულებიც დახოცეს. ამაზე გულმოსულმა ბიზანტიელებმა მისიმიელთა ქვეყანა გაანადგურეს და გადაბუგეს, ხალხს პირუტყვსავით ხოცდენ. ღონემიხდილმა და შეშინებულმა მისიმიელებმა მაშინ კი იკადრეს და თვითონ შეეხვეწენ ბიზანტიელებს, გვაპატიეთ, კმარა რაც გადაგვხდა, ქრისტიანები ვართ ნუ გაგვწყვიტავთო, იმათაც შეისმინეს, სოტერიხის მკვლელობისა და გატაცებული ფულის სანაზღაურო გადაახდევინეს, და ისევ ლაზიკაში დაბრუნდენ.

ლაზიკაშიაც ბიზანტიელებმა სპარსელებს ვარდციხე (როდოპოლის) წაართვეს.

556 წელს ლაზიკაში მყოფი ბიზანტიელების ჯარი ჭანეთში გაგზავნეს. ჭანების ერთი ნაწილი კეისარს ემორჩილებოდა, ხოლო მეორე ნაწილი, მთებში მობინადრე, კეისარისაგან ყოველწლივ საჩუქარს იღებდა, მაგრამ ცარცვა-გლეჯას არ იშლიდა. სწორედ ამათ დასასჯელად გაგზავნეს ჯარი, მედგარ და გამწვავებულ ბრძოლის შემდგომ ჭანები დაამარცხეს და დაიმორჩილეს; ამას შემდეგ არამც თუ ყოველწლიური შესაწირავი ოქრო მოუსპეს, პირიქით მათ გადასახადიც დაადგეს.

მეფე ხოსრო დარწმუნდა, რომ ლაზიკაში სპარსელების საქმე წაგებული იყო, და ისევ ზავის შეკვრა ირჩია. ორივ სახელმწიფოს ელჩებმა ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ **ხელშეკრულობა დასდგეს,** სადაც სხვათა შორის ნათქვამი იყო, რომ **ზავი 50 წლით უნდა ყოფილიყო, შეკრული და სპარსელები ლაზიკას სრულებით თავს დაანებებდენ. არც ერთ მხარეს საზღვრებზე ციხე-სიმაგრეები არ უნდა აეგო. სპარსეთს არ შეეძლო პირიქითელ კავკასიელ ტომებისათვის კასპიის ზღვის გზა მიეცა და გადმოეშვა. ორისავე მხრივ ვაჭრებს ორსავე სახელმწიფოში აღებმიცემობის უფლება თანასწორად ექნებოდა. სპარსელები თავიანთ სამფლობელოში ქრისტიანების დევნას დაიშლიდენ, ამ სარწმუნოების აღსარებას აღარ აკრძალავდენ და ქრისტიანებს ნებას მისცემდენ მიცვალებულნა მიწისთვის მიებარებინათ.**

ზავის ჩამოგდების შემდეგ საცილობელ საგნად საქართველოში მხოლოდ სვანეთი-ღა იყო. სვანეთი ლაზიკის მეფის სამფლობელოს ეკუთვნოდა. თუმცა მას თავისი საკუთარი მთავარი ჰყავდა, მაგრამ თვითოეულს ახალ მთავარს ლაზიკის მეფე ჰნიშნავდა და ამტკიცებდა ხოლმე. თეოდოსი კეისარისა და უარანეს დროთგან მოყოლებული სვანეთის ყველა მთავარი ლაზების მეფების დანიშნული იყო. გადასახადის მაგიერ სვანები ყოველ წლივ ხილეულობას, თაფლსა და ნადირის ტყავებს უგზავნიდენ ხოლმე ლაზიკის ბატონს. ლაზები თავის მხრივ სვანებს სურსათს უგზავნიდენ. გუბაზ მეფე რომ ბიზანტიელ სარდალს მარტინეს წაეჩხუბა, ბიზანტიელების ჯიბრით სვანებს სურსათი აღარ მიაშველებინა. სვანებმა კიდევ ბიზანტიელებზე იყარეს ჯავრი და სპარსელებს მიემხრენ. ბიზანტიელების პატარა რაზმს შეეშინა სპარსელებისა და სვანეთი დასტოვა. როცა ბიზანტიელებმა და სპარსელებმა ზავი დასდვეს, ბიზანტიელები გაიძახოდენ, სვანეთიც, ვითარცა ლაზიკის ქვეშევრდომი ქვეყანა, ხელშეკრულობის ძალით ლაზიკასავით ჩვენ უნდა დაგვრჩეს; სპარსელები-კი ამტკიცებდენ, სვანები სხვა ხალხია და, ვითარცა ჩვენსკენ ნებაყოფლობით გადმოსული, ჩვენვე უნდა დაგვრჩესო. ამ საცილობელ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად კეისარმა საგანგებო დესპანი მიუგზავნა სპარსეთის ბატონს; მაგრამ შაჰანშაჰი დათმობას არ აპირებდა, ისევ სვანეთის მთავარს მივანდოთ ამ საქმის გადაწყვეტა, ვისკენაც უნდა იმას მიემხროსო.

ამასობაში სპარსეთის მეფე ჰორმიზდს აუჯანყდა მისი სარდალი ბაჰრამ ჩუბინი და თვითონ უნდა გამეფებულიყო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა; დიდებულებმა, რომელთაც მეფე სძულდათ, ისარგებლეს ამ შემთხვევით, და დაიჭირეს ჰორმიზდი და, თუმცა თვალები დასთხარეს, მაგრამ მეფედ მაინც აჯანყებული სარდალი-კი არ გამოაცხადეს, არამედ ჰორმიზდის შვილი ხოსრო II. ბაჰრამმა ხოსრო, რასაკვირველია, მეფედ არა სცნო, და მის წინააღმდეგ გაილაშქრა. ხოსრო მე II-ემ ვერ მოასწრო, რომ ჯარი გარშემოეყარა და უმწეოდ

დარჩენილი, ქ. ანტიოქიაში გაიქცა და ბიზანტიის კეისარს შეეფარა. მავრიკე კეისარმა შეიწყნარა იგი და თავისი მხედრობა მეშველად მისცა, რომლის დახმარებითაც ხოსრო მე-II სამეფო ტახტი დაიბრუნა. ამ დახმარების სამადლობლად ხოსრო მე-**II იბერიის მომეტებული ნაწილი ქ. თბილისამდე მავრიკი კეისარს გადასცა.** ეს უნდა მომხდარიყო, მაშასადამე, 591 წელს და ამ დათმობის წყალობით იბერია კვლავ ორად გაიყო, ამასთანავე იბერიის დასავლეთი ნაწილი ქ. თბილისამდე ბიზანტიის კეისრის ხელში გადასულა, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი ისევ სპარსთა ბატონებს შერჩენიათ.

მეფე ხოსრომ ამას გარდა თავის სამეფოში ქრისტიანობის თავისუფლება გამოაცხადა, მხოლოდ მაზდეიანობის მიმდევართ ნება არ ჰქონდათ ქრისტიანობა მიეღოთ.

ბიზანტიელების ხელში გადასული იბერიის ნაწილი, ვგონებ დიდხანს არ შერჩენიათ. როცა კეისარს მავრიკეს ფოკა აუჯანყდა და მავრიკე მოჰკლა, ხოსრო მე-II-ემ 604 წ. ვითომცდა თავის მფარველის მავრიკეს სისხლის შურის საძიებლად ბერძნებს ომი აუტეხა.

სპარსთა მეფემ ბიზანტიელნი მრავალგზის დაამარცხა და 606-6 წ. კეისრის ჯარი კარინიდანაც-კი განდევნა. ამავე დროს ბიზანტიელებს ალბათ იბერიის დათმობილი ნაწილი უნდა დაეკარგათ.

მაშასადამე მე-VII-ე საუკუნის დამდეგს აღმოსავლეთი საქართველო ისევ შეერთებულა და კვლავ სპარსთა ბატონობის ქვეშე ყოფილა. თფილისში სპარსეთის მეფის მარზპანი იჯდა, რომელთაც ვითარცა შაჰის წარმომადგენელს, აღმოსავლეთი საქართველო ემორჩილებოდა. ხოლო შინაური საქმეების მართვა-გამგეობა დიდებულ აზნაურთა ხელთ იყო. მეშვიდე საუკუნის დამდეგ იბერიის შინაურ საქმეებს განაგებდენ და მართავდენ, როგორც კირიონ და აბრამ კათალიკოზთა მიწერ-მოწერითგან ჩანს, **მთავარნი ადარნერსე, არშუშა, ვაჰანი, ბუზმიჰრი და სხვანი წარჩინებულნი.**

სპარსეთის შაჰის ხოსრო მე-II-ს გათამამებულ ნავარდობასა და ბიზანტიის ქვეყნების აოხრებას ბოლო კეისარმა ჰერაკლემ მოუღო. იგი არც სპარსთა მხედრობის წინააღმდეგ გაემგზავრა და არც ჰსურდა მას შეჰბმოდა, არამედ გადასწყვიტა ჯერ სპარსთა ჩრდილოეთის სამფლობელოებისათვის ევნო და ჩამოეშორებინა და მერე თვით სპარაელებსაც გამკლავებოდა. აიღო და სამეგრელოს გზით 614 წ. პირდაპირ სომხეთს შეესია, აქეთგან იგი გადავიდა ადარბაგანში, სადაც იმყოფებოდა სპარსთა მეფე, და მრავალი სოფელი და ქალაქი აიღო და წარტყვენა. რაკი ხოსრო მეფემ ჰერაკლეს პირი მოარიდა და ზამთარიც მოახლოვებული იყო, კეისარმა თავისი მხედრობა საზამთროდ ალბანიაში შემოიყვანა. ალბანიითგან ჰერაკლემ მოსამზღვრე ქვეყნების მთავრებს წერილები დაუგზავნა, წარმომიდეგით ნებაყოფლობით, მიიღეთ და ზამთარში მე და ჩემს მხედრობას მემსახურეთ. თორემ ურჩებს ისე მოვეპყრობი, როგორც წარმართებს, ავიღაბ მათ ციხეს და მათ ქვეყანას ჯარს ავაკლებინებო. ზოგი მიემხრო კეისარს, ზოგმა კიდევ, როგორც მაგ. ალბანელებმა, ყურადღება არ მიაქცია და წინააღმდეგობისათვის სამზადისში იყო.

ჰერეკლეს ლაზები, აფხაზები და იბერიის ერთი ნაწილი მიმხრობია, მეორე ნაწილი თბილისითურთ სპარსელების ერთგული ყოფილა, ამგვარად კეისარს მოკავშირეებად სხვათა შორის ლაზთა აბხაზთა და იბერთა ჯარებიცა ჰყავდა. ჰერაკლის ერთი წლის შემდეგ უნდოდა თვით სპარსთა მეფის ლაშქარს ხოსროს შეჰბმოდა, მაგრამ ჯარმა, მეტადრე-კი ლაზებმა, აფხაზებმა და იბერმა მოკავშირეებმა არ მოინდომეს. ხოლო, როდესაც ჰერაკლეს სპარსთა ლაშქარი მოეწია, ლაზებმა და აფხაზებმა მოკავშირეობაზე კეისარს უარი უთხრეს და შინისაკენ გაემგზავრენ. კეისარმა მეშველად ხაზარნი მოიწვია, რომელნიც გადმოვიდენ ხაკანის მეთაურობით.

ამ ხაკანს ჩვენი მატიანე „ჯიბღუ“-ს ეძახის. იგი დასავლეთელ თურქების ხაკანი „ტონგ ჯაბღუ ხაგან “-ი (618-630) ყოფილა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ მოგვითხრობს „ჩამოვლო ჰერაკლე მეფემან ბერძენთამან და უჴმო ციხისთავმან კალაჲთ თფილისისაჲთ მეფესა ჰერაკლეს ვაცბოტობით... და მეფემან თქუა... „მე მიგაგო მისაგებელი შენი და დაუტევა ჯიბღო ერისთავი ბრძოლად და თჳით წარვიდა ბაბილოვნად ბრძოლად ხუასრო. მცირეთა დღეთა შემდგომად კალაჲ გამოიღო და ციხისთავი

იგი შეიპყრა და პირი დრაჰკნით აღუვსო და მერმე მრთელსა ტყავი გაჰკადა და მეფესა უკანა მისწია გარდბანს“.

ჰერაკლე მეფეს მეშველად 626 წელს[1] გადმოუყვანია ჯიბღუ ხაკანი თავისი 1000 მხედრით და შვილით შათითურთ 627 წ, გადმოვიდა ამიერ-კავკასიაში. იმავე წელს ჰერაკლე კეისარი და ჯიბღუ ხაკანი შეერთებულის მხედრობით აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქს თბილისს მიადგა, ალბათ ვითარცა ურჩსა და სპარსთა მომხრეს. ხოსრო მეფემ რომ შეიტყო, ბერძნები თბილისის გარემოცვას აპირებენო, გულადი მეომარი სარდალი შარჰაპალი 1000 რჩეულ მხედრითურთ თბილისის მკვიდრთ მიაშველა. მცხოვრებნი გამხნევდენ, მტერს მამაცურად დაუხვდენ და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ბერძნები და ხაზარნი ბევრს ეცადენ ყოველგვარის საშუალებით საბრძოლველ მანქანებითაც-კი, მეომარნიც ბევრი დაეხოცათ, მაგრამ მაინც ქალაქი ვერ აიღეს. მაშინ კეისარმა და ჯიბღუ ხაკანმა გადაწყვიტეს თბილისისათვის დროებით თავი დაენებებინათ და ჰერაკლეს სპარსეთში გაელაშქრნა, ხოლო მერე თავიანთი წადილი განეხორციელებინათ. თბილისელებმა რომ შეიტყეს ჩვენი მტრები იყრებიან და მიდიანო, გათამამდენ და ბერძნებს და ხაზარებს დასცინოდენ: დიდს კვახზე მასხრულად ვითომც ხაკანის სახე გამოხატეს და ზღუდითგან უჩვენებდენ: „აი თქვენი ჯიბღუ ხაკანი“-ო. კეისარსაც მასხარად იგდებდენ და ჰგმობდენ. „უჴმო ციხისთავმან კალაჲთ თბილისისაჲთ მეფესა ჰერაკლეს ვაცბოტობით“. ამაზე ორივენი ძალზე გაბრაზდენ და გადასწყვიტეს შეურაცყოფისათვის მცხოვრებნი სასტიკად დაესაჯათ.

ამ მუქარით წავიდა ორივე მოკავშირე. თფილისელებზე ჯავრი ჯიბღუს შვილმა შათმა ამოიყარა, რომელიც თფილისს კვლავ გარშემოერტყა და დაუწყო ბრძოლა. ორი თვის გარემოცვისა და ომის შემდგომ ქალაქი აიღო, ხოლო მცხოვრებნი დაუნდობლივ ამოსწყვიტა. იქვე შეიპყრეს ორი მთავარი, ერთი იყო სპარსთა მთავრობის წარმომადგენელი, ხოლო მეორე ადგილობრივი მკვიდრი ქართველი, ალბათ დიდებულ აზნაურთა მმართველი წრის წევრთაგანი. ორივე ტყვე კეისარს მიჰგვარეს, რომელმაც ჯერ თვალები დაათხრევინა, ხოლო შემდეგ ჩამოაღრჩობინა, ტყავი გაახდევინა, ბალახით გაატენინა და ზღუდის კედელზე ჩამოაკიდებინა. მერე მთელი ქალაქი გაცარცვეს და უთვალავი განძეულობა ჩაიგდეს ხელში, ურიცხვი ოქროსი და ვერცხლის ქანქარი და მრავალი საეკლესიო სამკაული მოთვალულ-მომარგალიტებული სიწმიდის სამსახურებელი.

ჰერაკლე კეისრისა და რაჰბადის ომის დროს ბიზანტიელებმა 6 18 წ. ცოცხლივ ტყვედ წაიყვანეს **სპარსთა მიერ დაყენებული იბერთა მთავარი ვარსამუსეს.**

ჰერაკლე კეისარის გამარჯვების შემდეგ, აღმოსავლეთი საქართველო ისევ ბიზანტიის ხელში გადავიდა. მართლაც ჯვარის ეკლესიის აღმაშენებელ ერისთავებს ბიზანტიური საკარისკაცო პატივი ჰქონიათ მინიჭებული, მაგ. ჯვარის მონასტრის VII ს. ეკკლესიის აღმაშენებელი იყვნენ „სტეფანოზ ქართლისა **პატრიკიოსი“,** დემეტრე „ჯპატოსი“, ადარნერსე ჯპატოსი“ და სხვა.

ჰერაკლე მეფემ თავის ლაშქრობას სპარსთა წინააღმდეგ სარწმუნოებრივი ხასიათი მისცა: კეისარი წარმართთა წინააღმდეგ მებრძოლ ქრისტიანე მხედარ-ხელმწიფედ გამოვიდა და ასეც შესცქეროდენ მას ბევრგან სპარსთა ბატონობით შევიწროებული ქრისტიანენი.

საქართველოშიაც კეისარს იძულებითი ღონისძიება უხმარია, რომ აქაც წარმართობა დათრგუნვილი, ხოლო ქრისტიანობა ძლევამოსილი ყოფილიყო.

„ჰერაკლე თბილისს და მცხეთას და უჟარმას განავლინნა ქადაგნი, რაჲთა ყოველი ქრისტიანენი ქალაქთა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლის მსახურნი ანუ მოინათლნენ ანუ მოისრნენ; ხოლო მათ ნათლის ღებაჲ არა ინებეს, ზაკუით თანა აღერინეს ქრისტეანეთა ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჰმართა მახჯლი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს; ხოლო ჰერაკლე განწმიდა შჯული ქრისტეჲსი და წარვიდა“-ო, - მოგვითხრობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ?“

[1] ბიზანტიელ ისტორიკოსის თეოფანეს სიტყვით 617 წ.

მეტად დამახასიათებელია და საგულისხმიერო ეს ძალდატანებითი გაქრისტიანება, მახვილით და იძულებით მოქცევა! ეს ხომ თვით იესოს მაღალს მოძღვრებას, რომელიც ყოველგვარს ძალმომრეობას ჰგმობდა და იძულებას უარჰყოფდა, სრულებით ეწინააღმდეგებოდა!..

ბიზანტიის კეისარს დიდხანს არ უსარგებლნია თავის გამარჯვებით: სამხრეთი უკვე მოდიოდა მუჰამედის მოძღვრებით აღფრთოვანებული არაბთა ლაშქარი, რომელიც აგრეთვე ძალითა და მახვილით ავრცელებდა ახალს სარწმუნოებას.

ამგვარად ბიზანტიასა და სპარსთა შორის ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოს გამო მაინც და მაინც ბიზანტიის გამარჯვებით დამთავრდა: სპარსეთმა თუმცა ყოველი ღონისძიება იხმარა, მაგრამ ლაზიკა მაინც ხელში ვერ ჩაიგდო; ლაზიკა ისევ ბიზანტიელების მფარველობის ქვეშ დარჩა და საკუთავი მეფობა და შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობა შეირჩინა; იბერიაც სპარსთა ბატონობას ხელითგან გამოაცალეს ბიზანტიელებმა. ამის შემდგომ დიდხანს არც სპარსეთს უცოცხლია: მე-VII-ე საუკუნის მეორმოცე წლებში არაბებმა მთელი სპარსეთი დაიპყრეს და მეფობა გააუქმეს.

თავი მეორე. საქართველოს კულტურა **I-VII** ქრ. შ.

საქართველოს ისტორიის მთელი ის ხანა, რომლის შესახებაც პირველ თავშია საუბარი, უმეტეს ნაწილად სპარსეთსა და ბიზანტიას შორის გამწვავებულ ბრძოლასა და ქიშპობაში დაილია. ეს ორი ძლიერი სახელმწიფო ერთმანეთს საქართველოზე ეცილებოდენ და ჰსურდათ მის ერთადერთ ბატონად გამხდარიყვნენ. ეს მედგარი მტრობა და სისხლის ღვრა მხოლოდ გარეშე შემოჭრილმა ძალამ, გამაჰმადიანებულმა არაბობამ, მოსპო.

ამ ხნის განმავლობაში საქართველო ორ სამეფოდ იყო გაყოფილი: ლაზიკად და იბერიად, რომელმაც 532 თავისუფლება დაჰკარგა და 627 წლამდე თითქმის განუწყვეტლივ სპარსეთის ხელთ იყო. სასანელთა გვარის შაჰები სულ იმის საგონებელსა და ცდაში იყვნენ, რომ ლაზიკაც იმათ რგებოდათ და მთელ საქართველოსა და კავკასიის მბრძანებლად გამხდარიყვნენ.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდგომ, ლაზიკა მაინც ბიზანტიელებმა შეირჩინეს. ამგვარად, დასავლეთი საქართველო განსაკუთრებით ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო, აღმოსავლეთი საქართველო კიდევ სპარსეთის გავლენას ექვემდებარებო და, მაგრამ ამასთანავე როგორც იბერიაში ბიზანტიელების კულტურა ძლიერი იყო, ისე ლაზიკაში სპარსეთის კულტურასაც გზა გაკვლეული ჰქონდა.

თვით **ქართველების ნატვრისა და მისწრაფების ერთად-ერთ საგნად პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო;** არც ბიზანტიისა, არც სპარსეთის ბატონობის მოტრფიალე ლაზიკა და იბერია არასდროს არ ყოფილა: როდესაც ქვეყანა ბიზანტიის ხელში იყო და მის მონელეების ბოროტებისაგან სამეფო ილაჯ გაწყვეტილი იყო, ხალხი სასანელთა შაჰებს ემხრებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბერძნები განედევნათ და თავისუფლება მოეპოვებიათ; ამგვარადვე ბიზანტიელებს სთხოვდენ ხოლმე შველას, როცა ქვეყანას სპარსე თი აწუხებდა. ორ წყალს შუა მყოფი ქართველობა სცდილობდა მოცილე სახელმწიფოების მეტოქეობით ესარგებლნა და თავისი მდგომარეობა გაეუმჯობესებინა.

ქართველებს მაშინაც ჩინებულად ესმოდათ თავიანთი პოლიტიკური მდგომარეობა და მშვენივრად იცოდენ რა ფასიც ჰქონდა მათ ძლიერს მეზობლობის მფარველობას. **იბერია** ის ქვეყანა არისო, ნათქვამია პეტრე ქართველის ცხოვრებაში, რომელსაც „ყოველთვის ჰრომაელებთან და სპარსელებთან ბრძოლა ჰქონდა, იმიტომ, რომ თვითოეული იმ ერთაგანი, მფარველობის გაჩენის დროს, სულ იმაზე ფიქრობდა, რომ მთელს ამ ქვეყანას როგორმე დაჰპატრონებოდაო“. ეს სიტყვები საუცხოოდ გვისურათებს ბიზანტიელ-სპარსთა სულის კვეთებას და ცხადად ამტკიცებს, რომ იმ დროინდელი ქართველები თავიანთ მფარველ

მეზობლების იდუმალ წადილს მიხვედრილი იყვნენ და პოლიტიკური ვითარება კარგათ ჰქონდათ გათვალისწინებული.

რაკი არც ბიზანტიის კეისრებს, არც შაჰებს არ სჯეროდათ, რომ ქართველები მათ გულწრფელს მეგობრობას და მოკავშირეობას გაუწევდენ, „ფიცით სიმტკიცისა“ და ხელშეკრულობის გარდა ყოველთვის ცდილობდენ, რომ უმეტესისა სიმტკიცისათვის ქართველთა მეფისაგან მოეთხოვათ „მძევალიცა“. მძევლობა ბიზანტიელებისათვისაც და სპარსელებისათვისაც, „სიმტკიცეს“ გარდა, იმათაც იყო ხელსაყრელი, რომ ქართველი უფლისწულები ამგვარად ითვისებდენ ბერძნებისა ან სპარსელების ენას, ზნე-ჩვეულებას, იქაურ ცხოვრებას ეჩვეოდენ და მეგობრებს იჩენდენ. შინ რომ დაბრუნდებოდენ და მათის გამეფების ჯერიც დადგებოდა, ნამძევლარი აღზრდა-განათლებითაც ბერძნებთან და სპარსელებთან იყო ხოლმე დაკავშირებული. ამასთანავე ბიზანტიის კეისრები ცდილობდენ, რომ მძევლად წაყვანილი ქართველი უფლისწულები ბერძნებთან მოყვრობითაც დაახლოვებული ყოფილიყვნენ; ამიტომ მათ, როგორც მაგ. ლაზების ბატონიშვილებს, ცოლებად ჰრომაელ დიდებულთა ასულებსა რთავდენ ხოლმე. რასაკვირველია თავის მხრივ სპარსთა შაჰებიც ეცდებოდენ მოყვრობით ქართველ უფლისწულთა გული მოეხიბლათ, მეტადრე სანამ საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქმნებოდა გამოცხადებული.

უეჭველია, ეს დიდი და ძლიერი ხერხი იყო, რომ მომავალი ქართველი მეფეები სულიერად და ხორციელად დაახლოვებული ჰყოლოდათ; მაგრამ არა ერთი და ორი ისტორიული შემთხვევა ცხადად ამტკიცებს, რომ ვერც ამ გზით შესძლეს კეისრებმა და შაჰებმა ქართველთა პოლიტიაური თვითშემეცნება დაეხშოთ და თავიანთ ყურმოჭრილ ყმად გაეხადათ.

ისეც მომხდარა, რომ მძევლად ნაყოფი, რა გამეფდებოდა, სწორედ თავიანთ მფარველების წინააღმდეგ დაიწყებდა მოქმედებას, თუ რომ მათს მფარველობას ქვეყნისათვის ვნების მეტი არა მოჰქონდა რა და მფარველობა დაპყრობის წინამორბედად გამოჩნდებოდა ხოლმე.

თუმცა ბიზანტიას მეტად საზიზღარი და ანგაარი მოხელეები ჰყავდა, მაგრამ მაინც-და-მაინც თვით კეისრების მთავრობა სასანელთა გვარის მეფეებს სჯობდა და იმდენად სასტიკი და გულქვა არ იყო; ამიტომ ქართველებისათვის ბიზანტიელების მფარველობა იმდენად დამღუპველი არ ყოფილა, როგორადაც სპარსელების მფარველობა. აკი აღმოსავლეთმა საქართველომ დაჰკარგა თავისუფლებაცა და მეფობაც, ხოლო დასავლეთმა საქართველომ საკუთარ სამეფოს არსებობა შეირჩინა და კვლავინდებურად ბიზანტიელების მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა.

ლაზიკის სათავეში იდგა მეფე; მას ლაზ მეგრელებს გარდა აფხაზები, აფშილები, მისიმიელნი და სვანებიც ემოჩილებოდენ, მაგრამ მათ თავიანთ საკუთარი მთავრები ჰყავდათ; ლაზიკის მეფე მხოლოდ ამტკიცებდა თვითოეულს ახალს მთავარს. ყველა ამ ტომს ლაზიკის მეფის სასარგებლოდ ყოველწლიური გადასახადი და ბეგარა ედო, მეფეც თავის მხრივ ეხმარებოდა ხოლმე. **მეფის უფლება ლაზიკაში სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდ და ამ უფლების მემკვიდრეობა,** როგორც ჩანს, **იმაზე გადადიოდა, ვინც განსვენებულ მეფის მომდევნო და წლოვანობით უფროსი იყო საგვარეულოში.** მაგალითად, ლაზიკის მეფეს წათეს I შემდგომ, რომელიც იუსტინ კეისრის დროს ცხოვრობდა, ტახტზე ავიდა იმისი შვილი გუბაზი-კი არა, არამედ მისი ძმა ოფსითე; იფსითეს მემკვიდრედ კიდევ სამეფო ტახტზე წათეს პირველი შვილი გუბაზი იყო, ხოლო მისი მოკვლის შემდგომ გამეფდა წათე პირველის მეორე შვილი და გუბაზის უმცროსი ძმა წათე მე-II; მაშასადამე **ლაზიკაშიც იგივე მემკვიდრეობის წესი სუფევდა, როგორიც იბერიაში იყო I ს ქრ.შ.,** პირდაპირი მემკვიდრეობის უფლება-კი არა, არამედ საგვარეულოში უფროსობისდა მიხედვით.

ბიზანტიის კეისარზე დამოკიდებულება მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ ახლად ტახტზე ამავალს მეფეს კეისარი სამეფო ნიშნებს და სამკაულს უგზავნიდა ხოლმე; არავითარ ხარკს ხალხი და ლაზიკის ბატონი ბიზანტიის მთავრობას არ აძლევდენ: 532 წლამდე ლაზიკაში ბიზანტიელებს მუდმივი ჯარიც-კი არა ჰყოლიათ, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც

სპარსეთმა იბერიის სამეფო მოსპო და ლაზიკის დაპყრობას ცდილობდა. კეისარმა ლაზიკის ზოგიერთ ციხეში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის საზღვარზე და ზღვის პირას, საგანგებო ჯარი ჩააყენა.

ამ დროს ლაზიკაში წოდებრივი განსხვავება ყოფილა და მოწინავე წოდება, როგორც ეტყობა, სამეფოს საქმეებში მონაწილეობას იღებდა.

ლაზიკაში მწერლობა არსებობდა და სახელმწიფო მართვა-გამგეობა იმდენად დაწინაურებული ყოფილა, რომ სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საბუთებს ინახავდენ თურმე; სხვათა შორის, ლაზების დესპანების სიტყვით, მათ შენახული ჰქონიათ ზავის წიგნები და ხელშეკრულობათა პირობის წერილები, რომლებითაც ლაზები ოდესმე სპარსელებს შეჰკვრიან.

თემისტეს (384 წ ქ.შ.) სიტყვებითგან ჩანს, რომ ელლინურ სწავლა-განათლებისათვის ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩენილა კოლხეთში და თუ, მას დავუჯერებთ, ქვეყანა ელლინურ კულტურისა და „მუზათა სადგურად“ უქცევია, ისე რომ იმ დროს კოლხებს ელლინთა სადღესასწაულო ყრილობებზედაც-კი უსახელებიათ თავი რიტორიკით და მჭევრმეტყველობითა. ეს გარემოება საუცხოვო დამამტკიცებელი საბუთია როგორც ელლინურ კულტურის გავლენის სიძლიერისა დასავლეთ საქართველოში, ისე მის მაშინდელ მაღალხარისხოვან გონებრივ დაწინაურებისა. ცხადია, ასეთ ნაყოფს ქვეყანა ერთის ბერძნის მოღვაწეობით, თუნდ ძალიანაც თავგამოდებული ყოფილიყო იგი, ვერას დროს ვერ გამოიღებდა, როგორც ჰგონია თვით თემისტეს, თუ რომ თვითონ კოლხეთის მკვიდრნი თავისთავადაც და წინადაც კულტურულად მაღლა არა მდგარიყვნენ.

ლაზიკა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, განსაკუთრებით მდინარე რიონის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილი; სამხოეთით მოსახლეობა განუწყვეტლივ ომიანობის გამო თხლად იყო, ციხე ქალაქებიც ბლომად არსებობდა ლაზიკაში; სხვებზე უფრო თვალსაჩინოდ ძველი ქალაქი (არხაᲝპოლი) ფაზისი (ფოთი), ვარდციხე, ონოგური, წიბელი, სკანდა და შორაპანი ითვლებოდენ. მთელ ლაზიკაში სიმდიდრით მოხეᲝრისი იყო განთქმული. ამ მოხეᲝრისის ანუ მუნირის (მუხურის?) სანახებში ბევრი და დიდი დაბები იყო, ქვეყანა ხშირ მოსახლეობით იყო მოფენილი და ნიადაგიც საუკეთესოდ ითვლებოდა. იქ მშვენიერი ღვინო მოდიოდა და სხვა ყოველგვარი ხილეულობა და ნაყოფიც კარგის ღირსებისა იცოდა.

ამავ სანახებში იყო ციხე ქუთაისი, რომელსაც ელლინნი „კოტიᲝრონ“-ს უძახდენ, მაგრამ თვით ლაზები ახლა „ქოტაის“-ს უწოდებენო, ამბობს პროკოპი კესარიელი, მაშასადამე უკვე პროკოპი კესარიელის დროს ამ ციხის სახელი „ქოთაის“-ად გამოითქმოდა, ესე იგი იმნაირადვე, როგორც შემდეგ საუკუნეებში და ახლაც.

ყურადღების ღირსია, რომ მაშინ ქუთაისი ჯერ დასავლეთ საქართველოს დედაქალაქად არ ითვლებოდა და იქ მარტო მაგარი ციხე ყოფილა. კოლხეთის ანუ ლაზიკის პირველ და უდიდეს ქალაქად, მაშასადამე „ძველი ქალაქი“ („არხაᲝ ოპოლისი“, ნაქალაქევი?) იყო ცნობილი. როგორც ჩანს ქუთაისი დედაქალაქად შემდეგ საუკუნეებში უქცევიათ. ქუთაისის მახლობლად „ოქიმერიონ“-ის ძლიერი ციხე იყო, რომელიც სვანეთსა და სკᲣმნეთის (სკᲣმნია) გზას სდარაჯობდა. სამი სავაჭრო გზა, ერთი იბერიისაკენ მიმავალი, მეორე სამხრეთისაკენ – ქ. დვინს, მესამე დასავლეთისაკენ, შავი ზღვის ნავთსადგურამდე, მეზობლებთან აღებ-მიცემობას დ მიმოსვლას უადვილებდა. ქ. ტელეფისის მახლობლად ერთი ადგილი იყო, თიხის სხვა და სხვა გვარ ჭურჭლეულობით განთქმული.

იბერიის სამეფო, საკუთრივ ქართლს გარდა, სამცხესა და ჰერეთსაც შეიცავდა; ჰერეთის პატიახში ვახტანგის დროს, მაგალითად, ქართლის მეფეს ემორჩილებოდა. თუ ჰერეთი იბერიის მეფის ხელში ყოფილა, უეჭველია კახეთიც იმასვე უნდა სჭეროდა; ამგვარად იბერიის მეფეს მთელი აღმოსავლეთი ჰკუთნებია. არამც თუ პირაქეთელი, პირიქითელი მთიელებიც იბერიის მეფის მოკავშირენი და მეშველნი იყვნენ; რაკი კავკასიონისა და არაგვის ხეობის გზა იმის ხელში იყო, იმის ნებაყოფლობაზე იყო დამოკიდებული, გადმოუშვებდა პირიქითელ ველურ ხალხებს თუ არა.

როგორც ზემოთაც აღნიშნული იყო, იბერიის მეფეს ეკუთვნოდა სამცხეც. სამცხე თუმცა მთაგორიანი ადგილი იყო, მაგრამ მესხები დახელოვნებული მიწისმომქმედნი ყოფილან და

ქვეყანა თავიანთ შრომით და ბუნების წყალობით ხილითა, ვენახებითა და ყოველგვარი წყალობით აუვსიათ.

მთელი იბერია ისე საუცხოვოდ, ნიშანდობლივ და დაწვრილებით აქვს აწერილი სტრაბონს, რომ იმაზე უკეთესად ძნელია. ეს აწერილობა მოყვანილია ამ თხზულების წინა თავებში აქ ამ საგანს აღარ შევეხებით.

მოვიყვან მხოლოდ ერთადერთს ამგვარს ცნობას, რომელიც შეეხება ჰერეთის ერთს კუთხეს და შუშანიკის მარტვილობაშია შენახული: „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი იგი მხურვალება მზისა, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომელისა მკჳვდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღემოკლედ ცხოვრებულნი; და მოხუცებულნი არავინ არს მათ ქუეყანათა“. აი ციებ-ცხელებიან, დამცდელ ქვეყნისა და ახლა მალარიად წოდებულ ციებ-ცხელების იმდროინდელი საუცხოვო აღწერილობა და სურათი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსი კიდევ მხოლოდ შემდეგი საკითხია. აღმოსავლეთ საქართველოს, იბერიის დე დაქალაქად უძველეს დროს, როგორც ვიცით მცხეთა იყო. სტრაბონისა და პტოლემაოსის აღწერილობაში თბილისი მოხსენებული არც-კია. შემდეგ-კი სატახტო ქალაქად თბილისი გახდა, როდის უნდა მომხდარიყო ეს ცვლილება? მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქად უკვე თბილისი ითვლებოდა. ბერძნულ წყაროებში თბილისი პირველად თეოფანეს აქვს მოხსენებული „ტიფილის“-ის სახელით ჰერაკლე კეისარის ლაშქრობის აღწერილობაში. პირველად ქართულ მატიანეში თბილისი მოხსენიებულია იქ, სადაც ნათქვამია, თუ როგორ „მოვიდა ქრამ ხუარბორ ზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტბილისად ქალაქად-ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შეუდგა და სომხეთი და სივნიეთი და გუასპურაგანი“-ო. დაახლოვებით ეს მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო; მაშინ, თუ მემატიანე არა სცდება, თბილისი უკვე ქალაქად ყოფილა. საყურადღებოა, რომ სპარსთა მეფის წარმომადგენელი ქართველ მეფეთა სატახტო ქალაქში-კი არ დასახლებულა, სადაც ფეხი მოკიდებული ქართველთ მეფეს ჰქონდა და თვითონ იგი იქ უზრუნველყოფილი არ იქმნებოდა, არამედ თბილისში, ახალს ქალაქში, სადაც იგი სრულებით თავისუფლად იგრნობდა თავს და ამასთანავე კავკასიის სხვა დანარჩენ სპარსთა მეფის საყმო ქვეყნებზედაც, - სომხითზე, სივნიეთსა და გუასპურაგანზე, - უფრო ახლო იქმნებოდა. ამ ახალს, სპარსთა ზღუდეთ ქცეულს, ქალაქს თბილისში ჰქონდა ბინა სპარსთა მეფის მარზპანს მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარშიაც.

თანდათან მცხოვრებნი თბილისში სახლდებოდენ. თბილისის ზრდა ბუნებრივად მომხდარა. თბილისის დაწინაურება, ეტყობა, შეუჩერებლივ მიმდინარეობდა, მაგრამ განსაკუთრებით მაშინ გაზრდილა, როცა აღმოსავლეთს საქართველოში სპარსებს მეფობა მოუსპიათ, როდესაც „დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ, მაშინ მცხეთაჲ ათხელდებოდა და თბილისი ეშენებოდა, არმასნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა“-ო. ან რა გასაკვირველია: როცა მეფობა გაუქმდა, უპირატესობა უეჭველია თბილისს მიენიჭებოდა, იმიტომ რომ იქ ცხოვრობდა მარზპანი, იქვე იყვნენ ის ქართველნი მთავარნი, რომელთა ხელშიც იყო ქვეყნის შინაური მართვა-გამგეობა.

ხოლო რაკი ქვეყნის უზენაესი მართვა-გამგეობა თბილისიში გადავიდა, მკვიდრნიც და მოქალაქენიც თანდათან მცხეთიდან თბილისში გადასახლებულან, „მცხეთა ათხელებულა“ დაცემულა, თბილისი-კი გაზრდილა, აშენებულა და V1 ს. აღმოსავლეთ საქართველოს დედა-ქალაქად ქცეულა: მაგრამ ამ მიზეზებს გარდა შესაძლებელია სხვა გარემოებასაც ხელი შეეწყო დედა-ქალაქის გადატანისათვის. ამ მხრივ ყურადღების ღირსია, რომ დასავლეთ საქართველოშიაც ძველი დედაქალაქი გაუქმდა და იქაც აღმოსავლეთისაკენ იყო გადატანილი. იქნებ აქ ერთი რაიმე საზოგადო მიზეზი მოქმედობდა?..

იბერიაში სუფევდა ძველი, უფროსობაზე დამყარებული, სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წეს-რიგი, სანამ სამეფო დამოუკიდებელი იყო. შემდგომ-კი, რაც იბერია სპარსელებმა ჩაიგდეს ხელში, სპარსელებს იბერიის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წეს-რიგში შეეძლოთ ჩარეულიყვნენ. სამწუხაროდ არავითარი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ რით გამოიხატებოდა იბერიის მეფის დამოკიდებულება სასანელთა გვარის შაჰებზე: საჭირო იყო ტახტზე ამავალ მეფისათვის მათი დამტკიცება, თუ არა, ან თუ სამეფო ნიშნებსა და სამკაულს

უგზავნიდა ხოლმე? არც ისა სჩანს, აძლევდა იბერია მაშინაც, როცა მეფობა ჯერ მოსპობილი არ იყო, სპარსეთის მთავრობას რაიმე ხარკს, თუ არა?

სამეფოს განაგებდენ უმაღლესი მოხელეები, რომელნიც „მთავრებად“ იწოდებოდნენ. ქართლისა ერისთავი განაგებდა ქვეყნის შინაურ გადასახადებისა და ხარკის საქმეებსაც, ისე რომ მას უფლება ჰქონია და ჯვარის მონასტრის ერთ-ერთ აღმაშენებელთაგანმა სტეფანოზ ერისთავმა თურმე „დასწერა ჰროარტაგი“ (ბრძანება) და დაამტკიცა ჴელითა თჳსითა და წარსცა ყოველსა შინა ქუეყანასა ქართლისასა, რათა ყოველნი ეკლესიანი განათავისუფლნენ მძლავრებისაგან და ხარკის მიცემისა“.

ჰერეთის მმართველს სპარსული სამოხელეო სახელი „პიტიახში“ ერქვა. პატიახში ქართლშიც ყოფილა. იეზდიგერდ II (439-457) დროს **არშუშა, ქართველთა პიტიახში** არის მოხსენებული. **ვასქენ პიტიახში,** არშუშა პიტიახშის ძე, შუშანიკის ქმარი, რომელიც ვახტანგ მეფემ 483 წელს მოაკვლევინა და 541 წელს აღნიშნულია „არშუშა ქართლისა პიტიახში“. რით განსხვავდებოდა და რა დამოკიდებულება ჰქონდა პიტიახშისა და მთავრის მოხელეობას, არა ჩანს. ამ ორის თანამდებობის გარდა არსებობდა აგრეთვე „მამასახლისობა“-ც. 541 წელს მოხსენებულია „გრიგოლ ქართლისა მამასახლისი.

მამასახლისობა უძველეს დროითგან შერჩენილი სამოხელეო სახელწოდება არის; მაგრამ, რა თანამდებობა ჰქონდა ქართლის მამასახლისს იმ დროს და რით განირჩეოდა მისი უფლება ქართლის ერისმთავრისა და ქართლის პიტიახშის უფლებისაგან, ამის გამორკვევა, ცნობების უქონლობის გამო, შეუძლებელია.

პიტიახშნი მოწინავე წოდებითგან ყოფილან და მათ დიდს პატივსაც სცემდენ: პიტიახში რომ, მაგალითად, თავის ქვეყანაში მობძანდა, „თანამიეგებენ მას აზნაურნი და ძენი, და მსახურნი თჳსნი“ პიტიახშსა ჰქონდა აგრეთვე კვერთხი. მას ჰყავდა ხელქვეითი მოხელეები, „მსახურნი“.

ზემოდასახელებულ მოხელეებს გარდა იბერიაში, უეჭველია, მრავალი სხვა თანამდებობაც არსებობდა, მათ შორის, რასაკვირველია, მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობაც; მაგრამ საისტორიო საბუთებში იმათ შესახებ, სამწუხაროდ ჯერ არავითარი ცნობები არ აღმოჩენილა.

მოხსენებულია მხოლოდ სტეფანოზ ქართლისა ერისთავის „მწიგნობარი“.

იმ დროს საგამგეო ოლქებისა და ერთეულების სახელები აწინდელებისაგან თვალსაჩინოდ განირჩეოდა: იმას, რასაც ჩვენ ახლა ქვეყანას ვუძახით, მაშინ „სოფელი“ ერქვა. მაგალითად შუშანიკის ცხოვრებაში ნათქვამია: „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“ ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაშიაც მარზპანი ჰკითხავს მარტვილს: „რომლის სოფლისა ხარ, ანუ რომლისა ქალაქისა... ხოლო წმიდამან ევსტათი ჰრქუა მას: „მე სოფლისა სპარსეთისა ვიყავ“.

იმას, რასაც ჩვენ ეხლა სოფელს ვეძახით, მაშინ „დაბა“ ერქვა. სიტყვა „ქუეყანა“-კი იმ დროს მარტო დედამიწასა ნიშნავდა. VIII-ე საუკუნემდე ყველა ზემოყვანილ ტერმინებს ამ მნიშვნელობით ხმარობდენ. ჩვეულებრივ საგამგეო ერთეულად მაშინაც „ჴევი“ იყო.

სპარსელებმა რომ აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა გაუქმეს, ქვეყნის უზენაეს გამგედ და თავის წარმომადგენელად მარზპანი დანიშნეს. მარზპანი სპარსული სიტყვაა და „მარზ“-ის (სამზღვარსა ნიშნავს), მცველს („პან“) აღნიშნავს ქართულს საგამგეო თანამდებობას „მონაპირე“-ს უდრის. თუმცა სპარსელთ მარზპანი იბერიაში სამეფოს არსებობის დროსაც ჰყავდათ, მაგ. 439-357 წლების განმავლობაში ქართველთა მარზპანად **ვასაკ სივნიელი** ყოფილა, მაგრამ მაშინ ეს მოხელე სასანელთა გვარის წარმომადგენელად ითვლებოდა ქართველთა მეფის წინაშე, მეფობის მოსპობის შემდგომ-კი მას ქვეყნის უზენაესი მართვა-გამგეობაც ებარა. 540-1 წ. ქართლისა მარზპანად **არვანდ გუშნასპ** ყოფილა, ხოლო მის მოადგილედ 544-5 წ. გამოუგზავნიათ **ვეჟან ბუზმილ.**

მარზპანის ხელში იყო ხარკი და სხვაგვარი გარდასახადი; მას ემორჩილებოდა ადგილობრივ ჩაყენებული სპარსელთა ჯარი და დაბალ წოდებათა უზენაესი გასამართლების, სიკვდილ-სიცოცხლის, უფლება ჰქონდა. მოწინავე წოდების გასამართლება მას არ შეეძლო. მუდმივი ბინა მარზპანს ქ. თბილისსა ჰქონია.

მარზპანს ემორჩილებოდენ სამეფოს სხვადასხვა ციხე-ქალაქების ციხისთავები, მაგ. მცხეთისა ციხისთავი, რომელსაც სპარსელი მხედრები ჰყავდა ხელქვეით. ციხისთავს სასამართლო საქმეების გამოძიების უფლებაც ჰქონდა და მსუბუქ დანაშაულობის შესახებ მსჯავრის დადებაც შეეძლო; ხოლო როცა ბოროტმოქმედება სიკვდილით უნდა დასჯილიყო, მაშინ ციხისთავს დამნაშავე გამოძიებულ ცნობებითურთ მარზპანთან უნდა გაესტუმრებინა. სპარსეთის მოხელეები - მარზპანი და ციხისთავები, ქვეყნის ბატონებად იყვნენ, ქვეყნის პატრონებად, **მის შინაურ საქმეების გამგედ აზნაურთა წოდება გახდა;** ჩვენი ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე ამბობს: „ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლებაქართლისა აზნაურთა“-ო.

პირველ საუკუნის დამდეგს (ქრ.შ.), როგორც ზემოაღნიშნული იყო, იბერიაში წოდებრივი უსწორ-მასწორობა თითქმის არ არსებობდა: ყმები სამეფო გვარეულობას გარდა სხვას არავისა ჰყავდა, მე-V საუკუნეში-კი იბერიის მკვიდრნი რამდენადმე გარკვეულ წოდებრივ ჯგუფად იყვნენ დანაწილებულნი.

იმის გარდა რომ მცხოვრებნი იყოფებოდენ ორ მთავარ ჯგუფად – **აზნაურად და უაზნოდ,** ანუ თავისუფალ და უთავისუფლოდ, - წოდებრივი განსხვავება და დანაწილება საკუთრივ აზნაურთაც დასტყობიათ, მეტ-ნაკლებობას იქაც უჩენია თავი; ერთი წილი **დიდ-დიდ აზნაურად,** მეორე, ალბათ, უმრავლესი, წილი კიდევ უბრალო აზნაურად ირიცხებოდა. სწორედ **ამ დიდ-დიდ აზნაურთ ხელში უნდა ყოფილიყო ქვეყნის შინაური მართვა-გამგეობა უმეფობის დროს.** დიდ-დიდ აზნაურთა გვარიშვილებს სახელად აგრედვე სეფე-წული და სეფე-ქალი ეწოდებოდა.

უაზნოთა ანუ უთავისუფლოთა წოდებაშიაც მეტ-ნაკლებობა არსებობდა. ერთ ჯგუფს შეადგენდენ „მსახურნი“, მეორეს „ყრმები“, მესამეს „მონა“-„მჴევალნი“,მონა-მჴევლების ყოლა, როგორც ჩანს, ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა; არამც თუ დიდ აზნაურს, არამედ უბრალო ხელოსანსაც მონა-მხევლები ჰყოლია. რასაკვირველია იბერიაში ვაჭრები და ხელოსნებიც იქნებოდენ და იყვნენ კიდეც, მაგრამ მათ შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება; ვიცით მხოლოდ, რომ მცხეთაში სპარსელ და ასურელ ხელოსნების, მეხამლეებისა და მეჯადაგეთა, ახალშენი არსებობდა. აღმოსავლეთს საქართველოში ტანისამოსისათვის ძვირფასი ქსოვილი, „პალეკარტად“ წოდებული, ანტიოქიით შემოჰქონდათ.

მაშინდელ სახლობა ორ მეუღლისა, ცოლ-ქმრისა და შვილებისაგან შესდგებოდა: სახლობის წევრს, „სახლეული“ ერქვა. ამ დროს ცოლ-შვილიან ძმებს უკვე ერთ სახლად-კი არა, არამედ ცალ-ცალკე უცხოვრნიათ. როგორც ეტყობა მაშინაც ჩვეულებად ჰქონიათ შვილების გაბარება გასაზრდელად; დედ-მამის გარდა არსებობდა „მამა-მძუძე“ და რასაკვირველია „დედა-მძუძე“-ც: იყვნენ „ძუძუს-მეტნი“ ესე იგი, ისინი, რომელნიც თუმცა ძმები არ არიან, მაგრამ ერთი დედის ძუძუ უწოვიათ. სამნაირი მახლობელთა ჯგუფი ჰყავდა თვითოეულს: „სახლეულნი, ნათესავნი და თჳსნი“.

ცოლი ქმრის უკითხავად სხვაგან ვერ წავიდოდა; თუ ამ საქმეს ჩაიდენდა, ეს „სახლის აოხრებად“ ითვლებოდა, სირცხვილი იყო, და ქმარს შეეძლო ეთქვა: ,,შენ ჩემიცა ხატი დაამხუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გადაასხ, შენი ადგილი დაგიტოვებიეს და სხუად წარსულხარ“-ო.

წესი იყო, რომ ქალს „თავი დაბურული“ უნდა ჰქონოდა. დიდებულ მოხელის ცოლს, მაგალითად პატიახშის მეუღლეს, თავზე „კუბასტი“ ჰხურებია. ამას გარდა მაღალ წოდების ქალს „თმა-გატევებული, ვითარცა ერთი შეურაცხთაგანს“ არ უნდა ეარნა. მხოლოდ მდაბიო დედაკაცებს უვლიათ თმა-დაუწვნელი. კაბად დიდებულ მოხელის ცოლს „ანტიოქიისა პალეკარტი“ ემოსა და სხვადასხვა გვარი სამკაული ეკიდა. ფეხებზე ხამლები სცმიათ; შეძლებულის „უხამური“ სიარული დიდი მწუხარების ნიშანი იყო.

დიდ-დიდ აზნაურების სახლობას ჰქონდა „ეზო და პალატი“. დიდებული აზნაური მოხელე კიდევ, როგორც მაგალითად პიტიახში, სასახლეში, „ტაძარში“ ცხოვრობდა ხოლმე. ამ ტაძარს ერქვა აგრედვე „სახლი სამეფო“. ტაძარში იყო „გაჰიაკები“ და „სენაკები“ დიდი და „მცირე“, დიდებულ აზნაურ-მოხელეს ცოლს, რომელსაც მაშინ ჩვეულებრივ „დედოფალ“ი ეწოდებოდა, ტაძარში საკუთარი „სენაკი“ ჰქონდა; ამ სენაკს განსაკუთრებული მოსამსახურე მიყენებული ჰყავდა და „სენაკპანი ერქვა“.

უბრალო მკვიდრნი-კი „სახლებში“ „სახლაკებში“ და „ვან“-ში იდგა. სახლს „ყურე“ ჰქონდა.

საწოლად ხმარობდენ „სასთუნალ“–სა, რომელზედაც თავსა მისდებდენ ხოლმე, და „ქუესაგებელ“-ს, საბნად „სასთაული“ ჰქონდათ. დიდებულ აზნაურებს, როგორც მაგალითად, ვასქენის მეუღლეს „სასთაული ხალენისა“ ჰქონია. „უზმოებაზე“ ჭამის გარდა „პურის ჭამა“ სცოდნიათ; ეს „პურის ჭამა“ სადილის მაგიერი ყოფილა, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ „ჟამი პურისა“ იმ დროს-კი არა სცოდნიათ, როდესაც ჩვეულებრივ არის მიღებული, შუადღისას, ან შუადღის შემდეგ, არამედ **საღამოთი**[1], „რაჟამს შემწუხრდებოდა, „პურის ჭამა“ სხვადასხვა „ჭამადი“-საგან შესდგებოდა, ხოლო სასმელად მოერთმეოდათ „ღჳნოჲ ჭიქითა“.

ყურადღების ღირსია, რომ სტუმრებთან და **წვეულობის დროს, თურმე, დედაკაცები და მამაკაცები ცალ-ცალკე სჭამდენ პურსა, თუნდაც რომ სტუმრად მახლობელი ნათესავი ყოფილიყო;** როცა, მაგალითად, ვასქენს ძმა და რძალი ეწვივნენ, და ვარსქენსა სურდა საერთოდ გაემართა სადილი, მისმა ცოლმა შუშანიკმა აღშფოთებით უპასუხა: **„ოდეს ყოფილარს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათ ერთად ეჭამათ პური“-ო.**

ამ დროს საქართველოში ორი სარწმუნოება იბრძოდა: ქრისტიანობა და მაზდეიანობა, ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობა. ცეცხლთაყვანისმცემლობა მზისა, დედა-მიწისა, ცეცხლისა და წყლის და წყლის გაღმერთებაზე იყო დამყარებული: ამ ოთხს სტიქიონს იგი წმიდათ სთვლიდა; ამიტომ მათი შეხება არ შეიძლებოდა. ქვეყნიერობის სფერო ორ უზენაეს ღვთაების სამფლობელოს შეადგენდა: ერთი იყო კეთილი ღვთაება, რომელსაც აჰურამაზადა (არმაზი) ერქვა, მეორე, მისი მეტოქე, ბოროტების ღვთაება და დედა-ბუდე ანჰრა-მაინი (აჰრიმანი). მთელი მსოფლიოც უზენაეს ღვთაებათავით ბოროტ და კეთილ არსებათა და ბუნებისაგან შესდგებოდა. ადამიანის სული მაგ. წმიდა ძალად ითვლებოდა, ადამიანის სხეული-კი ბოროტ ბუნების ნაშენობა იყო; ამიტომ ადამიანის თმა, ფრჩხილები, გვამი და მისი განავალი უწმინდურია და არც ერთ წმიდა სტიქიონს არ უნდა შეჰხებოდა; ამის გამო ცეცხლთაყვანისმცემელნი მიცვალებულებს მიწაში-კი არ ასაფლავებდენ, არამედ განსაკუთრებული ქვიტკირის შენობები ჰქონდათ და იქა სდებდენ ხოლმე გასახრწნელად.

რაკი ცეცხლი წმიდა სტიქიონად მიაჩნდათ, ამიტომ თვითოეულს კეთილმორწმუნეს თავის სახლში დაუშრეტელი ცეცხლი უნდა ნთებოდა და მისი დავსება დიდ ცოდვადა და ბო როტმოქმედებად ითვლებოდა. მაზდეიანებს მღვდელმსახურნი ჰყავდათ, რომელსაც „მოგვებს“ ეძახდენ, ხოლო მოგვების მღვდელმთავარს „მოგპეტი“ და „მობედან-მობედ“-ი ერქვა.

ცეცხლთაყვანისმცემლობა სპარსელების ეროვნულ სარწმუნოებად ითვლებოდა და უზენაესი პატივისცემა და სახელმწიფოში ძლიერი გავლენა სასანელთა გვარეულობის შაჰან შაჰების დროსა ჰქონდა. სპარსეთითგან ეს სარწმუნოება მეზობლობაშიაც გავრცელდა, სხვათა შორის საქართველოშიაც. მას შემდეგ, რაც საქართველოში ხალხმა ქრისტიანობა მიიღო, სპარსეთის მთავრობა თავის მოვალეობადა სთვლიდა, რომ ცეცხლთაყვანისმცემლობისთვის საქართველოში ყოველ-გვარი მფარველობა გაეწია; ხოლო, როცა იგი იბერიაში გაბატონდა, ქრისტიანებს რამდენჯერმე დევნა დაუწყო და მაზდეიანობას ძალით ავრცელებდა. ცეცხლთაყვანისმცემლობა არამცთუ საქართველოს აღმოსავლეთს ნაწილში იყო გავრცელებული, არამედ დასავლეთშიაც, კოლხეთში. აპოლონი როდოსელი მოგვითხრობს, რომ კოლხები დიდ დანაშაულადა სთვლიან თუ ვინმემ მამაკაცის გვამი ან დააწვევინა, ან მიწაში დაასაფლავა, ან ზედ ყორღანი დააყრევინა; ასეთს გვამებს ისინი ხარის ტყავში ჩასდებენ და ქალაქს გარედ ხეებზე ჩამოჰკიდებენ ხოლმეო. მაგრამ დედამიწასაც თავისას აძლევენ და დედაკაცებს მიწაში ჰმარხავენო. უეჭველია ეს ცნობა იმას ამტკიცებს, რომ კოლხები მაზდეანობის მოძღვრების აღმსარებელნი ყოფილან; იმიტომ რომ მხოლოდ ამ სარწმუნოებაშია აკრძალული ადამიანის გვამის მიწაში დასაფლავება; მხოლოდ იქ არის აკრძალული ადამიანის

[1] ყურადღების ღირსია, რომ პროკოპი კესარიელის სიტყვით, სპარსელებიც, თურმე, საღამოობით სადილობდენ.

გვამის ცეცხლით დაწვა იმიტომ, რომ ცეცხლი წმიდა სტიქიონად ითვლებოდა და არარა უწმინდური მას არ უნდა შეჰხებოდა.

იბერიაში რომ მაზდეიანობა გავრცელებული იყო, ამის შესახებ პირდაპირი ცნობებიც მოგვეპოვება. ცეცხლთაყვანისმცემლებს მცხეთაში საკუთარი სამლოცველო და ცალკე უბანი ჰქონდათ, რომელსაც „მოგვთაa“ ერქვა; იქვე იჯდა მოგვების ეპისკოპოსი „მობედან-მობედ“-ი, რომელიც „მოქცევამ ქართლისაა“-ს ავტორს შეცდომით ქრისტიანების „მობიდან ეპისკოპოსად“ გაუხდია. მე-V საუკუნეში იბერიაში ისეთი გამწვავებული ბრძოლა იყო ქრისტიანობისა და ცეცხლთაყვანისმცემლობის შორის, რომ ოჯახებში განხეთქილება სუფევდა და ერთი წილი მაზდეიანობას ემხრობოდა, მეორე ქრისტიანობას იცავდა.

რამდენად ძლიერი და ღრმა გავლენა უნდა ჰქონოდა მაზდეიანობას ქართველ ხალხზე იქიდანა სჩანს, რომ ჩვენ დრომდისაც-კი მისი კვალი ჩვენი ერის რწმენასა და ზნე-ჩვეულებებს ნათლად ატყვია; მაგ. ხევსურეთში მომაკვდავს „ნარევების“ მეტი არავინ არ ეკარება; იმათ მიაქვთ მიცვალებული სასაფლაოზე კი არა, არამედ ერთს ქვითკირის შენობაში, რომელიც სოფლის მოშორებით არის; იქ დაასვენებენ, სანამ გვამი არ გაიხრწნება. ამ „ნარევებს“ არავინ ეკარება, ვიდრე თავს არ განიწმენდენ, იმიტომ რომ მიცვალებულიცა და ყველა, ვინც მას ხელს შეახებს, უწმინდურად ითვლება. მშობიარობისა და თვიურ დედათა-წესის დროს, ჩვენი მთიელები დედაკაცს სოფელში არ აყენებდენ, არამედ დაწესებული ვადა სოფელს გარედ „ქოხში“ და „ბოსელში უნდა გაეტარებინათ; ამ დროს განმავლობაში მათ, ვითარცა უწმინდურებს, არავინ ეკარებოდა და ამ შენობებს გზას უქცევდენ. ეს წესიც, რასაკვირველია, მაზდეიანობის ნაშთია. ამავე რწმენის ნაშთად უნდა ჩაითვალოს ის ჩვეულება, როდესაც ჩვენებური პურის მცხობელი პურის ჩაკვრის დროს პირს იკრავს; რათგან ადამიანის სუნთქვა უწმინდურად, ხოლო ცეცხლი წმინდა სტიქიონად ითვლებოდა, ამიტომ მაზდეიანობის მოძღვრება კეთილმორწმუნეებს აგონებდა, რომ პური პირ-აკრული ეცხოთ. მრავალი სხვა ამგვარი ჩვეულებაა შერჩენილი ჩვენ ხალხში, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემლობის ნაშთად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ყველას ვერ გამოვეკიდებით. რასაკვირველია, რაკი ქართველების ეროვნულ სარწმუნოებად მნათობთა თაყვანისცემა იყო, უეჭველია საქართველოში შემდეგ შემოხიზნულს მაზდეანობას, სპარსულ მაზდეანობასთან შედარებით, თავისებური ელფერი ექნებოდა; ამის გარდა მაზდეიანობას იბერიაში, რასაკვირველია, უფრო მეტად ექნებოდა ფეხი მოკიდებული, ვიდრე ლაზიკაში.

ქრისტიანობა საქართველოში ორის მხრით ვრცელდებოდა: ასურეთითგანა და სომხეთითგან მომდინარე ქადაგებას ფესვები თვითონ პალესტინაში ედგა და ქრისტიანობის პირვანდელ ხასიათსა და თვისებებს გულმოდგინედ იცავდა. ამ ქადაგების ასპარეზად აღმოსავლეთი საქართველო იყო; კაპადოკიითგან და მცირე აზიისგან მომავალი ქადაგება ელლინური იყო და ბერძნულ ქრისტიანობის ელფერი ედო. ამის ასპარეზად დასავლეთი საქართველო იყო რასაკვირველია სარწმუნოებრივი და ყოველგვარი მოძღვრება ისეთი რამე არ არის, რომ მის გავრცელებისა და მოქმედების ასპარეზის მკაფიოდ შემოფარგვლა და განსაზღვრა შეიძლებოდეს. კაპადოკიურ ქადაგებას იბერიაშიც ჰქონდა გზა გაკვლეული; სამხრეთით მომდინარე ქრისტიანობასაც ლაზიკაშიც ეყოლებოდა მომხრე; მაგრამ ზემოაღნიშნული ასპარეზების განსაზღვრა იმაზეა დამყარებული, თუ საქართველოს რომელ კუთხეში რომელ მოძღვრებას ჰქონდა განსაკუთრებული გავლენა.

ქრისტიანობა ქართველებში, რასაკვირველია, ერთბაშად ვერ გავრცელდებოდა, არამედ თანდათანობით უნდა მოეპოვებინა გავლენა ხალხში; ბევრი დრო იყო საჭირო, სანამ იგი სახელმწიფო სარწმუნოებად იქნებოდა აღიარებული; ამასთანავე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქრისტიანობა ნება-დართულ სარწმუნოებად ერთსა და იმავე დროსკი არ იყო ცნო ბილი, არამედ სხვადასხვა დროს.

ქრისტიანობის პირველ მქადაგებლად მე-XI-ე საუკუნითგან მოყოლებული ანდრია პირველწოდებული მოციქული იყო ცნობილი; მაგრამ ეს ცნობა მოციქულთა აპოკრიფულ „მიმოსვლი“-თგან არის ამოღებული და ისტორიულად ძალზე საეჭვო ღირსებისაა, სიმართლესაც მოკლებულია. თვით საქართველოში, როგორც ეტყობა, ანდრიას ან სხვა რომელისამე მოციქულის ქადაგების შესახებ საქართველოში XI საუკუნემდე არაფერი

სცოდნიათ. ეს ცხადადა სჩანს წა. ნინოს უძველეს შატბერდისეულისა და ჭელიშისეულის ცხორებითგან, სადაც წ-ა. ნინოს ეუბნებიან დედოფალი და მისი მხლებელნი: ჩვენ, ქართველებს, შენს გარდა არავინ მოგვივლინა ღმერთმა მქადაგებლად არც წინასწარმეტყველნი და არც მოციქულნიო. მაშასადამე არც ანდრია მოციქული ყოფილა საქართველოში, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, არც ანდრიას მიმოსვლასა და ქადაგებაზე საქართველოში სცოდნიათ რამე VIII—IX ს-ებში ქართველებს.

რაკი ეს არც პეტრე ქართველის ცხოვრების დამწერს (V ს.), არც თვით პირველ ქრისტიანს ქართველს მეფეს ბაკურსა სცოდნია და რაკი იგიც აღმოსავლეთს საქართველოში ქრისტიანობის დამფუძნებელად ტყვე ქალს, ესე იგი წ-ა. ნინოსა სთვლის, ამიტომ ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ცნობა ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგების შესახებ მერმინდელი, ისტორიულს ღირსებას მოკლებული, თქმულებაა.

მაგრამ მაინც ცხადია, რომ ქრისტიანობა საქართველოში ადრითგანვე უნდა გავრცელებულიყო, გაცილებით იმაზე ადრე, ვიდრე იგი მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში სახელმწიფო სარწმუნოებად იქნებოდა ცნობილი.

მართლაც ქ, ფასისის (ფოთის) ეპისკოპოსი დასწრებია უკვე პირველს მსოფლიო კრებას, ხოლო აბო ტფილელის მარტვილობის ავტორის იოანე საბანის ძეს სიტყვებიდანა ჩანს, რომ მის დროს ქრისტიანობას საქართველოში უკვე თითქმის ექვსი საუკუნე ჰქონდა განვლილი. მაშასადამე საქართველოში პირველად ქრისტიანობა მე-II-ე ს. შემოსულა.

სახელმწიფო სარწმუნოებადაც ქრისტიანობა საქართველოს სხვადასხვა სამეფოსა და სამთავროებში სხვადასხვა დროს იყო ცნობილი. აღმოსავლეთს საქართველოში, იბერიაში, როგორც მოგვითხრობს ამ ამბის თანამედროვე და თვით პირველ ქრისტიან მეფის კარგი ნაცნობი რომაელი ისტორიკოსი რუფინუსი და ადასტურებს პეტრე ქართველის ასურულ ცხოვრების დამწერი, ქრისტიანობა ნებადართული იყო მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში ბაკურ მეფის დროს. ერთ ტყვე ქალს, რომლის სახელი რუფინუსს მოხსენებული არა აქვს, ხოლო ქართული წყაროები წ-ა. ნინოს უწოდებენ. კოპ-ტურიკი — თეოგნოსტას, უქადაგნია ქრისტეს მოძღვრება და ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია თავისი ქადაგებით, რომ თვით დედოფალიც-კი მოქცეულა და შემდეგ მეფესაც ურწიმუნნია. მეფეს და დიდებულებს გადაუწყვეტიათ მონათლულიყვნენ; მქადაგებლის რჩევით მეფემ საგანგებო მოციქულები გაუგზავნა კოსტანტინეპოლში კეისარს კონსტანტინეს და ქრისტიანობის მიღების ამბავი აცნობა, თანაც სთხოვა მღვდლები გამოეგზავნა, რომ ერი მონათლულიყო. მეფე ბაკურის სურვილი კეისარმა სიხარულით აასრულა. ეს ამბავი შეიძლებოდა 323-337 წ. შუა მომხდარიყო. ჩვენ კარგად ვიცით იმ დროინდელ იბერიის საზღვრები, რომ იგი ეხლანდელს აღმოსავლეთს საქართველოს უდრის, მაშასადამე, არც შეიძლება იბერიის მოქცევა საქართველოს სხვა რომელსამე კუთხეს მივაკუთვნოთ, ან კერძო ხასიათის მოვლენად აღვიაროთ; იგი შეეხება მთელ იბერიის სამეფოს და სწორედ ამ დროს იბერიის სამეფოში, ან აღმოსავლეთს საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად ყოფილა გამოცხადეული.

ამით ქართლის მოქცევის საქმე, რასაკვირველია, ვერ გათავდებოდა: ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა და ქადაგება იყო საჭირო ყველგან და ყველანი ხომ ერთნაირის გულმოდგინებით არ მიეგებებოდენ ახალ სარწმუნოების მახარებელს; პირიქით ბევრგან და ბევრს არავითარი სურვილი არა ჰქონია მამაპაპეული რწმენისათვის ეღალატნათ.

„მოქცევაი ქართლისაჲ“ მაგ. მოგვითხრობს, რომ როდესაც წ-ა. ნინო მღვდლითურთ და „ერისთავი ერთი წარვიდა და დადგა წობენს და მოუწოდა **მთეულთა და წალკანელთა** და უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტჱსი, ხოლო მათ **განუმარეს თავი; და ერისთავმან მცირედ წარმართა მახვილი და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად**; და გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს დაბასა ედომს და ნათელსცა ერწუ-თიანელთა; ხოლო ყუარელთა რაჲ ესმა ესე **შეშინდეს და თოშეთს გარდაკრბეს“ო.**

ლეონტი მროველიც ამბობს, მთიულელნი უმრავლესნი არა მოიქცნეს“-ო, ზოგიერთნი ამათგანი აბიბოს ნეკრესელმა მოაქცია შემდეგში, მაგრამ „რომელნიმე დარჩეს წარმართებასავე დღესადმდე“-ო, ესე იგი XI საუკუნემდე.

ისტორიკოსი ჯუანშერიც ამბობს, რომ ჯერ კიდევ V-V1 ს.ს. კახეთში ჴევსა მას **ლოპატისასა ქვ**ეყანასა მას კლდეთა მოზღუდვილთა... **იყუნეს სოფლისა მის კაცნი წყლისა და ცეცხლისა მსახურნი“-ო.**

იგივე ავტორი მოგვითხრობს, რომ, როდესაც „მეფემან დაჩი დაჰპატიჟა მთიულთა კანეთისათა რათა აღიარონ ქრისტე... მათ არა ინებეს და განდგეს ყოველნი“ -ო.

ერთი სიტყვით აღმოსავლეთ საქართველოს მოქცევას თავისი ხანგრძლივი ისტორია აქვს.

დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანების შესახებაც შენახულია რამდენიმე ცნობა. იქაც ქრისტიანობა დიდი ხნითგან იყო ხალხში გავრცელებული. პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, რომ ლაზები, აფშილები და სხვა ტომები ძველ დროითგანვე მოყოლებული ქრისტიანები არიან. ამიტომ თეოფანეს მოთხრობა, რომ ლაზთა მეფემ წათემ 515 წელს კოსტანტინეპოლში ქრისტიანობა მიიღო, ალბად, პირადად თვით მეფეს შეეხება, თორემ ამ დროს ლაზიკაში მრავალი სული იყო ქრისტიანე.

პროკოპი კესარიელსაც ნათქვამი აქვს, რომ აფხაზებმა ქრისტიანობა იუსტინიანე კეისრის (527-565) დროს მიიღესო და თვით კეისარმა მღვდლები დაუნიშნა, ღვთისმშობლის ეკლესიაც-კი აუგოვოო. პროკოპი კესარიელის აღწერილობიდან სჩანს, რომ ამ დროს აფხაზნი მართლაც ჯერ კიდევ ხე-მცენარეულობის თაყვანისმცემელნი, წარმართნი ყოფილან.

იუსტინე კეისარი ახალი ტახტზე ასული იყო, რომ ჭანების ერთი ნაწილი გაუქრისტიანებია სარდალს სიტტას (=ჭითას?).

დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანებასაც ხანგრძლივი მანძილი უნდა ჰქონოდა განვლილი, სანამ იქ ახალი მოძღვრება მტკიცედ ფეხს მოიკიდებდა ხალხში.

ერთი რამ არის საყურადღებო: აღმოსავლეთ საქართველოში თავდაპირველად ქრისტიანობა სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. მომდინარეობდა განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში-კი – მცირე აზიითგან და საბერძნეთიითგან, თვით კოსტანტინეპოლითგანაც; მაგრამ მე-IV-ე საუკუნეში წმიდა ნინოს ქადაგებამ იბერიაც დასავლეთის, საბერძნეთ-კოსტანტინეპოლის, ქრისტიანობას დაუახლოვა; ხოლო შეუძლებელია, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახარება იბერიითგანაც არ შეეტანათ, მაინც ბიზანტიელ ისტორიკოსთა ცნობებითგანა სჩანს, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა განსაკუთრებით საბერძნეთითგან მომდინარეობდა, მღვდლებიც იქითგან მიუღიათ. უმთავრესი მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში ლაზებსა ჰქონიათ. ტრაპიზონიდან მოყოლებული საგინებამდისინ ყველა ტომთათვის მღვდლებს ლაზთა ეპისკოპოსნი ნიშნავდენ, მაშასადამე მათ შორის ჭანებისა, აფშილებისა და აფხაზებისათვისაც.

როგორ იყო მოწყობილი იერარქიულად დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის ანუ ლაზიკის ეკლესია, დამოუკიდებელი იყო, თუ კოსტანტინეპოლის პატრიარქისაგან დამოუკიდებლად ითვლებოდა, ჯერ გამორკვეული არ არის.

მხოლოდ 650 წ. ფასისი ანუ ფოთი ლაზიკაში სამიტროპოლიტოდ ითვლებოდა და კოსტანტინეპოლის საპატრიარქო სამწყსოს ეკუთვნოდა, მასვე ჰკუთვნებია აფხაზეთის ავტოკეფალური ეკლესიაც. თუ ეს მხოლოდ მეშვიდე საუკუნის დამდეგს მოხდა, ჰერაკლე კეისრის აღმოსავლეთში ძლევამოსილ ლაშქრობის შემდგომ. ვგონებ აქ უფრო ძველი წესი უნდა იყოს აღნუსხული. მაინცა-და-მაინც მეშვიდე საუკუნეში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიები ჯერ შეერთებული არა ყოფილა.

ჯერჯერობით არც იმ საგულისხმო საკითხის გამორკვევა შეიძლება, თუ რა ენაზე ლოცულობდენ იმ დროს ლაზიკაში ანუ კოლხეთის სამეფოში. შეუძლებელია რომ, როგორც თავდაპირველად იყო ხოლმე, წირვა-ლოცვა ბერძნულად ყოფილიყო, V-VII ს. ისევ ისე ყოფილიყო და დედა-ენას ეკლესიაში გზა არ გაეკვლიოს! მაგრამ რომელს, იმას, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში სუფევდა და თავისი საეკლესიო მწერლობა ჰქონდა შექმნილი, თუ ადგილობრივს!?.

ქრისტიანობას საქართველოშიაც სხვა ქვეყნებსავით დიდი ბრძოლა და დიდი რყევა უნდა გამოეარნა, მაგრამ ამ მხრივ ჩვენი საეკლესიო მწერლობა ჯერ შესწავლილი არ არის, ხოლო გამოქვეყნებულ იმდროინდელ თხზულებებში მხოლოდ მკრთალი აჩრდილია

შერჩენილი. რომ იბერიაშიაც ერთ დროს ნესტორიანობას ბევრი მომხრე ჰყავდა, ამის შესახებ ცნობები მოიპოვება ქართველ კათოლიკოზის კირიონის წერილშიაცა და პაპი გრიგოლ V-ის საპასუხო ეპისტოლეშიც; თვით ეპისკოპოზთა შორისაც, თურმე, ნესტორიანები ყოფილან. რასაკვირველია ამ მოძღვრების მიმდევართ თავიანთ მოწინააღმდეგეებთან გამწვავებული ბრძოლა და პაექრობა ექნებოდათ და მომავალში, ამ ბრძოლის შესახებ, იმედია, ბევრი საყურადღებო მასალები აღმოჩნდება. მონოფიზიტობასაც ერთ დროს რიცხვ-მრავალი მომხრეები ჰყავდა, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ იქნება ლაპარაკი, ეხლა-კი ქართულ ეკლესიის წესწყობილება უნდა ავწეროთ მოკლედ.

აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესია მეექვსე საუკუნეში 35 საეპისკოპოსო, სამწყსოსაგან შესდგებოდა; ყველგან ცურტავის სამწყსოს გარდა, წირვა-ლოცვა ქართულად სწარმოებდა; ცურტავაში-კი მეშვიდე საუკ. დამდეგამდე სომხურად უწირიათ; ამ ეპარქიაში მცხოვრებთა ერთი წილი სომხობა ყოფილა, მეორე, ვგონებ უმრავლესი წილი ქართველობა. ქართულ ეკლესიის თავად კათალიკოზი ითვლებოდა; **კათალიკოზობა პირველად გახტანგ მეფის დროს დაწესდა დაახლოვებით 460-484 წ. შუა.** კათალიკოზობის დაწესების შემდგომ ქართული ეკლესია დამოუკიდებელი იყო. მას 35 ეპისკოპოსი ემორჩილებოდა; იმათ გარდა მღვდელმსახურთა დასს ქორეპისკოპოსები, ხუცესნი, დიაკონნი და სჯულის მეცნიერნი შეადგენდენ. ქართლისა კათალიკოსი მუდმივ მცხეთაში ბინადრობდა, მაგრამ სასახლე თბილისშიაც ჰქონია.

სხვებზე მეტად სამი სალოცავი იყო მთელ საკათალიკოზოში განთქმული: „მცხეთის ჯვარი“, „მანგლისის ჯვარი“ და „ბოლნისის სიონი“. დიდ-დიდ აზნაურებს საკუთარი კარის ეკლესიაცა ჰქონიათ, მაგალითად, ქართლის პიტიახშმა არშუშამ რომ ქრისტიანობა მიიღო და ცეცხლთაყვანისმცემლობას თავი დაანება „აღმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენა“ საკუთარი მოძღვარი, ხუცესიცა ჰყოლიათ. წმიდათა თაყვანისცემა და მსახურებაც უკვე მეხუთე საუკ. გავრცელებული ყოფილა და კერძო პირებსაც-კი დიდ-დიდ აზნაურთა წრეებში. „წმიდანი ნაწილნი მოწამეთანი“ სახლში ჰქონიათ. აღთქმის დადება, იერუსალიმში გამგზავრება და წმიდა ადგილთა მოხილვა - მოლოცვა იცოდენ თურმე. ლოცვის დროს „ქუეწარსაგებელად კილიკი“ უხმარიათ, დიდმარხვა სწამდათ და ზოგიერთნი ისე ბეჯითად ინახავდენ, რომ მთელ დიდმარხვის განმავლობაში, თურმე, პურს არ ეკარებოდენ. ცისკრისა და მწუხრის ჟამობის გარდა, თუ სხვაგვარი რამ წირვა იცოდენ, საბუთებითგან არა სჩანს.

როგორც ეტყობა მიცვალებულზე წირვა და ანდერძის აგება ჯერ არა სცოდნიათ: მიცვალებულის გვამის განბანისა და სუდარით შეგრაგნის შემდგომ სამღვდელოების წინწაძღოლით „ფსალმუნითა სულიერითა და კეროვნებითა აღნთებულითა და საჴმეველითა სულნელებითა“ დაასაფლავებდენ ხოლმე; მხოლოდ წმიდა მარტვილის დასაფლავების შემდეგ ღამისთევას ასრულებდენ. შენახულია აგრედვე ცნობა მაშინდელ გლოვისწესის შესახებ და როგორც ეტყობა აწინდელს, დასავლეთ საქართველოში ჩვენ დრომდე შერჩენილს, წესს მიაგავდა; მაშინაც, თურმე, „ტიროდეს და იცემდეს მკერდსა და იბძარვიდეს ღაწვთა“.

რამდენად საყურადღებო უნდა იყოს იმდროინდელი ქართული საეკლესიო მწერლობა, ევსტატე მცხეთელის ცხოვრებას საუცხოვოდ ამტკიცებს. ამ თხუზულებაში, სხვათა შორის, მოთხრობილია სახარების შინაარსი, მაგრამ ჩვეულებრივ დედნისაგან ბევრით განირჩევა და განსხვავდება.

ნესტორიანობის შემდგომ ქრისტიანობა ორ მებრძოლ ბანაკად, ეგრედ წოდებულმა მონოფიზიტომ, განხეთქა - კამათმა იესოს ბუნების შესახებ: ორი, თუ ერთი ბუნება ჰქონდა იესო ქრისტეს. ქალკედონის 451 წლის მსოფლიო კრებამ ორი ბუნება აღიარა. აღმოსავლეთის ქრისტიანობის უმეტესობამ უარჰყო ამ კრების დადგენილება, საქართველოსა და სომხეთში გაბრიელ ქართლისა კათალიკოზისა და ბაბგენ სომხითის კათალიკოზის დროს (488 -531 წ.) ამ საგნის თაობაზე ადგილობრივი საეკლესიო კრება იყო მოწვეული და ორივ ეკლესიის წარმომადგენლებმაც ქალკედონის დადგენილება მწვალებლობად იცნეს და იესო ქრისტეში ერთი ბუნება აღიარეს, მონოფიზიტობას მიემხრენ. მაგრამ ამის შემდგომ ასი წლის განმავლობაში ქართველ სამღვდელოებასა და ხალხს თანდათან აზრი შეუცვლია და ქალკედონის კრების დადგენილებას მიმხრობია. ამ დროს ეს სადავო საკითხი სხვა ქვეყ>

ნებშიაც უკვე გადაწყვეტილი იყო; მთელმა იტალიამ და რომის ეკლესიამ, ბერძნების ეკლესიებმაც მართლმადიდებელ რწმენად მაროდენ ქალკედონის აღსარება აღიარეს და მონოფიზიტობა მწვალებლობად იცნეს.

ამაზე მოუვიდა უთანხმოება ქართველ და სომეხ სამღვდელოებას. ეს უთანხმოება იმდენად გამწვავდა, რომ სამუდამო განხეთქილებით დამთავრდა. უსიამოვნობა ცურტავის ეპისკოპოსმა მოსემ ჩამოაგდო. იგი გვარტომობით სომეხი იყო, აღზრდა ცურტავში მიეღო და ქართულიც იქ შეუ სწავლია. ქართველ ეპისკოპოსთა შორის მე-VI-ე საუკუნის დასასრულს მხოლოდ ეს მოსე-ღა მდგარა მტკიცედ მონოფიზიტობაზე. ქართლის კათალიკოზმა კირიონმა მოსე დაიბარა და მისი დასჯა მოიწადინა, კათალიკოზი მას რაღაც დანაშაულობას აბრალებდა. თბილისში ჩამოსული მოსე ეპისკოპოსი კირიონმა გაჯავრებულ გულზე არ მიიღო და მცხეთაში გაემგზავრა. ცურტაველმა ეპისკოპოსმა რომ შეატყო ჩემი საქმე ცუდად არისო, თავის სამწყსოს თავი მიანება და სომხეთში გაიქცა და იქაურ სამღვდელოებას დახმარება სთხოვა: ქართველები ქალკედონის მოძღვრებას მიემხრენ, მონოფიზიტობისათვის განმდევნეს და მომეშველეთო. ჯერ სომეხთა კათალიკოზის მოადგილემ, მერე თვით კათალიკოზმა აბრაამმაც მხარი მისცეს ცურტაველ ეპისკოპოსს და ქართველ სამღვდელოებასა და დიდებულებს წერილი გაუგზავნეს. ამის გამო სომეხთა კათალიკოზის აბრაამისა და ქართველთა კათალიკოზის შორის ცხარე მიწერ-მოწერა ასტყდა. აბრაამი ურჩევდა ქართველებს, ბერძნებს ნუ მიემხრობით და ნუ მოსწყდებით სპარსეთის ქრისტიანობასაო, ჩვენ ყოველთვის ერთიერთმანეთში ძმურად გვიცხოვრია, რად აგდებთ სამუდამო მტრობასაო? კირიონმა უპასუხა: ჩვენ არ შეგვიძლიან მთელ ქრისტიანობას, რომისა, კოსტანტინეპოლისა, ანტიოქიისა, ალექსანდრიისა და იერუსალიმის ეკლესიებს ზურგი მივაქციოთ და მარტო თქვენა და აღმოსავლეთის ქრისტიანებს მივემხროთ, მარტო თქვენ გიცნათ უცდომელი და მართალიო; ამიერითგან ამ საგანზე წერას თავი დაანებე, თორემ არავითარს პასუხს არ მიიღებო. ამის შემდეგ 607 წელს სომეხთა კათალიკოზმა აბრაამმა თავის სამწყსოს ეპისტოლე მისწერა და გამოუცხადა: ქართველები და ალბანელები ბერძნებსავით მწვალებლები არიან, მათთან არაფერი საზიარო არა გქონდეთ, – არც ლოცვაში, არც საჭმელ-სასმელში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში, არც ცოლ-ქმრობაში; შეგიძლიანთ მხოლოდ ივაჭროთ იმათთან როგორც ურიებთანაო. - ამგვარად უთანხმოება **განხეთქილებით დამთავრდა.** ქართველობა საბერძნეთსა და დასავლეთს მიემხრო, სომხების ერთი, უფრო გავლენიანი - წილი-კი აღმოსავლეთის, ასურეთისა და სპარსეთის, ქრისტიანებს; სომხეთის მეორე წილი-კი, განსაკუთრებით დასავლეთს მობინადრე, ქართველებსავით ქალკედონის კრების დადგენილებაზე იდგა. თუმცა ამ დროს იბერია სპარსეთის ხელში იყო, მაგრამ მას შემდგომ, რაც სპარსელებმა მეფობა მოსპეს, ქართველები არც-კი მალავდენ, რომ მათ სპარსელები სძულთ და სულ განთავისუფლებას ნატრულობდენ. ასეთს მდგომარეობაში ქართველები სპარსელებს რას მიემხრობოდენ... კირიონმა ცურტავის ეპისკოპოსად მოსეს მაგიერ ვინმე ასური დანიშნა და იქაურ **ეკლესიაში ქართული წირვა-ლოცვაც** შემოაღებინა, ამიერითგან ქართულ ეკლესიაში ეროვნული მიმართულება ფეხს იკიდებს და მტკიცდება.

თავი მესამე. არაბების შემოსევა და მათი ბატონობა პირველს ორს საუკუნეში

პირველად არაბები საქართველოს ეწვივნენ 643 წ. ქ.შ. მას შემდგომ, როდესაც ადარბაგანი უკვე საბოლოოდ დაპყრობილი ჰქონდათ. ამირამ რამდენიმე სარდალი შეჰყარა და თვითეული ცალკე ჯარითურთ კავკასიის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა ქვეყნის

დასაპყრობად; საქართველოში ჰაბიბ იბნ მასლამა ანუ აბაბოსს გამოისტუმრა, რომელიც საჩქაროდ თბილისისაკენ გამოემართა.

645 წ. ქ.შ. არაბთა სარდალმა აბიბოსმა სომხითში გაილაშქრა, შეეყარა ბიზანტიელს სარდალს მავრიანოსს და კავკასიის უღელტეხილამდე სდია, ხოლო ქვეყანა დაიპყრაო.

მაშასადამე არაბთა ლაშქრობა საქართველოში 643-645 წლებში უნდა მომხდარიყო.

არაბთა ისტორიკოსებს, ბელაძორსა და ტაბარის, თვით ის ბრძანება, რომელიც გაუცია არაბთა სარდალს, როდესაც იგი საქართველოში შემოსულია, და არაბ-ქართველთა ხელშეკრულობაც მორჩილების შესახებ, თუმცა დამახინჯებულად, მაგრამ მაინც შენახული აქვთ.

ბელაძორის სიტყვით არაბთა სარდალს მიუწერია: „ჩემთან და ჩემს გვერდით მყოფ კეთილმორწმუნეებთან თქვენი მოციქული მოვიდა და მოგვახსენა, რომ ჩვენ სწორედ ის ერი ვართ, რომელსაც ღმერთმა პატივი მიანიჭა და დააწინაურაო. ჭეშმარიტად, ესე იყო ნება მისი, მადლობა ღმერთსა, - ღმერთმა დალოცოს მუჰამმედ, მოციქული თვისი და ყოველთა ქმნილებათაგან მისთა ურჩეულესი! ნეტარ არს იგი! – მერე, გვიამბეთ, რომ თქვენ მშვიდობიანობის ჩამოგდებას გვთხოვთ. თქვენი საჩუქრები დავთვალე da თქვენ ხარაჯად ჩაგითვალეთ. გიგზავნით ხელშეკრულობას, რომელშიაც პირობები ჩამოთვლილი მაქვს; თუ მიიღებთ იმას და აასრულებთ ხომ რა კარგი, თუ არა და ღვთისა და მის მოციქულის სახელით ომი გამოგეცხადოთ, ნეტარ არიან რომელნი გზასა მართალთასა ადგიან“. იგივე საბუთი ტაბარის სხვა სახით აქვს შენახული; „სახელითა ყოვლად მოწყალისა ღმრთისაჲთა, ჰბიბისაგან ძისაგან მასლამაჲსსა თბილისის მცხოვრებთა მამართ ქართლში (ჯურზან) სანახებსა ჰარმაზისასა (ჰარმაზ), მშვიდობა თქვენდა! დიდებასა აღვავლენ ღმრთისა მიმართ, რომლის გარდა სხვა ღმერთი არა არს! მოვიდა ჩვენთან თქვენი მოციქული (სახელი დამახინჯებულია), თქვენი ნალაპარაკევი მოგვახსენა, მოგვართვა თქვენი ძღვენი და გვიამბო, გეთქვათ: „თქვენ ერი არ ხართო“. მართალია ასე ვიყავით ჩვენ ვიდრე მაღალმა და ყოვლად ძლიერმა ღმერთმა ხელითა მუჰამმედისათა, - აკურთხოს და ულხინოს მას ღმერთმან, - გზად მართლისად მიგვიყვანა და უძლურებისა, სიმდაბლისა და უვიცობისაგან (ამოყვანილნი) ისლამით ძლიერ გვყვნა. მერე - თქვენმა მოციქულმა სთქვა, რომ ჩვენგან მშვიდობიანობას ითხოვთ. არც მე, არც ჩემთან მყოფ კეთილმორწმუნეთ ამის საწინააღმდეგო არა გვაქს რა; გიგზავნით აბდურაჰმანს ჯაზის ძეს სულამიელს, ჩვენს საუკეთესო სჯულის-მეცნიერთა და კურანის მკითხველთაგანს და თან ვატან ჩემს წიგნს თქვენის უზრუნველყოფისა და მფარველობის შესახებ. თუ მოინდომებთ, ის მოგცემთ ამ წიგნს, თუ არა და, იგი პირდაპირ და პატიოსნებით ომს გამოგიცხადებთ, რამეთუ ურწმუნონი არა სთნავს ღმერთსა!“ მეორე ამ საბუთთაგანი უფრო წესიერად არის დაწერილი და აქ პირვანდელი, არაბთა ეპისტოლეების ჩვეულებრივი სახე უკეთ უნდა იყოს შენახული, თუმცა არც პირველშია რაიმე ეჭვის აღმძვრელი. პირველ საბუთში რომ მოხსენებულია, ქართველმა მოციქულმა სთქვა: თქვენ, არაბები ის ერი ხართ, რომელსაც ღმერთმა პატივი მიანიჭა და დააწინაურაო, გასაოცარი არ არის და შესაძლებელია ქართველთა დესპანს მართლაც ეთქვას ამის მსგავსი რამ. ამგვარი აზრი ხალხში ტრიალებდა თურმე; ქართველი მემატიანე მოგვითხრობს, ვითომც აღმოსავლეთში მყოფ ჰერაკლე კეისრისათვის რომელსაღაც ღვთისნიერს მონაზონს ეთქვას; „ივლიტოდეთ, რამეთუ **უფალმან მისცა აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკინოზთა“-ო.**

ბიზანტიის კეისრის ჰერაკლეს სიმკაცრითა და სარწმუნოებრივ მძულვარებით მობეზრებული და უკმაყოფილონი აღმოსავლეთის ბევრი ერები არაბებს თავდაპირველად სიხა რულით ეგებებოდენ და ბერძენთა მონობისაგან განმანთავისუფლებლად სთვლიდენ. ამგვარს შეხედულების დამყარებას ხელს უწყობდა და ამტკიცებდა, რასაკვირველია, ის უტყუარი გარემოება, რომ თავდაპირველად არაბები სხვა ხალხთა სარწმუნოებას (კერპთაყვანისმცემელთა გარდა), მეტადრე–კი ქრისტიანობას თავისუფლებას ანიჭებდენ და ლმობიერად ეპყრობოდენ, ოღონდ-კი დაწესებული გადასახადი სვინდისი ერად გადაეხადათ.

არც გასაკვირველია, რომ ამგვარ სიძულვილის ნიადაგზე აღმოცენებული იყო იმნაირი აზრი, რაც გამოუთქვამს არაბთა სარდლის წინაშე ქართველთა მოციქულს და რანაირიც მოყვანილი აქვს ჩვენს მემატიანეს ჯუანშერს. არაბთა სარდლის ზემომოყვანილი საბუთი

ამტკიცებს, რომ, როდესაც ძლევამოსილი მტერი საქართველოს სამზღვრებს მოსდგომია, ქართველებს გადაუწყვეტიათ, რომ ბრძოლით ვერას გახდებოდენ, და ისევ მშვიდობიანი მოლაპარაკება და ზავი უმჯობინებიათ. ტაბარის მიერ შენახულს საბუთში ქართველთა მოციქული ქ. თბილისის მცხოვრებთა წარმომადგენელად არის დასახელებული, მაგრამ ამასთანავე ნათქვამია, ვითომც ეს ქალაქი არმაზის სანახებში ყოფილიყოს. თვით ხელშეკრულობაში-კი, რომლის თარგმანი მთლად ქვემოდ იქნება მოყვანილი, იგივე თბილისი მანგლისის სანახებშია მოხსენებული. ვგონებ ორსავ შემთხვევაში შეცდომა უნდა იყოს და თავდაპირველად საბუთებში შესაძლებელია ნათქვამი ყოფილიყოს, რომ მოციქული მარტო ქ. თბილისის მცხოვრებთა წარმომადგენელი-კი არ იყო, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებისაც, მაგ. მანგლისისა, არმაზისა და სხვათა. შემდეგ რაკი გადამწერმა არაბებმა ამ სახელების მნიშვნელობა არ იცოდენ, ალბად თვით სახელებიც დამახინჯდა; ზოგი გამოტოვებულ იქმნა და ზოგი აირია; ამიტომ არის, ალბად, რომ თბილისი ხან მანგლისის სანახებშია, ხან არმაზისაში, ხან ორთავეში.

ჩვენამდის მოაღწია თვით იმ ხელშეკრულობამაც, რო მელზედაც არაბები და ქართველები შეთანხმებულან. ბელაძორის სიტყვით იგი ასე ყოფილა დაწერილი:

„სახელითა ყოვლად მოწყალისა ღმრთისაჲთა.

ესე არს წიგნი ჰაბიბისა მასლამას ძისაჲ მცხოვრებთა მიმართ ქალაქისა თბილისისათა სანახებსა მანგლისისასა ქართლში (ჯურზან), არმაზნი (დამახინჯებულია, ალბად იქნებოდა „მცხოვრებთა მიმართ ქ. ტფილისისათა და სანახებისა მანგლისისათა და არმაზისათა ქართლში) სიცოცხლისა მათისა და ეკლესიებისა მათისა და მონასტრებისა მათისა და სამლოცველოებისა მათისა და სარწმუნოებისა მათისა უვნებლობისათვის, მორჩილებისა მათისა და ხარაჯისა მათისა სანუქფოდ: რომელ არს თვითოსა სახლსა ზედა დრაჰკანი (დინარი) ერთი. თქვენ უფლება არა გაქვთ რამდენიმე სახლობა შეაერთოთ, რომ ამ გზით ხარაჯა შეიმციროთ; მაგრამ არც ჩვენა გვაქვს უფლება ერთი სახლობა რამდენადმე გავყოთ, რომ ამ გვარად ხარაჯა გავიმრავლოთ. თქვენ მოვალენი ხართ რჩევით, თუ თანადგომით შეძლებისდა გვარად მოგვეშველოთ ღმრთისა და მის მოციქულის, - სიწმიდე და წყალობა ღმრთისა იყავნ მასთან, - მტრების წინააღმდეგ (საბრძოლველად). ამას გარდა თქვენ მოვალენი ხართ გაჭირვებულს მუსლიმანს ერთის ღამით თავშესაფარი მისცეთ და გაუმასპინძლდეთ ისეთის საჭმელებით, რომელიც (საღმრთო) წერილის მექონე ერებს (ე.ი. ქრისტიანებსა და ებრაელთ) და ჩვენც გვეჭმევა. თუ ვინიცობაა რომელიმე მუსლიმანი თქვენში (თავის რაზმს) ჩამორჩა, თქვენ მოვალენი ხართ მიაცილოთ იგი კეთილ-მორწმუნეთა მახლობელ რაზმის (სადგურამდის). თუ რომ მოიქცევით (ისლამისადმი) და ლოცვას აასრულებთ, თქვენ ჩვენი სარწმუნოებისა-მიერ ძმები იქნებით, თუ არა და თქვენ მოვალენი ხართ ხარაჯა გადაიხადოთ ხოლმე. მაგრამ თუ მუსლიმანებს რაჲმე დააბრკოლებს, რომ თქვენზე ზრუნავდენ, თქვენი მტერი-კი თქვენ გმძლავრობდეს, თქვენ ეს არ გეკითხოსთ და ამით თქვენი ხელშეკრულობა არ დაირღვეს. ეს გეკუთვნით თქვენ და გაწევთ ვალად. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და ანგელოზნი მისნი“.

იმავ პირობით, რომელიც ზემოაღნიშნულ საბუთებშია მოყვანილი, დაჰმორჩილებიან არაბებს საქართველოს სხვა კუთხეებიც: ხერკი, ქსოვრისი, ქსანი, ხუნანი, სამცხე, გარდაბანი, კსტსჯი (?), შავშეთი, ბაზალეთი, კლარჯეთი, თრიალეთი, კახეთი, კუხეთი, არტაჰანი, დარიალთანი, წანარნი და დიდოელნი.

როგორც ამ ნუსხისაგანა ჩანს არაბებს დაუწერიათ **მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველო.**

აღმოსავლეთ საქართველოში არაბები ბატონობდენ 657 წ დე ქ.შ., როდესაც არაბთა შორის დაიწყო შინაური არეულობა და ბრძოლა, რომელიც გათავდა მხოლოდ 661 წ., მას შემდგომ, როცა მუავიამ მოჰკლა ხალიფა დ თვით დაჯდა მაჰმადიანთა ერთად-ერთი ბრძანებლად. ამ დროს განმავლობაში არაბებს დაპყრობილ ქვეყნებისათვის არ სცალოდათ. თვით მუავაა იძულებული იყო ბიზანტიის კეისარს კონსტანტინე III დაჰზავებოდა და ხარკიც-კი მიეცა, რომ თავისი თავი ბერძენთა მტრობისაგან უზრუნველეყო და გულდამშვიდებული, მთელი თავისის ძალღონით თავის მოწინააღმდეგეს შეჰბმოდა, ამ დროს აღმოსავლეთი საქართველოც

უეჭველია არაბთა ბატონობას თავს დააღწევდა და ცოტადაც არის თავისუფლად ამოისუნთქავდა.

მუავია, რომ ძალა მოიკრიბა, 672 წ. კვლავ განაახლა ბრძოლა ბიზანტიის კეისართან და 677 წლამდე მედგრად ეომებოდა მას; მაგრამ მაინც ვერას გახდა და იძულებული იყო ზავი შეეკრა, იმიტომ რომ კეისარმა ლიბანითგან მარდაიტების მებრძოლი ტომი მიუსია ხალიფას სამფლობელოს და არაბ–მცხოვრებთა ცარცვა-გლეჯით სიცოცხლე გაუმწარა. ხელშეკრულობა თეოფანეს სიტყვით 678 წ. იყო დადებული და შემდეგს პირობებს შეიცავდა: 1) კეისარი მარდაიტების წაქეზებას და არაბებზე მისევას თავს დაანებებდა, ხოლო არაბები ბიზანტიელებს ფულად, ცხენად და ყმებად საზღაურს მისცემდენ; 2) კვიპრი, სომხითი და იბერია **მათ საერთოდ თანასწორად ექმნებოდათ**. ეს ხელშეკრულობა ცხადათ გვიჩვენებს, რომ არაბების ბატონობა აღმოსავლეთს საქართველოში ამ დროს შერყეული ყოფილა და ბიზანტია მათ ისევ შესცილებია.

685 წ. ქ.შ. კავკასიას მოულოდნელად დიდი უბედურება ეწია: ჩრდილოეთით ხაზართა ძლიერი ლაშქარი შემოესია საქართველოს, ალბანეთს და სომხეთს; ბრძოლაში ქართველთა და სომეხთა ერისთავნი ამოხოცეს და ქვეყანა ააოხრეს.

ბიზანტიელებსა და არაბებს ისეთი მეტოქეობა ჰქონდათ, რომ ვერც 678 წ. ხელშეკრულობას ჩამოუგდია არაბთათვის სასურველი მშვიდობიანობა. **კეისარს იუსტინიანე მცირეს (II) თავისი სარდალი ლეონტი ჯარითურთ სომხეთში გამოუგზავნია, დაუხოცინებია იქ მყოფი არაბები, ხოლო სომხეთი, იბერია და ალბანია** აგრეთვე სხვა ქვეყნებიც **კეისრისთვის დაუმორჩილებია.** იუსტინიანე II ლაშქრობა კავკასიაში მისი მეფობის მეოთხე ინდიკტიონსა ყოფილა, ე. ი. 688- 689 წ.

მართლაც, როგორც ჩანს, აღმოსავლეთს საქართველოს მაშინ არაბთა ბატონობისაგან ცოტა მოუსვენია. ამ მხრივ ყურადღების ღირსია, რომ **ნერსემ, ქართლის ერისთავმა** არაბთა სარდალი ვინმე ბარაბა დაამარცხა და განდევნა. უცხოვრია მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევარში.

მაგრამ მაინცა და მაინც, როგორც ჩანს, არც თუ იმერი ქართველები ბერძნებისა ყოფილან მადლიერნი; 689 წ. **ლაზიკის პატრიკიოზი სერგი ბარნუკის ძე** აჯანყებია ბიზანტიელებს და თავისი სამფლობელო არაბთათვის დაუმორჩილებია.

ხოლო თვით არაბები ჰგრძნობდენ, რომ თუ ჩრდილოეთის მცხოვრებთ, იმიერ-კავკასიის მკვიდრთ, ხაზარებს, როგორმე არ დაიმორჩილებდენ, მათი მდგომარეობა კავკასიაში არას დროს უზრუნველყოფილი არ იქნებოდა: იმამითაც ჰქონდათ ხშირად ქართველებს ზურგი გამაგრებული; ამასთანავე, მას შემდგომ, რაც არაბთა პირველი ლაშქრობა არაბების დამაცხებით დამთავრდა, გათამამებული ხაზარნი არაბთათვის მუდმივი საფრთხე იყვნენ. ამიტომაც იყო, სხვათა შორის, რომ მე-VIII-ე საუკ. მოყოლებული არაბები ასეთის სიმედგრით ებრძოდენ ხაზარებს. ჩვენთვის ეს ბრძოლა იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც იგი საქართველოსაც ეხებოდა.

ხალიფამ ლაზიდ II (720-724) ამირად ჯარრაჰი აბდალ ლაჰის ძე დააყენა და დიდის ლაშქრით ხაზართა ჯარის წინააღმდეგ გაისტუმრა. ხაზარებს თვით ხაკანის შვილი წინ უძღოდა. ჯერ კიდევ ხაზარეთში მისული არ იყვნენ, რომ **ალაზნის პირას** მოპირდაპირენი ერთმანეთს შეებრძოლენ; გამარჯვება არაბებს დარჩათ; ძლეულს მტერს კვალ-და-კვალ მიჰყვნენ, შევიდენ ხაზარეთში და დიდძალი დავლა იშოვნეს.

ხალიფა ჰიშამის (724-743) ბრძანებისაებრ ამირა ჯარაჰმა 729-730 წ, ქ.შ. **თბილისის სანახებზე** გაიარა, კვლავ ხაზართა ქვეყანას შეესია და ერთი ქალაქიც აიღო.

ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი მოგვითხრობს: „მოიწია ამირა აგარიანი ქართლად, რომელსაც ერქუა მურვან ყრუ ძე მომადისი, რომელი წარმოევლინა ეშიმს (=ჰიშიმს) ამირ მუმნსა ძესა აბდალმელიქისასა ნათესავთაგან ამათისა... და ყოველნი მთავარნი, პატიახშნი, ნათესავნი ერისთავნი და წარჩინებულთანი შევიდოდეს კავკასიად და დაიმალნეს კლდეთა და ღრეთა და მოვლო ყრუ მურვან ყოველი კავკასია და დაიპყრა კარი დარიალანისა და დარუბანდისა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღუართა ქართლისათა,.. და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ქუეყანისა ეგრისისანი“-ო.

„მურვანი ძე მომადისი“ წარმოუგზავნია ამირ ალ-მუემი-ნინას ჰიშამს ძესა აბდალმელიქისასა და ეს სარდალი ყოფილა „ნათესავთაგანი“ ამირთ ამირასი. ჩვენ ვიცით, რომ ჰიშანი ძე აბდალმელიქისა ხალიფად იჯდა 724-743 წ. ქ.შ.; მურვანი არის მერვან II, რომელიც მართლაც მოჰამედის შვილი იყო.

მურვანი 729-730 წ. ქ. შ. ყოფილა გამოგზავნილი.

როგორც აღნიშნული იყო, მურვანს მოუვლია „ყოველი კავკასია და დაიპყრა კარი დარიალანისა და დარუბანდისა.“ მურვანს ხალიფა ჰიშამის ბრძანებისაებრ მთელის თავის მხედრობით ქსნით დარიალანის ხეობა და კარი გაუვლია და ხაზარნი დაუმარცხებია, იმიერ-კავკასიითგან ერთი ტომი გადმოუყვანია და კახეთში დაუსახლებია. ხოლო 737-742 წლებში ძლევა-მოსილი ლაშქრობა ჰქონია კავკასიაში და იმიერ-კავკასიაში, ისე რომ დაუმორჩილებია და გაუმაჰმადიანებია, რასაკვირველია იძულებით, ხაზარნი, აუღია დაღესტნის მთელი ქვეყანა, სამურის სანახები და შაბირანი, ლეკეთი, ტაბასარანი და დიდოელნი.

ჯუანშერი ამასთანავე ამტკიცებს, რომ მურვანს დაუპყრია აგრეთვე ეგრისის ციხეები და აიღო „კლისურა“, რომელი მას ჟამსა იყო საზღუარი საბერძნეთისა და საქართველოსა, შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი, მოადგა ციხესა ანაკოფიისასა... და ერისთავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სობღისა, რომელ არს **გარდასაკაოსა ოვსეთისასა** და ვერავინ შემძლებელ იყო წყობად“ მისიო. არც არაბ, არც სომეხ, არც ბიზანტიელ ისტორიკოსებს მურვანის ლაშქრობის შესახებ დასავლეთ საქართველოში, ეგრისსა და აფხაზეთში, არაფერი აქვთ ნათქვამი; და არა ჩანს, რამდენად სამართლიანია ზემომოყვანილი ამბავი. თავის თავად-კი ისეთს არაფერს შეიცავს, რაც ან დასაჯერებელი არ იყოს, ან მტკნარს შეცდომას წარმოადგენდეს.

მურვანის შემოსევამ ისე გაანადგურა და იქმნა „განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა“, რომ „არღარა იპოებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე“-ო და ბერძენთა კეისარს შველა სთხოვეს. მურვანის ამირობას ისეთი საშინელი დაღი დაუსვამს საქართველოზე და ქვეყანა ისე აოხრებულა, რომ თუმცა მას შემდგომ „გარდავლნა ჟამნი მრავალნი მშვიდობით“, მაგრამ მაინც „არღარა მოგებული იყო კუალსა თჳსსა“, მაინც ვერ გამობრუნდაო.

ხალიფა მანსურის დროს (754-775) მისმა ამირამ დაიპყრა არაგვის ხეობა, დაიმორჩილა წანარნი და ხარკი დაადო. ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 754-764 წლებს შუა.

764 წელს ხაზარებმა ქართლი ააოხრეს; ქართველი ისტორიკოსიც ამ შემოსევის მიზეზად შემდეგს გარემოებას ასახელებს: **ქართლის ერისთავს ჯუანშერს** ერთი სილამაზით განთქმული და ჰყოლია, რომელსაც სახელად შუშანი რქმევია. „მიესმა მისი ხაზართა მეფესა ხაკანსა, მოგზავნა მოციქული და ითხოვა შუშან ცოლად და უქადა შუელა სარკინოზთა ზედა. რაჟამს მოიწია მოციქული ხაკნისა, მიუმცნო ჯუანშერ ძმასა და დედასა თჳსსა; ხოლო მათ არა ინებეს და უთხრეს: „უკუეთუ უღონო იქმნას ყოფაჲ ჩუენი, უმჯობეს არს რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრე და შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ“, და შუშანთა აგინა ხაზარცა მეფესა“-ო. ეს უნდა მომხდარიყო 761 წელს. თუმცა პოლიტიკურად ქართველებისათვის ხაზართა ხაკანის სიძობას და მისს პირობას, რომ იგი ქართველებს სარკინოზთა, ანუ არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში უშველიდა, მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და საგულისხმიერო უნდა ყოფილიყო, მაგრამ სარწმუნოებრივს სიძულვილს წარმართთადმი დაუხშვია ქართლის ერისთავის სახლობისათვის საღი პოლიტიკური მსჯელობის უნარი.

ქართველთა უარით შეურაცყოფილმა „შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა ხაკანმან სპასალარი თჳსი ბულჩან, გამოვლო გზაჲ: ლეკეთისაჲ და შემოვიდა კახეთად, მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყუნეს ჯუანშერ და დაჲ მისი შუშან, და მცირეთა დღეთა წარიღო და ტყუე ყუნა იგინი, **შემუსრა ქალაქი ტფილისი**, წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანაჲ: და ვითარცა წარემართა გზასა დარიალანისასა“, შუშანმა თავი მოიწამლა და მოკვდა; „წარმოვიდა ბულჩან, ხაკნისა მიგუარა ჯუანშერ და მიუთხრა სიკუდილი დისა მისასაჲ .. მაშინ შეიპყრეს ბულჩან და მოაბეს ყელსა საბელი და განზიდვად სცეს ორთა ცხენოსანთა ამიერ და იმიერ და მოსწყდეს

თავი მისი ბოროტად: და ვითარცა დაჰყო (ჯუანშერ მუნ) წელიწადი შჯდი, განუტევა ნიჭითა დიდითა“-ო. მაშასადამე ტყვეობითგან ჯუანშერი 771 წელს დაბრუნებულა.

ხალიფა მანსურმა თავისი ჯარი გაგზავნა მათ წინააღმდეგ, მაგრამ არაბები დამარცხდენო.

ცუდი დრო დაუდგათ ქრისტიანებს საზოგადოდ და ქართველებსაც მათ შორის აბბასელ გვარის პირველ ხალიფების მეფობაში; მათ შემოიღეს მკაცრი სარწმუნოებრივი, მაჰმადიანური მიმართულება პოლიტიკაში; ომაჲაელთა ხალიფების წინანდელი პოლიტიკა-კი უღმრთოებათა და ურწმუნოებად იყო ცნობილი. მათ დროს ხალხი, დიდი და პატარა, შევიწროებული იყო, ქვეყანა მძიმე ტვირთ ქვეშ იჭყლიტებოდა. ამ მკაცრ მმართველთა გუნდს ხალიფა მანსურიც ეკუთვნოდა. მის ხალიფობის მეორე ნახევარში ქართლის ერის მთავრად ყოფილი **„ნერსეჲ ძჱ ადარნერსე კურაპალატისა და ერის მთავრისაჲ“.** 772 წელს იგი მიწოდებულ იქმნა ქუეყნად ბაბილოვნისა მფლობელისა მის გან ჟამსა სარკინოზთასა ამირა მუმნისა აბდილაჲის გან (=მანსურს), რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდათს, რომელიცა იგი მან აღაშენა“.

ტყუილად კი არ იყო იგი ამ სიშორეზე დაბარებული; არაბთა ბრძანებელი უწყრებოდა ქართლის ერისთავს და აკი მისვლასთანავე „შესმენითა ბოროტთა კაცთაჲთა შთააგდო საპყრობილესა მან ნერსე ერისთავი ქუეყანისა ამის ქართლისაჲ და პყრობილ იყო იგი მუნ“ 775 წლამდე. ხალიფა მაჰდიმ (775-785) „გამოიყვანა იგი მწარისა მის გან საპყრობილისა და განუტევა იგი კუალად ერისმთავრობით აქა ქუეყანადვე თჳსად“. ნერსე ერისთავს მაინც დიდხანს ვერ უსიამოვნებია არაბებისათვის და ბოლოს მაინც „კუალად იყო განრისხებაჲ ჴელმწიფეთა მათ სარკინოზთაჲ ნერსე ერისთავსა ზედა“. ეს დაახლოვებით 780-781 წ. უნდა მომხდარიყო. რაკი ახლა მას კარგად ჰქონდა გამოცდილი, რაც მოჰყვებოდა ხოლმე არაბთა უკმაყოფილებას, ამასთანავე „სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა ერი“ და საშინლად ემტერებოდენ, და ამიტომ „ივლტოდა იგი“ ჩრდილოეთისაკენ; უვნებლად გადურჩა მტრებს და „განვლო მან კარი ოვსეთისაჲ, რომელსა დირიალანი ერქუმის“. თვითონ თუ იმიერ-კავკასიისაკენ გაიხიზნა, თავისიანები დასავლეთ საქართველოში გაუსტუმრებია: „პირველადვე წარეგზავნნეს მას დედაჲ და ცოლი და შვილნი და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი“ აფხაზეთში, „რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანაჲ იგი შიშისა გან სარკინოზთაჲსა“. ნერსე ერისთავი ლტოლვილი ხაზარეთში მივიდა.

ქართველ ისტორიკოსის იოანე საბანის ძეს სიტყვით, თუმცა იყვნენ „ხაზარნი კაც ველურ, საშინელნი პირითა, მჴეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა შჯულ არა აქუს, გარნა ღმერთი ხოლო შემომქმედი იციან“, მაგრამ ქართლის ერისთავს მაინც, ვითარცა უცხო სტუმარს, კარგად დაჰხვედრიან. ნერსე ერისთავის ღირსეულად მიღება და შენახვა ადვილი-კი არ იქნებოდა, იმიტომ რომ ნერსეს თან დიდი ამალა გაჰყოლია. „იყო მის თანა ერისა გან მისისაჲ ვითარ სამას ოდენ მამაკაც“.

ხაზარეთითგან ნერსე გადასულა აფხაზეთს, სადაც მას მთელი მისი სახლობა დახვდა. როცა ნერსე ერისთავი გაქცეულა, არაბებს იმის მაგიერ სხვა დაუყენებიათ. „წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმნმან ბრძანებითა ღმრთისაჲთა **სტეფანოზ ძე გურგენის ერისთავისაჲ** დისწული ნერსჱსი, ნაცვლად დედის ძმისა თჳისისა ნერსჱსა ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლად“. ეს ამბავი გახარებია ნერსეს და დამშვიდებულა იმიტომ, „რამეთუ უფლება. იგი სახლისა მისისა გან არა განა შორა ღმერთმან“. ნერსეს ჰგონებია რომ არაბებს შეეძლოთ ქართლის ერისთავობის უფლება მის სახლისათვის ჩამოერთმიათ და სხვისათვის გადაეცათ.

რაკი ნერსესს შიში არ გაუმართლდა, მან უფრო გაბედულად დაიწყო მოქმედება და „წარმოავლინნა მოციქულნი და ითხოვა ჴელმწიფეთა გან ამირათა ამის ქუეყანისათა, რათა უშიშ ყონ იგი ბოროტისა გან და გამოვიდეს ჴსნილად ყოვლით ერითურთ მისით“ უვნებლობის სიმტკიცე და სამშობლოში თავისუფალ ცხოვრების ნებართვა უთხოვნია. არაბ ამირამ ნერსეს სურვილი აუსრულა და ქართლში და თბილისში დაბრუნების ნება მისცა. ამ ნებართვით გახარებული ნერსე 782-783 წ. ქ.შ. მოვიდა. მაშინ ქართლში იგივე **სტეფანოზი ძე გურგენის** ერისთავობდა, ხოლო ნერსე ხელისუფლობას მოკლებული იყო. სტეფანოზი ქართლის ერისთავად ყოფილა 785- 786 წ. ქ.შ., იმ 785 წელიწადს, როდესაც არაბებმა აბო ტფილელი აწამეს.

ამავე დროს მე-VIII-ე საუკ. ბიზანტიის ქრისტიან კეისრების მფარველობის ქვეშ მყოფ დასავლეთ საქართველოში მშვიდობიანობა და მყუდროება იყო, ისე რომ მათ **აღმო სავლეთის თანამოძმეებს** მათი მდგომარეობა სანეტაროდ ეჩვენებოდათ. მარტო ის რად ღირდა, რომ აფხაზეთში მაშინ მყუდროება სუფევდა, „კრძალულ იყო ქუეყანაჲ იგი შიშისა გან სარკინოზთაჲსა“, არაბთა თავდასხმისაგან უზრუნველყოფილი იყო ისე, რომ როდესაც ქართველებს ქართლ-კახეთში მეტის-მეტად გაუჭირდებოდათ ხოლმე, დასავლეთს საქართველოში, ეგრისში და აფხაზეთში, გადიზხნებოდენ და იქ ეძიებდენ მყუდრო თავშესაფარს. ამ დროს, იყო ქუწყანაჲ იგი სავსჱ დპ ქრისტჱ სარწმუნოებითა“ და ყოფილა „სამკჳდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთაჲ“. თვით აფხაზეთის მთავარმა თუ ეპისკოპოსებმა და მღვდლებმა, ან „კაცთა მათ მის ადგილისათა გარდამეტებული ღმრთის მსახურებაჲ და ლოცვათჲ იცოდენ.

ქართული სამართლის ისტორია წიგნი II

წინასწარი ცნობები

სანამ ბაგრატ III საქართველოს ერთ სამეფოდ შეჰქმნიდა. და დავით აღმაშენებელი ამ საჴელმწიფოს სრულს გაერთიანებას დაამთავრებდა, ჩვენი ქვეყანა რამდენსამე პატარა სამეფოდ იყო. დაყოფილი. კახთა და ჰერეთის სამეფო. აღმოსავლეთით, უკვე გაერთიასებული აფხაზთა მეფეთა საბრძანებელი, რომელიც ლიხის მთამდე იყო გადმოჭიმული, დასავლეთით, დასასრულ მესხეთისა და ქართლის მფლობელთა, „ქართუელთა მეფე“-დ წოდებულთა სამეფო, - აი ის პატარა ქართული საჴელმწიფო ერთეულები, რომელთაც თავიანთი საზოგადოებრივი წესწყობილებაც ჰქონდათ და საჴელმწიფო დაწესებულებანიც. შეუძლებელია საერთო თვისებებს გარდა შათ ადგილობრივი, კუთხებრივი თავისებურობაც არ ჰქონოდათ, ზოგ რაშიმე განსხვავება არ ყოფილიყო. საქართველოს გაერთიანების დროს რასაკვირველია საერთო.საჴელმწიფო წესწყობილება და დაწესებულებანი შეიქმნენ. ამ საერთო. დაწესებულებათა შექმნის დროს უეჭველია საქართველოს ყველა შემადგენელს ნაწილებს თანასწორი მნიშვნელობა არ ექნებოდათ, არამედ სხვებზე ძლიერი კულტურულად და საჴელმწიფო წესწყობილებით თავის გავლენით დანარჩენთ თავისას შეათვისებინებდა. მაგრამ ამისდა მიუხედავად სრულებით ცხადია, რომ საქართველოს შემადგენელი თვითოეული ნაწილთაგანიც საჴელმწიფოს ხუროთმოძღვრებაში ცოტად თუ ბევრად საკუთარ წვლილსაც შეიტანდა. ამას გარდა გაერთიანებულ საქართველოს საზოგადო საჴელმწიფო დაწესებულებანი ადგილობრივ თავისებურებას მთლად ვერ მოსპობდენ და ზოგი რამე მაინც წინადროითგან საქართველოს თვითოეულ ნაწილთაგანს შენარჩუნებული ექნებოდა.

სამწუხაროდ თვითოეულის ამ ქართველთა სამეფოთაგანის საჴელმწიფო. წესწყობილების შესასწავლად საკმაო ცნობები არ მოგვეპოვება. ამ ხანის საბუთებს ჩეენამდის ან სრულებით არ მოუღწევია, ან იქმნებ ჯერ აღმოჩენილი არ არის. ამგვარადვე ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება „ცხორება აფხაზთა“ და სხვა ისტორიული თხზულებები აფხაზთა მეფეების შესახებ, რომელთა არსებობა ყოველგვარს ეჭვს გარეშეა (იხ. ისტორიის მიზანი 1, 147-148). კახთა მეფეების მატიანეებიც დაკარგულია. არსადა სჩანს ტფილისისა და ქართლის კერმო მატიანეც (იქვე 1, 146-147). ამის გამო ამ ხანის საქართველოს სხვადასხვა საჴელმწიფო. ყოფა-ცხოვრების შესასწავლად მხოლოდ „მატიანე ქართლისაᲘ" არის. მაგრამ ცნობილია, რომ ამ ნაწარმოების ავტორი მეტად სიტყვა-ძვირი მოუბარია და მისი მოთხრობა მხოლოდ პოლიტიკურ ვითარებას გვისურათებს. ამასთანავე მისი უმთავრესი ყურადღება და გულისყური საქართეელოს. გაერთიანების, ისტორიისაკენ იყო მიპყრობილი: მთელს თავის ძალას ამის აღწერას ალევს და რაკი გაერთიანებისათვის ბრძოლა უფრო რომ ქართლის გამოისობით გაჩაღებული ბრძოლა იყო (იხ. ქ˜ლ ერის ისტორია II, 380), ამიტომ მის მოთხრობაში მთავარი ადგილი ქართლს უკავია, დასავლეთ საქართველოსა და კახეთს ნაკლებად ეხება, იმდენად, რამდენადაც იქ მომხდარი ამბები საქართველოს გაერთიანებასთან ასე-თუ-ისე დაკავშირებული იყო. ამას გარდა მემატიანეს ვითარცა ქართლელს თავის თემის ამბები უკეთ სცოდნია, ვიდრე საქართველოს დანარჩენ ნაწილებისა (იხ. ისტორიის მიზანი IL, 146-148).

წმიდათა და მარტჴლთა ცხორებანი, რომლებშიაც ხშირად ძვირფასი ცნობებია ხოლმე შენახული საჴელმწიფოს ყოფა-ცხოვრებისა და სოციალურ წესწყობილების შესასწავლად, განსაკუთრებით შესხეთისა და ქართლის სულიერ მოძღვართა მოღვაწეობას და თავგადასავალს გვისურათებენ. ჯერჯერობით არც ერთი ც˜ა, ან მარტჴლობა აღმოჩენილი არ არის, რომ საკუთრივ აფხაზეთის, ან დასავლეთ საქართველოს სხვა რომელისამე კუთხის, ან კიდევ კახეთის მარტჴლსა და წმიდანს ეხებოდეს. ილარიონ ქართველის ც˜ა სათვალავში

მისაღები არ არის იმიტომ, რომ ის ბეძნულითგან არის ნათარგმნი. დავით გარესჯელის, ანტონი მარტომყოფელის, ამბა ალავერდელისა და აბიბოს ნეკრესელის თავდაპირველს ცხორებებში შეიძლება ბევრი საყურადღებო და ძვირფასი ცნობა ყოფილიყო, მაგრამ ჯერჯერობით ეს პირვანდელი ცხორებანიც დაკარგულია.

ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, რომ ქართულ სახელმწიფო სამართლის ისტორიის იმ ხანის შესასწავლად, როდესაც საქართველო ჯერ გაერთიანებული არ იყო და ცალცალკე კახთა, აფხაზთა და „ქართუელთა“ მეფეები და სამეფოები არსებობდენ, ცოტად-თუ-ბევრად საკმაო ცნობები მხოლოდ მესხეთისა და ქართლისათვის მოგვეპოვება, დასავლეთ საქართველოზე უფრო ნაკლები ვიცით, ხოლო კახეთ-ჰერეთზე თითქმის არაფერია შენახული და კახეთის ქორეპისკოპოსების სახელებისა და ორიოდე პოლიტიკურ ამბავის გარდა თითქმის არაფრის დასახელება არ შეგვიძლიან. სწორედ ამიტომაც არის, რომ **ჩვენი გამოკვლევა ქ˜ლ სამართლის გ ისტორიის შესახებ იწყება საქართველოს გაერთიანების პირველ ხანითგან მოყოლებული და განსაკუთრებით უკვე გაერთიანებულ, სრულიად საქართველოს საველმწიფო წესწყობილებას ეხება**. წინა ხანის სხვადასხვა დაწესებულებათა ისტორია კი მხოლოდ იმდენად არის განხლლული, რამდენადაც წყაროები მკვლევარს ამის საშუალებას აძლევენ.

საქართველოს სახელმწიფოს მიწა-წყალი

უძველეს ქართულ მწერლობაში, როგორც უკვე გამორკვეულია (ქ˜ლ ერის ისტორია L, 230), მიწა-წყლის აღსანიშნავად სიტყვა „სოფელი“ იხმარებოდა. დაახლოვებით მე-VIII-ე საუკუნითგან მოყოლებული იმ ძველ ტერმინის მაგიერ თანდათან ახალი სიტყვა „ქუეყენაჲ“ შემოდის, რომელიც მალე გაბატონდა და ერთადერთ საზოგადო ტერმინად იქცა. თუ წინათ იტყოდენ „აზნაურნი... **სოფლისა** ქართლისანი“-ო, ეხლა უკვე ამბობდენ **„ქუეყანაჲ** ქართლჲსაჲ“ (ქ˜ლ ერის ისტორია II, 258). ეს სიტყვა ამიერიდან ქართულ მწერლობაში ერთათ-ერთი[1]) საზოგადო ტერმინია მიწა-წყლის აღსანიშნავად. როდესაც საველმწიფო მიწა-წყლის ცნების აღნიშვნა ჰსურდათ, მაშინ საამისოდ „**სამეფო ქუეყანა**“, „**სამეფონი ქუეყანანი**“ იხმარებოდა. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი მაგ. ამბობს: დიდებული გვირგვინოსანი ხედავდა, რომ ღმერთი მას ომში ეწეოდა და „მოსცემდა **სამეფოთა ქუეყანათა**, ქალაქთა და ციხეთა“-ო (ც˜ა მფ˜სა დ˜თსი * 533, გვ. 299). ჟამთა აღზწერელსაც ნათქვამი აქვს: „**ქვეყანა სამეფო** არა ვისგან იცვებოდის“-ო (* 806, გვ. 648). ხშირად ამავე ცნების გამოსახატავად მარტივად „**სამეფო**“-ც იხმარებოდა. ამისთანა შემთხვევაში „ქუექანა“ თავისდა-თავად იგულისხმება.

როგორ და როდის გაერთიანდა რამდენადმე სამეფოდ დაყოფილი საქართველო, ეს საკითხი პოლიტიკურ ისტორიას შეეხება და რაკი უკვე დაწვრილებით „ქლ˜ ერის ისტორია“-ში არის განხილული (II, თავები IV და VI), ამიტომ აქ ამაზე ლაპარაკი მეტი იქმნებოდა. ქართ. საველმწიფო სამართლის განხილვის დროს უნდა მხოლოდ საგანგებოდ აღნიშნული იყოს, რომ გაერთიანების შემდგომაც, ერთ სრულიად საქართველოს საველმწიფოს არსებობისდა მიუხედავად, ქართულ საისტორიო მწერლობაში წინანდებურად საქართველოს შესახებ ხმირად „სამეფონი“-ა ნათქვამი და არა სამეფო: მრავლობითად ითქმოდა მხოლობითის მაგიერ. დავით აღმაშენენებელის შესახებ მისი ისტორიკოსი მაგ. ამბობს, რომ „სლვასა შინა **თჳსთა სამეფოთასა**... ვერ ადვილ მიემთხუეოდიან მოჩივარნი“ და ამიტომ საგანგებო მოსამართლენი დააყენაო (ც˜ა მფ˜სა დ˜თსი *555, გვ. 322-322), რომ „აქუნდა ყოვლით კერძო მშვიდობა და დაწყნარება **სამეფოთა მისთა**“-ო (იქვე * 564, გვ. 332), თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება ამტკიცებს, რომ მის დროსაც საქრთველოს საველმწიფო შვიდ სამეფოს შემცველად ითვლებოდა, გიორგი 1II-ემ სამეფო ტახტზე აბრძანებისთანავე „იპყრნა 'შარავანდედნი მეფობისა[ნი] შვიდ სამეფოდ განწესებული[სანი|“-ო (ის˜ტნი და აზმანი *597, გე. 366). გიორგი მეფე რომ მიიცვალა: „შემყრეთა [დიდებულთა] **შვიდთავე ამის სამეფოთათა**“, თამარს მოაჴსნეს

[1] თუმცა აქა-იქ XI-XII ს.ს.-შიც მწიგნობრულად იხმარება სიტყვა „სოფელი“ პირვანდელ მნიშვნელობით.

და სთხოვეს საქართველოს საჴელმწიფო ტახტზე დაბრძანდა (იქვე *624, გვ. 329). რიცხვი 7 რასაკვირველია სინამდილეს არ შეესაბამება და თუ პატარა სამეფოებსაც ჩავთვლით

მეტიც გამოვა, ხოლო შვიდად აქ იმიტომ არის ნაანგარიშევი, რომ ბედნიერ რიცხვად ითვლებოდა და სხვაგანაც ამ მოსაზრების გამო შვიდად ანგარიშობდენ ხოლმე. უფრო საგულისხმო. ყველა ზემომოყვანილ მაგალითებში ის ცხადი გარემოებაა, რომ საქართველო მის ძლიერების ხანაშიც რამდენისამე სამეფოსაგან შეერთებულ საჴელმწიფო სხეულად ითვლებოდა თუმცა ერთ გვირგვინოსანის მბრძანებლობის ქვეშ.

შემკრებლობითი ცნების გამოსახატავად როგორც ვიცით ჯერ „**ყოველი ქართლი**“ ან „**ერთობილი ქართლი**“ იხმარებოდა (ქლ˜ ერის ისტორია 1L, გე. 281), ხოლო უკვე მე-XI-ე საუკ.-ითგან მოყოლებული საზოგადო ტერმინად „**საქართველოჲ**“ ან კიდევ „**ყოველი საქართველოჲ**.“ დაკანონდა. გიორგი მთაწმიდელს მაგ. აღნიმნული აქვს, რომ ათონის ივერთა მონასტრის ახალი წინამძღვარის „სათნოებათა სახელი და ღირსებაჲ **ყოველსა საქართუელოს** განეფინა და არა ხოლო **საქართუელოსა**, არამედ საბერძნეთსაცა“ (ც˜ა ი˜ე და ეფ˜თსი 62). „მატიანე ქართლისა“-შიც სწერია, რომ ბასილი კეისრის და გიორგი მეფის დროს „მეოტ სპანი **საქართუელოსანი**“-ო (*476, გვ. 250). ამის შემდგომ ქართულ მწერლობაში ჩვენ საჴელმწიფოს ქვეყნის და მიწა-წყლის აღსანიშნავად მხოლოდ ეს სიტყვა იხმარება (იხ. ქლ˜ერის ისტორია II, 286). ქართ. ჟამთააღმწერელი ხშირად ხმარობს ამ სიტყვას. „ყოველნი მკჯდრნი „**საქართველოსანი**“-ო, ამბობს იგი (* 850, გვ. 695). ვახტანგ უფლისწულს ყაანმა „მოსცა მეფობა და **ყოველი საქართველო**“-ო (* 903, გვ. 744). მას აღნიშნული აქეს ყოველი საქართველოს სამზღვრებიც: ვახტანგ უფლისწულმა გამეფებისთანავე „დაიპყრა **ყოველი საქართველო ნიკოფსიით დარუბანდამდე**“-ო (*903, გვ. 744).

საჴელმწიფო ქვეყნის და სამეფოს რაოდენობა თავდაპირველად ვიწროდ შემოფარგლული თანდათახ იზრდებოდა და ფართოვდებოდა. იმ ხაზს, რომლითაც სამეფო ან სათემო ქვეყანა მეზობელთა და მახლობელ ქვეყანათაგან მემოფარგლული და შემოხღუდული იყო, „**საზღვარნი**“ ეწოდებოდა. როცა საჴელმწიფო. მიწა-წყლის ფარგლებზე იყო ლაპარაკი, მაშინ უფრო ნიშანდობლივ აღსანიშნავ სიტყვად იხმარებოდა „**საზღუარნი სამეფოსანი**". იოანე საბანისძეს მოთხრობილი აქვს, რომ ჰაბო ტფილელმა შავი ზლვის ნაპირას, ბერძენთა მეფის საბრძანებელში „იხილა... ქუეყანაჲ“ მთლად ქრისტიანებით დასახლებული და „არავინ ურწმუნოთაგანი მკჯდრ იპოების **საზღუართა მათთა**. რამეთუ **საზღუარ** მათდა **არს** ზღუაჲ იგი პონტოჲსაჲ“ (ცჲ˜ ჰაბოჲსი 19), „მატიანე ქართლისაჲ“-ს სიტყვით ამოტ დიდი კურაპალატი „ეუფლა ქართლის საზღუართა მისთა“ (* 445, გე, 219). დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს სამართლიანად აქეს აღნიშნული, რომ დიდებული მეფის დროს „დღითი-დღე შეემატებოდა **საზღვართა სამეფოსათა**“ (ც˜ა მფ˜სა დ˜თსი * 529, გვ. 296).

ქართ. ჟამთააღმწერელიც ამბობს: მონღოლები „მოიწივნეს **საზღვართა საქართველოსათა**, ქვეყანა|დ| გაგისა“-ო (* 738, გვ. 559). იმავე მემატიანეს მოწმობით, „წარვიდა ყაან ქვეყანად შარვა[ნ]შასა, **საზღვართა საქართველოსათა,** ადგილსა რომელსა უწოდიან“ ჩალანუსური (* 844, გვ. 689).

იმავე მნიშვნელობით, როგორადაც „საზღვარნი“ იხმარებოდა, თუმცა უფრო იშვიათად მაგრამ მაინც სიტყვა „**ნაპირნი**“-ც გვხდება, მატიანე ქართლისა“-ს აღნიშნული აქვს რომ განძის მფლობელმა ფადლონმა „აღმოვლო... მუხნარსა და **ქართლისა ნაპირნი**“ (* 503, გვ. 273). აბუსერიძე ტბელიც ამბობს, რომ „ვინმე კაცნი წარვიდეს **ნაპირსა** წარმართთასა მოსარეწლად რაჲსამე"-ო (ქკ˜ბი 1I, 118 გვ.). იმისდა მიუხედავად, რომ ეს ტერმინი იშვიათად გვხღება იმდროინდელს ქართულს საისტორიო მწერლობაში, იგი მაინც ოდესღაც საყოველთაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო. ამას ის საგულისხმიერო გარემოება ჰმოწმობს, რომ სამზღვარზე მღებარე სანაპიროების გამგე ჴელისუფალს. საქართველოში „მონაპირერ რქმევია (იხ. საქვეყნოდ გამრიგენი).

იმდენად საგამგეო ერთეულად არა, როგორც განსაზღვრულ რაოდენობის მიწა-წყლის და სამულობელოს აღსანიშნავად მხოლოდ ორიოდე შემთხეევაშიღა იყო ძველ დროითგან შერჩენილი. საგვარეულო წესწყობილების ხანის ტერმინი „**სახლი**“. მაგ. სამცხე-საათაბაგოს სამწყსოს წიგნში მაწყვერელის საეპისკოპოსოში სხვათა შორის დასახელებულია: „საღგერი,

სულ აწყუერი, „**დიასამიძის სახლი**“-ც უეჭველია ადგილის, საგეოგრაფიო ერთეულის სახელია. ამგვარივე მნიშვნელობა აქვს ტერმინს „სახლ“ს წურწყაბელის სამწყსოს სიაშიაც: „**ხურსიძის სახლი**, ბოცოთ-ჴევი ჴერთვისის ქვემოთ მისია“-ო (იქვე 81). მეფის კერძო საკუთრება და სამფლობელოც ზოგჯერ ძველებურადვე სახლად იწოდებოდა. მაგ. როდესაც ბაგრატ 1V სომეხთა მეფის საბრძანებელის მოზრდილი ნაწილი ხელში ჩაიგდო, მან „შეიწყალა“ კჯრიკე მეფე და თითქმის ყველაფერი დაუბრუნა, „სამშვილდე ოდენ იპყრა **სახლად** თჳსად“-ო(მტ˜ნე ქჲ˜ * 499, გვ. 270), ე.ი. თავის სამფლობელოდ შეინარჩუნაო. ავაგ ათაბაგის მამულ და სამფლობელოც „სახლ“-ად არის მოხსენებული. ჟამთააღბწერელიც მოგვითხრობს, რომ დიმიტრი თავდადებულმა „წარავლინა ძე მისი დავით მცირე **სახლსა ზედა ათაბაგისსა, რათა** მუნ იზრდებოდეს და **აქვნდეს საუფლისწულოდ**“ (* 899, გე. 734). უკასკნელი სიტყვები იმის მესახებ, რომ მეფემ ათაბაგის „სახლი“ ბატონიშვილს საუფლისწულოდ მიუბოძა, ნათლად ამტკიცებს, რომ აქაც „სახლი“ მნიშვნელობით მამულს და სამფლობელოს უდრის. რომ ეს მართლაც ასეა, ამას იმავე ისტორიკოსის ქვემომოყვანილი სიტყვები ცხად-ჰყოფენ. როდესაც დიმიტრი II ურდოში მიემგზავრებოდა, „ვითარ მივიდა **ქვეყანასა ხვაშაქისა, ავაგის ასულისა**, მუნ დახვდა ძე მისი დავით“-იო (იქვე * 897, გვ. 738). მაშასადამე „სახლი ავაგისა“, რომელიც მის ასულს ხვაშაქს ჰქონდა დამკვიდრებული, იგივე **ქვეყანა** ყოფილა. დასასრულ მცხეთის საკათალიკოზო ტახტი, როგორც საბრძანებელი, „**მცხეთის სახლი**"-ს სახელს ატარებდა. გრიგოლ სურამელი თავისს 1250 წ. შეწირულობის წიგნში ამბობს: შიომღვიმის მონასტრისადმი შეწირულს გლეხს „**მცხეთის სახლისა** ბეგარი თუით არცა რაჲ წინას ზედა სდებია... არცა რაი ამის წაღმა საქმეც **მცხეთისა სახლსა**“ (ს. კაკაბაძის გამ. 5$^{17-20}$).

ზემთთ უკვე აღნიშნული იყო, რომ საჴელმწიფოს მიწა-წყალს „ქუეყანაჲ“ ერქვა. ამგეარადვე იწოდებოღა სრულიად საქართველოს შემადგენელ მთავარ ნაწილების, ყოფილ სამეფოების მიწა-წყალიც. მაგრამ ოფრო მცირე ერთეულებსაც, რომელთაც არას დროს ცალკე საჴელმწიფოებრივი მოწყობილება არა ჰქონიათ, როგორც მაგ. ჯავახეთს, თრიალეთს, 'მავშეთს და სხვათა, ძველ ქართულ მწერლობაში მაინც ქვეყანა ჰქვიან (იხ. ქ˜ლ. ერის ისტორია II, 252).

ქვეყანაზე უფრო. მომცრო საგამგეო ერთეულად „ჴევი“ ითვლებოდა. სწორედ ქვეყანა შესდგება ჴევებისაგან. სუმბატ დავითის ძე მაგ. ამბობს, რომ აშოტ დიდის სიკვდილის შემდგომ „იყუნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა **ყოველნი ჴევნი შაშვეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი**“-ო (ც˜ა და უწყება * 577, გვ. 346). იმავე მატიანეში ნათქვამია, რომ ბაგრატ III „დაიზამთრა ჴევთა ტაოსთა“ (იქვე * 583, გვ. 353). რომ „ჴევი“ საზოგადო საგამგეო ერთეული იყო, ამას ბაგრატ 1V სიტყვებიც ამტკიცებს. ოპიზის სიგელში მას ნათქვამი აქვს, ოპიზართა და მიჯნაძორელთა რომ დავა გამერჩია, დარბაზმი მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიე „**ყოველთა ჴევთა ზემოთა და ქუემოთა** აზნაურნი მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“-ო (სქს˜ სძვ˜ლნი II, 3). ამ უკანასკნელ ცნობის გარდა, რომელიც აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს კევებს უნდა გულისხმობდეს, ყველა ცნობა „ჴევი“-ს შესახებ აღმოსავლეთს საქართველოს და მესხეთს ეკუთვნის. დასავლეთ საქართველოს შესახებ ეს ტერმინი ნახმარი არ არის და არც ვიცით თუ რა ეწოდებოდა იქ „ქუეყანა“-ზე უფრო მომცრო საგამგეო ერთეულს.

როგორც დიდ „ქუეყანა“-ს სათავეში ერისთავთა ერისთავი იდგა და მცირესაში ერისთავნი, ისევე საგამგეო ერთეულ „ჴევი“-ს” უფროსად „ჴევისუფალი“ ითვლებოდა (იხ. საქვეყნოდ გამრიგე მოჴელენი). რაკი დასავლეთ საქართველოში „ჴევი“ (ჯერ მაინც) არა სჩანს, იქნებ ამიტომვეა, რომ გელათის ორსავე სიგელში 1078 წ. და 1189 წლისაში მოჴელეთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო და აღმოსავლეთ საქართველოს საბუთებში ჩვეულებრივია, ჴევისთავი დასახელებული არ არის. თუ ეს შემთხვევით მოვლენად ვერ ჩაითვლება, მაშინ თავისთავად საკითხი იბადება, თუ რა ეწოდებოდა დასავლეთს საქართველოში შესატყვისს მოჴელეს?

დასასრულ, საგამგეო ერთეულის სახელად ქართულ მწერლობაში სიტყვა „**თემი**“-ც იხმარებოდა. მე-VII-XI ს.ს-ის საისტორიო ძეგლებში იგი არა გეხვდება და როგორც ეტყობა დაახლოვებით მე-XII-ე საუკ.-ში ჩნდება. „თემი“ იმავე ცნების აღმნიშვნელია და იმავე ერთეულის სახელია, როგორისაც ,,ქუეყანაჲ" იყო. თამარ მეფის ისტორიკოსი მაგ. მოგვითხრობს, რომ ქ. ანისის აღების შემდგომ გიორგი III-ემ, „დამგდებელმან ივანე ორბელისა

მანდატურთა უხუცესისა და ამირსპასალარი[სამან] თანაშემწეობითა სარგის მჯარგრძელისითა და **სხუთა თემის** დიდებულ[თა] აზნაურთათა“, ისევ სამშობლოში გამოსწიაო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 598, გვ, 368). ცხადია, ამ შემთხვევაში თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება ამტკიცებს, რომ მის დროს „თემი“ უკვე სრულებით ჩვეულებრივი ტერმინი იყო და როგორც წინათ „ქუეყანა“ იხმარებოდა, ისევე მაშინ „თემი“ ყველგან მიღებული ყოფილა, სამჯედრო ხელოვნების ტერმინოლოგიაშიც-კი სპარსეთში ქ. ზენგანის აღების აღწერილობაში მაგ. ქართ. ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ „ვითარ გაგრძელდა ომი, განყუეს **თემთა** და **თემთა** ზღუდე ქალაქისა რათა შესთხარონ“ და ასე საქართველოს თვითოეულ თემის ლაშქარს ციხის ზღუდის განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა მიჩნეულიო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 715, გვ. 520). მაშასადამე ლამქარიც თემობრივად ყოფილა დანაწილებული.

მემატიანეს სურდა აღენირნა, რომ მეფემ ანისში ივანე ორბელთან ერთად საქართველოს სხვა კუთხეების აზნაურნიც დასტოვა. იგივე ავტორი სიტყვა „თემ“-ს სამეფოს მაგიერ ხმარობს და ერთგან ნათქვამი აქვს კიდეც: „ამას ესევითარსა შინა დაწყებასა წყალობისასა იმიერთა [და] ამიერთა, ზემოთა და ქუემოთა [მკჯდრთა] **შუიდთავე თემისა**, იწყეს რომელთამე“ კაცთა გაფიცვაო (იქვე * 628, გვ. 404). სხვაგან ამისთანა შემთხვევამი ავტორს „შვიდთავე სამეფოთასა“ აქვს ხოლმე ნათქვამი და ამ შემთხვევაში ტერმინი „თემი“ მაშასადამე სამეფოს უდრის. ამგვარადეე სამეფოს საჯელმწიფოსაც-კი ნიშნავს ეს სიტყვა შემდეგ წინადადებაში, რომელიც ქართ. ჟამთააღმწერელის თხზულებითგან არის ამოღებული. მას აღნიშნული აქვს, რომ როდესაც მონლოლთა ძლევამოსილმა სარდლებმა ბევრი სხვადასხვა საჯელმწიფო დაიპყრეს, მათ თავიანთ ყაანს „აუწყეს აღება სპარსეთისა, საქართველოჲსა, საბერძნეთისა და **ყოველთა თემთა** ქუდი და აბჯარი და ტანისამოსი გაუგზავნეს და წესი მიუმცნეს“-ო (* 755, გე. 606). ავტორს სურდა მკითხველის ყურადღება იძ გარემოებისათვის მიეპყრო, რომ მონღოლებმა თვითოეულ დაპყრობილ ქვეყნის და სამეფოს, როგორც მაგ. სპარსეთის, საქართველოს და სხვათა ტანისამოსის ნიმუშები აახლეს თავიანთ მბრძანებელს. დაახლოვებით მე-XII-ე საუკუნეში ქართ. მწერლობაში შემოსული ეს ტერმინი თანდათან ვრცელდება და მე-XIII-ე ს-ში უკვე ჩვეულებრივ სიტყვად ხდება. ქართ. ჟამთააღმწერელს სხვათა შორის აღნიშნული აქვს, რომ დავით ლაშა-გიორგის ძემ „**თუითეული[სა] თემისა** [განგება] **თუითეულსა კაცსა შევედრის**, რომლისათუის **კახეთიცა** პირველსა **თორღუას შევედრა**“-ო (* 813, გვ. 657). აქ კახეთიც თემად არის ნაგულისხმევი და მემატიანის სიტყვები „**თუითეულისა თემისა** ს“-ო საქართველოს თვითოეულ ქვეყანის ან ნაწილის განგებას ჰნიშნავს. დასასრულ იმავე ავტორს ერთგან აღნიშნული აქვს, რომ მეფე დავითმა ლაშა-გიორგის ძემ სარგის ჯაყელს „**ქვაბულიანი თემი ერთი** სამცხეს... სიგლითა სამამულოდ მიუბოძა“-ო (* 837, გვ. 683). ეს ადგილი ეხლაც არსებობს, მართლაც სამცხეშია და ქეაბლიანის ჯეობად იწოდება. მაშასადამე ამ შემთხვევაში თემი ჯეობას უდრის.

ზემომოყვანილ მაგალითებითგან ნათლად ირკვევა, რომ „თემი“ ახალ რაიმე საგამგეო ერთეულის სახელი არა ყოფილა. იგი ხან სამეფოს, ხან ქვეყნის, ხან ჯეობის მაგიერ არის. ნახმარი. მაგრამ თუ ასე იყო თავდაპირველად, შემდეგში მას უფრო გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭა. მან თავისებური ელფერი მიიღო. ქვეყანა საზოგადო, ფართო ცნების გამომხატველად იქცა და მის მაგიერ თემი ჩადგა. ზემომოყვანილ მაგალითებითაც ირკვევა, რომ სრულიად საქართველოს შემადგენელ ნაწილებს და კუთხეებს, როგორც მაგ. კახეთს და სხვას, წინათ „ქუეყანა“ ეწოდებოდა, მე-XII-XIII-ე ს.ს-ში უკვე „თემ“-საც ეძახდენ. შემდეგში ხომ უფრო მკაფიო ცნების აღმნიშვნელად იქცა და „თემი“ ერთის ტომით დასახლებულს, განსაზღვრულს საგეოგრაფიო-საგამგეო ერთეულს ეწოდებოდა და ახლაც ასე ეწოდება.

საქართველოს მკვიდრნი და მოსახლეობის ერთეულები

განსაზღვრულ ადგილზე მცხოვრებს და დაბინავებულს, სახლკარის მქონებელს ძველ ქართულში „მკჳდრი“ ერქვა. იოანე საბანის ძეს ნათქვამი აქვს, რომ ნერსე ერისთავთ - ერისთავთან ერთად აფხაზეთში მისულმა ჰაბო ტფილელმა „იხილა... ქუეყანაჲ იგი სავსჱ ქრისტჱს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი **მკჳდრ იპოების** საზღვართა მათთა“-ო (ცჲ ჰაბოისი 19) ე.ი. ადგილობრივი მცხოვრებნი ყველანი ქრისტიანენი იყვნენო. დავით აღმაშენებელიც თავის უკანასკნელ ანდერძში ამბობს: ჩემი შვილი დიმიტრი „სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვნებითა და სიმჴნითა უმჯობესი ჩემსა“ არს და „ნამდჳლ ესევითარი ჯერ იყო მეფე მოცემული ღუთისა მიერ **მკჳდრთა თჳს სოფლისათა** მართლმორწმუნეთა“ო (ქკ˜ბი IL, 51$_{11-14}$). აქ „სოფელი“ თავდაპირველ მნიშენელობით არის ნახმარი და გვირგვინოსან მოანდერძეს უნდოდა ეთქვა, რომ დიმიტრი I ყოველგვარ ღირსებით იყო შემკული, რაც-კი მეფისათვის საჭირო იყო, და ამის გამო სწორედ ამგვარი მეფე ეკუთვნოდათ ღვთაებისგან მართმადიდებელ ქვეყნის მცხოვრებთ, საქართველოს მკვიდრთ. დიდებულ მეფის ისტორიკოსიც ამტკიცებს, რომ საქართველოში მტრის ნავარდისა და საშინელ. მიწისძვრის გამო „არა დამშვიდნა ქუეყანა, არცაღა იქმნა ლხინება კაცთა უკეთურებისათჳს **მკჳდრთა** მისთასა, რამეთუ ყოველმან ჰასაკმან ყოველმან პატივმან შესცოდეს ღმერთსა“-ო (ც˜ა მფ˜სა დ˜თსი * 517, გვ. 285). თურქთა შემოსევის დროს კლარჯეთში, შავშეთში, აჭარაში, სამცხეში, ქართლში, არგუეთში და სამოქალაქოში „ტყუე იქმნა ამათ **ქუეყანათა მკჳდრი ყოველი**“-ო (იქვე * 514, 582), ზემომოხსენებულ საშინელ მიწის ძვრის დროს თურმე **დაეცნეს სახლნი**, დაინთქეს ღა დაირღუნეს და **იქმნეს საფლავ მას შინა მკჳდრთა**“-ო (იქვე * 519, გე. 287).

ჩვენს ჟამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ მონლოლთა შემოსევის დროს „გოდებითა მიერ შეიცვლებოდეს **ყოველი მკუიდრნი საქართველოსანი ამერნი**“ (* 765, გვ. 595): ხოცვა-ჟლეტისაგან ამიერ საქართველოს მცხოვრებნი დიდს ვაებაში ჩავარდენო. ხოლო როდესაც ხალხის აღსაწერად და ხარკის დასადებად არღუნი „მოიწია საქართველოსა, დიდსა ჭირსა მიეცნეს **ყოველნი მკვიდრნი სამეფოსა** დავითისნი“, იმიტომ რომ მძიმე, აუტანელ ტვირთად დააწვა ხალხს არღუნის მიერ დაწესებული ხარკი და სხვა გადასახადებიო (* 819, გე. 664). იგივე ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოშიაც მთელი ერი დავით რუსუდანის ძეს სათნო ხასიათისა და ბრძნულ მზრუნველობის გამო დიდს პატივსა სცემდენ და უყვარდათ კიდეც. ამიტომაც იყო, რომ როდესაც მისი შვილი ვახტანგი აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა და ამ გზით ორად გაყოფილი საჴელმწიფო წინანდებურად ერთ სამეფო სახლის ხელში გადავიდა, „განიხარეს **ყოველთა მკჳდრთა საქართველოსათა**“-ო (იქვე * 903, გვ. 744). ამგვარადვე იმავე ქართველს ავტორს აღნიშნული აქვს, რომ როდესაც დიდი ხნის უნახავი დავით „მეფე მოიწია ტფილისს“ და ქართველობამ თავისი გვირგვინოსანი იხილა, „იყო. სიხარულსა **ყოველი მკჳდრი საქართველოსი**“ (* 814, გვ. 658). ცხადია, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს ყველა მცხოვრებლებზე არის საუბარი და მემატიანეს უნდოდა ეთქვა, რომ თავის მეფის ნახვით მთელი საქართველოს მკვიდრნი, ერი გახარებული იყოო.

რაკი ამ ტერმინს („მკჳდრი“) ქართულ სასამართლო მწერლობაში, საჴელმწიფო სამართალშიაც და სამოქალაქოშიაც, როგორც თავ-თავის ადგილს გამორკვეული იქმნება, საგანგებო მნიშვნელობა მიენიჭა, თავდაპირველ ცნების გამოსახატავად, მცხოვრების და მოსახლეს აღსანიშნავად ამავე სიტყვის განსხვავებული სახეც იხმარებოდა: „მკჳდრი“-ს მაგიერ „**მკჳდროვანი**“-ც ითქმოდა ხოლმე. ქართ. ჟამთააღეწერელს მაგ. ცნობა აქვს მოყვანილი, რომ ჩინგიზ-ხანმა თავისი სარდლები გაგზავნა მრავალ ქვეყნების დასაპყრობად, მათ მორის აგრეთვე „კავკასთა ჩრდილოთა **ყოველთა მკუიდროვანთა**“ (იქვე * 758, გვ. 585), განუმარტებლადაც ცხადია, რომ აქ „მკუიდროვანი“ მცხოვრებსა ჰნიშნავს.

ამ საზოგადო მნიშვნელობას გარდა სიტყვას „მკჳდრი“ განსაკუთრებულიცა ჰქონდა. სამოქალაქო სამართალში „მკჳდრი“ მამრობითი სქესის ჩამომავალს, მემკვიდრეს ეწოდებოდა ალბად იმიტომ, რომ სახლობის მდედრობითი სქესის წევრნი რაკი მომწიფდებოდენ, „კიდე გათხოვდებოდენ“ ხოლმე. მამასა და საგვარეულოს შორდებოდენ და ქმრის სახლში შედიოდენ, ბინადრობასაც ამის გამო იცვლიდენ და ქმრის „მამულის“ მკვიდრად ხდებოდენ. ეს საკითხი განსაკუთრებით სანოქალაქო სამართალს ეხება და იქვე არის ყველა ამის შესახები ცნობა მოყვანილი. აქ უნღა განმარტებული იყოს მხოლოდ, თუ რას ჰნიშნაედა ტერმინი „უმკჳდრო“, „ადგილნი უმკვიდრონი“. დავით აღმაშენებელს თავის უკანასკნელს ანდერძში ნათქვამი აქვს: **ადგილნი**, რომელნი მიშოებიან, **უმკჳდრონი** და უმამულონი, მათგანც ვითარცა ბერმან არსენი და კათალიკოზმან გამოარჩიონ, მეფემან მიცემითა წიგნთა და სიგელთა განასრულონ“-ო (ქკ˜ბი II, 52$_{11-12}$). ვისაც ქართ. სასამართლო ძეგლების ენა და ტერმინოლოგია შესწავლილი არა აქვს, მას ეგონება, რომ დიდებულ მეფის ანდერძის ზემო მოყვანილს სიტყვებში უბინადრო, ან გაოჯრებულ და გაპარტახებულ მიწების გაცემაა ნაგულისხმევი: „ადგილნი უმკჳდრონი“ მას დაუსახლებელ, ან მოსახლეობას მოკლებულ ადგილების აღმნიშვნელად ეჩვენება. მაგრამ შეცდომა მოუვა. „**უმკვიდრო“ ისეთს ოჯახს, ან ადგილს ეწოდებოდა, რომელსაც მამრობითი სქესის ჩამომავალი, მამრობითი სქესის კანონიერი მფლობელი არა ჰყავდა**. დაუსახლებელ და გაოჯრებულ” ადგილს-კი ძველ ქართულში „უშენი“, „უშენებელი“, „უკაცრიელი“, „უქმი“ და „უღვაწი“ ერქვა ხოლმე (იხ. ქლ˜ი ერის ისტორია II, 264, 320, 327), დავით აღმაშენებელიც თავის ანდერძში ბრძანებს: ჩემ მიერ დაპყრობილ ადგილებითგან, რომელთაც კანონიერი მამრობითი სქესის მემკვიდრე არა ჰყავთ და რომელნიც ვისიმე საგვარეულო საკუთრებას არ შეადგენენ და „მამულად“ არ ითვლებიან, ასეთი მიწები ჩემმა შვილმა დიმიტრიმ ჩემ მაგიერ უწყალობონო.

რომ ჩვენ არა ვცდებით და უმკჳდრო ადგილი, „უმკჳდრო მამული“ სრულებითაც გაპარტახებულს და უკაცრიელს ადგილს და მამულს არა ჰნიშნავდა და სწორედ ისე უნდა გვესმოდეს, როგორც ზევით არის განმარტებული, ამას ქართ. ჟამთააღმწერელის შემდეგი მოთხრობა და სიტყვებიც ცხად-ჰყოფენ. კახეთის ერისთავთ-ერისთავს თორღვას ურჩობის გამო მეფე იბარებდა, მაგრამ მას სასჯელისა ეშინოდა და იმიტომ მან უვნებლობის ფიცი და შუამღგომნი მოსთხოვა. ასეთ შუამდგომად ხორნაბუჯელი. გამოვიღა და თორღვაც მას მიენდო. თორღვა თურმე ხორნაბუჯელს აფრთხილებდა: „მარტო ვარ და **სიკვდილითა ჩემითა უმკვიდრო იქმნების მამული ჩემი**“-ო, თუ იმედი არა გაქვს, რომ შენის შუამდგომლობით სიკვდილს გადამარჩენ, მაშინ უკეთესია თავი დამანებოო (* 815, გვ. 658). თორღვას მამრობითი სქესის ჩამომავალი ჯერ არა ჰყოლია და ამიტომ ეუბნებოდა ხორნაბუჯელს: „სიკვდილითა ჩემითა უმკვიდრო იქმნების მამული ჩემი“-ო. ცხადია, თუნდაც რომ თორღვა მოეკლა მეფეს, მისი მამული ყმებით დასახლებული ამის გამო არ გაუკაცრიელდებოდა და არ გაოჯრდებოდა. სიტყვა „უმკვიდრო"-ს რომ უკაცრიელის მნიშვნელობა ჰქონოდა, მაშინ თორღვა ვერც იტყოდა „სიკვდილითა ჩემითა უმკვიდრო იქმნების მამული ჩემი“-ო. მაგრამ მოთხრობის ბოლო უფრო ნათლად გვიჩვენებს ამ ტერმინის ნამდვილს მნიშვნელობას. თორღვამ დააფიცა ხორნაბუჯელი: თუ მიღალატო. და ჩემს ცოდვაში ჩადგე, როგორც მე არ მომკლავენ და „უმკჳდრო“ ვიქმნები, „ეგრეევ **უმკვიდრო ყოს** წმიდამა მთავარმოწამემა (გიორგიმ) **სახლი შენი**“-ო. ხორნაბუჯელის შუამდგომლობისა და უვნებლობის სიმტკიცისდა მიუხედავად მთავრობამ მიცემული ფიცი გატეხა და თორღვა სიკვდილით დასაჯა. თუმც ამაში პირადად არავითარი ბრალი არ ედვა, მაგრამ ისტორიკოსის სიტყვით მაინც „მიეგო ბოროტი ხორნაბუჯელსა... ფიცისა გატეხისათჳს, რამეთუ ესვა შვილი ხორნაბუჯელს“, რომელსაც შალვა ერქვა. ამ „შალვას ესხნეს „შვილნი და დაიჯოცნეს და ეგრეთვე ბერი ხორნაბუჯელი მოკვდა მწუხარებითა“ ცალკე იმიტომ, რომ უნებლიედ ფიცის გატეხაში გარიეს და თორღვას სისხლის ბრალი მას დააწვა, ცალკე კიდევ თავხე დამტყდარ უბედურებით. მისი **შვილი შალვაც** თათრებს ჩავარდნიათ ხელში და „თათართა მიერ **მოიკლა** და **უმკჳდრო იქმნა სახლი მისი**“-ო, ამბობს ქართ. ჟამთააღმწერელი (* 815, გვ. 659). როგორც მკითხველიც ალბად მეამჩნევდა, მთელ ამ. მიათხრობაში მამრობითი, სქესის წევრებზეა ლაპარაკი და სწორედ მათი სიკვდილით იქმნა ხორნაბუჯელის სახლი „უმკვიდრო“. ძნელი დასაჯერებელია, რომ არც

ხორნაბუჯელს, არც მის შვილს ერთი ქალი მაინც არა ჰყოლოდეს. მაგრამ რაკი გვარის გამგრძელებლად და საგვარეულო სახელის მატარებლად ვაჟი-შვილები არიან და არა ქალი-შეილები, ამიტომაც არის რომ ისტორიკოსს დაძენილი აქვს, „უმკვიდრო. იქმნა სახლი მისი“-ო.

საჴელსწიფოს: მცხოვრებთ ასაზოგადო, შემკრებელობითი ერთეულის ცნების გამოსახატავად ქართ. ძველს მწერლობაში რამდენიმე ტერმინი არსებობდა. როდესაც ყველა მცხოვრებთა ვითარცა ერთ თესლოვანი ჩამომავლობისაგან წარმომდგარ ერთეულის, ეროვნების აღნიშვნა სურდათ. მაშინ ძველს ქართულ მწერლობაში ხმარობდენ ხოლმე სიტყვას „ტოჰმი“, ან „ტომი“. მაგ. ჰაბო ტფილელის შესახებ იოაბე საბანის ძეს ნათქვამი აქვს: „იყო აბრამეანი, ძეთაგან ისმაელისათა, **ტომისაგან სარკინოზთაჲსა და არაჲ თუ უცხოჲსაგან თესლისა**... არამედ ყოველადვე **არაბიელთა თესლი** მამულად და დედულას“-ო (ც˜ჲ ჰაბოჲსი 15$_{20-23}$). ამ წინადადებაში „ტომი“, „**ტომი სარკინოზთაჲ**“ ეროვნებას, სარკინოზთა ანუ არაბების ეროვნებას ჰნიშნავს, ხოლო „თესლი ჩამომავლობას და იოანე საბანის ძეს სურდა ემცნო ჩვენთვის, რომ ჰაბო მარტო ეროვნებით-კი არ იყო არაბი, გაარაბებული უცხო ჩამომავალი მშობლების შვილი კი არ იყო, არამედ ჩამომავლობითაც, დედის მხრივაც და მამის მხრივაც, „თესლით“ თავანკარი არაბი იყოო.

მაგრამ თავდაპირველად ყოველთვის ვგონებ ასე არ უნდა ყოფილიყო. ქართ. სახარებაში „ტოჰმი“ იშვიათად გვხდება და ამ სიტყვის მაგიერ ჩვეულებრივ „ნათესავი” იხმარება. ქართ. დაბადებაშიც-კი „ტომ“-სა და „ნათესავ“-ს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. და ნათესავი ეროვნებას უდრის, ხოლო ტომი ეროვნების ერთ-ერთ შტოს, თემს. „გამოსლვათა“ წიგნში მაგ. ნათქვამია: „აღდგა... მეფჱ ეგჳპტეს შინა... და ჰრქუა **ნათესავსა** თჳსსა: „აჰა-ესე რა ნათესავი ესე ძეთა ი˜ჱლისათაჲ დიდი სიმრავლჱ არს უფროჲს ჩუენსა“-ო (თ. I, 8-9). ეს წინადადება ამტკიცებს, რომ **ნათესავი** ერის, ეროვნების შესატყვისი სიტყვა იყო და აქ ეგჳპტელთა ერზე, ისრაელთა ერზე ანუ ეროვნებაზეა ლაპარაკი. თუ ებრაელთა მთელ ერს ერს ნათესავი ეწოდება, მის ერთი შტოჲს აღსანიშნავად „ტომი“-ა ნახმარი. მაგ. იმავე წიგნში სწერია: „იყო. ვინმე **ტომისაგან ლევისა**, რომელმან მოიყვანა ცოლი“ (თ. IL, 1). ტოჰმი სპარსული სიტყვაა და თესლს, გვარსა ნიშნავს. ეს სიტყვა შეთვისებული აქვს სომხურსა და ასურულსაც. ქართულშიაც თავდაპირველაღ ტომი და თესლი ერთად და შესატყვის ცნებათა აღმნიშვნელად იხმარებოდა. მუშანიკის მარტჟლობაში. მაგ, ნათქვამია, რომ ვასქენ ქართლისა პიტიახში თავის ცოლს შუშანიკს „აგინებდა **თესლ ტომსა** მისსა და სახლეოლისა მაოხრებელად სახელ-სდებდა (წ˜მბაჲ შუშანიკისი 185).

იმ ხანაში, რომლის სამართლის ისტორიასაც ამ ჟამად ვიკვლევთ, ტერმინები „ნათესავი“ და „ტომი“ სწორედ იმ მნიშვნელობით იხმარებოდა ქართ, საისტორიო მწერლობაში, როგორც დაბადების ზემომოყვანილს წინადადებაშია ნაგულისხმევი: „ნათესავი“ თითქმის ყოველთვის, მაინცდამაინც განსაკუთრებით ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინია. გიორგი მთაწმიდელი მაგ. ამბობს: „იოანე (მთაწმიდელი) იყო „**ნათესავით ქართველი**“-ო (ცჲ იჲე და ეფ˜თმსი 5$_{20-21}$). „**ნათესავი ჩუენი** (ე.ი. ქართველნი) წრფელ იყო და უმანკო“-ო (ც˜ჲ ი˜ე მთწმ˜დლსჲ 295). „რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართუელთა წრფელი და უმანკო”-ო, ეკითხებოდა გიორგი მთაწმიდელი ანტიოქიის პატრიარქს (იქვე 815). დავით აღმაშენებელის ისტორიკოსსაც უწერია, რომ დიდებულმა გეირგვინოსანმა „უწყოდა კეთილად **ყივჩაყთა ნათესავისა** სიმრავლეო“ო (ც˜ა მფ˜სა დ˜თსი * 534, გვ. 300). ხოლო რომ ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრნი დაეწყნარებინა, „აიხუნა მძევალნი ორგნითვე **ოვსთა და ყივჩაყთა** და ესრეთ ადვილად შეაერთნა **ორნივე ნათესავნი**“-ო (იქვე 535, გვ. 301). დასასრულ იქ სადაც მემატიანეს მეფის პოლიტიკის გასამართლებლად საბუთები მოყვანილი აქვს, ნათქვამია: მეფემ იცოდა, რომ „**ნათესავი ქართველთა** ორგულ-ბუნება არს პირველითგან თჳსთა უფალთა"-ო (იქვე * 561, გვ. 329).

შემდეგშიაც ამგვარისავე მნიშვნელობით იხმარებოდა ეს ტერმინი და „ნათესავი“ ისევ ეროვნების აღმნიშვნელია. ქართ. ჟამთააღმწერელსაც ბევრი ამის დამამტკიცებელი მაგალითი მოეპოვება. ეს იყო „განწირვა **ქართველთა ნათესავისა**“-, ნათქვამი აქვს მას ერთგან (* 739, გვ. 560). „ვითარ იქმნა ცვალება ბედისა **ქართველთა ნათესავისა**, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა“-ო (ჟამთააღ. * 739, გვ. 561). ულო ყაანი „არა მეცნიერ იყოო **ნათესავსა ქართველთასა**“-ო

(იქვე * 806, გვ. 648). იყო „შადინი ვინმე **ნათესავით სომეხი**“-ო (იქვე * 834, გვ. 679). ქართველმა გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ პიმენ სალოსმა „**ნათესავი ლეკთა** წარმართობისაგან მოაქცივნა“-ო (იქვე * 889, გვ. 731), ბევრი ლაპარაკი და მტკიცება საჭირო არ არის და მკითხველისათვის ისედაც ცხადი იქმნება, რომ ყველა ზემომოყვანილს ამთნაწერში „ნათესავი ქართველთა“, „ნათესავით სომეხი”, „ნათესავი ლეკთა“ ქართველთა, სომეხთა და ლეკთა ეროვნებას ნიშნავს.

მაგრამ სხვა შემთხვევებიც არის და ყოველთვის მარტო. ეროვნების გამომხატველი არ არის ხოლმე „ნათესავი“, არამედ ზოგჯერ ჩამომავლობას, ერთსისხლხორცობას და ნათესაობას ხოლმე ეს ტერმინი. გიორგი მერჩულს მაგ. მოხსენებული ჰყავს „**ნათესავი აზნაური**“ (ც˜ი გგ˜ლ ხნძთ˜ლსი, ლგ), რაც უეჭველია ჩამომავლობით აზნაურსა ჰნიშნავს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მკითხველისათვის არ დაუმალავს, რომ როცა რუის-ურბნისის საეკლესიო. კრებაზე „უღირსად გამოჩინებულნი (მღვდელმთავარნი) გარდამოსთხივნეს საყდართაგან“, საამისოდ კრებას დიდი შრომა და გამბედაობა დასჭირდა იმიტომ, რაკი „არა ადვილ იყო ესე **ნათესავთა მათთა ძლიერებითა**“ (ც˜ა მფ˜სა დ˜თსი * 524, გვ, 291). ცხადია. ავტორს უნდოდა ეთქვა, რომ უღირს ეპისკოპოსებს ძლიერი და გაელენიანი თანამოგვარენი ჰყავდა და ეხმარებოდენო. თამარ მეფის ისტორიკოსიც ამტკიცებს, ვითომც მჯარგრძელმა სამაგალითო გულადობა იმიტომ გამოიჩინა, რომ „იყო **ნათესავი არტაქსერქს მჯარგრძელისა**“-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი 718, გვ. 525--526), მამაცობით განთქმულ ახემენიანთა სპარსეთის სამეფო გვარის შთამომავლობას ეკუთვნისო. ქართ. ჟამთაღმწერელიც გაიძახის: „უგუნურებასა შინა ვართ **ნათესავნი ადამისნი**“-ო (* 851, გვ. 696), საქართველოს მთავრებმა უმეფობის დროს მონღოლებს თურმე უთხრეს: „არა ეგების თუმცა დავემორჩილენით ვისმე უკეთუ არა იყოს **ნათესავი მეფეთა**“-ო (ჟამთააღ, * 799, გვ. 639), თუ არ ქართ. მეფეთა ჩამომავალს, სხვას არავის გავიხდით მეფედაო. არღუნ ყაანის ბრძანებით ღალატისათვის „მოაკუდინნეს ბუღა ღა ყოველნი ნათესავნი მისნი“-ო (იქვე * 894, გვ. 736).

თუ მკითხველი ტერმინ „ნათესავი“-ს ამგვარი ორ-აზროენობის ზემომოყვანილს ყველა მაგალითს ჩაუკვირდება, განმარტებასაც ადვილად მოუძებნის. როდესაც სიტყვა „ნათესავი“ კერძო საკუთარ სახელთან, ან რაიმე ღირსებასთან არის დაკავშირებული და თან სდევს, მაშინ იგი ჩამომავლობის, ნათესავობის აღმნიშვნელია. ხოლო როდესაც „ნათესავი“ ეთნოლოგიურს სახელს თან სდევს, მაშინ იგი ეროვნების ცნების გამომხატველია.

თუმცა ქართ. ჟამთააღბწერელის თხზულებაში ასეთ ცნებათა აღრევის დამანტკიცებელი აზრია ერთგან გამოთქმული, რომ „ანტონი ნაჯრებლისძე **ნათესავით მესხი**“ იყოო (იქვე * 889, გვ. 731), აქ „ნათესავი“ მეცდომით ტომის მაგიერ არის ნახმარი, ტომობრივი სადაურობა და ეროვნება ერთმანეთშია არეული, მაგრამ ეს იმ ხანაში, რომელსაც ვიკელევთ გამონაკლისს შეადგენს. გიორგი ხუცეს-მონაზონის თხზულება ნათლად ამტკიცებს, რომ უკვე მე-XI-ე ს-ში, როდესაც საქართველოს სრული პოლიტიკური გაერთიანება და ერთის ძლიერი საჭელმწიფოს შექმნა ჯერ კიდევ დამთაერებული არ იყო, მაშინაც მოწინავე ქართველ წრეებს და მოღვაწეებს მშვენიერად ჰქონდათ შეგნებული, რა განსხვავებაა ეროვნებასა, ტომობრივ კუთვნილებასა და დაბადების სადაურობას შორის. თავისი შეხედულება ამ საგანზე მას საუცხოვოდ გამოთქმული აქვს შემდეგს, თუმცა მოკლე, მაგრამ საგულისხმიერო სიტყვებში გიორგი მთაწმიდელის ჩამომავლობის შესახებ. მას ნათქვამი აქვს: გიორგი მთაწმიდელი იყო. „**ნათესავით ქართველი**, ხოლო **მამისა მამეულად - ქუეყანის[გან], რომელსა სამცხე ეწოდების**, ხოლო **თჳთ აღმოეცენა** იგი **ქუეჟანასა თრიალეთისასა**“-ო (ც˜ი გ˜ი მთწმდ˜სი 285[16-20]). მაშასადამე ავტორს სამივე ცნება საგანგებოდ განსაზღრული აქვს და აღნიშნულია, რომ გიორგი მთაწმიდელი ეროვნებით ქართველი იყო, ტომობრივად მამის მხრივ მესხი, ხოლო დაბადებით თრიალეთელი.

რაკი „ნათესავი“ ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინი იყო, ამისდა გვარად თანამემამულეს, ან ერთ ეროვნების წევრებს „**თანამონათესავე**“, „**თანამონათესავენი**“ ეწოდებოდა. ჟამთააღმწერელი მაგ. იმ შემთხვევის შესახებ, როდესაც გარნისის ომში ივანე ათაბაგი და საქართველოს მხედრობა თავისს მოწინავე რაზმს ბრძოლაში არ მიეშველენ, აღშფოთებული ამბობს: ათაბაგი „ივანე და სპანი ქართველთანი ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა

შეიწყალებდეს **თანამონათესავეთა**“-ო (* 745, გვ. 568). სამცხის მთავარს ბექას მესხეთის წარჩინებულთათვის ბრძოლის წინ შემდეგი სიტყვით მიუმართავს: „ისმინეთ, მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და **თანამონათესავენო**"-ო (იქვე * 923, გვ. 767).

ცხადია, რომ როდესაც ქართულ მწერლობაზი ეროვნების აღმნიშვნელ ტერმინად „ტომი“ იყო, მიღებული, მაშინ თანამემამულეს აღმნიშვნელი სიტყვაც „ტომი“-საგან იქმნებოდა ნაწარმოები და „თანამეტომე" ეწოდებოდა. მართლაც, დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს ამ მნიშვნელობით აქვს ნახმარი ტერმინი „**მეტომე**“. „იოსიპოს (ფლაბიოსმა) ებრაელთა" ისტორიკოსმაო, ამბობს ზემოაღნიშნული ქართ. ავტორი, „ტიტოჲს-მიერნი **მეტომეთა თჳსთაზედანი** ჭირნი მისცნა აღწერასა“-ო (ც~ა მფ~სა დ~თსი * 541, გვ. 307-308), მოგვითხრო თავის თანამემამულეების დაწიოკების ამბავი კეისარ ტიტე-ბესპასიანეს დროსაო.

შემკრებელობითი, საზოგადო. ცნების გამომხატველი იყო აგრეთვე სიტყვა „**ერი**“, რომელსაც უძველესი ქართული მწერლობის ძეგლებში ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: ხალხსაც ჰნიშნავდა და ჯარსაც. მაგ. სახარების ქართ. თარგმანმი ტერმინი „ერი“ ხან ხალხის, ბრბოს და კრებულის შესატყვისია (მათე 9_{25}, $26_{47,5}$5. მარკოზ 14_{43}. ლუკა 8_{4}, 19_{47}, იოანე 11_{50}), ხან ჯარსა და ლა'მქარს უდრის. ამის გამოა, რომ „ერისაგანი“ ქართ. სახარებაში ჯარისკაცს, მეომარს ეწოდება (მათე 8_{9}, 28_{12}. იოანე 19 $_{2, 32, 34}$), თუმცა ზოგჯერ ხალხისაგანსაც უდრის (ლუკა 12_{13}). დაბადების ქართ. თარგმანშიაც „ერი“ ხშირად იხმარება საზოგადო შემკრებელობითი მნიშენელობით, ხალხის შესატყვისად, მაგ. „გამოიყვანო **ერი** ჩემი ძენი ისრაჵლისანი ქუეყანით ეგჳპტით“ (გამოს. III, 10), „მე მიგავლინო შენ რაჲთა გამოიყვანო შენ **ერი ჩემი** ქუეყანით ეგჳპტით“ (იქვე III_{12}).

სიტყვა „ერი“-ს ორგვარი მნიშვნელობა ხალხისა ღა ჯარის აღსანიშნავად გასაკვირველი არც არის იმიტომ, რომ ხალხი და ჯარი უძველეს დროს ერთი-და-იგივე იყო მხოლოდ მომავალში, როდესაც ქართ. მწერლობის უუძველესი ძეგლები საკმაოდ აღმოჩენილი, შესწავლილი და მეცნიერულად გამოცემული იქმნება, შეიძლება გამოირკვეს, რომელი ამ ორ მნიშვნელობათაგანი თავდაპირველ და ძირითადია. მაინც-და-მაინც ნათლად ეტყობა, რომ „ერი“ თანდათან ჯარის მნიშვნელობას ჰკარგავს ღა განსაკუთრებით ხალხის აღმნიშვნელ ტერმინად ხდება. ჯარისათვის-კი სამწერლო ენაში, ჯერ ერთი სპარსული სიტყვა „სპა“ შემოდის, შემდეგ მეორე სიტყვა ლაშქარი“-ც ემატება.

იმ ხანაში, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს, „ერი“ უკვე თითქმის განსაკუთრებით ხალხის შესატყვისი და აღმნიშვნელია. აბუსერიძე ტბელი მაგ. მოგვითხრობს, რომ მათი სამრევლო ეკლესია პატარა ყოფილა და ხალხი ვერ ეტეოდა და ამის გამო უფრო მოზრდილი ავაგეო: „მაიძულა ეკლესიისა მცირეობითა **ერის ვერა დატევებამან**... და ამისთჳს ჴელ-ვყავ შეკადრებად აღშენებისა“-ო (ქ~კბი IL, 120). უკვე მე-XI-ე საუკუნეში ასეთი ტერმინებიც მოიპოვება, როგორც მაგ. „**წურილი ერი**“ (მტ~ნე ქ~ჲ * 481, გვ. 255), ან „**ერნი სოფლიონი**“ (ც~ა და უწყება, 77) მდაბიო ხალხის აღსანიშნავად და „**მდიდარნი ერისანი**“ (ისტ~რნი და აზმ~მნი * 617, გვ. 391) მაღალ წრეებისათვის. „ერი“-ს საზოგადო 'შემკრებელობის მნიშვნელობაზე არის დამყარებული, როდესაც ეფრემ მცირე საზოგადო, ყველასათვის სასარგებლო საქმის აღსანიშნავად ამბობდა: „**საეროჲ საქმე**“-ს აზრსაც სწორედ მიუხვდება.

რაკი ერთხელ ამ სიტყვამ ასეთი გარკვეული მნიშვნელობა შეითვისა, შემდეგში უფრო და უფრო განმტკიცდა და საყოველთაოდ სწორედ ასეთის ფართო მნიშვნელობით, ხალხის აღსანიშნავად იხმარებოდა. ქართ. ჟამთააღმწერელი მაგ. ამბობს, რომ ურდოში გამგზავრებამდე დარბაზის ერთან ბჭობის დროს, როდესაც დიმიტრი II-ს ყველანი ურჩევდენ მთებში შეხიზნულიყო და თავისი თავი განსაცდელისგან ეხსნა, თავდადებულმა მეფემ უპასუხაო: „მეწყალის **უბრალო ერი**“, მე რომ ჩემ თავს ვუშველო, განრისხებული ყაანი საქართველოს ააოხრებს და უდანაშაულო. ხალხს გასწყვეტს. ისევ სჯობია მე წავიდე, წავალ ღა „მე დავსდებ სულსა ჩემსა **ერისათჳს ჩემისა**“-ო (ჟამთააღ. 896, გე. 738). ხოლო როდესაც მეფემ ყველანი დაითანხმა, ისტორიკოსს ნაქვამი აქვს: დამსწრენი ყველანი „განჰკჴრდეს“-ო (იქვე * 896, გვ. 737).

ეროვნება „ნათესავი“, როგორც უდიდესი ერთეული შესდგებოდა და იყოფებოდა მრავალ უფრო პატარა ერთეულად. ქართ. ჟამთააღმწერელს მონღოლების შესახებ ნათქვამი

აქვს, რომ „მათნი ნათესავნი **მრავალ გვარად განყოფილ იყუნეს**“ (* 733, გე. 552). „გუარი“ ანუ „გვარი“ უძველეს ქართულ მწერლობაში, არც სახარებაში და არც პირველ ხანის მარტჳლობებში, არც. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ -ს მატიანეში, არსად არ გვხდება და მედარებით გვიან ჩნდება. თუ არ ვცდები გვარეულობის აღსანიშნავად ამ ტერმინს, ვითარცა ჩვეულებრივ სიტყვას, საისტორიო მწერლობაში პირველად დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი ხმარობს. მაგრამ ცხოვრებაში და ლაპარაკში ალბათ ამაზე კარგა ხნით ადრე უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რადგან ისტორიკოსს ეს სიტყვა განუმარტავად მოჰყავს და არც ეტყობა, რომ იგი სრულებით ახალი, ან ცოტა ხნის შემოღებული იყოს. ლიპარიტ ამირას ორგულობაზე სახელოვანი მეფის ისტორიკოსი ამბობს სხვათა შორის, რომ ლიპარიტს „ორგულობა და სიძულილი პატრონთა **გუარისაგან მოაქუნდა** გონებითა“ (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი * 521, გვ. 288), მათ საგვარეულოში მეფეთა ღალატი ჩვეულებრივი იყო და ლიპარიტსაც ეს თვისება წინაპრებისაგან ჰქონდა დამკვიდრებულიო. დავით აღმაშენებელმაც ყივჩაყთა „ნათესავი" საქართველოში რომ გადმოასახლა, მათ დაბინავების დროს თურმე „დააწყუნა **გუარად-გუარად**“-ო (იქვე * 536, გვ. 302), საგვარეულოებათა მიხედვით მიუჩინა დასაშენებელი ადგილებიო. თამარ მეფის ისტორიკოსსაც მოეპოვება ეს სიტყვა. ზაქარია მჭარგრძელსაო, ამბობს იგი, მამაცობა და ბრძოლაში გამარჯვებულობა „**გვარისაგან მოვეაქვნდა**“-ო იმიტომ, რომ სპარსთა განთქმულის მეფის არტაქსერქს მჭარგრძელის ჩამომავალი იყოო (ის˜ტრნი და აზმ˜ნი *718, გე. 525-526). შემდეგში, რაც დრო გადიოდა, ტერმინი „გვარი“ სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა და ჩვეულებრივ სიტყვად იქცა. ქართ. ჟამთააღმწერელს უკვე ამ ცნების აღსანიშნავად მხოლოდ ეს სიტყვა-ღა მოეძებნებოდა (ჟამთააღ. *733, 837, 862 და 721).

გვარს ძველ დროს ყველგან და საქართველოშიაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საგვარეულო მაშინ თვითოეულის თავისი წევრის ძლიერი და სანდო მფარველი იყო. ამის გამო მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც გავლენიან გვარს ეკუთვნოდა, თვითონაც უმნიშვნელო არ იქმნებოდა: ნათესავთა წყალობით მას ზურგი გამაგრებული ჰქონდა და. არავის დაეჩაგვრინებოდა. ამაზე მეტიც შეიძლება ითქვას. საგვარეულოს და ნათესავებს მოკლებული მხოლოდ პირად ნიჭსა და ძალაზე იყო დამოკიდებული და იმ დროს ამგვარ უგვაროთათვის სამოქმედო გზის ფართოდ გაკაფვა და დაწინაურება ძნელი იყო. ამიტომაც არის, რომ მაშინ, როდესაც ადამიანის ღირსების ქება სურდათ, ამბობდენ ხოლმე „**გუარიანი**“-აო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 628 და 631, გვ. 405 და 410). თამარ მეფის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს მაგ., რომ საქართველოს სახელოვანმა გვირგვინოსანმა „უბოძა მეჭურჭლეთ-უხუცესობა დიდსა და **გუარიანსა კაცსა** ვარდანის ძესა“-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 631-632, გვ. 410).

ამავე შეხედულებაზე იყო დამყარებული საჴელმწიფოს მკვიდრთაც ორ მთავარ ჯგუფად დაყოფა: ერთს შეადგენდენ „**გუარიანნი**“, მეორეს – „**უგუარონი**" (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 628, გვ. 405). თუ საქართველოს საზოგადოებრივ დანაწილების ამ ორს ტერმინს დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ პირველს საპატიო და გავლენიანს ჯგუფს „გუარიანნი" იმიტომ ეწოდება, რომ თვითოეული მათგანი ამა თუ იმ გვარის შვილნი იყვნენ, ხოლო პატივსა და ძალას მოკლებულს ჯგუფს ეკუთვნოდენ ისეთი პირნი, რომელნიც „უგუარონი“ იყვნენ და მხოლოდ თვითონ პირადად გამოდიოდენ პირველად სამოღვაწეო სარბიელზე.

თუმცა უკვე ბაგრატ III-ითგან მოყოლებული საქართველოს მეეფეები დაუცხრომელად ცდილობდენ, რომ საჴელმწიფო და სამოჴელეო ასპარეზზე მოჴელეთა საგვარეულო ღირსებას, „გვარიანობას“-კი არა ჰქონოდა, არამედ მათ პირადს თვისებებს და ღვაწლს. დავით აღმაშენებელმა და გიორგი III-ემ თავიანთი წადილი და პოლიტიკა განახორციელეს კიდეც, მაგრამ ცხოვრებაში „გვარიანობას“ მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უეჭველია იმ დროს ყეელანი დიდად აფასებდენ, თუ რომ ადამიანი „გვარიანი“ და „მსახურეული სახლი“-ს შვილი იყო. თვით მეფეებიც რასაკვირველია მათ დააწინაურებდენ, ქედფიცხელობისათვის რომ თავი დაენებებიათ, განსაკუთრებით, როდესაც სამსახურშიაც ნიჭსა და ერთგულებას გამოიჩენდენ.

რამდენად აფასებდენ მაშინ იმას, რომ ადამიანს პირად ღირსებასთან ერთად „გუარიანი“-სა და „**მსახურეული სახლი**“ -ს (ისტ˜ნი და აზ˜ნი * 628, გე, 504) შვილის სახელი ჰქონოდა, ძველი და „**საჩინო გვარი**“-ს (ჟამთააღ. * 862, გვ. 706) შთამომავალის შარავანდით ყოფილიყო მოფენილი, შემდეგი საგულისხმო გარემოებაც ნათლად ამტკიცებს. თვით ისეთი პირებიც-კი,

რომელნიც წარჩინებულისა და ძველი საგვარულოს შვილნი არ იყვნენ, რა წამს სამოჴელეო სარბიელზე დაწინაურდებოდენ, ცდილობდენ როგორმე თავიანთთვის საპატიო გვარის შვილობა მოეპოვებიათ და გარდმოცემა შეეთხზათ. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია, რომ მჴარგრძელნი, რომელნიც სომეხ ისტორიკოსთა ცნობისამებრ ქურთების შთამომავალნი ყოფილან (იხ. ქ˜ლი ერის ისტორია II, 584-585), მაინც ამტკიცებდენ და თვით თამარ მეფის ისტორიკოსიც-კი დაურწმუნებიათ, ვითომც ისინი სპარსეთის განთქნულის მეფის არტაქსერქსის, მჴარგრძელად წოდებულის, შთამომავალნი ყოფილიყვნენ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 718, გვ. 525--526).

რაკი გვარიშვილობა ხალხში და ცხოვრებაში ასეთი მნიშვნელოვანი იყო, ცდილობდენ, რომ გვარს ძველის, „მსახურეული“ და „საჩინო“-ს სახელი ჰქონოდა მოხვეჭილი. ყოველი გვარისშვილი მოვალე იყო თავისი გვარის კარგი სახელი არ გაეფოჭებინა და არ გაეტეხა იმიტომ, რომ რაკი სააუგო ხმა გავრცელდებოდა, მთელი საგვარეულოს ღირსებაც დაეცემოდა: მან რასაკვირველია იცოდა, რიმ ყოველის მისის საძრახისი საქციელით „**წარჴდების გვარი**“ მისი (ჟამთააღ. * 837, გვ. 682).

წ˜ა შუშანიკის მარტლობა ამტკიცებს, რომ უკვე მე-V-ე. საუკუნეში საქართველოში „სახლი“ მარტო საგვარეულოსა და. გვარს კი არა ნიშნავდა, არამედ ერთ-ცოლქმრობაზე დამყარებულ ოჯახსაც (იხ. ქ˜ლი ერის ისტორია L, 232), შემდეგში ხომ ამგვარი მნიშენელობა უფრო და უფრო უნდა განმტკიცებულიყო. ასეც მომხდარა. იოანე საბანის ძეს მაგ. იქ, სადაც აღნიშნული აქვს, რომ ნერსე ერისმთავარმა თავისი ოჯახობა აფხაზეთში გახიზნა, ასე უწერია: „წარგზავნნეს... დედაჲ და ცოლი და შვილნი და მონაგები და ყოველნ **სახლისა მისანი**“-ო (ც˜ჲ ჰაბოჲს 18_{6-8}). ოჯახობის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს „სახლს“ „მატიანე ქართლისაჲ“-ს შემდეგს ცნობაში: ბუღა თურქმა „განაღო კარი დარუბანდისა და გადმოიყვანნა ხაზარნი **სახლი სამასი** და დასხნა იგინი შმანქორს, დარიალანით გამოიყუანნა ოვსნი ვითარ **სახლი ასი**“-ო (* 444-445. გვ. 222). ძნელი დასაჯერებელია სიმრაელის გამო, რომ ბუღას 300 **საგვარეულო** ხაზარი და 100 **საგვარეულო** ოსი გადმოესახლებინა, ამიტომ საფიქრებელია, რომ აქ მემატიანეს ოჯახობაზე აქვს ლაპარაკი.

მაგრამ „სახლის“ თავდაპირველი მნიშვნელობა აქა-იქ მაინც შერჩენილია და ზოგჯერ წინანდებურაღ გეარსა ჰნიშნავს. უეჭველია მაგ.; რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში საგვარეულოებზეა საუბარი, როდესაც მერმინდელის, ისტორიული ქართლის დასახლების ამბავია მოთხრობილი. მემატიანე ამბობს, რომ აზომ პირვანდელის, სადღაც სამხრეთით მდებარე ქართლითგან ამიერკავკასიაში მდებარე ქართლში დასამკვიდრებლად „წარმოიყუანნა **რვაჲ სახლი** და **ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი**“ (3 ქ˜კა 4_{7-8}). იმავე იოანე საბანის ძის თხზულებაც-კი, სადაც სიტყვა „სახლი“ ოჯახის შესატყვისად არის ნახმარი, ამტკიცებს, რომ მაშინაც „სახლს“ ყოველთვის ერთ-ცოლქმრობაზე დამყარებული ოჯახივით ვიწროდ არა ჰქონია საზღვრები შემოფარგლული და მახლობელ ნათესავებსაც ჰგულისხმობდა. მას მაგ., ნათქვამი აქვს: „მაჰდი ამირა მუმნმან... სტეფანოზ ძე გურგენისი, **დისწული ნესრწსი**, ნაცვლად დედის ძმისა თჳსის ნერსწსა (დაადგინა) ერისმთავრად ქუეყანისა ამის ქართლად. მაშინ მხიარულ იქმნა ნერსე, რამეთუ უფლებაჲ იგი (ერისმთავრობისა) **სახლისა მისისაგან** არა განაშორა ღმერთმან“ (ც˜ ჰაბოჲსი 20). მაშასადამე **დისწულიც ნერსეჲს სახლის წევრად** შეიძლებოდა ჩათვლილიყო და **ითვლებოდა კიდეც**.

სახლ-ოჯახის, განსაკუთრებით-კი ერთს ჭერ ქვეშ მცხოვრებ სახლობის აღსანიშნავად და მოსახლეობის აღმნიშვნელ ტერმინად მიღებული იყო სიტყვაც „**კომლი**“ (იხ. ს˜ქს ეკონ. ისტორია L, 16-17).

დასასრულ მოსახლეობის თვითოეულ წევრს განცალკევებულად, საქართველოს თვითოეულ მკვიდრს განმარტოებით „**სული**“ ეწოდებოდა. ეს ტერმინი უუკნინესის ერთეულის გამომხატველია. როდესაც უნდოდათ ეთქვათ ამდენი და ამდენი ადამიანიო, სწორედ მაშინ ამის გამოსათქმელად „სული“ იხმარებოდა. „მატიანე ქართლისა“-ში მაგ. აღნიშნულია, რომ 1068 წ. საქართველოში სელჩუკიანთა შემოსევის დროს „მოისრა და ტყუე იქმნა **ურიცხვი სული ქრისტიანეთა**“ (* 500, გვ. 271). ხოლო წყალდიდობის დროს მოვარდნილმა მტკვარმა „წარიღო **მრავალი სული**“-ო (იქვე * 502, გვ, 272). ქართ.

ჟამთააღმწერელსაც ნათქვამი აქვს, რომ მიწისძვრის დროს „სამცხეს **ურიცხვი სული** მოსწყდა“ (* 881, გვ. 724). „იხილეთ **რაოდენი სული ქრისტიანე** სიკუდილსა მიეცემის“ თათართაგანო, სწერია იმავე ისტორიკოსის თხზულებაში (ჟამთააღმწ. * 895, გე. 737).

საზოგადოებრივი და წოდებრივი დანაწილება

საქართველოს მკვიდრნი მარტო. თემობრივ და ტომობრივ კი არ ყოფილან დანაწილებულნი, არამედ სოციალურადაც რამდენსამე ერთეულად იყვნენ დაყოფილნი. იმგვარადვე, როგორც ეროვნული გრძნობა ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხისა და ტომის შვილს ერთსხეულად ჰქმნიდა და აერთებდა, საზოგადოებრივი მდგომარეობა და წოდებრივი კუთვნილებაც საქართველოს მცხოვრებთ ტომობრივ-თემობრივთბისდა მიუხედავად რამდენსამე განსაკუთრებულ ერთეულად აყალიბებდა. წოდებრივი და საზოგადოებრივი ერთობის გრძობა მეტადრე მაღალ წოდებათა და მმართველ ჯგუფების წრეებში იყო ძლიერი. საერთო. მიზანი და ინტერესი მაღალ წოდებისა და საზოგადოებრივ ჯგუფის წევრებს ზოგჯერ უფრო მჭიდროდ აკავშირდება, ვიდრე თვით ეროვნული გრძნობაც-კი და ჯგუფობრივი და წოდებრივი გამორჩენის წადილი ზოგჯერ ეროვნულ თვითშემეცნებასაც სჭარბობდა ხოლმე.

სოციალური და წოდებრივი დანაწილება სხავადასხვა ნიადაგზეა აღმოცენებული და სხვადასხვა მიზეზით არის წარმოშობილი, ეს ცხადია, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ამას შესახებ ან მეტად მცირედი ცნობები გვაქვს, ან სრულებით არაფერი ვიცით. ჯერჯერობით ჩვენთვის ისიც დიდი საქმე იქმნება, თუ შევძელით და გამოვარკვიეთ, რა-და-რი წოდება და რამდენი და რომელი სოციალური ჯგუფები არსებობდენ მაშინდელს საქართველოში. მათი წარმოშობის ისტორიის გამოკვლევა მხოლოდ მომავალში იქმნება შესაძლებელი, როდესაც საამისო ცნობები აღმოჩნდება.

არსებობდა თუ არა მაშინ წოდების ცნების აღსანიშნავად საგანგებო ქართ. ტერმინი, არა ჩანს: შენახულ ძეგლებში არ გვხდება. საგანგებოდ უნდა აღნიშნული იყოს, რომ იმ დროინდელ საქართველოში, როგორც ქვემოთ იქმნება გამორკვეული, ისეთი საზოგადოებრივი ერთეულებიც მოიპოვებოდენ, რომელნიც თუმცა წოდებად ვერ ჩაითვლებიან, მაგრამ წოდებრივობისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თვისებები ებადათ, თითქოს წოდებისა და საზოგადოებრივ წრის შუა იდგენ.

მოსახლეობის თვისების მიხედვით სახელმწიფო ორ მთავარ ნაწილად იყოფებოდა: ქალაქად და სოფლად. ეს აზრი მშვენიერად არის გამოთქმული ქართ. ჟამთააღმწერელის შემდეგს ცნობაში. როდესაც მონღოლთა ყაანი დავით მეფეს და მის ერთგულს მოყმეს სარგის ჯაყელს ქართველთა განდგომის მიზეზს ეკითხებოდა, სარგისმა უპასუხაო: არღუნ ნოინის მიერ საქართველოში დადგენილმა ხოჯა აზიზმა „მიიღო. მეფობა დავითისი: **ქალაქი და სოფელი**“ და ამის მოთმენა შეუძლებელი იყოო (ჟამთააღ. * 839, გვ. 684).

იმისდა მიხედვით, თუ სად ჰქონდა ადამიანს მუდმიეი ბინა და სადა ცხოვრობდა, მას „**მსოფლიო**“, ან „**მდაბიორი**“ ეწოდებოდა, როდესაც სოფლის მცხოვრები იყო და „**მოქალაქე**“ ერქვა, თუ ქალაქის მცხოვრებად ითვლებოდა.

სოფლელებად, რომელთაც გიორგი მერჩფლის სიტყვით საერთოდ „**მსოფლიონი ერისკაცნი**“ ჰქვიან (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძთ˜ლსჲ, გვ. ი˜ა 43) „ერნი მსოფლიონი“ (ც˜ა და უწყება), ხოლო თვითოეულს „მსოფლიოჲ"“ (ც˜ა მ˜ფსა დთ˜სი * 587, გვ. 325), ან „**კაცი მდაბიოჲ**“ (ც˜ა გგ˜ლ ხნძთ˜ლსჲ, ნეⲩნდⲩ) ეწოდებოდა, მხოლოდ. თავდაპირველად თუ იგულისხმებოდენ დაბის ან სოფლის ყველა მცხოვრებნი და მკვიდრნი საზოგადოებრივ მდგომარეობისდა მიუხედავად, თორემ შემდეგში, და უკვე გიორგი მერჩულის თხზულებაშიაც-კი, - ამ სიტყვას და ტერმინებს აზრი და მნიშვნელობა შეეცვალათ და როდესაც ამ სიტყვებს ხმარობდენ ხოლმე, მარტო. დაბის ან სოფლის მოსახლეს-კი არა ჰგულისხმობდენ, არამედ ისეთ პირთ, რომელნიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბლა იდგნენ, დაბალ წოდებრივ, ან საზოგადოებრივ წრეს

ეკუთვნოდენ. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერაში ნახმარი ტერმინი „**მდაბიორი**" (ქ˜კბი II, 68$_4$) თუმცა აზნაურის გვერდით არის დასახელებული, მაშასადამე წოდებათა ჯგუფშია მოთავსებული, მაგრამ აზნაურის მოწინააღმდეგე ცნებად არის გამოყვანილი. იქ მაგ, ნათქვამია: „ვამცნებთ ყოველსა, დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, **აზნაურსა და მდაბიორსა**, მღდელთა და უმღდელოთა, მოწესეთა და ერისკაცთა" და სხვათ, რომ მავნე სენსა თავი დაანებონო (ქ˜კბი II, 68$_{2-4}$). ამ წინადადებაში ცნებათა რამდენიმე ჯგუფია დასახელებულია: საზოგადოებრივ მდგომარეობის (დიდი და მცირე), ქონებრივ მდგომარეობისა (მდიდარი და გლახაკი), საჭელმწიფო უფლებრივ მდგომარეობისა (მეფე და მთავარნი) და წოდებრივ მდგომარეობისა (აზნაურნი და მდაბიორნი) და სხვათა. ამასთანავე თვითოეულს ამ ცნებათა ჯგუფთაგანში ორი უკიდურესი, მაღალი და დაბალი, წერტილია აღნიშნული და ამის გაზო აზნაურს ვითარცა წოდებათა შორის პირველს დაპირდაპირებული ჰყავს „**მდაბიორი**", რომელიც მამასადამე აქ უკვე წოდებრიობის ან საზოგადოებრივ წყობილების დაბალ საფეხურზე მდგომარედ არის ნაგულისხმევი. ეფრემ მცირეს თხზულებებიც ამტკიცებენ, რომ „**სოფლური**" და „**მსოფლელი**" უკვე საზოგადოდ დაბალხარისხოვანს, მარტივს და ღირსება-მოკლებულს რამეს ნიშნავს. როდესაც ეფრემ მცირეს უნდოდა ეთქვა თხზულება მარტივ და უბრალო ენით არის დაწერილიო, ამ აზრის გამოსახატავად მას ნახმარი აქვს „სოფლური სიტყუა": „სოფლურითა სიტყჳთა", „ენითა მსოფლელთაჲთა" არის ნაწერიო (იხ. ისტორიის მიზანი და მეთოდები I, 105--106).

ამგვარადვე თუმცა ტერმინი, „**მოქალაქე**" თავდაპირველად მხოლოდ ქალაქის მკვიდრ მცხოვრებს ჰნი'მნავდა და ამ მხრივ „მსოფლიო"-სი და „მდაბიორ"-ის საწინააღმდეგო ცნების აღმნიშვნელი იყო ისე, რომ დავით აღმაშენებელის ისტორიკოსიც-კი მათ თითქოს ერთიმეორეს უპირდაპირებს, დიდებულ მეფის დროს „ვერც **მსოფლიო** ვინმე, ვერც **მოქალაქე**" უწესოების ჩადენას ვერა ბედავდენო (ც˜ა მფ˜ სა დთ˜სი * 557, გვ. 325), მაგრამ იმ ხანაში, რომელსაც ვიკვლევთ, რასაკვირველია, ამ სიტყვას ასეთი ფართო და საზოგადო აზრი აღარა ჰქონდა. მაინც-და-მაინც საეჭვოა, რომ მაშინ ვისმე მაღალ, წარჩინებულ ადამიანისათვის, დიდებულ აზნაურისათვის მაგ., თუნდაც რომ მას მუდმივი ბინა რომელსამე ქალაქში ჰქონოდა, მოქალაქის სახელი ეწოდებინა. მოქალაქენი თუმცა მაშინ ვგონებ ჯერ ერთს წოდებას არ მეადგენდენ, მაგრამ მაინც საკუთრივ ქალაქის მკვიდრთა საწზუალო წრეებს ეწოდებოდა. ამნაირი მნიშვნელობა აქვს ალბათ ამ ტერმინს ქართ. ჟამთააღმწერელის შემდეგს მოთხრობაში. როდესაც არღუნ ყაანმა დიმიტრი II დააჭერინა და მისი ქონების ჩამორთმევა ბრძანა, გამოგზავნილმა კაცებმა საქართველოს დედაქალაქითგან „წარიღეს ყოველი, არარა დაშთა რამეთუ **მოქალაქეთაცა უწყოდეს საგანძურნი მეფისანი** და „მინაგამცემელ იქმნეს"-ო (ჟამთააღ. * 898-899, გვ. 739). აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა შესახებ ძველს ქართულ საისტორიო მწერლობაში მეტად ცოტა და უშინაარსო ცნობები მოიპოვება. ამის გამო მოქალაქეთა ვინაობისა ღა რაობის შესახებ მსჯელობაც ნაადრევია.

წ˜ა შუშანიკის მარტჳლობა ამტკიცებს, რომ მე-V-ე საუკ-ში აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრნი ორ მთავარ ჯგუფად იყოფებოდენ. მაშინ. ყოფილან „**აზნაურნი და უაზნონი** სოფლისა ქართლისანი" (სქ˜ს სამოთხე 191).

„**აზნაური**" და „**აზნაურებაჲ**" ძველს ქართულ მწერლობაში თავისუფალს და თავისუფლებას ნიშნავდა. ეს ნათლად მტკიცდება საღმრთო წერილის ქართ. თარგმანითაც. კორინთელთა მიმართ მე-2 ეპისტოლეს სიტყეებში „სადა სული უფლისა, მუნ **აზნაურება** არს" (თავი 3$_{17}$) „აზნაურება" ბერძნულ დედნის „ელეჳთერია"-ს უდრის, რაც თავისუფლებას ჰნიშნავს. ამგვარადვე გალატელთა მიმართ ეპისტოლეს ქართ. თარგმანის „**აზნაურებითა** მით, რომლითა ქრისტემან „**განგააზნაურნა**"-ო (**თ. 5**) ბერძნულ დედნის იმავე ზემომოყვანილს ბერძნულს სიტყვას „ელეჳთერია"-ს და ზმნას „ელეჳთერიაზე"-ს უდრის, პირველი „თავისუფლება"-ს, ხოლო მეორე. „განთავისუფლა"-ს ჰნიშნავს. გრიგოლ ხანძთელის ც˜-შიც, სადაც, საღმრთო წერილის ეს ადგილებია ამოწერილი, ავტორს შემდეგის თავისი სიტყვების დასასაბუთებლად აქვს მოყვანილი: „პოვეს კაცთა **თავისუფლებაჲ**"-ო (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძთ˜ლსჲ, გვ.

მ17-18). მაშასადამე აქაც „აზნაურებაჲ“ თავისუფლებად არის ნათარგმნი. „სახისამეტყუელ“-ის ქართ. თარგმანშიც გააზნაურება განთავისუფლებას უდრის (TP. VI, 1935).

ზემოთქმულის შემდგომ ცხადია, რომ „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“-ც ამისდა გვარად უნდა გავიგოთ, ესე იგი „თავისუფალნი და უთავისუფლონი ქართლისანი“-ო. მაშასადამე „**აზნაური**“ **მნიშვნელობით თავისუფალს უდრის.** თვით სიტყვა „**თავისუფალი**“-ც გვხდება დამოუკიდებელის მნიშვნელობით ძველ ქართ. მწერლობაში (იხ. ნ. მარრის, Физіологъ TP.VI. გვ. XXXVI, შენ. 1).

თუ ქართ. ტერმინს („თავისუფალი“) ჩავუკვირდით, ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა ცხადი იქმნება: **ის იყო „თავისუფალი“ ვინც თავისის თავის უფლად, ან ბატონად იყო, ვისაც ბატონი, ან უფალი** არა ჰყავდა და ბატონს არ ემორჩილებოდა. ამიტომ ქართ. ტერმინი „აზნაური, ან „**თავისუფალი**“ სამართლის „persona sui juris subjecta“-ს (Gaius 1, 48 apud P.R. Girand. Droit Romain V გამოცემა, გვ. 94, შენ. 1) უდრის, ხოლო „**უაზნონი“ იქმნებიან** Personae alieno juris subjectae, რომელნიც თავიანთ თავის უფალნი-კი არ არიან, არამედ რომელთაც სხვა ჰყავთ უფლად.

მაგრამ რომ უკვე მე-V-ე საუკ-ში „აზნაური“ მარტო საზოგადო ცნების, „თავისუფალი“-ს აღმნიშვნელი-კი არ იყო, არამედ ამასთანავე საწოდებრიო სახელად და ტერმინად იქცა, ამას წ˜ა შუშანიკის მარტჳლობაც ამტკიცებს. იქ მოხსენებულნი არიან „**აზნაურნი დიდ-დიდნი**“ (სქ˜ს სამოთხე 191). მაშასადამე აზნაურთა შორისაც განსხვავება იყო და ეს წოდებაც უკვე ხარისხებრ დანაწილებული ყოფილა. უმაღლესი საფეხური „დიდ-დიდ აზნაურებ“-ს სჭერიათ. უეჭველია „მცირენი“-ც იქმნებოდენ.

შესაძლებელია, რომ ვახტანგ გურგასლის დროსვე აზნაურთა წოდების უფრო რთული ხარისხებრივი დანაწილებაც ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ შემთხვევით არ იყოს ცნობები შენახული. ხოლო იმ ხანაში, რომელიც ამ ჟამად ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აზნაურთა წოდებას რთული და სხვადასხვა შემადგენელობა ჰქონდა.

მართალია ამ დროსაც იყვნენ დიდ აზნაურთა მსგავსნი „**დიდებულნი აზნაურნი**“ (ც˜ გგ˜ლ ხნძ˜ლსჲ, ჲგ., მტ˜ნე ქ˜ჲ * 487, გვ. 260. ისტ˜რნი და აზმან˜ ი * 640, და 649, გვ, 421 და 435), მაგრამ ამ აზნაურთა „**დიდებულებაჲ**“ (ცჲ გგ˜ლ ხნძთ˜ლსჲ, კვ), როგორც ეტყობა სხვა თვისებისა იყო. გიორგი მერჩულის თხზულება გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ეს სიტყვა და ჩვეულებრივ საითგან მომდინარეობდა დიდებულება. „იყო ვინმე აზნაური **დიდებული წინაშე ამოტ კურაპალატისა** და ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩწული“-ო. მოგვითხრობს გიორგი მირჩული (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძ˜თლსჲ იბ, §6-7). მაშასადამე აზნაური დაფანჩული მესხეთის მთავრის წინაშე და მის მიერ ყოფილა დიდებული. ეს საკითხი, თუ რა იყო დიდებულება და ვინ უნდა ყოფილიყო დიდებული აზნაური, უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქმნება განხილული. აქ ჩვენთვის ისიც საკმარისია, რაკი დავრწმუნდით, რომ აზნაურთა შორის ერთის განცალკევებეული წრის გამოყოფა მეფის წინაშე და მსახურებითაც ყოფილა გამოწვეული.

თუნდაც დიდებულ აზნაურებს თავი რომ დავანებოთ, მაინც აზნაურთა შემადგენელობა IX- XIII ს.ს, სხვადასხვა გვარი და რთული დარჩება. ზოგი იყო. „**ნათესავით აზნაური**“ (გ. მერჩული. ც˜ჲ გგ˜ლ ხნძ˜თლსჲ, ლგ), ანუ ჩამომავლობით იყო აზნაური და არა მეფის წყალობით აღზეებული. გიორგი მერჩულს მაგ. ნათქვამი აქვს: „იყო ჟამსა მას ხანძთას წინამძღურად მამაჲ არსენი „**ნათესავით აზნაური**“-ო (იქვე ლგ21-22). ჩამომავლობით აზნაური იყო სწორედ „გუარიანი“, მისი წოდებრივი ღირსება მისის გვარის აზნაურობაზე იყო დამყარებული და მასაც მხოლოდ გვარიშვილობით ჰქონდა აზნაურობა დამკვიდრებული.

საფიქრებელია, რომ. „ნათესავით აზნაური“, ანუ მემკვიდრეობით მქონებელი აზნაურობისა სწორედ იმ „**აზნაურთა მემამულეთა**“ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელნიც გიორგი II-ის სიგელში არიან მოხსენებულნი (შიო მღ. ისტ. საბ., 12; ს. კაკ. შიო. მღ. სამი სიგ. 5). საქართ. **ეკონომიურ ისტორიაში** ეს ტერმინი „მემამულე“ განმარტებული მაქვს ისე, როგორც ეს სიტყვა ახლა ჩვენ გვესმის, და ამისდა მიხედეით ვფიქრობდი, ვითომც „აზნაურნი მემამულენი“ ისეთი აზნაურები ყოფილიყვნენ, „რომელთაც საგვარეულო. საკუთრება მაპაპეულად დამკვიდრებული ჰქონდათ“ (გვ. 5). რეალურად რასაკვირველია ასეც იყო და „აზნაურნი

მემამულენი“ იმავე დროს საგვარეულო მამულის მფლობელნი ბრძანდებოდენ, მაგრამ თვით ტერმინი „მემამულე“ მაშინ სხვასა ნიშნავდა და ამის გამო „აზნაურთა მემამულეთა“ მნიშვნელობის ზემომოყვანილი განმარტებაც სწორე არ არის.

ძველს ქართულში სიტყვა „მემამულე“ ჰნიმნავდა მემკვიდრეს, ისეთ პირს, რომელსაც ჩამომავლობით რაიმე უფლება ეკუთვნის. მაგ. „მატიანე ქართლისაჲ“ ამბობს, რომ როდესაც ბაგრატ IV ტფილისი აიღო, „არა დაიჭირა ბაგრატ თჳსად ტფილისი“, არამედ მახლობელი ადგილები შეინარჩუნა მხოლოდ, რაც შეეხება საქართველოს დედა ქალაქს, მეფემ „შემოიყუანა ტფილისად **მემამულე** სახელით სითილ არაბი ღა მისცა მას ტფილისი“-ო (* 505, გვ. 274-275).

მემატიანეს სიტყვების მნიშვნელობა რომ ჩვენთვის უფრო ადვილი გასაგები იყოს, უნდა გავიხსენოთ, რომ ზემომოთხრობილ ამბავზე უწინარეს, ჯერ კიდევ 1046 წ. ადრე ტფილისის ამირა მომკვდარიყო და ტფილელმა ბერებმა ბაგრატ IV მიიწვიეს ტფილისში (ქ˜ლი ერის ისტორია II, 487-8), მაგრამ ბაგრატმა ტფილისი სამუდამოდ ვერ შეინარჩუნა და ტფილისის ამირობა კვლავ განახლდა. 1068 წ. სპარსეთის სულტანმა საქართველოში შემოსევის დროს ტფილისი თავის ერთგულს მოკავშირეს განძის პატრონს ფადლონს მისცა (იქვე IL 453), მაშასადამე საქართველოს მეფის მოყმე-ამირასთვის, რომელსაც. ამირობა მემკვიდრეობით ეკუთვნოდა, სულტანს ჩამოურთმევია. როგორც ეტყობა ის ამასთანავე განდევნილიც ყოფილა. როდესაც ქართველებმა გათამამებული ფადლონი დაატყვევეს, მაშინ მან მან ტფილისის ამირობაც დაჰკარგა. ხოლო ბაგრატ მეფემაო თითონ კი არ დაიჭირა ტფილისი. არამედ მოიწვია „მემამულე“ ანუ ტფილისის ამირათა შთამომავალი, რომელსაც უფლება ჰქონდა მემკვიდრეობით ამირობა მიეღო, და ის დასვათ. თამარ მეფის ისტორიკოსსაც აქვს ეს სიტყვა „მემამულე“ ნახმარი და იმავე კანონიერ მემკვიდრის მნიშვნელობით გიორგი III-ემ 1161 წ. ქ. ანისი რომ აიღო, წინანდელ გამგის შედადიანის გვარის შვილს-კი არ დაუბრუნა ღა ჩააბარა, არამედ თვითონ დაიჭირა (ქ˜ლი ერის ისტორია II, 553). მაგრამ რაკი მაჰმადიანთა მფლობელნი გააფთრებით ებრძოდენ ამ ქალაქს, რომ კვლავ მაჰმადიან მმართველთა ხელში ჩავარდნილიყო, ბრძოლით მობეზრებულმა გიორგი III ზავის მთხოვნელს მტერს, წინააღმდეგობა არ გაუწია და „უბოძა **ანისი თჳსსავე მემამულესა** და ითაყუნა თჳსისა ყმად“-ო, ამბობს ქართ. ისტორიკოსი (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 610, გვ 381-382). როდესაც გიორგი III ეს ქ. ანისი აუღია, მაშინ ანისის მმართველად შადადის ძმა ფადლუნი ყოფილა (ქ˜ლი ერის ისტორია II, 554). დაზავების დროს-კი საქართ. მეფეს ანისი უწყალობნია მაჰმუდის შვილის არსლანისათვის (იქვე II, 564), რომელიც ალბათ შედადიანთა ნათესავი და ჩამომავალი ყოფილა და ამის გამო მათ უფლებათა კანონიერი მემკვიდრეც. მაშასადამე „**აზნაურნი მემამულენი“ მაშინ ისეთ აზნაურებს შეიძლებოდა რქმეოდათ სახელად, რომელთაც აზნაურობა მემკვიდრეობით ეკუთვნოდათ და წინაპართაგან დამკვიდრებული ჰქონდათ, ანუ რომელნიც „ნათესავით“ აზნაურნი იყვნენ**.

„მემამულე“ აზნაურთა გარდა იყვნენ „**აზნაურნი მოსაკარგავენი**“, რომელნიც გიორგი I სიგელმი „მემამულეთა“-გან განცალკევებით არიან დასახელებულნი (შიო მღ. ისტ. საბ., 12.-ს. კაკ. შიო მღ. სამი სიგ., 5). ამიტომ საფიქრებელია, რომ „**აზნაურნი მოს კარგავენი**“ მაინც-და-მაინც „მემამულეთა“, ანუ ჩამომავლობით აზნაურთა ჯგუფს არ. ეკუთვნოდენ. „სქ˜ლოს ეკონომიურ ისტორია“-ში მოყვანილია დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის ერთი ცნობა, რომლის საშუალებით ირკვევა, რომ „მოსაკარგავე“ თითქოს გადასახადების ამკრებს ნიშნავდა (გვ. 6-7). „ვისრამიან“-ის ქართ. თარგმანშიც გვხდება ეს სიტყვა და იქ[1]) ნათქვამია: „რამინმა ჴელმწიფეთა და დიდებულთა **საკარგავი** მოუმატა და მათგან სათავისო ერთგულობა და სამსახური მოიმატა“-ო (ვისრ. 449.7 ქვ.). ამ წინადადების მიხედვით, „საკარგავი“ თითქოს მოჴელეთა სარგოს უნდა უდრიდეს.

მაშასადამე ცხადია „აზნაურთა მოსაკარგავეთა“ რაღაც საქმე უნდა ჰქონოდათ „საკარგავ“-თან, მაგრამ მხოლოდ ამის ამკრები მოჴელეები იყვნენ, თუ მათაც ეძლეოდათ „საკარგავი“ ვითარცა სამოჴელეო სარგო: ამის თქმა შეუძლებელია.

[1] ეს ამონაწერი ი. ყიფშიძემ გადმომცა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნი.

„მატიანე ქართლისა“-ში ერთხელ დასახელებულნი არიან აგრეთვე „**აზნაურნი საზუერელნი**“ (* 453, გვ. 230). ძველ ქართ. მწერლობაში, მაგ. სახარებაში, „**საზუერწ**“ საბაჟო დაწესებულებას ეწოდებოდა და ბერძნული დედნის „ტოტელონიონ"-ის გადმოსაცემად არის ნახმარი (მათე IX, 9). ამიტომ აზნაურნი „საზუერელნი“ ალბათ „საზუერცწ“-ს, ანუ საბაჟოს მოვალენი უნდა ყოფილიყვნენ.

„აზნაურნი მოსაკარგავენი“ და „აზნაურნი საზუერელნი“ მაშასადამე მოვალე აზნაურთა ჯგუფის შემადგენელნი უნდა ყოფილიყვნენ. იმისდა მიუხედავად, რომ „აზნაური“ თავდაპირველად თავისუფალსა ნიშნავდა, ვერც აზნაურები გადურჩნენ ყმობის უღელს. ამის გამოა, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენებულია „**აზნაური მეფისაჲ**“' (ც˜ჲ გგ˜ლ ხანძ˜თლისაჲ იგ.). ის მაშასადამე მეფის აზნაურია, ამავე დროს იგი იმავე ნაწარმოებში დიდებულ აზნაურადაც იწოდებოდა.

მაგრამ მარტო მეფის აზნაურები-კი არ იყვნენ, დიდებულ ჴელისუფლებს, ერისთავთა-ერისთავებსა და სხვებსაც ჰყოლიათ აზნაურნი. ვაჰანის მონასტრის 1219- 1227 წ. ტიბიკონში მაგ, მოხსენებულნი არიან **მჴარგძრელი „სახლისა აზნაურნი... ნამსახური... და საპატიოჲ აზნაურისშვილი**“ (შიო მღ. ისტ. საბ. 41). ქართ. ჟამთააღმწერელიც ასახელებს ჯერ **სამცხის მთავრის სარგისის „აზნაურისშვილთ**“, მის ყმებს (* 841-842, გვ. 687), შემდეგ „**აზნაურთა ბექასათა**“ (* 884, გვ, 727), ცხადია, სულ სხვა საზოგადოებრივსა და უფლებრივ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ აზნაურნი „მემამულენი“, „დიდ-გუარიანი“ აზნაურები და ყმა-აზნაურნი, თუნდაც აზნაურნი მეფისანი.

თავისუფალი და გვარიანი აზნაურნი საქართველოს გავლენიან წოდებას შეადგენდენ. მათ დიღი ქონებრივი ძალაც ჰქონდათ და რასაკვირველია სამჴედროც, განსაკუთრებით, ერთ ჯგუფთაგანს. ამ მხრივ, საყურადღებოა რომ აზნაურნი ორ ჯგუფად იყოფებოდენ: სუმბატ დავითის ძის სიტყვით აზნაურნი თურმე „რომელნიმე **ციხეთა [უფალნი**] და რომელნიმე უციხონი“ ყოფილან (ც˜ა და უწ˜ყბა, * 589, გვ, 359). „**ციხეთა უფალნი** კაცნი“, ან დიდებულნიო (მტ˜ნე ქ˜ი * 486, გვ. 260 და 499, გვ. 270) **ისეთ პირებზე ამბობდენ ხოლმე, რომელთაც საკუთარი ციხე ჰქონდათ და ფლობდენ**. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად ციხეთა უფალნი აზნაურნი ძლიერნი და გავლენიანი უნდა ყოფილიყვნენ სხვებთან, განსაკუთრებით უციხოებთან, შედარებით ზემო ქართლის კათალიკოზის სამწყსოს სია ამტკიცებს, რომ **ყოველს დიდგვარიანს აზნაურს თავისი რასაკვირველია საგვარეულო სასაფლავო, მონასტერი და კარის ეკლესიაც ჰქონდა** (დ. ბაქრაძე АПГА, გვ. 79-80).

აზნაურობა საქართველოს საკელმწიფოს **წოდებრივის წყობილების საერთო მოვლენა იყო და აზნაურნი საქართველოს ყოველ თემსა და კუთხეში იყვნენ**: ქართლშიაც, ჰერეთ-კახეთშიც, მესხეთშიც, შავშეთშიც, აფხაზეთსა და სომხითშიაც: ყველგან აზნაურები მოხსენებულნი არიან (მ˜ტნე ქ˜ჲ * 454-455, 456, 458, 463-464, 478 და 480, გვ, 231, 232, 234, 252 და 254 (ცა˜მ ფსა დ˜თსი * 512, გვ. 281, ისტ˜რნი და აზმ˜ ნი * 654, გვ. 440).

უძველეს დროს, განსაკუთრებით მეფობის მოსპობის შემდგომ აზნაურთა წოდებას უუდიდესი ძალა ჰქონდა საქართველოში: მაშინ თურმე „**ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა**“ (მქ˜აჲ ქ˜ჲ, სამი ქ˜კა 44), ქვეყნის შინაური საქმეების მართვა-გამგეობა მათ ხელში ყოფილა. აზნაურებს ამგვარი უფლება დიდ ხანს შერჩენიათ: სანამდის მეფობა არ განახლდა, „**იპყრობდეს ქართლს აზნაურნი**“-ო (მ˜ტნე ქ˜ჲ * 448, გე. 225). აზნაურთა წოდებას „შემდეგშიაც დიდი ძალა ჰქონდა და სამეფოს საქმეებშიც მათი თვალსაჩინო გავლენა ყოველ ეჭვს გარეშეა. უცხოელებსაც კარგად სცოდნიათ ეს გარემოება, მეტადრე ბიზანტიის მთავრობის თვალს კარგად შეუნიშნავს და ხშირად ქართ. აზნაურთა მთელი ძალა და გავლენა თავის სასარგებლოდაც გამოუყენებია. სხვათა მორის ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ როდესაც „ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატს მისცნა“, ქართველთა მსრივ ერთგულების უზრუნველსაყოფელად თურმე „**აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვა**“ დავით კურაპალატისაგან (გ. მთაწმიდელი, ც˜ჲ ი˜ე და ეფ˜თსი 6- 7). საქართველოს მეფეებს რამდენჯერ გამოუცდიათ აზნაურთა წოდების ძლიერება და ქედ-ფიცხელობა (იხ. ქვევით, „მეფე“)! ვინც საქართველოს სოციალურს ისტორიას ჩააკვირდება, ის მაინც ალბათ შეამჩნევს, რომ IX-X ს.ს. და XI-XIII ს.ს. მორის დიდი განსხვავებაა: IX - X ს-ში პოლიტიკურ ცხოვრებასა

და ბრძოლაში აზნაურთა წოდების მაღალი წრე თითქმის მთლად იღებს მონაწილეობას, XI-XIII ს-ში-კი უკვე მხოლოდ დიღებულნი და წარჩინებულნი-ღა არიან ქვეყნის ბედის გადამწყვეტნი.

ცალკე წოდებრივ ჯგუფს შეადგენდენ „**მსახურნი**“, მაგრამ აზნაურებივით ისინიც ერთგვარს ღა თანასწორ უფლებიანს გუნდს არ წარმოადგენდენ. „**მსახური**“ (ც˜ჲ ჰაბოჲსი 15[27-28]) ისეთ პირს ეწოდებოდა, რომელიც სხვასთან იყო რომელიმე საქმის, ან. მინდობილობის გასაკეთებლად, და სასყიდლითა, ან სხვაგვარის გასამრჯელოთი მას ემსახურებოდა. ამიტომ **მსახურნი მეფესაც ჰყავდა, მთავრებსაც და აზნაურებსაც**. თვითოეულს მსახურთაგანს და მსახურთა ჯგუფს შეიძლებოდა საგანგებო საქმე ჰქონოდა ჩაბარებული. მაგ. ჰაბო ტფილელი, რომელიც ნერსე ერისთავთ-ერისთავს „**შეეყო... მსახურად მისა**“ თურმე ყოფილა „ჴელოვან კეთილად **შემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა**“ (იქვე 15[27-28] – 16[1-2]), ალბათ ნერსეჲს სახლობისათვის, საპირფარეშო სულნელოვან საცხებლებს ამზადებდა. ზოგი გასაგზავნ-გამოსაგზავნად ჰყავდათ და იყვნენ ხოლმე „**მსრბოლ გზათა შორთა**“ (ც˜ჲ სრ˜პნ ზრზმ˜ლსჲ 38).

როგორც უკვე აღნიშნული იყო, აზნაურებსაც ჰყავდათ მსახურნი: გაბრიელ ერისმთავრის ერთი „**მსახურთაგანი**“ მოხსენებულია გიორგი მერჩულის თხზულებაში (ც˜ჲ გგ˜ლ ხნმთ˜ლსჲ ივ[12-13]). ცნობილნი არიან „**მსახურნი ერისთავთ- ერისთავისა** მაგისტროზისა ლიპარიტისანი“ (ქ˜კბი I, 191). ვაჰანის მონასტრის ტიბიკონშიც **მჴარგრძელთა „სახლისა... მსახურნი**“-ც არიან აღნიმნულნი (შიო მღ. ისტ. საბ, 41).

უეჭველია მსახურთავე ჯგუფს, მხოლოდ უმაღლესს, ეკუთვნოდენ მთავრის „**წინაშე მდგომელნი**“ (ც˜ჲ გგ˜ლ ხნმ˜თლსჲ ივ[12]) და „**ტაძრეულნი**“ (ც˜მფ˜სა დთ˜სი * 530, გვ. 297 და ჯუანშერ, ც˜ა მფ˜სა ვხტ˜ნგსი * 430, გვ. 209). ტაძრეულნი რომ მაღალის, აზნაურთა წოდებისა არ იყვნენ, შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს. ჯუანშერი ამბობს, რომ არჩილმა „**ყოველთა ტაძრეულთა** მისთა მიუბოძა კახეთი და **აზნაურ ყუნა** იგინი“ (ც˜ა მფ˜სა ვხტ˜გსი * 430, გვ. 209-210). თუკი მათი აზნაურ-ყოფა შეიძლებოდა, ცხადია, ტაძრეულნი აზნაურთა წოდების არ უნდა ყოფილიყვნენ.

უეჭველია „**ვაჭარნი**“ (1020 წ. მელქისედეკ კ˜ზის სიგ. ქკ˜ბი II, 33. ც˜ა მ˜ფსა დთ˜სი * 539, გვ. 305) ცალკე წოდებას შეადგენდენ, მაგრამ რაკი ვაჭართა წოდებას მაშინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ხან მცირედი, უფრო ხშირად არავითარი გავლენა არა ჰქონდა, ამიტომ ქართ. იმდროინდელ საისტორიო წყაროებში ვაჭართა შესახებ თითქმის არაფერია შენახული. ამასთანავე რაკი საქართველოს დედაქალაქი ტფილისი ხანგრძლივ არაბ-სპარს ამირათა ხელში იყო და ტფილისის საამიროს შეადგენდა, ამიტომ სანამ დავით აღმაშენებელი ტფილისს საქართველოს შემოუერთებდა, ტფილისში და დმანისშიც ვაჭრები უფრო მაჰმადიანნი ყოფილან (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი * 539, გე. 305). შემდეგ-კი რასაკვირველია მდგომარეობა თანდათან შეიცვალა.

ვაჭარნი ორ მთავარ ჯგუფად იყოფებოდენ: უმაღლეს წრეს ვაჭართა მორის „**დიდ-ვაჭარნი**“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 635, გვ. 415, ბაგრატ კურაპალატის სამართალის წიგნი. ვეფხის ტყაოსანი, კაკ. 149[1021-1023]) შეადგენდენ. დიდ-ვაჭართაგან ნიშნავდა მეფე მოსამართლეს (იხ. ს˜ქს ეკონომიური ისტორია 27-28). ამასთანავე ისინი საჴელმწიფო საქმეებშიაც იღებდენ მონაწილეობას, იგზავნებოდენ დესპანებად უცხოეთში. თამარ მეფის დროს მაგ. „ერთი მკჴდრთაგანი **დიდ-ვაჭარი** ზანქან ზორაბაბელი“ ისეთის საპატიო და დიდმნიშვნელოვანი საქმისათვისაც-კი იყო არჩეული, როგორიც თამარ მეფისათვის საქმროს ჩამოყვანაა (ისტ˜რნი და აზ˜მნი * 635, გვ, 415).

დანარჩენს და უზრავლეს ჯგუფს რასაკვირველია „ვაჭარნი“ შეადგენდენ. როგორც ჩანს, საკუთარად ვაჭრებს საგანგებო ტანისამოსიც ჰქონიათ. შ. რუსთველს მაგ. ერთგან ნათქვამი აქვს:

„ყმა **ვაჭრულად იმოსების**, არ ჩაიცვამს არა მისსა“

(კაკ. 144[1034] - კარიჭ. 175[1058]).

ვაჭართა ტანისამოსს „**სავაჭრო**“ რქმევია. შოთას უკვდავ ქმნილებაში მაგ. სწერია:

„მე **სავაჭროსა** ჩავიცვამ, დავიწყებ ჯუბაჩობასა“-ო.

(კაკ. 142$_{1012}$ - კარიჭ. 170$_{1038}$).

ვაჭრებს თავიანთი წყობილებაც უნდა ჰქონოდათ. და უფროსიც ჰყავდათ, რომელსაც „**ვაჭართ-უხუცესი**“ ეწოდებოდა (ვეფხის ტყაოსანი კაკ. 143$_{1022}$, კარიჭ. 173$_{1046}$), მხოლოდ თვითონ ვაჭრები ირჩევდენ მას, თუ მთავრობა ნიშნავდა, ამის შესახებ არა ვიცით რა.

მიუხედავად იმისა, რომ „ვაჭრებს“ საერთო წოდებრივი სახელი ერქვათ, მათი მდგომარეობა ერთნაირი არ ყოფილა და, მათ შორისაც დიდი განსხვავება იყო. თუ „დიდ-ვაჭრები“ მაგ. თავისუფალნი იყვნენ და პოლიტიკურ ცხოვრებაშიაც მონაწილეობას იღებდენ, ისეთი ვაჭრებიც იყვნენ, რომელნიც პირად თავისუფლებას მოკლებულნი ყოფილან და სხვის ყმებად ითვლებოდენ, რომელთაც ჰყიდდენ და ჰყიდულობდენ (იხ. 1020 წ. მელქისედეკ კზ˜ის სიგ., ქკ˜ბი II, 33).

ჯერჯერობით არავითარი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ რომელ წოდებას ეკუთვნოდენ. ხელოსნები, ცალკე წოდებას შეადგენდენ, თუ რომელსამე მაგ., ან მსახურთა, ან გლეხთა წოდებაში შედიოდენ. **საქართველოში**, მე-XII-ე საუკუნეში მაინცადამაინც, ხოლო საფიქრებელია, რომ კარგა ხნით უწინარესაც, **ისეთი ხელოსნები იყვნენ, რომელნიც მხოლოდ თავიანთი ხელობით და პირადის შრომით ირჩენდენ თავს და ინახავდენ ოჯახსაც**. აბუსერიძე ტბელის თხზულებაში მაგ. მოთხრობილია, რომ ვიღაც ბასილი „ქვით-ხუროჲ, რომელსა ეწოდების გალატოზი“, სამუშაოდ „წარვიდა ქუეყანასა სომხითისასა“. თვით კალატოზი ბასილი ამბობს: „მე ესრეთ გლახაკსა **ნუგეშინის საცემელად** ჩემდა **მაქუნდა უცხოებასა მუშავობაჲ, რათა მოვირეწო დასარჩენელი სახლეულთა ჩემთაჲ**“-ო (ქკ˜ბი II, 113). მაშასადამე ამ ხელოსანისათვის მუშაობა ერთად-ერთი ცხოვრების სახსარი ყოფილა და სამუშაოს საშოვნელად უცხო ქვეყანაშიაც-კი მიდიოდა.

ეს ერთად-ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ საქართველოთგან ფულის საშოვნელად და სამუშაოდ უცხოეთში წასულიყვნენ. იმავე ავტორს აღნიშნული აქვს, რომ დაბა (ცხმორისის „კაცნი **წარვიდეს** ნაპირსა წარმართთასა **მოსარეწლად რაჲსამე ღონედ სიგლახაკისა თჳისისა**“ (ქკ˜ბი II, 118), შემდეგ მოთხრობითგან ირკვევა, რომ ცხმორელნი სპარსეთში ყოფილან წასული, ხოლო ეს გარემოება ამტკიცებს, რომ სარჩოს საშოვნელად და სახლობის გამოსაკვებად, რაკი „სიგლახაკისა“ გამო სხვა „ღონე“ არა ჰქონიათ, უცხოეთშიც-კი მიღიოდენ სამუშაოდ.

წოდებრივობის უმდაბლესს ხარისხზე „**გლეხნი**“ (1020 წ. მელქისედეკ კზ˜ის სიგ. ქე˜ბი II, 34. ნიკორწმიდის XI ს. სიგ., აქვე II, 45-49. ც˜ა მფ˜სა დთ˜სი * 540, გვ. 307, ჟამთააღ. * 819, გვ. 664) იდგნენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს უნდოდა მკითხველისათვის საქართველოს დიდებული მეფის ბრწყინვალე გამარჯვება ბრძოლის ველზე ცხად-ეყო და თავისის აზრის უაღრეს ცხოველმყოფელობისათვის აღტაცებული იძახის: „გლეხთა", იხილემცა, ოდეს არაბთა **მეფენი მოჰყუანდეს ტყუედ**“-ო (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი * 540, გვ. 307). ამაზე მეტი დამარცხება რაღა იქმნებოდა, რომ არაბთა უმაღლესი პირნი მეფენი, ქართველთა წოდებრივ წყობილების უმდაბლეს საფეხურზე მდგომ გლეხთა მიერ დღატყვევებულნი იყვნენო, გვამცნებდა თავისის ზემოზოყვანილი სიტყვებით ქართ. ისტორიკოსი. საყურადღებოა, რომ, თუ არ ვცდებით, ტერმინი გლეხი არც გ. მერჩულის, არც ბ, ზარზმელის, არც სხვა ძველი ავტორების თხზულებებში, არც „მტ˜ნე ქ˜ა“-ში არა გვხდება. გ. მერჩულს ამის მაგიერ „მსოფლიონი ერის კაცნი“ და „მდაბიოჲ“ აქვს ნახმარი (ც˜ გგ˜ლ ხნძთ˜ლსჲ, გვ. ი˜ა$_{43}$ და ნე § ნდ$_{2}$). „მატიანე ქჲ“-ს-კი გლეხობის აღსანიშნავად „წურილი ერი“ უწერია. სუმბატ დავითის ძე ამავე ცნებისათვის ხმარობს სიტყვებს „ერნი მსოფლიონი“-ო (ც˜ა და უწ˜ყბა 77). თუ ეს უბრალო. შემთხვევით არ აიხსნება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ტერმინი „გლეხი“ თავდაპირველად არ ყოფილა ქართ. მწერლობაში და შემდეგ შემოსულა.

რაკი გლეხები სოფლის მუდმივი მკვიდრნი იყვნენ და მათი ერთადერთი საცხოვრებელი და მარჩენალი მიწისმოქმედება იყო, ამიტომაც არის, რომ ხშირად მათ მარტივად „**ქუეყანისა მოქმედნი**“ ეწოდებოდათ. როდესაც ისტორიკოსმა თამარ მეფის დროინდელ საქართველოს საარაკო გამდიდრების დასურათება მოისურვა, მან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსივით შედარებას მიმართა, ორი ერთი-მეორის უკიდურესი ცნება ერთმანეთს დაუპირდაპირა და

თქვა, ისეთი სიმდიდრე დატრიალდა, რომ „გააზნაურდეს ქუეყანისა-მომედნი“-ო (ის˜ტრნი და აზმ˜ნი * 632-633, გვ. 411).

„მსოფლიონი ერისკაცნი“, ანუ „მდაბიონი“ როგორც აღნიშნული იყო „**შრომით და ქუეყანის მოქმედებით იზარდებოდეს**“ და მხოლოდ „**შრომისაგან მათისა**“ შეეძლოთ შეეძინათ რამე (ც˜ჲ სრ˜პნ ზრზმ˜ლსჲ 4). მათი ყოფა-ცხოვრება მარტივი იყო, ქონებრივის ავლადიდებით ისინი „**ლიტონად ცხოვრებულთა**“ (იქვე) წრეს ეკუთვნოდენ.

სანამ ოჯახის ბურჯი ჯანსაღად იყო და მუშაობდა, მის სახლეულებსაც არა უჭირდათ რა, სამყოფი სარჩო ჰქონდათ, მაგრამ როცა ის წაიქცეოდა, მუშაობა აღარ შეეძლო, ან წუთისოფელს გამოესალმებოდა, მაშინ მისი ოჯახის წევრნი „ალსა მას შინა სიგლახაკისასა შეთხეულნი“ (იქვე 4-5) იყვნენ ხოლმე.

მდაბიოთაგანნი პირადად თავისუფალნიც ყოფილან, როგორც მაგ. თავისუფლად ჩანს სერაპინ ზარზმელის მამა (ც˜ჲ სრ˜პნ ზრზმ˜ლსჲ 4-5), მაგრამ უმრავლესობას, განსაკუთრებით XI ს-ითგან მოყოლებული, თანდათან ყმობის უღელი დაედო და „**აზნაურის ყმა**“-დაც იქცა. ამიტომაც არის, რომ თამარ მეფის ისტორიკოსი წოდებრივობისა და საზოგადოებრივ მდგომარეობის დაბალ საფეხურზე მდგომ გლეხთა აღსანიშნავად სწორედ ამ ტერმინს, „**აზნაურის ყმა**“-ს ხმარობს. გიორგი III-ეს რომ სულტანი უეცრად ლაშქრითურთ თავს დაესხა, იმ ბრძოლაში „არა დიდებული, არა აზნაური, არა ვარგი და საცნაური **აზნაურის ყმაცა** დაკლებულ იქმნა“-ო (ისტრ˜ნი და აზმ˜ნი * 608, გვ. 380). რასაკვირველია გლეხები მარტო. აზნაურებს არა ჰყავდათ ყმებად, თვით მეფესაც და ეკლესიასაც, მაგრამ აქ თუ „აზნაურის ყმა“-ა დასახელებული იმიტომ, რომ გლეხ-ყმათა შორის აზნაურის ყმა ღირსებით მეფისა და ეკლესიის ყმებზე დაბლა იდგა. ყველა გლეხ-ყმათა მდგომარეობა ერთგვარი არა ყოფილა, მათ შორის რამდენიმე ჯგუფი არსებობდა, რომელთა უფლებრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობა არსებითად განირჩეოდა. მაგრამ ეს საკითხი უკვე პირდაპირ წოდებრივობას არ ეხება და ცალკე უნდა იყოს განხილული იქ, სადაც საგანგებოდ „პატრონ-ყმობა“-ზე იქმნება საუბარი.

წოდებრივობა საქართველოზი თუმცა ძლიერი იყო და ღრმა კვალსაც სტოვებდა იმ დროინდელ საზოგადოებრივ და საჴელმწიფო წესწყობილებაში, მაგრამ მაინც წოდებანი ერთი-მეორესაგან გარდაუვალ ზღუდით არ ყოფილა განცალკევებული. წოდებრივად აღზევებაც შეიძლებოდა და დაქვეითება, ჩამომცრობაც. ჩამომავლობასა და წოდებრივ ღირსებას გარდა მაშინდელ ცხოვრებაში პირადს ღვაწლსა, ნიჭს და სამსახურსაც თვალსაჩინო მნიშვნელობა ჰქონდა. როდესაც თავისი პირადის ღირსებით ადამიანი „**საჩინოჲ კაცი**“ (გ მერჩული, ც˜ჲ გგ˜ლ ხნმთ˜ლსჲ, ი˜ზ), „**განთქმული და საჩინო კაცი**“ (გ. მთაწმიდელი ც˜ჲ იე˜სი და ეფი˜სი) იყო მის წოდებრივობასაც მიმზიდველი ნათელი ეფინებოდა და ამაღლებდა. „**სამსახური**“ შესაფერისად დაჯილდოვებული იყი ხოლმე (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 620, გვ. 406). მაშინ ის მარტო. „გუარიანი“-კი აღარ იყო, არამედ მას და მის ოჯახს „**მსახურეული სახლი**-ს (ისტ˜რნი აზმ˜ნი * 628, გვ. 405) სახელგანთქმულობაც ემატებოდა. ამგვარადვე, თუ დიდებულის ყმა-აზნაური „**ნამსახური**“ იყო, მას პატივისცემაც და სახელიც ემატებოდა: იგი ვითარცა „**დიდად საპატიჲ« და ნამსახური**“ პატრონისათვისაც და ხალხშიაც „**საპატიოჲ აზნაურისშვილი**“ იყო (1212-1227 წ. ვაჰანის მონასტრის ტიბიკონი, შიო. მღ. ისტ. საბ. 41). ყმა-გლეხსაც-კი პირად ნიჭითა და ღირსებით დაწინაურება შეეძლო: მას ყველანი შეამჩნევდენ, იგი უბრალო ყმა-კი არ იქმნებოდა, არამედ, „**ვარგი და საცნაური აზნაურის ყმა**“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 608, გვ. 380). ყურადღების ღირსია ამ მხრივ, რომ სვანურში „ვა”რგ“ აზნაურსაც-კი ჰნიშნავს.

ყველა ეს ცნობა ნათლად გვიმტკიცებს, რომ პირადის ღირსებით და განსაკუთრებით სამსახურით წოდებრივობის მხრივაც დაწინაურებაც შეიძლებოდა. ერთის, უფრო დაბალი წოდებითგან უფრო მაღალ წოდებაში გადასვლა რომ შეიძლებოდა, ამის შესახებ პირდაპირი ცნობებიც მოიპოვება. ამას სხვათა შორის ჯუანმერის სიტყვებიც ცხადად ამტკიცებენ; მას აღნიშნული აქვს, რომ არჩილმა თავისი ტაძრეულნი „აზნაურ ყუნა“ (ც˜ა მფ˜სა ვხტ˜ნგ გრგს˜ლსა * 430, გვ. 209-210). წოდებრივ ამაღლებას „**აღზეება**“ რქმევია, ხოლო. დაწინაურებულს „**აღზეებული**“ ეწოდებოდა (ისტ˜რნი და აზმ ნი * 629, გვ. 406).

მმართველი წრეები

ვისაც ერთხელ მაინც ქართ. საისტორიო ძეგლები გულდასშით წაუკითხავს, მას უეჭველია შემჩნეული ექმნება, რომ „დიდებულთ“. „წარჩინებულთ“ და კიდევ ორიოდე სხვა სახელის მქონებელთ საქართველოს საჴელმწიფო საქმეების მართვაში თვალსაჩინო გავლენა ჰქონიათ. ქართული საჴელმწიფო სამართლისათვის ამ ტერმინების განმარტებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს და საქართველოს საჴელმწიფო წეს-წყობილების გათვალისწინება შეუძლებელია, თუ თავდაპირველად ეს საკითხი საფუძვლიანად შესწავლილი არ იქმნება.

მაშ რას ნიშნავდა სიტყვა „დიდებული“ და „დიდებულება“? ამ სიტყვის თავი-და-თავი მნიშვენელობა იყო განდიდებული, პატივცემული, დაწინაურებული, წარჩინებული და განთქმული. მაგალ. „კლარჯეთისა **დიდებულნი უდაბნონი**“, „**დიდებული მონასტრები**“ (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძ˜თჲ ბ), „**იშხნისა** პირველი **დიდებულებაჲ**“ (იქვე ით) „ძენი სარგის ამირსპასალარისანი რომელნი მას ჟამსა **დიდად განდიდებულნი** იყუნეს მეფის მიერ“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 686, გვ, 481). ქართ. ჟამთააღმწერელიც ამბობს: „სიბდივანი **განდიდებულ იყო** ყანის **ულოსაგან** და სადუნიცა **მისგან განდიდებულ იყო**. ყოველი საბრძანებელი ყანისა მისთა ჴელთა შინა იყო ბრძანებასა მისსა მორჩილობდეს“-ო (ჟამთააღ. * 874, გვ. 718). იგივე ისტორიკოსი ერთგან სწერს: „ამათ ჟამთა შინა **გამდიდნა** სამცხის სპასალარი სარგის ჯაყელი და ძე მისი ბექა, რომელნი მთავრობდეს სამცხეს“-ო (იქვე * 874. გვ. 718).

ჩვენთვის ამ ჟამად ამ სიტყვების მნიშვნელობის გამორკვევა იმდენად არის საჭირო, რამდენადაც „დიდებული“ და „დიდებულება“ საჴელმწიფო სამართლის ცნების გამომხატველ ტერმინებად იხმარებიან. ხოლო თუ ჩვენამ მხრივ გვწადიან გამოვარკვიოთ, რაზე იყო დამყარებული „დიდებულება“, მაშინ თავდაპირველად უნდა გამორკვეული გვქონდეს, თუ რა იყო და რა ცნების აღმნიშვნელი ტერმინი „დიდება“?

როგორც ეტყო!ა, „**დიდება**“ **ძველად თანამდებობასა და თანამდებობაზე დაფუძნებულს პატივს ჰნიშნავდა**. მაგ. ბაგრატ მეფის შესახებ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, მეფემ „განაგნა ყოველნი საქმენ აფხაზეთისანი, **ურჩნი** თჳისნი **შესცუალნა დიდებისაგან**, ადგილთა მათთა დაადგინნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა“ (მტ˜ნე ქ˜ჲ * 467, გვ. 242). დავით აღმაშენებელის ისტოკოსიც ამბობს, რომ რაკი „ლიპარიტ ამირა“ წინაშე მეფისა „ზაკჳდა“ და ორგულობდა, მეფე დავითმა „ინება გაწურთა მისი, ამისთჳსცა პყრობილიყო იგი ჟამსა რაოდენ, ხოლო შემდეგ „განუტევა იგი და მითვე დიდებითა ადიდა და არა შეუცვალა“-ო (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი * 521, გვ. 289). თამარ მეფის ისტორიკოსსაც აღნიშნული აქვს, რომ დიდგვარიანი ჴელისუფლები განთავისუფლებულ ამირსპასალარობის, მანდატურთ-უხუცესობის და მსახურთ-უხუცესობის თანამდებობას ერთიმეორეს ეცილიბოდენ, ბრძოლ9ისა0 მყოფთა **ჴელისუფლობის და დიდებისათჳს**“-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 629, გვ. 406).

ამისდა მიხედვით ცხადია, რომ „დიდებული“ დიდი ჴელისუფლობით დაჯილდოვებული და აღჭურვილი პირი უნდა ყოფილიყო, ე.ი. „დიდებული“ იმავე დროს დიდი მოჴელე იქმნებოდა. მაგ.: გიორგი მთაწმინდელი რომ საქართველოში ყოფილა, გიორგის მომლოდინე მეფე ბაგრატ IV-ემ თურმე „ჰრქუა მთავართა თჳსთა“, გიორგი მთაწმინდელი მოვა და ყურადღება მიაქცეთ, იუბნებს, მაგრამ ჩვენ-კი არ შემოგვხვდავსო და „ვითარცა შემოვიდა სამეუფოსა მას კარავსა, **აღდგეს ყოველნივე დიდებულნი**... იწყო მეფემან უბნობად მისა... აგრეთვე ეპისკოპოსთა და მთავართა“-ო (ც˜ჲ გ˜ჲ მთ˜წჲ 296). ცხადია, ამ შემთხვევაში დიდებული მთავარსა ნიშნავს.

მე-XI-ე საუკ. ქართ. ისტორიკოსსაც აღნიშნული აქვს, რომ ბაგრატ III მოიყვანეს აფხაზეთისა და ქართლისათა“-ო (მტ˜ნე ქა˜ჲ * 469, გვ. 239). იმავე ავტორს მოთხრობილი აქვს, რომ ბასილი კეისრის საქართველოში ლაშქრობის დროს „მოიკლნეს **ერისთავნი დიდებულნი** რატი ძე ლიპარიტისი და ხურსი“ (იქვე * 474, გე. 247). თამარ მეფის ისტორიკოსიც ამბობს, რომ

მეფის კურთხევის დროს „სრულ ყუეს **მოჴელეთა**[1]) სუიანთა და **დიდებულთა** ვარდაწის ძეთა, საღირის ძეთა და ამანელოს ძეთა მოღება[დ] და დადება[დ] ჴრმლისა“-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 625, გვ. 400). იგივე ავტორი იხსენიებს „**დიდებულთა ვიეთ[თა]მე ჴელისუფალთა**“ (იქვე * 628, გვ. 405).

მაგრამ დიდებულებად მარტო მოჴელეები-კი არა ყოფილან, არამედ აზნაურიც შეიძლებოდა „დიდებული“ ყოფილიყო. სხვა-და-სხვა დროის თხზულებებში „**დიდებულნი აზნაურნი**“ არა-ერთხელ არიან დასახელებულნი (ც˜ჲ გგ˜ლ ხნძ˜თსჲ ლგ, ჲგ. მტ˜ნე ქ˜ჲ * 478 და 486, გვ.252 და 260. ისტ˜რნი და აზმ˜ ნი * 622, გვ. 396). მაგ. გრიგოლ ხანძთელის ცა˜ში მოხსენებულია „**აზნაური დიდებული**... ერქუა მას გაბრიელ დაფანჩული (გე. ი˜ბ და ი˜დ). მაგრამ იმავე დროს ეს „გაბრიელი მთავარი“ ყოფილა (იქვე ი˜გ). მაშასადამე მისი დიდებულებაც დიდ მოჴელეობაზე ყოფილა დაფუძნებული. აკი იგივე ავტორი ერთგან ამბობს კიდეც: „განსრულდა ძუელი იგი ეკლესიაჲ ხანძთისაჲ ჴორციელად მოღუაწებითა **დიდებულისა** გაბრიელ მთავრისაჲთა“-ო (იქვე ი˜ე).

თამარ მეფის ისტორიკოსსაც აღნიშნული აქვს, რომ ომში თავი ისახელეს „ვარდან და[დია]ნმან მსახურთ-უხუცესმან, ორთავე მჴარგრძელთა და სხუათა **დიდებულთა აზნაურთა**“-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 640, გვ. 421). ქართ. ჟამთააღმწერელიც ერთგან ამბობს: „ქვეყანათ ციხენი... და **დიდებულნი აზნაურნი** და მონასტერნი ყოველნი მას აქვნდეს“-ო (* 915-916, გვ. 758).

ზემომოყვანილი მაგალითები ცხად-ჰყოფენ, რომ **დიდებულება აზნაურობასთანაც ყოფილა დაკავშირებული, მაგრამ მაინც** ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ **თვითოეული აზნაური „დიდებულ“-ად არ ითვლებოდა. სიტყვები „დიდებული“ და „აზნაური“ ერთისა-და-იმავე შესატყვის ცნებათა გამომხატველი არა ყოფილა, არამედ „დიდებული“ განსაკუთრებული აზნაურობისაგან განსხვავებული ჯგუფის წევრის აღმნიშვნელი ტერმინი იყო**. ეს მიზეზია, რომ ჩვენი ძველი ისტორიკოსები ერთსა-და-იმავე წინადადებაში საქართველოს მოჴელეთა და მკვიდრთა სხვა-და-სხვა ჯგუფის ჩამოთვლის დროს ამ ორ ტერმინს ცალ-ცალკე ასახელებენ ხოლმე. მაგ.: „ვაზირნი (და) სპასალარნი, ჴელისოფალნი და თავადნი, **დიდებულნი და აზნაურნი**, არა ვარგი და საცნაური აზნაურის ყმაცა დაკლებულ იქმია მათ ლაშქართა შინა თჳნიერ ერთისა ჯუარის მტვირთ[ვე]ლისა“-ო (იქვე * 608, გვ. 380). „ზრახვა ყუეს, რომელნი მყოფ იყუნეს, თჳთ ჭიაბერი მანდატურ-უხუცესი ჰერნი და კახნი **დიდებულნი და აზნაურნი**“ (იქვე * 654, გვ. 440). „ბოცოს ძე ბოცო. და მათნი მიმდგომნი დიდებულნი და აზნაურნი“-ო (იქვე * 686, გვ. 480-481). ქართ. ჟამთააღმწერელიც ამბობს: „მოვიდეს ერ-კახნი **დიდებულნი და აზნაურნი** დავით მეფის წინაზშე“-ო (ჟამთააღ, * 913, გვ. 755).

ზემომოყვანილ მაგალითებითგანაც ნათლადა ჩანს, რომ დიღებულნი აზნაურთა საზოგადო ჯგუფს და წოდებას არ ეკუთვნოდენ. დიდებულნი აზნაურებზე მაღლა იდგნენ. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებამი ღა თეით ცხოვრებაშიაც იმათ, მაინც-და-მაინც მე-XI-ე საუკუნითგან მოყოლებული, უუმაღლესი საფეხური ეკავათ, მეფის შემდგომ პირველი ადგილი მათ ეკუთვნოდათ: აზნაურებსავით დიდებულებთან შედარებით მეორე-ხარისხოვანი ადგილი ეჭირათ. ეს გარემოება თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებითაც მტკიცდება. მას სხვათა შორის აღნიშნული აქვს: თამარის მეფობაში ისეთი კეთილდღეობა იყო საქართველოში, რომ „გააზნაურდეს ქუეყანის მოქმედნი და **გადიდებულდეს აზნაურნი და გაჴელმწიფდეს დიდებულნი**“-ო (ისტ˜რნი და აზ˜მნი * 632-633, გვ. 411). მაშასადამე დიდებულნი აზნაურებზე უფრო მაღალ წრეს ეკუთვნოდენ.

თავისდა-თავად საკითხი იბადება, აზნაურებივით დიდებულებიც ხომ წოდებას არ შეადგენდენ და აზნაურობას გარდა ცალკე დიდებულთა წოდებაც ხომ არ არსებობდა? არა, დიდებულება წოდებრივი ცნება არ ყოფილა. წოდების დამახასიათებელ თვისებას ის გარემოება შეადგენდა, რომ წოდებრივი ღირსება სახლობისა და საგვარეულოს თვითოეულს წევრს ეკუთვნოდა. მაგ. აზნაურთა გვარის ყოველი შვილი და თვითოეული ოჯახის წევრი აზნაურაღ ითვლებოდა. დიდებულებას-კი ეს თვისება არ ჰქონია და ამის გამო ვერც წოდებად

[1] M „მჴევალთა“ >„მჴე˜ლთა“.

ჩაითვლება. ყოველი იმ გვარისა და სახლის შვილი, რომელსაც ესა-თუ-ის დიდებული ეკუთვნოდა, დიდებოლად-კი არ ითვლებოდა, არამეღ მხოლოდ ის პირადად იყო „ღიდებული“: მის შვილს, არც მის ძმებს, ან სხვა ნათესავებს დიდებულთა სახელი არ ენიჭებოდათ.

ამ მხრივ საყურადღებოა, თუ როგორ ესმოდათ დიდებულება შემდეგ საუკუნეებში, საქართველოს დაქვეითების ხანაში, როდესაც წოდებრივობა ცხოვრების დედა-ბოძად იქცა, ვახტანგ VI-ის სასამართლო წიგნში მაგ. „**დიდებული** თავადი“-ს მნიშვნელობა ამგვარად არის განმარტებული.

„დიდებული თავადი ეს არის:

ერთი თავი თვითან არაგვის ერისთავი გაუყრელი, გაუყრელი ერთი თავი თვითან, ქსნის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითან ამილახვარი, გაუყრელი ერთი თავი ორბელიშვილი, როდესაც გაუყრელი ყოფილა ციციშვილი და **ამათთან-კი არა**-და **სომხეთის მელიქიც** ყოფილა. **ამათ გარდაისად ამათსავ სახლისკაცებს ამათან სისხლი არა სდის**“-ო (835).

მოყვანილი განმარტება ამტკიცებს, რომ აღმოსავლეთს საქართველოში, სახელდობრ მარტო **ქართლის სამეფოში მხოლოდ 6 დიდებული ყოფილა**: ერთი არაგვის ერისთეიანთ სახლითგან, ერთი ქსნის ერისთვიანთ სახლითგან, ერთი ორბელიშვილთა გვარითგან, ერთი ციციანთგან და ერთიც სომხითის მელიქის გვარითგან. მაშასადამე მხოლოდ ამ ექვს გვარში შეიძლებოდა, რომ თითო-თითო დიდებული ყოფილიყო. რატომ? ამის საპასუხოდ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ კანონმდებელს თვითოეულის ზემოაღნიშნული საგვარეულოს შესახებ საგანგებოდ აღნიშნული აქვს „გაუყრელი“-ო., ციციზვილებზე-კი ნათქვამია: „**როდესაც გაუყჟრელი ყოფილა** ციციშკილიცა”-ო, ხოლო მას შემდეგ, რაც გაყრილან უკვეე აღარ შეიძლებოდა, რომ ციციანთგან დიდებული გამოსულიყო. აქეთგან ცხადია, რომ **დიდებული მხოლოდ დიდსა და გაუყრელ გვარში შეიძლებოდა ყოფილიყო.**

მაგრამ ზემომოყვანილი კანონი ამას გარდა ამტკიცებს, რომ დიდებულებისათვის მარტო დიდგვარიანობა არა კმაროდა. კანონმდებელს საგანგებოდ აღნიშნული და ხაზგასმული აქვს, რომ არაგვის ერისთავთაგან. დიდებულად მხოლოდ „თვითან არაგვის ერისთავი“ ითვლებოდა, ქსნის ერისთავთაგან მხოლოდ „თვითონ ქსნის ერისთავი“, ამილახვრიანთგან მხოლოდ „თვითან ამილახვარი, მელიქიშვილთაგან მხოლოდ „სომხითის მელიქი“ პირადად. მაშასადამე ზემოჩამოთვლილ დიდ საგვარეულოთაგან დიდებულად მარტო ის ერთი გვარისშვილი ითვლებოდა, რომელსაც მეფისგან მაღალი, საქვეყნოდ გამრიგე ჴელისუფლობა ჰქონდა ნაზოძები: ქსნის, ან არაგვის ერისთავად დადგენილი იყო, ან ამილახორად, ან სარდლად, ან მელიქად და სხვად იყო დანიშნული.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამ ხუთ-ექვს დიდებულს გარდა მათ არც მახლობელ ნათესავებს, არც გვარის შვილებს, „ამათსავ სახლის კაცებს“ დიდებულების სახელი და ღირსება არა ჰქონიათ. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ **დიდებულება წოდება არ იყო და დიდებულნი ცალკე წოდებას-კი არა, არამედ მხოლოდ ცალკე წრეს შეადგენდენ**. იმისდა მიხედვით, თუ აზნაურთა გაუყრელ გვარში ვის უწყალობებდა მეფე მაღალ ჴელისუფლობას, დიღებულადაც ის იქმნებოდა. მაშასადამე **დიდებულება** გვარის ყველა შვილთათვის მემკვიდრეობითი და საგვარეულო კუთვნილება-კი არა ყოფილა, არამედ **მხოლოდ დიდგვარიანობასა და დიდ მოჴელეობაზე იყო დამოკიდებული**.

თუ მე-XVIIIL-ე საუკუნეშიც-კი, როდესაც სხვა-და-სხვა თანამდებობანი დროთა განმავლობაში საგვარეულო. და მემკვიდრეობით კუთვნილებად იყო ქცეული, დიდებულება მაინც მემკვიდრეობით და წოდებრივ ღირსებად არ ითვლებოდა, მით, უმეტეს შეუძლებელთა დიდებულება მემკვიდრეობით და წოდებრივ ღირსებად ყო-
ფილიყო. იმ ხანაში, რომელსაც ახლა ვიკვლევთ.

ვახტანგ VI-ის სასამართლო. წიგნის ზემომოყვანილი განმარტება ალბათ ძველ დროისთვისაც გამოსადეგი იქმნებოდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ. თავადობა, როგორც წოდება ჯერ არ არსებობდა და მის მაგიერ მარტო აზნაურობა იყო. ამიტომ მაშინ ამბობდენ. „დღიდღებული აზნაურიო“-ო და არა „დიდებული თავადი“-ო, როგორც ეახტანგის კანონებშია ნათქვამი. ამ მესწორების მეშდგომ ზემომოყვანილი განმარტება „დიღებულთა

აზნაურთა“ ბუნებისა და თვისებათა შესასწავლად შეიძლება გამოდგეს. მა'მასადამე „დიდებულ აზნაურ-ად იწოდებოდა დიდისა და გაუყრელი გვარის მხოლოდ ერთი წევრი, სახელდობრ, რომელსაც მეფისაგან დიდი ჴელისუფლობა ჰქონდა ნაბოძები. მაგრამ იმ. დიდებულებისათვის, რომელიც დიდგვარიანობაზე-კი არა, არამედ დიდ ჴელისუფლობაზე იყო დამყარებული, ალბათ სხვა პირობები იქმნებოდა საჭირო.

მაშასადამე დიდებულება დიდ მოჴელეთა და ჴელისუფალ აზნაურთა ჯგუფისაგან წარმომდგარა და გამოყოფილა. უკვე მე-XI-ე საუკუნეში დიდებულნი ცალკე არიან გამოყოფილნი და განსაკუთრებულ საზოგადოებოივ წრედ და ერთეულალ მოჩანან. გიორგი ხუცეს-მონაზონს მაგ. მოთხრობილი აქეს, რომ მთაწმიდელ მამის წინაშე „იწყეს აღსაარებად და სინანულად... **დიდებულთა და მთავრთა**, მდიდართა და გლახაკთა“-ო (ც˜ჲ გ˜ი მთ˜წჲ, 320) და დიდებულთ განცალკევებულ ჯგუფად ასახელებს. ამავე საუკუნის მეორე ისტორიკოსიც „დიდებულთ“ საქართველოს განსაკუთრებულ ღა ძლიერ ჯგუფად იხსენიებს, მაგ.: ლიპაროტის ტყვედ ჩავარდნის შემდგომ „**დიდებულთა ამის სამეფოს თა** და, შვილთა ლიპარიტისთა... გამოიყუანეს მეფე მეფედ“ (მტ˜ნე ქ˜ჲ * 492, გვ. 264). „შემდგომად დღეთა მრავალთა მოიმტკიცეს მეფე დ. **დიდებულნი ამის სამეფოსანი** ციხ[ოვან|ოა ლიპარიტისათა მშჯდობით გაშუებისათვის ლიპარიტისა“ (იქვე * 993, გვ., 267, ამგვარივე მაგალითები იხ. იქვე * 499 და 507, გვ, 270 და 277 ის˜ტრნი და აზმ˜ნი, * 610 და 613, გვ, 277, 382 და 386). „მცირედისა ჟამასსა შემდგომად ამის **სამეფოსა დიდებულთა** მოეწყინა პატრონობა ლიპარიტისი, სულა კალმახელი და ყოველნი მესხნი გამოექცეს ლიპანიტს და შეიპყრეს... ლიპარიტ“ (მტ˜ნე ქჲ * 494, გვ. 266).

„**ქართუელნი დიდებულნი**“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 654, გვ. 440) როგორც თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობებითგანა ჩანს გავლენიან წრეს შეადგენღენ ღა საქართველოს დიდმნიშვნელოვან საჴელმწიფო. საქმეებზე მსჯელობის დროს თვალსაჩინო მინაწილეობას ილებდენ, პირველად ისინი არიან მოხსენებულნი. მაგ.: გიორგი III თავისი ასული თამარი „მეფე ყო თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ეპისკოპოსთა, **დიდებულთა იმიერთა და ამიერთა**, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 616, გვ. 390-391). მამის სიკვდილის შემდგომ დიდებულთა თხოვნისაებრ თამარის მამიდამ თავის ძმისწულს მეფედ კურთხევა ურჩია და „მოახსენა თამარსა მეფესა და დედოფალსა და [და]მორჩილდა პირველსავე ბრძანებასა, აწ კადრებულსა **დიდებულთა [მიერ], შვიდთავე [სა]მეფოთასა**“-ო (იქვე * 624, გვ 399), თამარის პირველ ქმარსაც „უბედურს რუსს“ სოდომური ქცევა „უგრძნეს ვაზირთა და **დიდებულთა**“ და მათვე „ჴელ-ყუეს“ და წარიყუანეს ექსორია ქმნად“ (იქვე * 640, გვ. 422-423). მე-XIII-ე საუკუნეში „**დიდებულნი საქართველოსანი**“ ჩვენს საჴელმწიფომ მძლავრსა და გავლენიანს წრეს შეადგენდენ. ქართ. ჟამთააღმწერელს მაგ. აღნიშნული აქვს, რომ დიმიტრი თავდადებულის სიკედილის მემდგომ „**ყოველნი დიდებულნი საქართველოსანი შემოკრბეს და ყუეს ფიცი და სიმტკიცე ერთგულობისა** და მოსცა ძე მისი (ვახტანგ) მეგემ“ დავით რუსუდანის ძემაო (ჟამთააღ. * 903, გე. 743).

„**წარჩინებული**“ და „**წარჩინებულნი**“ (ც˜ჲ ი˜ე და ეფ˜სი 15) უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა ხოლმე. თუმცა ზოგჯერ „დიდებული“-ს მაგიერაც გახვდება და არა ერთხელი თითქოს. მისი შესატყვისობის გამომხატველია. მაგ. ერთს ქართ. ისტორიკოსს მოთხრობილი აქვს, რომ უსინათლო თევდოსის მეფობის დროს აფხაზეთში „განირყუნა ქუეყან» იგი, შეიცუალა ყოველი წესი მისი და განგება პირველთა მეფეთა განწესებული: იხილეს რა **წარჩინებულთა მის ქუეყანისათა**, იყუნეს ყოველნი მწუხარებასა შინა დიდსა“-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ * 463, გვ. 238).

რაკი დავით აღმაშენებელის ანდერძში „წარჩინებულნი“ და „დიდებულნი“ ცალცალკე არიან დასახელებულნი, ამიტომ ცხადია, რომ მსგავსებას გარდა ამ ორ ტერმინს შორის მცირეოდენი მაინც განსხვავება უნდა ყოფილიყო. ოქ სახელდობრ ნათქვამია: „გიბრძანებს... თქვენ ყოველთა **დიდებულთა და წარჩინებულთა** სამეფოჲსა მისისათა: კათალიკოზთა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა“-ო (ქკ˜ბი II, 51$_{4-5}$).

თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება ცხადად ამტკიცებს, რომ დიდებულებივით „წარჩინებულნი“-ც საჴელმწიფო საქმეების განგებამი ღიდ მონაწილეობას იღებდენ. მას მაგ. მოთხრობილი აქვს, რომ როდესაც მჴარგრძელებმა თამარს მოახსენეს, სპარსეთში გალაშქრება

უბრძანე საქართველოს მჴედრობასო, თამარ მეფემ თურმე „მოუწოდა **ყოველთა წარჩინებულთა ამის სამეფოსათა** იმერთა და ამერთა, **აუწყა თქმული** მათი... **სთნდა ყოველთა** თქმული მათი და **დაასკუნეს ლაშქრობა**“-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი # 711, გვ. 516). იმავე ავტორს აღნიშნული აქვს, რომ სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივ შეცილების დროს ძმანი მჴარგრძელნი, „ყოველნი მკჳდრნი მეფის წინაშე იყუნეს კათალიკოზი და ეპისკოპოსნი, სხუანცა **საქართველოს წარჩინებულნი**“ -ო (იქვე * 686, გვ. 481). ხოლო როდესაც შეცილება ქართველ სამღვდელოების გამარჯჳებით დამთავრდა და „კათალიკოზი შესჯეს შემოსილი. ჰუნესა თჳსსა... თანაჰყუებოდეს **ყოველნი წარჩინებულნი**“ და ფსალმუნების გალობით შემოატარესო (იქვე * 696 გე. 492).

სხვებზე უფრო ხშირად წარჩინტულებს, ამასთანავე ყოველთვის ვითარცა საჴელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობის მონაწილეთ ქართ. ჟამთააღმწერელი იხსენიებს. მაგ. როდესაც დავით ლაშას ძემ მონღოლთაგან განდგომა დააპირა, „**წარჩინებულნი ამის სამეფოსანი** რომელნიმე დაუმტკიცებდეს და რომელნიმე არა“-ო (ჟამთააღ. * 825, გვ. 671). „მწუხარე იყვნეს **წარჩინებულნი [სა]მეფოსანი** რამეთუ (დედოფალმა) ჯიგდამან არა შვილიშვილი“ (იქვე * 82I, გვ. 667). მონღოლთა შემოსევის დროს „**წარჩინებულნი სამეფოსანი** თჳსისა ქვეყანისათვის ზრუნვიდეს“ (იქვე * 806, გვ. 648). ულუ ყაანის დასახვედრად ნოინნი თურმე ადაიბაგანში „წარემართნეს მიგებებად... და თანა წარიტანნეს **ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი** და უმეტეს ეგარსლანნი, რომელსა, ვითარცა მეფესა მორჩილობდეს ყოველნი **მთავარი საქართველოსანი**“-ო (იქვე * 803-804, გე. 645). ამ უკანასკნელ წინადადებითგან ირკვევა, რომ ზოგჯერ მაინც წარჩინებულებად მთავარნი არიან ნაგულისხმევნი. ამასვე **ამტკიცებს შემდეგი მაგალითიც. ბექა სამცხის სპასალარმა „მოუწოდა წარჩინებულთას** სამცხისთა შავშ-კლარჯთა და შეკრიბნა ყოველნი და ჰრქვა: „ისმინეთ, **მთავარნო საქართველოსანო**, ძმანო და თანამონათესავენო“-ო (იქვე * 923, გვ. 767). ეს უკანასკნელი ამონაწერი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ გვაფიქრებინებს - წარჩინებულნი საქართველოს თვითოეულს თემში და კუთხეში ყოფილან.

ქართ, საისტორიო თხზულებებში დიდებულთა და წარჩინებულთ გარდა არა-ერთხელ არიან მოხსენებულნი „მკჳდრნი“ და „თავადნი“ ვითარცა საქართველოს სამეფოში გავლენიანი პირნი.

როგორც უკვე განმარტებული იყო, ტერმინ „მკჳდრი“-ს თავდაპირველი მნიშვნელობა მცხოვრები და დაბინავებული იყო (იხ. საქ. მკვიდრნი და მოსახლეობის ერთეულები). მაგრამ „მკჳდრი“ მემკვიდრესაც ერქვა, მაგ. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი სწერს: „მოკუდა რატი ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული... და ესრე დასრულდა სახლი... და არღარავინ დარჩა საყოფელთა მათთა მკჳდრი... და მამული მათი აღიღო შემდგომად მეფემან“-ო (ც˜ა მფ˜ისა * 522, გვ. 290). ამას გარდა მკჳდრი“ სამეფო ტახტის მემკვიდრესაც ეწოდებოდა. მაგ. ისტორიკოსს მოთხრობილი აქვს, რომ როდესაც დემეტრე „აფხაზთა და ქართუელთა“ მეფე უძეოდ გარდაიცვალა და უსინათლო თეოდოსის მეტი სამეფო გვარში აღარავინ იყო, „არღარა დარჩა **მკჳდრი აფხაზეთსა და ქართლსა**, გამოიყუანეს თეოდოსი და დასუეს მეფედ“-ო (მტ˜ნე ქჲ˜ * 460, გვ. 236). ხოლო, როცა უძეო დავით დიდმა კურაპალატმა ქართლში თავისი ნაშვილები ბაგრატ III მოიყვანა, მან შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: „ესე არს **მკჳდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა**, შვილი გაზრდილი ჩემი... ამას დაემორჩილენით ყოველნი“-ო (იქვე * 462, გვ. 237-238). რაკი უსინათლო და უშვილო თევდოსის გარდა აფხაზთა სამეფო სახლში აღარავინ დარჩა, „**უმკჳდრო ქმნილ იყო ქუეყანა** აფხაზეთისა“-ო (იქვე * 463, გვ. 239). ცხადია ამ სამსავე უკანასკნელს მაგალითში სიტყვა „მკჳდრი“ სამეფო ტახტისა და ქვეყნის მემკვიდრეს ჰნიშნავდა.

მაგრამ ქართ. საისტორიო წყაროებში ისეთი ადგილებიც მოიპოვება, სადაც „მკჳდრი“ არც მცხოვრებს და არც ტახტის მემკვიდრეს ჰნიშნავს, არამედ სულ სხვა, განსაკუთრებული აზრით არის ხოლმე ნახმარი. „მ˜ტნე ქ˜ა“-ში მაგ. აღნიშნულია, რომ დემეტრე „აფხაზთა და ქართუელთა“ მეფის გარდაცვალების შემდგომ, „**მკჳდრთა ქუეყანისათა**... გამოიყუანეს თეოდოსი და დასუეს მეფედ-“ო (* 460, გვ. 237). უეჭველია, რომ ამ შემთხვევაში „მკჳდრნი ქუეყანისანი“ ქართლ-აფხაზეთის ყველა მცხოვრებს კი არ ჰნიშნავს, არამედ ქვეყნის გავლენიან,

მმართველ წრეებს, რომელთაც უფლება ჰქონდათ უფლისწული სამეფო ტახტზე დაესვათ. თამარ მეფის ისტორიკოსსაც მოთხრობილი აქვს, რომ რა წამს გაძევებული გიორგი რუსი საქართველოს შემოესია და დასავლეთი საქართველო მას მიემხრო და თამარს გადუდგა, თამარი „იკითხვიდა მიზეზსა **მკჳდრთა** მისთაგან“-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 651, გე. 437). ცხადია აქაც „მკჳდრი“ არც მცხოვრებთა აღმნიშვნელია, იმიტომ რომ მაშინ ამ წინადადებას აზრი დაეკარგებოდა, არც ტახტის მემკვიდრისა იმიტომ, რომ ჯერ იგი დაბადებული არც-კი იყო. შემდეგ იმავე ავტორს მოთხრობილი აქვს, რომ სანამ ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივი შეცილება მოხდებოდა, ამაზე უწინარეს მჴარგრძელნი და „**ყოველნი მკჳდრნი** მეფის წინაშე იყუნეს“-ო (იქვე * 686, გვ. 481). რასაკვირველია, არც ამ წინადადებაში შეიძლება, რომ „ყოველნი მკჳდრნი“ საქართველოს ყველა მცხოვრებს აღნიშნავდეს: მთელი სამეფო ხომ მეფის სასახლეში თავს ვერ მოიყრიდა?! თამარ მეფის მეორე ქმრის არჩევის შესახებ იგივე ისტორიკოსი ამბობს, რომ დავით სოსლანის შერთვა ურჩიეს, „ჰკადრეს და მოაჴსენეს [დედოფალსა რუსუდანს] **მკჳდრთა ამის სამეფოსათა**. იგი განაღამცა ნებისა დამრთავი ვაზირთა და დიდებულთა თანაშემწე ქმნითა მომჴსენებელ და მოაჯე ექმნეს თამარს“-ო (იქვე * 646-647, გვ. 431). ეს მაგალითიც ამტკიცებს, რომ „მკჳდრნი სამეფოსანი“ მნიშვნელობით საქართველოს მცხოვრებთა შესატყვისობა-კი არ იყო (თამარ მეფისათვის საქმროს არჩევანში ყველას ჩომ ვერ გარევდენ), არამედ საქართველოს საჴელმწიფო საქმეებზე გავლენიან წრეს.

ზემომოყვანილ მაგალითების წყალობით თუმცა ყოველ მხრივ გამორკვეულ დასკვნის გამოყვანა შეუძლებელია, მაგრამ ის გარემოება მაინც სრულის სიცხადით ირკვევა, რომ **საქართველოში სამეფოს მემკვიდრედ, მის საჴელმწიფოებრივ უზენაესს უფლების პატრონად მარტო სამეფო სახლი-კი არ ითვლებოდა, არამედ მცხოვრებთა მოწინავე წრეც, რომლის წევრებსაც ეწოდებოდათ „მკჳდრნი ქუეყნისანი“, ან „მკჳდრნი სამეფოსანი“ და რომელნიც აგრეთვე საჴელმწიფოს დიდმნიშვნელოვან საქმეების განგებაში მთავარ მონაწილედ მოსჩანან**.

მასალების სიმცირე ჯერჯერობით საშუალებას არ გვაძლევს ზედმიწევნით გამოვარკვიოთ, თუ ვინ ითვლებოდენ სამეფოსა და ქუეყანის „მკჳდრ“-ად. ცხადია მხოლოდ, რომ სხვათა შორის „დიდებულნი“, ვაზირნი და დანარჩენი დიდი ჴელისუფალნიც ერივნენ.

საყურადღებოა, რომ თამარ მეფის ისტორიკოსს მოხსენებული ჰყავს აგრეთვე ერთი „მკჳდრთა ტფილისისათაგანი, თავადი და მეფეთა-მეფისაგან წყალობა-ჴელდასხმული ამირად ქართლისა და ტფილისისა სახელით აბულასან“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 635, გვ. 415) და „**ერთი მკჳდრთაგანი** დიდვაპარი ზანქან ზორაბაბელი“ (იქვე).

უფრო. ძნელი განსამარტებელია ტერმინის „თავადი“-ს მნიშვნელობა. ეს სიტყვა ქართ. საისტორით მწერლობაში უკვე მე-XI-ე საუკ.-თგან მოყოლებული ჩვეულებრივია. მაგრამ XI-XIII სს. იგი რასაკვირველია ჯერ წოდების აღმნიშვნელი სიტყვა არ არის, როგორც შემდეგში მოხდა.

თავდაპირველად ამ სახელს („თავადი“) **ალბათ მოთავეს, თავ-კაც, და მეთაურს ეძახდენ**. ამგვარი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას მემატიანეს შემდეგს მოთხრობაზიაც-კი. ბაგრატ IV-ის მაოტებელმა ლიპარიტმა „აიხუნა ზემონი ციხენი და მიირთნა თავადნი კაცნი“-ო (მტ˜ნე ქჲ *491, გე. 264).

მეტად საყურადღებოა, რომ როგორც „დიდებულნი სამეფოსანი“ და „მკჳდრნი ქუყყანისა და სამეფოსანი“ არსებობდენ, ყოფილან თურმე „**თავადნი სამეფოსანი**“-ც. იმავ ისტორიკოსს მაგ. აღნიშნული აქვს, რომ ივანე ლიპარიტის ძეს, მეფე ბაგრატმა უბოძა „მამული არგუეთისა და ქართლისა და ჰმონებდა ერთგულობით და **იყო თავად თავადთავე თანა ამის სამეფოსათა**“-ო (იქვე *496, გვ. 268). მართლაც, იგივე ავტორი ამბობს: „ცნა ტფილისით გაღმართ აფხაზთა მეფემან ქართლის ვნება, წამოსულა ფადლონისი, გამოგზავნა **თავად[ნ]ი** ივანე ძე ლიპარიტისი ერისთავი და ნინია ძე ქუაბულისი და მურვან ჯაყელი ერისთავი ყუელისა და თანა სხუანიცა აზნაურნი“-ო (იქვე * 503, გვ. 273). ამავე მემატიანის ცნობით მეფე გიორგი II-ეს „**თავადთა ამის სამეფოსათა** - ნიანია ქუაბულის ძემან, ივანე ლიპარიტის ძემან და ვარდან სუანთა ერისთავმან... აუშალეს ქუეყანა“ (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი * 509, გვ. 278).

თამარ მეფის ისტორიკოსიც იხსენიებს „თავადთ“. საქართველოს მჴედრობა სამშობლოში (ძლევამოსილი რომ დაბრუნდა და ტფილისში შევიდა, „დაჯდა მეფე ტახტსა სამეფოსა.

შეუძღვა ამირსპასალარი და შევიდეს **თავადნნი** და დასხდეს წესისაებრ“ (ისტ˜ონი და აზმ˜ნი * 718, გვ. 525).

ქართ, ჟამთააღმწერელის თხზულებაშიც „თავადნი“ ხშირად გვხდებიან. ამ ისტორიკოსის სიტყვებითგან ირკვევა, რომ როგორც „დიდებულნი საქართველოსანი“ და „წარჩინებულნი საქართველოსანი“ იყვნენ, ისევე თურმე „**თავადნი საქართველოსანი**“-ც არსებობდენ, **რომელთაც საჴელმწიფო საქმეების მიმდინარეობაზე დიდი გავლენა ჰქონდათ: „თვინიერ მათისა განზრახვისა“ არც ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი არ უნდა გადაწყვეტილიყო**. ერთგან ჟამთააღმწერელს მაგ. ნათქვამი აქეს, რომ ლაშა-გიორგის სააუგო ქცევის „მცნობელნი **თავადნი საქართველოსანი** ფრიად მბრძოლ [ექმნეს] და უმეტეს ათაბაგი და ვარამ გაგელი ზაქარიას ძე განეყენებოდეს დარბაზს ყოფისაგან. „**არა თავს ვიდებთ შენსა მეფედ ყოფასა** უკეთუ არა განეყენო ბოროტთა კაცთა ს[ი]ახლ[ი]სა [და] ავსა წესსა რომელსა იქმ. ხოლო **მეფემან** შეინანა და **აღ[უ]-თქვა სიმტკიცეთა მიერ არღარა ქმნად თვინიერ მათისა განზრახვისა**“ (ჟამთ, * 727, გვ. 544).

იმავე ისტორიკოსის ცნობებითგანა ჩანს, რომ საჴელმწიფოს დიდმნიშვნელოვან საქმეთა მიმდინარეობა და თვით სამეფოს ჩარხის ტრიალიც-კი ბევრ რიგად „თავადთა“ ნებაზე იყო დამოკიდებული. სარგის ჯაყელი მაგ. თურმე ლამა-გიორგის ძეს დავით მეფეს ურჩევდა, ლიხთ–იმერეთს გადავიდეთ და თუ რუსუდანის ძემ კარგად არ მიგვიღო, „**ვეზრახნეთ თავადთა იმერთა** და განვსცეთ საჭურჭლე[ნი] და **ჩვენ კერძო დავიყენოთ**“-ო (იქვე * 831, გვ. 676). ალბათ „თავადთა“ მომხრეობა საკმარისი იყო, რომ ს. ჯაყელისა ღა დავით მეფის წადილი განხორციელებულიყო.

ერთგან ჟამთააღმწერელს ისიც-კი აქვს გაკვრით მოხსენებული, თუ სახელდობრ ვინ ითვლებოდენ „თავადებად“. იქ. სადაც ს. ჯაყელის ზემომოყვანილი სიტყვებია - „ვეზრახნეთ თავადთა იმერთა და... ჩვენ კერძო დავიყენოთ"“-ო, დაძენილია: „ეზრახნეს კახაბერის ძესა რაჭის ერისთავსა კახაბერსა, ქვაბულის ძეთა, ფარჯანიანთა სარგის[ს], რათა ლაშას ძე დავით ყონ მეფედ. რომელნი ერჩდესცა და რომელნიმე წარუდგეს ლაშას ძესა და რომელნიმე რუსუდანის ძესა. ეგრევე დადიან-ბედიანი ჯონშერის ძე დადგა ერთგულობასა ზედა“ (იქვე * 831-832, გვ. 676). მაშასადამე რაჭის ერისთავი კახაბერის ძე კახაბერი, ქუაბულის ძენი, ფარნაჯანიანი სარგისი, ჯონშერის ძე დადიან-ბედიანი და სხვანი „თავადები“ ყოფილან.

ერთი სიტყვით ზემომოყვანილ მაგალითებითგან ცხადად ირკვევა, რომ **საქართველოში ყოფილან საჴელმწიფო საქმეებში უაღრესად გავლენიანნი პირნი, რომელნიც ცნობილნი იყვნენ ვითარცა „თავადნი სიმეფოსანი“ და „თავადნი საქართველოსანი“, განსაკუთრებულ შემთხვევებში ეს „თავადნი“ საქართველოს თვით სვე-ბედის გადამწყვეტიც-კი იყვნენ, ხოლო ჩვეულებრივ მეფესთან ერთად და მეფის გვერდით საჴელმწიფოს სათავეში უდგენ**. ქართ. მემატიანე ერთგან მოგვითხრობს, რომ ქართ. აზნაურთ ბაგრატ. IV-ის წინააღმდეგ მის ნახევარ-ძმის დემეტრეს გამეფება უნდოდათ, მაგრამ „ვერცა გაამეფეს, თუ ვის გულსა ედვა და ვერცა-ღა გამოინდვეს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან და ვერცა-ღა **თავადთა დიდებულთა ამის სამეფოსათა**“-ო (მტ˜ნე ქჲ *483, გვ. 257). ტახტის მაძიებელი დეზეტრე იძულებული იყო ბიზანტიაში გახიზნულიყო. სამეფო შიგნით-კი დამშვიდდა, მაგრამ მაშინ საქართველოს გარეთგან მოადგა უსიამოვნება: „დიდი ფადლონ ავად იქცეოდა და სწუნობდა **ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათა**“-ო (იქვე * 483, გვ. 257). ამგვარად „**თავადნი დიდებულნი ამის სამეფოსანი**“ ყოფილან იგივე „**მოთაულნი ამის სამეფოსანი**“. მაშასადამე „თავადნი“ საჴელმწიფოს „მოთაულნი“ ყოფილან და სათავეში მდგარან, რაც ზემომოყვანილ სხვა მაგალითებითაც მტკიცდება.

მამ ვინ იყვნენ და ვინ ითვლებოდენ თავადებად? უკანასკნელ მაგალითის და მიხედვით ერთის მხრით საფიქრებელი იყო, რომ „თავად“-ად დიდი ჴელისუფლები იწოდებოდენ, მართლაც გიორგი მთაწმიდელის ც˜ა-ში ნათქვამია, რომ ბაგრატ IV-ის დედა. მარიამ დედოფალი კოსტანტინენოლითგან პალესტინაში მიმავალ გზად ანტიოქიაში შევიდა „და აქუნდა საზეფო ბრძანებაᲘ **თავადსა**-თანა და პატრიარქსა ანტიოქიისასა, რათა ყოვლითა დიდებითა და პატივითა წარგზავნონ. ხოლო პატრიაქმან და **მთავარმან** განიზრახეს", რომ დედოფლისათვის მოგზაურობა დაეშლევინებინათ იმიტომ, რომ პალესტინა. მაჰმადიანთ

ეპყრათ (ც˜ჲ გ˜ი მთ˜წჲ 308). ამ წინადადებაში „თავადი ანტიოქიისა“ მაშასადამე ანტიოქიის მთავარს და გამგეს. ჰნიშნავს.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ თამარ მეფის ისტორიკოსს „თავადნი“ და „ჴელისუფალნი“ ერთ ჯგუფში ჰყავს მოხLენებული: „საყუარელნი და საკუთარნი, ვაზირნი [და] სპასალარნი, **ჴელისუფალნი და თავადნი**, დიდებულნი და აზნაურნი, მონანი და მოყმენი“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 603, გვ. 373). ამას გარდა ზოგ ზემოაღნიშნულ მაგალითითგანაც ჩანს, რომ „თავადნი ამის სამეფოსანი ივანე ლიპარიტის ძე და ვარდანი ურისთავები იყვნენ, ერთი ქართლისა, მეორე სვანთა (ც˜ა მფ˜სა დ˜თსი * 509, გვ. 278 და მტ˜ნე ქ˜ჲ * 503, გვ. 273). თამარ მეფის ისტორიკოსსაც აღნიშნული აქვს, რომ ქართველთა სპარსეთმი ლაშქრობის დროს „თავრეჟელებმა“ სცადეს „ხარკის მოცემითა“ დაემშვიდებინათ „**ქართველნი თავადნი** და სპანი#“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი *714, გვ. 519) და ამ ადგილას ავტორს თავადებად შეიძლება მხედართ მთავრები ჰყავდეს ნაგულისხმევი.

მაგრამ ტერმინ „თავადი“-ს მნიშვნელობის ამგვარად განმარტება მაინც სწორე არ იქმნებოდა. თავადი შეიძლებოდა რასაკვირველია იმავე დროს მთავარი, ან სხვა რომელისამე ჴელისუფლობის მქონებელი ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ეტყობა, **ყოველი დიდი მოჴელე და მთავარი „თავადად“ არ ითვლებოდა. „თავადი“ და მთავარი, ან ერისთავი სხვა-და-სხვა ცნების გამომხატველი იყო**. ამიტომაც არის, რომ ეს ორი ტერმინი განცალკევებულად არის მოხსენებული. ქართ. ჟამთააღმწერელს მაგ. აღნიშნული აქვს, რომ როდესაც ზე-XIII-ე საუკ.-ში საქართველოს ორ სამეფოდ ჰყოფდენ, „**თავადები და ერისთავნი** ურთიერთს შეასწორნეს ნიკოფსით დარუბანდამდე“ (* 832, 677).

ისეთი ცნობაც-კი მოიპოკება, როდესაც **უკვე თავადად წოდებული პირი შემდეგ დიდის თანამდებობით ყოფილა დაჯილდოვებული**. თამარ მეფის ისტორიკოსს სახელდობრ მოხსენებული ჰყავს ერთი „მკჯდრთა ტფილისისათაგანი, **თავადი და მეფეთა-მეფისაგან წყალობა-ჴელდასხმული ამირად ქართლისა და ტფილისისა** სახელით აბულასან“ (ისტ˜რნი და აზმ˜ * 635, გვ. 415). შამასადაზმე აბულასანი ისედაც „თავად“-ად ითვლებოდა და მისი **„თავადობა“ ქართლისა და ტფილისის ამირობაზე არ ჟოფილა დამყარებული**. როგორც მთავარისაგან მის საბრძანებელის აღსანიშნავად „სამთავრო“ იყო ნაწარმოები, ისევე „თავადი“-საგან წარმომდგარია „სათავადო“-ც (იქვე * 631, გვ. 409).

უეკველია, რომ **„თავადი“ და „დიდებული“-ც ერთისა-და-იმავე შესატყვის ცნების გამომხატველნი არ უნდა ყოფილიყვნენ**. რასაკვირველია შეიძლება ზოგჯერ ისეც მომხდარიყო, რომ „თავადი" იმავე დროს დიდ ჴელისუფლობით ყოფილიყო მოსილი და დიდებულის“ სახელიც ეტარებინა. ამისთანა პირნი მაშინ მარტო „თავადნი“-კი არ იქმნებოდენ, არამედ „**თავადნი დიდებულნი**“. მართლაც „**თავადთა დიდებულთა ამის სამეფოსათა**“ ერთი ქართველი ისტორიკოსიც იხსენიებს (იტ˜ნე ქ˜ჲ *483, გე. 257). მაგრამ ეს ორი ტერმინი ცნებათა შესატყვისობის გამომხატველნი რომ არ იყო, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ორივე სიტყვა ერთად, მხოლოდ მაინც განცალკევებულადაც არის დასახელებული: ქართ. ჟამთააღმწერელს მაგ. ნათქვამი აქვს: „შეკრბეს თავადნი **ქართველნი და დიდებულნი** და წარიყუანეს მეფისა ძე დიმიტრი ურდოსა“, რომ შემდეგ საქართველოში გაემეფებინათ (ჟამთააღ. * 869-870, გვ. 714).

საყურადღებოა აგრეთვე, რომ „თავადნი“ მარტო „სამეფოსანი“-კი არ იყვნენ, ე.ი. მარტო საჴელმწიფო წესწყობილებაში-კი არ გვხვდებიან, არამედ საქალაქოშიაც. ზემოთ უკვე ქ. ტფილისის „თავადი“ იყო დასახელებული. ქართ. საისტორიო წყაროებში სხვა, უცხოეთში მყოფ ქალაქებშიაც-კი არიან მოხსენებულნი. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს მაგ. მოთხრობილი აქვს: „აგვისტოსა კ (20) მოვიდეს მეწიგნენი **ანელთა თავადთანი**, მოაჴსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა“ მეფე დავითსაო (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი * 544, გვ. 311). საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში ტერმინი მრავლობითად არის ნახმარი. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ **„თავადი“ ქალაქშიც ერთი-კი არა, არამედ რამდენიმე ყოფილა**. მაშასადამე შეუძლებელია აქ „თავადი“ ქალაქის გამგეს ან მოურავს ნიშნავდეს. ამასთანავე მოყვანილ ცნობითგან ირკვევა, რომ **„თავადნი“ სწორედ ის პირნი ყოფილან, რომელთაც ქალაქის ბედ-იღბლის გადაჭრის უფლება ჰქონდათ.**

მეორე ქართ. მემატიანეც იხსენიებს „**სამთა თავადთა განძისათა**“ (მტ˜ნე ქ˜ჲ * 505, გე. 275), ხოლო თამარ მეფის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ სპარსეთში ლაშქრობის დროს ქართველთა მჴედართ-მთავართან „მოვიდეს ყადნი, ხოჯანი, დარვეშნი, **ყოველი თავადნი თავრეჟისანი**“-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 714, გვ. 519), ყველა ზემოაღნიშნული მაგალითი ცხად-ჰყოფს, რომ **„თავადნი“ ქალაქებშიაც ყოფილან და იქაც ქალაქის ბედ-ილღბალი მათ ხელში ყოფილა**.

სხვათა შორის „მკჳდრ"-სა და „თავად“-ს შორის ის განსხვავებაც არის, რომ „მკჳდრი“ უფრო ფართო, ზოგადი ცნების გამომხატველია და უფრო მრავალრიცხოვანს და მრავალფეროვანს საზოგადოებრივ წრეს შეიცავდა, „თავადი“-კი ვიწრო და უფრო. განსაკუთრებულ ჯგუფის წევრის სახელად ითვლებოდა. ზემოთ უკვე გამორკვეული იყო, რომ „მკჳდრნი ქუეყანისანი“ და „მკჳდრნი სამეფოსანი“ დიდებულებს, ვაზირებს და დიდ მოჴელეებს და სხვებს ეწოდებოდათ, „მკჳდრთა“ წრეს „თავადნი“ და დიდვაჭრებიც ეკუთვნოდენ. თვით „თავაღნი“-კი უფრო მცირე რიცხოვანნი იყვნენ.

ზემოაღნიზნულ მასალებითგან ისიც ნათლადა ჩანს, რომ „თავადი“ აზნაურივით წოდებრივი ტერმინი-კი არ იყო, არამედ პირადი ღირსების აღმნიშვნელი. ამ მხრივ იოანე შავთელს თავის „აბდულმესია“-ში ერთი საყურადღებო ტაეპი მოეპოვება:

„გუნდთ მწყობრი დასი
შას ბეგრ-ათასი
ჰყავს დიდებულთა,
დიდგვარ[თ] თავადთა“

(ნ. მარრის გამოცემა TP. წიგნი IV გვ. ლა, 46).

თუ ის მცირედი შესწორება, რომელიც ჩვენ ტექსტში შევიტანეთ, სამართლიანია, მაშინ ცხადი იქმნება, რომ **„თავადი“ დიდ გვარის უფროსი და თავი ყოფილა**. რომ „თავადი“ თავდაპირველად წოდებრივი ღირსება არ იყო და „თავადი“-ს ყოველი მახლობელი ნათესავიც-კი „თავად“ად არ ითვლებოდა, არამედ მხოლოდ თვითონ ის პირადად, ეს მე-XVIII-ე საუკ-მდე კარგად ყოფილა შენახული „დიდებულ თავად“-ის ცნებაში. როგორც ვახტანგ VI-ის ზემომოყვანილი განმარტება ამტკიცებს მაშინაც-კი „**დიდებული თავადი**“ მთელს საგრაეულოში მხოლოდ „ერთი თავი“ ყოფილა და „თავად“-ის დანარჩენ „სახლის კაცებს“ მასთან თანასწორი უფლება და მასავით „თავადობ“ არ ჰქონიათ. მაინც-და მაინც ზემოთქმულის შემდგომ ცხადია, რომ **როგორც თვითოეულ ქალაქში, ისევე საჴელმწიფოშიაც მეფის შემდგომ პირველი ადგილი მცხოვრებთა მორის „თავადთ“ ეკუთვნოდათ**.

თუ „თავადი“ მართლაც „დიდგვართ“ თავია, მაშინ რა გახსხვავება უნდა ყოფილიყო „თავად“-სა და „დიდებულ“-ს შორის? თუმცა „დიღებულიც“, როგორც დავრწმუნდით, დიდი გვარის შვილი იყო, მაგრამ ამასთანავე მას უეჭველად დიდი **„ჴელისუფლობა“**-ც **უნდა ჰქონოდა ნაწყალობევი, უამისოდ შეუძლებელია რომ მას, თუნდაც დიდგვარიანს „დიდებული“-ს სახელი ეტარებინა. „თავადი“-კი შეიძლებოდა „უჴელო“-ც ყოფილიყო და არავითარი თანამდენობა არა ჰქონოდა. მისთვის ისიც კმაროდა, რომ იგი დიდი გვარის უფროსი და თავი იყო**.

„დიდებულნი“, „წარჩინებულნი“ და „თავადნი“ ვითარცა საქართველოს მკვიდრთა მოწინავე და მმართველი წრეების წარმომადგენელნი „**თავნი და პირნი ქვეყანისანი**“ იყვნენ (ჟამთააღ, * 826, გვ. 671). მეფე მათით იგებდა ხოლმე საქართველოს მცხოვრებთა შეხედულებას ქვეყნის დიღმნიშენელოვან საქმეებზე და იმათ „პირით“-ვე მეტყველებდა მაშინ ქართული საზოგადოებრივი აზრიც. როდესაც დავით ლაშას ძემ მონლოლთ წინააღმდეგ განდგომა განიზრახა, ისტორიკოსის სიტყვით, „**წარჩინებულნი ამის სამეფოსანი** რომელნიმე დაუმტკიცებდეს და რომელნიმე არა“ (ჟამთააღ. * 826, გვ. 671). ხოლო როდესაც მეფემ წარჩინებულთა უმრავლესობის წინაღმდეგობისდა მიუხედავად მაინც განდგომა გადასწყვიტა, **წარჩინებულთაგანნიც „უმრავლესნი წარვიდეს ყაანს წინაშე**“ სამსახურად. „შანშას ძე ივანე და გრიგოლ სურამელი, [ორბელი და თორელი და] კახა ერისთავი ახალქალაქისა, **თავნი და პირნი ქვეყანისანი წარვიდეს ყაანს წინაშე** და უმრავლესნი ჰერ-კახნი“. რაკი „ცნა მეფემან **წარსლვა დიდებულთა**, მანცა ნება სცა... განდგომად“ (იქვე * 826, გვ. 671).

დიდებულთა, წარჩინებულთა და თავადთა“ ცოლებსაც-კი განსაკუთრებული სახელწოდება ჰქონიათ და თუ ჴელმწიფისა და მეფის თანამეცხედრეს დედოფალი, „დედოფალთა-დედოფალი“ ეწოდებოდა, მათ კიდევ **დიოფალ**“-ს და „**დიოფალთ-დიოფალ**“-ს ეძახდენ თურმე. ივანე ერისთავთ-ერისთავის ძე აბუსერიძე ტბელი მაგ. ამბობს: ეკლესია იმიტომ ავაგე, რომ „**დიოფალთ–დიოფალისა** დისავე ჩუენისა ვანენისა,... **დიოფალთ-დიოფალისა** ნისიმესი **პაპისა ჩუენისა პაპისდისაი**“ სული მოიხსენო ხოლმეო (აბუსერიძე ტბელი, ქკ˜ბი II, 121$_{6\text{-}7,\ 9\text{-}10}$).

საქართველოს საზოგადოებრივ დანაწილების მიმოხილვა სრული არ იქმნებოდა, თუ ტერმინები „**ლაშქარნი**“ და „**სპანი**“ განსაკუთრებით განხილული არ გვექმნება სიტყვა „ლამქარნი“ მრავლობითი რიცხვია, მხოლოობითი „ლაშმქარი“-კი როგორც ცნობილია, სპარსულითგან ნასესხები სიტყვაა. ამგვარადვე სიტყვა „სპანი“-ც მრავლობითი რიცხვია. მხოლოობითი - „სპა“-ც სპარსულითგანვეა შეთვისებული. ორთავე სიტყვა სპარსულადაც და ქართულადაც ჯარს ჰნიშნავს.

მაგრამ **ქართული ეს ორი სიტყვა „ლაშქარნი“ და „სპანი“ განსაკუთრებულის მნიშვნელობითაც იხმარებოდა და საგანგებო ცნების აღმნიშვნელ ტერმინებადაც იქცენ**. თამარ მეფის ისტორიკოსს მაგ. ნათქვამი აქვს, რომ გიორგი III-ის დროს ერთხანად საქართველოში მშვიდობიანობა იყო, რაკი არავის ეომებოდა, ამიტომ „უღონო იქბნე, **ლაშქარნი და დიდებულნი ამის სამეფოსანი**, [მომჴსენებელი ექმნეს] მკადრებელნი ესრეთ; «არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა“-ო (ისტ˜რნი ლა აზმ˜ნი * 610, გვ. 382), ცხადია **აქ უბრალო ჯარზე-კი არა აქვს ისტორიკოსს საუბარი, არამედ რომელიღაც მაღალსა და გავლენიან სამხედრო წრეზე, რომელსაც შეუძლიან მეფეს გაუბედოს და თავისი წადილი მოახსენოს**.

იმავე ავტორს თამარ მეფის დროინდელ დიდგვარიან მოჴელეთა გაფიცვის შესახებ გარკვევით აქვს ნათქვამი, რომ ეს გაფიცვა მოაწყეეს „**დიდებულთა** ვიეთ[თა]მე **ჴელისუფალთა**, რომელნიც ამასთანავე „**გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი**“ იყვნენ. (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 628, გე, 405). მოთხრობის ბოლოში-კი ისტორიკოსს დაძენილი აქვს, რომ ამ გაფიცვის წყალობით უგვარო. ჴელისუფალნი დაიმხვენ „ნებით. და თნევითა **ლაშმქართათა**“-ო (იქვე * 629, გვ. 406). მაშასადამე აქ სრულებით ცხადია, რომ „ლაშქარნი“ უბრალო ჯარს-კი არ ჰნიშნავს, არამედ „გუარიან და დიდებულ“ ჴელისუფლებს.

ყუთლუარსლანის თანამოარზედ, „თანაშეფიცულად და თანაშემწედ“ თამარ მეფის ისტორიკოსი „ლაშქართ“ სთვლის (იქვე * 630, გე. 407) „**ლაშქართა** თანაშეფიცულთა და თანაშემწეთა მისისა მის გზად გამყუელობისა და უკეთურობისათა“ იმედით ჰქონდა ყუთლუ არსლანს ზურგი. გამაგრებულიო (იქვე). ხოლო როდესაც იგივე ავტორი ამ ამბავის დასასრულს აღწერს, მას ნათქვამი აქეს, თამარ დედოფალმა ორი საპატიო მანდილოსანი მიუგზავნა მათთან „ლაშქართან“ მოსალაპარაკებლად, „უბრძანა ფიცით მონდობა"-ო. მიგზავნილებმა მინდობილობა თურმე კარგად აასრულეს: „მოჰყუეს **დიდებულნი** ბრძანებასა პატრონისასა"-ო (იქვე * 630, გვ. 408). მაშასადამე აქაც „ლაშქარნი“ „დიდებულთ“ მაგიერ არის ნახმარი და სრულებით უბრალო. ჯარს არ ჰნიშნავს.

იქმნებ ამ ორმა უკანასკნელმა მაგალითმა მკითხველს აფიქრებინოს, ვითომც „ლაშქარნი" სხვა შემთხვევებშიაც და ჩვეულებრივ „დიდებულების“ მაგიერ იხმარებოდა, მაგრამ ეს შეცდომა იქმნებოდა და ამას ის გარემოებაც. ეწინააღმდეგება, რომ „ლაშქარნი“ და „დიდებულნი“, როგორც უკვე ვნახეთ, ერთსა ღა იმავე წინადადებაში თუმცა ერთი შეორის გვერდით, მაგრამ განცალკევებულად გვხდება. ამიტომ უეჭველია **„დიდებულნი“ და „ლაშქარნი“ ჩვეულებრივ ერთი და იმავე ცნების აღმნიშვნელნი არ არიან, არამეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც „ლამქართა“ წევრნი იმავე დროს „დიდებულნი“ იყვნენ, მარტო ამ შემთხვევაში ეს ორი ტერმინი შეიძლებოდა ერთმანერთის მაგიერ ყოფილიყო. ნახმარი.**

მეფის კურთხევის წესი უფრო ცხად-ჰყოფს ჩვენს აზრს, რომ ძველს ქართულ მწერლობაში „ლაშქარნი“ მარტო ჯარის აღსანიშნავად-კი არ იხმარებოდა, არამედ განსაკუთრებულ ცნების გამომხატველ ტერმინადაც იქცა. ამ „წეს“-ში სწერია, როდესაც ჯვარისმტჳრთველი „მეფედ გამზადებულ “-ის საყდარში წასაყვანად მოვიდოდა, „პალატ“-ში

შევიდოდა და მეფეს მიესალმებოდა, იგივე მისალმების სიტყვები „მერმე **სრულიად ლაშქართაცა** თქუან“-ო. ხოლო ამის შემდგომ ჯვარისმტვირთველმა „თავის მომდრეკელმან ჰრქვას **ლაშქართა**: „და **თქუენცა გიხაროდენ ძლიერნო, უძლეველნო და დამამჴობელნო მტერთა სამეფოთანნო**“ და სხვა (5$_{22-24}$). აქ რომ უბრალო ჯარზე არ არის ლაპარაკი, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ეს „ლაშქარნი“ სამეფო პალატში და დარბაზში იყვნენ. ხოლო რომ ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული სამჴედრო გავლენიანი წრე არის ნაგულისხმევი, ამას ცხად-ჰყოფს ის არაჩვეულებრივი პატივისცემა, რომლითაც ჯვარისმტვირთველს ამ მტვირთველი „თავ-მოდრეკილი“ მიჰმართავდა ხოლმე დაწესებულის მისალმებით, ისევე ლაშქართაც „თავის-მომდრეკელმან“ უთხრას მისალმებაო, დადგენილი იყო მეფის კურთხევის წესში. ამ „წეს“-ის ბოლოშიაც ნათქვამია, რომ სამეფო დარბაზში დაბრუნების შემდგომ „ჯვარისმტჳრთველი „შემოსილი... მარჯვენით მეფისა დგეს ტახტსა ზედა ვიდრე **ლაშქართა თაყვანისცემადმდე** და ძლუნის შეწირვა[დ]მდე“-ო (812-13). ცხადია, აქაც გავლენიანი სამჴედრო წრეა ნაგულისხმევი და არა მთელი ლაშქარი და ჯარი.

იმავე განსაკუთრებულის მნიშვნელობით როგორც „ლაშქარნი“ მეორე სიტყვა „სპანი"-ც იხმარებოდა. თამარ მეფის ისტორიკოსს მაგ. აღნიშნული აქვს, რომ პირველ საქმროს არჩევის დროს „**პატრთარქმან, დიდებულთა, ვაზირთა და სპათა** მოახსენეს თამარს და მათგან ნება-დაურთავი განმზადნეს ქარწილ|ნ |ი“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 635, გვ. 416). თუმცა თამარი წინაღმდეგი ყოფილა, მაგრამ არა [მო]მშვებელმან **დედოფალმან** (რუსუდანმან) და **სპათა აიძულეს**-ო (იქვე * 636, გვ. 416-417), აქაც რასაკვირველია „სპანი“ უბრალო ჯარის აღმნიშვნელი არ არის: მჴედრობა ამისთანა საქმეში როგორ გაერეოდა და აიძულებდა. უეჭველია ამ შემთხვევაშიაც რაღაც მაღალი და გავლენიანი სამჴედრო წრე, ან დაწესებულებ» არის ნაგულლისხმევი.

იმავე ავტორს მოთხრობილი აქვს, რომ ლაშა-გიორგის დაბადებით აღტაცებულნი „იხარებდეს... და **შვიდისავე სამეფოსა სპათა** თანა და თჳთ დედოფალმან [რუსუდან] და გამზრდელმან მისმან... და ყოველთა მყოფთა ამის სამეფოსათა მსგავსად მოგუთასა ჴელ-ყუეს ძღუნებად“ ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 659, გვ. 447). შანქორის ომისათვის მზადების შესახებაც ნათქვამია: „**შეკრბეს თამარს წინაშე** ყოველნი ვაზირნი და **სპანი**, თჳთ შარვანშა **და [და]მასკუნელთა მიმართებისათა** უყოვნელ ყუეს დღენი“ (**იქვე * 671, გვ. 461**). ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ **ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში „სპანი“ ვითარცა საჴელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საქმეებზე ბჭობისა და გადაწყვეტის მონაწილენი მხოლოდ საქართველოს მაღალ და გავლენიან სამჴედრო წრის, ან დაწესუბულების აღმნიშვნელი უნდა იყოს „შვიდისავე სამეფოსა სპანი**“ ამ შემთხვევაში უნებლიედ **„შვიდისავე სამეფოს დიდებულებს“, „წარჩინებულებს“ და „თავადებს“ გვაგონებს. ამის გამო საფიქრებელია, რომ იმათსავით „ლამშქარნი“ და „სპანი“**-ც საქართველოს განსაკუთრებულის გავლენიანი წრის აღმნიშვნელი ტერმინები იყვნენ.

„სპანი“ რომ მხოლოდ უბრალო ჯარის გამომხატველი სიტყვა არ იყო, ამას ქართ. ჟამთააღმწერელის შემდეგი ცნობაც ამტკიცებს: მეფე დავით ლაშას ძე „მიისწრაფდა **პალატად, სადა დახვდეს სპანი** და ვაზირნი **დამალულნი** და შავითა შემოსილნი“ გიორგი უფლისწულის სიკვდილის გამო (ჟამთააღ. * 852, გვ. 697). თავისდა-თავად ცხადია, რომ „სპანი დამალულნი“ სამეფო პალატში აქ ჩვეულებრივი ლაშქრისა და ჯარის აღმნიშვნელი ვერ იქმნება და ავტორს ეს რასაკვირველია ფიქრადაც არ მოსვლია.

ყველა ზემოაღნიშნულ ცნობებითგან მაშასადამე ცხადად ირკვევა, რომ **იმდროინდელ ქართულში სიტყვები „ლაშქარი და „სპანი“ საგანგებო მნიშვნელობითაც იხმარებოდენ და საქართველოს გავლენიან სამჴედრო წრის გამომხატველ ტერმინებად ყოფილან**. უეჭველია ორივე ტერმინი წრის აღმნიშვნელია და არა სამჴედრო. წოდების: განსაკუთრებული სამჴედრო წოდება საქართველოში არა ჩანს. ამასთანავე „ლაშქართ“ ეკუთვნოდენ თვით დიდებულნიც. **ამ „ლაშქართა“ დამახასიათებელი და შემაკავშირებელი თვისება**, როგორც თვით ტერმინითგან ჩანს, **სამჴედრო ხელობა და მამაცობა იყო**. მაგრამ **ისინი** უბრალო მეომრები-კი არა ყოფილან, არამედ **მეომართა რჩეული ნაწილი, ქვეყნის ბედ-იღბლისა და კეთილდღეობაზე მზრუნველი წრე. უნებლიედ დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების რაინდობა გვაგონდება**, რომელიც

ამგვარადვე მჴედართა რჩეულს და გავლენიან წრეს შეადგენდა და განსაკუთრებულ რაინდულ წესებითა და ზნეჩვეულებით იყო ცნობილი. საგულისხმოა, რომ იქაც რაინდების სახელად იხმარებოდა „milites“ „მილიტეს“ (Schröder. Lehrbuch der deutschen Rechtsgeschichte 1898 წ. გვ. 437-444), ე.ი. მეომარნიო. ძველ საფრანგეთშიაც ლათინური სიტყვა „miles“, „მილეს“, რომელიც რაინდის გამომხატველ ტერმინად იყო მიღებული, ერთსა და იმავე დროს მკჴდარსაც ჴნიშნავდა და წარჩინებულსაც (A. Esmein Cours d'histoire du droit français 1892 წ. გვ. 220). მაშასადამე სახელის მხრივ ზემოაღნიშნულს ქართულ მოვლენასა და დასავლეთ ევროპის რაინდობას შორის ერთგვარი მსგავსებაა. ნ. მარრმა გამოარკვია, რომ რაინდული ზნე და რაინდული სულის კვეთება იმდროინდელ საქართველოშიაც ყოფილა „მოყმეობისა“ და „კარგ-ყმობის“ სახით. **ქართული „მოყმე“ უდრის სწორედ დასავლეთ ევროპის „რაინდს“** (იხ. Вступит и заключ. Чтроыф Витязя въ барсовой кожъ Шоты изъ Рустава съ этюдомъ «Култъ женщины и рыцарство въ поэмъ». Т.Р. წიგნი XII, გვ. X-XXX). **ხოლო თვით „რაინდობა“-სთვის, ვითარცა ერთეული დაწესებულებისათვის, ქართულად მაშასადამე ტერმინად ან „ლაშქარნი“ ან არა და „სპანი“ იხმარებოდა**.

ამ მხრივ **საყურადღებოა, რომ საქართველოშიაც „ლაშქარ“-ში ყოფნა და სამსახური მარტო მოქალაქობრივი** მოვალეობა-კი არ იყო, არამედ საპატიო და საამაყო უფლებად ითვლებოდა ყოველ კეთილშობილ ადამიანისათვის. ისეც-კი ყოფილა, რომ როდესაც დამნაშავეს მოქალაქობრივი დასჯა სურდათ, მაშინ მას თურმე სწორედ ამ უფლებას ჩამოართმევდენ ხოლმე. ამის შესახებ პირდაპირი ცნობა მოიპოვება მე-XIII-ე საუკ.-ის საეკლესიო კრების ერთს ძეგლისწერაში.

საქართველოში წესად იყო, რომ როდესაც რაიმე „მიზეზითა და საქმითა“ რომელიმე დამნაშავე ეკლესიის მიერ „დაიკრულებო და“, მაშინ ეკლესიის მიერ „**დაკრულვილი**“ (ქკ˜ბი II, 165[17]) სამეფო მთავრობის მიერაც უეჭველად „**შერისხული**“ (იქვე II, 165[18]) უნდა ყოფილიყო. ეს იყო თურმე „წესი სახლისა და პალატისა“ სამეფოსი (იქვე IL 165[16-17]).

საყურადღებოა, რომ „დაკრულვილობა“-ს **ავტომატურად** შერისხულობ“-ც უნდა ზედდართოდა საჴელმწიფოს მთავრობის მხრივ: „რათაცა მიზეზითა და საქმითა“ არ დაედვა საქართველოს ეკლესიას თავისი „კრულვა“, ამ მიზეზების განხილვისა და განსჯის უფლება საჴელმწიფო მთავრობას არა ჴქონდა. მას მხოლოდ თავისი მოვალეობა უნდა აესრულებინა. ხოლო „საღმრთოთა წერილ **მოძღურებისა-ებრ**“ მთავრობა ვითომც მოვალე იყო „ჴრმლითა": თან სდგომოდა სჯულთა და წესთა სამღვდელოთა (იქვე II, 165[23-25]).

შერისხულობა თურმე ისე ყოფილა მოწყობილი, რომ შერისხულს „მამული დასჴირვია და ლაშქართა შიგან არ შეშვებულა“ (იქვე II, 165[18-19]). მაშასადამე ჯერ უბრალო ქონება ჩამოერთმეოდა ხოლმე, ხოლო შემდეგ „ლაშქართა შიგან“ სამსახურისა და ყოფნის უფლება მოესპობოდა.

ამ ფრიად საყურადღებო ცნობის წყალობით ირკვევა, რომ **საქართველოს მცხოვრებთა ძირითად მოქალაქობრივ უფლებად მიჩნეული ყოფილა ჯერ ერთი „მამულის“ სრულ მფლობელობის უფლება, შემდეგ „ლაშქართა შიგან“ ყოფნისა და სამსახურის უფლება[1]).**

ჩვენთვის ამ ჟამად ის გარემოებაა უფრო საყურადღებო, რომ „ლაშქართა შიგან“ სამსახურისათვის აუცილებელ პირობად საქართველოში ყოფილა უმწიკვლო სახელი და პატიოსანი, უდანაშაულო ყოფა-ქცევა, სარწმუნოების და ეკლესიის ერთგულებაც.

საქართველოს მოწინავე წრეების წევრებს განსაკუთრებული. მტკიცედ შემუშავებული ზნე და ქცევის ჩვეულება ჴქონიათ. ურთიერთ შორის თანასწორობის და შესაფერისად

[1] საგულისხმოა, რომ რომაულ სამართლის თანახმადაც უძრავ ქონების მფლობელობისა და განთვისების უფლება, ანუ ე. წოდებული „იუს კომმერციი“ (jus commercii) და ლეგიონებში სამჴედრო სამსახურის უფლება საარჩევნო უფლებასთან ერთად (jus suffrugii და jus honorum) რომაულ მოქალაქის ძირითადს უფლებას 'მეადგენდა (იხ. P.F. Girard. Droit romain V-ième èd 1911 წ., გვ. 107). საფრანგეთშიაც, საშუალო საუკუნეების საპატრონყმო წესწყობელების დროსაც საპატრონყმო მიწის მფლობელობის უფლება, განსაკუთრებით-კი სამჴედრო რაინდული სამსახურის უფლება წარჩინებულთა ძირით:დს უფლებას შეადგენდა (A. Esmein. Cours d'histoire du droit français. 1892-1893 წ., წიგნი I-II, გვ. 220, 223).

შემუშავებული **ერთმანერთის დახვედრისა და მისალმების „წესი"-ც კი არსებობდა თურმე**. წარჩინებულნი მოვალენი იყვნენ ერთმანერთისადმი თანასწორი პატივისცემა გამოეჩინათ, იმიტომ რომ ურთიერთის „**პატივით ხილვა**“ ამ წესის ზრდილობიანობის საანბანო ჭეშმარიტებად ითვლებოდა, „**წესისაებრ პატივით ხილვა“ იმაში მდგომარეობდა, რომ როდესაც წარჩინებულნი ცხენზე მჯდომნი ერთი მეორეს შეხვდებოდენ, ორივენი მოვალენი იყვნენ ჯერ ჩამოქვეითებულიყვნენ, ხოლო შემდეგ კოცნით მისალმებოდენ ერთმანერთს**. ქართ. ჟამთააღმწერელს აღწერილი აქვს ერთი შემთხვევა, როდესაც. ეს წესი დაურღვევიათ, მაგრამ ესეც ისტორიკოსს საძრახის სილაღის შედეგად მიაჩნია. ჟამთააღმწერელს ასე აქეს მოთხრობილი მთელი ეს ამბავი. ავაგ ამირსპასალარი უცხოეთიდგან საქართველოში ბრუნდებოდა და „ვითარ ცნეს ქართველთა მოსვლა ავაგისი ამირსპასალარისა, წინამოეგებნეს **ყოველნი** მთავარნი და **წარჩინებულნი**, - თჳთ შანშა და ეგარსლანი, რომელ!ა, კნინდა და სახელიცა მეფობისა ეპყრა და ვითარ მიეახლა ავაგ, **ჰგონებდა [ჰ]ონისაგან გარდამ[ო]ჴდომად და ეგრეთ ხილვად ეგარსლანისაგან**. ხოლო იგი განლაღებულ იყო: **არა ინება წესისაებრ პატივით ხილვა[დ] და ამბორის ყოფად ავაგისა**“ (ჟამთააღ. * 807, გვ. 650) და ამიტომაც შესაფერისად დაისაჯა.

პატრონყმობა

საქართველოს საჴელმწიფო. და განსაკუთრებით საზოგადოებრივ წესწყობილების გათვალისწინება და ხორცშესხმულად წარმოდგენა შეუძლებელია, თუ პატრონყმობა შესწავლილი არ გვექმნება, იმიტომ რომ საქართველოს სოციალური ცხოვრება ამ დაწესებულებაზე იყო დამყარებული, პატრონყმობა მაშინდელს საქართველოს თავისებურს მიმართულებასა და ელფერს აძლევდა.

სიტყვა „პატრონი“ ქართულ მწერლობაში ძველი არ არის. მე-X-ე საუკუნის ისტორიკოსების თხზულებებში, მაგ. გიორგი მურჩულისა და ბასილ ზარზმელის ნაწარმოებებში, ეს ტერმინი არა გხვდება. მხოლოდ შემდეგში, მე-XI-ე საუკ.-ითგან მოყოლებული შემოდის ეს ტერმინი საყოველთაო. ხმარებაში, მკგრამ საფიქრებელია, რომ ცხოვრებაში ამაზე კარგა ხნით უწინარეს უნდა ყოფილიყო მიღებული. თუ „მე-XV-ე საუკუნის ხელით“ მოწერილს ფავნელისა და მიქაელ მემღვიმის მე-X-ე საუკ.-ის საბუთში გადაწერის დროს სიგელის ენა შეცელილიი არ არის, მაშინ ამ საბუთში პირველად გვხდება ტერმინი „პატრონი“, რომელიც მე-XV-ე ს.-ის გადამწერს თავისდროინდელ გამოთქმით და მართლწერით „პატონ-“ად გადაუკეთებია)იხ. შიომღ. ისტ. საბ. 2[16]).

„პატრონი“ ვითარცა ტერმინი რამდენიმე მნიშვნელობით იხმარებოდა. **ჯერ ერთი „პატრონი“ მფარველს, მზრუნველს და მოურნესა ჰნიშნავდა**. მაგ. „მტ˜ნე ქჲ“ ამბობს, რომ მცირეწლოვან გიორგი უფლისწულისათვის, ბაგრატ IV-ის ძისათვის, „მოიყვანეს **მზრუნველად** ამისა ლიპარიტ და პატრონად დაჲ ბაგრატისი“ ო (493, გე. 266). თამარ მეფის ისტორიკოსსაც ნათქვამი აქვს, რომ როდესაც თამარისათვის საქმროს ირჩევდენ, მამინ სხვათა შორის იმიტომაც ჩქარობდენ, რომ იყოო „**წადილი პატრონისა... ლაშქართა სპათა მისთა ზედა**“ (ისტ˜რნი და აზმნი * 634, გვ. 413). ატენისა „სიონისა მე-XI-ე საუკ. კედლის წარწერაშიაც სწერია: „ძლიერმან მეფეთა მეფემან ბაგრატ ბრძანეს... **მირიანს პატრონსა ჩემსა** სეფესა ზუარსა შიდა ქალაქისა შენებაჲ... ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი, შეგჳწყალნა მეფობამან მათმან სასახლენი ადგილნი და საქოლბაგენი მკჳდრად ნებიერობით გვიბოძნა **მირიანს და ყმათა მისთა**... შევსწირე წმიდასა სიონსა ატენისსა... სალოცველად სულისა მირიან... **გამზრდელისა პატრონისა ჩემისა თჳნ**-“ო, (იხ. ჩემი Къ вопросу о врем. Пост. Груз. Храма въ Атени, ХВ. Т. I, вып. III, გვ. 286 და 9289-290), როგორც პირველს ორს მაგალითში, ისევე ამ წარწერაშიაც რასაკვირგელია პირად პატრონობაზე, მზრუნველობაზე, პირად დამოკიდებულებაზეა ლაპარაკი. ამას ამტკიცებს სიტყვები „მზრდელი“ და „პატრონი“, „გამზრდელისა პატრონისა ჩემისათჳნ“.

ატენის ზემომოყვანილი წარწერავე გვიჩვენებს, რომ ეკლესიისადმი მამულის შემწირველი მირიანის „**ყმა**“, ყოფილა. როგორც ეტყობა, მირიანს ამნაირი ყმები სხვაც ჰყოლია იმიტომ, რომ წარწერაში მრავლობითად არის ნათქვამი, - 1ყმა მისთა“-ო.

ტერმინი „**ყმა**“, რომელსაც განსაზღვრული პირად და უფლებრივ დამოკიდებულებაში მყოფ ადამიანის აღსანიშნავად ხმარობდენ ხოლმე, წარმოსდგა სიტყვისაგან „„ყრმა“', რაც ძველს ქართულ მწერლობაში, მაგ. დაბადებასა და სახარებაში, ბავშსა ჰნიშნავს: ამ ძეგლებში ქართული „ყრმა“ ბერძნულს „პაის“-ს და სომხურს „მანუკ“ს “უდრის (შეად, მათე, თ. XIV[21], XV[38], XVIII[2], XIX[15]. მარკოზ თ. V[40-41], IX[37], X[37] და სხვაგან ბევრგან. „ყრმა“ თავდაპირველად სქესისა განურჩევლად. ხოლო შემდეგში მამრობითი სქესის ბავშვის აღსანიშნავად ითვლებოდა და განსაკუთრებით მცირეწლოვანისა. ამგვარი. მნიშვნელობა ამ სიტყვას მე-XIII-XIV-ე საუკ.-ის ძეგლებშიაც-კი აქვს შერჩენილი. თუმცა საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ნათქვამი აქვს: „**ათხუთმეტის** წლიდამ **ვიდრე ოცს წლამდე** ვაჟსა - **ყრმა**“ ეწოდებოდა, ხოლო „**ოცის წლიდამ ვიდრე ოცდაათამდე** ვაჟსა **ჭაბუკი**“ ერქვაო (გვ. 143), მაგრამ ქართ, საისტორიო ძეგლები გვიჩვენებენ, რომ ჩვენი დაუვიწყარი მეცნიერი ამ შემთხვევაში ცდება. იოანე საბანის ძე ჰაბო ტფილელზე მაგ. ამბობს, რომ იგი „იყო. ყრმა - ჭაბუკ ვითარ **ათრვამეტისა წლისა, გინა**

უკნინწს **ათშჯდმეტის წლისა**“-ო, როდესაც ნერსე ერისთავს მსახურად დაუდგა (ც˜ ჰაბო˜სი 15[25-26]). მაშასადამე **ჭაბუკად ოცის წლითგან კი არ ითვლებოდენ, არამედ 17 წლისანიც - კი უკვე ჭაბუკები ყოფილან**. მაგრამ ამაზე უფრო ჯეელებიც ჭაბუკად ყოფილან ცნობილნია: მას „მტ˜ნე ქ˜ჲ“-ს შემდეგი ცნობაც ამტკიცებს. მეფე გიორგი I-ზე იქ ნათქვამია: სამეფო ტახტზე ავიდა „**ჟამსა** ოდენ **სიყრმისა და სიჭაბუკისა** მისისა, რამეთუ **იყო** რაჟამსა მეფე იქმნა **წლისა ათექუსმეტისა**“-ო (* 473, გვ. 247). ანა დედოფლისეულის ხელთნაწერში ამ ადგილას 16 წლის მაგიერ 12 სწერია (იხ. ქ˜ლი ერის ისტორია II, 423). თუნდაც რომ ამ უკანასკნელ ხელთნაწერში ამ ადგილას შეცდომა იყოს, მაინც **ცხადია, 16 წლისანიც უკვე ჭაბუკებად ირიცხებოდენ**.

ყველა ზემომოყვანილ ცნობითგან ისიც ირკვეკა, რომ საბა ორბელიანის პირველი განმარტებაც, ვითომც ყრმად 16-20 წლისანი თთვლებოდენ, შემცდარია: რაკი 16 წლისა უკვე ჭაბუკად იხსენიება, აშკარაა, რომ ყრმობის დასაწყისი სამზღვარი ამაზე გაცილებით ადრე უნდა იწყობოდეს. მართლაც ქართ. ჟამთა აღმწერელი ამბობს: „გვანცა მიუდგა და **შუა ყრმა** და უწოდა დიმიტრი“-ო (* 823, გვ. 669). მაშასადამე მამრობითი სქესის **ბავშვი უკვე დაბადებითგანვე ყრმად იწოდებოდა**.

რომ ამ შემთხეევაში ქართ. ჟამთააღმწერელს მხოლოდ ძველი მნიშვნელობა აქვს შენახული და **„ყრმა“ თავდაპირველადაც ბავშვს დაბადებითგანვე ეწოდებოდა, ამას ძველი აღთქმის ქართული თარგმანიც ცხად ჰყოფს**. აი მაგ. „გამოსლვათა“ წიგნში ახლად დაბადებულ მოსეს ფარაოს ასულის მიერ პოვნის ამბავი როგორ არის მოთხრობილი: „შთავიდოდა ასული ფარაოჲსი ბანად მდინარწსა მას და შიმონვარნი მისნი უვიდოდეს იმიერ და ამიერ მდინარისა კიდესა მას. და იხილა კიდობანი იგი მწყურებსა მას. მოავლინა შიმონვარი და მოიღო იგი, აღაღო და იხილა **ყრმაჲ** იგი **ტიროდა რაჲ კიდობანსა** მას შინა“ (გამოს. თ. IL 5-6). ამ ადგილს გარდა, სადაც ცხადზედ უცხადესად ჩანს, რომ. „ყრმა“ ახლად დაბადებულს ბავშვსაც ეწოდებოდა, **თვით სიტყვა „ყრმისა ალმქუმელი“-ც ამტკიცებს, რომ „ყრმა“ თავდაპირველად სწორედ ახლად შობილს ბავშვს ჰნიშნავდა, ამასთანავე სქესის განურჩევლად**. „ყრმისა-აღქუმელი“ ბებიას ერქვა და ამ ორნაწილედს სიტყვაში, რომელიც ბავშვის-აღმნიშვნელია. ყველა ზემომოყვანილი ცნობა ცხად-ჰყოფს, რომ პრ. ნ, მარრის აზრი, ვითომც „ყრმის“ ძირითადი მნიშვნელობა „სქესობრივად ჰასაკში მოსული“ («Зрълый въ половомъ отношеніи» იხ. «Вступ. И заключ. Строфы витязя въ барсовой кожъ» TP. წიგნ. XII, გვ. XXXVI- XXXVII) ყოფილიყოს, არ მართლდებთა.

მარტო ის გარემოებაც, რომ ტერმინი „ყმა“ სიტყვა „ყრმისა“-გან არის წარმომდგარი, გვაფიქრებინებს, რომ ყმათა პირადი უფლება ცოტად თუ ბევრად მაინც შეზღუდვილი უნდა ყოფილიყო, რაც საბუთებითა და საისტორიო წყაროების მოწმობითაც მტკიცდება.

ზევით უკვე აღნიშნული იყო „პატრონი“-ს ერთი მნიშენელობათაგანი. ამ ტერმინს, როგორც ვსთქვით, სხვა მნიშვნელობითაც ხმარობდენ. მაგ. ეს სიტყვა კერძო მესაკუთრესა და მფლობელსაც ჰნიშნავდა. მიქელ მემღვიმე, რომელმაც თავის მამულში ციზე ააგო, თავის თავს ამ ციხის „**პატრონ**“-ად სთვლია (შიომღ. ისტ. საბ. გვ. 2). კერძო მფლობელისავე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას შიომღვიმევის 1250-60 წ. სიგელშიაც, სადაც „**მიწის პატრონი**“-ა მოხსენებული (იქვე 60).

ზემოთქმულის შემდგომ ცხადია, რომ **პატრონყმობა მაშინდელ საქართველოს ცხოვრების როგორც სოციალურს, ისე ეკონომიურს მოვლენას ახასიათებდა და გამომხატველი იყო.**

მაგრამ ამასთანავე „**პატრონყმობა**“-ს საჴელმწიფო წესწყობილებაზედაც დიდი გავლენა ჰქონდა. ამაზე მეტიც. ითქმის, **საქართველოს საჴელმწიფო წესწყობილების ერთ ფრიად დამახასიათებელ მოვლენის გამომხატველიც იყო.** ეს იმითაც მტკიცდება, რომ „**პატრონი**“ მარტო კერძო მესაკუთრესა და მფარველს-კი არ ეწოდებოდა ე.ი. მარტო საზოგადოებრივ და უფლებრივ დამოკიდებულებათა დამახასიათებლად კი არა ჩანს, არამედ **მეფეს და ჴელმწიფესაც ჰნიშნავდა**. მემატიანეს უნდოდა მაგ. მკითხველისათვის ემცნო, რომ მწიგნობართა უხუცესი გიორგი ჭყონდიდელი მეფე დავით აღმაშენებელთან ერთად იყო აღზრდილი, და აი როგორ აქვს მას ეს აზრი გამოთქმული: გიორგი ჭყონდიდელი იყო „**თანააღმზრდელ-აღზრდილი პატრონთა**“-ო (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი * 534, გვ. 301), თანაც იგი „თავ-

ადგა სიყრმითგანთა **პატრონის** მსახურებათა“-ო (იქვე * 535, გვ. 301), პატარაობითგანვე სამეფო სამსახურში იყო. თამარ მეფის ისტორიკოსიც ხმირად მეფის მაგიერ „პატრონ“-სა ხმარობს. მას მაგ. აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს ძლევამოსილი ლაშქარი და სახელოვანი მეომარნი დაბრუნდენ თუ არა ბრძოლის ეელითგან, „მოვიდეს წინაშე **პატრონსა** მას ღვთივ-განათლებულსა“-ო, თამარ მეფეს წარუდგენო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 637, გვ. 418). როდესაც თავის საბრძანებლითგან განდევნილი შარვანშა თამარ მეგესთან მოვიდა და დახმარებას სთხოვდა: უბრძანეთ ლაშქართა თქვენთასა **აღება ყოვლისა სპარსეთისა**, მაშინ დასუით ასული თქვენი... **პატრონად ყოვლისა სპარსეთისა**“-ო (იქვე * 667, გვ. 45 6).

ყველა ზემომოყვანილი და მრავალი სხვა ამგვარი მაგალითი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ცხად-ჰყოფს, რომ „პატრონი“ მეფესაც ჰნიშნავდა და ეწოდებოდა.

მაგრამ როგორც „პატრონი“ მესაკუთრესაც, მფარეელსაც და მეფესაც ეწოდებოდა, თავის მხრივ ტერმინი **„ყმა“-ც ქვეშევრდომსაც ჰნიშნავდა**, თუნდაც ეს ქვეშევრდომი დიდებული აზნაური, ან მოჴელე ყოფილიყო. მაგ. თამარ მეფის ისტორიკოსი თამარის დიდებულების შესახებ ამბობს: „მოეგებნეს წინა ზაქარია ფანასკერტელი და ძინიელი, კალმახელი, **ყმანი** კარგნი, პატრონისაგან შეწყალებულნი“-ო (ისტ˜რნი და აზმნი * 658, გვ. 445). ცხადია აქ „**ყმანი**“ ქვეშევრდომს უდრის, ე.ი. **საჴელმწიფო ცხოვრების მოვლენას ახასიათებს**.

ამისდა გვარად სიტყვა „**ყმობა**“-ც ქვეშევრდომობის აღმნიშვნელადაც იხმარებოდა. ქართველი მემატიანე ლიპარიტის შვილის ნიანიას შესახებ, რომელიც ბაგრატ IV-ეს გაექცა და ბიზანტიას შეეფარა, ამბობს: თავისი დღენი იქ გაატარა „და ნიანია მოკუდა **ბერძენთა ყმობასა შინა**“-ო (მტ˜ნე ქ˜ჲ * 496, გვ, 268).

სიტყვა „ყმა“-ს რომ „პატრონ “-სავით პოლიტიკური მშნიშვნელობაც ჰქონდა და საჴელმწიფო ცხოვრების მოვლენისა და დამოკიდებულებათა გამომხატველიც იყო, შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს: ჩვენი ისტორიკოსი ათაბაგსა და შარვანშაჰს, რომელნიც საქართველოს მეფის მფარველობის ქვეშე იყვნენ, თამარ მეფის „ყმებს“ ეძახის, ხოლო მათ მორჩილებას „**ყმად ყოლა**“-ს (ისტ˜რნი და აზმანი * 677, გვ. 470)·

როგორც მეფე თავის დიდებულ ქვეშევრდომ „ყმების“ პატრონად ითვლებოდა, ისე ეს მეფის „ყმები“ თავიანთ მხრივ საკუთარ ხელქვეითების „პატრონნი“ იყვნენ, ხოლო მათი ხელქვეითნი“, როგორც ზემომოყვანილ ატენის „სიონის“ წარწერამაც დაგვარწმუნა, „ყმებად“ იწოდებოდენ. ამ ყმებსაც შეიძლება თავიანთი საკუთარი ყმები ჰყოლოდათ, რომელთათვის ისინი „პატრონები“ იყვნენ. ამ ნაირად **თითქმის მთელი მამინდელი საქართველო** მეფისაგან მოყოლებული უბრალო მდაბიომდე „**პატრონყმობის**“ **უღელში იყო შებმული** და ცხოვრების ტვირთს ეზიდებოდა.

დიდებული ჴელისუფალნი და ძლიერნი გვარის შვილნიც რომ მეფესავით „პატრონებ“-ად იწოდებოდენ, ამას ქართ. ისტორიკოსთა თხხულებებიც ცხაღ-ჰყოფენ. თამარ მეფის ისტორიკოსი მაგ. შემდეგ პირთ ასახელებს: აფრიდონ „თმოგვისა და სხეათა ციხეთა პატრონობამდის აღზეებული“ (ისტ˜რნი და აზმანი * 629, გვ. 406), გუზან „**პატრონი** კლარჯეთისა და შავშეთისა“ (იქვე * 649, გვ. 434), ვარდან დადიანი „**პატრონი** ორბეთისა და კაენისა და ლიხთ-იქით ნიკოფსიამდის უცილობლად“ მქონებელი (იქვე * 650, გვ. 435), მჴარგრძელი „**პატრონი** ლორისა“ (იქვე * 657, გვ. 444), იოანე ვარდანის ძე „**პატრონი** გაგისა“ (იქვე * 652, გვ. 438) და მაყა „**პატრონი** კოწონისა“ (იქვე).

მაშასადამე ყველა საისტორიო საბუთითგან ნათლად მტკიცდება, რომ **„პატრონყმობა“ ერთსა-და-იმავე დროს სოციალურ ცხოვრების მოვლენის დამახასიათებელიც იყო, საჴელმწიფო წესწყობილების მოვლენისაც**: „პატრონი“ მეფესაც ჰნიშნავდა, მზრუნველსა და მფარველსაც, მესაკუთრესაც, - „ყმა“ ქვეშევრდომსაც ეწოდებოდა და სხვის მფარველობის ქვეშე მყოფსაც, სხვის უფლების მორჩილსაც, რომელიც ამასთანავე „პატრონის“ საკუთრებად ითვლებოდა. ერთი სიტყვით, კერძო და საჴელმწიფო ცხოვრების მოვლენანი და დაწესებულებანი ერთმანერთზე იყვნენ გადაბმულნი, თითქოს. საჴელმწიფო წესწყობილება საქართველოში ცხოვრების კერძო განწყობილებისაგან ყოფილიყოს წარმომდგარი. **იმ დროს მაინც-და-მაინც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმთავრეს და დამახასიათებელ მოვლენას სწორედ ეს „პატრონყმობა“ შეადგენდა**.

ბაგრატონიანთა საგვარეულო მემატიანეს სუმბატს ერთი ფრიად საგულისხმო და საყორადღებო ცნობა აქვს შენახული, რომელიც საშუალებას გვაძლევს სხვა-და-სხვა გვარ პატრონყმურ დამოკიდებულების წარმოშობა და განსხვავებაც გავითვალისწინოთ. მემატიანე აშოტ დიდ კურაპალატის მოღვაწეობას გვისურითებს მისს ახალ სამფლობელოში, შავშეთ-კლარჯეთში. სუმბატს ნათქვამი აქვს, რომ „**ჴევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა**, რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოჴრდა... კუალად შემდგომად მისსა სლვამან სატლობისამან მოაოჴრა შავშეთი და კლარჯეთი **და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ**. ხოლო **დაშთომილთა მათ მკჳდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი** სიხარულითა და სიყუარულითა. და **დაემკჳდრა მუნ** და მისცა ღმერთმან გამარჯუება და **აჴელმწიფა იგი შავშეთ-კლარუგეთსა ზედა**. და **მან სოფლები ზოგი იყიდა საფასითა** და ზოგი **ოჴერი აღაშენა** და განამრავლნა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა შათ შინა“-ო (სუმბატ. ც˜ა და უწყება * 573-574, გვ. 343).

მაშასადამე, ამოტ კურაპალატი აოჴრებულ ქვეყანაში მისულა, სადაც თითო ოროლა სოფელში შერცენილს მცხოვრებლებს სიხარულით მიუღიათ. მათ მისი უფლება და მფარველობა ნეებაყოფლობით „შეუწყნარებიათ“· აშოტი მათ მფარველობას გაუწევდა, განსაცდელისა და მტრისაგან დაიცავდა. სამაგიეროდ მცხოვრებლებმა ის „შეიწყნარეს“, მისი უფლება აღიარეს, „პატრონად“, ანუ როგორც იმ დროს ამბობდენ, „უფლად“ გაიხადეს. ამით რასაკვირველია მათი პირადი თავისუფლება უნდა შეზღუდვილიყო.

შემდეგ მემატიანეს თქმით აშოტს ზოგი სოფელი უყიდია, პირად, კერძო საკუთრებად გაუხდია. ზოგი კიდევ, სრულებით გაოხრებული და უკაცრიელი ნასოფლარი მას კვლავ აღუდგენია; ხალხი მოუყვანია და დაუსახლებია.

ამგვარად ცხადია, რომ აშოტ დიდ კურაპალატის მოღვაწეობაში სამი სხვადასხვანაირი მოქმედებაა, რომელთა თვისება არსებითად განსხვავდება ერთი მეორისაგან. ამის გამო უეჭველია, რომ ის დამოკიდებულებაც, რომელიც აშოტსა და შავშეთ-კლარჯეთის მცხოვრებთა შორის უნდა დამყარებულიყო, სხვა-და-სხვა ხასიათისა იქმნებოდა, სულ ცოტა, იქ სამგვარი მაინც, ერთი მეორისაგან განსხვავებული პატრონ-ყმური დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო.

მართლაც და პატრონ-ყმური დამოკიდებულება უფლებრივადაც და ქონებრივადაც სხვა-და-სხვა ნაირი იყო, იმისდა მიხედვით, თუ რა ნიადაგზე იყო დამყარებულ იგი. ყმები სახელითაც განსხვავდებოდენ ერთმანერთისგან, მაგ. ზოგი იყო „**შეწირული**“, ზოგი „**ნებიერი**“, ზოგი კიდევ „**სიგლოსანი**“ (რკონის 1258 წ. სიგ., ქკ˜ ბი, II, 135$_{14}$). ამ სამ ჯგოფს გარდა ყმათა სხვა ჯგუფებიც არსებობდენ.

იმისდა გვარად, თუ რა საფუძველზე იყო დამყარებული ყმობა, ყმის მდგომარეობაც განსხვავდებოდა ხოლმე.

ცხადია მაგ., რომ როდესაც მებატონე უმამულო ყმას თავისს საკუთარს მიწას აძლევდა და ზედ დაასახლებდა, ამ შემთხვევაში პირად პატრონ-ყმობასა და მფარველობას გარდა ეკონომიური დამოკიდებულებაც იყო ხოლმე და ყმა უკვე ქონებრივადაც პატრონისაგან იყო დავალებული. ასეთის ყმის მდგომარეობა უეჭველია უფლებრივადაც უფრო შეზღუდვილი იქმნებოდა, ვიდრე ისეთ ყმებისა, რომელთაც თავიანთი საკუთარი მამული ჰქონდათ. ქვემომყეანილ მაგალითების დედააზრის გასათვალისწინებლად უნდა ვიცოდეთ, რომ ძველს ქართულ საბუთებში ხშირად „ყმა“-ს მაგიერ „გლეხი“ იხმარებოდა და „გლეხი“ ყმასა ჰნიშნავს.

მიწის პატრონს თავის მიწაზე ყმა-გლეხის დასმა მაშინ შეეძლო, როდესაც მას თავისუფალი, უკაცრიელი მიწა ჰქონდა. გლეხის ამგვარ დასახლებას „**მიწასა ზედა დასმა**“ ან „**დასახლება**“ (ნიკორწ. XI ს. სიგ,. ქკ˜ბი II, 47) ეწოდებოდა. „თუ **მიწაჲ დაუკაცრდებოდეს**“-ო, ნათქვამი აქვს კახა ერისთავთ-ერისთავს რკონის 1258 წ. სიგელში, ამოვარდნილ ყმა-გლეხის მაგიერ „**სხუაი გლეხი დაისმოდეს ზედა**“, რომ ამ გზით შეწირულს მამულს მონასტრისათვის ყოველთვის ერთგვარი შემოსავალი მოეტანა: ყმათათვის დადებული „**სამსახური და კულუხი** ნუ წაჴდების“-ო (ქკ˜ბი II, 137$_{14-16}$). ნიკორწ. მონასტრის მე-XI-ე საუკ. საბუთშიაც ნათქვამია: „**გლეხი დავასახლე** აგარასა შინა **და ბეგარასა გარდაიხდიდეს**“-ო (ქკ˜ბი II, 47$_{18-19}$).

საფიქრებელია, რომ მიწის „**საბეგროდ გაცემა**“, ან „**საკაბალოდ გაცემა**“ ყოველთვის და თავისდა თავად პატრონყმობის დამკვიდრებას არ მოასწავებს. მაგ. როდესაც იმავე ნიკორწ.

მონასტრის საბუთში სწერია: „ვიყიდე **ვენაჯი**... და **გლეხთა მივეც**"-ო (ქკ˜ბი II, 48$_{8-9}$), „ვიყიდე **ვენაჯი**... და **მივეც გლეხსა საბეგროდ**"-ო (იქვე II 48$_{10-11}$), „მოვიგე **მიწ**ა და **მივეც მათვე საკაბალოდ**"-ო (იქვე II, 48$_{19}$), „მოვიგე **მიწაჲ** და **მივეც გლეხსა საბეგროდ**"-ო (იქვე II, 48$_{33}$). იქმნებ ყველა ამ. შემთხვევაში მხოლოდ მიწის ან ვენახის მოსაჯნავად და დასამუშავებლად მიცემაზე იყოს ლაპარაკი, საღალოდ და საკულუხოდ გაცემაზე. მაინცდამაინც არა ჩანს, რომ ამ მიცემით პატრონ-ყმური დამოკიდებულება დამყარებულიყოს, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში აღნიშნული არ არის, რომ ეს გლეხნი მიწის პატრონს თავის მიწაზე „დაესვას" და დაესახლებინოს. განსაკუთრებით-კი იმიტომ, რომ აღნნიშნული არ არის ამ გლეხთა მიერ ნაკისრი, ან მებატონეს მიერ მათზე დადებული „სამსახური", სახელდობრ „სამსახური ყმებრივი". რაკი პატრონ-ყმური დამოკიდებულება ყმისაგან „სამსახურს ითხოვდა, ამიტომ ცხადია, რომ მარტო მიწის „საბეგროდ მიცემა" პატრონ-ყმობას ვერ შეჰქმნიდა, თუკი „გლეხი", რომელიც საბატონო მიწას აიღებდა, ამასთანავე ყმობას არ იკისრებდა და „ყმებრივს სამსახურს" არ დაიდებდა. მერმინდელს დროშიაც კი, ვახტანგის კანონებშიაც საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ როდესაც ვისმე უნდოდა რომელისამე მებატონის ყმად გამხდარიყო, თვითონ უნდა მისულიყო და განეცხადებინა: „შენ გყმობივარო" (§ 198). მით უმეტეს რასაკვირველია იმ დროს, რომელსაც ვიკვლევთ, ამგვარი ნებაყოფლობითი განცხადება ყმობისა და ყმებრივ სამსახურის სურვილის 'მესახებ აუცილებლად საჭირო იქმნებოდა. ამასთანავე საყმოდ მიცემულის მიწაც ამისთანა შემთხვევებში „მკვიდრად და სამამულოდ" ეძლეოდა ხოლმე ყმას მიწის და ყმის პატრონისაგან.

როგორც ზევით აღნიშნული იყო, ყმათა ანუ გლეხთა ერთ-ერთ ჯგუფს „**ნებიერნი**" (1258 წ. რკონის სიგ. ქკ˜ბი II, 135) შეადგენდენ. ძველ ქართულში „ნებიერი" ისეთს ადამიანს ეწოდებოდა, რომელსაც თავის ნებისა და სურვილისაებრ შეეძლო ემოქმედნა. ამისდა მიხედვით „ნებიერი გლეხი" ალბათ ისეთს ერქვა, რომელიც თავის ნებაყოფლობით და სურვილით ეყმო „პატრონს" და ვითარცა „ნებიერს" იქნებ საპატრონყმო პირობის შეკვრის დროს აღნიშნული ჰქონდა, რომ განსაზღვრულ გარემოებაში შეეძლო ყმობისაგან ისევ თავი დაეღწია და წასულიყო. ნებაყოფლობით ყმა შესულს ხშირად საკუთარი მამული ჰქონდა ხოლმე (იხ. ჩემი სქ˜ს ეკონ. ისტორია I, 12).

გაცილებით უფრო დაბლა უნდა მდგარიყო უფლებრივად „**ნასყიდი ყმა**", ანუ „**ნასყიდი გლეხი**" (გრიგ. სურამელის 1250 წ. შეწირ. წიგ., ს. კაკ. გამ. 5$_{16-17}$), იმიტომ რომ ის პირადად „ნებიერად"-კი არ იყო ყმად გამხდარი, არამედ „პატრონის" მიერ იყო ნაყიდი. „ნასყიდ" გლეხთაგან ზოგს საკუთარი მამული ჰქონდათ ხოლმე და „პატრონი" მათ მამულიანად ყიდულობდა. მაგრამ „ნასყიდ" ყმათა შორის უმამულონიც იყვნენ (სქ˜ს ეკონ. ისტორია I, 12-13) - და რასაკვირველია ისინი სხვებზე უფრო უარესს უფლებრივს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ, იმიტომ რომ მათთვის „პატრონს" ან მამული, ან სხვა რაიმე სარჩო უნდა მიეცა. ყიდვის დროს ხშირად საგანგებო პირობა იდებოდა და მიზანიც განსაზღვრული იყო ხოლმე, თუ რისთვის ყიდულობდენ ამა-თუ-იმ პირს: ზოგჯერ „პატრონი"-სათვის ხელოსანი იყო. საჭირო და ხელობის მცოდნე კაცი და ისიც საამისო კალს ყიდულობდა ყმად. მაგ. როდესაც მსახურთ-უხუცესმა გრიგოლ სურამელმა მღვიმელთ „წისქუილნი აომენა, მან ამ წისქვილისათვის „**გლეხი იყიდა მეწისქუილედ**" და მათვე, მღუიმელთა შესწირა" (1250 წ. გრ. სურამელის შეწ. წიგ., ს, კაკ. გამ. 7$_{14-16}$). მაშასადამე ეს ყმა „მეწისქუილე"-დ იყო ნაყიდი და ამის მეტი მას სხვა არავითარი მოვალეობა და სამსახური არ ედვა. მისი შთამომავლობისგანაც ერთ-ერთი ყოველთვის მეწისქვილედ უნდა ყოფილიყო გაწვრთნილი და წისქვილში ემსახურა.

პატრონყმობის ერთ-ერთ მიზეზად შეუძლებელი მოვალეობაც იყო. ვახტანგ VI-ესაც აღნიმნული აქეს, რომ შეუძლებელი მოვალე, თუ მას „საქონელი არა ჰქონდეს", ყმად „მიეცემის იმ საქმით, რომ ურჯულოზედ არ გაყიდოს"-ო (§ 142). ასევე იყო ძველ დროს, იმ ხანაში, რომელსაც ჩვენ ახლა ვიკვლევთ. თუ არა? პირდაპირი ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ შენახულია ერთი ქადაგება, რომელიც ამავე საგანს შეხება. ეს ქადაგება მშვენიერის ძველის ქართულით ნაწერი მ. ჯანაშვილმა აღმოაჩინა ერთს ხელთნაწერში და გამოსცა თავისს წიგნში „ქართული „მწერლობა" (I, გე. 204-234), გამომცემელს გარკვევით აღნიშნული არა აქვს,

თუ სად არის ეს საყურადღებო ძეგლი შენახული. არც სათაური ჩანს ამასთანავე და არც ავტორი.

ამ ქადაგებაში დიდი სიცხოველით და მხატვრული ნიჭით არის დასურათებული ის სავალალო. მდგომარეობა, რომელიც შეუძლებელ მოვალის ჩვეულებრივი ხვედრი იყო ხოლმე. მისი უფლებრივი მდგომარეობა ამ თხზულებაში ასეა წარმოდგენილი:„**მოვალჱ მონაჲ არს მოსესხისაჲ“ და მონაჲ სყიდული, რომლის მსახურებაჲ თანა-წარუვალ არს**“-ო (იქვე 213). მაშასადამე უფლებრივად შეუძლებელი მოვალე ისეთსავე მდგომარეობაში ყოფილა, როგორმიაც ნასყიდი ყმა იყო.

ყოველი „მოსესხე“ უსაბუთოდ და უსარგებლის-სარგებლოდ ფულს არავის მისცემს და „შეკრის ჴელისწერილებითა“, რომ მან ამდენი და ამდენი „აღნადგინები“, სარგებელი უნდა იხადოს (იქვე 206). მოვა ვადაც, „მოიწევის ჟამი იგი მიცემისაჲ თანანადებისაჲ“ და მას-კი მისაცემი ფული არა აქვს (იქვე 221). „თანანადებს“, თავნს სარგებელი ემატება, სარგებელს სარგებელი და ამგვარად ჩნდება „ვახში“, რომელიც „სახლთა თანამდებთასა (ე.ი. მოვალეებისას) შეშჭამს“ (იქვე), ომიტომ რომ **ვინც „მისცეს თავი თჳსი თანანადებთა აღნადგინებისათა, რომელთა მიცემა ვერ ძალუცნ** (sic). **ესე ვითარსა მას მიუცემიეს თავი თჳსი მონებად**“-ო (იქვე 206). ვახშს, ანუ სარგებლის სარგებელს ისეთი თვისება აქვს, რომ „ადრე იწყებს განმრავლებად და დაუსრულებელად მიიღებს უმეტესისა მიმართ წარმატებასა“ (იქვე 222). ამგვარად მსწრაფ ზრდის გამო მოვალეს იმოდენა ვალი უხდებოდა მისაცემელი, რომ ხშირად თავის დღეში მისი „გადაწყვეტა არ შეეძლო და ან თვითონვე იძულებული იყო თავის მოსესხეს ჰყმობოდა, რომ ამ გზით ვალი თავითგან მოეშორებინა, პირად თავისუფლების დაკარგვით ქონებრივი და სულიერი სიწყნარე ცოტათი მაინც მოეპოვებინა, ან თვითონ ისე კვდებოდა, რომ შვილებს ამ გაუსტუმრებელს ვალს უტოვებდა. მაშინ ადამიანს თვალთწინ გადაემლებოდა ამგვარი „ხილვაჲ საწყალობელი: ყრმათა თავისუფალთა თანანადებთათჳს მამეულთა მიიყვანდეს განსყიდვად“-ო (იქვე 227).

მაშასადამე შეუძლებელი მოვალე უფლებრივად ნასყიდ ყმას უდრიდა, მაგრამ ვგონებ უფრო «უარესს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი ყმობა ერთგვარ სასჯელის შედეგი იყო: იგი შეუძლებელი მოვალე იყო და რაკი სხვაფრივ ქონებრივად მისგან ვალის დაბრუნება არ შეეძლო მოსესხეს, ამიტომ სამართალი თვით მის თავისუფლების დამონებისა და ყმურ მსახურებით სარგებლობის უფლებას ანიჭებდა მოსესხეს. ეკონომიურადაც ვითარცა შეუძლებელი იგი ყმათა სხვა ჯგუფებს შორის ფრიად დაბლა უნდა მდგარიყო. და უპატიოდ ყოფილიყო.

ზემონათქვამი ნათელ-ჰყოფს, რომ ზემოაღნიშნული ქადაგება ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიცავს მონობის ანუ ყმობის წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზის შესახებ. მაგრამ ქართული-კია ეს თხზულება, საქართველოს წარსულს ცხოვრებას გვისურათებს, თუ. ნათარგმნია და ჩვენს წარსულთან არაფერი აქვს საერთო? ამ არსებითი საკითხის გადაწყვეტა საბოლოოდ ჯერ ძნელია. მისი მშვენიერი ქართული ენა ამტკიცებს, რომ დამწერი დახელოვნებული, დედა-ენის საუცხოო. მცოდნე უნდა ყოფილიყო, არც ისეთი რამე ეტყობა ამ ძეგლის ენას, რომ მისი უცხო ენითგან ნათარგმნიანობა ჩნდეს. ერთად-ერთი სიტყვა „ყორყდელი“ (იქვე 219) ნიანგის აღსანიშნავად ნახმარი, რომელიც ჩვეულებრივი არ არის. მაგრამ ამ სახით იგი არც ბერძნულს უდგება, რომელშიაც „კრა-კოდეჲლოს“-ად იწერება, ხოლო „კროკოდილოს“-ად გამოითქმის, არც სომხურს, სადაც „კორკოდილოს“-ია და უფრო ასურულს უდგება, თუმცა იმისგანაც თვალსაჩინოდ განსხვავდება: ასურულად ხან „კორკოდილოს“-ია, ხან „კორკდილოს“-ია, მაშასადამე ბოლოში ბერძნული საკვეცი „ოს“-ი უზის, რაც ქართულში არ არის შენახული. ამას გარდა ისედაც თვალსაჩინოდ განსხვავდება და თუ „სახისამეტყუელ"-ის ქართულს თარგმანში „კორკოდილო“ გვხდება (იხ. ნ. მარრის გამოცემა TP. წ. VI, გვ. XXXI და 117) ზემოაღნიშნულს ძეგლში „ყორყდელი“ სწერია. ამგვარად ცხადია, რომ მარტო ამ სიტყვით ჩვენი ქადაგების სადაურობის გამორკვევა შეუძლებელია.

უნებლიედ მკვლევარის ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ამ ქადაგებაში არსად არის ნახმარი ტერმინი „ყრმა“, ან „ყმა“, არამედ მხოლოდ „მონაჲ”, ქართულ წყაროებში-კი ეს უკანასკნელი სიტყვა უფრო იშვიათია, ვიდრე ყრმა ანუ ყმა. იქმნებ ესეც ამ ქადაგების

უცხოობის მომასწავებელი იყოს? შესაძლებელია, მაგრამ საკითხის მკაფიოდ გამოსარკვევად თავისდა-თავად არც ეს საბუთი გამოდგება იმიტომ, რომ **თუმცა იშვიათად, მხოლოდ მაინც ქართულ მწერლობაშიც იხმარებოდა „მონა“ „ყმის“ აღსანიშნავად და მაგიერადაც**. მაგ. იოანე ძე ლიპარიტისა ბაგრატ IV შიომღვიმის მონასტრისაღმი 1058 წ. ნაბოძებ სიგელს ასე ამტკიცებს: „მეცა მიწას მეფობისა მათისასა იოანეს ძესა ლიპარიტ ერისთავთა-ერისთავისასა დამიმტკიცებია, უქცეველი არს ბრძანებაი მათი ჩემგანცა **მონისა** მათისაგან“-ო (შიომღ. ისტ. საბ, 515-17). ამგვარადვე ქართ. ჟამთააღმწერელსაც ყმის მაგიერ მონა აქვს ნახმარი და იქ სადაც მოთხრობილია, თუ ავაგ ათაბაგმა და მისმა ყმამ ეჯიბმა დავით ივანე ახალციხელის ძემ ყაანი როგორ შეაცდინეს და ყმამ პატრონობა დაიჩემა, ხოლო პატრონმა ყმობა, ასე აქვს ნათქვამში: „ვიქმნე მე ვითარცა **პატრონი**... და შენ იქმნე **მონა**“-ო, ასე ეუბნებოდა დავით ახალციხელი თავის პატრონს ავაგ ათაბაგს, რომ იგი ყაანის მოსალოდნელ რისხვისაგან ეხსნა (ჟამთააღ, * 776, გვ. 608). ხოლო როდესაც განსაცღელი უკვე თავითგან აცდენილი იყო, დავით ახალციხელმა ყაანს საიდუმლოება გაუმჟღავნა და უთხრაო, „ეგე არს **პატრონი და** მე **მონა** მისი"-ო (იქვე * 776, გვ. 609). მაშასადამე იქ, სადაც ჩვენ ჩვეულებრივ „პატრონი და ყმა“ გვხდება ხოლმე, პატრონი და **მონა**“-ა ნახმარი. ამის გამო ცხადია: ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულს ქადაგებაში ყმის მაგიერ ტერმინად „მონა“-ა ნახმარი, ამ ძეგლის ნათარგმნიანობის დამამტკიცებლად ვერ გამოდგება.

ამ ქადაგებამი ერთი ადგილია მხოლოდ, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ მისი ავტორი შეიძლება მართლაც ქართველი ყოფილიყო. მაგალითად სარგებლის ძველ ქართულ სახელს „აღნადგინები“-ს შესახებ ნათქვამია: „ამისთჳსცა ესევითარი. სახელი წოდებულ არს სახესა ამას ზედა ანგარჰრებისასა, რამეთუ **აღნადგინები ეწოდების მას** და ვჰგონებ, ვითარმედ **ამისათჳს ეწოდების აღნადგინები, რამეთუ აღდგომაჲ არს ესე და გარდამატებაჲ უკეთურებისაჲ**. რამეთუ სადაითმცა ეწოდა აღნადგინები, გარნა **აღდგომისა მისთჳს ბოროტთა და მწუხარებათა და სალმობათასა, რომელნი მოიწევიან კაცთა მათ ზედა თანამდებთა აღნადგინებისათა**“-ო (მ. ჯან. ქ˜ლი მწერ. I, 220-221). ამგვარი „აღნადგინები“-ს მნიშვნელობაზე აგებული ენამახვილობა, თუ რომ ეს ადგილი მთარგმნელის მიერ არ არის დართული სხოლიოს მსგავსად, უეჭველია მქადაგებელის ქართველობის დამამტკიცებელია. მაგრამ ესეკია, რომ შეიძლება ამგვარი ადგილი დედნის თავისუფალს თარგმანსაც წარმოადგენდეს და დედნის მხოლოდ აზრი გადმოქართულებულად იყოს გარდმოცემული.

ერთი გარემოებაა გასაოცარი, რომ ქადაგებაში არაფერია, რაც ქართულ ცხოვრების მკრთალ სურათად შეიძლება ჩაითვალოს. თუკი იგი ქართული ნაწარმოებია, ამის ცხადი ნიშნები უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც ეს გარემოება გამოდგება ამ ქადაგების უცხოურობის დამამტკიცებელ საბუთად იმიტომ, რომ იოანე ბოლნელის ქადაგებანი ცხადად გვიჩვენებენ, თუ რამდენად სახიფათო. იქმნებოდა ამ გარემოების საბუთად გამოყენება. თუმცა ის ქართველი განთქმული მქადაგებელი იყო, მაგრამ მის თხზულებებში განსაკუთრებით განყენებული მსჯელობაა და იმდროინდელი საქართველოს ცხოვრება იქ თითქმის სრულებით არ მოჩანს.

ზემოთქმულის შემდგომ ცხადია, რომ თუმცა ზოგიერთი გარემოება გვაფიქრებინებს ზემომოყვანილ ქადაგების ორიგინალობას, მაგრამ ვერც ერთი ამ გარემოებათაგანი შეურყეველ და უთუო საბუთად ვერ გამოდგება. სამაგიეროდ არც ისეთი უტყუარი და ცხადი ნიშნები მოიძებნება, რომ მისი ნათარგმნიანობა ყოველ ეჭვს გარეშე იყოს. ამიტომ საკითხი გადაუწყვეტელი რჩება და ჯერ-ჯერობით ამ ქადაგებით მხოლოდ ისე უნდა ვისარგებლოთ ეითარცა სატერმინოლოგიო მასალით.

მაგრამ თუ ამ ქადაგების სადაურობის შესახებ დანამდვილიებით არაფრის თქმა არ „მეგვიძლიან„ „კოსტანტინე-კახაჲ“-ს ცა˜-ში არის ერთი ცნობა, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ საქართველოშიაც უნდა ყოფილიყო დაახლოვებით ისეთი უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც აღწერილია ზემოაღნიმნულ ქადაგებაში. „კოსტანტინე-კახაჲ"-ს წამებაში აღმიშნულია სხვათა შორის, რომ კახასთან „მრავალნი მოივლტოდეს... შორით ქუეყანით **ლტოლვილნი თანამდებთა თჳსთაგან**, ხოლო ნეტარებითა დიდითა **გარდახადის თანანადები იგი მათი**“-ო (სქ˜ს სამოთხე 364). რატომ გარბოდენ მოვალეჩი, რომელთაც თავიანთი ვალის

გადახდა არ შეეძლოთ, საქართველოს ერთის კუთხითგან, თავიანთ ქყვეყნითგან, მეორე კუთხეში? საფიქრებელია, რომ იმავე მიზეზით, რომელიც ზემოაღნიშნულს ქადაგებაშია დასახელებული, - რაკი ასეთს მოვალეებს თავისუფლება ესპობოდა და მოსესხეს მონებად ან ყმებად უნდა გამხდარიყვნენ: ალბათ ამ ყმობას გაურბოდენ ეს მოვალეები, ამის გამო **საფიქრებელია, რომ შეუძლებლობითი მოვალეობა საქართველოშიც ყმობის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ყოფილიყო.**

როგორ ყმას ეწოდება „სიგლოსან? თვით სახელიც ამტკიცებს, რომ მას „სიგელი“ უნდა ჰქონოდა და სჭეროდა. მაგრამ რა სიგელი, ყმობის პირობების შემცველი და განმსაზღვრელი? საფიქრებელი იყო, რომ „სიგლოსან“-ად სწორედ ის ყმა უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომელიც თავის ნებით ეყმობოდა „პატრონს“ და ამ დროს „ყმობის სიგელ“-ს დაადებინებდა, რომელშიაც მკაფიოდ იყო განსახღვრული „პატრონისა“ და ყმის პატრონყმური უფლება-მოვალეობანი. მაგრამ საბუთები ამ თეორიულს განმარტებას მთლად არ ამართლებენ. კახა ერისთავთ-ერისთავი მაგ. რკონის 1258 წ. სიგელში ამბობს: ს. ხოვლეში მცხოვრები გლეხები „**შეწირული, ნებიერი** და **სიგლოსანი** ერთობ **ყუელაი მიყიდია**“-ო (ქკ˜ბი II, 135). მაშასადამე „სიგლოსანის“ ყიდვაც შესაძლებელი ყოფილა, „ნებიერისაც,“ და ამ შემთხვევაში მათ შორის თითქოს განსხვავება ისპობა, თუმცა ეს სიტყვები ვგონებ ისე უნდა გავიგოთ, რომ კახამ მთელი სოფელი მთელის თავის მოსახლეობითა და მიწებით შეიძინა. მაშინ ცხადია, რომ ზემომოყვანილი წინადადება „სიგლოსანი“-ს მნიშვნელობის გამოსარკვევად საკმაო არ არის და გარკეეულს ცნობებს არ გვაძლევს.

„სიგლოსანი“ კიდევ ერთს მე-XIII-ე საუკ-ის სიგელშია მოხსენებული, რომელიც მიქაელ კათალიკოზის წყალობის წიგნს შეიცავს. იქ ნათქვამია: „მოგეცით... სოფელი ორომაშენი... თუინიერ მუნ შინა მსხდომთა **ხუცესთა სიგლოსანთაგან** კიდე, **რომელნი** სანატრელსა **ნიკოლოზს** ქართლისა **კათალიკოზსა გაღმა გაჴმულნი საყდრისათუინვე შინა შემოუჴმან და ღმრთივ გუირგუინისანთა მეფეთა და კათალიკოზთათუის მწირველნი უჩენიან“-ო** (იხ. ს.კაკაბაძის მე-XIII-ე საუკუნის პირველ ნახევრის საქართველოს კათალიკოზები, გვ. 5$_{12-17}$ – 6$_{1-4}$). მაინც-და-მაინც არც ეს ცნობაა სრულებით მკაფიო და არა ჩანს ეს ხუცესნი წინათაც „სიგლოსანნი“ იყვნენ, თუ მხოლოდ მას შემდგომ, რაც ნიკოლოზ კათალიკოზმა კვლავ ორომაშენის ეკლესიას დაუბრუნა და მეფეთა და კათალიკოზთა მწირველად „აჩინა“? ამისდა მიუზედავად ზემომოყვანილი წინადადება საყურადღებოა რაკი მტკიცდება, რომ სიგლოსანნი მარტო გლეხები-კი არ ყოფილან, არამედ მღვდლებიც. მაშასადამე **ტერმინი „სიგლოსანი“ საზოგადოა და ყმობის მდგომარეობის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო**. წინათაც სიგლოსანნი იყვნენ ეს ხუცესნი, თუ არა, ამის შესახებ გარკვეული ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ, ისინი რომ ნიკოლოზ კათალოკოზის შემდგომ „სიგლოსანნი“ იყვნენ, ეს სრულებით ცხადია. როდესაც ნიკოლოზ კათალიკოზს ეს ხუცესნი საყდრისათვის დაუბრუნებია, მას ისინი ორომაშენის ეკლესიისათვის შეუწირავს და მეფეთა და კათალიკოზთა სულის მოსახსენებლად მწირველად დაუდგენია. ამ ხუცესთა ეს უფლება-მოვალეობანი ნიკოლოზს მათს შეწირულობის სიგელში ექმნებოდა აღნიშნული და განსაზღვრული და მათი ყმობრივ უფლება-მოვალეობათა შეცვლა არ შეიძლება და ალბათ სწორედ ამის გამოვე ისინი „სიგლოსნებად“ იწოდებოდენ. ყველა ზემოთქმულის შემდგომ **საფიქრებელია, რომ ყმები ორგვარნი უნდა ყოფილიყვნენ „სიგლოსანნი“ და არა-სიგლოსანნი: პირველთა პატრონყმობის უფლება მოვალეობანი წერილობით იყო განსაზღვრული „სიგელში“, ხოლო მეორეთა ყმობა სიტყვიერად იყო დადებული, ჩვეულებაზე იქმნებოდა დამყარებული**.

კახა ერისთავთ-ერისთავის ზემომოყეანილ სიტყვებითგან ჩანს, რომ ყმათა შორის ცალკე ჯგუფად „**შეწირულნი**“ ც ითვლებოდენ. როგორც თვით სახელიც ამტკიცებს „შეწირულ“ ყმად რასაკვირველია ეკლესიებსა და მონასტრებისათვის „სააღაპედ“ შეწირული და მოხსენებული გლეხები და ყმები იყვნენ. შენახული **„შეწირულობის წიგნები“ ამტკიცებენ რომ მრავლ სხვაობის მიუხედავად „შეწირულ ყმათა“ მდგომარეობა საერთო დამახასიათებელ თვისებებს შეიცავს, რაც მართლაც მათ ყმათა ცალკე ჯგუფად ხდის**. რაკი მონასტრისადმი შეწირული ყმები „სულთა საოხად“ იყვნენ განკუთვნილნი, რომ შემწირველის აღაპისათვის „ შეწირულს ყმას“ საჭირო პური, ღვინო და სხვა ყოველგვარი სახმარი ყოველწლივ მონასტრისათვის

მიერთმია და ცოდვათა მიერ დამძიმებულ სულის ცხონების სავედრებელ ლოცვა-აღაპისათვის ხელი შეეწყო, ამიტომ „**შემწირველნი ცდილობენ თავიანთი „შეწირული“ ყმები რაც შეიძლება კარგსა და ხელსაყრელს პირობებში ჩაეყენებინათ**, რომ მათაც თავიანთი ყოფილი „პატრონის“ სახელი დაელოცნათ და ღმერთს მის ცხონებას შეჰვედრებოდენ. ამიტომვე იყო, რომ შესაწირავ ყმასა და საყმო მიწას შემწირველი ყოველთვის „ალალ“, თავის პირად შრომით, ან სახსრით შეძენილის ფულით ყიდულობდა: ამ საქმეს არაფერი უწმიდურება და უსამართლობა არ უნდა მიჰკარებოდა. სწორედ ამის გამოვე იყო, რომ **„სააღაპედ“ შეწირულს ყმას „პატრონი“ განსაკუთრებულს, შეღავათიან პირობებში აყენებდა**: ჯერ ეს ერთი, რომ **ყოველგვარ საბატონო სამსახურისა და გამოსაღებისაგან ათავისუფლებდა.** მეორე ისა, რომ მუდამ **ცდილობდა თავის „შეწირული“ ყმისათვის მთავრობისაგანაც წყალობა მოეპოვებია და სამეფო და სამოჯელეო გადასახადებისაგან განეთავისუფლებინა და შეუვალობა მიენიჭებინა. შემწირველივე თვით ჰსაზღვრავდა შეწირულ ყმის უფლება-მოვალეობას** და ჩვეულებრივ მას **დაკისრებული ჰქონდა ხოლმე მარტო განსაზღვრული რაოდენობის პურისა და ღვინის აგრეთვე წელიწადში ერთხელ ან ორჯერ სხვა ყველაფრის მიტანა მონასტრისათვის, რაც კი საჭირო იყო, რომ სულის მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი ეწირათ და მონასტრის ძმობისა და გლახაკთათვის აღაპი მოემზადებინათ**. ამგვარად ირკვევა, რომ „შეწირული“ ყმის ყმებრივი მოვალეობა ერთხელ და სამუდამოდ შემწირველის მიერ იყო ხოლმე განსაზღვრული არც მონასტერს, არც სხვას ვისმე ამ პირობის შეცვლა და საყმო მოვალეობის დამძიმება არ შეეძლო.

იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც ეკლესიისა და მონასტრისადმი **შეწირულო ყმა მიწის მოქმედი არ იყო, არამედ ხელოსანი, ან ვაჭარი, ან სხვა რაიმე თანამდებობის კაცი, მაშინაც შეწირვის დროს მისი მოვალეობაც გარკვებით იყო ხოლმე აღნიშნული**. მაგ როდესაც ანტონ ჭყონდიდელმა და მწიგნობართა უხუცესმა შიომღვიმის მონასტერს მილით წყაროს წყალი გამოუყვანა, მან ამასთანავე მონასტერს ყმებად შესწირა „გიორგი და ჭიაბერი ფუძედ ერთი და კომლად ორი“, რომელთაც თვით შემწირველმა დააკისრა მოვალეობა, – ამ წყაროს მილის ყურის გდება და როცა კი დასჭირდებოდა შეკეთებაც, „კაზმეა“. თვით ანტონი ამბობს: მათ „მე გაუჩინე“ მოვალეობად „**სამსახური მის წყაროსისაი**“. მათ აღარავითარი სამეფო და სამოჯელეო „სათხოვარი და გამოსაღები“ არ ედვათ. შემწირველმა ამას გარდა დაადგინა: „სხუაი სამსახური არც რაი ეკლესიისაი ვფვას“-ო. ამ ორი კომლი ყმის ყმური მოვალეობა და სამსახური იმაში მდგომარეობდა, რომ მუდამ „**ორისავე სახლისაგან თუითოი შვილი მათი ქუქანკად გაისწავლებოდის და ჰკაზმიდენ მას წყაროსა**“-ო (1202 წ. თამარ მეფის სხალტ. სიგ., ს. კაკ. შიომღ. სამი სიგ. 9$_{19-23}$). მაშასადამე შეწირული ყმები მოვალენი ყოფილან, რომ თავ-თავიანთ ოჯახის ერთ-ერთი შვილისათვის წყაროს მილით გამოყვანის ხელობა საგანგებოდ შეესწავლებიათ და ამ წყაროსათვის ყური ეგდოთ, ხოლო როცა საჭირო იქნებოდა „ჰკაზმიდენ მას წყაროსა“-ო, გაფუჭებული შეეკეთებინა. „თუინიერ წყაროისა კაზმვისაგან კიდე“ მათ არავითარი სხვა მოვალეობა არ ედვათ (იქვე 9$_{23-24}$), ამგვარად ცხადია, რომ აქაც შემწირველის მიერ განსაზღვრულია შეწირული ყმის საყმო სამსახური - და ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილია, რომ „წყლის მკაზმავ“-ებად, ანუ „ქუქანკ“-ებად უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ ყველაზე უფრო საგულისხმიერო ის არის, რომ **ქუქანკობა ყველას კი არ უნდა შეესწავლათ, წყლის „კაზმვა“ თვითოეულ ის სახლის წევრის მოვალეობა კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ თითო კომლითგან მხოლოდ ერთი უნდა ყოფილიყო ამ ხელობამი განსწავლული და ყოველს თაობას მარტო ორი ქუქანკი უნდა მიეცა მონასტრისათვის**. ამ ორი შეწირულ ყმის ჩამომავლობის **დანარჩენი წევრნი რა საქმეც უნდოდათ, იმას აირჩევდენ, ეს მონასტერს არ ეხებოდა**. ისინი მხოლოდ თავიანთ სახლიკაცს-ქუქანკებს „წყაროის კაზმვა“-ში ქონებრივად და სხვაგვარადაც ეხმარებოდენ.

გრიგოლ სურამელმაც რომ თავისი „ნასყიდი გლეხი“ 'შიომღვიმის მონასტერს ყმად შესწირა, რომ მის მიერ მონასტრისათვის აგებულ წისქვილში ყოფილიყო, იმთავითვე მისი ყმური მოვალეობაც განსაზღვრა: უკვე ყიდვის დროს მან ეს „**გლეხი იყიდა მეწისქუილედ**“ და ამავე მიხნით „**მღუიმელთა შესწირა**“ (1250 წ. გრ. სურამელის შეწ. წიგ., ს. კაკ. გამ. 5$_{14-16}$). გრიგოლმაც თავისი შეწირული ყმა „შეუვალ“-ად გახადა ღა გადასახადებისაგან განათავისუფლა (იქვე 5$_{14-22}$ და 6$_{4-6}$). მის მიერეე იყო დადგენილი, რაც რამ ამ გლეხს მოვალეობა

უნდა ჰქონოდა: ჯერ ერთი რომ „**წისქუილთა რაიც საკაზმავი უნდოდეს ესევე ჰკაზმიდეს**“-ო (იქვე 5$_{24-25}$). ამას გარდა მას წისქვილისათვის ყური უნდა ეგდო მეწისქვილედ ყოფილიყო ისე-კი, რომ წელიწადში სამი დღის გარდა სხვა დროს „ვინ გინდა მოფქვავი იყოს, მისდი ნუ ვის ნუ აეღების“-ო (იქვე 5$_{30-31}$). მინდი არავის გამოერთმეოდა, მუქთად იქნებოდა დაფქული, რომ მოფქვავათ“ გრიგოლ სურამელის „სულის სალოცავად“ ღმერთს შეჰვედრებოდენ. მეწისქვილეს მხოლოდ თავისი სარგო, „საპატიო“ უნდა აეღო დაფქულითგან და აქედან „წელიწადის თავსა“ მონასტრის წინამძღვრისათვის ძღვენი მიერთმია. მორჩა და გათავდა: ამის მეტი მას არაფერი არც ეთხოვებოდა და არც უნდა გაეკეთებინა (იქვე 5$_{30-31}$ – 6$_{1-6}$). ამ შემთხვევაშიაც ცხადია, რომ ამ მეწისქვილე ყმის ჩამომავლობითგან მეწისქვილედ ყველანი კი არ უნდა გამოსულიყვნენ, არამედ მხოლოდ თითო თაობაში ერთი.

ამგვარადვე როდესაც საფლავზე, ან სამწირველოში ვინმე ხუცესად და „მწირველად“ იყო ხოლმე რომელსამე მონასტერში შეწირული, მაშინაც მათი მოვალეობა და უფლება იმ თავითვე განისაზვრებოდა ხოლმე. ამასთანავე აქ „მწირველად“ და „მოძღურად“ შეწირულის გვარის მხოლოდ ერთ ერთი წევრთაგანი უნდა ყოფილიყო, მაგ. მელქისედეკ კათალიკოზსაც 1020 წ. მცხეთის საყდრისადმი შეწირულობის სიგელში თავისთვის განმზადებულ საფლავზე მწირველის შესახებ ნათქვამი აქვს: ვირე ცოცხალ იყოს, დგეს საკურთხეველსა ჩემსა ზედა, ჟამსა წირვიდეს და მილოცვიდეს და **შემდგომად მისსა შვილთა და შვილის შვილთა მისთა დაუტეოს და იგი დგეს და ჟამსა წირვიდეს** და გვილოცვიდეს და **შეუცვალებელად** ჰქონდეს ესე გასარომელი საკურთხეველსა ჩემსა საფლავთა ჩემთა ზედა ჟამის „მწირველსა ხუცესსა უკუნისამდე ჟამთა”-ო (ქ˜კბი II, 3419-23 იხ. აგრეთვე თამარ მეფის დროინდ. შიომღ. კრებულის მიერ დაწერილი სიმტკ. წიგ., მიომღ, ისტ. საბ. 24, შეად. 1250-1260 წ. ამგვარსავე სიმტკ. წიგნ., იქ. 59).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ **„შეწირულ“ ყმის ყველა უფლება-მოვალეობა ყოველთვის „შეწირულობის სიგელ**“-ში **იყო აღნიშნული, წერილობით იდებოდა** და **ისაზღვრებოდა**. ამისგამო **„შეწირულთა“ ყმური მდგომარეობა მტკიცე და უცვლელი უნდა ყოფილიყო „მიუკუნისამდე“. ამავე მიზეზით „შეწირული“ ყმა, ან გლეხი იმავე დროს ყოველთვის „სიგლოსანი“**-ც **იყო, მაგრამ თავისდა თავად ცხადია ყოველი „სიგლოსანი“ ყმა „მეწირული“ არ იყო და ეს ორი ტერმინი ერთისა-და იმავე ცნების გამომხატველი არ იყო**.

ყმათა განსაკუთრებულ ჯგუფს ნაწყალობევი ყმები შეადგენდენ. მათ შემდეგში, მაგ. ვანტანგ VI-ის დროს „**წყალობის ყმა**“-თა სახელი ეწოდებოდათ. რას ეძახდენ ძველ დროს, ამასვე თუ სხვა ტერმინი იხმარებოდა, ჯერ არა ჩანს. ნაწყალობევი ყმა „პატრონის“ მიერ „შეწყალებით“ ნაბოძები ყმა იყო ხოლმე. ასეთს ყმას „პატრონი“ თავის ერთგულს და „შეწყალებულს“ ყმას აძლევდა ხოლმე. ნაწყალობევ ყმათა უფლებრივ მდგომარეობისა და საზოგადოდ „პატრონყმობის“ ბუნების გათვალისწინება შეუძლებელია, თუ თავდაპირველად „შეწყალებ“-ისა და შეწყალებული“-ს მნიშვნელობა არ გამოვარკვიეთ.

ქართულ „პატრონ-ყმობის“ სრულის ბუნებისა და დამახასიათებელ თვისებათა შეგნებისათვის სწორედ რომ „შეწყალებისა“ და „შეწყალებულის“ მნიშვნელობის გათვალისწინებაა საჭირო. „შეწყალება“ პატროწყმობის აუცილებელი და არსებითი თვისება იყო რა იყო „შეწვალება“ და ვინ იყვნენ „ შეწყალებულნი“ (დავით აღმაშ. ანდერძი, ქკ˜ბი II, 51$_{5}$).

ვისაც ძველი ქართული საისტორიო ძეგლების ენა და ტერმინოლოგია შესწავღილი არა აქვს, მას ეგონება, ვითომც „შეწყალებული“ და „შეწყალება“ „შესაბრალის ადამიანის შებრალებასა და ხელის გამართვას, ან დამნაშავის პატიებას ნიშნავდეს. მაგრამ ნამდვილად-კი ეს ორი სიტყვა სულ სხვა ცნების აღმნიშვნელი ტერმინი იყო. მაინც-და-მაინც „შეწყალებული“ არც შესაბრალისს ადამინას ეწოდებოდა, არც ისეთს კაცს, რომელსაც რაიმე ხელის გამართვა ესაჭიროებოდეს.

თამარ მეფის ისტორიკოსს, მაგ. ნათქვმი აქვს, რომ. საქართველოს დიდებულ გვირგვინოსანს „პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა“ გუზანი „ძუელთა **მეფეთა ტაოელთა** დიდებულია **ადგილთა ზედა შეეწყალა**“-ო (ისტ˜ონი და აზმ˜ნი * 649, გვ. 434). მაშასადამე „შეწყალება“ აქ მეფის მიერ დიდ თანამდებობის ბოძებას და წყალობას ჰნიშნავს. ამგვარადვე იმავე ავტორის თხზულებაში ივანე მჯარგრძელის შესახებ ნათქვამია: „შეიწყალეს და უბოძეს

სარგისის ძესა ივანეს პირველად **მსახურთ-უხუცესობა** კელშინაური და **საპატიო კაენი და კაიწონი გელაქუნითა და სხუათა მრავალთა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა**" (იქვე * 656, გვ. 442). ამ შემთხვევამი ცნობა ვრცელია: **„შეწყალება" მარტო მოჯელეობის ბოძებას კი არ ჰგულისხმობს, არამედ „საპატიო" და „სახარაჯო" ქვეყნების, ციხე-ქალაქების მიცემასაც**.

მამულებისა და ქვეყნების ბოძების აღსანიშნავად არის ნახმარი ტერმინი „შეწყალება" შემდეგს შემთხვევაშიაც. სარგის ვარდანის ძეს „**უბოძეს თმოგვი**" და ქუემოთ წირქულელნი, ზარტიბისა (შევს. ქც˜ა-ზარტაიჭისა) ძენი, გრიგოლის ძენი, ჭიაბერის ძენი, მახატლის ძენი, თავნი კახეთისანი თორღაის ძენი **შეიწყალნეს თუითოეული თჳსითა წესითა**"-ო (იქვე * 657, გვ. 444).

მაშასადამე **„შეწყალება" სხვადასხვა „წესით" სცოდნიათ**. ამ წესის სხვადასხვაობა იმაში მდგომარეობდა, რომ ზოგის შეწყალება გამოიხატებოდა „ახლად დალოცვითა", ზოგისა კიდევ „მიმატებითა". ისტორიკოსი სწორედ ზემოაღნინულ გვარის შვილების შესახებ ამბობს, რომ თამარ მეფემ ისინი „შეიწყალნეს თუითოეულნი თჳსითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა და რომელნიმე მომატებითა" (ისტ˜ რნი და აზმ˜ნი * 657. გვ. 444). ეს უკანასკნელი ცნობა ნათლად გვიჩვენებს, რომ **„შეწყალებისა"-თვის არსებითი მნიშვნელობა მარტო „ბოძებას-კი არა ჰქონია, არამედ „დალოცვა"-საც**.

„**დალოცვა**" უეჭველია **თან სდევდა ყოველს მოჯელეობის მიბოძებას**: როდესაც ვისმე რაიმე თანამდებობას უბოძებდენ, მას ამ მოჯელეობაზე „დალოცავდენ " ხოლმე და თანაც „საპატიო" მამულიც გარდაეცემოდა. იქ სადაც თამარ მეფის ისტორიკოსს ივანე სარგისის ძის მსახურ-უხუცესად „შეწყალების" შესახებ აქვს ლაპარაკი, შემდეგ დამატებულია: „**შეიწყალნეს და დალოცეს** სხვანიცა დიდებულნი მრავალნი"-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი *656, გვ. 442). **როდესაც ადამიანს პირველად აძლევდენ რომელსამე თანამდებობას, ამას „ახლად დალოცვა" ერქვა**.

საფიქრებელია, რომ **მაშინ მტკიცედ შემუშავებული „დალოცვის წესი" არსებობდა**. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ დალოცვილ მოჯელეზე ამბობდენ **„წყალობა-ჴელდასმული"-ო**. »ჴელდასხმა", როგორც ვიცით, საეკლესიო მღვდელმსახურების ტერმინია და სასულიერო პირთა დადგენისა და კურთხევის წესის დროს აღსარულებელ მოქმედების აღსანიშნავად იხმარებოდა. რაკი ასეთი სამღვდელმსახურო ტერმინი ყოფილა „დალოცვის წესი"-სათვის შეთვისებული, ამიტომ უეჭველია ამ დალოცვის დროსაც რაიმე »ჴელდასხმის" მსგავსი მოქმედება იქნებოდა მიღებული. თამარ მეფის ისტორიკოსი სახელდობრ აბულასანის შესახებ ამბობს, იგი იყო „მეფეთ მეფისაგან **წყალობა-ჴელდასხმული ამირად ქართლისა და ტფილისისა"-ო** (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 635, გვ. 415).

როგორც აღნიშნული იყო მეფის „შეწყალება"-ს და „წყალობა"-ს (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 631, გვ. 409) მოჯელედ დადგენის დროს „**დალოცვა**" თანსდევდა: თანამდებობაზე დანიშვნის „წყალობა" უპირველესად ყოვლისა გამოიხატებოდა „დალოცვითა". ზაქარია მჴარგრძელის შესახებ მაგ. ნათქვამია: თამარმა. „**წყალობაყო** ძისაცა მისისა ზაქარიას **დალოცვითა**"-ო (იქვე * 631. გვერდი 409-410).

მოჯელედ დასალოცავს „დალოცვის" დროს, ზოგს მაინც, მის მოჯელეობის საგანგებო ნიშანი ეძლეოდა ხოლმე. მაგ. მანდატურთა-უხუცესს მეფე ოქროს არგანს უბოძებდა ხოლმე (იქვე * 631, გვ. 410), მოლარეთ-უხუცესს კიდევ დალოცვის დროს ბეჭედი ეძლეოდა თურმე (კ. გარ. 6109-111). ამირსპასალარს მეფე ალბათ ჴრმალს უწყალობებდა და სხვა. ამის მეტი დალოცვის შესახებ ჯერ არა ვიცით რა, მაგრამ იმედია მომავალში, თუ ამ საკითხს ჯეროვანს ყურადღებას მივაქცევთ, ბევრი რამე გამოირკვევა. იმის თქმა, სდებდა თუ არა რაიმე ფიცს მოჯელედ დასალოცავი, ჯერ არ შეგვიძლიან, მაგრამ ეს-კი ცხადია, რომ „დალოცვის" დროს „**თაყვანება**" წესად ყოფილა დადებული (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 631, გვ. 410).

როგორც აღნიშნული იყო, „შეწყალება" მარტო დალოცვით არ თავდებოდა, არამედ ჩვეულებრივ დალოცვას ბოძებაც თან სდევდა ხოლმე, მეტადრე სამოჯელოდ შეწყალების დროს. ყოველ ჴელისუფლობასთან. გარკვეულ რაოდენობის ქვეყნებისა და მამულების მფლობელობა იყო დაკავშირებული. ამგვარს ჴელისუფლობაზე დამოკიდებულს სამფლობელო ქვეყანასა და მამულს „**საპატიო**" ეწოდებოდა. მაგ. ჴელისუფლობის წყალობით მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი იყო „**პატრონი** ორბეთისა და **კაენისა**" (ისტ˜ნი და აზმ˜ნი

* 650, გვ. 435) და თანაც ყოფილა „**პატრონი კაიწონისი**“ (იქვე * 652; გვ. 438). ხოლო როდესაც განდგომილ ვარდან დადიანის მაგიერ თამარ მეფემ მსახურთ-უხუცესობა ივანე სარგისის ძეს უბოძა, ამასთანავე „შეიწყალეს და **უბოძეს**... საპატიო კაენი და კაიწონი“ (იქვე * 514, 628, 629, 630 და 631, გვ. 387, 406, 407 და 409).

ამ „საპატიო“ და სამოჯელეო ქალაქ-ციხე-სოფლებს გარდა **ერთგულ ჴელისუფლებსა და ყმებზე შეწყალების სახით „სახარაჯონი“-ც გაიცემოდა ხოლმე**. „სახარაჯო“-დ ალბათ იმიტომ იწოდებოდა, რომ დასაჩუქრებულს ნაწყალობევის მხოლოდ „ხარაჯით“, ანუ დაწესებული გადასახადით შეეძლო ესარგებლა. მსახურთუხუცესად დანიშნულს ივანე მჴარგრძელს თამარმა მაგ. „საპატიო“-ს ბოძებას გარდა ისეთი სიკეთეც უყო, რომ „შეიწყალეს... გელაქუნითა და სხუათა **მრავალთა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა**“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 656, გვ. 442).

ეს სახარჯო ციხე-სოფელ-ქალაქები სხვადასხვა პირობით ეძლეოდათ ხოლმე „შეწყალებულთ“: ზოგი ადგილი ვითარცა „საკუთარი“, ზოგი კიდევ „სანახევრო“-დ. ზაქარია ვარდანის ძის შესახებ მაგ. სწერია; რომ თამარ მეფემ „შეიწყალა და უბოძა გაგი ქურდვაჭრითა განძამდის მრავლითა **საკუთარითა** და მრავლითა **სანახევროთა ქალაქებით, ციხეებითა და სოფლებითა**“ (იქვე * 655-656, გვ. 442). „სანახევრო“ ცხადია იმას ჴნიშნავს, რომ ნაწყალობევ ქვეყნის „ხარჯის“ მხოლოდ ნახევრის ალება შეეძლო, ან ნახევრით შეეძლო ესარგებლა. ამისდა მიხედვით „საკუთარი“ ალბათ ისეთ ქვეყნებს ეწოდებოდა, რომელთა მთელის შემოსავლით, მთელის „ხარაჯით“ შეეძლო დასაჩუქრებულს ესარგებლა.

რაკი ჩვენ უკვე ვიცით, რომ „შეწყალება მეფისა ან რომელისამე სხვა პატრონის მიერ ყმისადმი „წყალობის ყოფა“-ს, ან რაიმე მოჴელეობით, ან უპირატესობით და „საპატიო“, თუ „სახარჯო“ ქალაქ-ციხე-სოფლებითა და მიწებით დასაჩუქრებას ჴნიშნავდა, ტერმინ „**შეწყალებული**-“ ს (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 649, გვ. 435) მნიშვნელობის გაგებაც აღარ გაგვიძნელდება, „შეწყალებულნი“ (დავით აღმაშენებლის ანდერძი, ქკ˜ბი IL, 51$_5$) რასაკვირველია, ყოველთვის „**პატრონისაგან შეწყალებულნი**“ და აუცილებლად „**კარგნი ყმანი**“ იყვნენ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 658, გვ. 445), რომელნიც თავიანთი „**ყმებრივი მსახურების**“ მოვალეობას პირნათლად ასრულებდენ.

ყოველი კარგი და „პატრონთაგან შეწყალებული“ ყმა უნდა „**მონებდეს და მსახურებდეს... მონებით ყმებრივითა**“ (იქვე * 639, გვ, 420). „პატრონი“-ც რასაკვირველია ყმის სამსახურს არ დაივიწყებდა და შესაფერისად აჯილდოვებდა ხოლმე: „**მსახურებისა ნაცულად**“ ერთგულს ყმას „შეიწყალებდა“ და ხან „ქვეყნებს“ ან „მამულობით“ ე.ი. მემკვიდრეობით, ან „სახარაჯოდ“, ხან კიდევ მოჴელეობას, ან რაიმე უპირატესობას, მაგ, თუნდ შეუვალობის სიგელს უბოძებდა. როდესაც სულა კალმახელმა ბაგრატ IV დაუძინებელი მტერი, მისი ურჩი ყმა ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი შეიპყრო და დატყვევებული მეფე ბაგრატს მიჰგვარა, „**ამის მსახურებისა ნაცულად უბოძა მამულობით ციხისჯუარი და ოძრჴე, ბოდო კლდითა და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღუდელთ მოძღურენი და რაცა უნდოდა“-ო** (მტ˜ნე ქ˜ჲ * 495, გვ. 267) სწორედ ყოველი ამგვარად „პატრონისაგან“ დაჯილდოვებული ყმა იყო „შეწყალებული“ და ასეთ პირებს ეძახდენ „შეწყალებულებს“.

ყველა ყმის მრვალვობას „პატრონ“-ისადმი ყმური „**მსახურება**“ (მტ˜ნე ქ˜ჲ * 495, გვ. 267) შეადგენდა. სწორედ რომ ყმის „ერთგულება“ (თამარ მეფის დროინდ. სიგ., შიომღ. ისტ. საბ. 24$_2$) და „**სამსახური**“ (ისტ˜რნი და აზმანი * 628, გე, 406) ფასობდა და ერმრავალ „პატრონ“-ისათვის განსაკუთრებით ამას ჰქონდა მნიშვნელობა. იმ დროს ყმები „პატრონ“-ისათვის მარტო. ქონებრივად-კი არ იყვნენ ძვირფასნი, არამედ აგრეთვე, როგორც სამჴედრო ძალა და საფარი. ყმათა სიმრავლეზე იყო თვით „პატრონთა“ ძლიერებაც დამოკიდებული: ვისაც მეტი ყმები ჰყავდა აკი გრძნობდა კიდეც თავის ძლიერებას. მრავალრიცხოვან ყმათა „პატრონნი“ სწორედ ამიტომაც იყვნენ „სიმრავლესა ზედა ერისასა აღზვავებულნი“ (ც˜ჲ გ˜ჲ მთ˜წდ˜ჲ 319). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ლაშქრობისა და ბრძოლის დროს „ყმები“ მოვალენი იყვნენ „პატრონებს მიჰშველებოდენ და თავ-თავიანთ „პატრონთა“ გვერდით და მეთაურობით ეომნათ. მართლაც, თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებითგან ჩანს, რომ ყმები ომის დროს „პატრონებს“ ამალასავით თან ახლდენ ხოლმე. ერთ მკაცრ ხელჩართულ ომის შემდგომაო „იხარებდეს“, ამბობს ისტორიკოსი, „ვითარ **მპოვნელნი... პატრონი ყმისა და ყმა პატრონისა**“-ო

(ისტ˜რნი და აზმანი * 603, გვ. 373), ან კიდევ ნათქვამი აქვს, ომში „უსწრობდა **პატრონი ყმასა** და **ყმა პატრონსა**“-ო (იქვე * 639, გვ. 421).

მარტო ომში-კი არა, ისედაც „პატრონი“ სადმე რომ გაემგზავრებოდა, მას „ყმები“ თან უნდა ხლებოდენ, ყველანი-კი არა, არამედ ვისაც ეს მოვალეობად ჰქონდა დაკისრებული. დიდ აზნაურსა და მოჯელე „პატრონს. ამგვარს ამალაში აზნაურნიც-კი ჰყავდა ხოლმე. მათ ეწოდებოდათ „**აზნაურნი თანამყოლნი**“ და თავიანთ პატრონის დაცვა ედვათ ვალად. როდესაც სარგის ჯაყელი დავით ლაშას ძემ” შეიპყრა, „ცნეს ესე აზნაურთა თანამყოლთა სარგისისათა, ივლტოდეს და წარვიდეს ყაანს წინაშე და მოახსენეს აბაღა ნოინს რათა მან... მოახსენოს ყაანს აბაღას და სთხოვოს სარგის“-ის განთავისუფლებინება (ჟამთააღ. * 849, გვ. 694-695).

ყოველ „პატრონის“ მიწაზე, მამულში მყოფ ყმებს „**მამულის კაცნი**“ ეწოდებოდა (აბუსერიძე ტბელი, ქკ˜ბი IL, 120$_{27}$). ყველა „მამულის კაცნი“ უფლებრივ მდგომარეობის და განურჩევლად მოვალენი იყვნენ, თუ არა „პატრონს" ბრძოლის დროს გვერდში ამოსდგომოდენ და მისი „თანამყოლნი“ ყოფილიყვნენ, ამის თქმა ცნობების უქონლობის გამო ჯერ არ შეიძლება. მაგრამ „შეწყალებულს“ ყმას-კი „ერთგული სამსახური“ აუცილებელ მოვალეობად ჰქონდა. როდესაც მას „პატრონი“ უბოძებდა რასმე „წყალობის წიგნ“ -შიაც-კი საგანგებოდ აღნიშნული იყო ხოლმე: „**გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერთგულობასა**“. ანუ **ერთგულად სამსახურსა შინა**“-ო. თამარ მეფის დროინდელს შიომღ. მონასტრის ერთს მიცემულს სიმტკიცის წიგნში, რომლითაც მონასტრის კრებული ტოხაჲსძეს „სამამულოდ და მკჯდრად“ წყალობას ანიჭებს, მაგალითად ნათქვამია: „აწ **გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ ტოხაჲსძეთა**... და ყოველთა ძმათა და შვილთა და მომავალთა... უკუნითი უკუნისამდე **ერთგულობასა შინა ამის [უდაბ]ნოჲსა**“-საო („შიომღ. ისტ. საბ. 24$_{21-23}$). ამგვარადვე კათალიკოზ მიქაელის წყალობის წიგნში სწერია: „**მოგეცით სამამულოდ** შენ ვაჩე გუარამას ძესა, **ჩუენსა მსახურთ-უხუცესსა**, შვილთა და მომავალთა შენთა **კათოლიკე ეკლესიისა სამსახუროდ სოფელი ორომაშენი**“-ო (ს. კაკ. მე-XIII ს. პირველ ნახევრის საქართველოს კათალიკოზები 5$_{11-14}$). იმავე საბუთში, თავის დამტკიცებაში არსენი ამბობს: „ქართლისა კათალიკოზს მიქაელს გუარამას ძე ვაზე **შეუწყალებია** და... სოფელი ორომაშენი მისთუის **სამამულედ და საყდრის სამსახუროდ უბოძების**“-ო (იქვე 6$_{18-21}$).

ვინც უფრო მეტს გულმოდგინებასა და ერთგულებას იჩენდა, ის სესაფერისადაც „შეწყალებული“ იქმნებოდა: თუ ჯერ არავითარი ჯილდო მიღებული არა ჰქონდა, „**ახლად დაპალოცვითა**“ ხოლო თუ უკვე „**დალოცვილი**“ იყო, მოჯელეობა, ან სხვა რაიზე მისანდობლობა ჰქონდა, მაშინ მხოლოდ წყალობის „**მომატებითა**“. თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვით მაგალითად საქართველოს დიდებულმა გვირგვინოსანმა თავისი ერთგული ყმები „შეიწყალნეს თჳთოეული თჳსითა წესითა: რომელინიმე **ახლად დალოცვითა** და რომელნიმე **მომატებითა**“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 657, გვ. 444). როდესაც თამარ მეფემ „უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მჯარგრძელსა“, მას „პატრონსა ლორისას **მოუმატეს ქალაქიცა** რუსთავი“, ხოლო იმავე დროს „ჭიაბერსა მანდატურთ-უხუცესსა **მოუმატეს და უბოძეს ჟინოანი ქალაქი და ციხე**“ და სხვა (იქვე).

მიფენილ წყალობისდა მიხედვით ყმა შეიძლებოდა ან მარტივად „შეწყალებული“ ყოფილიყო, ან „**აღმატებით შეწყალებული**“ (იქვე * 649, გვ. 435).

ზემონათქვამის შემდგომ მაშასადამე ცხადია, რომ **„ყმათა“ ხელში საკუთარ მამა-პაპეულს გარდა 1) „საპატიო“ ქვეყანა და მიწები იყო, თუ რომ მას „პატრონთაგან“ რაიმე „მისანდობლობა“ ჰქონდა ჩაბარებული და მოჯელედ იყო დადგენილი; 2) „მსახურებისა ნაცულად“ მიღებული ან „მამულობით“, ან „სახარაჯოდ“ ნაბოძები და ნაწყალობევი ცისე-ქალაქ-სოფლები და მიწები, თუ რომ მას განსაკუთრებული გულმოდგინეობა გამოჩენილი ჰქონდა „ყმებრივ“ სამსახურში.**

„საპატიო“ ქონება პირადი თვისებისა უნდა ყოფილიყო და ერთგულ **ყმის ხელში მხოლოდ იმდრომდე იქმნებოდა, სანამ მას მოჯელეობა ებარა.**

რაკი „საპატიო“ ქონების მფლობელობა მოჯელის „დიდება“-ზე იყო იყო დამოკიდებული. ამიტომ ვგონებ ამ „საპატიო ქონებას“-ს აგრეთვე „**დიდებული ქონება**“ ეწოდება. როდესაც გაფიცულმა დიდგვარიანმა მოჯელეებმა თამარ მეფეს წინადადება მისცეს, „აწვიეს მოღებად

ყოვლისა დიდებულისა ქონებისა და სიმდიდრისა“, ამირსპასალარს ყუბასარს მთელი „დიდებული ქონება და სიმდიდრე“ ჩამოართვიო, თამარმა ეს მთლად არ შეიწყნარაო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 628, გვ. 406).

„ნაწყალობევ“ ქონებისა და ყმის იურიდიული ბუნება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ სახელდობრ რა პირობით იყო ხოლმე იმთავითვე ნაბოძები: „მამულობით“ ანუ სამემკვიდრეოდ. თუ მხოლოდ პირადად, ან კიდევ მარტო „სახარადოდ.

„მამულობით“ ნაბოძები აგრეთვე „სამამულოდ“ მიბოძებულადაც იწოდებოდა. თამარ მეფის დროინდელს შიომღვიმის მონასტრის მიერ მიცებულს სიმტკიცის წიგნში მაგ. ნათქვამია: „ჩუენ მღჳმისა ლავრისა კრებულმან... სამწირველოჲ... მოგეცით და მოგაჴსენეთ სამამულოდ და მკჳდრად“-ო (შიომღ. მონ. ისტ. საბ. 24$_{2,6-7}$). ხოლო იმავე საბუთში ქვემოთ, იქ სადაც ამ მიბოძებას თანამედროვე და თანადამხუდარნი ამტკიცებენ, ამავე საგანზე სწერია: „მამათა და ძმათა ამის უდაბნოჲსათა ტუხაჲსძიასადა და ყოველთა მომავალთა მათთადა კუირიკე კახთა მეფისა სამწირველოი **მკუიდრად და მამულობით** უბოძებია“-ო (იქვე 25$_{9-11}$). მაშასადამე ერთსა-და-იმავე საბუთში, ერთსა-და-იმავე დროს „სამამულოდ"“–აც იხმარებოდა და „მამულობით“-აც. ამ ორს ტერმინს სრულებით ერთი-და-იგივე, თანასწორი მნიშვნელობა ჰქონია.

ტერმინი „სამამულოდ"“ შემდეგ დროინდელს საბუთებსა და ძეგლებშიაც ჩვეულებრივად იხმარებოდა, მაგ. მე-XIII ე საუკ. პირველ ნახევრის მიქაელ კათოლიკოზის ერთს „შეწყალების“ წიგნში სწერია: „ვისმინეთ აჯა თქუენი და **მოგეცით სამამულოდ** შენ ვაჩე გუარამაჲს ძესა, ჩუენსა მსახურთა უხუცესსა, შვილთა და მომავალთა შენთა... **სოფელი ორომაშენი**“-ო (ს. კაკ. მე-XIII-ე საუკ. პირვ. ნახევრის საქართ. კათალ. 5$_{11-14}$). ქართ. ჟამთაამწრელსაც აღნიშნული აქვს, რომ სამაგალითო თავგანწირულების დასაჯილდოვებელად „**დაიმადლა მეფემან** ეზომ რომელ **ქვაბულიანი თემი ერთი სამცხეს და საყდარი ტბეთისა შავშეთს სიგლითა სამამულოდ მიუბოძა**“-ო (ჟამთააღ. * 837, გვ. 683).

როდესაც „შეწყალებულის“ ყმას ნაწყალობევი „მამულობით“ ანუ „სამამულოდ“ ნაბოძები ჰქონდა, მის მემკვიდრეებსაც უფლება ენიჭებოდათ ნაწყალობევი დაემკვიდრებიათ და ესარგებლათ.

ამიტომაც იყო, რომ „მამულობით“ ანუ „სამამულოდ“ ნაწყალობევი ამასთანავე „**მკჳდრად და ნებიერობით**“ ნაბოძებადაც იწოდებოდა. ატენის „სიონის“ 1060-1068 წ. კედლის წარწერაში მაგ. ნათქვამია: რაკი ბაგრატ მეფის მიერ მინდობილი საქმე ატენში ქალაქის აშენების შესახებ პირნათლად ავასრულეთო, „**შეგჳწყალნა** მეფობამან მათმან: სასახლენი ადგილნი და საქულბაგენი **მკჳდრად, ნებიერობით გჳბოძნა** მირიანს და ყმათა მისთა“-ო (იხ. ჩემი Къ вопросу о врем. Постр. Груз. Храма въ Атени“. ХВ. Т. I, вып. III, გვ. 286$_{6-8}$). ჩვენამდის ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთმა, მე-XIII-ე საუკ. პირველ ნახევრის „წყალობის წიგნმა“ მოაღწია და ისიც ეკლესიის მიერ არის ნაბოძები. თუმცა სრულიად არა, მაგრამ დაახლოვებით მაინც ამ საბუთის მიხედვით შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, თუ როგორი წესი ყოფილა „მეწყალების“ და „წყალობის“ მიფენის დროს. **მხოლოდ განსაკუთრებულს შემთხვევაში, დიდ ომებისა და ლაშქრობის შემდგომ, ან საგანგებო, არაჩვეულებრივ სამსახურის დასაჯილდოვებლად თვით „პატრონი“ თავის წადილით უბოძებდა ხოლმე „წყალობა"-ს. ყოველდღიურს ცხოვრებაში-კი „შეწყალება“ ჩვეულებრივ ერთგულ და მსახურეულ ყმის „აჯისა და მოხსენების“ შედეგი იყო ხოლმე, „აჯა და მოხსენება“** წინ უძღოდა, რომ „პატრონს“ დამსახურებული, ან გაჭივრებული ყმა „შეეწყალა“. აი მაგ. რას ამბობს. თავის წყალობის წიგნში კათალიკოზი მიქაელ: „ოდეს პირველ **ხუარაზმელთაგან** და მერმე **თათართაგან მოოჴრდა ესე სამეფოი და ზოგნი ქუეყანანი და სოფელნი დიდადრე მოოჴრდეს და შენ და შენნი ძმანი დიდსა უგემურობასა შინა იყუენით, ამისთუის რამეთუ რანიცა მამულნი გქონდეს, იგინიცა ამოწყუეტილნი იყუნეს და მით ოდენ ვერ დარჩებოდით...** და ამისითა მიზეზითა **გუეაჯენით... ვითამცა შეგუეწყალენით** შენ ვაჩე გურამის ძე **და საყდრისა სამსახუროდ, სამამულოდ სარჩომი გაგუეჩინა... ვისმინეთ აჯა თქუენი და მოგეცით სამამულოდ** შენ ვაზე გურამას ძესა, ჩუენსა მსახურთ-უხუცესსა, შვილთა ღა მომავალთა „შენთა **კათოლიკე ეკლესიისა სამსახუროდ სოფელი** ორომაშენი“-ო (ს. კაკ. მე:XIII-ე საუკ. პირვ. ნახ. საქართ, კათალიკოზები, 5$_{4-14}$).

მაშასადამე ჯერ ჩვეულებრივ ყმას „აჯა და მოხსენება უნდა წარედგინა თავის „პატრონისა“-თვის, ხოლო შემდეგ, თუ პატრონი „ისმენდა“ ამ აჯას „შეწვალების შესახებ, ყმას ებოძებოდა ხოლმე ნაწყალობევი და ის უკვე „შეწყალებული“ იყო, როგორც აღნიშნული გვქონდა „შეწყალება“ სხვადასხვა სახითა და პირობით შეიძლებოდა, მაგრამ ყოველთვის ღა ყველა „შეწყალებულს“ ყმას აუცილებლად „ერთგულება“ და „სამსახური“, ანუ უკეთ რომა ვთქვათ „ერთგული სამსახური“-კი ეთხოვებოდა: ეს თვით „წყალობის წიგნ“შიც მუდამ საგანგებოდ აღნიშნული იყო კიდეც.

როდესაც ნაწყალობევი მარტო პირადად-კი არ ებოძებოდა, არამედ საშვილიშვილოდაც სახმარებლად, მაშინ, როგორც ზემომოყვანილ ცნობებითგანაც ჩანს, წყალობის წიგნში ეს გარემოებაც განსაკოთრებით დასახელებული იყო ხოლმე და იწერებოდა, რომ „შეწყალებულს“ ნაბოძები აქვს „მკჯდრად და ნებიერობით“, ან არადა „სამამულოდ“, „მამულობით“. X-XIII ს.ს.-ის დროინდელი „წყალობის წიგნები“ რომ შენახული ყოფილიყო, იქმნებ იქაც ეს სამივე სიტყვა იმგვარადვე ერთად ყოფილიყო დასახელებული, როგოროდაც ერთად და განუყრელად გვხვდებიან მე-XIV-XV-ე ს.ს.ს-ის წიგნებში, სადაც ჩვეულებრივ სწერია: „მკუიდრად, სამამულოდ და „შეძუელებით“"-ო და სხვა.

ხოლო **როდესაც „ნაწყალობევი**“ შეწყალებულს ყმას **„მამულობით“-კი არა,** არამედ მხოლოდ პირადად **„მეწყალებულს“ ჰქონდა ნაბოძები**, მაშინ რასაკირველია **მემკვიდრეებს ამ ნაწყალობევთან ხელი არა ჰქონდათ და ისევ „პატრონსა“ უბრუნდემონებოდა უკან**. ამ შემთხვევაში ქონება „შეწყალებულს“ არამც თუ „მამულობით“+ არ ჰქონდა მოცემული, არამედ არც „ნებიერობით“ შეეძლო ფლობა იმიტომ, რომ განთვისების უფლება მას არა ჰქონდა. მაშასადამე **აქ მხოლოდ მფლობელობისა სარგებლობის უფლება იყო და არა საკუთრება**.

„საპატიო“ და „ნაწყალობევ“ ქონებათა იურიდიული თავისუფლება ზოგჯერ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც ეტყობა **იცვლებოდა ხოლმე**: „საპატიო“ ქონება მოჯელეობის ჩამორთმევისდა მიუხედავად ჯელმწიფის წყალობით მთლად არ წაერთმეოდა ხოლმე, პირადად ნაწყალობევისგან მეფეს მეზკვიდრეებისათვისაც ზოგი რამე შეეძლო დაეტოვებინა, მაგ. როდესაც ამირსპასალარს ყუბასარს დიდგვარიან მოჯელეთა გაფიცვის გამო თამარ მეფემ ვაზირობა წაართვა, მაინც რაკი მას მართლაც განსაკუთრებული ღვაწლი და „სამსახური“ მიუძღოდა თამარის მამის გიორგი III-ის წინაშე, თამარმა „მოიხსენა“ ყუბასარის ეს „სამსახური“ და „**თუინიერ ჯელისუფლობისა და ლორესაგან კიდე არა რა დააკლო**“-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 628, გვ. 406). ლორე სხვათა შოროს ამირსპასალარის „საპატიო“ ქონებას ეკუთვნოდა. რაკი ყუბასარს ამირსპასალარობა ჩამოერთვა, ამიტომ ლორეც წაერთვა. მაგრამ დანარჩენი „დიდებული ქონება“-კი თამარ მეფეს წინანდებურად ყუბასარის ხელში დაუტოვებია. თავისდა-თვად ცხადია, რომ რაც ამის გამოისობით „საპატიო“ ქონებას მოაკლდებოდა სხვა შესაფერ მამულების მიმატებით იქმნებიოდა ანაზღაურებული.

ამნაირადვე, როდესაც „მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი“, მამის დიდი ღვაწლის გამო, თამარ მეფის ბრძანებით „**თმოგვისაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა**“-ო (იქვე * 657, გვ. 444). ცხადია, აქ ან „საპატიო“, ან ისეთ „ნაწყალობევ“ ქონებაზეა საუბარი, რომელიც „მამულობით" და „ნებიერობით“ არ ყოფილა ნაბოძები. მეფეს იმის მაგიერ, რომ შვილებისათვის ჩამოერთმია, თმოგვის გარდა დანარჩენი ყველაფერი შვილებისათვისაც უწყალობებია. **ამგვარად თანდათანობით** ზოგჯერ (თუმცა უფრო იშვიათად) „**საპატიო**“ და ხშირად „**ნაწყალობევი“ ქონება დროთა განმავლობაში „სამკჯდროდ“ და „სამამულოდ**“, ე.ი. თითქმის მემკვიდრეობით საკუთრებად **ხდებოდა**. მაგრამ ეს კია, რომ, როგორც მერმინდელ სიგელებითგანაც ცხადად ჩანს, არც იმთავითვე „მამულობით და „ნებიერობით“ ნაწყალობევი, **არც დროთა განმავლობაში „სამამულოდ“ ქცეული მაინც-და-მაინც „შეწყალებულისა“ და მის შთამომავლობის სრულ საკუთრებად არ ითვლებოდენ.** ამგვარ ქონების განთვისების, – გაყიდვის, თუ გაცვლის, ან მეწირვის უფლება პირადად ჯელმწიფის საგანგებო ნების დაურთველად არა ჰქონდათ და მხოლოდ „პატრონის“ „კითხვითა“ და „ნება დართვითა“ შეეძლოთ შეეწირათ, გაეყიდათ ან გაეცვალათ. ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება შეურყეველად ამტკიცებს, რომ მამულობით „ნაწყალობევ“ ქონების უზენაეს მესაკუთრედ ბოლოს-და-ბოლოს მხოლოდ მწყალობელი „პატრონი“ ითვლებოდა და არა „ შეწყალებული“.

რაკი ჩვენ უკეე შეძლებისამერ „შესწავლილი გვაქვს, თუ რადარა ყმობა არსებობდა საქართველოში, რა ნიადაგზე და როგორ იყო თვითოეული მათგანი აღმოცენებული, ახლა ურიგო არ იქმნება თვალი გადავავლოთ ქართულ „პატრონყმობა“-ს და მის უმთავრეს დამახასიათებელს საზოგადო. თვისებებს, რომ შემდეგ ქართ. პატროყმობა სხვა ქვეყნების მსგავსსავე დაწესებულებას შევადაროთ.

უკვე გამორკვეულია, რომ ყმა აჩ „ნასყიდი“ იყო ხოლმე, ან „ნებიერი“, ან „შეწირული“, ან არა და „ნაწყალობევი“. ზემომოყვანილს დაწვრილებით განხილვაში მხოლოდ „მკჯდრი ყმა“ არ არის მოხსენებული, იმიტომ რომ იმ დროინდელს საბუთებში, რომელთაც ჩვენამდის მოუღწევია, ეს ტერმინი არა გეხდება. ეს გარემოება რასაკვირველია იმის საბუთად ვერ გამოდგება, ვითომც მაშინ „მკჯდრი ყმა“ საქართველოში არ ყოფილიყოს. აქ სულ სხვა მიზეზია. „მკჯდრი“ ყმობა ყმობის „განსაკუთრებული სახე არა ყოფილა, არამედ „მკჯდრ“ ყმად ისეთი ყმა ითვლებოდა, რომელიც პატრონს თვითონ-კი არ შეუძენია, ან პირველად მას-კი არ ჰყმობია, ან არა და პირველად მისთვის-კი არ უწყალობნიათ, არამედ მის წინაპრებს, მას-კი ეს ყმა მხოლოდ მემკვიდრეობით რგებია. ხოლო რაკი საგვარეულო მემკვიდრეობის ეკლესიისათვის შეწირვა თანამოგვარეთა დაუკითხავად არ შეიძლებოდა და „სულის საოხად“-აც უეჭველად პირადად შეძენილის შეწირვა ითვლებოდა საუკეთესოდ, ამიტომაც არის, რომ იმ საბუთებში, მონასტრისადმი შეწირულობის სიგელებში, - რომელთაც იმ დროითგან ჩვენამდის მოაღწიეს, „მკჯდრი ყმა“ მოხსენებული არ არის, რაკი „მკჯდრი“ ყმობა პატრონყმობის განსაკუთრებულს სახეს არც შეადგენდა, ამიტომ არც აქ არის საჭირო ყველა იმ ცნობის მოყვანა, რომელიც-კი ამის „შესახებ მერმინდელს წყაროებში მოიპოვება, მით უმეტეს რომ ეს საკითხი თავის დროზე და შესაფერისს ადგილას დაწვრილებით იქმნება განხილული.

თუ ჩვენ ყმათა ზემოჩამოთვლილ ჯგუფების თვისებას დავაკვირდით, ცხადი იქმნება ჩვენთვის, რომ ნასყიდობაზე აღმოცენებული ყმობა და „ნასყიდი ყმა“ პატრონის კერძო მეურნეობისა და გამპრიახობის ნაყოფი იყო. ამგვარის ყმის შეძენა პატრონის ქონებრივ ძალასა და ხერხიანობაზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც არის, რომ ნასყიდობაზე აღმოცენებული ყმობა უფრო კერძოუფლებრივისა და კერძომეურნეობითი ხასიათის მოვლენად გვეჩვენება.

სულ სხვა თვისება ჰქონდა „ნებიერ“ ყმობას, როდესაც ადამიანი თავის ნებით ეყმობოდა ვისმე და „პატრონ“-ად აირჩევდა, მფარველს გაიჩენდა. რასაკვირველია ხშირად აქაც სრული „ნებიერი“-ობა არ იყო ხოლმე, არამედ ქონებრივი გაჭირვება და ძლიერი კაცის მფარველობის საჭიროება აიძულებდა მას თავისთვის „პატრონი“ მოეძებნა და ჰყმობოდა. მაგრამ მაინც ცხადია, აქ უკვე საზოგადო-უფლებრივი მოვლენა იყო. „ნებიერი“ ყმა ამასთანავე პატროწყმობის პირობების დამდებიც იყო და ამის გამო „ნებიერ“ ყმობა ქართ. პატრონყმობის შემოქმედებაში რასაკვირველია თვალსაჩინო მონაწილეობა ექმნებოდა მიღებული. საფიქრებელია, რომ ბოლოს-და-ბოლოს ალბათ „ნებიერ“ პატრონობის ერთგვარი და საზოგადო სახე უნდა შემუშავებულიყო და საპატრონყმო უფლება-მოვალეობათა გარკვეული სამაგალითო. წესი შექმნილიყო. „ნებიერი“ ყმობა იმგვარადვე, როგორც „ნასყიდი“ ყმობა შეიძლებოდა სამეფო და საუფლისწულო უწყებანიც ყოფილიყო, კერძო მესაკუთრეებსაც ჰყოლოდათ ამგვარი ყმები და ეკლესიასაც.

პირიქით „შეწირული“ ყმების, „პატრონ“-ად მხოლოდ ეკლესია და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებანი იყვნენ. ეს. გარემოება ეკლესიას და მონასტრებს განსაკუთრებულს უპირატესობას ანიჭებდა და მრავალრიცხვან ყმათა და დიდძალის ქონების პატრონად ხდიდა, რაკი „შეწირული“ ყმები „სულთა ხორცად“ და „სააღაპელ“ იყვნენ გან კუთვნილნი, ამიტომ შემწირველი ცდილობდენ ისეთის ეკლესიისა და მონასტრისათვის მიეცათ თავიანთი შეწირულობა, რომელიც ან სასწაულთმოქმედ ხატით, ან მონაზონთა წმიდა ცხოვრებით იყო განთქმული. სწორედ ამის გამო. იყო, რომ რაც უფრო სახელ მოხვეჭილი ჰქონდა ამა თუ იმ ეკლესიას აწ მონასტერს, მით უფრო-და-უფრო მეტს შეწირულობას, მიწებსა და „შეწირულ“ ყმებს იზიდავდა და მდიდრდებოდა. ამ „შეწირულობის“ წყალობით ქართული ეკლესია ერმრავალ და ძლიერ. „პატრონად იქცა, მონასტრები და განთქმული საერო ეკლესიები დიდ მესაკუთრეებად გახდენ. „ნებიერ“ ყმობასავით განსაკუთრებული მნიშვნელობა პატრონყმობის წესწყობილების შემუშავებისა და დამკვიდრებისა თვის საქართველოში „შეწყალება“-ს და

„შეწყალებულება“-ს ჰქონდა. ამგვარი ყმობა „ნასყიდ“ ყმობისაგანაც და ნებიერობისაგანაც არსებითად განსხვავდებოდა. ამასთანავე აქ შეწყალებულ „ყმების“ მოვალეობად „ერთგულება“ და „სამსახური“ გარკვევით და საგანგებოდ იყო, ხოლმე აღნიშნული თვით „წყალობის სიგელ”-შივე. **მწყალობელი „პატრონი“ „შეწყალებულ“ ყმისაგან ქონებრივ გამორჩენის და სარგებლობას-კი არ ელოდა, საყმო გადასახადებს-კი არ სთხოვდა, არამედ „ერთგთლად სამსახურს**“. დაჯილდოვებულს ეს თვისება და მოვალეობა ან უკვე გამოჩენილი ჰქონდა და ამის „ნაცვლად“ იყო „შეწყალებელი“, ან „ახლად“ დაილოცებოდა ხოლმე, რომ მომავალში თავისი „ერთგულება“ და „სამსახური“ დაემტკიცებინა. მაშასადამე ამ შემთხვევაში პატრონყმური დამოკიდებულება სულ სხვა საფუძველზეა დამყარებული. **ამისთანა ყმობაც არაფერს სათაკილოს და დამამცირებელს არ შეიცავს, როგორადაც რასაკვირველია დამამცირებელი იყო ნაყიდი ყმობა,** ჯერ ერთი იმიტომ რომ „შეწყალებული“ თვით იყო ხოლმე „შეწყალებისად“ და ყმობის მოაჯე. მაშასადამე თვით მისი ნებით ნაკისრები მოვალეობა ედვა. ამ მხრივ „შეწყალებული“ ცოტა არ იყოს „ნებიერ“ ყმას მიაგავდა.

„შეწყალება“ მიღებული იყო როგორც მეფე პატრონსა და ყმა-ქვეშევდრომთა მორისაც, ისე ქართულ საზოგადოებრივ ყველა წრის წარმომადგენელთა შორისაც, როდესაც ყოველი უმაღლესის წრის წევრი, ან დაწესებულება შეიძლებოდა „შემწყალებელი „პატრონი“ ყოფილიყო უფრო დაბლა მდგომ „მოაჯე“ ყმისა.

მაგრამ **„შეწყალება-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს სამეფოს მაღალ და გავლენიან მოჯელეთათვის ჰქონდა**. მარტო. „საპატიო“ მამულებიც ყოველ მოჯელეს იმ დროს უკვე ქონებრივადაც შეძლებულად ხდიდა, ხოლო რაკი მეფისათვის სწორედ დიდ ჯელსუფალთა ერთგულ სამსახურს ჰქონდა ფასი, ამიტომ მეფეს ყველაზე მეტად. „შეწყალება“ თავის დიდ ჯელისოფლებისათვის უნდა ებოძებინა. სწორედ ასეც ხდებოდა და მეფის მიერ **„შეწყალებულნი“ განსაკუთრებით დიდი ჯელისუფალნი და მოწინავე, გავლენიან წრეების წევრნი იყვნენ**: „წყალობის“ უუდიდესი ნაწილი მათ ხვდებოდათ.

რაც უფრო-და-უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა საქართველო და მისი საჯელმწიფოებრივი სამზღვრები ახლად 'შემოერთებულის ვრცელი ქვეყნების წყალობით გასაოცარის სისწრაფით ფართოვდებოდა, საქართველოს დიდებულ ჯელისუფალთა და მმართველ წრეების ქონებრივი ავლადიდებაც „შეუჩერებლივ იზრდებოდა და მატულობდა. მარტო ნადავლით და ნატყვენავით-კი არ აიხსნება ეს

გამდიდრება: ამ წყაროს მხოლოდ დროებითი და ამასთანავე შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, - არა, ყოველი ძლევამოსილი ლაშქრობა, რომლის. შემდგომაც საქართველოს საჯელმწიფო სამზღვრებს ახალი ქვეყნები შეემატებოდა ხოლმე, ან ყოველი სამჯედრო მოქმედების შემდგომ, როდესაც მებრძოლთა მეთაურნი სამეფოს დიდს ღვაწლს დასდებდენ, ჯელისუფლებს „მსახურებისა ნაცვლად“ და კვლავ „ერთგულ სამსახურის“ განსაცხოველებლად „შეწყალებ“-ის სახით ან „საკუთრად“, ან „სანახევროდ“ „სახარაჯო“ ქალაქები, ციხეები და მთელი სანახების სოფლებიც-კ ებოძებოდათ ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ ომს და სალაშქრო საქმეს მაშინ ასეთი ძლიერი მიმზიდველობა ჰქონდა!

„შეწყალება“-მ განსაკუთრებით მორჩილ გვარიან ჯელისუფლების განმაცვიფრებელს გაძლიერებას შეუწყო. ხელი. დავით აღმაშენებლისა და განსაკუთრებით თამარ მეფის ისტორიკოსების თხზულებებითგან ჩანს, რომ მე-XII-ე საუკუნეში, მეტადრე გიორგი III და მის დიდებული გვირვინოსან ასულის დროს „შეწყალება“-მ დიდებულ და „შეწყალებულ“ ჯელისუფალთა და მმართველ წრეებს უზარმაზარი უძრავი ქონება ჩაუგდო ხელში, საარაკო სიმდიდრე შესძინა და მრავალ ყმათა მფლობელად და „პატრონ “-ად გახადა.

როგორც შემდეგრი გამორკვეული იქმნება. (იხ. მევე, თავი „ბრძოლა აზნაურთა და საქარ. მეფეებს შორის“), საქართველოს დაუცხრომელი წადილი ის იყო, რომ დიდგვარიან აზნაურ მოჯელეთა ურჩობა და ქედფიცხელობა აელაგმათ, იმიტომ, რომ თავიანთი სურვილი განეხორციელებინათ, ისანი დიდგვარიან მოჯელეების მაგიერ უგვარო ჩამომავლობის, მაგრამ ერთგულს პირებს ჰნიშნავდენ ხოლმე. დიდგვარიანი მოჯელეები, ვითარცა მრავალ ყმათა და მამულების მფლობელნი, ურჩობის დროს მეფეებს მედგარს წინააღმდეგობას უწევდენ და ამის გამო საშიშარი მეტოქეები იყვნენ. უგვარო მოჯელეებს-კი არც ამგვარი კავშირი ჰქონდათ

ადგილობრივ და არც ყმებით ჰქონდათ ზურგი მაგარი. ისინი საშიშარნი არ იყვნენ და მათთვისაც მეფისადმი ერთგულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

საქართველოს მეფეთა ხელში „შეწყალების“ წესი დიადი და ძლიერი იარაღი იყო მათ პოლიტიკის განსახორციელებლად. ვინც მათი „ერთგული მსახური“, მათ წადიერებათა და ბრძანებათა „მოსწრაფედ“ აღმასრულებელი გამოდგებოდა, უფრო „მეწყალებულიც“ იქმნებოდა. **„შეწყალებით“ მეფე თავის ერთგულთ ზურგს უმაგრებდა, ეკონომიურად აღონიერებდა, „ყმათა“ რიცხვს უმრავლებდა**. ამნაირად **თანდათან დიდგვარიან მოჴელეთა გვერდით მსახურეული „შეწყალებულთა“ ჯგუფი უნდა გაჩენილიყო, რომელიც მარტო დიდგვარიანობას და „მემამულე“ აზნაურობას იყო მოკლებული, მაგრამ რომელთა წევრნი ქონებრივად ძლიერნი იყვნენ და მრავალ ნაწყალობევ ციხე-ქალაქ.სოფლების „პატრონებად" იჟვნენ „აღზეებულნი“.**

მხოლოდ „შეწყალების“ წესი ამასთანავე ძირს უთხრიდა თვით იმ საქმეს, რომლის განხორციელებასაც მეფეებმა ეგოდენი ძალა შეალიეს. „შეწყალება“ მოჴელეს თუნდაც „უგვაროს“ და „უაზნოს“ ისევ თანადათანობით ქონებრივად ძლიერ და მრავალ. „ყმათა“ პატრონად ხდიდა. მის ხელში დიდძალი სიმდიდრე გროვდებოდა. ამასთანავე ჴელისუფლობის წყალობით მას დიდი პოლიტიკური გავლენაც ჰქონდა. მის მემკვიდრეს თავიანთი „უაზნობა“ ადვილად ავიწყდებოდათ და ისინიც სხვილ. მემამულეებად ხდებოდნენ. ასეთ მდგომარეობაში მათაც ქედმაღლობა ბუნებრივად უჩნდებოდათ.

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ყმათა შეზღუდვილს უფლებრივს მდგომარეობას თვით მათი. სახელიც ნათელ-ჰყოფდა. ზემოთქმულითგან ცხადია, რომ ეს შეზღუდვილობაც ყმათა თვითოეულ ჯგუფთაგანს სხვადასხვა გვარი ექმნებოდა: ზოგს მეტი, ზოგს კიდევ ნაკლები. სამწუხაროდ მასალები საშუალებას არ გვაძლევენ ეს საკითხი ცოტაოდნად მაინც გამოვარკვიოთ. სერაპიონ ზარზმელის ც˜ა საბუთს გვაბლევს ვიფიქროთ, რომ თუ ყველას არა, **ზოგიერთი ყმას** მაინც **„პატრონის“ ანუ „უფლის“ ნებადაურთველად მონაზონადაც-კი აღკვეცა და შედგომა არ შეეძლო.** ბასილი ზარზმელს იქ მოთხრობილი აქვს, რომ ერის კაცს, რომელიც „ძარღუას-სოფელი“-თგან ყოფილა და თანაც მალემსრბოლად ითვლებოდი თავის „უფალ“-თან, მონაზონად შედგომა მოუწადინებია და უჩუმრად თავისი სურვილი განუხორციელებია კიდეც. როდესაც ის ბერად გამოწყობილი თავის სოფელს სწვევია, იქ მისი ისევ გაერისკაცება უნდოდათ თურმე: „ენებაჲ კუალად ერისაგან ყოფაჲ“. ხოლო რაკი ნებაყოფილობით ვერ დაიმორჩილეს, მის პიფრონს “შეატყობინეს: „უთხრეს ესე უფალსა მისსა რაჲმეთუ იყო კაცი იგი საჴმარ და მსრბოლ გზათა შორთა“-ო (ც˜ა სრპ˜ნ ზრზ˜ლსჲ 38[3-6]). ბერად შემდგარი მაშინ-კი გაიქცა თავის სოფლითგან და თუმცა მის „უფლის“ ბრძანებით მას „დევნა უყვეს უკანა მისსა“, რომ დაეჭირათ და. პარონთან დაებრუნებინათ, მაგრამ მან დაასწრო: „შევიდა კაცი იგი მონასტრად და მდევარნიცა იგი უკანა მისსა“. მხოლოდ იმ დროს, როდესაც მათ „ენებაჲ რათა შეიპყრან“. მან თავისი „ჴელთსაჴოცელი ეკლესიაში შეაგდო და ამის შემდგომ მჩდევართ მისი დაჭერის უფლება აღარ ჰქონდათ და ხელს ვერ შეახებდენ (იქვე 38[10-16]). საფიქრებელია, რომ უფლება ასე შეზღუდვილი განსაკუთრებით ნასყიდს ყმებს უნდა ჰქონოდათ, თუმცა სრულებით დაუკითხავად ბერად შედგომა ალბათ არც ნაწყალობევ, შეწირულ და ვადამდე არც ნებიერ ყმებს შეეძლოთ.

ზემონათქვამის შემდგონ ქართული პატრონყმობის დამახასიათებელ და არსებით თვისებათა მოკლედ აღნუსხვაც შეიძლება. პატრონყმობა მთელს ძველ საქართველოს ნიმანდობლივს ელფერს აძლევდა: იგი სუფევდა როგორც სოციალურს, ისე სახელმწიფო წესწყობილებაშ. პატრონი მეფესაც ეწოდებოდა და ჩვეულებრივ მომაკვდავსაც, თუ მათ ყმები ჰყავდათ. ყმაც ქვეშევრდომსაც ნიშნავდა და პატრონთადმი ყმებრიე სამსახურითა და ერთგულებით ვალდებულთაც, ჩვეულებრივ ყმებსაც. მეფის გარდა, რომელიც მხოლოდ პატრონი იყო და არავის ყმად არ ითვლებოდა, ყოველი პატრონი, რომელსაც ყმები ჰყავდა,

შეიძლებოდა იმავე დროს თვითონაც სხვისი ყმა ყოფილიყო და ჩეეულებრივ იყო ხოლმე კიდეც ან მეფისა ან არა და დიდებულისა ან აზნაურის. მაშასადამე, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, თითქმის მთელი მაშინდელი საქართველო, მეფისაგან მოყოლებული უბრალო მდაბიომდე, პატრონყმობის უღელში იყო შებმული. პატრონყმობის დამახასიათებელს ნაწილს და დაწესებულებას „შეწყალება“ შეადგენდა ღა ყმა ჩვეულებრივ იმავე დროს „შეწყალებული“ იყო ხოლმე. პატრონყმურ დამოკიდებულების ჩამოგდებას, როდესაც ყმობა ნასყიდობისა და შეუძლებლობითი მოვალეობისაგან არ წარმომდინარეობდა, არამედ ნებაყოფლობითი იყო. და შეწყალებულ ყმობას-კი ყოველთვის ყმობის მსურველის შესაფერისი აჯა და მოხსენება წინოძღოდა. პატრონის თანხმობის შემდგომ შეწყალებული ყმა დაილოცებოდა ხოლმე, „წყალობა-ჴელდასხმული“ უნდა ყოფილიყო. ყმის მოვალეობას პატრონის ყმებრივი სამსახური და ერთგულება შეადგენდა, განსაკუთრებით ლაშქრობაში. ქონებრივი დამოკიდებულება სხვა-და-სხვა გვარი იყო ხოლმე, იმისდა მიხედვით თუ რა წესით იყო ყმა შეწყალებული, ან რა პირობა ჰქონდათ ერთმანერთში ნებაყოფლობით პატრონ-ყმათა დადებული. შეწყალებულობის არსებითს და მთავარს თვისებას ის საზოგადო და იმდროისათვის დამახასიათებელი დებულება შეადგენდა, რომ „მსახურებისა ნაცულად“ უძრავ ქონების ბოძება იყო წესად მიღებული. ჭირში თუ ლხინმი პატრონყმანი ერთი მეორეს უნდა მიჰშველებოდენ. ომიანობის დროს საქართველოს მხედრობა და ჯარი რასაკვირველია ტომობრივად იყო დაყოფილი და ასევე იბრძოდა, მაგრამ ამას გარდა და იმავე დროს პატრონყმურადაც იყო დარაზმული, თვითოეულ პატრონს გარს ეხვივნენ მისი ყმები, რომელნიც პატრონთან ერთად იბრძოდენ. ყმები პატრონის თანამყოლნი იყვნენ და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულნი უმკლავდებოდენ ხოლმე მტერს. ამიტომ ვინც უფრო ერმრავალი იყო ის სხვებზე უფრო ძლიერად გრძნობდა თავის თავს.

ქართული პატრონყმობა გასაოცრად მიემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ფეოდალურს წესწყობილებას, ე.წ. ფეოდალიზმს. როგორც საქართველომი პატრონყმობა, ისე დასავლეთს ევროპაშიც ფეოდალური წესწყობილება სახელმწიფო და სოციალური ცხოვრების საზოგადო მოვლენა იყო, საერთო თვისება ჰქონდა. იქაც მაშინ ყეელანი ფეოდალურ დამოკიდებულებით იყვნენ დაკავშირებულნი. მაგ. საფრანგეთმი უბრალო მდაბიოთგან დაწყებული თვით საფრანგეთის მეფემდი ყველანი საფეხურის მსგავსად ფეოდალიზმით ერთმანერთზე იყვნენ გადაბმულნი. A. Esmein. Cours d'histoire du droit français I, გვ. 178).

დასავლეთ ევროპაშიაც პატრონყმობა წარმოსდგა ორგვარის დამოკიდებულებისაგან, რომელთაგან ერთი პირადი თვისებისა იყო და „ვასალობად“ (vassalitè, die Vassalität) იწოდებოდა, რაც პირადს „ყმობას“ უდრის, მეორე-კი ქონებრივ თვისებისა იყო და ბენეფიციუმი“ (bèneficiu, le benefice, das Benefizialwesen) ერქვა, რაც მნიშვნელობითაცა და არსებითადაც ქართულს „შეწყალებას“ უდრის (A. Esmein. ფრანგული სამართლის ისტორია I, 186. R. Schröder Lehrbuch der deutschem Rechtsgeschichte გვ. 156). საფრანგეთშიაცა და გერმანიაშიც ბენეფიციუმი ქართულ „შეწყალებასავით“ მარტო ჩვეულებრივს დასაჩუქრებას-კი არ ეწოდებოდა, არამედ განსაკუთრებით პატრონის მიერ ყმისაღმი უძრავ ქონების და მოჯელეობის ბოძებას, რისთვისაც ყმას ვალად ედვა პატრონის ყმებრივი სამსახური და ერთგულება (A. Esmein. ფრანგული სამართლის ისტორია 184-189, R. Schöder. გერმანული სამართლის ისტორია 161-163 вф H. Brunner. Dentsche Rechtsgeschichte. 1906 წ. I, 308-309). ტერმინი „ბენეფიციუმი“ შემდეგში 'მეიცვალა სხვა ტერმინად, რომელსაც ლათინურად „feudum“, ფეუდუმ“-ს ეძახდენ. ეს სიტყვა სამხრეთ საფრანგეთითგან გავრცელდა სხვა ქვეყნებშიაც და უკვე მე-XI-ე საუკუნითგან გერმანიაშიაც იყო ცნობილი. სწორედ ამ ტერმინმა მე-XIII-ე საუკუნითგან მოყოლებული სრულებით განდევნა და მოსპო თავდაპირველი „ბენეფიციუმი“ (R. Schröder გერმანული სამართლის ისტორია 393-394).

ამ შედარებით ახალ ტერმინითგან, რომელსაც ფრანგულად le fief, ხოლო გერმანულად das Lehn (ძველ ზემოდოიჩურად Lehan, Lehen) უდრის, წარმოდგა თვით ის სიტყვაც, რომელიც დასავლეთ ევროპის საპატრონყმო წესწყობილების (ე.წ. ფეოდალიზმი, Feudalverfassung, das Lehnwesen, das Feudalwesen, la fèodalitè, le regime fèodal, système fèodal) აღსანიშნავად იხმარება.

დასავლეთ ევროპაში პატრონს dominus, „დომინუს“-ი (უფალი), ან უფრო იშვიათად senior, „სენიორ“-ი ეწოდებოდა, ხოლო ყმას vassus, vassalus, homo, puer, „ვასსუს“, „ვასსალუს“, „ჰომო“ (კაცი), „პუერ“ (ყრმა) ერქვა (M. Esmein. ფრანგული სამართლის ისტორია I, 186, 194. R. Schröder გერმან. სამართლის ისტორია 156, 157, 398 და 442). იქ მტკიცედ „შემუშავებული წესიც-კი არსებობდა, რომელსაც საპატრონყმო ხელშეკრულების დადების დროს მისდევდენ ხოლმე. ამ წესს გერმანიაში „ჰულდე“ (die Hulde) ერქვა. პულდეს წესით ყმობის მოწადინებულს პატრონი ხელს ჩამოართმევდა (mannschaft, homagium, hominium, hulde thun), ყმას უნდა ხელზე ეკოცნა და ერთგულებისა და მსახურების ფიცი დაედვა (fidelitas, hulde schwören). პატრონი თავის ყმად ნაფიცს შეწყალების ნიშანს აძლევდა წყალობის მიხედვით, უფრო ხშირად ხმალს ან შუბს, აჩ საბუხარს, ან ქუდს, ან კვერთხს, ან უფრო იშვიათად ბეჭედსაც. როდესაც ყმა მთავრად ინიშნებოდა, მაშინ პატრონი მას დროშას აძლევდა ხოლმე (R. Schröder გერმანული სამართლის ისტორია 398-399).

საფრანგეთში საპატრონყმო ხელშეკრულობა (ფრანფ. Le contrat fèodal, homage, ლათ. hominium, homagium) შემდეგი წესით უნდა ყოფილიყო დადებული. ყმობის მაძიებელი ანუ „ვასსალი“ თავ-შიშველა და უხმლოდ პატრონს მუხლს მოუყრიდა ხოლმე, ხელების აპყრობით პატრონს შეჰფიცავდა, რომ ამიერითგან ის ფიცსა სდებს (fidei datio) თავის ახალს პატრონს ერთგულად ემსახუროს ყველა მის მტრების წინააღმდეგ. მაშინ პატრონი მუხლმოყრილს ყმას წამოაყენებდა და პირში აკოცებდა, თანაც გამოაცხადებდა, რომ ისიც ამიერითგან მას კაცად (homo), ანუ ყმად სთვლიდა. მეტი სიმტკიცის გულისათვის ჩვეულებად შემოიდეს რომ ზემოაღნიშნულ სიტყვიერ ფიცს გარდა ყმას პატრონისათვის სახარებაზედაც უნდა შეეფიცა ერთგულება. ამის შემდგომ პატრონს ყმა უნდა „შეეწყალა“ ე.ი. ყმისათვის გამომეტებულ „წყალობის“ ნიშანი უნდა ებოძებინა. ჩვეულებრიე ეს ნიშანი სიმბოლური იყო და როგორც გერმანიაშიაც პატრონს იარაღისა, ან სამოსელისა, ან სამოხელეო ნიშნის ჩუქებით უნდა გამოეხატა თავისი წყალობა (A. Esmein ფრანგული სამართლის ისტორია I, 187-189).

სამწუხაროდ საპატრონყმო პირობისა და ხელმეკრულობის დადების წესრიგის შესახებ საქართველოში ჯერ ჩვენ ძველი ცნობები და აღწერილობა არ მოგვებოვება, რომ დასავლეთ ევროპის ზემოაღნიშნულ წესებისათვის დაწვრილებით შეგვედარებინა, მაგრამ ის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები, რომელნიც აქა-იქ შენახული არიან, გვაფიქრებინებენ, რომ ქართული პატრონყმობა ამ მხრივაც დასავლეთ ევროპის ფეოდალურ წესწყობილებას მიემსგავსება, მაგ. შეწყალებული ყმა, როგორც უკვე დავრწმუნდით საქართველოშიაც მოვალე იყო პატრონისათვის ერთგულება და სამსახური ყმებრი დაემტკიცებინა, პატრონს ლაშქრობაში მიშველებოდა. ამასთანავე ჩვენშიაც „შეწყალებული“ იმავე დროს „წყალობა-ჴელდასხმული“ იყო ხოლმე და საქართველოშიაც მოჴელების ბოძებისა და წყალობის დროს მეფე „შეწყალებული თავ-თავის შესაფერ ნიშანს უბოძებდა ხოლმე ან არგანს ან ბეჭედს ან სხვას რასმე. რაკი ჩვენშიაც ერისთავთ-ერისთავებსა და ერისთავებს მათ სამოხელეო ღირსების ნიშნად სხვათა შორის დროშაც ჰქონდათ, (იხ. მოელეობა) ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ ნიშანსაც, ერისთავებსა და ერისთავთ-ერისთავებს მეფე აძლევდა ხოლმე მისანდობლობის წყალობის დროს. ამავე წიგნის უკანასკნელს ნაწილში თავის ადგილას აღნიშნული იქმნება, რომ საქართველოშიაც სამეფო მონასტრის ახლად არჩეულს მამასახლისს მეფის დარბაზში მიიყვანდენ და მეფე მას „არგანს მოახსენებდა“ და მონასტერს „შეჰვედრებდა“. ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპაშიც, მაგ. გერმანიაში ეპისკოპოსებსა და მონასტრების წინამძღვრებს მეფეები ჯერ არგანს (ferula, virga pastoralis), შემდეგ ეპისკოპოსებს არგანს გარდა ბეჭედსაც, ხოლო ვორმსის კონკორდატის (1122 წ.) შემდგომ-კი სკიპტრას უბოძებდენ ხოლმე (R. Schröder გერმანული სამართლის ისტორია 399). ზემონათქვამის შემდგომ ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ძველ საქართველოშიაც არსებობდა მოჴელეობისა და „წყალობის“ სიმბოლურად გადაცემა ე.წ. „ინვესტიტურა“ (ლათ. Investiture, გერმ. Die Investitur, Symvolsche Inv., ფრანგ. L'investiture). ცნობების უქონლობის გამო ჩვენ ჯერ და ნამდვილებით ვერ ვიტყვით ნიშანდობლივ იარაღის ყმისათვის ბოძება პატრონის მიერ საერთო ჩვეულება იყო „შეწყალების“ დროს საქართველოში, თუ მხოლოდ ზოგიერთს, განსაკუთრებულს შემთხვევაში იცოდენ.

რაკი მასალები ჯერჯერობით მაინც მთლიან სურათს არ გვიხატავენ და ცნობები ნაწყვეტ-ნაწყვეტად არის შენახული სხვადასხვა წყაროებში, ამიტომ ქართულ „შეწყალებულობის“ მთლიანი სურათის აღდგენაც შეუძლებელია და ამის გამო ვერც იმის თქმა შეიძლება, თუ რამდენად ზედმიწევნით მიაგავდა დასავლეთ ევროპის შესატყვისს მოვლენას (ინვესტიტურის წესს). ცხადია მხოლოდ, რომ ტერმინი „წყალობა-ჴელდასხმული“ გვაფიქრებინებს, რომ საქართველოშიაც „შეწყალების“ მტკიცე და საჯარო წესი უნდა ყოფილიყო შემუშავებული. ისიც ვიცით, რომ საქართველოშიაც შეწყალებულს ყმას დარბაზობის წესი „თაყვანება“-ს ავალებდა.

როგორც საქართველოში „შეწყალება“ და „ნაწყალობევი“ ქონება შეიძლებოდა მკვიდრად ყოფილიყო და პატრონის ნებართვით მემკვიდრეებზედაც გადასულიყო და თანდათან თითქმის მამულად ქცეულიყო, ისე დასავლეთს ევროპაშიაც, მაგ. საფრანგეთსა და გერმანიაში „ფეოდს“ თანდათან მემკვიდრეობით საკუთრებისა და თითქმის მამულის თვისება მიენიჭა, ფეოდი უკვე ჩვეულებრივ სამამულოდ გაიცემოდა ხოლმე. გერმანიაში ფეოდის მემკვიდრეობით გადასვლა შთამომავლობაზე (Die Erblichkeit der Lehen) უკვე მე-XI-ე საუკუნითგან მოყოლებული საერთო წესად ითვლებოდა (R. Schröder გერმანული სამართლის ისტორია 408), საფრანგეთშიაც ნაწყალობევის სამამულო საკუთრებად გადაქცევა (la patrimonialitö des fiefs მე-XIII-ე და მე-XIV-ე საუკუნეებში საზოგადო, ყველასაგან ცნობილი მოვლენა იყო, მხოლოდ დამკვიდრებისათვის პატრონის ნებართვა და დამტკიცება ისე, როგორც საქართველოშიაც, აუცილებლად საჭირო იყო ხოლმე (A. Esmein. ფრანგული სამართლის ისტორია I, 194-195).

მაგრამ მრავალს ზემოაღნიშნულს ცხად მსგავსებას გარდა, რომელიც ქართულ პატრონყმობასა და დასავლეთ ევროპის ფეოდალურ წესწყობილებას ემჩნევა, მათ შორის ერთი არსებითი განსხვავებაც იყო. დასავლეთს ევროპაში ფრანგი და გერმანელი პატრონი „ფეოდალი“, „სენიორი“ თავის საპატრონო ქვეყნის უზენაესი გამგე იყო, მის ხელთ იყო სახელმწიფო სამართლის უძვირფასესი განძი: მართლმსაჯულებისა და გადასახადების აკრეფის უფლება. მის ხელთ იყო როგორც სისხლისა, ისე სამოქალაქო სამართალი და სასამართლო. მისი განაჩენი უზენაესი და უქცეველი იყო (A. Esmein, ფრანგული სამართლის ისტორია 181-182). მაშასადამე დასავლეთ ევროპის სენიორებს და მათს საპატრონოს ე.წ. „**იმმუნიტეტი**“ (ლათ. immunitas, ჩვეულებრივ. Emmunitas-დ იწერებოდა. გერმ. Die Immunität, ფრანგ l'immunitè). ჰქონდათ, ამგვარი დაწესებულება საქართველოშიაც არსებობდა და მას „**შეუვალობა**“ ეწოდებოდა, „იმმუნიტეტი“ შეუვალობა თავის ყმებისათვის მხოლოდ პატრონს შეეძლო მიენიჭებინა და, როგორც თვით ქართულს ტერმინში ნიშანდობლივ გამოთქმულიც არის, იგი იმაში მდგომარეობდა, რომ პატრონ-მეფის მოხელეებს არც სასამართლოდსადა არც გარდასახადების ამკრებთ „შეწყალებულ“ ყმის, ან ეკლესიის, ან მონასტრის სამფლობელოში შესვლის უფლება არ ჰქონდა და იმ სამფლობელოს მკვიდრნი სამეფო სასამართლოდსა და ყოველგვარ სამეფო გადასახადებისაგან განთავისუფლებულნი იყეჩენ, მხოლოდ თავიანთ საკუთარ პატრონის სასამართლოს ექვუემდებარებოდენ და ყოველგვარ გადასახადების გაწერისა და აკრეფის უფლებაც მარტო მათს პატრონს ჰქონდა (R. Schröder. გერმანული სამართლის ისტორია I, 197-199, 391-392). „შეუვალობა“ ნიადაგს აცლიდა სახელმწიფოს მთლიანობას, სრულებით ამცირებდა მეფის უფლებას და სახელმწიფო სამართლის უძვირფასეს ნაწილს ძირს უთხრიდა: მთელმა სახელმწიფომ თითქოს კერძო მეურნეობის ელფერი მიიღო და მრავალ კერძო. სამეურნეო ერთეულად და საკუთრებად იქცა. ამიტომაც იყო, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს საშუალო საუკუნეებში საზოგადო-უფლებრივი თვისება და ხასიათი თითქმის სრულებით დაკარგული ჰქონდათ.

საქართველოშიც არსებობდა „შეუვალობა“, მაგრამ იგი არას დროს სახელმწიფო ცხოვრების საზოგადო მოვლენად არ ყოფილა, არამედ მხოლოდ გამონაკლისს შეადგენდა. ამასთანავე იგი თითქმის მხოლოდ სახელმწიფო გადასახადებს ეხებოდა და სასამართლო შეუვალობა საქართველოში არას დროს არ ყოფილა. გადასახადების შეუვალობაც უმეტესად საეკლესიო. და სამონასტრო ყმებს ჰქონდათ მინიჭებული. მაინ-და-მაინც **ჩვეულებრივ საპატრონო ყმებსაც სახელმწიფო თავის გადასახადებს თავისვე მოხელეთა ხელით ართმევდა**

ხოლმე და მათ პატრონებს ამასთან საქმე არა ჰქონდათ. არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, რომ სასაართლოს შეუვალობა რომელსამე პატრონს და მის ყმებს მინიჭებული ჰქონოდეს.

ცნობილია მხოლოდ „სისხლის სიგელები", რომლის რამდენიმე ცალი დაბეჭდილიც არის თ. ჟორდანიას მიერ „ქრონიკებ"-ში (წ. II) და ე. თაყაიშვილის მიერ „საქართველოს სიძველენ"-ში (განსაკუთრებით წ. II). მაგრამ ეს „სისხლის სიგელები" სასამართლო შეუვალობის წიგნებად ვერ ჩაითვლება, არამედ სულ სხვა ხასიათის ძეგლად უნდა იყვნენ ცნობილნი, ამ „სისხლის სიგელებ"-ში მეფე ამა-თუ-იმ საგვარეულოს მხოლოდ პირადად უპირატესობას ანიჭებს, რომ თუ ვინიცობაა მათ ვინმემ რაიმე ვნება, ან ზარალი მიაყენოს, მას სასჯელი ე.წ. „სისხლი" ჩვეულებრივზე მეტი გადახდომოდა და თვით „სისხლის" რაოდენობაც ამ სიგელში განსაზღვრულია. ამ საბუთებში ნათქვამი არ არის, რომ მათი საქმე სამეფო სასამართლოს არ უნდა გაერჩია, პირიქით სრულებით ცხადია, რომ „სისხლის" რაოდენობა სწორედ სამეფოს მსაჯულთათვის იყო სახელმძღვანელოდ დადებული. ამაზე უფრო დიდმნიშვნელოვან გარემოებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ამ **სისხლის სიგელითაც მის მფლობელს თავისი ყმების განკითხვა-გასამართლების უფლება სრულებითაც არ ენიჭებოდა** და ამაზე იქ არაფერი იყო ნათქვამი უდიდესი უპირატესობა, რომლის მინიჭებაც ამ საბუთს შის პატრონისათვის, შეეძლო მხოლოდ იმაში გამოიხიტებოდა, რომ მის ყმებსაც ჩვეულებრივზე მეტი „სისხლი სდენოდა", ე.ი. მიმძლავრებულ ყმის სასარგებლოდ დამნაშავეს უფრო მკაცრი ქონებრივი სასჯელი დასდებოდა. **დასავლეთ ევროპის შეუვალობა-კი სულ სხვა რამე იყო: იმუნიტეტი იქ პატრონს თავის ყმების ერთად-ერთ უზენაეს მსაჯულად ხდიდა,** მის საპატრონო ქვეყანაში სამეფოს სასამართლო არ მოქმედობდა, მისი ყმები მეფის მსაჯულებს არ ექვემდებარებოდენ, მათთვის სამეფო სამართლისა და სასამართლოს კარები დაწშული იყო. **არაფერი ამის მსგავსი საქართველოში არ ყოფილა:** პატრონებს თავიანთ ყმებისადმი მსაჯულის უფლება არ ჰქონიათ, არამედ ყმებიც სამეფოს მოსამარლეებს ექვემდებარებოდენ და ყმათათვისაც სახელმწიფო სასამართლოს კარები მუდამ ღია იყო. **მხოლოდ საქართველოს ეკლესიას ერთობლივ ჰქონდა სასამართლო შეუვალობის უფლება და მისი ყმები მხოლოდ საეკლესიო სასამართლოს ემორჩილებოდენ,** მაგრამ ეს უპირატესობაც მარტო საპატრონყმო უფლებისა და წესწყობილების ნიადაგზე არ არის აღმოცენებული. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა გამოქვეყნებული „სისხლის სიგელი" საეჭვო ღირსებისაა და ყალბი უნდა იყოს.

მაშასადამე ცხადია, რომ საქართველოში, სახელმწიფოებრივი აზროვნება და სამართალი ისე არ ყოფილა დაცემული, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში იყო საშუალო საუკუნეებში.

სახელმწიფოსა და ყველა ქვეშევრდომს შორის კავშირი და პირდაპირი დამოკიდებულება საქართველოში შეწყვეტილი არ ყოფილა და საჴელმწიფო სამართლის ორი უზენაესი გამოხატულება, მართლმსაჯულებისა და გადასახადების გაწერისა და აკრეფის უფლება, მეფეს მტკიცედ ეპყრა. ამის გამო ცხადია, რომ ქართულ საპატრონყმო ქვეყანას და პატრონებს სახელმწიფოებრივი უფლება აკლდათ და სრულებით ცალკე, დამთავრებულ ერთეულებად ვერ ჩაითვლებოდენ. სწორედ ამ მხრივ ქართული პატრონყმობა დასავლეთ ევროპის პატრონყმობისაგან არსებითად განსხვავდება.

მომავალი გვიჩვენებს, თუ რა მიზეზია, რომ ქართულ და დასავლეთ ევროპის პატრონყმობის ზოგიერთი ტერზინნ, როგორც მაგ. „ყმა", „ყმანი" და puer, puer, Knaben (H. Brunner. Deutsche Rechtsgeschichte I, 371-2. R. Schröder. გერმანული სამართლის ისტორია 441-442), „ლაშქარნი" ანუ „სპანი" და milites, „წყალობა", ანუ „შეწყალება" და Benefcium, „შეწყალებულნი" და „beneficarii" (H. Brunner. გერმანული სამართლის ისტორია I, 309), ასე გასაოცრად მიემსგავსებიან ერთმანერთს: მხოლოდ შემთხვევითი მოვლენა, თუ ამ მსგავსებას უფრო ღრმა მიზეზი აქვს?

რამდენად ფრთხილად უნდა მსჯელობდეს მეცნიერი ამისთანა შემთხვევებში, ტერმინი „პატრონი"-ც საუცხოვოდ ამტკიცებს, ის „პატრონი", რომლისგანაც მემდეგში თანდათანობით ქართული სამწერლო ენის „ბატონი" და მეგრული „პატონი", „პატენი", „პატინი", „პატნი", წარმოდგა. უეჭველია ქართული „პატრონი" რომაელების patronus-ი არის. მაშასადამე უნებლიეთ აზრი ებადება მკვლევარს რომაულ პატრონატსა და ქართულ. პატრონყმობას

შორის დამოკიდებულების შესახებ, სახელდობრ ქართული პატრონყმობა ხომ რომაულ „პატროცინიუმ“-ისაგან არ არის წარმომდგარი? ამიტომ ჩვენ რომაულ ამ დაწესებულების თვისებები უნდა შევისწავლოთ.

„პატრონუს“-ი რომაულად და რომში ციცერონის დროს და „შემდეგშიაც კეისრობის დროსაც ისეთს გავლენიანს მფარველს, მზრუნველს ჰნიშნავდა, რომელსაც თავისი cliens „კლიენტი“, ანუ უფრო რჩეული „amicus“ „მეგობარი“ და „comes“, comites, „თანამყოლნი“ სასამართლოში და სახელმწიფო ცხოვრების სარბიელზე ყოველგვარ ძალმომრეობისაგან უნდა დაეცვა და მის დაწინაურებას ცდილიყო (Fustel de Coulanges, Les origins du système fèodale. Le bènèfice et le patronat pendant l'epoque mèrovingienne. Paris 1890 წ. 207, 209, 213 და გვ. 221-222, 231), „კლიენტი“-ს, „თანამყოლისა“ და „მეგობრის“ მოვალეობა იყო თავის პატრონის მისწრაფებისა და წადიერების განხორციელებისათვის ხელი შეეწყო, თუ იგი რომელსაზე თანამდებობას მოისურვებდა, მის არჩევანის დროს პირადადაც უნდა მისთვის მხარი დაეჭირა და სახოგადოებაშიაც მის მომხრეთა რიცხვის გამრავლებისათვის ეზრუნათ, თუ პატრონს რაიმე საქმე ჰქონდა სასამართლოში, ისინი მის გვერდით უნდა ყოფილიყვნენ და თან წაჰყოლოდენ. ჩვეულებრივაც ქუჩებში სიარულის დროს მის მხლებელად უნდა ყოფილიყვნენ, ყოველ დღე დილით პატრონთან მისულიყვნენ, რომ მიჰსალმებოდენ და მისი განკარგულება შეეტყოთ. საყურადღებო ის არის, რომ „კლიენტს“, „თანამყოლსა“ და „მეგობრის“ პატრონისათვის მიშველება ომიაანობის დროს და სხვაგვარი სამხედრო დახმარება ვალად არ ედვ (იქვე 223).

ამგვარს დამოკიდებულებას რომში clientele, patrocinium, tutela, amititia-ს (კლიენტელა, პატროცინიემ, ტუტელა, ამიციცია-ს) ეძახდენ და იგი ყოველთვის ნებაყოფლობითი უნდა ყოფილიყო (იქვე 217 და 215). ამ დამოკიდებულების ჩამოსაგდებად საჭირო იყო, რომ „კლიენტი“, ან „თანამყოლი“, ენ „მეგობარი“ იმ პირთან მისულიყო, რომელსაც პატრონად ირჩევდა, და მისთვის ეთქვა: me commendo, me totum trado „ჩემს თავს მთლად შენ გაბარებ, შენ გაძლევო“ (იქვე 217). ასე იყო, რესპუბლიკის ხანაში.

როდესაც კეისრობა დაწესდა, ხელმწიფე-კეისრის „კლიენტები“ ერთბაშად ყველა სახელმწიფო დაწესებულების სათავეში მოექცნენ (იქვე 232-233). მარკოზ ავრელიუსმა „მეგობრები“ კეისარის მახლობლობას ჩამოაშორა და მუდმივი საბჭო შეჰქმნა, რომელშიაც ისინი წევრებად დასხა. როცა საჭირო იყო, კეისარი მათ ეთათბირებოდა და მათ რჩევას ჰკითხავდა ხოლმე. ამგვარად „amici“ „მეგობარნი“ სახელმწიფო საბჭოს წევრებად იქცნენ (იქვე 234).

Comites principis „თანამყოლნი ხელმწიფისა“-ნიც დიდ ხელისუფლობით იქმნენ აღჭურვილნი და დიდებულ მოხელეებად იქცნენ, ან მეჭურჭლეთ-უხუცესად, ან მწიგნობართა მთავრად, ან გამგეთ-უხუცესად, განსაკუთრებიო-კი მთავრებად. ცნობილნი არიან მაგ. comes აღმოსავლეთისა, „კომეს“ ეგვიპტისა, ესპანიისა, მარსელისა (იქვე 234). მე IV-ე საუკუნის წყაროები ცხად-ჰყოფენ, რაოდენად გავრცელებულა და მოდებული იყო პატრონ-კლიენტობა. ყოველს გავლენიანს რომაელს უეჭველად მრავალრიცხოვანი მონები და „კლიენტები“ ჰყავდა, თვითოეულს მათგანს დიდი ქონება და შემოსავალი ჰქონდა და კლიენტების აუარებელი საჩივრების მოსარჩლეობა საქმეს უჭირებდა (იქვე 235--236).

„კლიენტობის“ გავრცელების თავდაპირველს მიზეზს ზედ დაერთო აგრეთვე ის გარემოებაც, რომ წვრილ მესაკუთრეთათვის სახელმწიფო გადასახადების სიმძიმე თანდათან აუტანელი ხდებოდა და მათ მორის ბუნებრივმა სურვილმა და ძლიერმა მიდრეკილებამ იჩინა თავი, რომ სახელმწიფო გადასახადებისაგან როგორმე თავი ღაეღწიათ. საამისოდ უებარ საშუალებად ძლიერ „პატრონის“ გაჩენა იყო, მაგრამ ასეთს შემთხვევებში უეჭველია მარტო პირად კლიენტობით თავიანთ წადილს ვერ შეისრულებდენ და თავიანთ თავთან ერთად მთელი უძრავი ქონებაც ფორმალურად მაინც პატრონისათვის უნდა გადაეცათ. სწორედ ასეც იქცეოცენ (იქვე 242-244). სალვიანეს თავის თხზულებაში De gubernatione Dei მხატვრულად აქვს აღწერილი ამგვარ კლიენტების უმწეო უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა: „წვრილი ერი მფარველობის გულისათვის თავიანთ თავს დიდებულებს ანდობენ. ყველანი ვინც მფარველობას ეძებდენ, სანამ მფარველობას ეღირსებოდენ, თითქმის მოელ თავიანთ ქონებას

მათ განუთვისებენ ხოლმე და ამგვარად იმის გულისთვის, რომ მამებმა მფარველობა მოიპოვონ, შვილები მემკვიდრეობას ჰკარგავენ“-ო (იქვე 244). ამგვარმა მოძრაობამ იმდენად იმატა, რომ რომში და რომის სახელმწიფოში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა: ქვეყანა პატრონებად და კლიენტებად დაიყო. შემლებულნიც-კი მათზე უფრო ძლიერ და გავლენიან კაცის კლიენტობას არ თაკილობდენ, რაკი სახელმწიფო ასპარეზზე დასაწინაურებლად საჭირო. იყო, რომ მოხელეობის მაღალ საფეხურებამდის მისაღწევად ადამიანს ძლიერი მფარველი ჰყოლოდა (იქვე 246-247 და 239-240).

სრულებით ცხადია, რომ რომაულს პატრონ-კლიენტობას ბევრი რამ აქვს საშუალო საუკუნეების ფეოდალურ წესწყობილებასთან, მაგრამ გამოჩენილი **ფრანგი მეცნიერი ფჯვსტელ დე კულანჟი მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ ამ მსგავსებისდა მიუხედავად საშუალო საუკუნეების ფეოდალიზმი, ანუ პატრონყმობა რომაულ პატრონატისაგან არ არის წარმომდგარი** (იქვე 225, 234-235 და 247) **და მათ შორის ის არსებითი განსხვავება იყო, რომ რომაულ დაწესებულებას სრულებით სამხედრო აგებულება არა ჰქონია და კლიენტი სრულებით პატრონის ჯარის კაცი ყოფილა**, ფეოდალის ყმათა უპირველეს მოვალეობას-კი სწორედ პატრონთან ერთად თანამოლაშქრეობა შეადგენდა (იქვე 247).

ზემოაღნიშნულის გამო ცხადია, რომ **შეუძლებელია ქართული პატრონყმობაც რომაულ „პატროცინია“- სგან იყოს წარმოშობილი**, თუმცა თვით ტერმინი „პატრონი“ ასეთს მჭიდრო ნათესაობას უნებლიეთ გვაფიქრებინებდა. ამ ტერმინის ისტორიაც სწორედ რომ უცნაურია. იგი შეთვისებული ჰქონდათ გერმანელებს და ფრანგებსაც, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველებს მათთვის ასეთ შორეულ ქვეყნებითგან უშუამავლოდ შეეთვისებიათ, ჯერ ეს ერთი. მეორე კიდევ ის გარემოება არის, რომ თვით დასავლეთს ევროპაში საშუალო საუკუნეებში „პატრონუსი“ ჩვეულებრივ მხოლოდ უჰასაკოთ მზრუნველს (patronus, defensor) ჰნიშნავდა, ყმათა პატრონს, სენიორს კი განსაკუთრებით dominus „დომინუს“-ი, ანუ „უფალი“ ეწოდებოდა და ძალიან იშვიათი 'მემთხვევა არის, რომ საამისოდ ტერმინად „პატრონუს“-ი ყოფილიყოს ნახმარი (P. Schröder. გერმანული სამართლის ისტორია 268). მამასადამე, სწორედ ის მნიშვნელობა, რომელიც „პატრონს+“ ქართულში განსაკუთრებით ჰქონდა, დასავლეთ ევროპაში ჩვეულებრივ არა არა ჰქონია. ამიტომაკც შეუძლებელია, ეს ქართული ტერმინი დასავლეთ ევროპიდან იყოს ჩვენში შემოხიზნული.

მართალია საქართველოში პირადად რომაელებსაც ჰქონდათ გავლენა. ერთ დროს ჩვენი სამშობლო მათ მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა კიდეც, მაგრამ ეს ხომ დიდის ხნის ამბავი იყო. (I-III ს.). სიტყვა „პატრონი“--კი ქართულ მწერლობაში, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, მხოლოდ მე-XI-ე ს.-ში შემოდის, ცხოვრებაში-კი შეიძლება და ალბათ უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო შემოხიზნული, ამიტომ ცხადია, რომ **შეუძლებელია ქართული „პატრონი“ რომაელების ბატონობის დროინდელ ნაშთადაც ჩაითვალოს**.

ეს სიტყვა („პატრონის“, „პატრონ“) ბერძნულს („პატრუნუს“, „პატრუნო", „პატრუნ“) და ასურულსაც აქვთ შეთვისებული. ამიტომ შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ ქართულს სწორედ ბიზანტიითგან ჰქონდეს შეძენილი, მაგრამ ეს აზრიც ძალიან საეჭვო ხდება და საკითხის გადაწყვეტა იმის გამო ძნელდება, რომ თვით ბიზანტიამი ქართულ პატრონყმობისა და დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის მსგავსი დაწესებულება არ ყოფილა. ბიზანტიაში მფარველობას განსაკუთრებით მონასტრები ეძებდენ ხოლმე: შეეფარებოდენ რომელსამე გავლენიანს პირსა და თავიანთ მამულების საკუთრების უფლებას მათ უთმობდენ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ბიზანტიამი მონასტრების ამგვარს მფარველს „პატრონს“-კი არ ეძახდენ, არამედ „ხარისტიკარს“. სიტყვა „პატრონი“ ამ (ნების აღსანიშნავად არ იხმარებოდა. **რაკი საქართველოს „პატრონყმობის“ დაწესებულების ეს ნიშანდობლივ გამომხატველი სიტყვა ბიზანტიაში გავრცელებული არა ყოფილა, ამის გამო მკვლევარს არც შეუძლიან იმ დასკვნასაც მიემხროს, ვითომც პატრონწყმობა ბიზანტიის ზეგავლენის წყალობით გაჩენილიყოს საქართველოში**.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ თვით **რომაული სიტყვა და ტერმინი „პატრონი“ ქართულ პატრონყმობის წარმოშობის ისტორიას ვერ გაგვიშუქებს იმიტომ, რომ იგი ქართულში ისეთს დროს შემოდის, როდესაც თვით ის დაწესებულება საქართველოში კარგა**

ხანია უკვე არსებობდა. მხოლოდ წინად ამ ცნების ალსანიშნავად ნამდვილს ქართულს სიტყვას ხმარობდენ. **თავდაპირვულად „პატრონის“ მაგიერ ტერმინად „უფალი“ იხმარებოდა**. როგორც სახარების ქართულს თარგმანში (მათე X, 24, 25 XVIII, 26. XXIV, 48, 50. XXV, 14, 19, 21, 22, 23. მარკოზ IL 27. ლუკა X 2, XII 42, 43, 46. XIV 21, 23) ისევე წ˜ა შუშანიკისა და ევსტათე მცხეთელის და აბო ტფილელის მარტჳლობაში არსად სიტყვა „პატრონი“ არა გვხდება, არამედ „უფალი“. მაგ. მათეს თა ვთს სახარებაში (თავი XXIV) ნათქვამია „ნეტარ არს **მონისა**, რომლისა მოვიდეს **უფალი** მისი და ჰპოვოს“-ო. ამ შემთხვევაში საუბარი პატრონ-მონათა დამოკიდებულებას ეხება. მაგრამ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მე-XIL-XII-ე ს.ს.-ში და „შემდეგშიაც სიტყვა „პატრონი“ იქმნებოდა ნახმარი. მე-IX-X-ე ს.ს. თხზულებებში „უფალი“ სწერია. მაგ. ბასილ ზარზმელს ნათქვამი აქვს: „წარვიდა **კაცი** იგი (მსახური) სოფლაღ თჳსსა... უთხრეს ესე **უფალსა მისსა**, რამეთუ იყო კაცი იგი საჴმარ და მსრბოლ გზათა შორთა“ (ც˜ᲂ სრპ˜ნ ზრზმ˜ლსᲂ 8), „**უფალი** მის **დაბისა** (იქვე 8), „**უფალი** არს მათ **ადგილთა** და მპყრობელ ყოველთა მათ სანახებთაᲂ“. მაშასადამე ცხადია, რომ სანამ ქართულ მწერლობაში სიტყვა „პატრონი“ შემოვიდოდა, მანამდის უკვე სხვა ადგილობრივი ქართული ტერმინი „უფალი“ არსებობდა და მიღებული იყო. საგულისხმოა, რომ საფრანგეთსა და გერმანიაშიაც ამგვარადვე ცნება პატრონის გამოსახატავად, როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, dominus „„დომინუს“-ი ე.ი. უფალი იხმარებოდა. ზემოაღნიშნული ცხად-ჰყოფს, რომ ტერმინ „პატრონის სადაურობის გამორკვევა ქართულ პატრონყმობი ისტორიის დასაწყის და თვით დაწესებულების სადაურობის საკითხს ვერ გააშუქებს. აქაც ჩვენს თვალწინ ისეთივე შემთხვევა, როდესაც უკვე არსებულ ადგილობრივ სიტყვის მაგიერ ერი საუკუნეთა განმავლობაში უცხო ენებითგან სიტყვებს ითვისებს, თუმცა ახალ და ზედმეტ შეთვისებით თვით წესწყობილებაში და დაწესებულებაში არაფერი ახალი არ ყოფილა შეძენილი, როგორც მაგ. „შეადარე ქართ. „საზუერწ“, სპარს.-ქართ. საბაჟო და და რუს. „დამოჟნა“ და სხვა მრავალი. მაგრამ ადამიანის აზროვნებას ერთი ძვირფასი თვისება აქვს. იგი ცდილობს, რომ თვითოეული სიტყვა საგანგებო ცნების აღსანიშნავად გამოიყენოს და ამიტომ, რაკი „უფალი“ ერთსა-და-იმავე დროს ზეციერს მბრძანებელსაც ეწოდებოდა, ქვეყნიერსა და ჩვეულებრივ მომაკვდავ მფლობელსაც, ამიტომ ქართულმა ენამ პირველისთვის საგანგებოდ „უფალი“ შეირჩინა, ხოლო მეორე ცნების გამომხატველ ტერმინად განსაკუთრებით უცხო ენითგან შეთვისებული სიტყვა „პატრონი“ მიუჩინა. მომავალში, როდესაც ქართული პატრონყმობის ისტორიის შესასწავლად უფრო მეტი მასალა მოგროვდება გამოქეეყნდება, ის საკითხიც გამოირკვევა, შეითვისა თუ არა ქართულმა პატრონყმობამ რამდღენაღმე ახალი რამ ტერმინ „პატრონი“-ს შეთვისების დროს, თუ ამ მხრივ ჩვენს სახელმწიფო წესწყობილებას მართლაც სრულებით არაფერი ახალი არ 'შემატებია?

მოჴელენი დ მოჴელეობა

საჴელმწიფოს მართვა-გამგეობას მეფე რასაკვირველია მარტო პირადად სულ პატარა სამეფოშიაც კი ვერ გაუძღვებოდა და ამ საქმეში მას ეშველებოდენ სხვა-და-სხვა თანამდებობის პირნი, ამისათვის არსებობდა სხვა-და-სხვა დაწესებულებაც. იმ თანამდებობის პირთ, რომელნიც მეფის ბრძანებისა და კანონის აღმასრულებელნი იყვნენ და სამეფოს მართვა გამგეობაში ეშველებოდენ „**მოჴელენი**“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 625, გვ. 400) და „**ჴელოსანი**“ (X ს. შიო მღ. სიგ., შიომღ, საბ. 3: ც˜ა მფ˜სა დთ˜სი * 554, გვ. 100) ეწოდებოდა. მე-X-ე საუკ. ერთს სიგელში მაგ. ნათქვამია: „მითავისუფლებიან **ყოველთავე ჴელოსანთაგან:** მოლარეთაგან, მეულუფეთა, მეჯინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა, **ყოველთავე დარბაზით გამოსულთა ჴელოსანთა-გან“-ო** (შიო მღ. ისტ საბ. 3). დავით აღმაშენებელის ქველმოქმედების შესახებ ქართველი ისტორიკოსი ამბობს: ქველმოქმედებას „იქმოდის არა თუ **ჴელოსანთა**

მორთმეულისაგან ანუ საჭურულითა, არამედ ჴელთა თჳსთა ნადირებულითა“-ო. (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი * 554, გვ. 322).

„**ჴელი**“ მნიშვნელობით ლათინურს manus, „მანუს“-ს უდრიდა და უფლებას და საქმეს ეწოდებოდა. აქეთგან არის ნაწარმოები „**ჴელმწიფე**“ - სრულუფლებოსანი მოჴელე და შემდეგ განსაკუთრებით მეფე; აქეთგანვეა ნაწარმოები „**ჴელისუფალი**“ ანუ რაიმე თანამდებობის მექონი მოჴელე (ოპიზის სიგ. ბაგრატ IV, სქ˜ს სძვ˜ლნი II, 4; გელათის 1078 წ. სიგ. ქკ˜ბი II, 50; ისტ˜რნი და აზმ˜ნი *628, გე. 405). სიტყვას „ჴელი“ ძველს ქართულს იურიდიულ მწერლობაში რომ უფლების მნიშვნელობაც ჰქონდა, ეს თუნდაც თამარ მეფის შიომღვიმისადმი ნაბოძებ სიგელის შემდეგ სიტყვებითგანაც ჩანს: „არცა რაი მას წყალსა და გლეხსა ზედა ჴელისუფალთა ჩუენთა **ჴელი** შეუვიდოდეს“-ო. (ს. კაკაბაძის გამ. შიომღ. სამი სიგელი 7), ესე იგი ჩემს მოჴელეებს უფლება არა ჰქონდეთ გლეხებზედაო. ამიტომაც არის, რომ ვისაც რაიმე თანამდებობა „ჴელი“ ჰქონდა, ის „**ჴელოსანი**“ იყო და „**მოჴელე**“. სწორედ ამ თანამდებობის მნიშვნელობით არის ეს სიტყვა „**ჴელი**“ ნახმარი ქართველ ჟამთააღმწერელის შემდეგს მოთხრობაში. ვახტანგ მეფემაო, „აღიყუანა პატივსა ათაბაგობისასა და ამირსპასალარობისასა ხუტლუბუღა და **მიუბოძა ორივე ჴელი**“-ო (* 903, გვ. 744), ესე იგი ორივე თანამდებობა, ათაბაგობაცა და ამირსპასალარობაც ხუტლუბუღას უწყალობაო. თვით იმ თანამდებობას, რომელიც ჴელისუფალსა ჰქონდა, „ჴელისუფლობა“ ეწოდებოდა. ისტორიკოსი მაგ. ამბობს, რომ გაფიცული დიდგვარიანი აზნაურნი „ბრძო[ლი]სა მყოფთა **ჴელისუფლობისა** და დიდებისა-თჳს“ ერთმანერთს ეცილებოდენო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 629, გე· 406). ხოლო თვითოეული მოჴელის უფლება-მოვალეობას, იმას, რაც მას ეკითხებოდა და რაც მას ექვემდებარებოდა, „საჴელოი“ ერქვა (კ. გარიგება 4_{59}). კ. გარიგებაში მაგ. სწერია, რომ „საყდარ[ნ]ი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიო დასნი არიან, **ყველა ჭყონდიდელისა და საწოლის მწიგნობრის საჴელოისა**“ არიანო (იქვე 4_{57-59}).

იმავე ცნების გამოსახატავად, რისთვისაც სიტყვა „საჴელო“ არსებობდა, ამგვარ წინადიდებასაც ხმარობდენ ხოლმე: ესა და-ეს დაწესებულება და მოჴელენი „**მისის ჴელისა არიან**“ ან არისო. მაგ. მსახუნთუხუცესის შესახებ ნათქვამია: „ვაზირთა და **მისის ჴელისა** არის: სალარო, საწოლი, მესაწოლეთ-უხუცესი, მოლარეთუხუცესი, ფარეშთ-უხუცესი“ და სხვანიო (კ. გარიგება $6_{100-102}$). ან კიღევ მეჭურჭლე და საჭურჭლის მოჴელეები, ძველი ქალაქები და ვაჭრები, „ქალაქის ამირანი და მეჭურჭლენი **მისისა ჴელისა არიან**“-ო (იქვე 8_{167}-9_{175}). ან კიდევ ამირახორის შესახებ ნათქვამია: საჯინიბოს შემავალნი ყოველნივე ამირახორფის ჴელოსანი არიანო“-ო (იქვე 9_{185}).

როგორც ძველს ქართულ საბუთებითგან ჩანს მოჴელენი საქართველოში რამდენსამე მთავარ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ერთს ჯგუფს შეადგენდენ „ჴელისუფალნი,, მეორეს „საქმის-მოქმედნი“, მაგ. ბაგრატ IV მიერ ოპიზის მონასტრისადმი ნაბოძებს სიგელში სწერია: გამცნებთ „სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, ტაოსა და კლარჯეთისა ტანუტერთა და **ყოველთა ჴელისუფალთა და საქმის მოქმედთა** დაუმტკიცეთ“-ო (ს˜ქს სძვ˜ლნი II, 4). გელათის მონასტრის 1078 წ. სიგელშიც ნათქვამია: „აწ ვინცა ჰნახოთ... (ეს სიგელი)... **ყოველთა... ჴელისუფალთა და საქმის მოქმედთა ჩუენთა**, დაამტკიცეო“-ო (ქკ˜ი IL, 50).

თუ ამ ორი ტერმინის მნიშვნელობას დავაკვირდებით, შეუძლებელია არ შევამჩნიოთ, რომ მათ შორის არსებითი განსხვავება უნდა ყოფილიყო. „ჴელისუფალია“ ას, ვინც უფლებით არის აღჭურვილი, ბრძანების გაცემა შეუძლიან, „საქმის-მოქმედი“ (გიორგი IL სიგ., შიომღ. ისტ. საბ. 12; ს. კაკაბაძის გამ., შიომღ. სამი სიგ. 5; იმავე მეფის მეორე საბუთში. შიომღ, ისტ, საბ. 14: გელათის 1078 წ. სიგ. ქკბ˜ი II, 50; თამარ მეფის 1189 წ. გელათისადმი ბოძებული სიგელი ქკ˜ი 1L, 74; თამარ მეფისავე 1202 წ. სიგ. მიომღ. ისტ. ისტ. საბ. 26, შიომღ. სამი სიგ. 8) - კი საქმის ან ბრძანების აღმასრულებელი და სრულმყოფელია. ამ მხრივ ყურადღების ღირსია თამარის დროს გაფიცულ დიდგვარიან აზნაურთა მიერ წარმოთქმული სიტყვები: „აღარ ვეგებით ძუელთა **ჴელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა** ფარმანსა ქუეშე მყოფნი“-ო (ისტ˜რნი და აზ˜მნი * 628, გვ. 405). ფარმანი სპარსული სიტყვაა და ბრძანებასა ნიშნავს. მაშასადამე ჴელისუფალნი და განმგებელნი საქმისანი ბრძანების მიმცემნი იყვნენ; ჴელისუფლებს

საჴელმწიფოს საქმეების განგების უფლება ჰქონდათ, ხოლო მათ „ფარმანსა ქუეშე მყოფნი", მათ ბრძანებათა და განგებულებათა აღმასრულებელნი მოჴელენი იქმნებოდენ „საქმის მოქმედნი". ქართ. ჟამთააღმწერელს მაგ, აღნიშნული აქვს, რომ სადუნს, რომელიც დიდი ჴელისუფლი იყო, „საქართველოს ლაშქართა საქმე და განგება" ებარა (* 874, გვ. 718), თანაც იმავ ისტორიკოსს არ დავიწყებია აღენიშნა, რომ ეს სადუნი კარგად, „კეთილად **განაგებდა საქმეთა** საქართველ ოჲსათა (* 873, გვ. 717). ამგვარად, ყოველი დიდი ჴელისუფალი „საურავთა... გამგე" იყო (ჟამთააღ. * 892, გვ, 734).

საქმის-მოქმედნი ორხარიასხოვანნი იყვნენ - „**დიდნი და მცირენი**", ეს ცხადად მტკიცდება ძველის საბუთებით, იქ მაგ. ნათქვამია: „ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენ... **ყოველთა საქმის-მოქმედთა** ჩუენთა **დიდთა და მცირეთა**, (გამცნებთ) დაამტკიცეთ"-ო (1082 წ. გიორგი II სიგელი, შიომღ. ისტ. საბ. 14). „ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი... (გამცნებო) **ყოველია საქმის მოქმედთა** ჩუენთა **დიდთა და მცირეთა** დაუმტკიცეთ"-ო (1202 წ. თამარ მეფის სიგ., შიომღ. ისტ. საბ. 26 და ს. კაკაბაძის, შიომღ. სამი სიგელი 8; ამგვარივე წინადადება თამარ მეფის 1189 წ გელათისადმი ნაბოძებს სიგელშიც არის, (იხ. ქკ˜ბი II, 73-74). დიდებული ჴელისუფალნი და ვაზირნი იყვნენ „**განმგებლად** და **ზედამხედველად**... **საქმეთა**" (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი * გვ. 311), ეს იგი მათ თვითოეულს თავის დარგში სახელმწიფო საქმეების „განგებისა" და „ზედამხედველობის" უფლება ჰქონდათ.

ამისდა გვარად დიდებული მოჴელეები იყვნენ „**თანაზიარ მეფობისა**" ჴელმწიფისასა (ისტ˜ნი და აზ˜ნი * 649, გე. 434), მეფის მართვა-გამგეობის მონაწილედ ითელებოდენ.

ხოლო რაკი დიდ მოჴელობის წყალობა ვისთვისმე მეფის განსაკუთრებულ ნდობისა და მინდობილობის მინიჭებას მოასწავებდა, ამიტომ ჴელისუფლობის წყალობა „**მისანდობლობის**" ბოძებად ითვლებოდაა. თამარ მეფის ისტორიკოსი მაგ. ამბობს გიორგი (III) მეფემ სარგის მჴარგრძელს „მისცა **მისანდობლობა** [მსგავსად] გუარისშვილობისა მისისა"-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 614, გვ. 387).

მაშასადამე დიდებული მოჴელეები, ანუ ჴელისუფალნი იყვნენ „თანაზიარნი მეფობის" უფლებისა, „ფარმანის" ანუ ბრძანების გამცემნი, „გამგებელნი საქმისანი", ხოლო დანარჩენი „საქმის მოქმედნი იყვნენ, რომელნიც უნდა ყოფილიყენენ. მხოლოდ „ერთგულნი და **მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა**" მეფისა და მისი უფლების თანამოზიარე ჴელისუფალთა „ფარმანის" და „განგების" აღმასრულებელნი და „მოქმედნი".

როგორც ჴელისუფლებს, ისე საქმის-მოქმედთა შორის იყვნენ რასაკვირველია უფროს-უმცროსნი, რომელთაგან უმცროსნი თავთავიანთ უფროს მოჴელეებს ემორჩილებოდენ. ამგვარი უფროს მოჴელის ხელქვეითი უმცროსი თანამდებობის პირნი „**ქუეშე დაწესებულთა**" სახელით იყვნენ ცნობილნი. ქართველი ისტორიკოსი მაგ. ამბობს, რომ ავაგ ამირსპასალარმა „უბრძანა **მას ქუეშე დაწესებულთა...** და ყუესცა ეგრეთ"-ო (ჟამთააღ. * 808, გვ. 650).

ასეთს ჴელქვეით მოჴელეებს „**ქუეშეთთა ჴელისუფალთა და საქმის-მოქმედთა**" სახელი ერქვა. გელათის 1078 წ. სიგელში მაგ. ნათქვამია: „ერისთავთ ერისთავთ, ოთხმისდურთა, ნაცვალთა, ტყისმცველთ-უხუცესთა და ყოველთა მათ ქუეშეთ[თ]ა ჴელისუფალთა და საქმის მოქმედთა ჩუენთა (ვამცნებთ, ეს სიგელი) დაამტკიცეთ"-ო ქკ˜ბი II, 50). თვითოეულს მოჴელეს „მის ქუეშეთი მოჴელენი" ჰყავდა.

მოქმედების ასპარეზის მიხედვით მოჴელენი ორ მთავარ ჯგუფად იყოფებოდენ: ერთს ჯგუფს შეადგენდენ „დარბაზის კარს მჟოფნი" მოჴელენი (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 685, გე. 480), რომელნიც საჴელმწიფოს მთავარს და ცენტრალურს დაწესებულებაში, „დარბაზში" მსახურობდენ. რასაკვირველია, შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ საქმის ვითარებისა და სამსახურის გარემოების გამო ამგვარი მოჴელე დარბაზს გარეთ გაეგზავნათ საგანგებო მინდობილოიბით, ან ჩვეულებრივ მოჴელეთა მოქმედების შესამოწმებლად წასულიყო ხოლმე, მაგრამ ისინი მაინც საჴელმწიფოს ცენტრალურ დაწესებულებათა მოჴელეებად ითვლებოდენ და ხოლოდ „**დარბაზით გამოსულნი ჴელოსანნი**" და მოჴელენი იჟვნენ. ერთს მე-X-ე საუკ. საბუთში მაგ. სწერია: „მითავისუფლებიან ყოველთავე ჴელოსანთაგან: მოლარეთაგან, მეულუფეთა, მეჯინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა, მეჯამეთა, **ყოველთავე დარბაზით**

გამოსულთა ჴელოსანთაგან“-ო (შიომღ. ისტ. საბ. 3). დარბაზის კარსა მყოფ მოჴელეებს ვახტანგ. VI სასამართლო წიგნში „კარზედ გამგენი“ ეწოდებოდა (§ 34).

რა სახელს ეძახდენ ძველს დროს ადგილობრივ დაწესებულებათა მოჴელეებს, ჯერ არა ჩანს. ვახტანგ VI სასამართლო წიგნში-კი მათ სახელად „საქვეყნოდ გამრიგენი“ არის ნახმარი (§ 34). შესაძლებელია ამის მსგავსივე ტერმინი ყოფილიყო. ძველადაც. თუ საჴელმწიფოს მოჴელეებს ამ მხრივ განვიხილავთ, ჩვენთვის ცხადი იქმნება, რომ ვაზირები მაგ. მწიგნობართ-უხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთ-უხუცესი და სხვანი დარბაზის კარსა მყოფი ჴელისუფლები იყვნენ, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი ამირანი და სხვანი მათ მსგავსნი-კი საქვეყნოდ გამრიგენი არიან. მაგრამ ამასთანავე ერთისა და იმავე სახელწოდების მოჴელე შეიძლებოდა დარბაზის კარსა მყოფიც ყოფილიყო ღა საქვეყნოდ გიმრიგეც, მაგ. „**დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი** (კ. გარიგება 8174-9175) დარბაზის კარსა მყოფი მოჴელეები იყვნენ, ხოლო „მეჭურჭლენი ქალაქისანი“ (იქვე 8174) რასაკვირველია, საქვეყნოდ გამრიგენი. ამ გვარადვე ვაზირი მწიგნობართ-უხუცესი დარბაზის კარსა მყოფი ჴელისუფალი იყო, ერისთავთ-ერისთავის მწიგნობარი-უხუცესი-კი საქვეყნოდ გამრიგე მოჴელედ უნდა ჩაითვალოს.

თანამდებობასვე ჰნიშნავდა აგრეთვე სიტყვა „დიდება“-ც. რომ ეს ასეა ღა დიდება მოჴელეობას და მასზე დაფუძნებულს პატივსა ერქვა, ეს შემდეგ მაგალითებითაც მტკიცდება. ბაგრატ III შესახებ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს: მეფემ „განაგნა ყოველნი საქმენი აფხაზეთისანი, ურჩნი თვისნი შესცუალნა **დიდებისაგან**, ადგილთა მათთა [დაადგინნა] და **ადიდნა** ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა“ (მტ˜ნე ქ˜ჲ * 467, გვ. 242), დავით აღმაშენებელის ისტორიკოსიც ამბობს, რომ რაკი „ლიპარიტი ამირა“ წინაშე მეფისა „ზაკჳდა“ და ორგულობდა, მეფემ „ინება გაწურთუა მისი, ამისთჳსცა პყრობილ იყო იგი ჟამსა რაოდენ[სა]მე“, ხოლო შემდეგ „განუტევა იგი და **მითვე დიდებითა ადიდა და არა შეუცუალა**“-ო (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი * 521, გვ. 289). თამარ მეფის ისტორიკოსსაც აღნიშნული აქვს, რომ დიდგვარიანი ჴელისუფლები განთავისუფლებულ ამირსპასალარობისა, მანდატურთ-უხუცესობისა და მსანურთუხუცესობისა გამო ერთმანერთს ეცილებოდენ, „ბრძოლ[ისა] მყოფთა ჴელისუფლობისა და დიდებისა-თჳს“-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი “629, გვ. 406). ეპისკოპოსობის შესახებაც გრიგოლ ხანძთელის ცა˜ში ნათქვამია, რომ იგი არის „ჴორციელი **დიდება**“ (გვ. ე˜. თ˜ი დ, სტრქ. 1), ხოლო ეფთჳმე და გიორგი მთაწმიდელნიც ეპისკოპოსობას ერიღებოდენ ვითარცა „**დიდებასა** კაცთასა“ (ც˜ა იე˜სი და ეფთ˜მსი 35; ც˜ა გ˜ი მწმდ˜ლისა 305 და 317).

მღვდლობის თავობაზედაც გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრება“-ში სწერია: იგი „უფროჲს არს **ყოველთა დიდებათა სულიერთა და ჴორციელთ**ა“-ო (გვ. დ), მაშასადამე, სასულიერო თანამდებობა იყო თუ საერო, „დიდება“-დ იწოდებოდა და არსებობდა „დიდებანი სულიერნი და ჴორციელნი“.

უფრო განსაკუთრებული მნიმენელობა ჰქონდა სიტყვას „პატივი“, რომელიც ჯერ ერთი საკარისკაცო სახელწოდების აღსანიშნავად იხმარებოდა. ბაგრატუნიანთა მემატიანე სუმბატი მაგ. ამბობს, რომ გუარამს „მისცა... მეფემან ბერძენთამან **პატივად კურაპალატობა**“-ო (ც˜ა და უწყ˜ბა 45); ხოლო იმავე ავტორს გურგენ მეფისა ღა მის შვილის ბაგრატ III შესახებ ნათქვამი აქვს, რომ დავით დიდის კურაპალატის სიკვდილის უმალ აღმოსავლეთში მოსულმა „მოსცა... ბასილი მეფემან **პატივი** გურგენს **მიგისტროსობა** და ბაგრატს კურაპალატობა“-ო (იქვე, 65). „მატიანე ქართლისაჲ“-ც ერთგან ამბობს, რომ ბაგრატ IV დედა ბიზანტიაში გაემგზავრა „ძებნად პატივისა კურაპალატობისასა ძისა თვისისა"-თჳს და თავის წადილს მიაღწია კიდეც, კეისარმა „მისცა **პატივი კურაპალატობისა**“ მის შვილს მეფე ბაგრატსაო (* 482, გვ. 256). მართლაც კურაპალატობა და მაგისტროსობა ბიზანტიაში საკარისკაცო. ღირსება იყო და მოჴელეობისაგან, რომელსაც „οφφίχιοι“ და „ἀρχάι“ „οφφიკოჲ და „არხაი” ეწოდებოდა, სახელითაც განსხვაკდებოდა. საკარისკაცო სხვა-და-სხვა ღირსებას „ἀξιώματά“ „აქსიომატა"-ს ეძახდენ (Н. Скабалановичъ. Византю государство и церковъ въ XI въкъ. გვ. 169).

მაგრამ ამასთანავე აქა-იქ ისეთი შემთხვევებიც მოიპოვება, როდესაც „პატივი“ მოჴელეობასაც ჰნიშნავს, მაგ, თამარ მეფის ისტორიკოსს ნათქვამი აქვს: დიდებულმა მეფემ „უბოძა... **მსახურთუხუცესობა** ვარდანს [დადიანსა], **ჩუხჩერახობა** მარუმშიანსა ძესა

ჩუხჩერახისასა; ვინაცა მათ ორთავე მამანი მომჴცოენებულ იყუნეს, დასდვა მამისა პატივი მათისა“-ო. (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 632, გვ. 410); ხოლო იმავე ისტორიკოსს მოთხრობილი აქვს, რომ ზაქარია ამირსპასალარის სიკვდილის შემდგომ თამარ მეფემ მოუწოდა მის ძმას „ივანე მსახურთ-უხუცესსა და ინება **პატივსა** ძმისა მისისა აღყუანება და უბოძა **ამირსპასალარობისა პატივი**“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 719, გე. 526). ქართველი ჟამთააღმწერელიც ამბობს, რომ ივანე-ყვარყვარე ჯაყელი ციხისჯვარელი „**პატივითა** იყო მეჭურჭლეთ-უხუცესი“-ო (* 769, გე. 599), ხოლო სარგის ჯაყელს „აქვნდა **პატივი სამცხის სპასალარობისა**“ (იქვე 826, გვ. 671), კახა თორელსაც „აქვნდა **პატივად მეჭურჭლეთ-უხუცესობა**“ (იქვე * 864, გვ. 708), დასასრულ – ხუტლუბუღა სადუნის ძე მეფე დიმიტრიმ რომ „**სპასპეტობისა პატივსა** აღიყუანა“ (იქვე * 886, გვ. 729). ყველა ამ მაგალითითგან ჩანს, რომ თამარ მეფის ისტორიკოსი და ქართ. ჟამთააღმწერელი მსახურთ-უხუცესობასა, მეჭურჭლეთ-უხუცესობას, ამირსპასალარობას, სპასპეტობას და სპასალარობას „პატივს“ უწოდებს, ესე იგი ამ სიტყვას თითქოს მოჴელეობის ანუ ჴელისუფლობის ნაცვლად ხმარობს.

მღვდელმსახურთა თანამდებობის აღსანიშნავადაც ზოგჯერ სიტყვა „პატივი“ იხმარება. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში კლარჯეთის მონასტრების დამაარსებელი, მას რომ მღვდლობას აძლევდენ და იგი უარზე იდგა, ამბობს: „აწ **პატივსა** (= მღვდლობას) ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის“-ო. (გვ. დ). იმავე თხხულებაში ცქირის ეპისკოპოსობისაგან გადაყენების შესახებ სწერია: „მღდდელთ-მოძღვართა განკუეთეს იგი (ცქირი) **პატივისაგან** (ესე იგი ეპისკოპოსობისაგან) მისისა“-ო (იქვე, გვ. ჲზ, სტრქ. 37). გრიგოლ ხანძთელიც ეფრემ ეპისკოპოზს ეუბნებოდა თურმე: „**პატივსა** მაგას წმიღისა **მღდელთ-მთავრობისასა** გაფუცებ“-ო (იქვე, გვ. მვ, სტრქ. 43). ამაზე უფრო განმაცვიფრებელი მაგალითიც მოიპოვება. ქართ. ჟამთაღმწერელს ერთგან აღნიშნული აქვს, რომ ყაანმ გაწყრომის შემდგომ ხვაშაქ დედოფალს ისევ ნება დართო, „რათა... კვალად ეგოს პირველსავე **პატივსა დედოფლობისასა** (* 833, 678). მაშასადამე, თვით დედოფლობაც-კი პატივად არის წოდებული.

სიტყვას „პატივი“ ამგვარი ორმაგი მნიშვნელობა ქართულ ნათარგმნ თხზულებებშიაც ემჩნევა და ეფთჯმე მთაწმიდელის მიერ ბერძნულითგან ნათარგმნ მეექვსე მსოფლიო კრების „წესი გა განგება და სჯულის კანონ“-ში ეს სიტყვა „პატივი“ ხან ბერძნულს „აქსიომატა“-ს (ἀξιώματά) უდრის, ხან οφφικιον-ს (οφφίκιοι), მაგ. § ც „პატივი რაᲘმე საეკლესოჲ“ = „οφφίκιά ξχλχηζίάξπά“ (§ á), ხოლო სიტყვები „სულიერნი პატივნი ჴორციელთასა უპატიოსნეს... არიან“ უდრის დედნის „πὧν χοξμον άξιὧμαπονχ“-ს. თვით ბერნულშიაც ამ უკანასკნელს ადგილას, სადაც საერო „დიდება“-ზეა ლაპარაკი „φφιοκια“-ს მაგიერ, როგორც უნდა ყოფილიყო, „აქსიომატა“ სწერა. სლავურს თარგმანშიაც აგრეთვე არეულია ტერმინოლოგია და პირველ შემთხვევაში ნათქვამია „**саны** црквьныя“, ხოლო მეორეში „**Мирь-скыихъ саноъ**“ (იხ. ვ. ბენეშევიჩის. Древне-славянская кормчая, გვ. 150 152).

თუ ამ სიტყვის „პატივი“ (სომხ. ????? პატივ) თავდაპირველს მნიშვნელობას დავაკვირდებით, მისი ორგვარი მნიშვნელობა შემდეგშიაც, იმ ხანაში, რომელსაც ვიკვლევთ, არ გაგვაკვირებს. „პატივ“-ს დიდი მნიშენელობა ჰქონდა სასანიანთა გვარის შაჰების ხანაში, როდესაც იგი თანამდებობასა და მოჴელობასაც ეწოდებოდა და იმ ნიშანდობლივს სამკაულსა და ტანსაცმელსაც, რომელიც თვითოეულს თანამდებობას ეკუთვნოდა ხოლმე, განსაკუთრებით იმ თავსაკრავს, რომელსც იმდროინდელი სპარსეთის მოჴელეები იკრავდენ ხოლმე ოქროსა და მარგალიტისაგან გაკეთებულს (იხ. ჩემი Государственный строй др. Грузіи и др. I 117-120; და პროკოპი კესარიელის De bello Persico I, 17 J. Haury-ს გამ. გვ. 86, 22-26); ეს უაღრეს პატივად (?????) ითვლებოდა სპარსეთშიო, ამბობს გამოჩენილი ბიზანტიელი ისტორიკოსი. ზემოაღნიშნულითაგან ცხადი უნდა იყოს, რომ სიტყვას „პატივი შეიძლებოდა ორგგვარი აზრი ჰქონდა, თანამდებობისაცა და ამ თანამდებობის ნიშნებისა და სამკაულისაც. აქეთგან” წარმოსდგებოდა მისი მერმინდელი ორმაგი მნიშვნელობა საკარისკაცო და საეკლესიო პატივისა და სახელმწიფო მოჴელეობისაც. ამგვარი არევა იქნებ იქითგანაც წარმოიშვა, რომ თვითოეულ დიდ მოჴელეს შესაფერი საკარისკაცო პატივიც ჰქონდა და დიდი მოჴელეობა და საკარისკაცო პატივი ერთმანერთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი და ერთსადა-იმავე პირსა ერთიც ჰქონდა და მეორეც. ასე იყო თვით ბიზანტიაშიც-კი

(Скабалановичъ. Вазан. Госуд. и цкрк., 162). რაკი საერო თანამდებობათათვის IX - XII ს.ს. თითქმის განსაკუთრებით სიტყვებს „ჴელისუფლობა“ და „მოჴელეობა“ ხმარობდენ ხოლმე, „პატივს“ საკარისკაცო სახელწოდების (მაგისტროსი, კურაპალატი და სხვა, ან საეკლესიო ღირსების მნიშვნელობა მიეცა, მაგრამ ეს სიტყვა მოჴელეობის ღირსების აღსანიშნავადაც იხმარებოდა ხოლმე, განსაკუთრებით მე-XII-ე საუკ. მეორე ნახევრითგან მოყოლებული და მე-XIII-ე საუკუნეშიც. მხოლოდ მაშინაც-კი, როგორც ეტყობა, „პატივი“ თვით ჴელისუფლებასაც-კი არა ნი'შნავდა, არამედ უფრო მოჴელეობის **ღირსებას**, მაგ. ჟამთააღმწერელი ამბობს: ვახტანგ მეფემ აღიყუანა **პატივსა ათაბაგობისასა და ამირსპასალარობისასა** ხუტლუბუღა და მიუბოძა **ორივე ჴელი**“-ო (903, გვ. 744). მაშასადამე აქ ჴელისუფლობისა და მოჴელეობის აღსანიშნავად „ჴელი“-ა ნახმარი, ხოლო თანამდებობის ღირსების გამოსახატავად – პატივია.

შემდეგში ჩვენს გამოკვლევაში სიტყვა „პატივი“ მხოლოდ საკარისკაცო პატივის მნიშვნელობით იქმნება ნაგულისხმევი და ნახმარი.

პატივის მინიჭება ყოველთვის დაწინაურებას უდრიდა და ამის გამო „პატივსა აღყუანა“-დ იწოდებოდა. ჟამოააღმწერელი მაგ. ამბობს: მეფემ ხუტლუბუღა „სპასპეტობისა **პატივსა აღიყუანა“-ო** (* 886, გვ. 729), ხოლო ვახტანგ მეფემ იგივე მოკელე „**აღიყუანა პატივსა** ათაბაგობისასა და ამირსპასალარობისასა“-ო (ჟამთააღ. * 903, გვ. 744).

ვაზირები

ჴელისუფალთა შორის პირველი აღგილი საქართველოში ვაზირებს ეჭირათ. „ვაზირი“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 603, 635, 640, 647 და 671, გვ. 373, 416, 422, 431 და 461) არაბულ-სპარსული სიტყვაა. მეცნიერნი ჰფიქრობენ, რომ ეს სიტყვა არაბებს აბბასელების დროს სპარსელებისაგან, ვითარცა სასანელთა ხანის განძი, უნდა ჰქონდეთ შეთვისებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით ფაჰლავურ მწერლობაში იგი არა ჩანს (A. von Kremer. Culturgeschuchte des Orients I, 185). არაბულად სიტყვა „ვაზ-ირუნ“ თანაშემწეს, მეშველს, ვაზირს და მინისტრსა ჰნიშნავს.

როგორც დიდიხანია მაქს. ენგერმა გამოარკვია, უკვე სასანელთა გვარის შაჰებს ჰყოლიათ ვაზირები და თვით არაბ ისტორიკოსთა ცნობებითგანაც ჩანს, რომ არაბებს ვაზირობა სპერსელებისგან უნდა ჰქონოდათ შეთვისებული (Max. Enger. Ueber das Vezirat. ZDMg XIII წ. გვ. 240) შეთვისებულია თუ არა არაბულში თვით სიტყვაც „ვაზირუნ“ ფაჰლაურითგან, როგორც ფიქრობს ნ∂ოლდეკე (Tabari გრ. 444 შენ. 3), თუ მარტო დაწესებულებაა მხოლოდ ნასესხები, ხოლო სიტყვა ნამდვილი არაბულია, როგორც მაქს. ვენგერს ეგონა (Vezirat, იქვე გვ. 241), ამისი გადაწყვეტა ჯერ ძნელია. მაგრამ ეს-კი უნდა ითქვას, რომ თვით ფაჰლაურს მწერლობაში იგი ჯერ-ჯერობით არა ჩანს (Arthur Christensen. L'Empire des Sassanides, 1907 წ. გე. 40 და A. von Kremer. Culturgeschichte des Orients I, 185). ეს გარემოება თავისთავად შეურყეველ საბუთად ვერ გამოდგება იმიტომ, რომ ფაჰლაური საისტორიო მწერლობა თითქმის სრულებით შენახული არ არის და ბევრის რისამე შესახებ ცნობები შენახულს ფაჰლაურ მწერლობაშიც-კი არ მოიპოვება, თუმცა ბიზანტიელ და არაბ ისტორიკოსთა სიტყვით მათი არსებობის ამბავი დანამდვილებით ვიცით.

სიტყვა „ვაზ-ირუნ“ როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაბულად თანაშემწეს, მეშველს და მინისტრსა ჰნიშნავს. იგი თკვე კურანში მოიპოვება და თვით მუჰამედს უხმარია (იხ. Enger'ის იგივე: წერილი, გვ. 241). პირველ ოთხ ხალიფის დროს ჯერ ვაზირები არ იყვნენ და პირველად ვაზირობა მხოლოდ ომაᲥანთა საგვარეულოს ხალიფობის უკანასკნელ ხანებში გაჩნდა, აბასიანთა საგვარეულოს ხალიფობის დროს-კი ვაზირობამ დიდი გავლენა და ძალა მოიხვეჭა (იქვე 243 და A. von Kremer Culturgeschichte I, 186). არაბ სჯულის მეცნიერთა მოძღვრებისდა მიხედვეათ ორგვარი ვაზირობა შეიძლებოდა: ან სრულუფლებოსანი ვაზირი („ვაზირუ-ტა????იზ, იყო ხოლმე ან არა და განსაზღვრულ უფლებით აღჭურვილი (ვაზირუ ტანფი˜დ.

სრულუფლებიანი ვაზირი შემდეგმი დიდ ვაზირად იწოდებოდა და სწორედ მას ჰქონდა განსაკუთრებული ძალა მნიშვნელობა სახალიფოში. მას თითქმის იგვე უფლება ჰქონია, რაც ხალიფას იმ განსხვავებით რომ 1) მას ხალიფას მიერ დადგენილ მოხელეების გადაყენება თავის ბრძანებელის დაუკითხვად არ შეეძლო 2) თავის მოადგილის დანიშვნის უფლება არა ჰქონდა და 3) ხალიფას მისი დათხოვნა დაუყონებლივ შეეძლო, როდესაც-კი მოისურვებდა. იგი სახელმწიფო საქმეების სრული გამგე იყო, ხალიფას სახელით მოხელეების დანიშვნა და დადგენა-გადაყენებაც შეეძლო და უზენაესი მართლმსაჯულების უფლებითაც იყო აღჭურვილი. იგი მოვალე იყო მხოლოდ თავისი მოღვაწეობისა და მოქმედების შესახებ ხალიფასთვის მოეხსენებინა ხოლმე (Max. Enger, იქვე 241-242 და A. Kremer. Culturgesxhichte I, 185--156). ხალიფას შეეძლო, თუ საჭიროდ სცნობდა თავის, სრულუფლებიან ვაზირის ბრძანება ან განკარგულება გაეუქმებინა (იქვე). განსაზღვრულ უფლებით აღჭურვილი ვაზირი მხოლოდ ხალიფას ბრძანებათა აღმასრულებელი და საქმის-მოქმედი იყო Max. Enger. იქვე, 244; A. Kremer. Culturgeschichte I, 1872).

რასაკვირველია, მხოლოდ თვით ხალიფას პირად სურვილს, ნებასა და ხასიათზე იყო დამოკიდებული, ვაზირს სრულის თუ შეზღუდვილის უფლებით აღჭურავდა: მხნე და მოქმედი პიროვნება სახელმწიფოს უზენაეს გამგეობის საჭეს ხელითგან არ გაუშვებდა და არავის დაანებებდა, სუსტი და მცონარე ადამიანი ყოველთვის უფრო მეტად იქნებოდა მოწადინებული მართვა-გამგეობის მძიმე ტვირთი როგორმე თავითგან მოეშორებინა. ვაზირობის უფლების გარეგან ნიშნად საბეჭდავი, ეგრეთ წოდებული „სასიგლე“ ბეჭედი იყო (M. Enger. იქვე 244). ჩვეულებრივ ერთსა-და-იმავე დროს სახალიფოშში ერთი ვაზირი იყო ხოლმე, მაგრამ ისიც მომხდარა ხოლმე ზოგჯერ, რომ რამდენიმე ვაზირი ყოფილა ერთბაშად; მხოლოდ არაბთა გამოჩენილ სჯულთმეცნიერნი ამას უკანონობად სთვლიდენ. მათის აზრით რამდენიმე სრულუფლებიან ვაზირის ერთსა-და-იმავე დროს დანიშვნა მხოლოდ იმ პირობით შეიძლებოდა, თუ თვითოეულს მათგანს ცალკე განსაკუთრებული დარგი ექნებოდა ჩაბარებული, ან არადა თუ ყველა ვაზირს საერთო უფლება ექნებოდა ვითარცა ერთს ერთეულს, ისე რომ ყველა საქმე ერთობლივ და ერთნებობით გადაეწყვიტათ (M. Enger, იქვე 247 და A. Kremer. Culturgechischte, I, 188-189). ზოგჯერ ხალიფა ამა თუ იმ ჴელისუფალს რომელისამე თემის ან ქვეყნის (მაგ. ერაყის, ან ეგჳპტეს) ვაზირად ჰნიშნავდა ხოლმე და ყველა იქაურ საქმეს მას აბარებდა განსაგებელად (M. Enger, 247).

მაშასადამე, ჩვეულებრივ სახალიფოში ერთი ვაზირი იყო ხოლმე, რომელიც უფროს და ყველაზე უფრო ძლიერ მინისტრად ითვლებოდა; დანარჩენს მინისტრებს ვაზირი კი არ ეწოდებოდა, არამედ თვითოეულს საკუთარი სახელი ჰქონდა, მაგ. „საჰიბ ალ ხარაჯ“ მეჭურჭლეთ-უხუცესს ერქვა, „საჰიბ ალ-ბარიდ“ ფოსტისა და მიმოსვლის მინისტრს ეძახდენ და სხვა (A. Kramer. Culturgeschichte I, 189-190). გამაჰმადიანებულ სპარსთა ქვეყნებშიაც განახლების დროს სახელმწიფო წესწყობილებაშიც არსებობდა ვაზირობა, მაგრამ რიგორც სპარსელ ისტორიკოსის ნერშაჰის თხზულებითგან ჩანს სამანიანთა სამეფოშიც, ბუხარაში, მხოლოდ **ერთი ვაზირი** ყოფილა, რომელიც ამასთანავე სხვა მინისტრებზე უფროსად ითვლებოდა და სახელადაც „დიდი ხოჯა“ (ხოჯაჲ ბუზურგ) ეწოდებოდა. აგრეთვე მხხოლოდ მის ხელქვეით მყოფ დაწესებულებას ერქვა „ვაზირის დივანი“, დანარჩენ მინისტრებისას-კი არა (იხ. Nerchakly. Description… de Boukhara, publ. par. Schefer, p. 24 და ნ. ლიკოშინის რუს. თარგმანი Мух. Нершахи, Исторія Бухары გვ. 36. ვ. ბარტჰოლდი Туркестанъ въ эпоху Монгольскаго нашкствія, 238).

ვაზირს ანუ დიდ ხოჯას ემორჩილებოდენ ყველა „კალმის ხალხი“ ანუ მდივნები. მის ღირსების გარეგან ნიშნად ამ დროს და სელჩუკიანთა შაჰების დროსაც, იბნალასირის სიტყვით, საწერელი იყოს (ევ. ბარტჰოლდი, Туркестанъ, II, 238). ნერშაჰი ამბობს, რომ სამანიანთა ამირამ საიდ ნასრმა რიგისტანში თავისთვის სასახლე ააშენებინა. ამ სასახლის კარებთან მან თავისი მოხელეებისთვისაც ააგებინა შენობები და თვითოეულს ჴელისუფალთაგანს (ცალ-ცალკე „**დივანი**“ (ესე იგი სამმართველო) ჰქონდა თავის ბინაში. ამგვარად სასახლის აქით-იქით შემდეგი „დივნები“ ყოფილა მოთავსებული: 1) ვაზირის დივანი, 2) მუსტაუფის (ხაზინადრის) დივანი, 3) „სამეფოს სვეტის" (ამიდ-ალ-მულკ) დივანი, 4) მონასპათა მთავრის დივანი (საჰიბ

შურატ), 5) ფოსტის უფროსის (საჰიბ ბერიდ) დივანი, 6) მუშრიბის დივანი, 7) სახასო მამულების დივანი, 8) მუხტასიბის დივანი, 9) სახელმწიფო. ქონებათა (ვაკუფ) დივანი და 10) ყადის მდივანი (Мух. Нершахи, ИсторіЯ Бухары, 36 და ვ. ბარტჰოლდი, Турукстанъ II, 238).

სელჩუკიანთა მეფობის დროსაც სპარსეთში, როგორც ვაზირის ნიზამ ულ-მულკის თხზულების „სიასეტ-ნამე“-თგან ჩანს, მხოლოდ ერთი ვაზირი ყოფილა, რომელიც სახელმწიფო საქმეების მთავარი გამგე იყო. ნიზამ ულ-მულკი თვითოეულ მეფის დროისას მარტო თითო-თითო ვაზირს ასახელებს (იხ. Siàsset Namèh. texte pèrsan èditè par Ch. Schefer, პარიზი, 189I წ., გვ. 150--151). მას ამასთანავე ჰგონია, რომ მემკვიდრეობითი ვაზირობა სჯობდა პირადს ვაზირობას და როდესაც ახალს ვაზირს მამაც და პაპაც ვაზირები ჰყავდა, უკეთესი გამოდგებოდა, ვიდრე გამოუცდელიო (ნიზამულ-მულკი, „სიასეტ ნამე“, იქვე გვ. 150).

თუ ეს უბრალო შემთხვევა არ არის, მეტად საყურადღებოა, რომ სიტყვა „ვაზირი“ თამარ მეფისა და გიორგი III ისტორიკოსს გარდა არც ერთს სხვა ქართველ მემატიანეს არსად ნახმარი არა აქვს. თუმცა სიტყვა „ვაზირი“[1] მოხსენებულია ერთს მე-X-XI-ე[2]) საუკუნის ნაწარმოებში, რომელსაც ეწოდება „სიტყჳს-გება ბერისა ეფთჳმე გრძელისა სოსთენის მიმართ სომეხთ მოძღურისა“, მაგრამ ეფთჳმე გრძელი სომეხთა მოძღვარს ეუბნება: „შეჰკრიბეთ კრება დჳნს და დასჩხაბეთ განდრეკილი სარწმუნოება განზრახვითა აბდიშო[ჲ]სითა,[3]) რომელი იყო **ვაზირი სპარსთა მეფისა** წუალებისაგან იაკობ ბ[უ]რურტანელისა“-ო) (სქ˜ს სამოთხე 617). აქ მაშასადამე სპარსთა მეფის ვაზირზეა ლაპარაკი და საქართველოსათვის საბუთად ვერ გამოდგება. ამასთანავე საგულისხმიეროა, რომ არც ამ „სირყჳს გება“-ში, არც დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის თხზულებაში სიტყვა „ვაზირი“ ნახმარი არ არის, თუმცა ორშივე ერთი ვაზირთაგანი „მწიგნობართ-უხუცესი"-ა მოხსენებული.

იქნებ სწორედ გიორგი III და თამარ მეფის დროს შემოსულიყოს ეს სიტყვა ქართულში და შესაფერი ქართული ტერმინი განედევნოს ცხოვრებითგან. სიტყვა „ვაზირის“ თავდაპირველი მნიშვნელობა თანაშემწისა და მეშველისა ქართულადაც არის შენახული. თამარ მეფის ისტორიკოსი ამბობს მაგ., რომ გიორგი III „შთავიდა შირაკად, რომელსა **თანა ვაზიროობდეს** იოვანე მწიგნობართ-უხუცესი და სუმბატ“ ამირახორიო (ისტ˜რნი * 600, გვ. 370, შეად. გვ. 372). „კარის გარიგება“-შიც ნათქვამია: „ამირახორი **ვაზირი** არის **ამირსპასალარისა**“-**ო** ($9_{182-183}$). ორსავე შემთხეევაში „თანავაზირობა და „ვაზირი“ თანაშემწეობასა და თანაშემწესა ჰნიშნავს.

მაგრამ **„ვაზირი“ ქართულად განსაკუთრებით მინისტრთა საზოგადო სახელად იქცა**. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა, რომ **საქართველოში მე-XII-ე საუკუნეში ერთს უზენაესს მინისტრს -კი არა რქმევია ვაზირის სახელი**, როგორც არაბთა სახალიფოსა და სპარსეთში იყო, მიღებული, **არამედ რამდენიმე ვაზირი ყოფილა**. ამიტომაც იყო, რომ თამარ მეფის ქართველი ისტორიკოსი და ჟამთააღმწერელი ამბობდენ ხოლმე „ვაზირნი“-ო[4] (ისტ˜რნი * 603, 635, 640 და 647, გვ. 373, 416, 422 და 431; ჟამთააღ. * 727, 747, 852, 899 და 913; გვ. 543, 574, 697, 740 და 755) და არა „ვაზირი“. „შეკრბეს თამარს წინაშე **ყოველნი ვაზირნი** და სპანი“-ო, ნათქვამია მაგალითად ისტორიანსა ღა აზმანში (იქვე, * 671, გვ. 461). ქართ. ჟამთააღმწერელიც ამბობს: ლაშა გიორგიმ „განიშორნა **ვაზირნი** სანატრელისა დედოფლისა“ თამარისა (* 727, გვ. 543). ჯალალედინისათვისაც ავაგ ამირსპასალარს უპასუხნია: „ვაუწყებ თქმულსა მაგას მეფესა და **ვაზირთა** მისთა“ (იქვე * 747, გვ. 574). დავით ლაშას ძის შესახებაც ნაამბობია, რომ ის „მიისწრაფოდა პალატად სადა დახვდეს სპანი და **ვაზირნი**“ (* 852, გვ. 697). დიმიტრი თავდადებულს „**ვაზირთა მეფისათა**... ჰრქვეს“ შენ თავს უშველი და სიკვდილს გადურჩებიო. დასასრულ დიმიტრი II ძის დავით მეფის შესახებ სწერია, რომ ის „განეზრახა **ვაზირთა** უკეთუ

---

[1] საბინინს დაბეჭდილი აქვს „ვეზირი“.

[2] ბაგრატ III ტროს (იხ. ქ˜ბი, I, 125-126).

[3] დაბეჭდილია „აბდბასიტა“ და „ბრტანელისა“, ასურულად ისინი იწოდებოდენ „აბდიშო“-დ და „ბურდეანოჲ“-დ (იხ. კ. ტურაევისა. В. Райтъ. Краткій очеркъ исторіи сирійсуой литературы, 59).

[4] ამ მხრივ საყურადღებოა, რომ „ვეფხის ტყაოსან“-ში „**ვაზირნი**“ მრავლობით იხსენიებიან, მაგ. „მეფეთა ესე თათბირი ვაზირთა ნავიზირები“ (იხ. კაკაბაძის გამ. 67_{392}, კარიჭ. 67_{411}, შეად. აგრეთვე კაკაბ. 9_{28}, 67_{390}; კარიჭ. 7_{34}, 67_{409}).

წარვიდე ურდოსა? დაამტკიცეს **ვაზირთა** წარსლვა“-ო (* 913, გვ. 755). თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში ერთს ალაგს აღნიშნულია, რომ თამარ მეფემ „გამოჩენასა შინა **ორთა ვაზირთა** და სპასპეტთასა“ მწიგნობართ-უხუცესად ანტონი დანიშნა, ამირსპასალარად-კი სარგის მჴარგრძელიო (იქვე * 631, გვ. 409). მაშასადამე, ცხადია რომ **მწიგნობართ-უხუცესი და ამირსპასალარი ვაზირებად იწოდებოდენ**. როდესაც თამარ მეფემ ივანე მჴარგრძელის თხოვნისაებრ ათაბაგობა დააწესა, ამიერითგან და ლაშა გიორგის დროსაც **ათაბაგი „იყო ვაზირი კარსა მეფისასა**“ (ჟამთააღმწერელი * 724, გვ. 539). ამგვარად გამოირკვა, რომ მესამე ვაზირიც ყოფილა საქართველოში.

»ჴელმწიფის კარის გარიგება“-ც ამტკიცებს, რომ „ვაზირი“ საქრთველოში მინისტრთა სახელად იყო ქცეული. იქ მაგ. ნათქვამია: სამეფო დარბაზითგან ღამით „რა გაიყარნენ, ორი მაშხალა ჭყონდიდელს წაუძღვების და თვითო **სამთა ვაზირთა“-ო** (კარის გარიგება 8155-156). „სამნი ვაზირნი“ საზოგადოდ მრავალჯერ სხვაგანაც არის მოხსენებული „კარის გარიგებაში (იხ. მაგ. 12276-278, 13289-290, 13297-301, 14307-310). ჩვენ ვიცით, რომ ჭყონდიდელიც ვითარცა მწიგნობართ-უხუცესი ვაზირი იყო. მაშასადამე, თუ ამ უკანასკნელ სამ ვაზირსაც მივუმატებთ, უკვე **ოთხი ვაზირი** გვეყოლება, მაგრამ ვაზირი ოთხზე მეტიცა ყოფილა და თანაც მათი ვინაობისა და მოჴელეობის გამორკვევაც შეიძლება. „კარის გარიგება“ ში სწერია: „მწდე... დარბაზით ათქს... **სამთა ვაზერთა: ათაბაგსა, ამირსპასალარსა და მანდატურთ უხუცესს**ა“-ო (12276-278). ხოლო რაკი „**მეჭურჭლეთ-უხუცესი** ათაბაგობის დაწყებამდი **მეოთხე ვაზირი**“ იყო (იქვე 8168), დასასრულ იმის შესახებაც ცნობა მოიპოვება, რომ „მსახურთ-უხუცესიც ვაზირია“ (იქვე 6100), მაშასადამე საქართველოში ვაზირებად მწიგნობართ-უხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთ-უხუცესი, მანდატურთ-უხუცესი და მსახურთ-უხუცესი ითვლებოდენ, ესე იგი სულ ხუთი ვაზირი ყოფილა. მაგრამ თავდაპირველადვე ასე არ ყოფილა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მსახურთ-უხუცესი მხოლოდ რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროში. ამგვარად ცხადია, რომ თამარ მეფის დროს მხოლოდ ოთხი ვაზირი უნდა ყოფილიყო, ხოლო 1212 -1218 წ. თამარ მეფემ რომ ათაბაგობა დააწესა, მაშინ ხუთი გახდა საქართველოში, რუსუდანის მეფობაში-კი უკვე ექვსი ვაზირი ყოფილა.

ამათგან მწიგნობართ-უხუცესი პირველი ვაზირი იყო და დანარჩენებზე უფროსი; ხოლო სხვა ვაზირები ორ მთავარ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი, რომელთა შორის მცირედი განსხვავება არსებობდა. ერთი იყო „სამთა ვაზირთა“ ჯგუფი, მეორე „ორთა ვაზირთა“ ჯგუფი (კარის გარიგება 13297-301 და14307-310). პირველს ჯგუფს დიდ დარბაზობისა, ვაზირობისა და პურობის დროს უფრო მეტი უპირატესობა ჰქონდა მინიჭებული, ვიდრე მეორეს (იხ. დარბაზობა) „სამთა ვაზირთა“ ჯგუფს შეადგენდენ ათაბაგი, ამირსპალარი და მანდატურთ-უხუცესი (იქვე 12276-278), ხოლო მეჭურჭლეთ-უხუცესი და მსახურთ-უხუცესი „ვაზირთა ორთა“ ჯგუფს ეკუთვნოდენ| (იქვე 14307-310). რაკი წინად XII ს. გიორგი III და თამარ მეფის ღროს 1212 წლებამდის ათაბაგობა საქართველოში არ არსებობდა (იხ. ქ˜ლი ერის ისტორია II, 631) და მხოლოდ მე-XIII ს. დამდეგ 1212-1213 წ. იყო შემოღებული, ან ორივე ჯგუფი ორ-ორის ვაზირისაგან იქმნებოდა შემდგარი, ან არა და „სამთა ვაზირთა“ ჯგუფში მწიგნობართ-უხუცესიც იქმნებოდა.

ამას გარდა მეფის კურთხევის წესითგან ჩანს, რომ ვაზირნი და მათი თანაშემწენი სხვაგვარადაც ყოფილან ორ მთავარ ჯგუფად დაყოფილნი. მეფეს რომ კურთხევისათვის საყდარში წააბრძანებდენ, „ამირსპასალარი... (მეფეს) **მარჯუენით კერძო** ჰყვებოდეს... ეგრეთვე ამილახორი და მეაბჯრეთ-უხუცესი... ამირსპასალარის კერძო ვიდოდენ. ხოლო ჭყონდიდელი და ათაბაგი **მარცხენით კერძო** ვიდოდენ და სხვანი მთავარნი“-ო (მეფის კურთხ. წესი 528-64). თუ ამ წესს დავაკვირდებით, მეფის მარჯვნივ სამხედრო უწყების წარმომადგენელი იდგნენ, ხოლო მარცხვნივ სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენელნი. როგორც ჩანს, ალბათ ამისდა მიხედვით არიან დიდი მოჴელეები ამ შემთხვევაში ორ ჯგუფად დაყოფილნი.

ვაზირთა შედარებითი უფროს-უმცროსობის გამორკვევაც შეიძლება. დმწვრილებით ეს საკითხი თვითოეულ, ვაზირის შესახებ თავთავის ადგილას იქმნება განხილული, აქ-კი მხოლოდ საზოგადო ცნობით უნდა დავკმაყოფილდეთ. თუმცა მწიგნობართ-უხუცესს გარდა, რომელსაც ვითარცა ყველაზე უფროსს, უპირატესობა ჰქონდა, დანარჩენი ვაზირები

ერთმანერთის თითქმის თანასწორნი იყვნენ, მაგრამ მაინც მათ შორის მცირეოდენი განსხვავებაც იყო. ვაზირთა შედარებითი ღირსება ცხადად ჩანს მეფის კურთხევის წესში იქ, სადაც თაყვანისცემასა და მილოცვაზა საუბარი. ისე იყო მიღებული, რომ მეფისათვის უფროს-უმცროსობისდა მიხედვით უნდა მიელოცათ. კურთხევის წესმი ნათქვამია: „პირველად დედოფალმან თაყვანისცეს, მერმე კათალიკოზმან, ჭყონდიდელმან, ათაბაგმან, მანდატურთ-უხუცესმან, ამირსპასალარმან, მეჭურჭლეთ-უხუცესმან, მსახურთ-უხუცესმან“-ო (გვ. 8[16-18]). თუ ვაზირთ ავიღებთ, მაშინ პირველობა მწიგნობართ-უხუცესს ჰკუთნებია, შემდეგ ათაბაგი, მანდატურთ-უხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთ-უხუცესი, და სულ ბოლოში მსახურთ-უხუცესი ყოფილა. ცხადია, რომ სანამ თამარ მეფე ათაბაგობას დააწესებდა, მაშინ მწიგნობართ-უხუცესის შემდგომ ყველაზე უფროსი ვაზირთა შორის მანდატურთ-უხუცესი იქმნებოდა.

მწიგნობართ–უხუცესი

ვაზირებში ყველაზე უფროსად, როგორც აღნიშნული იყო, მწიგნობართ-უხუცესი ითვლებოდა. პირველად მწიგნობართ-უხუცესი მხოლოდ მე-X-XI-ე საუკუნის ძეგლშია მოხსენებული, სახელდობრ იმ ღრტილას მომხდარ სამღვდელო კრებისა და პაექრობის აღწერილობაში, რომელსაც ეწოდება „სიტყჳს-გება ბერისა ევთჳმე გრძელისა სოსთენის მიმართ სომეხთა მოძღურისა“. ამ თხზულებაში ბაგრატ მეფის თანამედროვედ დასახელებულია **მწიგნობართ-უხუცესი მეფისა** სახელით ეფთჳმე“ (სქ˜ს სამოთხე 616). ჯერ-ჯერობით ამაზე უწინარეს ქართულს საისტორიო მწერლობაში ჩვენ მწიგნობართ-უხუცესის ხსენება არ მოგვეპოვება. საგულისხმიეროა რომ ზემოაღნიშნული ეფთჳმე მწიგნობართ-უხუცესი ჭყონდიდელად არ არის წოდებული, ამასთანავე ვგონებ ერისკაცი უნდა ყოფილიყო და არა სამღვდელო (იხ. იქვე 616). მეორე ცნობა მწიგნობართ-უხუცესის შესახებ შენახულია მოსე ხანძთელის მიერ 1085 წელს გადაწერილს გიორგი მთაწმინდელის ახალნათარგმნ თხზულების ბოლოში. ამ წიგნის ანდერძში ნათქვამია, რომ იგი დაწერილია „სალოცველად ღმრთივ-გვირგვინოსანთა **მეფეთა ჩვენთა გიორგი მეფეთა მეფისა** და კესაროსისა და **ძისა მათისა დავით შეფისა** სევასტოსისა... და კუალად სალოცველად ძმათა ჩემთა **იოანე ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსისა** და სჳნგელოზისა, **პეტრე** ვესტისა და **მწიგნობართ-უხუცესისა**“-ო (ქკ˜ბი I, 232; პ. კარბელაშვილი „ივერია“ 1889 წ. # 28). ეს ანდერძი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ აქ თარიღიც გარკვეულია და ცნობებიც მკაფიოდ არის გამოთქმული. **1085 წელს მაშასადამე საქართველოში მწიგნობართ-უხუცესობა და ჭყონდიდლობა ჯერ კიდევ შეერთებული არ ყოფილა, არამედ ერთმანერთისაგან განცალკევებული ორ სხვა-და-სხვა პირს ჰქონია**. ამასთანავე **მწიგნობართ-უხუცესი ამ დროსაც ჯერ კიდევ ერისკაცი ყოფილა**.

შემდეგში, როგორც ცნობილია მწიგნობართ-უხუცესობა და ჭყონდიდლობა განუყრელი იყო და მწიგნობართ-უხუცესი ყოველთვის ჭყონდიდელიც იყო ხოლმე. მაგრამ იმის გამორკვევა იყო საჭირო, იმ თავითვე ასეთი წესი სუფევდა, თუ შემდეგ იქმნა შემოღებული. ზეპირადაც შეიძლებოდა იმის თქმა, როზ რაკი მწიგნობართ-უხღცესობა საქართველოში ძველი დაწესებულებაა; იმ თავითვე ჭყონდიდლობასთან ვერ იქმნებოდა იგი დაკავმირებული. ჩვენ ვიცით, რომ ჭყონდიდის საეპისკოპოსო საყდარი ააგო და ეპისკოპოსობა დააწესა გიორგი აფხაზთა მეფემ (იხ. ჩემი ქ˜ლი ერის ისტორია“ II, 405-406). მაშასადამე, ამაზე უწინარეს შეუძლებელი მწიგნობართ-უხუცესი იმავე დროს ჭყონდიდელიც ყოფილიყო. ამის შემდგომ-კი რასაკვირველია შეიძლებოდა. ზემომოყვანილს ორ ცნობას, „სიტყჳს-გებითგანი, განსაკუთრებით-კი მოსე ხანძთელის ხელნაწერის ანდერძითგან ამოღებოლს, სწორედ ამ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ ნამდვილ ვითარებას ცხადად გვიჩვენებს: **მაშინაც, როდესაც ჭყონდიდლობა უკვე არსებობდა, მწიგნობართ-უხუცესობა და ჭყონდიდლობა** ერთი-და-იგივე

არა ყოფილა და **ერთის მოჴელის ხელში არა ყოფილა. გიორგი II მეფობაშიაც-კი, 1085 წელსა მაგ. ეს ორი თანამდებობა ჯერ კიდევ შეერთებული არა იყო**, ორს სხვა-და-სხვა ადამიანს სჭერია და მწიგნობართ-უხუცესი წინანდებურად ერისკაცი ყოფილა.

ხოლო თუ ჩვენ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ გიორგი II შვილის დიდებულის დავით აღმაშენებელის მეფობაში უკვე იხსენიება „გიორგი **ჭყონდიდელი მწიგნობართ-უხუცესი**“ (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი *529 და 534, გვ. 296 და 301) და მწიგნობართ-უხუცესი უკვე მარტივად ჭყონდიდლადაც იწოდება (იქვე * 529 და 531, გე. 295 და 297), მაშინ ჩვენთვის ცხადი იქმნება, რომ **ამ ორ თანამდებობის შეერთება პირველად სწორედ დავით აღმაშენებელის დროს და მისივე ბრძანებით უნდა მომხდარიყო**.

დაახლოვებით იმ თარიღის გამორკვევაც შეიძლება, როდესაც მწიგნობართ-უხუცესობა და ჭყონდიდლობა მეფე დავით აღმაშენებელს უნდა შეეერთებინა. ამ მხრივ განსაკუთრებულის ყურადღების ღირსი ის გარემოებაა, რომ სამშვილდისა და ძერნას აღების ამბავში, ანუ 1110 წელს, უკვე გიორგი **ჭყონდიდელ და მწიგნობართ-უხუცესად** არის მოხსენებული (იხ. ჩემი „ქ˜ლი ერის ისტორია“ II, 511). მაშასადამე მაინც-და-მაინც 1110 წელს მწიგნობართ–უხუცესი უკვე ჭყონდიდელიც ყოფილა. მაგრამ მარტო. ეს არა კმარა. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის-წერაში ამავე გიორ მწიგნობართ-უხეცესის შესახებ ასე არის ნათქვამი: „ღირსისა მეუფისა ჩვენისა და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა **გიორგი მონაზონისა და მწიგნობართა-უხუცესისა** მრავალმცა“ არიან წელნიო (ქკ˜ბი II, 71). ამ გვარად **აქ იგი ჭყონდიდლად არ იწოდება და მხოლოდ „მონაზონად“** არის მოხსენებული. საქართველოს კათალიკოზის იოანეს შესახებ-კი იმავე ძეგლში სწერია: „იოვანე წმიდის **მთავარ-ეპისკოპოზისა** ჩუენისა, კათოლიკოზისა და ყოვლისა საქართველოჲსა ყოვლად-ღირსისა მამათ-მთავარისა მრავალმცა არიან წელნი“-ო (იქვე II, 70). ხოლო რაკი გიორგი მწიგნობართ-უხუცესი ჭყონდიდელ ეპისკოპოსად-კი არ არის წოდებული, არამედ უბრალო მონაზონად, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ დროს ანუ **1103 წელს მეიგნობართ-უხუცესისა და ჭყონდიდლობის ღირსება ჯერ კიდევ შეერთებულიარ ყოფილა**. მაგრამ ნიადაგი უკვე მომზადებულია: გიორგი მწიგნობართ-უხუცესი მონაზონი იყო და არა ერისკაცი. ამასთანავე ზემომოყვანილი მისი ქება და ცნობა იმის შესახებ, რომ იგი „**თუალად** წმიდისა ამის კრებისა“ ითვლებოდა, ამტკიცებს, რომ მას გამოჩენილ სასულიერო მეცნიერისა და მოღვაწის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, ღირსეულ პიროვნებად ყოფილა ცნობილი. ზემო თქმულის შემდგომ, მაშასადამე, ცხადია, რომ **მწიგნობართ-უხუცესობისა და ჭყონდიდლობის შეერთება 1103-1110 წლებს შუა უნდა მომხდარიყო**.

ამიერითგან მწიგნობართ-უხუცესობა და ჭყონდიდლობა ერთმანეთისაგან განუყრელი იყო და ჩვენ მხოლოდ ერთი მაგალითი გვაქვს, როდესაც წესი დარღვეული ყოფილა. ეს შემთხვევა თვით თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში-კი არ არის შენახული, არამედ შევსებულ ქ˜ც-ში. თუ აქ რაიმე შეცდომა არ არის შეპარული და შემავსებელთ, როგორც საფიქრებელია, ამ ადგილსაც ძველი საისტორიო წყაროთი უსარგებლიათ, მაშინაც ამ შემთხვევის ვითარება ამგვარი ყოფილა.

ერთხელ, სახელდობრ თამარის მეფობის პირველ ხანებში, თურმე მწიგნობართ-უხუცესობაც და ჭყონდიდლობაც ქართლის კათალიკოზის მიქაელის ხელთა ყოფილა, მაგრამ ეს ყველას უწესოებად და უკანონობად მიაჩნდა: მის უწინარეს მწიგნობართ-უხუცესად და ჭყონდიდლად ანტონი ყოფილა, მაგრამ „მიქაელ კათალიკოზმან მას **მისტაცა** მოძმაცვითა ვიეთ[თა]მე მეფის განმზრახთათა“-ო (მ˜მ დფ˜სი ქ˜ცა გვ. 433, შენ. 9). თვით მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყოლია და თამარ მეფესაც თურმე ჰსურდა ჴელისუფლობის მოყვარე მამათ-მთავარი თავითგან მოეშორებინა (იქვე გე. 405, შენ). მაინც-და-მაინც მაშასადამე ეს კანონიერ მოვლენად ვერ ჩაითვლება და ჩვეულებრივ მწიგნობართ-უხუცესი იმავე დროს ჭყონდიდლად უნდა ყოფილიყო[1]).

[1] დავით ლაშას ძის დროს ბასილი მწიგნობართ-უხუცესი ჭყონდიდელიც ყოფილა და უჯარმელიც (ჟამთაღ. * 846, გვ. 691).

როდესაც საქართველოში სიტყვა „ვაზირი“ შემოვიდა, ყველაზე უწინარეს მწიგნობართ-უხუცესს შეჰვვენოდა ეს სახელწოდება და მართლაც თამარ მეფის ისტორიკოსი მას არაერთხელ და ორჯერ უწოდებს ვაზირს. თვით თამარ მეფე შიომღვიმის მონასტრისადმი 1202 წ. ნაბოძებ სიგელში ამბობს: „მოვიდა ჩუენ წინაშე **ვაზირი ჩუენი** ანტონი **ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი მწიგნობართ-უხუცესი“-ო** (ს. კაკ. გამ. მიომღვ. სამი სიგელი, გვ. 7$_{4-5}$).

ვინ იყო და რა უფლება-მოვალეობის პატრონი იყო მწიგნობართ-უხუცესი? დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი გიორგი ჭყონდიდელ მწიგნობართ-უხუცესზე ამბობს: იგი იყო „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ჴორცთასა, **სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, გან[მ]ზრახი სვიანი და ფრთხილი... თანა-გან[მ|-კაფელი ყოველთა გზათა და საქმეთა და ღუაწლთა**“ მეფისათაო (ც~ა მფ~სა დთ~სი * 534, გვ. 301), **მწიგნობართ-უხუცესი** მაშასადამე **იყო მეფის „განმზრახი“ ანუ მრჩეველი და მეფის სახელმწიფო მოღვაწეობის „თანა-განმკაფელი“ ანუ თანამშრომელი**. იგი **„თავ[ს] ადგა.. პატრონის მსახურებათა**“ (იქვე” 535, გვ. 301), ესე **იგი მეფის მსახურებას სათავეში უდგა**.

ამგვარი საზოგადო განმარტება რასაკვირველია საკმარისი არ არის. საბედნიეროდ მასალები საშუალებას გვაძლევენ უფრო ზედმიწევნითაც განვსაზღვროთ მწიგნობართ-უხუცესის უფლება-მოვალეობანი. მწიგნობართ-უხუცესი უნდა ყოფილიყო „ბრძენი და გონიერი, პატრონთა-თჳს სვიანი და ერთგული და **შემეცნებული საურავთა** (ისტ~რნი და აზმ~ნი * 631, გე 409). მას „**საურავნი**“ ჰქონდა და საქმე სწორედ ამ საურავების გამორკვევა არის. ერთს ქართულს კარაბადინში (წ.კ.გ.ს. ხელნაწერი # 1274) სხვათა შორის მწიგნობართ-უხუცესის შესახებ შემდეგი საყურადღებო ცნობა მოიპოვება: ამ კარნუ-ქალაქითგან რუკნადდინის დამარცხების შემდგომ ალაფად მოტანილ სააქიმო წიგნის გადმოთარგმნა მიბრძანაო „ქრისტეს მიერ პატრონმან **ჭყონდიდელმან**, მისმან **მწიგნობართ-უხუცესობამან**, პროტოჲ-უპერტიმოსმან[1] და **ვაზირთა ყოველთა უპირველესმან,** კაცმან გონება-მოზავმან და **საღმრთოჲთა მსჯავრითა მართლმსაჯულმან და ჴელისამპყრობელმან უღონოთა და ქურივთამან**“-ო (ე. თაყაიშვილი. Опмсаніе рук. Общ. Распр. Грам. Среди груз. Населені“ წ. I, გვ. 641). ამ მოკლე და მაგრამ მეტად საგულისხმიერო და შინაარსიან ცნობითგანა სჩანს, რომ **მწიგნობართ-უხუცესი „ვაზირთა ყოველთა უპირველესი“ ყოფილა, ამასთანავე „მართლმსაჯული და ჴელისამპყრობელ უღონოთა და ქვრივთა**“.

ამას გარდა შევსებულს ქც~ ში იქ, სადაც ისტორიკოსს საუბარი ახალი მწიგნობართ-უხუცესის დანიშვნის შესახება აქვს, ნათქვამია: თამარ მეფე დიდს საგონებელს მიეცა და „გონებდა თუ **ვის მიანდოს დავით** და **სპა თჳსი და განსაგებელი სახლისა თჳსისა“**-ო (მ~მ დვ~სი ქც~ა. გვ. 433 შენ. 9). მაშასადამე, მწიგნ ობართ-უხუცესს ებარა საჴელმწიფო. სახლის „განსაგებელი“, სამეფოს სპა და თვით თამარ მეფის თანამეცხედრეც კთ, დავით მეფე, მისი საზრუნავი უნდა ყოფილიყო. ქართ. ჟამთააღმწერელის სიტყვებითგან სჩანს, რომ მწიგნობართ-უხუცესის უფლებას „**სამეფოსა და სახლის განგება**“ შეადგენდა. როდესაც მაგ. დავით ლაშას ძემ საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება დაარღვია და ბათო ყაანთან გამგზავრებისას უბრალო მესტუმრე ჯიქური მწიგნობართ-უსუცესის მაგიერ სამეფოს უზენაეს გამგებლად. გახადა, მეფემ მას „**ჴელთ უდვა სამეფოსა და სახლისა განგება**“ (ჟამთააღ. * 813, გე. 657), რომ **მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა უპირველესი მარტო საჴელმწიფო საქმეების მთავარი გამგე-კი არ იყო, არამედ** იგი ამასთანავე, მესტუმრე ჯიქურივით „**გამგებელად სახლისა სამეუფოსა**“ (იქვე * 813, გვ. 656) იყო ხოლმე ღა **სასეფო, მეფის საკუთარ და პირად ქონების საგამგეოს უზენაესი მმართველადაც ითვლებოდა**, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ როდესაც ბასილ მწიგნობართ-უხუცესმა „იწყო საურავთაცა ქმნად თვინიერ მეფისა კითხვისა“, თურმე „**დიად ეწყინა მეფეთა ქვეყანათა**“ (იქვე * 846, გე. 691). ერთი სიტყვით, როგორც ეტყობა, **მეფის შემდგომ მწიგნობართ-უხუცესი ქვეყნის უზენაესი მზრუნველი,**

[1] 1202 წ. თამარ მეფის სიგელშიაც ეს სიტყვა არის ნახმარი „პროტოოპერტიმოსი“ (შიომღ. ისტ. საბ. 26; შეად. ს. კაკ. შიომღ. სამი სიგელი გვ. 7$_{4-5}$, სადაც „პროტო-ოპერტროსი“-ა დაბეჭდილი). ეს სიტყვა ბერძნულია. ბიზანტიაში არსებობდა ???/////? „ჰჯპერტიმოს“-ისა პატივი (იხ. Скабалановичъ. Визан. Ц. И госуд. 158-159). მაშასადამე, „პროტოოპერტიმოსი“, ჰჯპერტიმოსთ-უხუცესს უნდა უდრიდდეს.

საზოგადო კეთილდლეობისა და წარმატების მოურნე და პოლიტიკისა და მიმართულების საჭეთმპყრობელი იყო.

ამ მხრივ საყურადღებოა რომ საისტორიო მასალების ცნობები საუცხოვოდ მტკიცდება „კარის გარიგებით“. იქ მაგ. ნათქვამია: მწიგნობართ-უხუცესი „**ვითა მამა არს მეფისა, ეგრე ქველა საურავი უმისოდ არ იქნების**“-ო (4$_{61-62}$). ეს აზრი რომ „**ჭყონდიდელი მამა არის მეფისა**“ მეორეჯერაც არის აღნიშნული ამ ძეგლში (19$_{437}$). ხოლო თუ არც ერთი „საურავი“ სახელმწიფო საქმე შეუძლებელი იყო რომ უმწიგნობართუხუცესოდ გარჩეულიყო, მაშასადამე, იგი, როგორც დავით აღმაშენებელის ისტორიკოსსაც ნათქვამი აქვს, მეფის მუდმივი „განმზრახი“, მრჩეველი და თანამშრომელი, მის სახელმწიფო მოღვაწეობის „თანა-განმაფელი“ იქმნებოდა და იყო კიდეც.

მაშასადამე, ყველა მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მწიგნობართ-უხუცესი ჭყონდიდელი და ვაზირთა უპირველესი საქართველოს სახელმწიფოს საჭეთ-მპყრობელი იყო და თვით მეფეც-კი მის დაუკითხავად არ მოქმედობდა, „ყველა საურავი უმისოდ არ იქმნების“, ამის გამო უნებლიეთ იბადება საკითხი მწიგნობართ-უხუცესის უფლების სამზღვრისა, ან განუსაზღვრელობის შესახებ. იყო თუ არა საქართველოში იმის მსგავსი, რაც არაბთა სახალიფოში გვხვდება და რასაც არაბი სჯულისმეცნიერნი განუსაზღვრელ ვაზირობას უწოდებდენ? შეეძლო თუ არა საქართველოში მწიგნობართ-უხუცესს სრულიად დამოუკიდებლად ემოქმედნა? ქართულ ყველა წყაროებითგან სჩანს, რომ არა, არ შეეძლო. ამის შესახებ პირდაპირი ცნობაც-კი მოგვეპოვება და ცხადად ეტყობა, რომ **„საურავთა ქმნა“ მწიგნობართ-უხუცესს ჭყონდიდელს და ვაზირთა-უპირველესს არც შეეძლო „თვინიერ მეფესა კითხვისა“, მას ამის უფლება არა ჰქონდა**. ქართველ ჟამთააღწერელს მოთხრობილი აქვს კიდეც, რომ რაკი ბასილ ჭყონდიდელმა მეფე დავით ლაშას ძის მოუცლელობით ისარგებლა და „იწყო საურავთაცა ქმნად თვინიერ მეფესა კითხვისა“, მეფის მიერ სიკვდილად იქმნა დასჯილიო (* 846, გვ. 691). მაშასადამე, როგორც მეფეს უმწიგნობართ-უხუცესოდ საჴელმწიფო საქმეები არ უნდა განეგო, ისევე არც ამ ვაზირთა უპირველესს შეეძლო „თვინიერ მეფესა კითხვისა“ ემოქმედწა საჴელმწიფოს მნიშვნელოვან საქმეების გადაწყვეტის დროს.

მწიგნობართ-უხუცესი ჭყონდიდელი მოვალე იყო სახელმწიფოს საზოგადო კეთილდღეობისთვის ეზრუნა, თაოსნობა და ფხა გამოეჩინა ამ საქმეში, მოთავე ყოფილიყო „განზრახვათა კეთილთა სამეფოსა-თჳს და ერისა უმჯობესთა“-თჳს (შევსებული ქ˜ცა, მ˜მ დფ˜სი ქ˜ცა გვ. 433, შენ. 9).

იგი ამასთანავე საჴელმწიფოს წარმომადგენელი იყო, მის უფლებათა დამცველი. სტეფანოს ორბელიანი ამბობს მაგ. რომ იმ დავის გარჩევის დროს, რომლითაც ორი სომეხთა მონასტერი ერთი-ერთმანეთს ვერცხლის ჯვარს ეცილებოდა, სამეფოს წარმომადგენელად დიდი ჭყონდიდელი მწიგნობართ-უხუცესი იყოო. (იხ. ??????, მოსკოვის. გამ. გვ. 260-261).

შევსებულ ქ˜ცის ზემომოყვანილს ცნობაში აღნიშნულია აგრედვე, რომ მწიგნობართ-უხუცესს ჰქონდა მინდობილი საქართველოს სამეფოს სპაც. რაკი ჩვენ ვიცით, რომ სამჴედრო საქმე ამირსპასალარს ებარა და იგი იყო ჯარის მთავარი სარდალი, ამიტომ უნებლიედ საკითხი იბადება, თუ როგორ შეიძლებოდა რომ სპა მწიგნობართ-უხუცესსაც ჰქონოდა მინდობილი. ქართულ საისტორიო წყაროებითგან ნათლადა სჩანს, რომ სანამ მეფე დიდი ომის გამოცხადებას გადასწყვეტდა, საქართველოში წესად ყოფილა, რომ მეფის „წინაშე ყოველნი ვაზირნი და სპანი“ შეიკრიბებოდნენ და განზრახული სამხედრო მოქმედების შესახებ სჯა ჰქონოდათ. ამ კრების გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული „**დაასკვნიდა**“ იგი ომს და „მიმართება“-ს თუ არა (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 671, გვ. 461, იხ. აგრედვე * 711, გვ. 516). ვითარცა „ვაზირთა ყოველთა უპირველესს“ და ისეთს ჴელისუფალს, ურომლოდაც არა „საურავის“ გადაწყვეტა არა შეიძლებოდა, ომიანობისა თუ მშვიდობის გადაწყვეტის საკითხშიც მას რასაკვირველია თავისი ძლიერი გავლენა ექმნებოდა. როდესაც ბჭოა ომიანობის დაწყობას დაასკვნიდა, მეფე ბრძანებას გასცემდა ხოლმე „წუევად ლაშქრისა“ (იქვე * 667, გვ. 456). შევსებულს ქც˜ში უფრო ვრცელი ცნობები მოიპოვება ამ საგნის თავობაზე. აბუ-ბაქრ ათაბაგის წინააღლდებ გალაშქრების შესახებ ბჭობა იყო და კრებამ ომი დაასკვნა. თამარ მეფემ მწიგნობართ-უხუცესს და ჭყონდიდელს ანტონს „ესრეთ უბრძანა: „ისწრაფეთ დაწერად და

მამაცურითა სიტყვითა მიმოდასდევით ბრძანება რათა მსწრაფლ "შემოკრბეს მჴედრობა“-ო (მ˜მ დ˜ ფსი ქ˜ცა, გვ, 462, შენ. 1). მაშასადამე კანონით მწიგნობართ-უხუცესს და არა ამირსპასალარს უნდა დაეგზავნა ლაშქრის წვევის წიგნები და ჯარის შეყრის შესახებ ბრძანება გაეცა. და აი ამ მხრივ მართლაც სჩანს, რომ მშვიდობიანობის დროს მწიგნობართ-უხუცესს სპაზეც მიუწვდებოდა ჴელი.

განსაკუთრებულ შემთხვევებში მწიგნობართ-უხუცესი ჭყონდიდელი, თუმც მონაზონი, ომშიაც მიდიოდა და საქართველოს მჴედრობას ბრძოლის ველზე მიჰყვებოდა. შეესებულს ქც˜ა-ში მაგ. აღნიშნულია, რომ, როდესაც თამარ მეფემ აბუბაქრის წინაღმდეგ საომრად ჯარი გაისტუმრა, მან „თანაწარატანა ანტონი ჭყონდიდელი“-ო (მ˜მ დფ˜სი ქ˜ცა გვ. 462, შენ. 5). რომ შევსებულ ქ˜ცის ეს ცნობა მართალია, ეს თვით თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებითაცა მტკიცდება, რომელიც ამბობს, რომ შანქორის ომის „ჟამსა მწიგნობართ-უხუცესი ანტონიცა წინაშე იყო... და (მეფე დავითმა) მას უბრძანა წარძღუან[ებ]ა ძელისა ცხორებისა რომელ არს სკიპტრა და ჯა[ჭვ]ვური მეფეთა“ (ისტ˜რნი და აზმნი * 672, გვ. 464). ბრძოლა რომ დაწყობილა, იგი საომარ ველს მოჰშორებია, ხოლო შემდეგ ომითგან ძლევამოსილებით გამოსულს მეფე დავით სოსლანს იქვე „**მიეგება წინა ანტონი ვაზირი**“-ო, „**რომელმან რიდობითა მონაზონობისათა არა იჴადა მახვილი** და მისრულმან ორითა ყმითა შემოაქცია სამასი ჯორი და აქლემი“-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 675-676, გვ. 468-469). ერთი სიტყვით ზემომოყვანილ მაგალითებითგანა სჩანს, რომ შევსებული ქ˜ცა არა სტყუის და მწიგნობართ-უხუცეს მართლაც საქართველოს სპაზე ზრუნვაც ედვა ვალად. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ისტორიკოსის სიტყვები „არა იჴადა მახვილი“-ო, თითქოს მწიგნობართ-უხუცესს, თუმც მონაზონს, მაინც ვითარცა ვაზირთა უპირველესს მახვილი ჰქონოდეს და ჰკუთნებოდეს.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, **მწიგნობართ-უხუცესი** იყო აგრედვე „**მართლმსაჯუოლი და ჴელისამპყრობელი უღონოთა და ქვრივთა**“. ამ საგნის თავობაზეც „კარის გარიგება“-ში უფრო ვრცელი ცნობები მოიპოვება. „**ჭყონდიდელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების. ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა განიკითხავს**“-ო, ნათქვამია იქ (3_{50-51}). მა'მასადამე, მწიგნობართ-უხუცესი მართლაც ქვრივ-ობოლთა და უღონოთა საჩივრებს არჩევდა, როდესაც-კი ისინი თავიანთ თავს დაჩაგრულად და მიმძლავრებულად სთვლიდენ: იგი მათი მფარველი, „ჴელისამპყრობელი“ და მათ შელახულ უფლებათა აღმადგენელი უნდა ყოფილიყო. „**რაც ვის უსამართლო სჭირს, არ მოეშვების რომ არ დაიურვოს**“ მწიგნობართ-უხუცესმა-ო, ნათქვამია „კარის გარიგება“-ში (3_{55-56}). ამგვარი საჩვრების გასარჩევად ორშაბათი დღე ყოფილა დაწესებული.

მწიგნობართ-უხუცესს ვითარცა საჴელმწიფოს უზენაეს მოურნეს საჭურჭლესთანაც ჰქონია კავშირი: „კარის გარიგება“-ში ნათქვამია, მწიგნობართ-უხუცესი „**საჭურჭლესაც შევა**“-ო (4_{61}), ალბად როგორც მთავარი ზედამხედველი.

მწიგნობართ-უხუცესი ჭყონდიდელი ვითარცა მთავარეპისკოპოზი და დიდების შემაერთებელი იყო. იგი დიდ მონაზონთა ჯგუფშიაც ირიცხებოდა და ვაზირთა ყოველთა უპირველესადაც ითვლებოდა. მაგ. „კარის გარიგება"-ში „პურობის“ წესის აღწერილობაში სხვათა შორის ნათქვამია: „მწდე... დარბაზით ათქს **ოთხთავე**: მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა (ორს, ქართლისას და აფხაზეთისას), ჭყონდიდელსა, და სამთა ვაზირთა: ათაბაგსა, ამირსპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა"-ო ($12_{276-278}$), შემდეგ-კი სწერია: „ამირეჯიბს მართებსო **ოთხთა მონაზონთა** და სამთა ვაზირთა წვევაო“ (იქვე $13_{289-290}$). მაშასადამე მწიგნობართ-უხუცესიც ოთხთა მანაზონთა ჯგუფში ყოფილა მოქცეული.

ამიტომაც მწიგნობართ-უხუცესს ეკითხებოდა ყველა საქმეები ეკლესიებისა და მონასტრების, სამღვდელოებისა და მოწესეთა შესახებ. შევსებულ ქ˜ცა-ში სწორედ ამიტომაც არის ნათქვამი ანტონი მწიგნობართ-უხუცესისა და ჭყონდიდლის შესახებ, რომ იგი იყო იგი იყო „**შემეცნებული საურავთა ეკლესიათა და მონასტერთა**“-ო (მ˜მ დფ˜სი ქ˜ცა, გვ. 433 შენ. 9). საეკლესიო და სამონასტრო საურავნი პირადად მას ეკითხებოდა ხოლმე და მათი კარგი ცოდნა აუცილებელი იყო მწიგნობართ-უხუცესისათვის. ამ აზრს „კარის გარიგება“-ც ადასტურებს. იქ სწერია: „**გელათისაგან კიდე, საყდარ[ნ]ი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და**

მონაზონნი და რაც საეკლესიონი დასნი არიან, ყველა ჭყონდიდლისა და საწოლის მწიგნობრის საველოისა“ არიანო 4 (57-59).

თავისთავად ცხადია რომ მწიგნობართ-უხუცესს ვითარცა ვაზირს ეკლესიაზე ჴელი მხოლოდ იმ მხრივ მიუწვდებოდა რამდენადაც ეკლესია სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული, - მაშასადამე, ეკლესიის შეუვალობისა და სხვა-და-სხვა გვარ უპირატესობის მინიჭებისა თუ წართმევის საკითხებს ეხებოდა, როდესაც ქონებრივი დახმარება და მის კანონიერ გადაწყვეტილების იძულებითი სრულყოფაც საჭირო იყო. ამას გარდა როდესაც მეფეს ჰსურდა ეკლესიისადმი საჩქარო მიწერილობა დაეგზავნა, ბრძანებას მწიგნობართ-უხუცესის პირით შეუთვლიდა ხოლმე. შევსებულ ქც˜ა-ში მაგ. ნათქვამია, თამარ მეფემ აბუბაქრ ათაბაგის წინაღმდეგ გალაშქრების გადაწყვეტის შემდგომ ანტონ მწიგნობართ-უხუცესს უბრძანა: „მიუმცენით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა რათა დაუცადებელნი ღამისთევანი და ლიტანიობანი აღესრულებოდიან ყოველთა ადგილთა“-ო (მ˜მ დ˜ფსი ქ˜ცა გვ. 462 შენ. 1) მაინც-და-მაინც წმინდა საეკლესიო-იერარქიული და დოგმატიკური საკითხების განხილვა და გადაწყკეტა მხოლოდ თვით საქართველოს მამათმთავარს ქართლისა კათალიკოზს და ადგილობრივს საეკლესიო კრებას შეეძლო და ამ სფეროში მწიგნობართ-უხუცესს ჴელი არ მიუწვდებოდა. მარტო განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიც მაგ. შიომღვიმის მონასტრის მიერ არჩეულ წინამძღვრის დამტკიცება არის, საქართველოს მთავრობას უფლება ჰქონდა ეკლესიის შინაურ საქმეებში ჩარეულიყო. დავით აღმაშენებელმა შიომღვიმის მონასტერს საქართველოს **კათალიკოზის თანხმობით** არაჩვეულებრივი უპირატესობა მიანიჭა, სამოსამართლო შეუვალობა ღა კათალიკოზისაგან დამოუკიდებლობა უწყალობა ისე, რომ რაკი მონასტერი წინამძღვარს „მთავარ-მემღჳმე“-ს წილისყრით („წილგდებით“) აირჩევდა, მას პირდაპირ მეფე ამტკიცებდა, დარბაზს მოსულს არგან უწყალობებდა და ამ გვარად მონასტერის მართვა-გამგეობას ჩააბარებდა ხოლმე. „**რაცა საქმე და საურავი მათი** (ესე იგი ამ მონასტრისა) **იყოს“, მწიგნობართ-უხუცესი „იყოფოდის“** მოურნეოდა „**რომელსა ჩუენ ვერ მივიწინეთ**“, **ვინც მწიგნობართ-უსუცესად „იყოს, იგი იურვოდის“**. ხოლო „**არცა ქართლისა კათოლიკიზისა საქმე არს მღჳმესა ზედა, არც ვის სხჳსა ეპისკოპოზისა**“-ო, ნათქვამია დავით აღმაშენებლის ანდერძში (ს. კაკაბაძის გამ. გვ. 13-14, თ. ჟორდანიას შიომღ, ისტ. საბუთები 18).

უეჭველია აგრედვე, რომ როდესაც მთავრობა საეკლესიო საქმეებში ჩარევას ლამობდა, მას ამის განხორციელება მხოლოდ მწიგნობართ-უხუცესისავე საშუალებით შეეძლო. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი მაგ. ამბობს: დიდებული მეფის დროს „მონასტერნი და საებისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისა[სა] [და] ყოვლისა განგებისა საეკლესიო|ისასა| დარბაზის კარით მიიღებიდია[ნ]“-ო (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი 553, გვ. 320-321). რასაკვირველია მთელი ეს ცნობა ძალზე გაზვიადებულია და გადაკარბებული, მაგრამ იმდენადაც, რამდენადაც მაშინ საჴელმწიფო მთავრობას უფლება ჰქონდა საეკლესიო საკითხებში ჩარეულიყო, მას ამ თავის უფლების განხორციელება ალბად მწიგნობართ-უხუცესის საშუალებით შეეძლო. ვაზირთა შორის მხოლოდ იგი იყო მღვდელთმთავარი და სასულიერო პირი და ვითარცა სამეფოს პირველს ჴელისუფალს სხვებზე მეტად ამ გვარს საქმეებზე ზრუნვა მას შეჰშვენიდა.

როგორც „მწიგნობართ-უხუცესის“ თვით სახელწოდებითგანაც სჩანს, სწორედ მის ხელქვეით მოჴელეებად „მწიგნობარნი“ უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო იგი მწიგნობართა მთავარი იქმნებოდა. „**მწიგნობარი**“ უკვე ქართლის ერისთავის სტეფანოზის დროს არის მოხსენებული ვითარცა მოჴელე, რომელიც მთავრის ბრძანებით „ქარტა“ ს, საბუთებს ადგენს (თხრობა სასწაულთათჳს წმიდისა... შიოსთა, ს˜ქს სამოთხე გვ. 258), „მწიგნობარი“ მეფისა გიორგი II 1078 წელს „ბრძანებისა და სიგელის“ შემდგენელად და მწერლადაც სჩანს (ქ˜კბი II, 50). ბაგრატ IV „მწიგნობარი“ იხსენიება „გიორგი მთაწმიდელის ც˜ა“-ში: როდესაც მეფემ შეიტყო გიორგი მთაწმიდელის ფოთში ჩამოსვლის ამბავი, მეფემ „მეყსეულად წარგზავნა მწიგნობარი თჳისი და უბრძანა დიდითა პატივითა წარ[მო]ყვანებაჲ ბერისა“ (ათონის კრებული 319). მაშასადამე, აქ მწიგნობარი საგანგებო მინდობილობათა მოჴელესა ჰგავს. ხოლო 1189 წელს თამარ მეფის მიერ გელათის მონასტრიდამი ნაბოძებს სიგელში მოხსენებულია „**საწოლისა და საჭურჭლისა მწიგნობარი**“ (ქკ˜ბი II, 74). „მწიგნობარი“-ს სახელი სტეფანოს ორბელიანმაც იცის. მას სხვათა

შორის მოთხრობილი აქვს, რომ ტარსაიჭ ათაბაგი ტფილისში ჩამოვიდა და რაკი უნდოდა, რომ სომეხთა მონასტრებს შეუვალობა მიჰნიჭებოდა, ამიტომ „მოატაინა სამეფო დივანი (?????) და ყოველი დავთარნი (??????) გადიკითხა და რაკი დავთარში სომეხთა მონასტრების სახელები ეწერა ხარკსა და დივანს რომ ექვემდებარებოდენ, მოაყვაინა მწიგნობარი მთავარ დივან-სამწიგნობროსი (?????), დავთარი გამოსცვალა და 150-ზე მეტ მონასტრის სახელები ამოშალა, ხოლო ძველი დავთარი-კი დასწვა და ამ გზით ყველა ეკლესიები გააზატა“-ო (??????, მოსკოვის 1861 წ. გამოც. გვ. 312-313). მაშასადამე, **ყოფილა აგრედვე „მთავარ დივან-სამწიგნობროს“ განსაკუთრებული „მწიგნობარი“, რომელსაც ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები ებარა და იცავდა**. იგი ამ სახელმწიფო დავთარხანის მოჯელე ყოფილა, სადღაც ყოველგვარი სახელმწიფო საბუთები ინახებოდა.

გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში ამას გარდა მოხსენებულია „გიორგი **მწერალი რომელი ყოფილ იყო მწერალთა ზედა მთავრად კურაპალატისათა**“ (ათონის კრებული, გე. 288). სამწუხაროდ დანამდვილებით გადაწყვეტა ჯერ ძნელია, მწერალი და მწიგნობარი ერთი და იგივე თანამდებობა იყო თუ არა? მაგრამ რაკი იმავე თხზულებაში სხვაგან მეფის მწიგნობარიც არის დასახელებული (იქვე 319), ამიტომ **ვგონებ** ჭკუასთან უფრო. ახლო უნდა იყოს, თუ დავასკვნით, რომ **„მწიგნობარი“ და „მწერალი“ სხვა და-სხვა მოჯელენი უნდა ყოფილიყვნენ**. ამისდა მიხედვით „**მწერალთა მთავარი**“-ც ალბად „მწიგნობართ-უხუცესი“ არ იქმნებოდა. ყურადღების ღირსია, რომ ზემოხსენებული, „მწერალთა მთავარი“ მე-X-ე საუკ. ჯერ ბერისკაცად ყოფილა, ხოლო შემდეგ (ალბად თანამდებობის მიტოვების შემდგომ) ბერად ალღკვეცილა (იქვე 288-289).

როგორც ბაგრატ IV 1058 წ. შიო მღვიმეს მონასტრისადმი ნაბოძებ სიგელითგანა სჩანს **ზოგჯერ ამ ორ „მწიგნობრისა“ და „მწერლის“ თანამდებობათა შეერთება შეიძლებოდა**: სწორედ ამ საბუთში ნათქვამია: „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე... ჴელითა იოვანე მწიგნობრისა-მწერლისაითა“-ო (შიო. მღ˜ს სბ˜თბი 4). მაშასადამე ეს იოვანე მწიგნობარიც ყოფილა, მწერალიც.

მწიგნობართა შესახებ უფრო მეტი ცნობებია შენახული „კარის გარიგება"-ში. იქ, სადაც დიდ დარბაზობაზე ონდა ყოფილიყო ლაპარაკი, ნათქვამია: „ზარდახნის მწიგნობარი საწოლის მწიგნობრის გვერდით დგას, ეგრეთ[ვე] საწერელი აქვს იღლიასა... ესენი ყოველნი პირისპირ დგანან. სხვანი მწიგნობარნი ოცდაოთხნი საწერლებით ჭყონდიდელის მჴარს“ დგანანო (16369-373). ამ საყურადღებო აღწერილობითგანა სჩანს, რომ **სულ 26 მწიგნობარი ყოფილა, რომელთა შორის ერთს** მართლაც, როგორც უკვე თამარ მეფის ზემომოყვანილ სიგელშია ნათქვამი, „საწოლის მწიგნობარი“ რქმევია, ხოლო მეორეს „**ზარდახნის მწიგნობარი**“. დანარჩენ 24 მწიგნობართა ნიშანდობლივი სახელი „კარის გარიგება“-ში აღნიშნული არ არის, ამიტომ ჯერ-ჯერობით გადაჭრით არაფრის თქმა შეიძლება, „**საჭურჭლის მწიგნობარი**“, რომელიც თამარ მეფის იმავე სიგელშია დასახელებული, ამ 24 მწიგნობართა ჯგუფში შედიოდა, თუ მათ გარეშე იდგა და მწიგნობრებში განცალკევებული ადგილი ეჭირა?

ყველა 26 მწიგნობართ განსაკუთრებულ სამოჯელეო ნიშნადი „საწერელი“ ჰქონიათ, საწოლის მწიგნობარსაც „საწერელი აქვს თავისიო (19454). როგორც ეტყობა ამ 26 მწიგნობართა შორის ყველაზე უფროსი, რაც მოსალოდნელიც იყო, საწოლის მწიგნობარი ყოფილა. ვითარცა სამეფო საწოლის მწიგნობარი იგი რასაკვირველია მეფესთან დაახლოვებული და გავლენიანი პიროვნება იქმნებოდა. **მეორე ადგილი ზარდახნის მწიგნობარს ეჭირა**, ხოლო დანარჩენი 24 მწიგნობარნი, როგორც სჩანს, თანასწორნი უყვნენ ღირსებით. ეს უფროს-უმცროსობა და თანასწორობა სხვათა შორის იმაშიც ემჩნევა, რომ „**ხუთი ფურცელი ქაღალდი** ყოველთა დღეთა **ჭყონდიდელსა**, **სამი** ფურცელი **საწოლის მწიგნობარსა**, **ორი** ფურცელი **ზარდახნის მწიგნობარსა** და **თჳთო** ფურცელი **სხვათა მწიგნობართა**“ (463-66) უნდა მისცემოდა. ხოლო რომ საწოლის მწიგნობარი დანარჩენ ყველა მწიგნობრებზე მაღლა იდგა და უფროსი იყო, იმითაც მტკიცდება, რომ **ვაზირობის დროს მწიგნობართაგან „საწოლის მწიგნობარს“ გარდა არავის უფლება არა ჰქონდა ვაზირთა ბჭობას დასწრობოდა**, ზარდახნის მწიგნობარი-კი ამ უფლებას მოკლებული ყოფილა: იგი დარბაზს გარეთ იდგა და თუ ვაზირები დაიბარებდნენ, მხოლოდ მაშინ შეეძლო დარბაზმი შესულიყო და ბრძანება მოესმინა (კარის გარიგება 19458-20460).

საწოლის მწიგნობარი მართლმსაჯულებაში მწიგნობართ-უხუცესის თანაშემწე ყოფილა და როდესაც ვახირთა უპირველესი „სააჯოსა კარსა მიგან" დაჯდებოდა ხოლმე მოჩივართა განსაკითხავად“, მას ყოველთვის „საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის“-ო (იქვე 3$_{52}$).

საეკლესიო და სამონასტრო საკითხებშიაც საწოლის მწიგნობარი მწიგნობართ-უხუცესის უფლების თანამოზიარე და მონაწილე იყო: **„ყველა ჭყონდიდლის და საწოლის მწიგნობარის სახელოისა“ არისო** (იქვე 4$_{57-59}$).

ამას გარდა **სიგელის მიცემის დროს** „ქრთამი“ უნდა გამოეღო იმას, „სიგელი ვისცა უბოძონ“ და თავი და თავი წილი აქეთგან „ჭყონდიდლისა და საწოლის მწიგნობრის ქრთამი“ იყო (იქვე 5$_{89}$) აქაც სხვა მწიგნობრებთან შედარებით მას დიდი უპირატესობა ჰქონდა და **მწიგნობართ-უხუცესის თანაშემწედა ჩანს**. დიდ დარბაზობის დროსაც საწოლის მწიგნობარს სხვა მოხელეებზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა (კარის გარიგება 13$_{283}$ და $_{292}$).

საწოლის მწიგნობარსავით **ზარდახნის მწიგნობარიც მწიგნობართ-უხუცეს „მოჩივართა განკითხვის“ დროს ეხმარებოდა, მაგრამ მას შედარებით ნაკლები უფლება ჰქონდა**. მწიგნობართ უხუცესი „ზარდახნის მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მოახსენებს რაც ვის რა სჭირსო“, ნათქვამია „კარის გარიგებაში“ (3$_{52-54}$). თუ რომ ამ გაგზავნილს მოხელეს საქმის გარიგება არ შეეძლო და სამართალს იგი ვერ იქმოდა, „რასაც მისის პირით ვერ დაიურვებს, ადგების (მწიგნობართ-უხუცესი) და რა ჟამსაც ჟამი იყოს, თჳთ მივა და მაშინ იურვის“-ო (იქეე 3$_{54-55}$). მაშასადამე, **სამოსამართლო საქმეებმი ზარდახნის მწიგნობარი ვაზირთა უპირველესის წარვლენილი მოხელე, მისი მინდობილობათა აღმასრულებელი და ნაცვალია**.

ზარდახნის მწიგნობარს როგორც თვით მისივე სახელწოდება მოწმობს რასაკვირველია, განსაკუთრებით მაინც **ზარდახანთან უნდა ჰქონოდა საქმე**, მაგრამ მის ყოველ დღიურ მოვალეობათა შესახებ ამ დაწესებულებაში ჩვენ ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ ზარდახნის უხუცესთან ერთად **ზარდახნის „მწიგნობარი წელიწადსა შიგან ერთხელ ზარდახანს შევლენ და ზარდახნის მწიგნობარი დასწერს, ანგარიშს იქმენ** და **საანგარიშოსა გოდარსა შიგან ჩასდებს**“ (კარის გარიგება 9$_{194-195}$ და 10$_{204-205}$). მაშასადამე, **ზარდახნის „მწიგნობარი საანგარიშო საბუთებს აწარმოებდა და ზარდახნის ანგარიშის სიმართლეს თვალყურს ადევნებდა**.

ყველა **მწიგნობარნი მწიგნობართ უხუცესის „ქუეშეთი საქმის-მოქმედნი“ იყვნენ, მის ბრძანების აღმასრულებელნი. მათი საქმე განსაკუთრებით წერა იყო, მაგრამ სასაუროც**. მწიგნობართ ჭყონდიდელი გადასცემს (რაც დასაწერი არის) და ასწერენ და იურვიან რაც სასაურვო იყოს“-ო, ამბობს „კარის გარიგება“-ც (20$_{460-461}$).

მეფისა და მწიგნობართ-უხუცესის ბრძანებით მწიგნობარნივე სწერდნენ სიგელებსა და სხვადასხვა წყალობის შეწირულების, ან შეუვალობის წიგნებს. დიდ მნიშვნელოეან სიგლებს თვით საწოლის მწიგნობარი სწერდა (1189 წ. თამარ მეფის სიგელი, ქ˜კბი II, 74) ან მეფის მწიგნობარი (1078 წ. სიგლი, ქ˜კბი II, 50).

როდესაც სიგელი ან წყალობის წიგნი კერძო პირს ეძლეოდა, „შეწყალებულს“, რომელსაც საბუთი უნდა მიეღო, მწიგნობრისათვის გასამრჯელო უნდა მიეცა. **მას შემდგომ**, როცა სიგელისათვის დაწესებულს „ქრთამს“ მწიგნობართა უხუცესი და საწოლის მწიგნობარი ჩაიბარებდენ, **„რომელსაც დაეწეროს, მასუკან მან მისი აიღოს“-ო** (კარის გარიგება 5$_{88-89}$). იმას გარდა რომ იგი საბუთს სწერდა „**დაბეჭდავს მწიგნობარი**“-ვეო (იქვე 6$_{114}$).

დასასრულ ორიოდე სიტყვა მწიგნობართ-უხუცესის მდგომარეობის შესახებ ვაზირთა მორის. ვაზირები ვითარცა საქმის გამგებელი ჴელისუფალნი საერთოდ თანასწორნი იყვნენ (კარის გარიგება 9$_{177-178}$ და 19$_{443-444}$). მაგრამ. მათ შორის მაინც მცირედი განსხვავებაც იყო. ზოგი ვაზირობა ძველი იყო, ზოგი შედარებით ახალი, ზოგი კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანად ითვლებოდა. ამისდა მიხედვით მათი პატივისცემაც ცოტათი განსხვავდებოდა.

ამ მხრივ დარბაზობის დროს ვაზირნი ორ ჯგუფად იყოფოდნენ: „სამთა ვაზირთა“ და „ორთა ვაზირთა“ ჯგუფად და პირველს მცირეოდნად უფრო მეტი პატივისცემა ჰქონდა (კარის გარიგება 14$_{305-310}$). მაგრამ ყველაზე მეტი პატივი ვაზირთა შორის რასაკვირველია მწიგნობართ-უხუცესს ეკუთვნოდა: იგი ხომ „ვაზირთა ყოველთა უპირველესი“ იყო, ანუ როგორც რომაელები ამბობდენ იგი იქმნებოდა „primus inter pares, რასაც ქართველები „**უწარჩინებულეს**

ყოველთა სწორთა“-ს უძახდნენ (ჟამთააღმწერელი * 733 გვ. 553). მწიგნობართ-უხუცესის უპირველესობა ვაზირთა შორის როგორც მის უფლებაში გამოსჭვირვიდა, ისე იმ უპირატესობაშიც, რომელიც მას ვაზირობისა და დარბაზობის დროს მინიჭებული ჰქონდა (იხ. ამის შესახებ ქვემოთ „ვაზირობა“ და „დარბაზობა“). მეფის კურთხევის წესშიაც მწიგნობართ-უხუცესს ვაზირთა შორის უფროსობა ცხადად ემჩნევა: დედოფლისა და კათალიკოზის შემდგომ ყველაზე უწინარესად სწორედ მას, მწიგნობართ-უხუცესს და ჭყონდიდელს, უნდა მიელოცნა მეფისათვის სამეფო ტახტზე აბრძანება და მეფედ ცხება, ხოლო მერზე დანარჩენ ვაზირებს (გვ. 8$_{16-17}$).

მის უწარჩინებულესობის გარეგან გამოხატულობად და თვალსაჩინო ნიშნად-კი შემდეგი უპირატესობა იყო: როდესაც დარბაზობას და პურობას ბინდი და ღამე შემოესწრებოდა, წესად ყოფილა დადებული, რომ „რა გაიყარნენ, **ორი მაშხალა ჭყონდიდელს** წაუძღვების და **თითო სამთა ვაზირთა** და სხვათ არავის“-ო (კარის გარიგება 8$_{155-156}$).

ყველა ზემოთქმულის შემდგომ შეიძლება უკანასკნელ საკითხსაც შევეხოთ. მწიგნობართ-უხუცესი როგორც გამორკვეული იყო მხოლოდ დროთა განმავლობაში 1103-1110 წ. შუა, დავით აღმაშენებელის მიერ ჭყონდიდლადაც იქცა, წინათ იგი ერისკაცი იყო. ხოლო ვაზირის სახელი ქართულ საისტორიო მწერლობაში გიორგი III (ან იქნებ დემეტრე I) მეფობაში ჩნდება.

თვით სახელწოდება „მწიგნობართ-უხუცესი“ მშვენიერად უდრის ძველ სპარსულს, ფაჰლაურს **„დაბირბედ“-ს**, რომელიც აგრეთვე მწიგნობართა მთავარს ჰნიშნავდა და ერთ-ერთ მთავარ ჴელისუფლის სახელი იყო. მას შაჰის მწიგნობარნი და დავთარხანა ექვემდებარებოდა და სახელმწიფო ბეჭედი ებარა (Th. Nöldeke Fabari Geschischte და Arth. Christensen. E’Empire des Sassanides, 1907 წ. გვ. 30, 38-40).

ამის გამო მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობა საქართველოშიაც შეიძლება ძველის-ძველი ოყოს. მაგრამ ქართული მწიგნობართუხუცესი სპარსულ „დაბირბედ“-ისაგან მაინც თვალსაჩინოდ განსხვავდება: სპარსეთში მას ისეთი მნიშვნელობა არა ჰქონდა და პირველ ვაზირად არ ითვლებოდა, როგორც საქართველოში იყო. სასანიანთ სამეფოში ვაზირთა უპირველესად ჯერ „ჰაზარაპატი“, ანუ „ათასისთავი“ და „ვაზურგ-ფრამადარი“ იყო (Christensen, იქვე 32). მერმე აგრედვე „სპაჰბეტი“ ანუ სპასპეტი (Nöldeke და Christensen 30, 33). სასანიანთა სახელმწიფოში „დაბირბედ“-ს ანუ მწიგნობართ-უხუცესს არასდროს პირველი ვაზირის პატივი არა ჰქონია.

ქართველი მწიგნობართ-უხუცესი თავი უფლებით ცოტა არ იყოს ბიზანტიის სახელმწიფოს პირველ მინისტრსაც მიაგავდა, რომელსაც განსაკუთრებული სახელი არა ჰქონია და არც რაიმე სამინისტრო ებარა, მაგრამ ყველაზე ჴელი მიუწვდებოდა და სახელმწიფოს უზენაესი გამგე იყო (Н. Скабалановичъ. Византиійское государство и церковь въ XI въкъ, გვ. 178-179).

მაგრამ საქართველოს მწიგნობართ-უხუცესი ჭყონდიდელი და ვაზირთა-უპირველესი ბიზანტიის პირველ მინისტრისაგანაც არსებითად განსხვავდებოდა. ჯერ ერთი ის, რომ ბიზანტიის პირველი მინისტრი შეიძლებოდა კარის კაციც ყოფილიყო, ერთი ვაზირთაგანიც, ერის კაციც და სასულიეროც. ამასთანავე პირველ მინისტრად დანიშვნის შემდგომაც ის თავის წინანდელს თანამდებობასაც (თუნდა ერთ-ერთ ვაზირობასაც) თავს არ ანებებდა, ხოლო ვითარცა ვაზირთა უპირველესს მას არავითარი განსაკუთრებული სახელწოდება არა ჰქონდა (Н. Скабалановичъ. იქვე 178).

ამასთანავე ყურადღების ღირსია, რომ ეს მუდმივი თანამდებობა-კი არ იყო, არამედ კეისრის პირად სურვილზე იყო დამოკიდებული: თუ მას პირადად უნდოდა ქვეყნის მართვა გამგეობა, პირველ მინისტრს სრულებითაც არ დანიშნავდა (იქვე 178-179).

ყველა ამ მხრივ საქართველოს მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა უპირველესი ბიზანტიისას არ მიაგავდა. ამასთანავე ქართველი მწიგნობართ უხუცესი ვითარცა მწიგნობართა ყოველთა უფროსი ბიზანტიელს **პროტოასიკრიტ**“-სა ჰგავს (იქვე 174-175), მაგრამ რასაკვირველია მწიგნობართ-უხუცესს მეტი მნიშვნელობაც ჰქონდა, უფლებაც და გაცილებით უფრო ვრცელი და ფართო მოეალეობაც ედვა კისრად.

ამირსპასალარი და მისი საქელოჲ

ამირსპასალარი როგორც თვით სახელიც მოწმობს სახელმწიფო მხედრობისა და სპის წინამძღოლი და სარდალი უნდა ყოფილიყო. იგი სამხედრო მინისტრს უდრიდა. გასაოცარი ეს არის, რომ ეს სიტყვა „ამირსპასალარი“ პირველად მხოლოდ გიორგი III და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში გვხდება (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 598, 616, 622, 699-630, 631, 657; გვ. 368, 389, 396, 407, 409, 444 და სხვაგანაც ბევრგან).

შემდეგ-კი, მაგ. ლაშა-გიორგისა, რუსუდანისა, დავით ლაშას ძისა, დიმიტრი თავდადებულისა და ვახტანგ მეფეთა დროს ამირსპასალარი მრავალჯერ იხსენიება (იხ. ჟამთააღ. * 843, 862, 903, 890, 886 გვ. 688, 706, 744, 732, 729).

არც დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის ნაწარმოებში, არც „მატიანე ქართლისაჲ“-ში და არც სხვა რომელსამე საისტორიო თხზულებაში სიტყვა „ამირსპასალარი“ არ მოიპოვება. სამაგიეროდ ყველა ზემოაღნიშნულ ნაწარმოებში მოხსენებულია. „სპასალარი“. მაგ. ივანე ლიპარიტის ძის შესახებ „მ˜ტნე ქ˜ჲ“-ში ნათქვამია: იგი „იყო თავად თავადთავე თანა ამის სამეფოსათა და **სპასალარ** სიკეთითა მისითა“ (* 497, გვ. 268). ხოლო როდესაც დავით დიდმა კურაპალატმა სკლიაროსის წინააღმდეგ ბერძენთა კეისარის თხოვნისაებრ მისაშველებელ ქართველ ჯარის გაგზავნა გადასწყვიტა, „**სპასალარად** თორნიკ განაჩინეს“-ო (ც˜ჲ იესი და ეფთჳმესი 11). არც XI ს. ისტორიკოსებს ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებში მოიპოვება „ამირსპასალარი“. მათის სიტყვით ფარნავაზისა და ვახტანგ გურგასლის დროს საქართველოს ჯარების უფროსს „სპასპეტი“ ეწოდებოდა (ც˜ა მეფეთა * 129-130, გვ. 21; ც˜ა მ˜სა ვხტნ˜გსი * 306, გე. 125) და მართლაც ალბად ასეც უნდა ყოფილიყო. მაინც-და-მაინც ცხადია, რომ მაშინ, არაბთა გამოჩენამდე „**ამირსპასალარო**“-ბა შეუძლებელია რომ ყოფილიყო.

მარტო ის გარემოება რომ დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს „ამირსპასალარი“ მოხსენებული არა ჰყავს, ვერავითარ საბუთად ვერ გამოდგება იმიტომ, რომ საზოგადოდ მას ხელისუფალთა შესახებ ძალიან ცოტა ცნობები აქვს აღნიშნული. მაგრამ რაკი დანარჩენ ქართულ საისტორიო მწერლობაში და ხელნაწერთა მინაწერებსა და ანდერძებშიაც იგი არსადა გვხდება, ამიტომ ამ გარემოებას უნდა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. იქნებ მომავალში, თუ ყველა მასალები შესაფერისის გულისხმიერებით განხილულ იქმნა, გამოირკვეს კიდეც, რომ საქართველოს სამხედრო. მინისტრს მართლაც მხოლოდ XII ს-ში ეწოდა „ამირსპასალარი“-ს სახელი.

სიტყვა „ამირსპასალარი“ არაბულ-სპარსული რთული სიტყვაა. პირველი არის არაბული „ამირ“, ხოლო მეორე სპარსული „სიფაჰსალარ“. მაგრამ თვით **სპარსულში და არაბულმი ამგვარი ორნაწილედი სიტყვა** „ამირსიფაჰსალარ“ **არ იხმარებოდა**. არაბულ სამხედრო ტერმინოლოგიაში „ამირ“ 10 000 ჯარისკაცის მხედართ-მთავარს ეწოდებოდა, რომელსაც ხელქვეითად ჰყავდა 10 „**ყაიდი**“. თითოს მათგანს 1000 მეომარი ემორჩილებოდა (A. von Kremer. Culturgeschichte des Orients I, 237). წმიდა გობრონის წამებითგანა სჩანს, რომ „ყაიდ˜-ს, ანუ როგორც მემატიანე სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსი სწერს „**კაეტ**“**-ს** მართლაც 1000 კაცი ჰყოლია ხელქვეით, მაგრამ 10 000-ც შეიძლებოდა ჰყოლოდა. იქ ნათქვამია: სარკინოზთა მეფემ გამოგზავნა საქართველოში ამირა აბულ ყასიმ ძე აბუსაჭისი და „აღჭურა ერითა მრავლითა. **კაეტებითა** რჩეულითა **რომელთა ჰყუანდა ათასეული და ბევრეული“-ო** (ს˜ქს სმ˜თხე 395). მაშასადამე, თუ: „კაეტ“-ს ბევრეული ანუ 10 000 მეომარი შეიძლებოდა ჰყოლოდა, მაშინ ამირა 10 000 ზე მეტის ბრძანებელიც იქნებოდა. მაგრამ მაინც არაბულად მთავარ სარდალს ამირსპასალარს კი არ უძახდნენ, არამედ „ამირ ალ-ჯუიუშ“-ს. სპარსეთში კი ჯარის ბრძანებელს მარტივად „სიფეჰსალარი“ (ვ. ბარტჰოლდი, Туркестанъ, II 238), ანუ სპასალარი ეწოდებოდა და თავში ქართულისავით „ამირ“-ი არ უჯდა.

„ამირსპასალარის” უმთავრესი მნიშენელობა ქართულში ლაშქრის სარდლობა და წინამძღოლობა უნდა ყოფილიყო და აკი ქართ. ჟამთააღმწერელი ამბობს **„მხედართ მთავარი...**

არს ამირსპასალარი“-ო (* 862, გვ. 706). სამხედრო მინისტრის მოქმედება საქართველოში მეფეთა უფლებით შეზღუდვილი უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ მეფეები თვით იყვნენ სახელმწიფოს ჯარის წინამძღოლად და მთაეარსარდლად, ომშიც თითონ მიდიოდენ და ბრძოლასაც თითონ უწევდენ საზოგადო ხელმძღვანელობას. ასე იქცეოდენ მემატიანეთა სიტყვით ბაგრატ III, გიორგი I. ბაგრატ IV, და გიორგი II. ხოლო დავით აღმაშენებელის შესახებ მისი ისტორიკოსი ამბობს, რომ იგი ომში მუდამ გულადად წინუძლოდა თავის ლაშქარს და „თჳთ მეფე არა ვითარცა სხუაი ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თჳსთა ანუ შორით უზრახებდა ვითარცა ერთი მრავალთაგანი, არამედ უპირატეს ყოველთა თჳთ წინა უვიდოდა“ და პირადის მაგალითით თავის ჯარს ამხნევებდაო (ც~ა მფ~სა დ~თსი. * 525, გვ. 292). დემეტრე I და გიორგი III დროსაც სამხედრო მინისტრს ფართო სამოქმედო ასპარეზი არ ექმნებოდა. მხოლოდ თამარ მეფის დროს სანამ იგი ქმარს მოიყვანდა ამირსპასალარს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც. ამ მხრივ ყურადღების ღირსია, რომ თამარის ქმრის დავით სოსლანის დროს საქართველოს მხედრობის მთავარსადლად ამირსპასალარი-კი არა სჩანს, არამედ თვით ომში წამავალი მეფე დავით, ამირსპასალარი-კი წინამბრძოლად იყო (ისტ~რნი და აზმნი * 701, გვ. 501).

ამიტომ შეიძლებოდა ადამიანს ეფიქრა, რომ თამარ მეფემდე ამირსპასალარის არსებობის საჭიროება არც-კი ყოფილიყოს. მათ მაგიერ სამხედრო საქმეს თვით მეფე განაგებდა, ხოლო „სპასალარნი“ თანამშრომელებად ჰყავდათ. ამ აზრს ადასტურებს დავით აღამაშენებელის მოქმედებაც. მაგ, როდესაც მეფეს ყივჩაყლი საქართველოში გადმოიყვანა და მათგან მუდმივი ჯარი შექმნა, მან „**დაუდგინნა სპასალარნი** და მმართებელნი“ (ც~ა მ~ფსა დ~თსი * 536, გვ. 302). ივანე ლიპარიტის ძეც ბაგრატ IV დროს სპასალარად არის წოდებული და არა ამირსპასალარად (მ~ტნე ქ~ჲ * 497, გვ. 268). მაგრამ მაინც ამგვარი დასკვნა სწორე არ იქმნებოდა. თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებითგანა სჩანს, რომ მაინც-და-მაინც **უკვე გიორგი III დროს საქართველოს სამხედრო მინისტრი ამირსპასალარად იწოდებოდა, ესე იგი მაშინაც, როდესაც სახელმწიფოს გამგედ მომქმედი და გულადი მეომარი სარდალი-მეფე იყო**. მაშასადამე, საქართველოს სამხედროს მინისტრის ამირსპასალარად წოდება რალაც სხვა მიზეზის შედეგი უნდა იყოს.

საქართველოში ლაშქრის მთავარ გამგებელად ისეთს განთქმულს მეომარსა ნიშნავდენ, რომელიც თორნიკივით „წყობათა შინა აღზრდილიყო და სალაშქროთა საქმეთა“ (ც~ი ი~ესი და ეფ~თჳმსი 15) ან ამირსპასალარ სარგის მხარგრძელივით იყო „აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათა“ (ის~ტრნი და აზ~მნი * 631, გვ. 409, შეად. აგრედეე * 670, გე. 460-461), ან გამრეკელ-თორელსავით, რომელიც სარგისის შემდგომ ამირსპასალარად იყო დადგენილი, „დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე“-ს (იქვე * 607, გვ. 378) სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებითგან სჩანს, რომ ამირსპასალარის საზრუნავად საზოგადოდ ის უნდა ყოფილიყო, რასაც „**სალაშქრონი საქმენი**“ (მ~ტნე ქ~ჲ * 470-471, გვ. 244) ერქვა ხოლმე. რასაკვირველია „**საქართველოსა ლამქართა საქმე და განგება**“ (**ჟამთა აღ. * 874, გვ, 718**) მის ხელში უნდა ყოფილიყო. უეჭველია, რომელნიც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყეით მეფის საზრუნავს შეადგენდენ (ც~ა დთ~სი * 551, გვ. 319), ამირსპასალარის პირდაპირ მოვალეობად უნდა ყოფილიყო.

როდესაც მეფე თვით ომში არა ბრძანდებოდა, ჯარის წინამძღოლობა და სარდლობა ამირსპასალარს ედვა ვალად (ისტ~რნი და აზმ~ნი * 652, გვ. 438): მაგ. თამარ მეფემ რომ საქართველოს შეერთებული მხედრობა სპარსეთში გაგზავნა, მთავარსარდლად სწორედ ამირსპასალარი იყო (იქვე * 712, გვ. 516). ამირსპასალარისავე მოვალეობად ითვლებოდა ლაშქრობის გეგმისა და მოქმედების შემუშავება და განხორციელება (იქვე * 708-709, 710-711, გვ. 512, და 515). ამირსპასალარი ამას გარდა ვითარცა მთელი ჯარის თავი და წარმომადგენელი სხვა მხედართმთავრებს „შეუძღვებოდა“ ხოლმე, როდესაც ძლევა-მოსილი ლაშქარი შინ დაბრუნდებოდა და მეფეს წარუდგებოდა (იქვე * 718, გვ. 525).

ეს დაკვირვება და დასკვნა, თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულების მიხედვით მედგენილი, „კარის გარიგებითაც“ მტკიცდება: „**ლაშქრობაჲ და ლაშქრობისა ვაზირობა ამირსპასალარის ხელთ არის**. მას წინათ არავინ იტყვის რაჲ ვაზირობა იყოს“-ო (9181-182).

მაშასადამე, როდესაც ვაზირთა ბჭობა იყო ომიანობის დაწყობის შესახებ პირველად ამირსპასალარს უნდა გამოეთქვა თავისი აზრი. ამასთანავე „**ამირსპასალარი** საპატიო ვაზირი **არის** და **თავადი ლაშქართა**“-ო (იქვე 19[441-442]).

ამირსპასალარს ვითარცა ლამქართა თავადს საქართველოს მთელი ჯარი და ყველა მხედართმთავარნი ემორჩილებოდენ, მისი ბრძანების შემკითხველნი და აღმასრულებელნი იყვნენ. როდესაც მაგ. თაყაიადინ თმოგველი ამირსპასალარის მიერ მოწინავე რაზმის „მხედართ მთავრად“ დანიშნული ამირსპასალარის ბრძანებისდა მიუხედვად შეებრძოლა მტერს და სდია მას ისე, რომ ეს ამბავი მას არც აცნობა, ბრწყინვალედ გამარჯვებულსაც-კი „**აბრალებდეს თაყაიადინს და უმეტეს ზაქარია** (ამირაპასალარი) **მქისედ ეტყოდა ამბისა უცნობელად შებმისათჳს**“-ო (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 713, გვ. 519).

საქართველოს სამეფოს მთელი ჯარი ორ მთავარ ჯგუფად იყოფებოდა: ერთი იყო: „**ქუეთნი ლაშქარნი**“. მეორე „**მხედარნი ლაშქარნი**“. ლეონტი მროველს, მაგ. ერთ ბრძოლის აღწერილობაში ნათქვამი აქვს: მეფემ განაწესნა **ქუეითნი** იგი არაგუსა იმიერ და ამიერ სიმაგრეთა შინა კართასა, ხოლო **მხედრითა ლაშქრითა** განვიდა“-ო (ც˜ა მ˜ფთა * 165-166, გვ. 41). შემდეგში როდესაც განსაკუთრებით ცხენოსანი მერომრობა შემოვიდა, „მხედრობა“ ხშირად მნიშვნელობით სპასა და ლაშქარს უდრიდა. დანიშნულებისდა მიხედვითაც საქართველოს ჯარი ორ მთავარ ჯგუფად იყო დანაწილებული: ერთი ნაწილი ლაშქრისა განკუთვნილი იყო „**ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად** (ც˜ა მ˜ფსა დ˜თსი * 533, გვ. 300), რომელსაც ციხეებისა და „**ქალაქისა მცუელნი**“ (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 714, გვ. 520), „**მცუელნი ქალაქისანი**“ (ჟმ˜თ˜ღმწერელი * 647 და 648, გვ. 575) და „**ციხოვანნი**“ (მ˜ტნე ქ˜ჲ * 510, გვ. 279) შეადგენდენ. რაწამს საქართველოს ჯარი მტრის ქვეყანას იპყრობდა, მაშინვე იქაურ ციხეებში მცველებს ჩააყენებდენ ხოლმე (იხ. მაგ. ც˜ა მ˜ფსა დ˜თსი * 512, გვ. 281 კარის შესახებ; იქვე * 544, გვ. 311 ანისის მცუელთა შესახრბ და შირვანის ციხეების შესახებ და სხვაგან ბევრგან). მეორე ნაწილი მეფისა და მთავარსარდლის „**თანამყოფელად** და **მოლაშქრედ**“ (ც˜ა მ˜ფსა დ˜თსი * 533, გვ. 300) იყო, მომქმედ საომარ ძალას შეადგენდა.

ხოლო შემადგენელობისდა გვარად საქართველოს ლაშქარში შედიოდენ: 1. „**სამეფოსა სპანი**“ (ც˜ა მ˜ფსა დ˜თსი * 537, გვ. 302), რომელიც საქართველოს ყოველ კუთხეთგან და თემითგან ცალ-ცალკე გამომავალი სააზნაურო და მოყმეთა ჯარი იყო, „სპანი იმერნი და ამერნი“ (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 701, გვ. 500), როგორც მაგ. ტაოს ქუეყანისა ლაშქარი“ (იქვე * 637, გვ. 419) და ჯარები კლარჯთა, შავშთა, მესხთა, თორელთა, სომხითართა, ქართლელთა და სხვათა (იქვე * 610, გვ. 382-383). ამ „ლაშქართა“ თავთავისი „**პატრონნი**“ ჰყავდათ (იქვე * 703, გვ. 503) და ამის გამო მათ შეიძლება საპატრონ-ყმო ლაშქარი ვუწოდოთ.

დავით აღმაშენებელის მეფობის პირველ ხანებში ეს ჯარი პატარა იყო, არსებობდა მხოლოდ „**მცირე გუნდი მხედრობისა**“ (ც˜ა მ˜ ფსა დ˜ თსი * 560, გვ. 328). მაშინ საპატრონ-ყმო ლაშქარი ასე მცირე რიცხოვანი იმიტომ ყოფილა, რომ სელჩუკიანთა მძლავრობისა და აოხრებისაგან „სამეფო აფხაზეთისა მცირე ჰქონდა... და შემცირებული ტყუეობათა და... ჭირთაგან“ (იქვე).

ამასთანავე თვით მეომარნიც სიმცირეს გარდა. „შეჯაბნებული მრავალ-გზის მტერთაგან სივლტოლისათა“ თურმე „უცხენონი, უსაჭურველონი და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი“ (იქვე) ყოფილან. გასაოცარის მხნეობისა და დაუღალავის შრომის წყალობით დავით აღმაშენებელმა ის შესძლო, რომ საქართველოს ეს ჯარიც მძლავრ საომარ იარაღად გადაჰქმნა: თანდათან მან „თჳისა **სამეფოსა სპანი რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი** (იქვე * 536, გვ. 302) მედგარი მტრის ღირსეულ მოწინააღმდეგედ აქცია.

2. ყივჩაყთა მუდმივი ჯარი, 40 000 „წყობად განმავალნი“, რომელიც პირველად დავით აღმაშენებელმა 1118 წ. გადმოიყვანა და გადმოასახალ (იხ. ქ˜ლ ერის ისტორია II 514-516). მეფემბ თავისი ახალი ლამქარი და მეომანი „განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა“ (ც˜ა მ˜ფსა დ˜თსი * 535, გვ. 302), ამასთანავე „დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართებელნი (იქვე * 536, გვ. 302).

ამ დავით აღმაშენებელის მიერ გადმოსახლებულ ყივჩაყთა მუდმივ ჯარს გარდა, რომელიც თამარ მეფის დროს უკვე ნახევარზე გაქართველებული იქმნებოდა, თამარის დროს

სჩანან კიდევ „ოვსნი და ყივჩაყნი **ახალნი**“ (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 669, გვ. 458). მხოლოდ ჯერჯერობით დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება იმის შესახებ, ესენიც წინანდელებივით გადმოსახლებულები იყვნენ თუ დროებით იყვნენ მოსულნი საქართველოში.

უფრო-კი საფიქრებელია, რომ ახალი ყიეჩაყნი „**სამსახურად**“ იყვნენ ჩამოსულნი იმიტომ, რომ ისტორიკოსის სიტყვით შანქორის ომის უწინარეს, როდესაც ქართველები აბუბაქრ ათაბეგის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის ემზადებოდენ, „მას ჟამსა ძმა ყივჩაყთა მეფისა სევინჯისა სავალათი **აქა იყო სამსახურად დიდითა ლაშქრითა**“ (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 667, გვ. 456-457).

3. მაშასადამე, მესამე ჯგუფს „**სამსახურად**“ მყოფი კავკასიის მთეულთა ჯარი ეკუთენოდა.

4. დასრულ დავით აღმაშენებელმავე დააწესა მეფის პირადი მცველი ჯარი „მოსპებად“ წოდებული (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 622, გვ. 397). როგორც თვით სახელიც გვიჩვენებს, ესენი იყენენ „მონანი მეფისანი“ (ც˜ა მ˜ფსი დ˜თსი * 542, გვ. 310), რომელნიც „ჰყუეს **რჩეულნი**“ დავით აღმაშენებელს „ვითარ ხუთ ათასი კაცი, ყოველნი არისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა“ (ც˜ა მ˜ფსა დ˜თსი * 535, გვ. 302, აგრეთვე * 549 და 550, გვ. 317).

ყოველთვის როდესაც საქართველოს მეფე და სამეფო მტერთან საომრად ემზადებოდა ან ძლიერს ომში იყო, თავდაპირველად ომიანობის დაწყებამდე და ზავის ჩამოგდებამდე მეფე დიდებულ ხელისუფლებს და დარბაზის ერს დაეკითხებოდა ხოლმე. მაგ. როდესაც შარვანშაჰ ფადლუნშა, სანამ ქართველები შანქორის „დალეწილ“ ქალაქისა და ზღუდეების აღებას შეუდგებოდენ, მეფე ბაგრატ III-ესა მოციქული მოუგზაგნა და ზავი სთხოვა და მორჩილება, ყოველწლიური ხარაჯის ძლევა და მსახურება აღუთქვა, საქართველოს მეფემ ვიდრე გადაჭრილს პასუხს შეუთვლიდა, „უბრძანა და **შემოკრიბნა ყოველნი დიდებულნი წინაშე მისსა**“ და მათ ომიანობის განგრძობასა და დაზავებაზე დაეკითხა. ამ დიდებულთა საბჭოს წევრებმა „სიბრძნითა გამოარჩიეს და უმჯობესად აწვიეს ზავი“-ო და მეფემაც ამის შემდგომ მოაჯე ფადლონს მოგზავნილის მოციქულის პირით დაზავების დასტური შეუთვალა (მ˜ტნე ქ˜ი * 470-471, გვ. 244). თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებითგანაც ვიცით, რომ ყოველს დიდმნიშვნელოვან სამხედრო მოქმედებას „დარბაზის“ თათბირი და ბჭობა წინუძღოდა ხოლმე (იხ. ქ˜ლი ერის ისტორია II 603 და 624 შანქორის ომის და სპარსეთში ლაშქრობის ამბავი).

რაკი „დარბაზი“ ლაშქობას და ომს „დაასკვნიდა“ („დამასკუნელმან ლაშქრობისამან«, ის˜ტრნი და აზ˜მნი * 610 გვ. 382“, დაასკუნეს ლაშქრობა“ ის˜ტრნი და აზ˜მნი * 711, გვ. 516), ამის შემდგომ იწყებოდა „**წუევა ლაშქრისა** (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 667, გვ. 456) ანუ „სპათა“ (მ˜ტნე ქ˜ი * 468, გვ. 242) „წუევა ლაშქართა“ (ვეფხის ტყაოსანი, კაკაბაძის გამ. 64369, კარიჭაშვილის გამ. 64388). ამისათვის ხელმწიფე ბრძანებას გასცემდა („განსცა ბრძანება“ ის˜ტრნი და აზ˜მნი * 667, გვ. 456) ხოლმე, რომ საქართველოს ჯარისათვის დაეგზავნათ „**წიგნები წუევისა**“ (ც˜ა მ˜ფსი დ˜თსი * 544, გვ. 311 და შევსებულ ქ˜ცა, მ˜მ დ˜ფსი ქ˜ცა გვ. * 500, შენ. 9). ლაშქრის წეევის ბრძანების გაცემის უფლება მხოლოდ მეფესა ჰქონდა (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 638, 667, 708-709; გვ. 420, 456, 512). ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ თვით თამარ მეფის ქმრის მეფე დავით სოსლანის შესახებაც-კი ნათქვამის, რომ „მეფემან (დავით) **შემყრელმან სპათამან ბრძანებითა თამარისითა**"“ გაილაშქრა პართთა ქვეყანაშიო (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 638, გვ. 420).

ლაშქრის „წუევისა“-თვის განსაკუთრებული მოხელეები, „კაცნი“ იყვნენ (მ˜ტნე ქ˜ი * 458, გე. 242), რომელთაც „**ლაშქრის მწუეველნი**“ (სუმბატ. ც˜ა და უწყ˜ბა * 574, გვ. 344) ერქვა. ჩვეულებრივ ლაშქრის მწვეველებად „**შიკრიკნი** და **მალემსრბოლნი**“ ის˜ტრნი და აზ˜მნი * 667, გვ. 456, აგრედვე შევსებული ქ˜ა, მ˜მ დ˜ფსი ქ˜ცა, გვ. 500, შენ. 9) იგზავნებოდენ ხოლმე.

„წუევის წიგნებში“ აღნიშნული იყო ხოლმე ვადა ანუ „**პაემანი**“ (ც˜ა მ˜ფსა დ˜თსი * 531, გვ. 298 და * 610, გვ. 382), როდესაც ჯარი უნდა საომრად გამოწყობილი გამოცხადებულიყო.

წიგნებში მაშასადამე „**მზაობა**“ (ც˜ა მ˜ფსა დ˜თსი * 531, გვ. 298) იყო ნაბრძანები და აღნიშნული იყო რომ ბრძანა „მეფემან რათა მზა იყუნენ სპანი მისნი“ (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 709,

გვ. 513), თანაც დასახელებული იყო ხოლმე პაემანი მზაობისა და შეყრისა. ამის შემდგომ ლაშქარნი „**ეკაზმოდეს** და **ემზადებოდეს**“ (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 671, გე. 461), „იწყებდენ კაზმად“ (იქვე * 709 და 711; გვ. 513 და 516).

დანიშნულს „პაემანს“ და ადგილს საქართველოს სამხედრო ძალა მზად გამოწყობილი უნდა შეკრებილიყო. ამას „**სპათა**“ ანუ „**ლაშქართა შეყრა**“ ეწოდებოდა („შემყრელმან სპათამან“ ის˜ტრნი და აზ˜მნი * 638, გვ. 420; „ლაშქართა შემყრელნი“, იქვე * 667, გე. 457).

შეყრილს ჯარს მეფე ჯერ დაათვალიერებდა და გაუსინჯავდა იარაღსა და მოკაზმულობას ხოლმე. ამას „**სპათა განახვა**“ ეწოდებოდა (ის˜ტრნი და აზ˜მნი 711, გე. 516). მაგ. როდესაც სპარსეთში გასალაშქრებად გამზადებული საქართველოს მხედრობა დანიშნულს პაემანს ტფილისში შეიყარა, თამარ მეფემ „**განახვნა სპანი მისნი** და **იხილა აბჯარითა** კეთილითა და პატიოსნითა და **მოუწონა აბჯარი და ცხენკეთილობა მათი**, სიდიდე და სიმხნე სპათა მისთა“ (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 711, გვ. 516). ეს „განახვა“ ერთგვარი აღთუმი იყო, როგორც იგი შოთას „ვეფხის ტყაოსან-“შია აღწერილი:

აღლუმი ვნახე. მეკეთა **ლაშქართა მოკაზმულობა**
სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად **დარაზმულობა**
და **ტიაჭთა** მათთა **სიმალე, აბჯგართა ხუარაზმულობა**.
(კაკაბაძის გამ. გვ. 64370; კარიჭაშვილის გამ. გვ. 64389).

როდესაც მეფე თვით არ მიბრძანდებოდა ხოლმე ომში, მაშინ ლაშქრის განახვის შემდგომ მეფე სახელმწიფო დროშას სასახლითგან გამოატაინებდა, დალოცავდა ჯარს და დროშას ამირსპასალარს ჩააბარებდა. ამის შემდგომ ლაშქარი საომრად დაიძვრებოდა ხოლმე. თამარ მეფემ სპარსეთში მიმავალი საქართველოს სპა რომ განიხილა და ცხენკეთილობა და აბჯარკეთილობა მოუწონა, ამის შემდგომ ისტორიკოსის სიტყვით „**მოიღო დროშა** სვიანად ხმარებული გორგასრიანი და დავითიანი და **შევედრა** მასვე **ვარძიისა ღმრთის მშობელსა დროშა** და **ლაშქარი დალოცა... და მისცა დროშა ზაქარია ამირსპასალარსა** და წარემართნეს სპარსეთად“-ო (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 712, გვ. 516--517).

ჯალალადინის შემოსევის დროსაც რუსუდან მეფემ „**მოიღო დროშა სეფე** და მოუწოდა ივანე ათაბაგსა (რომელიც ამასთანავე ამირსპასალარიც იყო)... **განაჩინა მეფემან რუსუდან სპათა მისთა** [თავად]. **უბოძა დროშა სამეფო სვიანი, წარავლინა ბრძოლად სულტანისა**“ წინააღმდეგ (ჟმთ˜ღმწრლი * 744, გვ. 566-- 567).

ამ ომში საქართველოს ჯარის დამარცხების დროს როგორც სჩანს სახელმწიფო დროშას რაღაც განსაცდელი დასტყდომია თავს და ამის გამო შემდეგში როდესაც რუსუდანმა საქართველოს ლაშქარი მონღოლთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაისტუმრა, „თვით დროშა არა წარგზავნა საქმისათვის ივანე ათაბაგისა“-ო (ჟმთღ˜მწრლი * 760, გვ. 588).

ძლევამოსილ ლაშქრობითგან რომ მობრუნდებოდა ხოლმე საქართველოს ჯარი, განსაკუთრებით თუ მეფე თვით ბრძოლის ველზე არ იყო, მაგრამ ისედაც, ჯერ მახარობელს მეფეს, ან დედოფალს აახლებდენ, შემდეგ როდესაც თვით ლაშქარიც და დიდებულნიც დედაქალაქს მოაღწევდა, მაშინ კვლავ დარბაზობა იმართებოდა და ამირსპასალარი ვითარცა ჯარის მთავარი წარმომადგენელი დანარჩენ მხედართმთავრებს შეუძღვებოდა, ომის ამბავს მოახსენებდა და უფრო თვალსაჩინო ნადავლსა და ძღვენსა მიართმევდა (ის˜ტრნი და აზ˜მნი *604, გვ. 374-375; გვ. 505 შენ., 718, გვ. 525).

დასაჩუქრებისა და ნადავლის განაწილების შემდგომ მეფე ლაშქარს დაითხოვდა ხოლმე. ამას „**ლაშქართა გაყრა**“ ეწოდებოდა (იქვე * 544, გვ. 311; * 607, გვ. 377; * 679, გვ. გვ. 474).

ამირსპასალარს თავის სამჯედრო თანამდებობის ნიშნად „ჯრმალი“ ჰქონდა და მგზავრობაში თუ დიდ დარბაზობის დროს იგი „ჯრმალ-შემორტყმული“ იყო ხოლმე (მეფის კურთხევის წესი, ს. კაკაბაძის გამოც. გვ. 5-6). ამასთანავე მას, ვითარცა საქართველოს მთელი სამხედრო ძლიერების გამომხატველს, მეფის კურთხევის წესში განსაკუთრებული ადგილი და მნიშვენელობა ჰქონდა. „**სამეფო ჯრმალი**“ სანამ მეფე ეკურთხებოდა სწორედ მის ხელთ იყო და როდესაც ეკლესიაში მიღიოდენ ეს „სამეფო ჯრმალი ორთავე ხელთა ზედა“ მასა ეტვირთა (მეფის კურთხ. წესი 61-2). ხოლო როდესაც საეკლესიო კურთხევა გათავდებოდა და საკურთხეველის კარითგან ჩამოვიდოდა, მაშინ მეფის კურთხევის წესში ნათქვამი იყო

„ამირსპასალარმან ჴრმალი შეარტყას“-ო (8_6), ალბად როგორც საქართველოს ჯარის მთავარმა გამგემ და წინამძღოლმა. ამას გარდა ამირსპასალარს და ამილახორს როგორც მჴედართ მთავართ „საჴედარი ცხენი მართებს საურავად-“ო (კ. გარიგება $9_{188-189}$).

„კარის გარიგებაში“ ამირსპასალარის შესახებ ამასთანავე აღნიშნულია, რომ „**უამისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალებისო**“ ($19_{441-443}$). ასეც უნდა ყოფილიყო. ქვეყნის გაცემა სახარაჯოდ, ან მამულის წყალობა საყმოდ ვისთვისმე ამირსპასალარის დაუკითხავად იმიტომ არ შეიძლებოდა, რომ ლაშქარ-ნადირობის საქმე მამულზე იყო დამოკიდებული და რომ ქვეყანის გაცემით და წყალობით დიდმნიშენელოვანი საქმე არ შეფერხებულიყო, ამირსპასალარის დაკითხვა იყო საჭირო.

როგორც ყველგან საშუალო საუკუნოებში, საქართველოშიც არა ერთხელ ყოფილა, რომ ამირსპასალარს კიდევ სხვა ვაზირობაც ჰქონოდა მინიჭებული. მაგ. გიორგი III დროს ივანე ორბელი მანდატურთა-უხუცესი და ამირსპასალარი იყო (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 598, გვ. 368). ყუბასარი „იყო **ამირსპასალარი და მანდატურთა-უხუცესი**“ (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 628, გვ. 405). ჭიაბერიც თავის თავზე სწერს „მე მანდატურთ-უხუცესმან და ამირსპასალარმან "-ო (1190 წ. შეწ. წიგ., ისტ. საბ. შიომღ. მონ. 22).

ცხადია და ამას თვით სახელწოდებაც ამტკიცებს, რომ ამირსპასალარი სპასალართა უფროსი უნდა ყოფილიყო და სპასალარნი მის ქვეშეთი მოჴელენი იქმნებოდენ, მაგრამ ამის შესახებ პირდაპირ ცნობები არ არსებობს.

„**სპასალარი**“ საქართველოში ბევრი უნდა ყოფილიყო. თამარ მეფის ისტორიკოსი მაგ. ამბობს: ბრძოლის ველითგან დაბრუნდენ და „მოვიდეს... **სპასალარნი** და სპასპერნი“-ო (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 676, გვ. 469). საფიქრებელია, რომ თვითოეულს თემს და კუთხეს საქართველოში თავის სპასალარი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ გასაოცარია, რომ ქართ. წყაროებში სახელდობრივ ვგონებ მარტო „**სამცხის** სპასალარი“-ა მოხსენებული (ის˜ტრნი და აზ˜ნი * 649, გე. 434-435, ჟამთააღ. * 795, გვ. 633. * 826, გვ. 671, * 874, გვ. 718, * 907 და 920, გვ. 749 და 768. ზარზმის წარწერა იხ. ე. თაყაიშვილის Арх. Экс. I, 47). იქნებ ეს გარემოება იმით აიხსნებოდეს, რომ სამცხის სპასალარი ვითარცა მეწინავე ჯარის უფროსი ომების აღწერილობაში რასაკვირველია სხვებზე უფრო ხშირად უნდა იყოს მოხსენებული? დამაფიქრებელია რომ „კარის გარიგ.“-აშიც[1]) მხოლოდ სამცხის სპასალარი გეხვდება ($15_{332-333}$), მაგრამ ესეც-კია რომ ეს ძეგლი მთლად შენახული არ არის და შეიძლება სწორედ დაკარგულს ნაწილში ყოფილიყენენ სხვა თემის სპასალარნი მოხსენებულნი.

მე-XIII-ე საუკ. მეფის კურთხევის წესის განგებაში ნათქვამია, რომ როდესაც მეფედ განმზადებული საყდარში გაემგზავრება, „**ამირსპასალარი ჴრმალ-მემორტყმული** მარჯუენით კერძო ჰყეებოდეს და... **ამილახორი და მეაბჯრეთ- უხუცესი ჴრმალ შემორტჟყმულ[ნ]ივე ამირსპასალარის კერძო ვიდოდენ“-ო** (მეფის კურთხევის წესი, ს. კაკაბაძის გამოც , გვ. 5-6). ამ წესითგანა სჩანს, რომ ამილახორსა და მეაბჯრეთ-უხუცესს ვითარცა სამხედრო. თანამდებობის პატრონთ ამირსპასალართან რაღაც დამოკიდებულება უნდა ჰქონოდათ. და „კარის გარიგება“-ში მართლაც სწერია: „**ამირახორი ვაზირი არის ამირსპასალარისაო**“ ($9_{182-183}$). **ხოლო „მეაბჯრეთ**

---

[1] ყურადღების ღირსია, რომ ლეონტი მროველის მიერ აღწერილს საარაკო პირველ მეფის ფარნაოზის სამეფოს წესწყობილებაში ნათქვამია, ვითომც ფარნავაზმა „**ერისთავთა ქუშე** ადგილთა და ადგილთა **გინაჩინა სპასალარნი** და ათასისთავნი და **მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთო**“ (ც˜ა მეფეთა * 130, გვ. 2I). მაშასადამე აქ სპასალარნი პირდაპირ მთავარ მხედართმთავარს-კი არ ემორჩილებოდენ, არამედ ერისთავებს. ამასთანავე სპასალართ სამოქალაქო მმართველობის მოვალეობაც ჰქონიათ მაგრამ ჯერ ერთი ეს სურათი ლ. მროველის სიტყვით უძველეს ხანის წესწყობილების გამომხატველი უნდა იყოს, როდესაც აღმოსავლეთი საქართველო მოწყობილი უნდა ყოფილიყო „მიმსგავსებულად, სამეფოსა სპარსთასა“ (იქვე). ამას გარდა ლ. მროველის მიერ აღწერილი წესწყობილება სულ სხვა საფუძველზე - სამხედროზეა დამყარებული, ვიდრე იმ დროს იყო, რომელსაც ჩვენ ეხლა ვიკვლევთ და ამის გამო ის ჩვენ მიზნისათვის ვერ გამოგვადგება.

უხუცესი და მეაბჯრენი და **მესარტყლენი და საჯინიბოს შემავალნი** ყოველნივე **ამირახორის ჴელისანი არიან“-ო** (იქვე $9_{183-185}$).მაშასადამე ამირასოანი ამირსპასილარის თანაშმწე ჴელისუფალი იყო, მეაბჯრეთ-უხუცესი და მეჯინიბეთ-უხუცესი-კი ამირახორის ჴელქვეითი მოჴელენი ყოფილან. ამიტომაც არის რომ კანონი ბრძანებდა: „რასაც ამირსპასალარი სალაშქროსა საქმესა იურვოდეს, მასვე გვერდით და[დგენ]| იგიცა (ესე იგი ამირახორი) და მეაბჯრეთ-უხუცესი და მათნი მოახლენიო“ (იქვე $9_{189-192}$).

„**ამირახორი**“ ის~ტრნი და აზ~მნი: * 601-602, 632; გვ. 371-372, 410) დიდი ჴელისუფალი იყო. თვით სახელწოდება არაბულია (ამირ ახურ) და უფროს შტალმაისტერსა ნიშნავს. ამირახორობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ამირახორობის შემდგომ საფეხურად ამირსპასალარობა იყო (ის~ტრნი და აზ~მნი * 632, გვ. 410), მეტადრე-კი. ის უპირატესობანი, რომელნიც ამირახორს მინიჭებული ჰქონია: ჯერ ერთი ის რომ დარბაზობის დროს, როგორც ნათქვამია „კარია გარიგება“-ში, „ამირახორიც... ორთა (ვაზირთა) სწორედ ნახოს მეფემან“-ო (14_{310}), ესე იგი მას იმნაირივე პატივისცემა და უპირატესობა ჰქონდა რაც მეჭურჭლეთ-უხუცესსა და მსახურთ-უხუცესს ეკუთვნოდა. მეორე ის რომ ქვეშეთი მოჴელეთაგან მარტო ამირახორს ჰქონდა უფლება ვაზირთა ბჭობას დასწრებოდა. იგი ვაზირობის წევრი იყო. თუმცა მისი უფლება შედარებით უფრო შეზღუდვილი ყოფილა და მას მხოლოდ „**ვაზირების უკანით ზესკამი უთქს** და **ვაზირობა ესმის** და იგი **არას იტყჳს რასაცა არა ჰკითხვენ და რაი [ჰ]კითხონ მაშინ ღა პასუხს იტყჳს“-ო,** განმარტებულია „კარის გარიგება“-ში ($19_{450-451}$). მაშასადამე მხოლოდ სათათბირო. უფლება ჰქონდა და. არა გადამწყვეტი. თუ გავხსენებთ რომ დანარჩენ ქვეშეთ მოჴელეთაგან არც ერთს არამც თუ სათათბირო ხმა არა ეკუთვნოდათ, ვაზირობას ვერც-კი დაესწრებოდენ ხოლმე, მაშინ ცხადი იქნება რამდენად მაღლა მდგარა ამირახორი. ამირსპასალარსავით ამილახორსაც ვითარცა სამჴედრო უწყების წარმომადგენელს „ჴრმალი“ ეკუთვნოდა. არამც თუ მარტო მეფის კურთხევის დროს იყო ხოლმე იგი „**კრმალ-შემორტყმული** (მ. კურთხევის წესი. გვ. 5-6), არამედ „**ჴრმალი ამირახორსა არტყია დარბაზობასა ზედა-ც** (კ. გარიგება 2_{28-29}). ლაშქრობის დროსა და სალაშქრო საქმეებზე „ურვის“ დროს ხომ თავისთავადაც ცხადია რომ ჴრმალ-შემორტყმული იქნებოდა.

დარბაზობის დროს. ამილახორს თანახლდენ მის ქვეშეთი ჴელისუფალნი, „მებრჯენი“, რომელნიც რომელნიც, „ზურგით დგანან“-ო (კ. გარიგე. 2_{31-33}). მეაბრჯრეთაგან ერთი „კარგ“ მებრჯედ ითვლებოდა და მას ერთგავრი უპირატესობა ჰქონდა: როდესაც დარბაზობის დროს ამირახორის „დაჯდომისა ჟამი მოვიღეს, ჴრმალი **კარგს მეაბჯრესა მისცეს და იგი მჴარს ჩამოიკიდებს“-ო** (იქვე 2_{30-33}).

„მეაბჯრეთუხუცესი“ (შიომღ. 1227-1230 წ. სიგელ. ქ~კბი II, 100 და 101, მეფის კურთხ. წესი 6. კარის გარიგება $9_{183-184}$) როგორც თვით სახელიც გვიჩვენებს „მეაბჯრეთა“ (კ. გარიგება 2_{30-31}, 9_{184}) უფროსადა უნდა ყოფილიყო. ვითარცა ამილახორის ქვეშეთს მოჴელეს, მას რასაკვირველია ამილახორზე გაცილებით ნაკლები უფლება და პატივისცემა ჰქონდა. მაგ. **მეაბჯგრეთა-უხუცეას უფლება არა ჰქონდა რომ ვაზირობას დასწრებოდა და მხოლოდ, როდესაც ვაზირები მას „სამოციქულოდ" დაიბარებდენ, მაშინ შეეძლოთ იგი სავაზიროს შეეყვანათ** (იქვე 19_{457}, 20_{459}). მეაბჯრეთ-უხუცესსაც ვითარცა სამჴედრო უწყების მოხელეს „ჴრმალი“ ეკუთვნოდა და მეფის კურთხევის დროს იგი „ჴრმალ-შემორტყუმული“ მიდიოდა ხოლმე ამირსპასალარსა და ამილახორის გვერდით (მ. კურთხევის წესი, გვ. 5-6). უეჭველია სალაშქრო საქმეების დროსაც იგი „ჴრმალ შემორტყმული“ იქნებოდა.

მეაბჯრეთ-უხუცესს ვითარცა აბჯრის მთავარ გამგე **მოხელეს მეფის კურთხევაში თავისი განსაკუთრებული მოვალეობა ჰქონდა** და წესში ნათქვამი იყო: როდესაც მეფე საყდარში საკურთხებლად წაბრძანდეს და როდესაც უკან დაბრუნდეს „მეაბჯრეთ-უხუცესსა **სამეფო ფარი და ლახტი ჰქონდეს და ქარქაში და უკანა უდგეს მეფესა“-ო** (გვ. 6). რამდენი იყვნენ მეაბჯრენი არა სჩანს, მხოლოდ ცხადია რომ არა ერთი და ორი. მეაბჯრეთაგან ერთი „სეფე“ მეაბჯრედ იწოდებოდა (კ. გარიგება 2_{31}), ერთს მათგანს კიდევ „კარგ მეაბჯრ“-ის სახელი ჰქონდა (იქვე 2_{30}).

ყველა მეაბჯრეებს დარბაზობის დროს „ჯაჭვი აცვია“-ო, ნათქვამია „კარის გარიგება“-ში (2_{31-32}). ეს **ჩასაცმელი ჯაჭვი „გიორგი მეფეს თამარის მამას თვით ვერცხლისა შეუქმნია**

სალმასურისა სახესა ზედა და მას ჩაიცმიდენ“-ო (იქვე 2_{33-34}). კარის გარიგებითგან კარგათ არა სჩანს, გიორგი მეფეს მარტო. ის ცვლილება შემოუღია, როს ჯაჭვი დარბაზობის დროს ვერცხლისა უნდა ყოფილიყო და სალმასურად გაკეთებული, თუ თვით მეაბჯრეთა ჯაჭვით შემოსვის წესიც პირველად მთლად მას შემოუღია? უფრო-კი საფიქრებელია[1], რომ პირველი აზრი უნდა იყოს სწორე. „სეფე მეაბჯრებ“-ს, როგორც მოსალოდნელიც არის, „**ჯაჭვი** აცვია **უთეთრესი**“ (კ. გარიგება 2_{31-32}).

მეაბჯრეთა გარდა „აბჯრის მტვირთველი“ -ც არსებობდა, საგანგებო მოჴელე, რომელსაც აბჯარი ეჭირა და ომში თავის პატრონს ეხმარებოდა. აბჯრუს მტვირთველის მოვალეობა იმდენად მარტივი არ ყოფილა, რომ ყველას უსწავლელად შესძლებოღა. ამისათვის საგანგებო გაწვრნა და დახელოვნება იყო საჭირო ისე, რომ ამ თანამდებობის კაცი ჩვეულებრივ „**აღზრდილი იყო აბჯრგრის მტვირთველად**“ (ჟამთააღ. * 925, გვ. 770). თუმცა მეფის აბჯრის მტვირთველი შენახულ წყაროებში მოხსენებული არ არის, მაგრამ. უეჭველია ეს შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს იმიტომ, რომ დაუჯერებელი რამ იქმნებოდა გვეფიქრა, ვითომც მეფეს აბჯრის მტვირთველი არა ჰყოლოდეს იმ დროს, როდესაც დანამდვილებით ვიცით, რომ აბჯრის მტვირთველი სამცხის მთავარსაც-კი ჰყავდა (ჟამთააღ. * 925, გვ. 770). მეფის კურთხევის დროს, როგორც ვნახეთ, მეფის აბჯრის მტვირთველობის მოვალეობას მებრჯრედთ-უხუცესი ასრულებდა და სამეფო ფარი, ლახტი და ქარქაში მას ეჭირა გვ. 6).

რაკი, როგორც უვე აღნიშნული იყო, „საჯინიბოს შემავალნი ყოველნივე ამილახორის ჴელისანი“ იყვნენ, ამიტომ ალბად „**მეჯინიბეთ-უხუცესი**“-ც (ის˜ტრნი და აზმ˜ნი “614, 615, 622; გვ, 388, 289, 396) ვითარცა საჯინიბოს ჴელოსანთა, მეჯინიბეთა, მთავარი გამგე ამილახორის ქვეშეთი ჴელისუფალი უნდა ყოფილიყო. და სამჴედრო უწყებას უნდა ჰკუთნებოდი. მეჯინიბეთ-უხუცესს გამგებლობის ქვეშ უნდა ყოფილიყო ის განსაკუთრებული დაწესებულება, რომელსაც „**საჯინიბო**“ რქმევია (კ. გარ. 9_{185}). ხოლო ჴელქვეით მოჴელეებად „**მეჯინიბენი**“ უნდა ჰყოლოდა, რომელნიც უკვე მე-X-ე საუკ. სიგელში გეხდებიან (შიომღ ისტ. საბ. 3 და „კ. გარ.“ 18_{415}). ერთ მეჯინიბეთაგანს თურმე „**ზარდასნის მეჯინიბე**“ ეწოდებოდა (კ. გარ. $10_{207-207,\ 209-210}$), მაგრამ ვგონებ ის ზარდახნის-უხუცესის ქვემეთი მოჴელე იყო და არა მეჯინიბეთ-უხუცესისა.

ამირსპასალარინავე საჴელონ ეკუთვნოდენ აგრედვე „აჩუხჩი და ამირჩქარი და მერემეთ-უხუცესი“ და, როდესაც ამირსპასალარი თავის თანამშრომელებითურთ სალაშქრო საქმეს „იურვოდა“, აჩუხჩი, ამირჩქარი და მერემეთ-უხუცესი „წინათ დგანან შორს და სიარულადაც წინათ იარებიანო“, ნათქვამია „კარის გარიგებაში ($9_{191-192}$). მეტი ამ მოხელეთა უფლება-მოვალეობის შესახებ ჯერჯერობით არა ვიცით რა.

ორიოდე სიტყვის თქმა შეიძლება მხოლოდ „**მერემეთ-უხუცესის**“ შესახებ (9_{191}, 16_{374-37}5, 18_{414}). მას როგორც ეტყობა საგანგებო დაწესებულება ჰბარებია, რომელსაც „**სარემო**“ რქმევია (კ. გარ. 3_{49}). ამ დაწესებულების ერთ მოხელის სახელიც არიL შენახული და თურმე „**სარემოს ნაცვალი**“ (კ. გარ. 3_{49}) ეწოდებოდა). ხოლო რაკი „სარემოს ნაცვალი“ ყოფილა, თავისდა თავად ცხადია, რომ „**სარემოს უხუცესი**“-ც უნდა ყოფილიყო, ამას გარდა რასაკვირველია „**მერემენი**“-ც რომელნიც „კ. გარ.“-შიც არიან დასახელებულნი (16_{375}).

ამირახორსა და მეაბჯრეთ-უხუცესს ექვემდებარებოდა აგრეთვე ერთი **განსაკუთრებული დაწესებულება** რომელსაც „**ზარდახანა**“ ეწოდებოდა (კ. გარიგება 9_{194}). **ამ დაწესებულებაში ინახებოდა** „ერთის ტანსაცმელის აბჯრის მეტი სხვაჲ· **ყველა აბჯარი** რაზომიცა თანა აქვს: ჯაჭვი, მუზარადი, ჴრმალი, ქაფა, საბარკული, მშჴლდ-კაპარჟი, ლახტი, შუბი, სრულიად ყოველივე უნაგირი მოჴედილი და ხამი, **აკაზმულობა** რაც ზედ აბია, რაც **საცხენე ჯავშანი,** მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელსაბამი მოჴედილი, კანჯრის კუდი **და მისთანა ყველა, დიდი დროშა**, დაბარჩამნი ორნივე თავგადაჴედილნი, ერთი თეთრი და ერთი შავი, **შუბი სეფე ალმითა**“ (იქვე 9_{196}-10_{204}), - ერთი სიტყვით **ზარდახანა ყოველგვარ აბჯარ-იარაღის და სამხედრო ნიშნებისა და სამკაულის საწყობი ყოფილა**, „ზარდახნის“ შემადგენელობა ამტკიცებს, რომ თავდაპირველად მას ალბად „**ზარდხანა**“ უნდა რქმეოდა, და მხოლოდ

[1] ამას დედნის სიტყვები „მას ჩაიცმიდენ“-ო გვაფიქრებინებს.

შემდეგში დამახინჯდებოდა „ზარდახნად“. „ზარდხანა“ სპარსული სიტყვაა, რაც სპარსულად იარაღისა და ნიშნების საწყობს ჰნიშნავდა, გერმანულად „ცოჲგჰაუს“-ს რომ ეძახიან.

„ზარდახან “-ის სათავეში იდგა გამგე, რომელსაც „**ზარდახნის უხუცესი** (იქვე 9193-194 და 10211-212) ეწოდებოდა. ამას გარდა არსებობდა „**ზარდახნის მოლარე**“ (იქვე 10206, 208), **ზარდახნის მეჯინიბე**“ (იქვე 10207-208, 10209-210), „**მისრატულთ-უხუცესი**“ (იქვე 10206, 210) და როგორც ვიცით „**ზარდახნის მწიგნობარი**“-ც (იქვე 9194, 195; 10204-205 და ქკ˜ბი II, 162). უეჭველია „კვახჭირის დავთარში“, რომელიც თ. ჟორდანიამ გამოსცა, დედანში ეწერებოდა „**ზარდახნის მწიგნობარსა**... ჴელითა **დამიწერია**“-ო და არა „ზარადხოანის მწიგნობარსა“, როგორც ქკ˜ბ-შია დაბეჭდილი (ქკ˜ბი IL, 1625-6). მხოლოდ ჩვენ უკვე ვიცით რომ ზარდახნის მწიგნობარი ამირსპასალარსა და ამირახორს-კი არ ექვემდებარებოდა, არამედ მწიგნობართ-უხუცესს.

როგორც „კ-გარ.“ განა სჩანს, **ზარდახნის უხუცსი, ზარდახნის მოლარე და მისრატულთ უხუცესი უფროსი მოჴელეები იჟვნენ, მისრატული და ზარდახნის მეჯინიბე მცირე მოჴელეებად ითვლებოდენ.** ამასთანავე **ზარდაზნისა-უხუცესს და ზარღახნის მოლარეს ჰბარებია აბჯარ-იარაღი** და როდესაკ დასჭირდებოდათ, **ისინი აძლევდენ ხოლმე ზარდასნითგან**. მაგ. როდესაც მეფისათვის ცხენი უნდა მოეყვანათ, აღვირს და უნაგირს ზარდახნის მოლარე მისცემდა ხოლმე (კ. გარიგება 10205-206, 10208-209), ხოლო მათრაჯს ზარდახნის უხუცესი (იქვე 10211). მისრატულთ-უხუცესის შესახებ ნათქვამია, რომ იგი იმ ცხენზე „შეჯდების“-ო, რომელსაც მისრა ტულისა და თავის მიერ შეკმაზულს ზარდახნის მეჯინიბე „მიუყენებს“ (იქვე 10209-211). მაგრამ არა სჩანს, ეს ცხენი მეფისათვის იყო, თუ აქ მისრატულთ-უხუცესის საკუთარ ცხენზეა. ლაპარაკი? ზარდახნის მეჯინიბე და მისრატული-კი ცხენის შემკმაზავები იყვნენ (იქვე 10206-210).

როდესაც მეფე ცხენით სადმე წაბრძანდებოდა, „ზარდასნის უხუცესი და ამირთ-აჩუხხი **წინათ იარების, ჯუარის მტჯრთველსა და მეფეს მუა**“ (იქვე 10212-213). სანამ მეფე ცხენზე იჯდა, ეს ორი მოჴელეც ცხენიც მისდევდა, „სადაც მეფე მივა, ცხენისაგან ჩამოვა, აჩუხჩიც ცხენით მივა“ და იქვე ჩამოხტება (იქვე 10213-215). როგორც მოსალოდნელიც იყო ზარდახნის მეჯინიბე და მისრატულთ-უხუცესი მეფის მგზავრობის დროს „ორივენი უკანითიარებენ (იქვე 10211-212).

საქართველოს სახელმწიფო! სხვა დაწესებულებებსავით **ზარდახანშიც ყოველ დანახარჯის ანგარიში წერილობით უნდა ყოფილიყო აღნუსხული, ხოლო წელიწადში ერთხელ, წლის თავს საერთო და საბოლოო ანგარიში უნდა მოეხდინათ.** ეს უკანასკნელი ანგარიში იმავ დროს შემოწმებას-რევიზიავითაც იყო და ზარდახანში მაშინ რამდენიმე მოჴელე უნდა შესულიყო და შეემოწმებინა. „კარის გარიგება“-ში სახელლდობრ ნათქვამია: **ამილახორი, მეაბჯრეთ-უხუცესი, ზარდახნის უხუცესი და მწიგნობარი წელიწადსა შიგან ერთხელ ზარდახანს შევლენ და ზარდახნის მწიგნობარი დასწერს, ანგარიშს იქმენ და საანგარიშო გოდორსა შიგან ჩასდებს“**-ო (9193-196). როგორც სჩანს ზარდახნის ანგარიშებისა და მდგომარეობის **ამგვარი შემოწმება ყოველ წლის დამდეგს უნდა მოეხდინათ**. „კარის გარიგება“-ში პირდაპირ არის აღნიშნული: ზარდახნის მწიგნობარმა „**ყოველი რაჲ ასწეროს წლისა თავსა,** ერთი უნაგირი ზარდახნის მწიგნობარს“ უნდა მიეცესო (იქვე 10204-205). განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია „**საანგარიშო გოდორი**“, რომელშიაც თურმე ინახებოდა ზარდახნის ყოველწლიური ანგარიში და შემოწმების საბუთები. ამგვარი „საანგარიშო გოდორი“, როგორც ირკვევა, საქართველოს სამეფოს ყველა მთავარ დაწესებულებაში ყოფილა და საანგარიშო საბუთების საცავი, თავისებური „გროსსბუხ“-ი ყოფილა. როგორც ეტყობა ამ „საანგარიშო გოდრებს" საგანგებო მცველი მოხელეები ჰყოლია მიჩენილი და ალბად მათ თუ ეწოდებოდათ „**მეგოდრენი**“. უკვე მე-X-ე საუკ.-ის საბუთში რომ არიან მოხსენებულნი (შიომღ. ისტ. საბ. 32-3).

მანდატურთ-უხუცესი და მისი საჴელო

„**მანდატურთ-უხუცესი**“ ქართულ საისტორიო თხზულებებში პირველად გიორგი III დროს არის მოხესენებოლი (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 598, გვ. 368). შემდეგ-კი თვით მე-XIII-ე საოკუნეშიაც ხშირად გვხვდება და ჩვეულებრივია (1190 წ. თამარ მეფის სიგელი, შიომღ. ისტ. საბ. 22. - ჟამთააღ. * 743, გვ. 566. * 758, გვ: 584, * 765, გვ. 594, * 792, გვ. 629, * 792-793, გვ. 631. * 855, გვ. 700. 870, გვ. 714. * 890, გვ. 732. * 925, გვ. 770 და * 927, გე. 772.- მეფის კურთხ, წესი 6 და ბევრგან სხვაგანაც). საფიქრებელია, რომ ეს ჴელისუფლობა გიორგი III-ზე კარგა ხნით უწინარესაც უნდა ყოფილიყო. იმის თქმა და დამტკცება მაინც-და-მაინც შმეგვიძლიან რომ „**მანდატურნი**“ საქართველოში უკვე მე-X1I-ე საუკუნეში არსებობდენ და ბაგრატ IV დროს გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში (გვ. 330) და გიორგი IL1072 წ. სიგელში (შიომღ. ისტ. საბ. 12; ს. კაკაბაძე, შიომღ. სამი სიგელი 5) არიან მოხსენებულნი. თამარ მეფის დროს „მანდატურთ-უხუცესი“ არა ერთხელ და ორჯერ იხსენიება (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 631, 654 და 677, გვ. 410, 440 და 470).

თამარის ისტორიკოსს შენახული აქვს ერთი ძვირფასი ცნობა ამ თანამდებობის შესახებ. მას სახელდობრ ნათქვამი აქვს: დიდებულმა მეფემ „განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთ-უხუცესობა და **მისცა არგანი ოქროსა ჴელთა მისთა**”-ო (იქვე * 631, გვ. 410). ცხადია, რომ, რაკი თამარს მანდატურთ-უხუცესისათვის ვაზირად დანიშვნის დროს ოქროს არგანი მიუცია, მაშასადამე **ოქროს არგანი მანდატურთ უხუცესობის საგანგებო ნიშანი უნდა ყოფილიყო**. მართლაც, მე-XIII-ე საუკ. მეფის კურთხევის „განგება“ ში სწერია: „მანდატურთ-უხუცესი **სამანდატუროსა არგნისა** ჴელთა მქონებელი შემდგომად ჯუარის-მტჯრთველისა წინა უვიდოდეს მეფესა“-ო (ს. კაკაბაძეს გამოცემა, გვ. 6$_{5-6}$). ამგვარად ირკვევა, რომ იმ ოქროს არგანს, რომელიც თამარ მეფემ მანდატურთ-უხუცესად დანიშნულს ჭიაბერს უწყალობა, „**სამანდატურო არგანი**“ რქმევია და მის **ჴელისუფლობის განსაკუთრებული კუთვნილება და ნიშანი ყოფილა**. ზემომოყვანილი ცნობითგანვე სჩანს აგრედვე, რომ **მანდატურთ უხუცესი მეფის გამობრძანებისა და მგზავრობის დროს ობერ-ცერემონიმაჲსტერის მაგვარ ჴელისუფლად მოსჩანს**. როგორც თვით სახელითგანაც ცხადია, მას **ჴელქვეით მოჴელეებად მანდატორნი უნდა ჰქოლოდა**.

მაგრამ მარტო. ამ დროს-კი არა, **დარბაზობისა და პურობის დროსაც მანდატურთ-უხუცეს ხელთა არგანი ეჭირა და ამავე მოვალეობას ასრულებდა** თურმე. „კ. გარიგება“ -ში მაგ. ნათქვამია: „მეფე უბრძანებს მანდატურთ-უხუცესსა, იგი არგანს დააგდებს და ამირეჯიბი არგანს აიღებს, მან დატურთ-უხუცესი ტახტს წინ მიდგების, პური მოიღეო, მანდატურთ-უხუცესი მობრუნდების, არგანს გამოუღებს და პურის წინაობას იურვებს“-ო. (კ. გარიგება 17$_{383-386}$).

მანდატურთ-უხუცესი როგორც ვიცით ვაზირი იყო და „პატივი მისი (ამირსპასალარისა) და მანდატურთ-უხუცესისა სწორი არის“-ო (კ. გარიგება 19$_{443-444}$).

თუ მანდატურთ-უხუცესის სახელს მივაქცევთ ყურადღებას დ დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ რომ იგი ორნაწილედი სიტყვაა და პირველი „**მანდატორ**“ ბერძნულ-ლათინურია, ხოლო მეორე „უხუცესი“ - ქართულია. მაგრამ თუ ისიც ბერძნულად გადავთარგმნეთ, მაშინ იქმნებოდა „პროტოს“. მართლაც ბიზანტიაში არსებობდა მოჴელე ექკუვიტების „პროტომანდატორი“ (????), რომელიც კეისრის სეფე-ლაშქრისა დ მონა-სპების უფროსი იყო. იგი მხოლოდ „ექკუვიტების ტოპოტირიტს“ ანუ ნაცვალს ექვემდებარებოდა. დანამდვილებით არ ვიცით, ბიზანტიელს პროტომანდატორს არგონს ეჭირა ხოლმე, თუ არა. მხოლოდ საფიქრებელია, რომ მასაც უნდა ჰქონოდა არგანი იმიტომ, რომ მის ჴელქვეითებს, სკრივონებს, თანამდებობაზე დანიშვნის დროს მეფე არგანს უწყალობებდა ხოლმე (იხ. Въляквъ. Ежед. пріемы, 12 და 73). მაგრამ ქართველს მანდატურთ-უხუცესსა ღა ბიზანტიელს პროტომანდატორს შორის სხვა არა იყოს რა, ის განსხვავებაც იყო, რომ ბიზანტიელს მოჴელეს მანდატორნი არ ექვემდებარებოდენ, ქართველს-კი მანდატურნი ჰყავდა ჴელქვეით. თუ ამ მხრივ მანდატურთ უხუცესი. ბიზანტიელს ჴელისუფლებს შევადარეთ, მაშინ ჩვენთვის ცხადი

იქმნება, რომ ქართველი მანდატურთ-უხუცესი „დრომის ლოგოთეტ“-ს ანუ სახელმწიფო ფოსტისა და მიმოსვლის უფროსს მიაგავდა: სწორედ „დრომის ლოგოთეტს“ ექვემდებარებოდენ მანდატორნი, რომელნიც თასდევდენ დიდებულ ჴელისუფლებს, დესპანებსა და სხვებს (Н. Скабалановичъ. Византійское государство, გვ. 176).

„კ. გარიგება“-ში ნათქვამია: „მანდატურ[თ-უხუცეს]ისა მის ჴელი არის ამიერ და იმიერ. ხოლო სამნი აზნაურნი არიან... და სხვაჲ გლეხია“-ო (5$_{93-95}$). აქ ცხადია დედანს შუაში ერთი წინადადება მაინც უნდა აკლდეს და „ამიერ და იმიერ“-ის შემდგომ უნდა ყოფილიყო აღნიშნული, თუ ვინ იყვნენ მანდატურთ-უხუცესის ჴელისანი, მერმე მათი საზოგადო რაოდენობაც იქმნებოდა მოხსენებილი. დაახლოვებით იმგვარადვე უნდა ყოფილიყო, როგორც ეს მესაწოლეთ-უხუცესისა და მონადირეთ-უხუცესის შესახება სწერია. როგორც იქ ნათქვამია: „მონადირეეთ-უხუცესისა ზემოთ დაგვიწერია. მონადირენი კახეთს და იმერეთს ყოველგან არიან ორას ორმოცი სახლი“-ო (იქვე 11$_{239-240}$), ხოლო მესაწოლეთ შესახებ აღნიშნულია: „შჳდასი სახლი მესაწოლე სახლი არის და გლეხი რვა სახლია და სხვა ყოველივე აზნაური“-ო (იქვე 7$_{125-1256}$), ამგვარადვე მანდატურთ-უხუცესის შესახებ თავდაპირველად დედანში ასე ეწერებოდა: „მანდტურ[თ-უხუცეს]ისა მის ჴელი არის ამიერ და იმიერ [მანდატურნი სახლი (რიცხვი იქმნებოდა დასახელებული)], ხოლო სამნი აზნაურნი არიან... და სხვაჲ გლეხია“-ო. მაშასადამე **მანდატურთ-უხუცესს იმიერ-ამიერ საქართველოს მანდატურნი ექვემდებარებოდენ**.

რა მოვალეობა ჰქონდათ მანდატურებს საქართველოში? **ვაზირობის დროს სავაზირო ოთახს გარეთ „მანდატურნი გარეშემო შორს დგანან** და ვისაც არ უბრძანებენ, არავის მიიყვანენ სიახლოესა“-ო (კ. გარიგება 20$_{463-465}$). მაშასადამე ამისთანა შემთხვევებში მანდატურებს **მცველების მოვალეობა ჰქონიათ.** მაგრამ ჩვენ ისეთი ცნობაც მოგვეპოვება, როდესაც **მანდატური საპატიო კაცის გამყოლია მგზავრობაში**, მაგ. გიორგი მთაწმიდელის ც˜-ში ნათქვამია, რომ მეფე ბაგრატმა საქართველოთგან ისევ ბიზანტიაში მიმავალი გიორგი მთაწმიდელი „სამეუფოთა წიგნთა მიერ და მანდატურთა... წარგზავნა“-ო (ც˜ა 330). **აქ ქართველი მანდატური თითქოს ბიზანტიელს მანდატორს მიაგავს და მიმოსვლისა და სახელმწიფო ფოსტის მოჴელედა სჩანს**.

„ხოლო „კ. გარიგება“-ში ნათქვამია, რომ მანდატურთ-უხუცესი ზვრების **„სამუშაოსა ზედა-მდგომელად მანდატურს** მისცემს, ბრძანებასა დააწერინებს გამოსაჩვენიერსა, უჩვენებს მუშათ ვითა ესე ქვეყანა მოასხითო. **მანდატური** და ერთი მეღვინეთ-უხუცესისაგან ჩენილი მეღვინე **წავლენ**“-ო (4$_{71-75}$, და 11$_{233}$). აქეთგანა ირკვევა, რომ მანდატურებს მოვალეობად აგრედვე ზვრის მუშათა ზედამდგომელობა ჰქონიათ, ხოლო თვით „**ზვარნი... არიან... მანდატურთ-უხუცესისა ჴელისანი**“ (იქვე 4$_{71}$), **ზვრების დამუშავება მანდატურთ-უხუცესის საზრუნავს შეადგენდა**: იგი თადარიგის დამჭერი, **ბრძანების გამცემი ყოფილა**. ამას გარდა სიგლების მოცემაც, როგორც ეტყობა, მანდატურთ-უხუცესის დაუსწრებლივ არ შეიძლებოდა და მასაც სიგლის **ქრთამის წილი ერგებოდა**, **„ამირსპასალარისა სწორი-“ო** (იქვე 5$_{90-91}$).

დასასრულ ერთი ცნობაც მოიპოვება, რომლითგანაც სჩანს, რომ **მანდატურთ-უხუცესსავით მანდატურებსაც არგანი ჰქონიათ ნიშნად**, „კ.გ“.-ში სახელდობრ ნათქვამია: საწელიწდისთავო ძღვნის მიტანის დროს „ვერცა **მანდატური არგანს დაიჭირავს“-ო** (იქვე 15336). აქეთგან ცხადია რომ ჩვეულებრივ მაშასადამე მანდატურსაც ხელთ არგანი სჭერია.

რაკი მანდატურთ-უხუცესი უფრო სამეფო კარის ვაზირად მოსჩანს და სამეფო კარზე უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ ამის გამო იგი ომში და ლაშქრობაში ჩვეულებრივ არ მიდიოდა ხოლმე, არამედ სამეფო კარზედ რჩებოდა, რასაკვირველია, თუ რომ მეფე ომში არ მიდიოდა. თამარ მეფის ისტორიკოსს ეს გარემოება აქვს ნაგულისხმევი, როდესაც ამბობს რუქნადდინის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად სხვებთან ერთად „წარემართნეს ბასიანს“ თვით ჭიაბერიც, „**დაღათუ მანდატურთ-უხუცესი იყო** ჭიაბერი“-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 701, გვ. 501), ე.ი. თუმცა მანდატურთ-უხუცესი იყო ჭიაბერი, მაგრამ ალბად რაკი ამ ბრძოლას საქართველოსთვის ფრიადი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ მანდატურთ-უხუცესიც-კი გაემგზავრაო.

ზევით, ამირსპასალარის თანამდებობისა და საჴელოს განხილვის დროს, უკვე აღნიშნული გვქონდა და აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ საქართველოშიც შეიძლებოდა ერთს

მოჯელეს ორი თანამდებობა ჰქონოდა და იქვეა მაგალითები მოყვანილი როდესაც მანდატურთუხუცესს იმავე დროს ამირსპასალარობაც ეკუთვნოდა.

ვინ იყვნენ მანდატურებს გარდა მანდატურთ-უხუცესის ქვეშეთი მოჯელეები ამის შესახებ ზემომოყვანილის მეტი პირდაპირი ცნობები შენახული არ არის, მხოლოდ „აღვსების საკითხავ“-ის აღწერაში ჩამოთვლილი არიან უფროს-უმცროსობით მოჯელეები უწყებათა მიხედვით და ამ გზით შეიძლება ეს საკითხიც გამოირკვეს. იქ სხვათა შორის ნათქვამია: „მანდატურთ-უხუცესი-**ამირაჯიბს**, ამირაჯიბი - მესტუმრესა და მერიგესა“-ო (კ. გარიგება 3$_{43-44}$). ხოლო უფრო ქვემოთ სწერია: „განმგეთ-უხუცესი-საგამგეოსა მუქიფსა, საგანმგეოს უხუცესი-მეჯამეთ-უხუცესისა, მეჯამეთ-უხუცესი-სარემოს ნაცვლისა“-ო (იქვე 3$_{48-49}$).

პურობის წესითგანაც სჩანს რომ **ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი მანდატურთ-უხუცესის ქვეშეთი ჭელისუფლები უნდა ყოფილიყვნენ**. როდესაც მეფე მანდატურთ-უხუცესს უბრძანებდა „პური მოიღეო“ და იგი „პურის წინაობას იურვებდა“, ამ ბრძანების აღსასრულებლად ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი გავიდოდენ ხოლმე (კ. გარიგება 17$_{383-387}$) და თვით **პურობის წესში მანდატურთ-უხუცესი, ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი ერთიერთმანერთის თანამშრომელნი ყოფილან, მაგრამ მანდატურთ-უხუცესი მათ უფრო ხელმძღვანელადა სჩანს** (იქვე 17$_{392-404}$). ამიტომ, ვგონებ, სიმართლე შელახული არ იქმნება თუ-კი დავასკვნით, რომ ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი მანდატურთ-უხუცესის ქვეშეთი ჭელისუფლები იყვნენ. ამირეჯიბიცკ რომ მანდატურთ-უხუცესის საჯელოს ეკუთვნოდა ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ „ზედამდგომელი ამირეჯიბს **მანდატურივე** მართებს“-ო (კ. გარიგება 5$_{82-83}$).

მანდატურთ-უხუცესისა და მესტუმრესავით **ამირეჯიბიც დარბაზობის წესის აღსრულებაში მონაწილეობას იღებდა**. „კარ, გარგ“-ში მაგ. ნათქვამია: „**ამირეჯიბს მართებს** ოთხთა მონაზონთა და სამთა ვაზირთა **წვევა**“-ო (13$_{289-290}$). ამ შემთხვევაში ის მაშასადამე ცერემონიმაისტერის მოვალეობას ასრულებდა.

რაკი თვით მანდატურთ-უხუცესის შესახებ ცნობები საკმაო არ არის, ამიტომ მის მოვალეობისა და უფლების გათვალისწინება იმ მხრივ შეიძლება, თუ ჩვენ მის ქვეშეთ ჭელისუფლების უფლება-მოვალეობას გამოვარკვევთ და მხედველობაში გვექნება.

ამირეჯიბი როგორც უკვე ვნახეთ დარბაზობისა და პურობის დროს მანდატურთ-უხუცესის თანაშემწე იყო. მაგრამ მას საზოგადოდ დიდი უფლება ჰქონია: „**ამირეჯიბს ყოველგან გზა აქვს საურავისა სადა გინდ იყოს მეფე, - სალაროს, საწოლს, საჭურჭლეს, ყოველგან მივა და ყოველგან იურვის**“-ო, იმის გარდა თუ მეფე ჩაუცმელია (კ. გარიგება 5$_{77-79}$). ამ დროსაც თუმცა საქმე მსახურთ-უხუცესს უნდა მოეხსენებინა მეფისათვის, **„მაგრამ ამირეჯიბის დათხოვნა არც მათგან ეგების“-ო** (იქვე 5$_{80-81}$). საზოდოდ-კი ისე ყოფილა დაწესებული, რომ **მეფე „რა შეეკაზმოს და გამოვიდეს** (საწოლითგან), **საურავი და ძღვენის შეწირვა ყოველი მათია საღამოს რეკამდის“-ო** (იქვე 5$_{81-82}$). ამ ძვირფას ცნობებში ბევრი რამე არის გამოურკვეველი და ბუნდოვანი.

იმ გარემოებითგან, რომ ამირეჯიბს ისეთი დიდი და განსაკუთრებული უფლება ჰქონდა მინიჭებული და ყოველთვის და ყოველგან მეფის ნახვა და მოხსენების წარდგენა შეეძლო, ნათლადა სჩანს, რომ მას დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეები უნდა ჰბარებოდა. ამიტომ პირველი შეხედვით და მხოლოდ ეს ცნობა რომ გვქონოდა, შეიძლებოდა ამირეჯიბი დამოუკიდებელ ჭელისუფლად და ვაზირადაც-კი მოგვჩვენებოდა, მაგრამ მის ვაზირობაზე ფიქრი შემცდარი იქმნებოდა: არსად იგი ვაზირად არ იხსენიება, არც საისტორიო წყაროებში, არც ქართ. სამართლის ძეგლებში. ამას გარდა არც მეფის კურთხევის წესში, არც „კარის გარიგება“-ში ის ვაზირთა შორის ჩამოთვლილ არ არის. ხოლო რომ ის მოვალე იყო ნამდვილს ვაზირს, მანდატურ-უხუცესს, მიჰხმარებოდა და მიჰშველებოდა, ამაზე უკვე ზევით იყო საუბარი.

ამირეჯიბი, როგორც აღნიშნული გვქონდა, დიდ უფლებით იყო აღჭურვილი. ამირეჯიბს თანამდებობის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმითაც მტკიცდება და იქითგანაცა სჩანს, რომ იმ სამ მოჯელეთა შორის რომელთაც არავაზირთაგანთ **ვაზირობის დროს** სავაზირო დარბაზში ყოფნის უფლება ჰქონდათ, ამირეჯიბიც ყოფილა, „ამირეჯიბი შუაზედ.... დგას“-ო (კ. გარიგება

19454). მას არც საქმეების გადაწყვეტაში, არც თათბირშმი მონაწილეობის უფლება არა ჰქონდა, არამედ უნდა **მხოლოდ უტყვი დამსწრე ყოფილიყო.** მაგრამ ამგვარ უფლებასაც დიდი ფასი და მნიშვნელობა ჰქონდა.

თვით სახელწოდებითგანაცა სჩანს, რომ **ამირეჯიბი** თავდაპირველად **ეჯიბების უფროსი უნდა ყოფილიყო.** შემდეგშიაც იგი რასაკვირველია მათი მთავარი იქმნებოდა. „**ეჯიბი**“, საელდობრ „**შინაური ეჯიბი**“ იხსენიება თამარ მეფის დროს (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 651, გვ. 437). ხოლო რაკი ქართველი ისტორიკოსი მას „შინაურ ეჯიბს“ (იქვე) ეძახის, ამიტომ ცხადია, რომ ეჯიბი ერთი არა ყოფილა, არამედ „**ეჯიბობა**“ (1260 წ. ახლო. ხან. სიგ., ქკ˜ბი II 1484. ჟამთააღ. * 858, გვ. 698 და 869, გვ. 713-714) სულ ცოტა ორგვარი მაინც უნდა ყოფილიყო და თვითოეულს თავისი განსაკუთრებული სახელიც რქმევია. სხვათა შორის ერთი ეჯიბთაგანი მწგნობართ-უხუცესის ზედამფგომლეად იყო ხოლმე (კ. გარიგ. 459-60).

იქნება უბრალო შემთხვევით უნდა აიხსნებოდეს, რომ თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში არც გიორგი III და არც თამარის დროს ამირეჯიბი მოხსენებული არ არის და პირველად მე-XIII-ე საუკუნეში, რუსუდანის მეფობაშია დასახელებული (ჟამთააღ. * 786 და 809, გვ. 621 და 642) და შემდეგში ჩვეულებრივია (იხ. დავთარი კვახჭირისა ქ˜კბი IL 1613, კარის გარიგ. და სხვა)?

„ამირეჯიბი“ ორნაწილედი სიტყვაა და ამირსპასალარსავით მასაც თავში „ამირ“-ი უზის, ხოლო მეორე ნაწილი „ეჯიბი“ ხომ ისედაც, ცალკეც იხმარება. ქართული „ეჯიბი“ არაბულს „ჰაჯიბ“-ს უდრის. ეს სიტყვა არაბულად მეკარეს, მეკარეთ-უხუცესს, ცერემონიმაںსტერს ჰნიშნავდა და ჩვეულებრივ არაბულში და სპარსულშიაც მარტივად „ჰაჯიბ“-ად იხმარებოდა (იხ. К. Иностранцевъ. Торжественный выъшдъ Фатимидскихъ халифовъ. 1905. გვ. 25 და В. Бартолблъ. Туркустанъ 236). მაგრამ სელჩუკიანთა საჴელმწიფომი არსებობდა საგანგებო მოჴელე „დიდი ჰაჯიბი“ (ჰაჯიბ-ი-ბუზურგ) ანუ „პაჯიბთ-ჰაჯიბი (ჰაჯიბ-ალ-ჰუჯაბ), რომელიც დიდი ჴელისუფალი იყო. და სასახლის ყველა მსახურთა უფროსად ითვლებოდა (ვ. ბარტოლდი, Туркестанъ 236). ჩვენთვის გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა იმ გარემოებას აქვს, რომ **სელჩუკიანთა სამეფოში ქართული „ამირეჯიბი“-ს შესატყვისი სახელი „ამირჰაჯიბ“-იც ყოფილა**. ეს სახელი ნიზამ „ულ-მულკის „სიასეტ-ნამე“-ში არის მოყვანილი (Siasset namèh, texte person ed. par, Ch. Schefer. 1891, გვ. 90), მაშასადამე ქართული „ამირეჯიბი“ სპარსულითგან შეთვისებული სამოѐელეო სახელი ყოფილა.

ეჯიბობასაც საქართველოში დიდი პატივისცემა ჰქონია მოხვეჭილი: რაკი დარბაზობის დროს ეჯიბი შევიდოდა და მეფეს თაყვანსა სცემდა, მეფე მას თუმცა ვაზირებზე ნაკლებად მოიკითხავდა ხოლმე, მაგრამ მაინც მას **ვაზირთათვის დაწესებული პატივისცემის ნახევარი ეკუთვნოდა** და თუ იმათთვის „კარ. გარიგ.“-ში ნათქვაში იყო, მეფემ „**ჴელნი დაასხნეს დამრუდებითა**“-ო (კ. გარიგ. 13298-299), **ეჯიბისათვის მეფემ „ნებნი ნახევრამდის დაასხნის დამრუდებითა**“-ო (იქვე 13302). ამას გარდა თაყვანისცემის შემდგომ ეჯიბი „უკუდგეს და მარჯვენით ახლოს იყოს“-ო მეფესთან (იქვე 13304).

როგორც ჩვენ უკვე დავრწმუნდით ამირეჯიბი სხვათა შორის დარბაზობისა და პურობის დროს მანდატურთ-უხუცესის თანაშემწე იყო და ამასთანავე მეფის მომხსენებელი. უეჭველია ეჯიბსაც იმგვარივე მოვალეობა უნდა ჰქონოდა, როგორც მის უფროსს, ამირეჯიბს. ამ მხრივ საგულისხმიეროა, რომ შოთას დიდებულს თხზულებაში როდესაც ავთანდილი მეფესთან „დარბაზს მივა სადარბაზოდ“, ჯერ „**დარბაზს ეჯიბი შეგზავნა**, მართ მისგან შენარონია“, და თავისი თხოვნა შეუთვალა (ს. კაკ. გამოც. 27128). აქაც ეჯიბს დარბაზში შესვლის განსაკუთრებული უფლება აქვს და მეფისადმი მთხოვნელთა სურვილის მომხსენებელია.

დასასრულ ყურადღების ღირსია, რომ **საქართველოში ეჯიბები** მარტო მეფეს-კი არა **ჰყოლია,** არამედ **დიდებულ ჴელისუფლებს და თვით დიდებულ მანდილოსნებსაც-კი**, დიოფალს. მაგ. ქართ, საისტორიო წყაროში მოხსენებულია ათაბაგის ეჯიბი: ყაანთან წასვლისას „თანა წარეყუანა **ათაბაგსა ავაგს** ივანე ახალციხელის ძე და **ეჯიბი ავაგისი**-“ო (ჟამთააღ. * 776, გვ. 608). ავაგის ასულს ხვაშაგსაც ჰყოლია ეჯიბი: სადუნ მანკაბერდელს დიდი სიბდივანის „ცოლის, ავაგის ასულის ხვაშაქის ეჯიბობა აქვნდა (ჟამთააღ, * 858, გვ. 698). ამ სადუნს თურმე თვით „**ხვაშაგმან ეჯიბობა მისცა**“ (იქვე * 869, გვ. 713 - 714).

როგორც აღვსების საკითხავის შესახებ ზემომოყვანილ ცნობითგანა სჩანს მანდატურთ-უხუცესისა და ამირეჯიბის ქვეშეთ მოჴელეებად „მესტუმრე“ და „მერიგე“ უნდა ყოფილიყენენ. თვით ამირეჯიბსაც დარბაზობის დროს მესტუმრის მსგავსი მოვალეობა ჰქონია: „ამირეჯიბს მართებსო ოთხთა მონაზონთა და სამთა ვაზიროა წვევა“-ო. დარბაზში (კ. გარიგება 13289-290): „**მესტუმრე**“ მოხსენებულია თამარ მეფის ისტორიკოსისა და ქართ. ჟამთააღაწერელის თხზულებებში (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 651, გვ. 437. ჟამთააღ. * 813 და 823 გვ. 657 და 669), მაგრამ ცხადია რომ ეს თანამდებობა საქართველოში ძველის-ძველი უნდა იყოს, რასაკვირველია „**მოციქულთა შემთხუევანი**“ და „**მეძლუნეთა ჯეროვანი მისაგებელნი**“ (ც˜ა მ˜სა დთ˜სი * 551, გვ. 319) მესტუმრეს ექმნებოდა მინდობილი. მოციქულების, სტურებისა და მეძლვნეთა დახვედრის და მიღების თადარიგი მას ებარებოდა. „რაზომიცა **ქვეითი მეძღვნე მოვა და მწიგნობარი. იგი აჭმევს**“-ო (კ. გარიგება 586). სიგელის წყალობა და მიცემაც ვისთვისმე უმისოდ ვერ მოხდებოდა და მასაც ეკუთვნოდა „ქრთამი სიგლისა“. თუმცა ამ ქრთამში ვაზირთა თანასწორი წილი არ ედვა, მაგრამ ისე იყო დაწესებული რომ „**ქრთამი სიგლოსა... მართებს მესტუმრეს უმცროსი და მერიგეს**“-ო (იქვე 590-92) თავისთავად ცხადია რომ „მესტუმრე“-ს დარბაზობაში მონაწილეობა უნდა მიეღო, ვაზირობას-კი იგი ვერ დაესწრებოდა: სავაზირო ოთახს მახლობლად იყო და თუ ვაზირები არ დაიბარებდენ, სავახიროში „შესვლის უფლება არა ჰქონდა (იქვე 19458-20459). „**მერიგე**“-ც ვაზირობას ვერ დაესწრებოდა და სავაზიროს კარებს წინ „მერიგე **შორსა** დგასა“-ო (იქვე 20464). მერიგეს სიგლის მიცემაშიც რაღა, მონაწილეობა უნდა ჰქონოდა მიკუთნებული. ეს იმითა მტკიცდება, რომ „ქრთამი სიგლისა“ მესტუმრესაით „უმცროსი“ მერიგესაც, „მართებს“-ო (კ. გარ. 592). მესტუმრეს გადაკვეთილი სარგო ჰქონია „რაზომიცა მრავალ დაიკლას, ერთი მჴარი, და თუ ერთი დაიკლას, ერთი მჴარი ზროხისა მესტუმრისა[ა] კჴრას დღესა და ერთი კაბიწი ფქვილი და ერთი საკლავი“-ო (იქვე 583-85).

როგორც «უკვე აღნიშნული იყო ამირეჯიბს გარდა მანდატურთუხუცესს ქვეშეთ მოჴელედ გამგეთ-უხუცესიც უნდა ჰყოლოდა. **გამგეთ-უხუცესი** ღირსებით ამირახორზეცა და ამირეჯიბზეც დაბლა მდგარა: მას მაგ. უფლება არა ჰქონდა ვაზირობას დასწრებოდა და მხოლოდ თუ მეფე და ვაზირები უხმობდენ, მაშინ შეეძლო სავაზიროს შესულიყო (კ. გარიგება 19458-20459). გამგეთ-უხუცესის ქვეშეთ მოხელეებად ყოფილან: **საგანგეოს უხუცესი, მეჯგამეთ-უხუცესი** და **სარემოს ნაცვალი** (კ. გარ. 348-49): მას ებარა ალბად განსაკუთრებული დაწესებულება, რომელსაც „**საგამგეო**“ ერქვა. ეს სიტყვა მოხსენებულია გიორგი II სიგელში, სადაც აღნიშნულია „**საგამგეოისა... მოურავნი**“ (შიომღ. ისტ. საბ. 14) და „კ. გარიგება“-შიც (348, 11254-12255, 15334-335). ამ დაწესებულებასაც თავისი მოხელეები ჰყავდა: „**საგამგეოს მუქაფი**“ (იქვე), „**საგამგეოს უხუცესი**“ (იქვე 348-49). რა დაწესებულება იყო „საგანმგეო“, ამაზე არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

„მეჯამეთ-უხუცესი“, რომელიც განმგეთ-უხუცესის ქვეშმეთი მოჴელე უნდა ყოფილიყო, თავის მხრივ რასაკვირველია „მეჯამეთა“ კრრილე იქმნებოდა, „**მეჯამენი**“ მოხსენებულნი არიან X ს. საბუთში (შიომღ. ისტ. საბ. 3). ხოლო „მეჯამეთ-უხუცესისა ჴელისა არის ნიგოზი, ზეთი, საწებელი, მუზაფარი, წველა, მეკირე, ჴმელი თევზი, ტყემალი, მუხუდო, ყოველი მეკამბეზე დიასახლისი, კარავი სამზარეულოსა და უვერცხლო ჭურჭელი სპილენძისა და შეშისა“-ო (კ. გარიგება 596-99). ამ ცნობითგანა სჩანს რომ **მეჯამეთ-უხუცესს ჰბარებია ყოველგვარი სანოვაგე და სამზარეულო მასალა, წველა და მწველელნი, სამზარეულოს ჭურჭელი და თვით „კარავი სამზარეულოსა**“. ქართ. წყაროებში ჯერ არავითარი ცნობები არ არის აღმოჩენილი იმის შესახებ, თუ რომელ მოჴელეს ექვემდებარებოდა მუდმივი „**სამზარეულო მეფისა**“ (ჟამთააღ. * 825, გვ. 670). უეჭველია მეჯამეთუხუცესს მეჯამეებსა და მეკამბეჩე დიასახლისებს გარდა ასეთი რთული საქმის გასაძღოლად სხვა თანამშრომელი და ქვეშეთი „ჴელოსნები“-ც ეყოლებოდა, მაგრამ ვინ იყვნენ სახელდობრ, ამის შესახებ ცნობები შენახული არ არის. რაკი „წველა“ მეჯამეთ-უხუცესის ჴელი იყო, ამიტომ შესაძლებელია რომ „**მეზროხენი**“-ც (გიორგი IL სიგ., შიომღ. ისტ. საბ. 14) მისი ჴელქვეითნი ყოფილიყვნენ. არც ის ვიცით ყველა „**მზარეული**“ (ლეონტი მროველი, ც˜ა მფ˜ თა * 162, გვ. 39) მას ექვემდებარებოდა, თუ ისინი „ჴელოსანთა რამდენსამე ცალკე ჯგუფს შეადგენდენ.

მეჭურჭლეთ-უხუცესი და მისი საქელო

თუმცა „**მეჭურჭლეთ უხუცესი**“ ქართულს საისტორიო მწერლობაში მე-XII-ე საუკუნეზე უწინარეს ჯერ აღმოჩენილი არ არის (ისტ˜რნი და აზ˜მნი * 622, 631–632, 648; გვ. 396, 410, 434), ხოლო მე-XII-ე და მე-XIII-ე საუკ. - ის წყაროებში ხშირად გვხდება და ჩვეულებრივია (ჟამთააღ. * 739, 769, 864 და 874, გვ. 560, 599, 708 და 718. სხვაგანაც), მაგრამ უეჭველია რომ ეს შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს და თვით მეჭურჭლეთ-უხუცესობა მეთორმეტე საუკუნეზე გაცილებით ადრე, მრავალი ხნის განმავლობაში არსებობდა. „კარის გარიგება“-შიც ნათქვამია, რომ „მეჭურჭლეთ-უხუცესი **ძველი ვაზირი** არის“-ო (19446)· მეჭურჭლეთ-უხუცესს ვითარცა ფინანსთა მინისტრს რასაკვირველია განსაკუთოებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. „კარის გარიგება“-ც ადასტურებს: „**დიდი** (ვაზირი) არის მეჭურჭლეთ-უხუცესი“-ო და „ათაბაგობის დაწყებამდი **მეოთხე ვაზირი**“ ყოფილა (იქვე 8167-168). ამასთანავე იგი „**საპატიო**“ ვაზირად ითვლებოდა (იქვე 19446). მართლაც „კარის გარიგება“-ში ნათქვამია: იგი „მსახურთ-უხუცესისა **სწორია** ვითა **ამირსპასალარისა და მანდატურთ-უხუცესისა**“-ცო (იქვე 9177-178). მაშასადამე ღირსებით **მეჭურჭლეთ-უხუცესი ვაზირთა უპირველესსა და მწიგნობართ-უხუცესს გარდა დანარჩენ ყველა ვაზირებს უდრიდა**. მაგრამ დარბაზობის დროს მაინც ყველა ვაზირებს ერთგვარი პატივისცემა არ ეკუთვნოდა. მეჭურჭლეთ-უხუცეხი „ვაზირთა ორთა“ ჯგუფში იყო, რომლისათვისაც დარბაზობის დროს „სამთა ვაზირთა" ჯგუფზე მცირეოდენად ნაკლები პატივისცემა ყოფილა დაწესებული (იქვე 14305-310).

როგორც თვით სახელწოდებითგანაცა სჩანს, მეჭურჭლეთ-უხუცესი „**მეჭურჭლეთა**“ უფროსი უნდა ყოფილიყო და „**საჭურჭლე**“-ს უზენაეს გამგედ იქმნებოდა.

თამარ მეფის ისტორიკოსს ამას გარდა მოხსენებული ჰყავს „**ნაცვალი მეჭურჭლეთ უხუცესისა**“ (ისტ˜რნი და აზ˜მნი * 648, გვ. 434). „**ნაცვალი**“ ძველს ქართულს მწერლობაში მოადგილესა და წარმომადგენელსა ჰნიშნავდა, მაგ. გრიგოლ ხანძთელის „ცხორება“-ში ნათქვამია: „თჳსისა მის მღდელობისა **ნაცვალად** უფალმან მოციქულნი დაადგინნა“-ო (გვ. დ˜). ამისდა გვარად „**ნაცვალობაჲ**“ მოადგილეობას, მაგიერობას ერქვა. იმავე თხხულებაში სწერია: მღვდლობა „ქრისტჱს ნაცვალობაჲ არს“-ო (იქვე, დ˜). მაშასადამე „ნაცვალი მეჭურჭლეთ-უხუცესისა“ ამ ვაზირის მოადგილე და წარმომადგენელი ჴელისუფალი უნდა ყოფილიყო.

გასაოცარია რომ „კარის გარიგება“-ში ამ სამოჴელეო სახელწოდების მაგიერ იხსენიებს მხოლოდ „**საჭურჭლის ნაცვალი**“ (8173 და 19458). მაგრამ უეჭველია რომ, თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობა სწორეა იმიტომ, რომ თავდაპირველად რასაკვირველია უნდა ყოფილიყო „**ნაცვალი** მეჭურპლეთა-უხუცესისა“ და არა საჭურჭლისა. უკანასკნელი სახელწოდება შმეიძლებოდა მხოლოდ მაშინ გაჩენილიყო, როდესაც სიტყვას „ნაცვალი“ თავდაპირველი მნიშვნელობა დაეკარგა. „**საჭურჭლის ნაცვალი**“ ამასთანავე არც ისეთ დიდ მოჴელედა სჩანს როგორიც უნდა ყოფილიყო მეჭურჭლეთ-უხუცესის ნაცვალი. საჭურქლის ნაცვალს მაგ. უფლება არა ჰქონდა რომ ვაზირობას დასწრობოდა: იგი სავაზირო დარბაზს გარეთ იდგა და თუ ვაზირები რაიმე საქმისათვის დაიბარებდენ, მხოლოდ მაშინ შეეძლოთ რომ იგი სავაზიროში „შეეყვანათ (კარის გარიგება 19458 და 20459). ამიტომ საფიქრებელია რომ თამარ მეფის შემდგომ ამ მხრივ რაიმე ცვლილება მომხდარიყოს და მეჭქურჭლეთ-უხუცესის ნაცვალი ჩამოქვეითებულიყო და საჭურჭლის ნაცვლად გაეხადათ.

„**ნაცვალნი**“ უკვე მე-XI-ე საუკ. საბუთებში 1078 წ. გელათის სიგელში და თამარ მეფის 1189 წ. სიგელშიც არის მოხსენებული (ქკ˜ბი II, 50, 73-74), მაგრამ რაკი შეიძლებოდა ყოველს უხუცესს ჴელისუფალს ნაცვალი ჰყოლოდა და ვგონებ ჰყავდა კიდეც, ამიტომ ძნელი სათქმელია, იმ ორ საბუთში ყველა ნა,ვვლებია ნაგულისხმევი, თუ ზოგი მათგანი და სახელდობრ რომელი?

როგორც უკვე აღნიშნული იყო მეჭურჭლეთ-უხუცესი საჭურლის მთავარი გამგე უნდა ყოფილიყო. „**საჭურჭლე**“ და „**საჭურჭლენი**“ (მტ˜ნე ქ˜ჲ * 509, გვ. 278; ც˜ა მფ˜სა დთ˜სი * 513, 541, 545 და 554, გვ. 282, 308, 312 და 322; ის˜ტრნი და აზ˜მნი * 613, გვ. 385 და ჟამთააღ. * 831, 832, 898-899 და 913, გვ, 676, 677, 739 და 755 და სხვაგან) სხვადასხვა მნიშვნელობით

იხმარებოდა. თავდაპირველად **„საჭურჭლენი“ „ჭურჭლის“ საწყობსა ჰნიშნავდა. შემდგ მას განძისა და სიმდიდრის** საზოგადო **მნიშვნელობა მიეცა**. ამგვარი აზრი აქვს ამ სიტყვას დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის შემდეგს წინადადებაში: როდესაც თურქებმა გიორგი II აროტეს, „**საჭურჭლენი დიდნი** და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი... აიხუნეს იავარად“-ო (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 518, გვ. 282). სულტანი მეფე დავით აღმაშენებელის შიშით „ზედაჲს ზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძღუენითა მომშუიდებად პირსა მისსა და წარმოსცნის **საჭურჭლენი მძიმენი**, ტურფანი მრავალფერნი“-ო (იქვე * 545, გვ. 312). განძეულობის მნიშვნელობა აქვს სიტყვას „საჭურჭლენი“ თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში, როდესაც მას ნათქვამი აქვს, რომ გიორგი III „ესე ვითარსა მარჯუებასა [და] ზეობასა **განამრავლნა საჭურჭლენიცა** და დადვა თჳთ მისით მონაგები და **მისთა [ნა]ტყუე[ნავ]|თაგან მონაგები** ციხესა შინა უჯარმისასა“-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 613, გვ. 385).

საყურადღებოა რომ ყველა ზემომოყვანილ მაგალითებში ეს სიტყვა მრავლობითად არის მოხსენებული და როგორც ეტყობა სწორედ ამ სახით („საჭურჭლენი“) ეს სიტყვა განძეულობასა ჰნიშნავდა. ამ საზოგადო. დაკვირვებას ეწინაღმდეგება რამდენიმე მაგალითი, რომელიც ქარ. ჟამთააღმწერელის თხზულებაში გვხდება. იქ სახელდობრ სწერია: სარ, ჯაყელი გამდგარსა და სამცხეში შეხიზნულს მეფეს დავით ლაშას ძეს ეუბნებოდა, გადაბძანდი დასავლეთ საქართველოში დავით რუსუდანის ძესთან და „აჰა **სიმდიდრე** ჩემი მზა არის თქვენთჳს, ნუცა შენ სწყალობ **საჭურჭლესა შენსა** და ვეზრახნეთ თავადთა იმერთა და **განვსცეთ საჭურჭლე** და ჩვენ კერძო დავიყენოთ“-ო (ჟამთააღ. * 831, გვ. 676). ცხადია აქ იმერთა მეთაურთა მოსყიდვაზეა ლაპარაკი და ამ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მრავლობითი რიცხვი, „საჭურჭლენი“ და არა „საჭურვლე“. ერთგან კიდევ ნათქვამია: ბათო ყაანის შვილისშვილი მეფე დავითს დიმიტრი თავდადებულის ძეს „უქადა ქუეყანა და „**საჭურჭლე მრავალი**“, თუ ყაზან ყაანის სამფლობელოში „შესევას მიშევლიო (იქვე * 913, გვ. 755). აქაც მრავლობითი რიცხვი იყო მოსალოდნელი და არა მხოლოობითი. შესაძლებელია ეს და ორიოდე ამგვარივე ადგილი მერმინდელ გადამწერისაგან იყოს დამახინჯებული და თავდაპირველად თვით ისტორიკოსს ამ შემთხვევებში „საჭურჭლენი“ ეწერა და არა „საჭურჭლე“. თუ არა და უნდა ვიფიქროთ, რომ მე-XIV-ე საუკუნეში ამ სიტყვის ხმარების პირვანდელი წესი უკვე შეცვლილი იყოს.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ **„საჭურჭლე“ სახელმწიფო ხაზინას ერქვა.** ისტორიკოსი ამბობს, რომ როდესაც დავით აღმაშენებელმა 1122 წ, ტფილისი ამირას წაართვა და დაიპყრა, მან „ქალაქი ტფილისი... **დაუმკჳდრა** შმვილთა თჳსთა **საჭურჭლედ** და სახლად საუკუნოდ“-ო (ც˜ა დთ˜სი * 541, გვ, 308). ქართველს ჟამთააღმწერელსაც აღნიშნული აქვს: რუსუდანის ძის დავითისა და ლაშას ძის დავითის და მათ მომხრეთა "შეუთანხმებლობისა და აშლილობის გამო რომ შუღლი მოესპოთ, იმაზე უკეთესი ვერა მოიგონეს რა, რომ „დაამტკიცეს რათა **განყონ** სამეფო და **საჭურჭლე ორად** და განყვეს სამეფო [და] **საჭურჭლენი**“ (* 832, გვ. 677). ორთავ ზემომოყვანილს წინადადებაში საჭურჭლე საჴელმწიფო ხაზინას ჰნიშნავს. თუ უკანასკნელს წინადადებაში მეორე შემთხვევაში გადამწერისაგან არ არის დედანი დამახინჯებული, მაშინ აქ, ამ წინადადებაში ამ სიტყვის ორგვარი მნიშვნელობა ერთად არის თავმოყრილი და პირველ შემთხვევაბი საჴელიწიფო ხაზინაზეა ლაპარაკი, ხოლო მეორე შემთხვევაში ამ ხაზინის შინაარსზე, განძეულობასა და სიმდიდრეზე.

მე-XIII-ე საუკ. ქართ. საეკლესიო კრების ძეგლისწერის ნაწყვეტშიაც საჴელმწიფო ხაზინა „საჭურჭლე“-დ იწოდება, მხოლოობითად არის ნახმარი და არა მრავლობითად. იქ სამღვდელოება და საეკ. კრების მონაწილენი მეფეს ეუბნებიან: „თუ ერთხელ **საჭურჭლესა** თქუენსა შემოღებული... **საჭურჭლესა** თქუენსა მდებარე“ ვინმემ მოიტაცოს, ან დახარჯოს, თქვენ ხომ არ დაუმადლებდითო? (ქკ˜ბი II, 164$_{17}$ და $_{20}$). ყურადღების ღირსია რომ „კარის გარიგ.“-შიც „საჭურჭლე“ მხოლოობითად არის ნახმარი და იქ ნათქვამია: მწიგნობართ-უხუცესი ჰყონდიდელი „**საჭურჭლესაც** შევა“-ო (4$_{61}$). ან კიდევ „სადა გინდ იყოს მეფე, - სალაროს, საწოლს და **საჭურჭლეს**“, - ამირეჯიბს უფლება აქვს მეფეს წარუდგესო (5$_{78}$). ერთი

სიტყვით, როდესაც დაწესებულებაზე, საჴელმწიფო ხაზინაზეა ლაპარაკი „საჭურქლე”-ა ნახმარი.[1]

ქვემოთ გამორკვეული იქმნება, რომ ხაზინის განყოფილებანი, რომელშიაც სახელმწიფო ქონება ინახებოდა, საგანძურებად იწოდებოდენ. დავით აღმაშენებელის ანდერძი ამტკიცებს, რომ როდესაც საგანძურების მრავლობითად აღნიშვნა ჴსურდათ, მაშინაც „საგანძურნი-“ს მაგიერ შეიძლებოდა ეთქვათ „საჭურჭლენი“-ო. მაგ. დავით აღმაშენებელი თავის ანდერძში თავის მლოცველ ბერის პირით ამბობს: როდესაც ძე ჩემი დიმიტრი სამეფო ტახტზე ავიყვანე, „მივეც დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და **საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქუემონი“-ი** (ქკ˜ბი II. 51), ესე იგი საქართველოს სხვადასხვა ადგილას, ზემო. და ქვემო საქართველოს საჴელმწიფო საგანძურნიც მას გადავეციო.

საგულისხმიეროა, რომ „კ. გარ.“-ში „**სახლის საჭურჭლე**“-ც არის მოხსენებული (8168), რაც ალბად სამეფო სახლის საჭურჭლეს უნდა ნიშნავდეს.

სანამ ტფილისს ისევ საქართველოს შემოუერთებდენ საჴელმწიფო მთავარი საჭურჭლე ქუთაისში იყო დაბინავებული. ქართველი ისტორიკოსი ამბობს, რომ როდესაც გიორგი II-ეს ნიანია ქუაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი აუჯანყდენ, ნიანიამ „წარიღო **ქუთაისისა საჭურჭლე**“ (მტ˜ნე ქ˜ჲ * 509, გვ. 278).

ჩვენ უკვე ვიცით, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოს მთავარი საჭურჭლე ქუთაისითგან ტფილისს გადმოიტანა. დასტოვა ადგილობრივ ამ საჭურჭლითგან რაიმე და საჭურჭლის განყოფილებასავით თუ არა, ცნობები არ მოიპოვება.

აღმოსავლეთს საქართველოში ტფილისს „გარდა სხვაგანაც ყოფილა საჴელმწიფო საგანძურები. დავით აღმაშენებელის ანდერძში მაგ. დასახელებულია „**ატენისა საჭურჭლე**“ (ქკ˜ბი II, 52), ანუ საგანძური. დიდებული მეფის მლოცველი ბერის სიტყვებითგან არა სჩანს ვისი აგებული იყო ან დაარსებული ეს „ატენის საჭურჭლე“. მაგრამ ეს-კი ცხადია და ამას თვით მეფეც ამბობს, რომ ამ საგანძურში თვით „ჩემითა (ე.ი. დავით აღმაშენებელის) სისხლითა მოგებული“, ომებით შეძენილი ფულიც ინახებოდა (ქკ˜ბი II, 5134-521), საქართველოს საჴელმწიფო საჭურჭლე გაუმდიდრებია. სამაგიეროდ თამარ მეფის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ გიორგი III ხშირ და ძლევამოსილ ომებით იმოდენა სიმდიდრე შეიძინა, რომ ტფილისის მთავარ საჭურჭლეში აღარ ეტეოდა დღა მის გამო „**დადვა**... მისთა [ნა]ტყუე[ნავ]თაგან მონაგები **ციხესა მინა უჯარმისასა**“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 613, გვ. 385).

შესაძლებელია თამარ მეფის დროსაც, როდესაც საქართველოს სამეფოში წინანდელზე უფრო მეტი სიმდიდრე დატრიალდა, კიდევ სადმე სხვაგანაც მოენახათ საჭურჭლისათვის ბინა. იმ **შენობას სადაც სამეფო საჭურჭლე, ხაზინა იყო მოთავსებული, „საგანძური“, „საგანძურნი სამეფონი“** (ჟამთააღ. * 898-899, გვ. 739 და შევსებ. ქ˜ცში, რუქნადდინთან ომის აღწერილობაში, მ˜მ დფ˜სი ქ˜ცა 507, შენ.) **ეწოდებოდა**. ეს ქართ. ჟამთააღმწერელის შემდეგ

---

[1] საგულისხმიეროა, რომ შოთას „ვეფხის-ტყაოსან“-შიც ხაზინ როგორც დაწესებულება „საჭურჭლე“-დ იწოდება, იქ მაგ. ტახტზე ახლად აყვანილ თინათინის შესახებ სწერია:

„მერმე ბრძანა: „ვიქ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა
და ჩემსა ნუ ვინ ნუ დამალავთ **საჭურჭლესა** დადებულსა“.
მოიჴმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი,
უბრძანა: «ჩემი **საჭურჭლე შენგან დანაბეჭდულევი**
მომართვით ჩემი ყუელაი, ჩემი ნაუფლისწულევი“.

და მოართვეს. გასცა ურიცხვი, უანგარიშო, ულევი.“ (ს. კაკ. 1246 და 47).

თუმცა ჩვეულებრივ 47 ტაეპი 46 მისდევს, მაგრამ ცხადია აქ დედანში სწორედ ჯერ 47, ხოლო შემდეგ 46 ტაეპი უნდა ყოფილიყო. აზრის ლოღიკური მიმდინარეობა სხვაფრივ შეუძლებელია. ამას გარდა ტაეპი 48 და 49, როგორც იმავე ზემომოყვანილს ტაეპებში გამოთქმული აზრების წინაუკმო და აღრეული გამეორება, უეჭველია, ყალბი უნდა იყოს, განსაკუთრებით სიყალბე 48-ე ტაეპს ეტყობა, რომელშიაც მოიპოვება „**სიჭურჭლენია**“.

სიტყვებით მტიცდება: როდესაც არღუნ ყაანმა ბრძანა მეფე დიმიტრი II-ისათვის ყველაფერი ჩამოერთმიათ, საამისოდ მოსულ მონღოლებმაო, „წარიღეს ყოველი, არა რა დაშთა, რამეთუ მოქალაქეთაცა უწყოდეს **საგანძურნი მეფისანი** და შინაგამცემელ იქმნეს“ და ამის წყალობით „მივიდა ყაანს წინაშე **საჭურჭლე მეფისა**“-ო (ჟამთააღ. * 898- 899, გვ. 739).

მაგრამ იმისდა მიუხედავად, რომ საქელმწიფო. ხაზინა და საგანძურნი ტფილისს გარდა სხვა ადგილებშიაც იყო მოთავსებული, თვით „საჭურჭლე“ როგორც საქელმწიფო დაწესებულება ერთი იყო და განუყოფელი. ამ აზრს ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ როდესაც მეფეებმა დავით ლაშას ძემ და დავით რუსუდანის ძემ უთანხმოების და აშლილობის მოსასპობად გადასწყვიტეს, რომ შუღლს ისევ საქართველოს გაყოფა სჯობია, „დაამტკიცეს რათა **განყონ** სამეფო და **საჭურჭლე ორად**“ (ჟამთააღ. * 832, გვ. 677). მაშასადამე **როგორც სამეფო ერთი იყო, ისევე „საჭურჭლე“-ც საქართველოში, ვითარცა საქელმწიფო დაწესებულება, ერთი და განუყოფელი ყოფილა, თუმცა მისი შინაარსი სხვადასხვა ადგილას ინახებოდა.**

გიორგი II-ის დროს თურმე ყოფილა „**ქუთაისსა საჭურჭლე**“ (მტ˜ნე ქ˜ჲ * 509, გვ. 278). შემდეგ-კი, როდესაც ტფილისი დავით აღმაშენებელმა აიღო და კვლავ საქართველოს სატახტო ქალაქად და მეფეთა საჯდომად აქცია, საქელმწიფო ხაზინაც ქუთაისითგან ტფილისში გადმოიტანეს.

რას ინახავდენ საქელმწიფო. საჭურულეში? დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს ერთგან ნათქვამი აქვს, რომ დიდებული მეფე ყოველ დღე თავის ქისას „აღავსებდა **დრაჰკნითა**“, ფულითა, წავიდოდა, მოივლიდა ქალაქს და ღარიბ-უძლურს დაურიგებდაო და „**ამას იქმოდის არათუ** ჴელოსანთაგა მორთმეულისაგან ანუ **საჭურჭლით**, არამედ ჴელითა თჳსითა ნადირებულითა[გან] “-ო (ც˜ა მფ˜სა დ˜თსი * 554, გე. 322). ქართველი ისტორიკოსის ამ სიტყვებითგან ცხადადა სჩანს რომ **საჭურჭლეში ფული ყოფილა შენახული**. ამის დამამტკიცებელი პირდაპირი ცნობაც მოიპოვება. დავით აღმაშენებელი თავისი მლოცველი ბერის პირით თავის ანდერძში ამბობს: **დუკატი და ბოტინატი ატენისა საჭურჭლესა...** ჩემითა სისხლითა მოგებული“ ნახევარი მაინც ჩემმა შვილმა დიმიტრიმ ჩემს მოძღვარს გადასცეს მონასტერთათვის გადასაცემადო (ქკ˜ბი II, 51_{34}-52_{4}). დუკატი და ბოტინატი ბიზანტიური ფული იყო და სწორედ ამ დროს საქართველოშიც ტრიალებდა (იხ. ს˜ქს ეკონონომიური ისტორია I, 91-92). მაშასადამე აქ ნათლად არის ნათქვამი, რომ **ფული საქართველოში საქელმწიფო საჭურჭლეში ინახებოდა.**

დავით აღმაშენებელის ისტორიკოსისაგან ვიცით, რომ „**საჭურჭლეთა შემოსავალნი**“ (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი * 551, გვ 319) არსებობდა, ეს იყო ალბად საქელმწიფო საჭურჭლის უმთავრესი წყარო.

ფულს გარდა საჭურჭლეში, როგორც თვით სახელითგანაც საფიქრებელია, უეჭველია, სხვადასხვა ძვირფასი ჭურჭგელიც უნდა ყოფილიყო შენახული. მართლაც მე-XIII-ე საუკ. ქართ. საეკლესიო კრების ძეგლის წერაში საეკლესიო კრების წევრნი მეფეს ეუბნებიან: „თუ ერთხელ საჭურჭლესა თქუენსა შემოღებული და ერთგზის თქუენთჳს შემოძღუანებული თუალთა და მარგალიტთა და ჭურჭელთა ოქროსა და ვერცხლისათა თანა რამე მცირე გინა დიდი საჭურჭლესა შინა თქუენსა მდებარე“ ვინმემ გამოიტანოს და მიითვისოს, ან გაფლანგოს, ხომ ხეირს არ დააყრით, საეკლესიო მამულების მითვისებას-ღა რად უწყობთ ხელსაო? (ქკ˜ბი II, 164_{17-20}). მაშასადამე **სამეფო საჭურჭლეში** სხვათაშორის ინახებოდა, „**საჭურჭლესა შინა მდებარე**“ იყო „შემოღებული“ და მეფისათვის „შემოძღუანებული“ ძვირფასი განძეულობა, **თვალ-მარგალიტი და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი**.

„კარის გარიგება“ ადასტურებს საისტორიო და იურიდიულ წყაროებისდა მიხედვით აღდგენილს სურათს და ზოგიერთში ავსებს კიდეც. მაგრამ იქ არ არის მთლიანი სურათი წარმოდგენილი. სრული სურათის აღდგენა მხოლოდ ყველა წყაროების საშუალებით შეიძლება.

იქ სახელდობრ აღნიშნულია, რომ **„ლარი და ჭურჭელი ოქროსი და ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური უსაღვინო“, რომელიც-კი „საკმარებლად სანიადაგოდ“ განკუთვნილი იყო, „ყოველი საჭურჭლესა ძეს და დგას**“-ო ($8_{170-173}$). საჭურჭლის არსებითი და დამახასიათებელი თვისება რომ ჩვენთვის უფრო ცხადი იყოს, ამისათვის უნდა ისიც ვიცოდეთ თუ რა ინახებოდა

სალაროში. **„ოქროს ჭურჭელი ანუ ვერცხლისა“,** რომელიც „**საჴმარებლად სანიადაგოდ არ უნდა[თ]**“, ის „**შეკრული სალაროსა მე[ვ]ს**«-ო (კ. გარიგება).

მაშასადამე არსებითად საჭურჭლე და სალარო იმით განსხვავდებოდნენ ერთი-ერთმანეთისაგან, რომ საჭურულეში მხოლოდ **„საჴმარებლად სანიადაგოდ“ საჭირო და განკუთვნილი განძეულობა იყო შენახული, სალაროში კი პირიქით ისეთი განძეულობა იდვა რაც სწორედ „საჴმარებლად სანიადაგოდ არ“ იყო განკუთვნილი და უხმარებელი „შეკრული“ იდვა**. თუ გავიხსენებთ ამასთანავე, რომ სანიადაგო, ყოველ დღიურ სახარჯავ ფულსაც მეფე როგორც ვიცით (იხ. ზემოთ) თურმე საჭურჭლითგან იღებდა ხოლმე და „**სავაჭრო რაც მეფისა[ა], სადაც წავა ანუ მოვა“ ყველა მეჭურჭლეთ-უხუცესის საზრუნავ და საურავ საქმედ იყო** (კ. გარიგება 8[169-170]), მაშინ ჩვენთვის ცხადი იქმნება რომ **საჭურჭლე სანიადაგოდ საჴმარებელი და სახარჯავი ბაზინა ყოფილა**, სალარო-კი ერთგვარი ხელუბლებელი, „შეკრული“, სათავნოს მსგავსად განკუთვნილი ხაზინა არის. რომ სალაროს შესახებაც ეს აზრი სრულ ჭეშმარიტებად ვიცნათ, ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ ინახებოდა თუ არა იქაც განძეულობა ფულად, რომელიც ჩვეულებრივ ხელუხლებელ ძირითად სათავნოდ იდვა? ამის შესახებ სამწუხაროდ ჯერ ცნობები არ მოგვეპოვება.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ სალარო მეჭურჭლეთ-უხუცესს არ ექვემდებარებოდა, არამედ მარტო საჭურჭლე. საგულისხმიეროა აგრედვე რომ საქართველოს საჴელმწიფო საჭურჭლეში როგორც სხვა ქვეყნებშიაც საშუალო. საუკუნოებში ფულთან ერთად ძვირფასი განძეულობა, ოქრო-ვერცხლის პურჭელიც ინახებოდა. ხოლო რაკი „კარის გარიგება“-ში სწერია, რომ სამაშხალე ალყის გასაკეთებლად „მეჭურჭლენი მიიღებენ ქონსა“ და ფარეშთ-უხუცესს „სასაპოვნედცა იგინი მისცემენ (ქონს ან ზეთსა) სამაშხალედაცა“-ო (8[150-152]). ამიტომ იქნებ ფულსა და სხვაგვარ განძეულობასა და ძვირფას ჭურჭელს გარდა საჭურჭლეში სხვადასხვა სახმარებელი მასალაც ინახებოდა, რაც-კაი საჴელმწიფო გადასახადების სახით შემოდიოდა?

სელჩუკიანთა სამეფოში სპარსეთში ორი ხაზინა არსებობდა: ერთი სათავნო ხაზინა იყო, მეორე სახარჯავი. ნიზამულ-მულკი ამტკიცებს კიდეც, რომ მეფეებს ყოველთვის ასე ჰქონდათო და სახელმწიფო შემოსავლის უმეტესი ნაწილი სათავნო ხაზინაში შეჰქონდათ, უმცირესი-კი სახარჯავშიო. სათავნო ხაზინა ჩვეულებრივ ხელუხლებელი იყო და თუ განსაკუთრებულ შემთხვევაში იქითგან ფულს აიღებდენ, შემდეგმი უეჭველად უნდა შეევსოთო (Siasset Namèh, texte person, ed. par ch. Schefer, გვ. 205-206; ვ. ბარტჰოლდი Туркестанъ II, 999).

ბიზანტიაში ქართველს მეჭურჭლეთ-უხუცესს „დიდი საჴელლარი“, ანუ „საჴელლარი“ უდრიდა, რომელიც ყველა საჭურჭლეების ანუ ხაზინების ზედამხედველი იყო. ერთ ამ ხაზინათაგანს ერქვა „საურთო საქმეთა სეკრეტონი“ (???????), მეორეს, - მეფის ხაზინის სეკრეტონი“. ამ ხაზინაში ფულსაც ინახავდენ და სხვადასხვა გვარ განძეულობასაც. მესამეს „სამჴედრო ლოგოთეტის სეკრეტონ“-ს ეძახდნენ, ეს დაწესებულება ლაშქრისა და სამჴედრო ხომალდების შესანახავად საჭირო ფულს ინახავდა და ხარჯს ეწეოდა. სხვა ხაზინებიც იყო (Н. Скабалановичъ. Византійское государсвто, გვ. 176-177).

მაშასადამე საჴელმწიფო ხაზინის მოწყობილობა საქართველოში სპარსეთისას უფრო მიაგავს ვიდრე ბიზანტისას, მაგრამ სრული მსგავსება, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით (იხ. „საღვინე“), ქართულ საფინანსო დაწესებულებებს არც სპარსეთისასთან ჰქონია. საქართველოს საჴელმწიფო საჭურჭლეში შემდეგი მოჴელეები მსახურბდნენ: 1) „საჭურჭლის ნაცვალი“ (კ. გარიგება 344, 8[173], 14[305] და 16[369]), რომელსაც თამარ მეფის დროს უძახდენ „ნაცვალს მეჭურჭლეთ-უხუცესისას“. 2) „**მუშრიბი**“ (იქვე 8[174] და 9[178, 180]) 3) „საჭურჭლის **მუქაფი**“ (იქვე 3[45], 8[173]) და 4) „**მეჭურჭლენი**“ (იქვე 4[66], 8[150], 9[175-176]). სხვა-და-სხვა გვარი მეჭურჭლენი იყენენ: ერთს ჯგუფს შეადგენდენ დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი“ (იქვე 8[174]-9[175]), მეორეს - „**მეჭურჭლენი ქალაქისანი**“+ (იქვე 8[174]). ერთი მეჭურჭლეთაგანი მწიგნობართ-უხუცესისა და ვაზირთა უპირველესის „**ჭყონდიდლისა ზედამდგომელი**“ იყო ხოლმე (იქვე 4[60]). თუმცა „კარის გარიგება“-ში დასახელებული არ არის, მაგრამ საქართველოს სხვა დაწესებულებათა წყობილებისდა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ **„საჭურჭლის უხუცესი“-ც** უნდა

ყოფილიყო. იქნებ იქ, სადაც ნათქვამია რომ მუშრიბი ქალაქის შემოსავალს „**უხუცესთა** მიათვლის“-ს (კ. გარიგება 9180), სწორედ სასაჭურჭლის უხუცესი არის ნაგულისხმევი? ამას გარდა თუმცა შენახულს „კ. გარიგება“-ში ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება იმიტომ, რომ ეს ძეგლი ძალზე დაზიანებულია და ბევრიც აკლია, მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ **„საჭურჭლის მწიგნობარი“-ც** არსებობდა. იგი მოხსენებულია თამარ მეფის 1189 წლის სიგელში (ქკ˜ბი II. 74). მაგრამ თუნდაც რომ ეს საბუთი შემთხვევით შენახული არა ყოფილიყო, ისედაც შეგვეძლო დაგვესკვნა, რომ საჭურჭლის მწიგნობარი უნდა ყოფილიყო. თუ რომ ზარდახნის და ძაღლების აღწერისათვისაც-კი მწიგნობრები იყვნენ მიჩენილნი (იხ. ქვემოთ, მონადირეთ უხუცესი), განა დასაჯერებელია რომ ისეთს დიდმნიშვნელოვან დაწესებულებას როგორიც იყო საქურჭლე, მწიგნობარნი არა ჰყოლოდა? საჭურჭლის მწიგნობარი იმ 24 მწიგნობართა შორის ირიცხებოდა, რომელნიც მწიგნობართ-უხუცესის ჴელქვეით იყვნენ, თუ ცალკე იყო იგი, ჯერ ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ იმის გარდაც უეჭველია საჭურჭლის ყოველდღიური ანგარიშების შემდგენელნი საგანგებო. „ჴელოსანნი“-ც იქმნებოდენ. |

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია „**მუშრიბი**“. ეს სიტყვა არაბულია (მუშრიᲥ) და ჰნიშნავს ზედამხედველს, მეთვალყურეს. ნიზამ-ულ-მულკის სიტყვით, სპარსეთში მას ყველაფერი უნდა სცოდნოდა, რაც-კი სასახლემი თუ გარეთ ხდებოდა და, როდესაც საჭირო იყო, მთავრობისთვის უნდა ეცნობებინა. **სპარსელ ისტორიკოსს** ბეიხაკის **მუშრებები და ხაზინადრები ერთად ჰყავს მოხსენებულნი და მუშრიბები მისის სიტყვით სასახლის ქონების ნუსხებს ადგენდენ**. ამის გამო. ვ. ბარტჰოლდი ფიქრობს, რომ მუშრიბები მხოლოდ იმ ქონებასა და ფულს ადევნებდენ თვალყურს, რომელიც სასახლეში იყო და სასახლის სახარჯოდ და შესანახავად იყო განკუთვნილი (Туркестанъ II, 240) „კარის გარიგებით“-განა სჩანს რომ **საქართველოშიც მუშრიბი საფინანსო სამინისტროს, მეჭურჭლეთ-უხუცესის ქვეშეთი** მოჴელეს **მოჴელე ყოფილა** (8174) და შემოსავლის განსაკუთრებული დარგი, **ბაჟი და სავაჭრო გადასახადი ჰბარებია**, „კარის გარიგება“-ში მაგ. ნათქვამია: „მუშმრიბი **რაც ქალაქთა საჭურჭლე[ნი] შევა და ნავაჭრი რაც შევა**, და სანელებელი, მასტიკი და სამარხო წამალი, საჴმარი თუთუბო, ესეც **მუშრიბმან იცის“-ო** (9178-180). ამ წინადადებითგანა სჩანს, რომ მუშრიბს ჰბარებია ის, რაც „**ქალაქთა შევა**“: საჭურჭლე იყო თუ ნავაჭრი ან სხვა რამე სამზარეულო მასალა (სანელებელი, მასტიკი, სამარხო, თუთუბო, და სხვა). სხვა იმ დროინდელ ქვეყნებსავით საქართველოშიაც განსაზღვრულ საქონელსა და საგნებზე, რაც-კი ქალაქებში გასაყიდავად და საჴმარი შეჰქონდათ, განსაკუთრებული გადასახადი, ბაჟი და სავაჭრო გადასახადი იყო დაწესებული. ზოგი მათგანი ფულად იყო გადაკვეთილი, ზოგს საქონელზე სულადად იღებდენ ხოლმე. როგორც ზემომოყვანილ ცნობითგანა სჩანს მაშინ საქართველოში სანელებელზე და სხვა სამხარეულო მასალაზე (მასტიკი, სამარხო, წამალი, თუუბო და სხვა) სწორედ სულადად ყოფილა ბაჟი დაწესებული. აი ეს ქალაქთა ბაჟი და სავაჭრო გადასახადი ჰბარებია ქართველ მუშრიბს. მაგრამ იგი ამ შემოსავალს თითონ-კი არ ინახავდა თურმე, არამედ „**უხუცესთა მიათვლის“-ო** (კ. გარიგება, 9180), ესე იგი საჭურჭლის უხუცესთ ანგარიშითურთ ჩააბარებდა. ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ საქართველოში არსებობდენ „მეჭურჯლენი ქალაქისანი“, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქნებ არსებობდა აგრეთვე „საჭურჭლე ქალაქისა”-ც და ეგების ჯერ იქ იკრიბებოდა ხოლმე ქალაქთაგან შემოსული ბაჟი და სავაჭრო გადასახადი, მუშრიბი საჭურჯლის უხუცესთა „მიათვლიდა, ჩააბარებდა ამ დარგის შემოსავალს, ხოლო შემდეგ რაც საჭირო იყო, იქითგან საჴელმწიფოს მთავარ საჭურჭლეში იგზავნებოდა.

რაკი ბაჟი და სავაჭრო გადასახადი ქალაქებში მუშრიბს ეკითხებოდა, ამიტომ საფიქრებელია რომ „**საკოშრე**“ (1058 წ. სიგ. შიომღ. ისტ. საბ, 42) ანუ სასასწორო. გადასახადიც მის ზედამხედველობას ექვემდებარებოდა.

საჭურჭლის ყოველწლიური ანგარიშები და მათი შემოწმება ალბად იმავე დროს, წლის თავს, და იმავე წესით ხდებოდა როგორც საქართველოს სხვა ამგვარსავე დაწესებულებებში, მაგ. ზარდხანში.

საჴელმწიფო. საჭურჭლის მთავარი გამგე და ზედამხედველი რასაკვირველია მეჭურჭლეთ-უხუცესი იყო, მაგრამ მისი უზენაესი ზედამხედველობა მწიგნობართ-უხუცესსაც ეკუთვნოდა და როდესაც საჭიროდ მიიჩნევს იგი **„საჭურჭლესაც „შევა“-ო** (კ. გარიგება 461).

„**ბეჭედი მეჭურჭლეთ-უხუცესის**“ (კ. გარიგება 11229-230) კუთვნილებაც ყოფილა. არა სჩანს მხოლოდ, რა ნაირი ბეჭედი იყო და როდის და როგორ ეძლეოდა მას ეს ბეჭედი.

მეჭურჭლეთ-უხუცესს ვითარცა საქართველოს ფინანსთა მინისტრს **შემდეგი დაწესებულებანი და მისქვეშეთი მოჯელენი ექვემდებარებოდენ** და შემდეგი საქმეები ეკითხებოდა: „ძველნი ქალაქნი, ვაჭარნი, სავაჭრო რაც მეფისა[ა] სადაც წავა ანუ მოვა, და რაც... საჭურჭლესა ძეს და დგას, საჭურჭლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრიბი, ქალაქის ამირანი, მეჭურქლენი ქალაქისანი და თჳთ დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი მისისა ჴელისანი არიან“-ო, ნათქვამია „კარის გარიგებაში (8169-9175).

მაშასადამე **საჭურჭლეს მოჯელეებს გარდა**, რომლებზედაც უკვე იყო ზემოთ საუბარი, **მეჭურჭლეთ-უხუცესის ჴელქვეით ყოფილა: 1) ძველი ქალაქები, 2) საზოგადოდ ყველა „ქალაქის ამირანი“ და „მეჭურჭლენი ქალაქისანი“, 3) ვაჭარნი და აღებ-მიცემობა 4) სავაჭრო გადასახადები და ბაჟი და 5) მეფის ყოველგვარი „სავაჭრო“ და საჭურჭლის შემოსავალ-გასავალი.**

რაკი „კ. გარიგ.“-ში ნათქვამია, რომ ვაჭარნი „მეჭურჭქლეთ-უხუცესის ჴელისანი არიან“-ო, ამიტომ საფიქრებელია, რომ **„ვაჭართა-უხუცესი“-ც** (ვეფხის ტყაოსანი. კაკ. 1431022, კარიჭ. 1741046) მისი ხელქვეითი იქნებოდა. თუ რომ საჴელმწიფო. გადასახადი „ხარაჯა“ პირდაპირ საჭურჭლეში შემოდიოდა, მოშინ „მოხარაჯენი“-ც, რომელნიც თამარ მეფის 1202 წ. სიგელში არიან დასახელებულნი (შიომღ. ისტ. საბ. 26 და ს. კაკ. შიომღ. სამი სიგ. 82-3), მეჭურჭლეთა-უხუცესის ქვეშეთი მოჯელენი იქნებოდენ.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ მეჭურჭლეთ-უხუცესსაც შეიძლებოდა ამ ვაზირობას გარდა სხვა ჴელისუფლობაც ჰქონოდა, თვით საქვეყნოდ გამრიგისაც-კი. მაგ, აბულასანი ყოფილა **ერისთავთ-ერისთავი და მეჭურჭლეთ-უხუცესი** (იხ. ხატის წარწ. ე. თაყაიშვილი Арх. экс. II, 70), ხოლო ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელი ჯაყელი პატივითა იყო „**მეჭურჭლეთ-უხუცესი და მთავარ ქუეყანასა სამცხისასა**“ (ჟამთააღ * 769, გვ. 599), სარგის ჯაყელიც იყო „**სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთ-უხუცესი**“ (იქვე * 874, გე. 718).

ათაბაგი

ცნობილია, რომ ათაბაგობა ქართული ჴელისუფლობა არ არის და უცხოეთითგან იყო შეთვისებული. ათაბაგობა 1212 წლამდე „არა ყოფილა საქართველოს მეფეთა წინაშე“. თვით ეს დაწესებულებაც „სულტანთა წესი არს“ და არა საქართველოს მეფეთა. თურქულად „მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგი“ (ის˜ტრნი და აზმ˜ნი * 719, გვ. 526-527). მართლაც „ათაბაგ“-ი თურქული სიტყვაა და მამა-ბეგს ჰნიშნავდა. მაგრამ ათაბაგად სელჩუკიანთა სამეფოში იმ თურქ მონებს ეძახდენ, რომელნიც საგანგებოდ სულტანთა სამსახურისათვის აღზრდილნი იყვნენ და განსაკუთრებულ ნდობით აღჭურვილნი უფლისწულთა მზრუნველად ინიშნებოდენ. თანდათან მათ დამოუკიდებლობა მოიპოვეს და მთავრებად იქცნენ. (A. Müller. Der Jslam im Morgen und Abendland. 1887 წ. II, 113 და 124).

ათაბაგობა საქართველოში შემთხვევით იყო შემოღებული და განსაკუთრებით ივანე მჴარგძელის პირად პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად დაწესებული იქმნა. ქართველი ისტორიკოსი ამბობს, რომ ზაქარია ამირსპასალარის სიკვდილის შემდგომ, როდესაც თამარ მეფემ მის ძმას ივანეს ამირსპასალარობა შეაძლია, უკანასკნელმა თამარს სთხოვა: „განადიდე წყალობა შენი ჩემზედა, რომელ ახალსა და უაღრესსა პატივსა ღირს მყო და ათაბაგობა მიბოძო“-ო (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 719, გვ. 526), დიდებულს მეფეს თავის ერთგულ და დამსახურებულ ჴელისუფლის თხოვნა შეუსრულებია: „ახალი პატივი“, ათაბეგობა დაუწესებია საქართველოში და პირველ ათაბაგად ივანე მჴარგძელი დაუნიშნავს.

როდესაც თამარ მეფემ ათაბაგობა შემოიღო საქართველოში, აღსარზდელი უფლისწული არავინ იყო იმიტომ, რომ ლაშა-გიორგი უკვე თავის სახელოვან დედის თანამოსაყდრედ იჯდა, თანაც დედა ცოცხალი ჰყავდა და ამის გამო. „ახალ“ ათაბაგს რასაკვირველია არ შეეძლო ისეთი გავლენა მოეპოვა, როგორიც ათაბაგებს სელჩუკიანთა სამეფოსა და სპარსეთში ჰქონდათ. ამასთანავე საქართველოს სახელმწიფო წესწყობილობისდა მიხედვით სამეფოში ყველაზე უფრო ძლიერი და გავლენიანი ჴელისუფალთა შორის მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა ყოველთა უპირველესი იყო, რომელიც „კ. გარ.“-ის სიტყვით „მამა არს მეფისა“ (19437). მაშასადამე ამ მხრივ **ათაბაგს არ შეეძლო საქართველოში ის თვისებები შეენარჩუნებია, რომელიც მას თურქთა სასულტნოების ნიადაგზე ჰქონდა.** სულ სხვა პირობებში იყო იქ ათაბაგობა აღმოცენებული და უცვლელად მისი გადმონერგვა არ იქნებოდა.

ამიტომაც არის, რომ თუმცა თამარ მეფისაგან „ათაბაგობა განდიდებული“ იყო (ჟამთააღ, * 723, გვ. 539) და **„ათაბაგი დიდი და საპატიო“ ჴელისუფალი** ბრძანდებოდა (კ. გარ. 19439), **მაგრამ მაინც მწიგნობართ-უხუცესსზე დაბლა იდგა და საქართველოს** სამოჴელეო წესწყობილებაში მას ყველაზე უმაღლესი ადგილი არ ეჭირა, **არც პირველი ვაზირი ყოფილა.**[1] მეფის კურთხევის წესმა მაგ. მას მხალოდ მწიგნობართ-უხუცესის ჭყონდიდელის შემდგომი ადგილი მიაკუთნა **და მეფეს ტახტზე აბრძანებას და კურთხევას რომ მიულოცდენ, ათაბაგი მხოლოდ ვაზირთა უპირველესის მერმე უნდა მისულიყო მისალოცავად** (კურთ. წეს. 817). **ვაზირობის და დარბაზობის დროსაც** უმაღლეს ჴელისუფალთა შორის უპირატესობა ათაბაგს-კი არ ეკუთვნოდა, არამედ მწიგნობართ-უხუცესს (კ. გარ. 18429-430, 19435-441), »კ. გარ“-ში პირდაპირ არის ნათქვამი: ვაზირთა-უპირველესის და მწიგნობართ-უხუცესის **„ჭყონდიდლის ქვემოთ** ნოხთა ზედა **ათაბაგი** და ამირსპასალარი დასხდენ «-ო (19440-441). ვაზირობა რომ უნდა დაწყობილიყო, ჯერ მწიგნობართ-უხუცესი დაჯდებოდა ხოლმე, ხოლო მის შემდგომ ათაბეგი და დანარჩენი ვაზირნი და ვაზირობის წესში საგანგებოდ განმარტებულიც არის: „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა, **ათაბაგი** (კ. გარ. 19435-438). პურობის დროსაც ჭყონდიდელს განსაკუთრებული და უფრო მეტი პატივისცემა ჰქონდა მინიჭებული ვიდრე ათაბაგს: [პირველს თუ თვით ამირეჯინი დაუდგამდა ტაბაკს, ათაბაგს იმგვარადვე, როგორც ამირსპასალარსა და მანდატურთ-უხუცესს „ტაბაკს ეჯიბი დაუდგამს“ (კ. გარ. 17398-403).

გარეგნობითაც მწიგნობართ-უხუცესს ათაბაგზე უფროსობა ყველასთვის ცხადი იყო ხოლმე: **როდესაც პურობა შებინდებისას გათავდებოდა, ვაზირნი გაიყრებოდენ** და თავ-თავიანთ სახლში წავიდოდენ, **მწიგნობართ-უხუცესს ორი მაშხალა წაუძღვებოდა წინ, ათაბაგს-კი დანარჩენ ვაზირებსავით მხოლოდ ერთი მაშხალა** (კ. გარ. 8155-156).

მაგრამ თუ **ათაბაგი** ღირსებით მწიგნობართ-უხუცესზე დაბლა იდგა, **დანარჩენ მოჴელეებზე მაინც უფრო დაწინაურებულად ითვლებოდა, თვით ამირსპასალარობასაც-კი სჭარბობდა** და „უაღრეს პატივ“-ად იყო მიჩნეული (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 719, გვ. 526). ამ გარემოებას, თამარ მეფის ისტორიკოსის ზემომოყვანილ ცნობას გარდა ქართველ ჟამთააღმწერელის შემდეგი სიტყვებიც ადასტურებენ, ავაგ მჴარგძელის შესახებ მას ნათქვამი აქვს, რომ ის, **სპასალარობისაგან ათაბაგი იქმნა** მეფისა რუსუდანის მიერ“ (ჟამთააღ. * 775, გვ. 607). მაშასადამე სპასალარისათვის რომ ეწყალობებინა მეფეს, ეს დაწინაურებად ეჩვენებოდა და ითვლებოდა.

ვინ იყო მაშასადამე ათაბაგი? საქართველოში იგი „იყო **ვაზირი კარსა მეფისასა**“ (ჟამთააღ. 723, გვ. 539). „კ. გარ.“-შიც ათაბეგი ვაზირად იწოდება. იქ მაგ. ნათქვამია „მწდე... დარბაზით ათაქს... **სამთა ვაზირთა: ათაბაგსა,** ამირსპასალარსა და მანდატურთა-უხუცესსა“-ო (12276-278). ერთი სიტყვით ათაბაგი დარბაზის კარს მყოფი ჴელისუფალი ყოფილა.

მაგრამ ამავე დროს ქართველი ჟამთააღმწერელი ამტკიცებს, რომ თამარ მეფისაგან ათაბაგობა იყო „განდიდებული... **უმეტეს სხვათა ერისთავთათა**“ (* 723, გვ. 539). ერისთავნი საქვეყნოდ გამრიგე მოჴელეთა ჯგუფს ეკუთვნოდენ და თუ ისტორიკოსი ამბობს, ათაბაგი სხვა ერისთავებზე უფრო დაწინაურებული იყო, ალბად **ათაბაგობას საქვეყნოდ გამრიგე**

[1] ასე ეგონა მაგ. ქართული სამართლის ისტორიის პირველ და ნიჭიერ მკვლევარს განსვ. ნ. ურბნელს (ათაბაგი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, 10).

მოჯელეებთანაც რაღაც კავშირი უნდა ჰქონოდა. იქნებ ამიტომაც იყო, რომ მეფის კურთხევის დროს ათაბაგი „და სხვანი მთავარნი“ ერთ მხარეს იდგენ (კურთ. წესი 6$_{4}$).

ამაზე მეტი ცნობები ათაბაგობის შესახებ სხვა ჯერ არ მოგვეპოება და ამის გამო მის უფლება-მოვალეობაზე არა ვიცით რა. როგორც ეტყობა ათაბაგობა შემდეგშიაც იშვიათ და უცხო რამედ დარჩა საქართველოსთვის, „ძვრად ოდესმე იქმნების“-ო ნათქვამია „კ. გარ.“- ში. შემდეგშიც, როგორც ცნობილია, საქართველოში ათაბაგობა სამცხის მმართველთა საგვარეულო სამკაულად იქცა და იქაც ათაბაგნი განკერძოებისა და დამოუკიდებლობის მოხვეჭის გზას დაადგნენ.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ათაბაგობაც შეიძლება კიდევ სხვა თანამდებობასთან ყოფილიყო შეერთებული, მაგ. ავაგ მჭარგრძელი ერთსა და იმავე დროს „ათაბაგის და ამირსპასალარისა“ ჭელისუფლობათა მქონებელი ყოფილა (ჟამთააღ. * 751, გვ. 572), სადუნსაც ათაბაგობა და ამირსპასალარობა ერთსა-და-იმავე დროს ჰქონდა, ვახტანგ მეფემაც „აღიყუანა **პატივსა ათაბაგობისასა და ამირსპასალარობისას** ხუტლუბუღა“ სადუნ მანკაბერდელის ძე (ჟამთააღ, * 903, გვ. 744) და სხვა.

მსახურთ-უხუცესი და მისი საჭელო

„**მ**საკურთ-უხუცესი“-ც (ისტ˜რნი და აზ˜მნი” 622, 632, 640, 650, 656 გვ. 396, 410, 421, 435, 442. 1250 წ. გრიგ. სურამელის შეწირ. წიგ. სარ. კაკაბაძის გამოც. 6$_{25-26}$ და 7$_{2-13}$. რკონის 1259 წ. სიგ. ქ˜ბი II, 141. ჟამთააღ. * 760 და 919, გვ. 587 და 762 და სხვაგან) თუმცა პირველად გიორგი III მეფობაში არის მოხსენებული, მაგრამ მაინც უეჭველია რომ მსახურთ-უხუცესობა ძველი ჭელისუფლება უნდა იყოს. მსახურთ-უხუცესის ქვეშეთი მოჭელეებად რასაკვირელია „**მსახურნი**“, „**მსახურნი მეფისანი**“ (1047 წ. ხელთნ, ქ˜კბი I, 191 და ჟამთააღ. * 824 და 835, გვ. 669 და 680) უნდა ყოფილიყვნენ. „კარის გარიგებ“-ითგან სჩანს მხოლოდ რომ თავდაპირველად მსახურთ უხუცესი სავაზირო. საბჭოს წევრად არ ითვლებოდა და პირველად „**მსახურთ-უხუცესი მანაველი რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროსა**“ (19$_{447-448}$). წინათ მაშასადამე სავაზირო ბჭობაში მონაწილეობის მიღების უფლება არა მქონია.

მსახურთ-უხუცესი, მას შემდგომ რაც იგი რუსუდანმა სავაზიროს შეიყვანა, ვაზირად ითვლებოდა (კ. გარიგება 6$_{100}$), ორთა ვაზირთა ჯგუფში იყო და დარბაზობის დროს მეჭურჭლეთ-უხუცესის თანასწორი პატივისცემა ჰქონდა მინიჭებული (კ. გარიგება 14$_{305-310}$)... წინათ-კი როგორ იყო და რა ადგილი ეკავა მას ან ვაზირობის, ან დარბაზობის დროს, ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ამ. ჭელისუფლის შესახებ საზოგადოდ თითქმის მხოლოდ „კარის გარიგება“-შია შენახული ცნობები, თამარ მეფის ისტორიკოსს და ჟამთააღმწერელს სახელის მეტი არა აქვთ რა.

მსახურთ-უხუცესის „ჭელისა არის: სალარო, საწოლი, მესაწოლეთ-უხუცესი, მოლარეთ-უხუცესი, ფარეშთ-უხუცესი, ციცხვთა-უხუცესი, მეხილეთ-უხუცესი. საწოლისა და სალაროს მეფის შეკაზმამდის ამათი საურავი და ზღვენი მსახურთ-უხუცესისა, მესაწოლეთ-უხუცესისა [და მოლარეთ-უხუცესისა (?ფარეშთ-უხუცესისა?) არის“-ო (კ. გარიგება 6$_{100-104}$). ამას გარდა იმავე თხზულებაში ნათქვამია: „ცხოვარნი ყოველნი და მატყლნი მსახურთ-უხუცესისა ჭელთავე არს“-ო (6$_{116-117}$). ამგვარად ირკვევა, რომ **მსახურთ-უხუცესს ექვემდებარებოდა ორი-სამი დაწესებულება თავის ყველა მოჭელეებითურთ: ერთი თყო სალარო, რომლის გამგეს მოლარეთ-უხუცესი ეწოდებოდა. ხოლო მეორე იყო საწოლი** და **მისი გამგე მესაწოლეთ უხუცესი. მასვე ებარა მეფის კერძო მეურნეობა** და სხვა-და-სხვა „**საფარეშონი**“ (იქვე 7$_{147}$). ამიტომაც იყო, რომ **ფარეშთ-უხუცესი, ციცხვთ-უხუცესი და მეხილეთ-უხუცესი მის ქვეშეთი მოჭელეები იყვნენ.** ამავე მიზეზის გამო ცხვარი და ალბად საქონელიც მსახურთ-უხუცესის ხელქვეით იყო.

სალაროს გარდა მსახურთ-უხუცესის ხელქვეითი სხვა ყველა და'წესებულებანი სამეფო სახლის შინაურ მეურნეობას და საქმეს ემსახურებოდა და იქნებ სწორედ ამიტომაც არის, რომ ამ ჴელისუფლობას ეწოდებოდა „მსახურთ-უხუცესობ **ჴელ-შინაური**“ (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 656, გვ. 442) და იქნებ სწორედ ამის გამოვე თამარისა და ლამა-გიორგის დროს მსახურთ-უხუცესი ვაზირად არ ითვლებოდა. მის გავაზირების დროს შესაძლებელია რუსუდანმა მას ისეთი დაწესებულებაც დაუქვემდებარა, რომელიც მას წინათ არ ემორჩილებოდა.

„**სალარო**“ (კ. გარიგება 5$_{78}$, 8$_{166}$, 8$_{170-170}$) დიდმნიშვნელოვანი დაწესებულება იყო, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ნათქვამი გვქონდა, თუ რა-და რა ინახებოდა და რა განსხვავება არსებობდა სალაროსა და საჭურჭლეს შორის (იხ. მეჭურჭლეთ-უხუცესი). თუმცა, ცოტა არ იყოს, უცნაურია, მაგრამ მაინც საგულისხმიეროა, რომ **საქართველოში მუდმივ და უძრავ სალაროს გარდა, მოძრავი სალაროც ყოფილა.** ეს ნათლადა სჩანს „კარის გარიგებ“-ის შემდეგ ადგილითგან: „**სალაროს წინათ იარების** სიკისტრონი და ერთი ყათარი სხვაᲲ Ჯორი სასაგებლე ტურფადვეე მოკაზმული, მაგრამ იგიცა **სალაროს წინათ იარების** სიკისტრონს უკანით“-ო (7$_{127-129}$). მაშასადამე მეფის სადზე გზად წაბრძანების დროს თან მიჰქონდათ მოძრავი სალაროც, რომელსაც თავისი განკუთვნილი ღა მიჩენილი ადგილი ჰქონია: Ჯერ სიკისტრონი Ჯორი მიდიოდა, შემდეგ სასაგებლე Ჯორი საგებლით დატვირთული და სულ ბოლოს მოძრავი სალარო მისდევდა. აქ მხოლოდ სალაროს აგებულობისა და მოჴელეების შესახებ-ღა დაგვრჩა სათქმელი.

სალაროს სათავეში იდგა „**მოლარეთ უხუცესი**“ (კ. გარიგება 1$_{1}$, 6$_{101, 104-106, 109-111}$, 19$_{456-457}$). ის, როგორც ეტყობა, „სალაროთ“ (იქვე 1$_{1}$) **უფროსი იყო**, ესე იგი **მას ყველა სალაროები ექვემდებარებოდენ**.

მეჭურჭლეთ-უხუცესსავითთ მოლარეთ-უხუცესსაც ბეჭედი ჰქონდა. ეს მისი თანამდებობის ერთ-ერთ ნიშნად ყოფილა. ამიტომაც არის რომ „კარის გარიგება“-ში ნათქვამია: „მოლარეთ-უხეცესსა რა ითაყვანოს **ბეჭედი** მართებს, რომ უბოძოს მეფემან **თვალედი**“-ო (6$_{104-105}$): ეს თურმე **დიდი ბეჭედი** ყოფილა, „**სასიგლე, საგახსნითე** რომ **ბეჭედი** არის“ (იქვე 9$_{106-107}$), რომლითაც სხვა-და-სხვა სიგლებსა და საბუთებს დაბეჭდავდენ ხოლმე. ეს „**თვალედი“ ბეჭედი „მოლარეთ-უხუცესსა ჴელთ აცვია**“ და როდესაც საბუთზე ბეჭდის დასმა იყო საჭირო, მაშინ „მოლარეთ-უხუცესი გახსნის“, ოქროს თასში „წყალს შთაასხამს“, ხოლო თვით საბუთს „დაბეჭდავს მწიგნობარი“-ო (იქვე 6$_{107-114}$) და არა მოლარეთ-უხუცესი.

მოლარეთ-უხუცესს რასაკვირველია „**სალაროს მოლარე**“ (კ. გარიგ. 6$_{110, 112}$) ექვემდებარებოდა. მის ქვეშეთ მოჴელეებად იყვნენ „**მოლარენი**“ რომელნიც უკვე მე-X-ე საუკ. ერთს საბუთში იხსენიებიან (შიო მღ. ისტ. საბ. 3). რაკი „კ. გარიგება“-შიც ერთგან ნათქვამია რომ მონადირენი „ვაზირთა და **მოლარეთა** ყველას მიართმევენ“ საჩუქარსაო (11$_{250-254}$) და მე-X-ე საუკ. სიგელშიაც „მოლარენი", მრავლობით არიან მოხსენებულნი, ამიტომ ცხადია, რომ მოლარენი თუ ბევრნი არა, რამდენიმე მაინც უნდა ყოფილიყვნენ. **მოლარე მოლარეთ-უხუცესის მომხმარე და მშველელი მოჴელე იყო**: სიგლების „დაბეჭვდის“ დროსაც იგი თავის უფროსს ეხმარებოდა.

თუმცა **მოლარეთ-უხუცესი** ისეთ დიდ მნიშვნელოვან დაწესებულების გამგედ ითვლებოდა როგორიც არის სალარო, მაგრამ მაინც **მას უფლება არა ჰქონდა ვაზირობას დასწრებოდა.** ამ მხრივ იგი **ამირახორზეც დაბლა იდგა**. თუმცა ასეც-კია, რომ მოლარეთ-უხუცესს შედარებით **მაინც სხვა ქვეშეთ მოჴელეებზე მეტი უპირატესობა ჰქონია და** თუ ძანარჩენნი სავაზირო დარბაზს გარეთ უნდა მდგარიყვნენ, იგი „**სალაროს კართა შიგან დგას გამოსავალსა**“-ო (კ. გარიგება 19$_{456-457}$). თუმცა „კ. გარიგება“-ში ამის შესახებ არაფერია შენახული, მაგრამ საქართველოს სამეფოს სხვა დაწესებულებათა მიხედვით მოსალოდნელია და საფიქრებელი, რომ სალაროს უხუცესსა და მოლარეებს გარდა სალაროს მუქიფი და მწიგნობარიც უნდა ყოფილიყო. სალაროს ყოველწლიურ ანგარიშების შედგენა და გასწორება უეჭველია ჩვეულებრივი წესისაებრ იქნებოდა მოწყობილი.

როგორც უკვე აღნიშნული იყო მსახურთ-უხუცესს მეორე დაწესებულებაც „**საწოლი**“-ც ებარა, რა იყო საწოლი? „**საწოლი**“ (კ. გარიგება 20$_{467-469}$, 7$_{136-145}$, 12$_{259}$) რასაკვირველია Ჯერ ერთი რომ **მეფის დასაძინებელი და დასაწოლი ოთახი იყო,** მაგრამ ამასთანავე **მის მახლობლად**

მდებარე და საწოლის სამსახურებელისათვის საჭირო ოთახებიც. ამ ოთახში ესვენა „საწოლისა ღმრთისმშობელი, რომლის წინაშე „ენთების სანიადაგო სანთელი და კანდელი. მცველი მისი მესაწოლე არის“-ო (იქვე 20467-470). საწოლშივე იდგა რასაკვირველია საწოლის ყოველივე იარაღი, სარეცელი და ტახტი. „კ. გარიგებ“-ითგან არა სჩანა, მეფე სარეცელზე იწვა, თუ ტახტზე, ვიცით მხოლოდ რომ ტახტი საწოლშიც იყო. (7140). საწოლი „მოკაზმული“ იყო ნოხებითა და სხვაგვარ საფენით (იქვე 7136, 140-142). იქვე იყო ხოლმე ყოველთვის „სანთელი, ფანარი, მაშხალა“ (იქვე 7137). იქვე იყო სხვა-და-სხვა სასმური ჭურჭელი ღამე წყურვილის მოსაკლავად. „საღამოს მეღვინე ფანჯას მომცროს მიიღებს მყინვარიანითა ჭურჭლითა ანუ ტაბაკითა, ზედა მყინვარსა დაჰყრის... და თუ მეფესა ღამით მოეწყურის, ბრძანოს რომელიცა უნდა“-ო, ნათქვამია „კარის გარიგებაში“-ში (7131-135).

მეფე საწოლში ბრძანდებოდა ღამით და დილით, სანამ ლოგინითგან ადგებოდა და გამობრძანდებოდა, ამ ხნის განმავლობაში „საწოლისა... მეფის შეკაზმამდის... საურავი... მსახურთ უხუცესისა, მესაწოლეთ-უხუცესისა, [ფარეშთ-უხუცესია და მოლარეთ-უხუცესისა არის]“-ო (კ. გარიგება, 6102-104). ეს მარტო. იმას-კი არა ნიშნავს, რომ ეს მოჯელენი კერძოდ საწოლის შესახებ საქმეების გამგენი და თვალყურის მგდებელნი იყვნენ, არამედ იმასაც, რომ ყოველთვის, როდესაც-კი „უკაზმავი... იყო მეფე, მსახურთ-უხუცესი და მისის ჴელისანი უფრო იურვიან“ საქმეებს (კ. გარიგება 579-80): ჴელმწიფეს მოახსენებენ და მის ბრძანებას სათანადო დაწესებულებას და მოჯელეს გადასცემდა.

თუმცა საწოლის საქმეები პირადად მსახურთ-უხუცესს-კი არ ებარა, არამედ მის ქვეშეთს ჴელისუფალს, მესაწოლთა უხუცესს, მაგრამ ზოგიერთში იმასაც უეჭველად უნდა მიეღო მონაწილეობა. მის ერთ-ერთ ამგვარ მოვალეობად ითვლებოდა „**შეკაზმა მეფისა**“ (იქვე 18424). „კ. გარიგება“-ში სახელდობრ ნათქვამია: „რაჲ მეფე შეეკაზმოდეს, ტაშტი მსახურთ-უხუცესმან დაიჭიროს, პირის მანდილი მესაწოლეთ-უხუცესმან, წყალი მოლარეთ უხუცესმან დაუსხას, ტანისსამოსი მსახურთ-უხუცესმან ჩააცვას, ღილი მესაწოლეთ-უხუცესმან შეუკრას, მუჴლთ დაყრით ქუდი მოლარეთ.- უხუცესმან მიიღოოს“-ო (18424-428).

„საწოლსაც“ ვითარცა განსაკუთრებულს დაწესებულებას თავისი მოჯელენი ჰყავდა. სათავეში იდგა „**მესაწოლეთ-უხუცესი**“ (კ. გარიგება 6101, 105-106, 14366 და 19455-456). მესაწოლეთ-უხუცესი მოლარეთ-უხუცესსავით **ვაზირობას ვერ დაესწრებოდა.** ამ მხრივ იგი მოლარეთ-უხუცესზე დაბლა იდგა და თუ მოლარეთ-უხუცესი, როგორც უკეე აღნიშნული იყო, ვაზირობის დროს სალაროს კარებში იდგა, „მესაწოლეთ-უხუცესი სალაროს კარებში იდგა, „მესაწოლეთ-უხუცესი სალაროს კარის გამოსავალსა დგას **გარეთ** მეფის ზურგით" (კ. გარიგება 19455-456). მას ექვემდებარებოდენ „**მესაწოლენი**“ (იქვე 7125-126, 130 და 20470). მესაწოლენი ბევრი ყოფილან და ეს თანამდებობა საგეარეულო კუთვნილებად ითვლებოდა. „**შჳდასი სახლი მესაწოლე არის და გლეხი რვა სახლია და სხვა ყოველივე აზნაური**“-ო, ნათქვამია „კარის გარიგება“-ში (7125-126). ერთი მესაწოლეთაგანი მეფის „**წინამწოლი**“ (იქვე 7135, 12259-260), მასვე ებარა საწოლის ღმრთისმშობლის სანიადაგო სანთელ-კანდელი: „მცველი მისი მესაწოლე არის, იგივე რომელი **წინამწოლი** არის **მეფისა**“-ო (იქვე 2470-471). წინამწოლი ერთი-კი არ იყო, არამედ რამდენიმე, ამიტომაც არის რომ „კ. გარიგებას“-ში „**წინამწოლნი**“ (იქვე 7135) არიან მოხსენებულნი.

როგორც მოძრავი სალარო იყო, იმგვარადვე **მოძრავი საწოლიც არსებობდა**. ამისათეის განკუთვნილი იყო „**სიკისტროსანი ჯორი**“ ანუ „**სიკისტრონი**“ და „ერთი **ყათარი** სხვაჲ **ჯორი სასაგებლე**“ (იქვე 6117, და 7127, 128). ამ ორ ჯორს საწოლის სამსახურებელითგან ლოგინი და საფენი, რაც-კი რამე საჭირო იყო მგზავრობაში, აკიდებული ჰქონდა (იქვე 6117-7124, 127-128). **მესაწოლენი**, სამეფო სასახლესა და საწოლში სამსახურს გარდა, **მოვალენი იყვნენ, რომ მოძრავ საწოლსაც მცველად გაჰყოლოდენ, თუ რომ მეფე** აიყრებოდა და **სადმე გაემგზავრებოდა**. ამისთანა დროს „**შჳდასივე შუბოსანი... სიკისტრონსა ჯორსა მისდევდეს**, რა მეფე აიყაროს“-ო (კ. გარიგება 7126-127). ხოლო რაკი სიკისტრონს გარდა ამგვარ შემთხვევებში მოგზაურობის დროს სასაგებლე და სალარო ჯორებიც მეფეს თანსდევდენ ხოლმე, ამიტომ თვითოეულს მათგანს თავისი ადგილი ჰქონდა და თავ-თავისი მიმყოლიც ჰყავდა. ჯერ სიკისტრონის ჯორი მიდიოდა, შემღეგ „სიკისტრონს უკანით“ და „სალაროს წინათ“ სასაგებლე ჯორი მისდევდა და

სულ ბოლოში მოძრავი სალარო იყო მოქცეული. ამ სამსავე მოძრავ დაწესეულებას „**ბარგის-უხუცესი** წინ მიუძღვების," ხოლო „მესაწოლენი წინ იარებიან " (იქვე 7127-130).

მესაწოლეთ უხუცესისა, მესაწოლეთა და წინამწოლთა გარდა საწოლის მოჴელეებად იყვნენ: „**საწოლის მეკარე**" (კ. გარიგება 7136 და 19258), **რომელსაც** თავის თანამდებობის ნიშნად **ჴელთა არგანი აქვს**" (იქვე 20461-463) და „**კარის დარაჯა**" (იქვე 7135-136). ორივენი საწოლს ღამითაც იცავდენ დილამდის სანამ მეფე საწოლში ბრძანდებოდა და საწოლითგან არ გამოვიდოდა (იქვე 7135-137). ვაზირობის დროს საწოლის მეკარე „კარს გარეთ არის, ზურგი შემოუქცევია კარით ან გამოუხშავს, ჴელთა არგანი აქვს, ქვე ზის და ვისაც უბრძანებენ შემოიყვანს"-ო (იქვე 20461-463). მაშასადამე **საწოლის მეკარე მარტო საწოლისა კი არა, არამედ ვაზირობის დროსაც სავაზირო დარბაზის კარის მცველად ყოფილა საწოლის მეკარე დიდ დარბაზობასაც უნდა დასწრებოდა და პურობასაც**. „კ. გარიგება"-ში ნათქვამია: **„საწოლის მეკარე დიდსა დარბაზობასა ზედა ქვე ვერ დაჯდების"-ო** (12258-259). ამ მხრივ, როგორც ვხედავთ, განსხვავება იყო ვაზირობასა და დარბაზობას მორის: ვაზირობის დროს იგი კარებს წინ იჯდა, დარბაზობის დროს-კი მისი დაჯდომა არ შეიძლებოდა, პურობის დროსაც საწოლის მეკარეს საერთო სასადილო დარბაზში სხვებთან ერთად დაჯდომისა და ჭამის უფლება არა ჰქონდა, იგი „საწოლსა წავა და წინამწოლსაც მიუვა სათვალავი და მუნ სჭამენ"-ო (იქ. 12259-266).

რა მოვალეობა ჰქონდა სიკისტრონსა, სასაგებლე და. სალაროს ჯორებს წინგაძლოლას გარდა „ბარგს უხუცეს"-ს (იქვე 7129-130), საწოლის მოჴელე იყო, თუ სხვა დაწესებულებისა არა სჩანს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ „**საწოლის მწიგნობარი**"-ც (თამარ მეფის 1189 წ. სიგელი ქვ˜ბი II, 74, კ. გარიგება 16369-373) არსებობდა, რომელსაც საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და მწიგნობრათ-უხუცესის თანაშემწე იყო (იხ. ზემოთ, მწიგნობართ-უხუცესი). მაგრამ იგი მესაწოლე-უხუცესს-კი არ ექვემდებარებოდა, არამედ მწიგნობართ უხუცესის ქვეშეთი მოჴელე იყო. ზარდახნის მწიგნობარსავით ალბად საწოლის მწიგნობარიც წელიწადში ერთხელ, უეჭველია წლისთავს, საწოლის ანგირიშს ადგენდა ხოლმე და ამოწმებდა.

მსახურთ უხუცესს, როგორც უკვე აღნიშნულ იყო, ფარეშთ-უხუცესიც ექვემდებარებოდა. **ფარემთ-უხუცესის ხელთ იყო** სხვა-და-სხვა „საფარეშონი" (კ. გარიგება 7147 და 10220-221) და **მასვე ემორჩილებოდენ** მრავალი „**ფარეშნი**" (იქვე 7139, 142 და 8157). **„საფარეშო"-დ შინაურ მეურნეობისათვის განკუთვნილი** სხვა-და-სხვა **საწყობი და დაწესებულება იწოდებოდა**. მაგ. „კ. გარიგება"-ში ნათქვამია: „სანთელი სასანთლითა და მისითა ნატითა თავ-თავის საფარეშოთა არის" და როდესაც საჭირო, „ფარეშთ-უხუცესი მიიღებს, წამოაყენებს და თავ-თავის ადგილს ჩასდებს"-ო (7146-8148). მაშასადმე **სანთლისა და შანდლებისათვის ცალკე საფარეშო ყოფილა** და იქ ინახებოდა. შემდეგ იმავე თხზულებაში სწერია, რომ გამტვერიანებულს ფანჯის ჴელმანდილს „**საფარეშოს** მიიღებს მეღვინე" და იქ **„გარეცხენ"-ო** (იქვე 10220-221). ამ წინადადებითგანა სჩანს, რომ **სამრეცხავო საფარემოც ყოფილა**. თუმცა დანარჩენ საფარეშოთა სახელები შენახული არ არის, მაგრამ ცხადია რომ მრავალი სხვა საფარეშოებიც უნდა ყოფილიყო. რაკი „**მჴერვალთ-უხუცესი**" არსებობდა (იქვე 19) რასაკვირველია „**სამკერვალო**" საფარემოც იქმნებოდა და „მკერვალნი"-ც უნდა ყოფილიყვნენ.

„**მეხილეთუხუცესი**" (იქვე 6102 და 8162), რომელიც მსახურთ-უხუცესის ქვეშეთი მოჴელე იყო, ალბად „**სახილე**"-ს (იქ. 8157) გამგე და **„მეხილე"-ების** (იქვე 8163) უფროსი იქმნებოდა. მას ებარა ხილის საქმე და ჭურჭელ-იარაღი, როგორც მაგ. „**სახილე ტაბაკი**" (იქვე 8161), გაზ-მარწუხივით შექმნილი „**სათხილე**" (იქვე 8157-158), რომლითაც „მეხილე ანუ მოლარე თხილსა... ლეწდენ" და ტაბაკზე დაჰყრიდენ ხოლმეო (იქვე 8163-164) და სხვა.

„**ციცხვთ-უხუცესი**" (იქვე 6102) ფარეშთ-უხუცესის ქვეშეთი მოჴელე იყო თუ არა, ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ვიცით მხოლოდ რომ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ის მსახურთ-უხუცესს ექვემდებარებოდა. ციცხვთა-უხუცესი ცოტა არ იყოს უცნაური სახელია, მაგრამ უფრო გასაოცარია, რომ მის ქვეშეთს მოჴელეებს „**ციცხვნი**" (იქვე 8165 და 167) ერქვა. ამ „**ციცხვთა (ხელთ) არის სახლისა საჭურჭლე**" (იქვე 8167), **შინ სახმარებელი სხვა-და-სხვა ჭურჭელი და** ამას გარდა „**აბანოს თბობა, სახლის გვა, შეშის კოდა, ცეცხლის ნთება, წყლის ზიდვა** და სხვა (იქვე 8165-166). ერთი სიტყვით **სამეფო სასახლეში იმდენი საფარეშო უნდა**

ყოფილიყო, რამდენ დარგადაც იყოფებოდა სასახლის შინაური მეურნეობა. საყურადღებოა რომ თვით **მოსახმარებელი მთელი მასალა საფარეშოში-კი არ ინახებოდა, არამედ საგანგებო დაწესებულებითგან საფარეშოს ეძლეოდა იმდენი, რამდენიც საჭირო იყო ხოლმე.** მაგ. ასანთები ალკა ქონისა და წერისა მაშხალისათვის, ან საპონი საფარეშოში კეთდებოდა, მაგრამ **თვით ქონი და ზეთი იმავე საფარემოში-კი არა ჰქნოდა, არამედ „მეტყავენი და მეჭურჭლენი** მიიღებენ ქონსა, სასაპოვნედაცა იგინი **მისცემენ** და სამაშხალედაცა და ქონი თუ არ იყოს, სელის ზეთს ქალაქით აიღებდენ მით იქმოდნენ სამაშხალესა ალყასა“-ო (იქვე 8149-152).

ფარეშთა და ფარემთ-უხუცესის საქმე იყო ყოველგვარ საფენების დაფენა და ოთახების ნოხებითა და სხვა-და-სხვა გვარ მანდილებით „მოკაზმა“, მათი „დაფენა, კარავი, ხარგაი, ჩადრი, ესე და მისი კაზმა მას (ფარეშთ-უხუცესს) მართებს“-ო (კ. გარიგება 7144-145). დილით რომ მეფე საწოლით გამობრძანდებოდა ფარეშთ-უხუცესი და ფარეშნი ეხმარებოდენ ხოლმე. მეფეს ჩვეულებრივ „სარმუზა აცვია ანუ ჩაფლა მოგვსა ზედა, მას კედლის ძირსა მაფლას (? ჩაფლას) წახსნის ანუ **ფარეში გახსნის და შეუნახავს** და იგი (მეფე) ტახტსაზედა გავა“, ხოლო ფარეში გრძელ მანდილს „მეფეს გარდმოუკაზმავს წინა და სხვათა **ნოხთა ფარეშნი გარდაჰკაზმენ“-ო** (იქვე 7138-142). **ფარეშთ-უხუცესი უფრო ხელმძღვანელი იყო**, დარბაზისა და სხვა სადგომების მოკაზმის დროს: „**იგი ახლავს**“ და ვითაცა ისწავლიან“, ისე აფენინებს და ამკობინებს ოთახებს. მაგრამ **ზოგჯერ იგი თითონაც აკეთებდა საფარეშო საქმეს**. მაგ. **მეფის პურობის დროს**, როდესაც დარბაზობა იყო, „ცოცხს ფარეშთ-უხუცესი აიღებს“ და „პურობის უკანით ნოხსა გადმოგჯს მეფის წინაშე ოდეს წესია“-ო, ნათქვამია კარის გარიგებაში (იქვე 15340-341).

მეღუინეთ-უხუცესი და მისი საქელო

„**მეღუინეთ-უხუცესი**“ ც (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 658, გე. 445) პირველად თუმცა მარტო. თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში არის მოხსენებული და ამასთანავე მხოლოდ ერთხელ, მაგრამ მაინც ცხადია რომ მეღუინეთ-უხუცესობა საქართველოში ძველი მოჯელეობა უნდა ყოფილიყო. სახელის მეტი მეღუინეთ-უხუცესის შესახებ ზემოდასახელებულ საისტორიო ნაწარმოებში სხვა არაფერი მოიბოვება და მხოლოდ „კარის გარიგება" გვაძლევს საკმაოდ საგულისხმიერო მასალებს. „მეღუინეთ-უხუცესი" (კ. გარიგება 347, 474, 11233 და 234-235) **მეღვინეთა უფროსი** უნღა ყოფილიყო და **იყო** კიდეც. „**მეღვინე**“ ღა „**მეღვინენი**“ (იქვე 474, 7132-134, 10220-221, 11237 და 11236-238) ბევრნი და სხვა-და სხეა გვარნი ყოფილან. **მეღუინეთ-უხუცესს ექვემდებარებოდა** აგრედვე **განსაკუთრებული დაწესებულება „საღვინე“** მთელის თავის მოჯელეებითურთ, „**საღვინე**“ (იქვე ????7, ????8, 10217 და 11228) იმ დროს ეხლანდელსავით ჭურჭელს-კი არ ერქვა, არამედ განსაკუთრებულ დაწესებულებას. ჩვენთვის რომ ამ დაწესებულების მთელი თავისებურობა და დანიმწულება ნათელი იყოს, უნდა „კ. გარიგების“ შემდეგ ცნობას დავაკვირდეთ. იქ ნათქვამია: „**საღვინე ჭურჭელი სანიადაგო, უმეჯლისო საღვინეში დგას და მეჯლისისანი კიდეგ»ნ დგანან-“ო** (11228-229). მაშასადამე „საღვინე“ ში ყოველდღიურად სახმარებელი, „სანიადაგო“ და ჩვეულებრივი, „უმეჯლისო“ ღვინის ჭურჭელი მდგარა, ხოლო მეჯლისისათვის განკუთვნილი ღვინის ჭურჭელი „საღვინე“ ში-კი არ ინახებოდა, არამედ „კიდეგან. სად? იქნება სხვა ამ გვარ ჭურჭელივით (შეად. მეჭურჭლეთ-უხუცესი, საჭურჭლე და სალარო) სალაროში ინახეხოდა? მარტო. ღვინის ჭურჭელი-კი არა, არამედ თითქმის ყველაფერი რასაც კი სასმელთან რაიმე კავშირი აქვს და სანიადაგოდ სახმარებელად. ითვლებოდა „საღვინე“-ში ინახებოდა თურმე, მაგ. ის ჩამოსაკიდებელი სათიკრიანი იარაღი, რომელსაც დაასობენ საღვინესა შიგან“ და რომელზედაც საღვინის მოლარე ფანჯს დაჰკიდებდა ხოლმე და „ფანჯისა მისაღებელი მანდილიცა მასვე ზ და ჰკიდავს“, საღვინეში ინახებოდა (იქვე 10217-222). რაკი სამყინვარი იარაღი: ტაბაკი, ცულ-წერაქვი, ვერცხლის კოვზი, „საღვინის მოლარეს ვედრია“ (იქვე 10223-11228), ამიტომ ცხადია რომ ეს

იარაღებიც საღვინეს კუთვნილებას შეადგენდა, თუმცა თვითონ ისინი ვითარცა საჴმარებელად ნიადაგ საჭირო ვგონებ მუდამ საღვინის სალაროს ჴელთ იყო (იქვე).

ყოველგვარ **სასმურ ჭურჭელს და მანდილებს გარდა საღვინეში** უეჭველია **ღვინოც ინახებოდა** იმიტომ, რომ „კ. გარიგება“-ში სწერია: „**საღვინის მოლარენი მეზვრეთაგან აიღებენ ღვინოსა** ვითარცა ზვარი იყოს ანუ მეზვრე-“ო (11235-236). ცხადია, რომ ღვინო იმავე ადგილას არ იქმნებოდა შენახული, სადაც ჭურკელი და მანდილები იდგა და იდვა, არამედ მარნებში, მაგრამ ისიც ალბათ „საღვინას“ დაწესებულებას ეკუთენოდა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ „**საღვინე**,“ როგორცა ზემომოყვანილი განმარტებითგანაც სჩანს, **„საჭურვლის“ მსგავსი დაწესებულება იყო, სანიადაგო საჴმარებლად განკუთვნილი ხაზინასავით იმ განსხვავებით კი, რომ საღვინეში მხოლოდ ღვინის შემოსავალი და ჭურჭელი-სამსახურებელი ინახებოდა.** საღვინეს სხვა ამგვარ დაწესებულებასავით თავისი განსაკუთრებული გამგეობა და მოჴელენი პყავდა. ამ მოჴელებს რქმევიათ: „**საღვინისჴელისუფალნი**“ (კ. გარიგება 15335).

„საღვინე“-ს უზენაეს გამგედ რასაკვირველია მეღვინეთ-უხუცესი იყო ის საქმეებს განაგებდა და თავის **ჴელქვეითთ სამუშაოს აძლევდა** და მათ სამსახურს თვალყურს ადევნებდა (იქვე 474). მას სა??ყი??ელიც ეძლეოდა: „თჳთო ჭური ღვინო ზვართაგან მეღვინეთ-უხუცესისა“ არისო (იქვე 11234-235). მის ქვეშეთ მოჴელაღ „**საღვინის მუქიფი**“ (იქვე 347-47, 11232, 234, 235 და 254) ითვლებოდა. „კ. გარიგება“-ში მაგ. ნათქვამია: „ხვართა... მანდატურიცა ადგს ზედა და **სხვათა მეღვინეთ უხუცესი და მუქიფი** იურვიან სამუშაოსა“-ო (იქვე 11232-235). მაშასადამე ზვრების დამუშავებასა და მოვლას გარდა სხვა რაც ღვინისათვის საჭირო „სამუშაო“ არის, იმაზე მეღვინეთ-უხუცესსა და მუქიფს ერად უნრა ეზრუნათ და თვალყური სჭეროდათ. სარგო მასაც ჰქონდა და ისე იყო დაწესებული, რომ „თჳთო უმცროსი (პური ღვინო ზკართაკან) მოქიფისა“ არისო (იქვე 11234-235). მუქიფს გარდა **„საღვინის მოლარე-“ც** (კ. გარიგება 10218, 11227-228 და 11235) არსებობდა. იგი „საღვინის“ ქონების მცველი იყო (იქვე 10218 და 11227-228). მისთვისვე უნდა ჩაებარებინათ ალბათ ღვინის გადასახადი (იხ. ქვემოთ). „საღვინის მოლარე“-საც სარგო ჰქონდა დანიშნული და წესად იყო» დადებული, რომ „**საღვინის მოლარე მეზვრეთაგან აიღებს ღვინოსა** ვითარცა ზვარი იყოს და მეზვრე-“ო (იქვე 11235-236). დასასრულ საღვინეს მოჴელედ **„მეღვინენი“-ც** იყვნენ. მეღვინენი საღვინის იარაღს და მანდილებს ყურს უგდებდენ, მაგ. „ფანჯის მისაღებელი ჴელმანდილი... მანდილი უღარო სამუქლე და საფუკე... რა დამტვერიანდეს“ და გასარეცხი გახდეს, „საფარეშოსა მიიღებს მეღვინე... გარეცხენ და [სა]ღვინოსავე მიიღებენ“ (იქვე 10218-222). მეღვინესავე უნდა მიერთმია მეფისათვის ღვინო, როდესაც საჭირო იყო ხოლმე, მაგ. „საღამოს მეღვინე ფანჯის მომცროს მიიღებს მყინვარიანითა ჭურჭლითა ანუ ტაბაკითა, ზედა მყინვარსა დაჰყრის და ჴელთა მანდილი აქვს ბაღდადური“-ო (იქვე 7132-134). ეს ღვინო ღამისათვის უნდა ყოფილიყო მომზადებული, „თუ მეფესა ღამით მოეწყუროს“-ო (იქვე 7134). მეღვინეთა სხვა-და-სხვა ნაირ მოვალეობათა გამორკვევის დროს ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს ის გარემოება, რომ მეღვინენი ბევრნი და სხვა–და-სხვა გვარნი ყოფილან. ერთს მათგანს მაგ. „**პირის მეღვინე**“ რქმევია (იქვე 347) და ალბად მეფის ზედამდგომელი მეღვინე უნდა ყოფილიყო. ამას გარდა, თუმცა ზვრების დამუშავების თვალ-ყურის გდება მანდატურთ-უხუცესის და მის ქვეშეთ მოჴელეთა მოვალეობა იყო, მაგრამ მას ამ საქმეში მონაწილედ მეღვინეთ-უხუცესი და მეღვინენიც ჰყოლია და „მანდატური და **ერთი მეღვინეთ-უხუცესისაგან ჩენილი მეღვინე წავლენ**“ ამ საქმეზეო, ნათქვამია „კ. გარიგება“-ში (იქ. 471-75).

მაგრამ მეღვინეთა თავი-და-თავი მოვალეობა ჩვენ მაი5ც გამორკვეული არ გვექნებოდა, თუ კი „კარის გარიგების“ ერთი საყურადღებო ცნობა გამოგვეპარებოდა. იქა სწერია: მეღვინეებმა „**ღვინის ულუფა დაწერონ**“-ო (იქვე 11236-238). მაშასადამე **ღვინის სახელმწიფო გადასახადი, ანუ კულუხის** (იხ. ჩემი „სქ˜ს ეკონომიური ისტორია“ IL, 47), **აღწერა მეღვინეთა მოვალეობა და ჴელთა ყოფილა,** ხოლო ღვინის ულუფის ასღებად უეჭველია „**მეულუფენი**“ უნდა ყოფილიყვნენ, რომელნიც უკვე მე-X-ე საუკ. სიგელში არიან მოხსენებული (შიო მღ. ისტ. საბ. 3). სახელისდა მიხედვით საფიქრებელია, რომ **„ღვინის მკრეფელნი“-ც** (**კ. გარიგება 475**) ალბათ ამისთვისვე იქმნებოდენ დადგენილნი, თუმცა მათ ზვრების დამუშავების თვალ-ყურის

გდებაც ჰქონიათ დავალებული (იქვე). ზემომოყვანილი ცნობების შემდგომ ჩვენ ამგვარი სურათი გვეხატება: ღვინის ულუფის შემოსავლის აღწერასა და დავთარს „მეღვინენი“ ადგენდენ, „ღლვინის მკრეფელნი ამ გადასახადს აღწერისდა მიხედვით ჰკრებდენ და ანგარიშითურთ ალბათ „საღვინეს მოლარეს“ აბარებდენ ხოლმე, ხოლო ის მთელი ღვინის შემოსავალს „საღვინე“-ში ინახავდა. ამგვარად ირკვევა, რომ **„მეღვინეთ-უხუცესი“ ღვინის გადასახადის „ღვინის ულუფა“-ს უზენაესი მეთვალყურე და გამგე ყოფილა, ხოლო „საღვინე“ ამასთანავე ღვინის გადასახადის შესანახად და ერთგვარ ხაზინად მოსჩანს.** „კ. გარიგებით“ მტკიცდება, რომ „**მეხელადეთ-უხუცესი**“-ც ყოფილა (1$_{10}$). უეჭველია მეხელადენიც იქმნებოდენ. რაკი ხელადა ღვინის ჭურჭელია, ხოლო ღვინის ყოველივე ჭურჭელი, სანიადაგო „საღვინე“-ში იდგა, ამიტომ საფიქრებელია, რომ მეხელადეთ-უხუცესი და მეხელადენი მეღვინეთ-უხუცესის ქვეშეთი მოჴელეები უნდაყოფილიყვნენ (იქვე 1$_{99-10}$).

მასალების უქონლობის გამო ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება იმის შესახებ, „**მწდე**“-ნი (კ. გარიგება 12$_{275, 276-278}$) მეღვინეთ-უხუცესსავით ექვემდებარებოდენ და. „საღვინე“-ს ჴელისუფლთა ჯგუფს ეკუთვნოდა, თუ სხვა რომელისამე ჴელისუფლის ქვეშეთი მოჴელე იყვნენ? უფრო საფიქრებელი-კი არის, რომ მწდე მეღვინეთ-უხუცესის ერთი ხელქვეითთაგანი ყოფილიყო.

თუმცა სიტყვა „**მწდე**“ არც დავით აღმაშენებელის, არც თამარ მეფის ისტორიკოსების თხზულებებში არა გეხვდება, მაგრამ უეჭველია, რომ იგი უკვე **გიორგი II და უწინარესაც არსებობდა.** დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს, მაგ. მოთხრობილი აქვს, რომ თურქებმა გიორგი II-ს თავდაცემის დროს იავარად წაუღეს სვათა შორის აგრეთვე „**სასმურნი სამწდეონნი**“-ო (ც˜ა მფ˜სა დთ˜სი - 513, გვ. 282). რაკი სასმელი ჭურჭელი „სამწდეონნი“ არსებობდა, რასაკვირველია „მწდენი“-ც იქმნებოდნენ. მეფეს და სტუმრად მოსულ უფლისწულებს და მეფეებს პურობის დროს „**მწდე** განაღამცა **თჳთო ადგა**“ (იქვე 12$_{275}$). ამას გარდა პურობის დროსვე „**მწდე**... დარბაზით ათქს... მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა, ჭყონდიდელსა და სამთა ვაზირთა: ათაბაგსა, ამირსპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა“-ო, ნათქვამია „კ. გარიგება“-ში (12$_{276-278}$). მაშასადამე, სულ ცოტა 8-10 მწდე უნდა ყოფილიყო. „კ. გარიგება“-ში სწერია **პირის მწდეს** რაჲ მეორესა ჭიქას გამოუღებს მეფე ანუ მესამესა სათვალავსა მიატანიებს, დაჯდების ამირეჯიბსა და განმგეთ-უხუცესსა თანა“-ო (17$_{406}$-18$_{408}$). ამ წინადადებითგან სჩანს, რომ „**პირის მწდე**“ (იქვე 11$_{230-231}$) **მეფის მწდეს რქმევია**. ხოლო ზემოთ აღნიშნული, იყო რომ „**პირის მეღვინე**“-ც არსებობდა, რომელიც აგრეთვე **მეფის მეღვინე ყოფილა**. ამიტომ უნებლიედ იბადება საკითხი, ეს ორი სახელი ერთსა და იმავე მოჴელეს ეწოდებოდა, მწდე იგივე მეღვინე იყო, თუ არა? ამის გადასაწყვეტად ჯერ შესაფერისი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს ორი სიტყვა ორ სხვადასხვა თანამდებობის სახელი უნდა იყოს. განსაკუთრებით შეიძლება ითქვას, რომ მაინცა და-მაინც „**პირის მწდე**“ და **„პირის მეღვინე“ ორი სხვადასხვა თანამდებობა უნა ყოფილიყო**. თუმცა „კ. გარიგ.“-ში ამის შესახებ ცნობები შერჩენილი არ არის, მაგრამ ცხადია, რომ **„საღვინე“-შიც საწლისთავო ანგარიშის შედგენა და შემოწმება იმავე წესით უნდა ყოფილიყო, როგორც საქართველოს სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში იყო დაკანონებული** და ამ აზრს წინადადების ის პატარა ნაწყვეტიც ამტკიცებს, რომელიც შენახულია ზემოაღნიშნულს ძეგლში, რომ **„ანგარიში საანგარიშო გოდორთა შინა ძეს“-ო** (იქ. 11$_{230}$).

მონადირეთ-უხუცესი და მისი საჴელო

ნადირობას ძველს დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მარტო გასართობად არ ითვლებოდა: იგი ერთგვარი სამხედრო და სალაშქრო ვარჯიმობა იყო, როდესაც ადამიანის თვალი და ხელი მარჯვე სროლა, განსაცდელის გულადად ატანასა და მოქმედების მაწრაფ

სიმკვირცხლესა ეჩვეოდა ამიტომაც იყო, რომ მაშინ ჴელმწიფე ყველაფერს დასთმობდა და ყოველგვარს გადასახადების შეუვალობას მიანიჭებდა ხოლმე, მაგრამ ლაშქარ-ნადირობისაგან რომ განეთავისუფლებინა, თუ არ მოხუცი და უძლური, არას გზით არ შეიძლებოდა. საკმარისია ადამიანმა თვალი გადაავლოს მრავალს წყალობის წიგნებს, რომ თვითვე დარწმუნდეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლაშქარ-ნადირობას. მხოლოდ ის, ვისაც მოხუცებულობისა ან უძლურების გამო „**ლაშქრობა აღარ შეეძლო**“ (დ˜ვით მეფის სიგ. არიშიანისადმი, მიომღ. ისტ. საბ. 21$_{6}$), იყო ხოლმე ამ ორ მოვალეობისაგან განთავისუფლებული. ნადირობის საქმე და სამზადისი საგანგებო მოჴელეს ებარა, რომელსაც „**მონადირეთ-უხუცესი**“ ეწოდებოდა (კ. გარიგება 1$_{3-4}$, $_{13}$ - 2$_{17}$), მას „**მონადირენი**“ ექვემდებარებოდენ (იქვე 1$_{11-12}$, 11$_{239-240}$, 11$_{247}$–12$_{258}$). მონადირენი ბევრნი ყოფილან: **მონადირენი კახეთს** და **იმერეთს** ყოველგან არიან, **ოსას სამოცი სახლი არის-“ო** ნათქვამია „კ. გარიგება“-ში (11$_{239-240}$). კახეთი და იმერეთი განთქმული იყო თავის სანადირო ადგილებით (იხ. ჩემი ქ˜ლი ერის ისტორია II 304, 315) და იმიტომ არის, რომ მონადირენი საქართველოს ამ ორ კუთხიდან ყოფილან არჩეულნი. ყურადღების ღირსია რომ მონადირენი სახლობრივ ყოფილან ამ თანამდებობის აღმასრულებელნი. აქაც მაშასადამე საგვარეულო მოჴელეობა ყოფილა მიღებული წესად. მონადირეებს ძაღლები უნდა გამოეკვებათ, გაეზარდათ და შესაფარისად გაეწვრთნათ. ამისთვის წესად იყო დადებული, რომ ყოველწლივ „ძაღლთ აღწერა" უ5და მოეხდინათ: „თევდორობის მეორე დღეს **ძაღლი დასწერენ** და რომელიც მწიგნობარი დასწერს ოთხსა თუ სამს ძაღლსა [სა[მეფოდ გარდააყენებ“-ო (კ. გარიგება 11$_{244-246}$). ამის შემდგომ რაკი ძაღლებ აღწერილი და სამეოს გადაყენებული იყვნენ, მონადირენი თავ-თავიანთ სახლში წავიდოდენ ხოლმე ძაღლების გამოსაზრდელად: „თორმეტ-თორმეტი, ძაღლი, სამ-სამი მონადირე წავა საკვებავად“-ო (იქვე 11$_{247}$). მონადირენი „გიორგობას კარზედ მოვლენ და თევდორობამდის კარზედ არიან-ო (იქვე 11$_{240-241}$). მათ განსაკუთრებული სარგო ჰქონდათ გადაკვეთილი და წესად იყო, რომ ორშაბათს მეორე ლამპრობას მეფე-დედოფალსა და დარბაზის მოჴელეებს უნდა დაესაჩუქრებინათ (იქვე 11$_{249}$–12$_{258}$).

ტყისმცველთ-უხუცესი და ტ ყ ის-მცველნი

მონადირეთ-უხუცესს, როგორც სჩანს, „ტყის მცველთა“-ც მონადირეობასთან კავშირი ჰქონდათ იმიტომ, რომ მაშინ ნადირობისათვის ტყეში ჯერგას აკეთებდენ ხოლმე და ისე ნადირობდენ. „**ტყის მცველნი**“[1] მოჴსენებული არიან თამარ მეფის 1189 წ. სიგელში (ქკ˜ბი II, $_{73--74}$). ამ **ტყისმცველთ** თავიანთი **უფროსიც ჰყოლიათ რომელთაც** სახელად „**ტყისმცველთუხუცესნი ეწოდებოდა** (1078 წ. სიგელი, ქკ˜ბი II, 50). რაკი ეს უკანასკნელი უმაღლესი თანამდებობა ტყისმცველებზე უწინარესს საბუთში იხსენიება, ამიტომ თვით **ტყისმცველთა თანამდებობაც თამარის მეფობამდისაც უნდა ყოფილიყო საქართველოში.** საყურადღებოა, რომ ტყისმცველთ-უხუცესნი მრავლობით არიან მოხსენებულნი. თუ აქ რაიმე შეცდომა არ არის ან მწიგნობრისა, ან გამომცემლის მხრივ, მაშინ ირკვევა, რომ ტყისმცველთ-უხუცესი, როგორც მოსალოდნელიც იყო, ერთი-კი არა ყოფილა, არამედ რამდენიმე, იქნება საქართველოს თვითოეულ კუთხისათვის, ან განთქმულ სანადირო ტყისათვის ცალცალკე. **„კ. გარიგება“ -ში ტყისმცველთ-უხუცესნი მოხსენებულნი არ არიან, მაგრამ ეს უეჭველია შემთხვევითი მოვლენაა** იმიტომ, რომ ეს ძეგლი მეტად დაზიანებულია. ტყის მცველნი მონადირეებსავით, რასაკვირველია, ბევრნი იქნებოდენ და ისინიც სხვებსავით ალბათ სახლობრივ და გვარეულობრივ იქმნებოდენ ტყის მცველთა თანამდებობის პატრონებად, „კ.

[1] თ. ჟორდანიას დაბეჭდილი აქვს: „ტყისმცველთა, უც˜ხთა (უცხოთა)“ (ქკ˜ბი II, 7$_{41}$). დედანში რასაკვირველია მძიმე არ იქნებოდა. ამას გარდა საფიქრებელია, რომ აქ „უცხოთა“ ან სწორედ არ უნდა იყოს წაკითხული, ან არადა თვით დედანში შეიძლება შეცდომა იყოს. ალბათ უნდა წერებულიყო „ტყის მცველთა უხ˜ცთა,“ რაც უდრის „**ტყისმცველთა უხუცესსა**“. ამგვარად ვგონებ თამარ მეფის სიგ.-შიაც „ტყის მცვილნი“-კი არ უნდა ეწეროს, არამედ „ტყისმცველთ-უხუცესი“.

გარიგება“-ში, იქ სადაც მონადირეთა რაოდენობა არის დასახელებული, თავდაპირველს დედანში მონადირეთა რიცხვიც ყოფილა მოხსენებული, მაგრამ მერმე დროთა განმავლობაში გადამწერთ რიცხვი გამორჩენიათ და ახლა შერჩენილი და არის მხოლოდ: „ტყის-მცველნი: კიდე არიან“-ო (11246), ხოლო რაოდენობა-კი შენახული არის.

არავითარი ცნობები სახელის მეტი არ მოგვეპოვება ძველ ქართულ წყაროებში და ამის გამო დანამდვილებით არა ვიცით რა, თუ რა თანამდებობა იყო „**ჩუხჩერახობა**“ (ისტ˜რნი და აზ˜მნი * 632, გვ. 410) და რა უფლება-მოვალეობა ჰქონდა „**ჩუხჩერახ**“-ს (იქვე * 622 და 632, გვ. 396 და 410) ან „ჩუხჩერას“-ს (მეფის კურთ. წესი 67). ცხადია მხოლოდ, რომ ეს მოჴელეობაც საპატიო უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ „**ჩუხჩერახი**“-ც იმ ჴელისუფალთა შორის ყოფილა, რომელნიც თამარ მეფემ „დასხნა სასთაულითა (ისტ˜-რნი და აზ˜მნი * 632, გე. 410). ამას გარდა ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ „ჩუხჩარეობა“ ისეთ დიდ გვარის შვილებს ჰქონდათ, როგორიც იყვნენ დადიანი და მარუშიანი (იქვე 622, გვ. 396 და 410). სახელის მეტი არა ვიცით რა არც „**ეზოთ-უხუცესი**“-ს შესახებ, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ მეფის კურთხევის წესში, ისიც ერთხელ გვხდება იქ, სადაც აღწერილია, თუ როგორ უნდა გამგზავრებულიყო სამეფოდ გამზადებული საყდარში. „**ეზოთ-უხუცესსა,** ჩუხჩერახსა და მეაბჯრეთ-უხუცესსა სამეფო ფარი ღა ლახტი ჰქონდეს და ქარქაში, უკანა უდგეს მეფესა“-ო (67-8).

ვაზირობა

„ვაზირობ“-ის თავი-და-თავი მნიშვნელობა (ვაზირთა ბჭობა და თათბირია, მაგრამ შემდეგ საზოგადოდ ყოველგვარს თათბირსაც და მზრუნველობასაც დახმარებას უწოდებდენ მაგ. „ვეფხის ტყაოსან“-ში სწერია:

„მეფეთა ესე **თათბირი,** ვაზირთა ნავაზირევი“-ო.

(კარიჭ. 67411, კაკაბ. 45392).

ასმათმა ტარიელს უთხრა:

„რათგან ღმერთსა **ვაზირობა** შენი ჩემსზედ მოუგდია“-ო.

(კარი. 42270, კაკაბ. 45253).

უსენის ცოლი ფატმანი ამბობს:

„უსენ მითხრა: „არ მინახავს ძაღანითგან მეფე ჩუენი,

მივაზირებ, წავალ, ვნახავ, უდარბაზო, უძღუნა ძღუენი“

კარიჭ. 191141, კაკაბ. 151116

აბუსერიძე ტბელსაც ნათქვამი აქეს: ს... **ბაკოელთა...** ვაზირობითა და შემოხუეწითა **ჴელ-ვყავ** ეკლესიისა... აღშენებაჲ“-ო (ქკ˜ბი IL 1212-3). ვაზირობას საქართველოს საჴელმწიფო ცხოვრებაში, განსაკუთრებით საჴელმწიფო საქმეებზე ვაზირთა ბჭობასა და თათბირს ემახდენ: ასეთი მნიშვენელობა აქვს ამ სიტყვას „კ. გარიგებაშიც (18429, 19449-451), მაგ. იქ ნათქვამია: მსახურთა უხუცესი მეჭურჭლეთ-უხუცესისა გეერდით ზის ვაზირობასა ზედან, ამირახორსა მათ (ვაზირთა) უკანით ვითა ზესკამი უთქს და **ვაზირობა ესმის და იგი არას იტყჳს**“"-ო (იქვე 19449-451). ესე იგი ამირახორს ვაზირთა თათბირის მოსმენა შეუძლიან, თვითონ-კი ამ თათბირში დაუკითხავად ჩარევა და თავის აზრის გამოთქმა არ შეეძლოო. თვით ვაზირობას ვითარცა დაწესებულებას „**სავაზირო**“ (იქვე 19448) რქმევია.

როდესაც ვაზირობა დაინიშნებოდა და უნდა მომხდარიყო, ვაზირთათვის უნდა შეეტყობინებინათ, **„მოახსენონ** ჭყონდიდელსა და ათაბაგსა, ჰამირსპასალარსა, მეჭურჭლეთ-უხუცესსა, მსახურთა უხუცესსა და ამირახორსა“-ო (კ. გარიგება 18429-19431). თუმცა „კ. გარიგება“-ში მოხსენებული არ არის, მაგრამ თავისდათავად ცხადია, რომ ვაზირობაში მანდატურთ-უხუცესიც იღებდა მონაწილეობას. მხოლოდ ამ ჴელისუფალთ, ვითარცა

ვაზირებს, უფლება ჰქონდათ სავაზიროში მონაწილეობა მიეღოთ. წინათ, რუსუდან მეფემდე თურმე მსახურთ-უხუცესსაც-კი არ შეეძლო ვაზირობის ბჭობაში მონაწილეობა მიეღო და პირველად „მსახურთ-უხუცესი მანაველი რუსუდან მეფეს შუყვანია სავაზიროსა“-ო, ნათქვამია „კ. გარიგება“-ში (19446-447). სანამ თამარ მეფე ათაბაგობას დააწესებდა საქართველოში, რასაკვირველია არც ათაბაგი იქმნებოდა სავაზიროს მონაწილედ. მაშასადამე თავდაპირველად სავაზიროს წევრებად მხოლოდ ოთხი სწორ-უფლებიანი ვაზირი იყო და ერთი ვაზირის თანაშემწე, საერთოდ ხუთი ჭელისუფალი.

როგორც საისტორიო თხზულებებითგან ირკვევა თამარ მეფეს ვაზირობისა და დარბაზობის ძველს წესში რაღაც ცვლილება უნდა შეეტანა. დიდებულ მეფის ისტორიკოსი ამბობს: თამარ მეფემ ვაზირებს „**შთააცვეს სკარამანგი** ტანსა მათსა [და] **დასვეს სელებითა ოქროჭედილებითა რომელნიმე მარჯვენით მისსა და რომელნიმე მარცხენით... და დასხნა სასთაულითა**“-ო (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 631-632, გვ. 410). ამ ცნობითგან სჩანს, რომ ვაზირებს ოქროქსოვილი სკარამანგის ტანისამოსი სცმიათ დარბაზობისა და ვაზირობის დროს. ვაზირობის შესახებ საგულისხმიერო ცნობები „კ. გარიგება“-შიც საკმაოდ მოიპოვება. იქა სწერია: ვაზირობისათვის „**დაფინოს ორხოვა არეშთ-უხუცესმა მომცრო** და **ზედ სასთაული დადვას**“-ო (19431-432). **ეს მეფის საჯდომი იყო**. შემდეგ „მოიღონ **სუფრის ნოხი** და **მომრგვარებით დაფინონ პირისპირ. თავსა სუფრის ნოხისასა სელნი დადგან**“-ო (იქვე 19432-434). ეს კიდევ ვაზირთა საჯდომები იყო. ამგვარად ორივე ქართული წყარო, ერთხმად გვიმოწმებენ, რომ **ვაზირები დარბაზობასა და ვაზირობის დროს სელებზე ისხდენ**. სელი დასაკეცი უმისაყრდომო საჯდომი იყო. თამარ მეფის ისტორიკოსს უფრო ზედმიწევნით აქვს აღწერილი **ეს საჯდომები** და მისი სიტყვით **ოქროჭედილი სელები ყოფილა.** რაკი ვაზირები მაღალ საჯდომებზე ისხდენ. ამიტომ ცხადია **მეფეც ან სკამზე ან ტახტზე უნდა მჯდარიყო.** თამარ მეფის ისტორიკოსისაგან ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს მეფე იჯდა „**ტახტსა ზედა ოქრო ჭედილსა**“ (ისტ˜რნი და აზმ˜ნი * 668 IIIIIIIII, გვ. 458 IIIIII). თვით „კ. გარიგება“-ში ეს გარკვევით აღნიშნული არ არის და თითქოს იქ ისე გამოდის, რომ მეფე სასთაულზე იჯდა, რომელიც თითქოს მომცრო ორხოვზე იდვა. ვაზირობის დროს შესაძლებელია მეფე ტახტს გარდა სკამზეც მჯდარიყო, რომელზედაც მომცრო ორხოვა ყოფილა დაფენილი და ზედ სასთაული დებულა. **მეფესა და ვაზირებს წინ „სუფრა“, ხის ფერხედი მაგიდა ედგათ, რომელზედაც „სუფრის ნოხი“ იყო გადაფენილი**. „კ. გარიგება“-ში აქაც „სუფრის ნოხი“-ა მარტო მოხსენებული და თვით „სუფრ“-ის, ესე იგი ფერხედ მაგიდის, დადგმის მოხსენება დაჰვიწყებია, იქნებ იმიტომ რომ თავისდათავად ნაგულისხმევია. „კ. გარიგებ“-ისდა მიხედვით იმის გამორკვევაც შეიძლიება, თუ რა ადგილას უნდა მდგარიყო ვაზირობის დროს მეფის საჯდომი. იქ სხვათა შორის ნათქვამია „მე აწოლეთ უხუცესი სალაროს კარის გამოსავალსა დგას გარეთ მეფის ზურგით, მოლარეთ-უხუცესი სალაროს კართა შიგან დგას გამოსავალსა“-ო (19455-457). მაშასადამე **მეფის ზურგით სალაროს კარის გამოსავალი ყოფილა**. თვით **მეფის საჯდომი თუ დარბაზის შუაგულს არა, კედლებსა და კარებზე მაინც მოშორებით მდგარა**. „სუფრის“ თავს „სელნი” მდგარა ვაზირთათვის, მაგრამ რასა ჰნიშნავს აქ თავი, ძნელი გამოსარკვევია. თამარ მეფის ისტორიკოსს უკეთესად აქვს ეს აღწერილი, იგი ნათლად ამბობს, რომ ვაზირები „რომელნიმე მარჯუენით" მეფისა ისხდენ, „რომელნიმე მარცხენით“, მაშასადამე **ვაზირები მაგიდის ორთავ მხრივ მსხდარან, მეფე კი შუაში თავში. როცა სხდომა უნდა დაწყებულიყო, მსახურთ-უხუცესს უნდა ეთქვა „ბრძანეთ“-ო და იმ წამსვე „ჯალაბი გაიყაროს“-ო** (კ. გარიგება 19434-435), ესე იგი ქალები და ყმაწვილები, ალბათ სამეფო და ან იქნებ დარბაისელთა სახლობაც, დარბაზთგან უნდა გასულიყვნენ. **ამის შემდგომ ვაზირთაგან პირველი** ვითარცა „ვაზირთა ყოველთა უპირველესი „**მწიგნობართ უხუცესი „ჭყონდიდელი ნოხთავე პირს მიბრუნდეს**“-ო (იქვე 19435-436). **იგი თავის ალაგს დაიჭერდა. შემდეგ „ათაბაგსა, ამირსპასალარსა მოახსენონ“ და ისინიც „მობრუნდენ“** (იქვე 19436) **და თავთავიანთი ალაგი დაიჭირონო**. ჭყონდიდელს ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდენ“-ო (იქვე 19440-441). ამავე წესით **მეჭურჭლეთ-უხუცესიც** (იქვე 19437) **დაჯდებოდა** თავის ალაგას. ამას გარდა **მანდატურთ უხუცესიც,** რომელსაც ამირსპასალარის სწორი პატვი ჰქონდა (იქვე 19443-444) **და რუსუდან მეფის დროითგან მოყოლებული მსახურთ-უხუცესიც** დასხდებოდენ, სადაც

ეკუთვნოდათ. „**აწე მსახურთ უხუცესი მეჭურჭლეთ-უხუცესისა გვერდით ზის ვაზირობასა ზედან**“-ო (იქვე 19449).

რაკი **ამირახორი სწორუფლებიანი ვაზირი არ იყო** და მხოლოდ ამირსპასალარის თანაშემწე ვაზირად ითვლებოდა, ამიტომ **მისი საჯდომიც ვაზირთა უკან იდგა** და თვით თათბირში, **ვაზირობა-შიც ჩარევის უფლება არა ჰქონდა:** „ამირახორსა მათ (ვაზირთა) უკანით ვითა **ზესკამი** უთქს და **ვაზირობა ესმის და იგი არას იტყჳს რასაც არა ჰკითხვენ და რაჲ ჰკითხონ მაშინ-ღა პასუხს იტყჳს**“-ო (იქვე 19449-452). მაშასადამე, **მას მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონია. არა-ვაზირთაგან,** დარბაზის კარსა მყოფ მოჴელეთაგან **ვაზირობას მხოლოდ ამირახორი, ამირეჯიბი და საწოლის მწიგნობარი ესწრებოდა** (იქვე 19453-455). ვგონებ სხვა მწიგნობრებიც უნდა ყოფილიყვნენ აუცილებლად, მაგრამ სავაზიროს გარეთ იდგენ და ბრძანებს უცდიდენ. ვაზირობის დროს „**საწოლის მწიგნობარი ჭყონდიდლისაკენ დგას კედლის ძირსა, საწერელი აქვს ტავისი, ამირეჯიბი შუაზედ თავისი, ამირეჯიბი შუაზედ**“ იდგა (იქვე 19453-455). ხოლო „მესაწოლეთ-უხუცესი სალაროს კარის გამოსავალსა დგას გარეთ მეფის ზურგით“-ო (იქვე 19455-456). მოლარეთ-უხუცესი-კი „სალაროს კართა შიგან დგას გამოსავალსა“-ო (იქვე 19456-457).

„სავაზირო“ დარბაზს სადაც ბჭობა და ვაზირობა იყო, იცავდა მრავალრიცხოვანი მოჴელეთა დარაჯა, რომელთაც თავ-თავიანთი ადგილი ეჭირათ, მაგ. „საწოლის მეკარე კარს გარეთ არის, ზურგი შემოუქცევია კარით ან გამოუხშავს, ჴელთ არგანი აქვს, ქვე ზის და, ვისაც უბრძანებენ, შემოიყვანს“ (იქვე 20461-464) სავაზიროშიო. საწოლის მეკარეს წინ კიდ „მერიგე შორსა დგას“ (იქვე 2264), ხოლო უფრო მოშორებით „მანდატურნი გარეშემო შორს დგანან და ვისაც არ უბრძანებენ, არავის მიიყვანენ სიახლოესა“-ო (იქვე 20462-465[1]). მცველი გარდა **სავაზიროს გარეთ** იყვნენ და **ბრძანებას უცდიდენ დარბაზის კარსა მყოფნი მოჴელენი**, რომელთაც უფლება არა ჰქონდათ ვაზირობას დასწრებოდენ. ისინი მზად უნდა ყოფილიყვნენ და ვაზირებს, „ვინც უნდათ მეაბჯრეთ-უსუცესსა, განმგეთ-უხუცესსა, საჭურჭლის ნაცვალსა, მესტუმრესა, ზარდახნის მწიგნობარსა - და **ვინცა ჴელის-უფალნი სამოციქულოდ უნდათ, შეასხმენ“ სავაზირო დარბაზში და საგანგებო მინდობილობით „გაგზავნიან“-ო** (იქვე 19457-20460). **ვაზირობის დადგენილებას „მწიგნობართ ჭყონდიდელი გადასცემს“. ისინი ამ ბრძანებას „ასწერენ და იურვიან, რაც სასაურვო იყოს**“-ო (იქვე 20460-461).

საქვეყნოდ გამრიგე მოჴელენი

3იდრე საქართველოს სამეფოს საქვეყნოდ გამრიგე მოჴელეთა შესახებ. გამოკვლევას შევუდგებოდეთ, მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ საამისოდ ჯერ საკმაო მასალები არ მოიპოვება და ამისგამო ამ საკითხის სრულად გაშუქება არ შეიძლება. საფიქრებელია და ამის დამამტკიცებელი საბუთებიც გვაქვს, რომ საქართველოში გაერთიანებამდე სხვადასხვა სამეფოში, საერთო დაწესებულებებს გარდა, თვითოეულში რამდენიმე ადგილობრივი, განსხვავებულ ლი თანამდებობაც იყო, იქნებ იმდენად არსებითად არა, როგორც სახელებით მაინც.

ამას ცხად-ჰყოფს თუნდაც კახთა სამეფოსა „ქორეპისკოპოსობა“. კლარჯთა მფლობელობის „მამფალობა (იხ. ქ˜ლ ერის ისტორია II, 395--396), ტ:ო-კლარჯეთის „ტანუტრობა“ (იხ. ქვემოთ), სოთხმიზდურობა“ დასავლეთ საქართველომი და სხვა.

როდესაც ქართველთა სამეფოები ერთ საჴელმწიფოდ იქცენ და საქართველო გაერთიანდა, ქართულ სამართლის სწორედ ამ დარგში, სამოხელეო. წესწყობილებაში, უნდა უფრო დიდხანს და უკეთესად ვიდრე სხვა დარგებში 'შენანხულიყო ადგილობრივ

[1] დაბეჭდილია: 265. {რედ.}

განსხვავებულ დაწესებულებათა თუ სამოჯელო სახელეობისა კვალი აქა-იქ ცნობებიც მოგვეპოვება, რომ მართლაც შენახული იყო.

საქართველოს საჯელმწიფო წესწყობილების, სამოჯელეო დარგის შესწავლისათვის ძვირფას წყაროებად განსაკუთრებით მეფეთა სიგელები უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროდ მე-IX-XII ს.ს. სიგელები ცოტა გვაქვს შენახული თუ აღმოჩენილი, ამასთანავე კახეთითგან ჯერ არც ერთი არ მოგვეპოვება და მხოლოდ ორია გელათური, მაშასადამე, დასავლეთ საქართველოჲსა. სწორეთ ეს ორი გელათური სიგელი, რომელშიაც მხოლოდ „ოთხმისდური“-ა შენახული, ამტკიცებს, როდენი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა კუთხის საბუთებს სამოჯელეო წესწყობილების **სრული** სურათის აღსადგენად. რაკი ჯერ-ჯერობით ამგვარი მასალები. ძალიან ცოტაც გვაქვს და საქართველოს ყოველის მხრითგან არ არის შენახული, ამიტომ ამჟამათ მკვლევარს შეუძლიან საქართველოს საქვეყნოდ გამრიგეთა მხოლოდ საზოგადო დაწესებულებაზე ილაპარაკოს, რაც კუთხობრივ სხვაობის დამახასიათებელი ცნობები მოიპოვება, რასაკვირველია, ქვემოთ ისიც აღნუსხული იქმნება.

მაგრამ მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ქვემდებარე გამოკვლევა საქართველოს სამეფოს საქვეყნოთ გამრიგეთა სამოჯელეოს წესწყობილების **სრულ სურათს არ შეიცავს**.

საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა შორის პირველი ადგილი ერისთავთ-ერისთავებსა და ერისთავებს ეჭირათ. „**ერისთავი**“ (მქც˜ჲ ქ˜ჲ Опис. II, 721 ლ. მროველი ც˜ა მფ˜თა -128, გვ. 20-21 და სხვაგან. ჯუანშერ ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜ოლსა. * 407, გვ. 190, * 410, გვ. 192 და ბევრგან სხვაგანაც). ანუ როგორც იგი უძველეს ქართულ წყაროებში იწოდება, „**ერისმთავარი**“ (ც˜ჲ აბოჲსი 15[1, 2, 15], 50[16], და 22[22] და სხვაგანაც, მაგ. ჟამთაღ. * 798-799, გვ. 638 „მრავალნი **ერისმთავარნი**“) ორნაწილედღი სიტყვაა და თავდაპირველად ჯარის-უფროსსა ჰნიზნავდა. ეს გარემოება ჯერ კიდევ კარგადა სცოდნია ლეონტი მროველს, რომელიც ერისთავებს სპასალართა და ათასის-თავთა ჯგუფმი ათავსებს (ც˜ა მფ˜თა * 130, გვ. 21). ძველ ქართულ თარგმანებშიაც ერისმთავარი ბერძნულს „სტრატეგოს“-ს და სომხურ“-ს „ზორავარს“ ანუ ჯარის უფროსს უდრის ხოლმე (ქ˜ლ სამართლის შესავალი).

დროთა განმავლობაში ერისმთავარი სამოქალაქო მოჯელეობის სახელად იქცა. ერისმთავარის მაგიერ მაშინ მარტივად „**მთავარიც**“ იხმარებოდა ხოლმე (ც˜ი სრ˜პნ ზრზმლსჲ 9, 11, 23; ც˜ჲ ნინოჲსი Опис. II, 766). თანდათან. „მთავარს“ ერისთავზე უფრო მაღალ-ხარისხოვან თანამღებობის მნიშვნელობა მიენიჟა ისე, რომ მთავარი და ერისთავი ორ თითქმის სხვადასხვა თანამდებობად ითვლებოდა, მაგ. გ˜ი მთაწ˜მდლის ც˜ა ში სწერია, რომ თურქთა შემოსევის დროს ბაგრატ IV დროს „დიდ-დიდნი და წარჩინებულნი **მთავარნი და ერისთავნი** სამეფოსა ჩუენისანი ძჯრ-ძჯირად მოისრნეს-“ო (გვ. 329).

თვით სიტყვაც „მთავარი“ ბერძნულს „არხონს“ უდრიდა. რაკი ერის თავებს ქვეყნის ამა-თუ-იმ თემის მართვა-გამგეობა ებარათ, ამიტომ თვითოეუდს, მათგანს თავისი „**განსაგებელი**“ (ლეონტი მროველი, ც˜აა მფ˜თა * 295, გვ. 118) ჰქონდა, რომელსაც „საერისთავო“ (ჯუანშერ, ც˜ა ვხ˜ტნგ გრგს˜ლსა *407, 410, გვ. 190, 192), ანუ „**სამთავრო**“ (ც˜ა მფ˜სა დ˜თსი *546, გვ. 313) ეწოდებოდა. ხოლო თვით ამ ჯელისუფლობას „ერისმთავრობაჲ“ (ც˜ჲ ჰაბოჲსი 15[15], და 22[22]) ანუ „**ერისთავობა**“ (მტ˜ნე ქ˜ჲ * 487, გვ. 260. ისტ˜რნი და ა˜ზ მ˜ნი * 632, გვ. 411) ერქვა. რაკი თვით ერისთავისა და მთავრის მნი'შვნელობა შეიცვალა, ამისდაგვარად თვით „სამთავრო“-საც საერისთავოზე უაღრესი მნიშვნელობა მიენიჭა.

არსებობდა თუ არა წინათ „ერისთავთა – ერისთავი“ ჯერ ამის გამოსარკვევად საჭირო ცნობები არ მოგვეპოვება, მხოლოდ დანამდვილებით ვიცით, რომ მე-IX-ე საუკუნეში უკვე არსებობდა ეს თანამდებობა.

ვინ იყო და რა იყო ერის მთავარი, ანუ ერის თავი? იგი იყო „მთავარი“ და უფალი **ადგილთა მათ**... და **მპყრობელი ყოველთა მათ სანახებთა**“-ჲ (ც˜ჲ სრ˜პნ ზრზმლსჲ 10-11). მაშასადამე იგი თავის საერისთავოში გამგე და მბრძანებელი, ბატონი და მპრობელი იყო. რაკი ის საერისთავოში უფალი ყოფილა და ბრძანების გაცემა შეეძლო, ამიტომ მისი საერისთავო მისი „**განსაგებელი** იყო“ (ლ. მროველი ც˜ა მფ˜თა * 295 გვ. 118) და „**საბრძანებელი**“-ც (ც˜ჲ სრ˜პნ ზრზმ˜ლსჲ 23). იმას გარდა რომ ერისთავი საერისთავოს გამგე იყო, ძველ დროს „მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერითავო“-ო (ლეონტი მროველი, ც˜ჲ მფ˜თა * 130,

გვ. 21). ესე იგი სახელმწიფო გადასახადების აკრეფისათვის თვალყურის დევნება ვალად სდებია. მაგრამ შესაძლებელია ეს მხოლოდ თავდაპირველად ყოფილიყო და შემდეგში გადასახადების აკრეფა განსაკუთრებულ მოჴელეთა ჴელში იყო, ერისთავისა და ერისთავთ-ერისთავის უფლება მოვალეობის შესახებ საისტორირ მატიანეში „ძეგლი ერისთავთა“-ში მეტად საგულისხმიერო და ძვირფასი ცნობებია შენახული. ამ თბზულებითგან სჩანს რომ ერისთავს ჰქონია:

„**განსაგებელი ეკლესიისა, მსახურება (მეფისა)**.. და მთარობა... მათ **ჴევთაჲ**“ (ქ˜კ ი IL, 4). იმავე ნაწარმოებში მითხრობილია, ვითომც კეისარმა ლარგველის ერისთავად დადგენის დროს **„მიუბოძა შვიდნი ესე განსასებლად, ეკლესიანი და ყოველნი აზნაურნი მკვიდრნი მას შინა“-ო** (ქ˜კბი II, 4). ამ ორ ამონაწერითგან სჩანს, რომ **ერისთავი საერისთავოს მკვიდრთა და ქვეყნის გამგე იყო, მას ექვემდებარებოდენ** მარტო გლეხები კი არა, არამედ **აზნაურნიც** მის განსაგებელს მორჩილებოდენ **ეკლესიებიც**-კი, რასაკვირველია იმდენად, **რამდენადაც ეკლესიას სამოქალაქო მთავრობასთან დამოკიდებულება ჰქონდა, ერისთავს გ.ნსაკუთრებული სამოსელი ეცვა**.

„ძეგლი ერისთავთა"-ს სიტყვით ეს სამოსელი იმ გვარი იყო, როგორიც ბიზანტიის მეფეს იუსტინიანეს ეცვა (ქ˜კბი II, 4). ამას გარდა **ჰქონდა „ბეჭედი და საყურე და სარტყელი**“, აგრეთვე „**ცხენი თოროხანი, დროსა და შუბი**“ (იქვე, ქ˜კბი II 4).

ერისთავთ-ერისთავს ჰქონდა „მთავრობა ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა, რომელნი მკვიდრ არიან“ მის საბრძანებელში (ძეგლი ერისთავთა, ქ˜კბი II, 4). მაშასადამე **ერისთავს დიდებულებზე ჴელი არ მიუწვდებოდა,** მათ მთავრად შეიძლებოდა ყოფილიყო და იყო კიდეც მხოლოდ ერისთავთ-ერისთავი. „შემდგომად მეფისა“ მისი „იყვნენ მორჩილი“ დიდებულნი და აზნაურნი. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ **ყოველნი დიდებულნი და აზნაურნი და მის საბრძანებელის დანარჩენი მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ „თანა მოლაშქრე ერისთავთ-ერისთავისა“ -ო** (იქვე II, 4). მის ჴელქვეით უნდა გასულიყვნენ ბრძოლის ველზე.

მთავარი და ერისთავთ-ერისთავი ძლიერი და გავლენიანი, ქონებრივადაც შეძლებულნი ჴელისუფლები იყვნენ: იგი სხვებს „ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთათა... მრავალთა ტაძართა და კარავთა“ მფლობელი იყო ხოლმე (ც˜ᲲᲐ სრ˜ᲠᲜ ზრზმ˜ლსᲲ 9) ზოგჯერ ისინი იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ „სიმდიდრესა ზედა მკლავისა თჳსისა მოქიდულნი და სიმრავლისა ზედა ერისა აღზვავებულნი“ თვით მეფესაც-კი ებრძოდენ ხოლმე (ქ˜ლ ერის ისტორია IL, 469). ვითარცა რაინდულს ზნეს შეჰშვენოდა, ამგვარი მთავარი, როდესაც-კი მოცლილი იყო. „უმრავლესთა ჟამთა ინადირობნ“ (ც˜Ჲ სრ˜ᲠᲜ. ზრზმ˜ ლსᲲ 10).

იგივე ნიშნები, რაც ერისთავსა ჰქონდა, განსაკუთრებით დროშა, ერისთავთ-ერისთავსაც უნდა ჰქონდია. როგორც ეტყობა **დარბაზობის დროს ერისთავთ-ერისთავს ის უპირატესობა ჰქონნია. რომ „მისსა საჯდომსა უკანით“ მის საგანგებო მოჯელეს მოლარეთ უხუცესს ფარი და ჴრმალი ეჭირა ხოლმე**. ეს იქიდან სჩანს რომ მტბევარის შესახებ „კ. გარიგება-“ში ნათქვამია: დარბაზობის დროს „მისსა საჯდომსა უკანი მისსა მოლარეთ-უხუცესსა ფარი და ჴ[რ]მალი აქვს უკანით“-ო (15329-331) და თანაც იქვე აღნიშნულია, რომ მტბევარს ეს უპირატესობა იმიტომ ჰქონდა, „რომე ერისთავიცა არის შავმეთისა“-ო (იქვე 15331). მაშასადამე დარბაზობის დროს ერისთავებს ჩეეულებრივ საჯდომს უკან მათი მოლარეთ-უხუცესნი უდგნენ ფარითა და ჴრმლითა.

გრიგოლ ერისთავთ-ერისთავის 1927-1230 წ. შეწირულობის წიგნი ამტკიცებს, რომ **ერისთავთ-ერისთავს მის საბრძანებელში გლეხთა სამოსამართლო საქმეებიც ეკითხებოდა საეკლესიო გლეხთ გარდა** რასაკვირველია. ამ სამოსამართლო. საქმეების გარჩევა და დაურვება მის საერისთავთ-საერისთავოს მამასახლისებს ჰქონიათ ჩაბარებული (ქ˜კბი II 98). **ამ სამოსამართლო საქმეების გარჩევა-ზედამხედველობისათვის ერისთავის სასარგებლოდ სასამართლო. ჯარიმის განსაზღვრული წილი ყოფილა დაწესებული**, რომელსაც ეწოდებოდა „**კერძი საერისთავოᲲ**“ ქ˜კბი II, 9814-15). როდესაც საქმე ნაპარევ“-ე ეხებოდა, ეს „საერისთავოᲲ“ თურმე ერთს მეშვიდედს შეადგენდა, „**შვიდეოლი**“ იყო (იქვე II, 9812-14).

ერისთავების უმთავრეს სარგოს ჯერ ერთი საგანგებო დაკვეთილი გადასახადი „გამოსავალი“ შეადგებდა, რომელსაც „**საერისთავოჲ გამოსავალი**“ ერქვა (1058 წ. სიგ. შიომღ. ისტ. საბ. 4[1]. 1079 წ. სიგ. იქვე 11[14-15]). ამ ჩვეულებრივ და მუდმივ სარგოს გარდა, „**დაჭირვებასს რას ჟამსა**“, ან **ლხინსა“** ერისთავსა, **ერისთავის სასარგებლოდ ერთდროულ შესაწევარი და ძღვენი, „ბეგარაი" უნდა გადაეხადათ** (1227-1230 წ. გრიგოლ ერისთ. შეწირ. წიგ. ქ˜კბი II, [16-18]).

ერისთავთ-ერისთავს მრავალი ქვეშეთი მოჯელეები „კელისუფალი“-ც-კი (1227-1230 წ, საბ., ქ˜კბი II 98) **ჰყავდა, მათ შორის** რასაკვირველია იყვნენ **ყეელა მის თემის ერისთაგნი, საკუთარი მწიგნობართ-უხუცესი** (მ˜ტნე ქ˜ჲ * 495, გვ. 267), **მოლარეთ- უხუცესი** (იხ. ზემოთ) **და მრავალი მსახური** ამიტომაც არიან ერთს ხელნაწერში მოხსენებულნი „**ყოველნი ერისთავნი და აზნაურნი, მღდელნი და ყოველნი მსახურნი ერისთავთ-ერისთავისა**“ (ქ˜ლ ერის ისტორია II, 468). მას ჰყავდა „**წინაშემდგომელნი**“ და **საკუთარნი**“ (ც˜ჲ სრ˜პნ ზრზ˜მლსჲ 11), „**კჯირცხელ-მავალნი**“ (იქვე 12) და **მალე მსრბოლნი**, საგანგებო კაცნი, რომელნიც იყვნენ „**მსრბოლ გზათა შორთა**“ (იქვე 38).

თვისსა საერისთავთ-ერისთავოსა და საერისთავოში **ერისთავთ-ერისთავსა და ერისთავს ქვეშეთ მოხელეებად ჰყავდათ ციხისთავნი, ჴევისუფალნი, მამასახლისნი და გზირნი**. გრიგოლ ქართლის ერისთავთ-ერისთავს მაგ. თავის შიომღვიმის მონასტრისადმი მირთმეულს 1227-1230 წ. შეწირულობის წინგში ნათქვამი აქვსო: „გარეთ ვინც მაწყინარი გამოჩნდეს მღუმის გლეხთაი, **მამასახლისი ჩუენი** ესე იურვოდეს... სხუაი ყოველი ამიჴდია ჩუენი ბეგარაი... **და ნუც ჩუენს დაჭირვებასა რას ჟამსა და ნუც ლხინსა ნუ რათ შვუვალს:** ნუ **მამასახლისი**, ნუ **ჴელისუფალი (ჴევისუფალი?)**, ნუ **ციხისთავი**, ნუ **გზირი**, ნუ **მსახური**“ ო (ქ˜კბი II, 98[15-19]). მაშასადამე ერისთავთ-ერისთავის სარგო „ბეგარი“-სა ან სხვაგვარ შესაწევარის („დაჭირვებასა რას ჟამსა“), ან ძღვენის („ლხინისა“) ასაკოებად და საზოგადოდ ერისთავთ ერისთავის ბრძანების ასასრულებლად ხელისუფალნი (თუ ჴევისუფალნი?), ციხისთავნი მსახურნი, მამასახლისნი და გზირნი ყოფილან განჩენილნი: ესენი ემორჩილებოდენ მას ვითარცა უფროსს.

„**ციხისთავნი**“ (ბაგრატ IV. სიგ. შიომღ. ისტორია საბ. 14, გიორგი მეორის სიგ. შიომღ. ისტორია საბასი 12, ს. კაკ. შიომღ. სამი სიგ. ნ. თამარ მეფის 1189 წ. სიგ., ქ˜კბი IL, 73-74 და სხვაგან) რასაკვირელია, მარტო ციხისუფროსნი არ იყვნენ. თუმცა უეჭველია პირადად მათ ექვემდებარებოდენ „**ციხოვანნი**“ (მ˜ტიანე ქ˜ჲ * 494 და 495, გვ. 266 და 267. * 510, გვ 279 და ბევრგან სხვაგანაც). მაგრამ ციხისთავად იმავე დროს პატარა ქალაქების უფროსებიც იწოდებოდენ: ის, რაც დიდ ქალაქისათვის ამირთ-ამირა იყო, იგივე პატარა ქალაქისათვის ციხისთავი იყო. მაგ. ცნობილია ქ. მცხეთისა ციხისთავი, ქ. „**ატენისა ციხისთავი**“ (ატენის სიონის IX ს. წარწერა იხ. Къ вопросу о времени постр. груз. храма въ Атени. ХВ. I, III, 286[2]), „**მუხნარისა ციხისთავნი**“ (გიორგი II სიგ., შიომღ. ისტ. საბ. 14) და სხვანი.

ციხისთავის უფლება-მოვალეობის შესახებ IX-XIII. ს.ს. განმავლობაში სხვა ცნობები არ მოიპოვება. საბუთებითგან სჩანს, რომ როგორ ერისთავისა სასარგებლოდ საერისთავო სარგო იყო დაწესებული, ისევე ციხისთავთათვისაც საგანგებო. „**საციხისთავო**“ გადასახადი არსებობდა (ბაგრატ IX 1058 წ. სიგ. შიომღ. ისტ. საბ. 4[1]. გიორგი IL1072 წ. სიგ., იქვე 11[14-15]).

„ჴევისუფალნი“ (ბაგრატ IV 1058 წ სიგ., შიომღ. ისტ. საბ. 4[14]. გიორგი II 1072 წ. სიგ., იქვე 12[5]) როგორც თვით სახელიც გვიჩვენებს ჴევის უფროსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რა-და-რა საქმეები ეკითხებოდა მას, ამაზე არავითარი ცნობები არ მოიპოვება, ჴევისუფლის სარგოც არსებობდა, რომელსაც. „**საჴევის-უფალო**-“ი ეწოდებოდა (1058 წ. სიგ., შიომღ. ისტ. 4[2], და 1072 წ. სიგ. იქვე 11[15]).

როგორც ზევით უკვე აღნიშნული იყო ერისთავს დასასრულ სოფლის „**მამასახლისი**“ (ბაგრატ კურაპალატის კანონები. გრიგოლ ერისთავის 1227-1230 წ. შეწირ. წიგნი, ქ˜კბი IL, 98[4, 6, 15 და 18]) და **გზირი**“ (თამარ მეფის 1189 წ. გელათის წყალ. წიგ., ქ˜კბი II 74[2][1]) გრიგ. ერისთავის 1227-1230 წ. შეწირ, წიგ., იქვე IL, 98[18]). გრიგოლ ქართლის ერისთავთ-ერისთავის

[1] თ. ჟორდანიას დაბეჭდილი აქვს „მზირთა", მაგრამ ცხადია აქ კორექტურული შეცდომა უნდა იყოს.

შეწირულობის წიგნი ამტკიცებს, რომ მამასახლისს საგამგეო მოვალეობის გარდა სოფლის მოსამართლისა და დამაურვებელის მოვალეობაც ჰქონია დაკისრებული. „ჩუენისა კაცისაგან **სამართალი მამასახლისმან ჩუენმან აიღოს**“-ო (ქ˜კბი II, 98$_{4}$), „**მამასახლისმან** და მღუიმის ხელისუფალმან **მართლითა სამართლითა დაუურვონ**“-ო, „**მამასახლისი ჩუენი „ესე იურვოდეს**“-ო. (იქვე II 98$_{6-7\ 15-16}$). „კარგი სოფლის მამასახლისის“ ბჭედ ანუ მოსამართლედ დასმა ბაგრატ კურაპალატის დროინდელ კანონებშიაც იხსენიება, რაკი მამასახლისის ყველა ცნობები „ს˜ქლს ეკონომიურ ისტორი“-ის I| წიგნშია მოთავსებული (გვ. 13-16), ამიტომ აქ ამ საგანზე ლაპარაკი მეტი იქმნებოდა.

„**გზირი**“ სპარსულ სიტყვა” „გიზირ“-ს და სომხურს ????? „გზირ“-ს უდრის. სომხური სპარსულითგან ნასესხებად ითვლება (N. Nübscmann, Armenische Crammatik I ნაწ. გვ. 264). სპარსულში ეს სიტყვა სოფლის საპოლიციო მოხელეს ნიშნავდა: რა მნიშვნელობით იხმარებოდა იგი ქართულში იმ დროს, როდესაც საბუთებში გვხვდება, ჯერ არა სჩანს. ჩვეულებრივი მნიშვნელობა-კი ამ სიტყვას ისეთი აქვს, რომ სოფლის მამასახლისის მოციქულს და მოჴელეთა განკარგულების და ამბავის მომტანს და წამღებს ეწოდება. თუ ძველ დროსაც ქართულში ამგვარი მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ შეიძლება ეს სიტყვა ნამდვილი ქართული იყოს და გზისაგან იყოს ნაწარმოები.

დასასრულ ოპიზის განთქმულ სიგელში მოხსენებულნი არიან „**ტაოისა და კლარჯეთისა ტანუტერნი**“ (სქ˜ს სძ˜ვლნი IL 4$_{18-19}$). ტანუტერი სომხურად იგივე მამასახლისია. მაშასადამე ამ საბუთში „ტაოისა და კლარჯეთის მამასახლისნი“ არიან ნაგულისხმევნი. მხოლოდ აქაც „ტანუტენი“ სოფლის მამასახლისებს ნიშნავდა. თუ უფრო მაღალ-ხარისხოვან მოხელეს, არა სჩანს. სომხური სახელი ამ ჴელისუფლობისა ალბათ ამ კუთხის წინადროინდელ ხანის ნარევ მოსახლეობის ნაშთი უნდა იყოს,

ქართულ საისტორიო. წყაროებში ერისთავები და ერისთავთა ერისთავები შედარებით ხშირად იხსენებიან, მაგრამ რაკი თვითოეული მათგანი მხოლოდ მაშინ არის ხოლმე დასახელებული, როდესაც რაიმე ისტორიულს ამბავში მონაწილედ გამოვიდოდა, ამიტომ ამ ცნობებსაც შემთხვევითი ხასიათი აქვს და სრულად ვერ ჩაითვლება: ხან ერისთავი გვხდება და ერისთავთა ერისთავი არ იხსენიება, ხან ერთიცა და მეორეც, მაგრამ არც ამისთანა შემთხვევებშია ხოლმე სრული სია მოყვანილი, მხოლოდ ორგან მროველის და თამარ მეფის ისტორიკოსი თხზულებებშია ერისთავთა ერისთავების სრული სია ჩამოთვლილი. ლ. მროველს აღნიშნული აქვს, ზღაპრულ მეფის ფარნავაზის დროს ვითომც საქართველოში შემდეგი რვა ერისთავნი ყოფილიყვნენ: მარგუეთის ერისთავი, კახეთისა, ხუნანისა, სამშვილდისა, წუნდისა, ოძრჴისა, კლარჯეთისა და ქუჯოს და ეგრისის ერისთავი (ც˜ა მ˜ფთა * 129, გვ. 20-21). ამ სიაში დასავლეთ საქართველოს საერისთავოები ნაკლებათ არის შეტანილი, ამას გარდა უცნაურია, რომ ავტორს ქართლის ერისთავიც-კი დავიწყებია. თუმც ლ. მროველს ეს სია საქართველოს ვითომც პირველ მეფის დროინდელად მიაჩნია, მაგრამ უეჭველია თვით ავტორის ხანის ახლო დროისა უნდა იყოს. თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობა-კი მართლაც მხოლოდ მაშინდელ ერისთავთ-ერისთავების სრულს სიას შეიცავს და ქვემოთ იქმნება მოყვანილი.

გიორგი აფხაზთა მეფის დროს იხსენიება ქართლის ერისთავი (მ˜ტნე ქ˜ჲ * 455, გვ. 231), რომლადაც მაშინ თვით უფლისწული ყოფილა. ბაგრატ III და მერმინდელ მეფეების დროსაც ქართლის ერისთავის სახელი ხშირად გვხვდება (მ˜ტნე ქ˜ჲ * 460, გვ. 236; * 484, გვ. 258; * 487, გვ. 260 და ბევრგან სხვაგანაც).

კახთა მეფის გაგიკისა და საქართველოს მეფის ბაგრატის დროს დასახელებულია კახეთის ერისთავთ-ერისთავი გოდერძი (მ˜ტნე ქ˜ჲ * 488, გვ. 261). ამას გარდა კახეთის შემდეგ ადგილების ერისთავთა სახელები გვხდება: პანკისის ერისთავი, ხორნაბუჯისა, შტორისა და მაქელისა, ვეჟინის ერისთავნი (იქვე * 486, გვ. 259 და * 500, გვ. 270). ჰერეთის ერისთავიც არსებობდა რასაკვირველია (ის˜ტრნი და აზმ˜ნი * 606, გვ. 377).

მესხეთის ერისთავთაგან დასახელებულნი არიან შავშეთისა (მ˜ტნე ქ˜ჲ გვ. 254), არტანუჯისა (იქვე * 489 და 490 გვ. 262 და 263), თუხარისისა (იქვე * 486, გვ. 260), კალმახისა (იქვე * 490, გვ. 263 და 264). ყუელისა (იქვე * 503, გვ. 273) და სამცხის ერისთავი (ისტრ˜ნი და

აზმ˜ნი * 632, გვ. 411). მაგრამ ეს სია რომ სრული არ არის, ამას ქართ. ჟამთააღმწერელის თხზულებაც ამტკიცებს, სადაც იხსენიება „**ერისთავი ტაოსა** (* 922, გვ. 767).

გიორგი II დროს აღნიშნულია „**სვანთა ერისთავი**“, რომელმაც „**გაადგინნა სუანნი**“ (მ˜ტნე ქ˜ჲ * 509, გვ. 278).

გიორგი III და თამარ მეფის დროს საქართველოში შემდეგი ერისთავთ-ერისთავები იყვნენ: სვანთა ერისთავთ-ერისთავი, რაჭის ეე˜ვი, ცხუმისა, ოდიშისა, ქართლისა, კახეთისა, ჰერეთისა და სამცხისა (ის˜ტრნი და აზმ˜ნი * 632, გვ. 410-411).

ქართველი ისტორიკოსები ლეონტი მროველი და ჯუანშერი ამტკიცებენ რომ თავდაპირველად ერისთავობა პირადი მოჯელეობა იყო და მხოლოდ შემდეგში საგვარეულოდ იქცა. ამგვარი ცვლილება ჯუანშერის სიტყვით სასანელთა შაჰების ბატონობის დროს უნდა მომხდარიყო. იგი ამბობს: „მოკუდა ბაკურ და დარჩეს შვილნი მისნი წურილნი, რომელნი ვერა იპყრობდეს მეფობასა. მაშინ მეფემან სპარსთამან ურმიზდ (IV, 579 – 590) მისცა ძესა თჳისსა [|რომელსა ერქვა ქასრე ამბარვეზ (II, 590-628)] რანი და მოვაკანი. მოვიდა და დაჯდა ბარდავს და **უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა**, აღუთქვა კეთილი დიდი და **დაუწერა მამულები შვილითი შმვილადმდე**... და **განდგეს ერისთავნი თჳს-თჳსად, ხარკსა მისცემდეს** ქასრეს“-ო (ც˜ა ვხ˜ტნგ გრგ˜სისა * 406, გვ. 190). ამის შემდგომ იმავე მემატიანეს თქმით შინაურ მდგომარეობისა და გაჭირვების (თურქების შემოსევის) გამო „უცალო იქმნეს სპარსნი. მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი ზემონი და ქუემონი და... წინაშე ბერძენთა მეფისა... ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავისაგან მეფეთა ქართლისათა, **რათა იყუნენ ერისთავნი იგი თჳს-თჳსსა საერისთავოსა შეუცვალებელად**. კეისარმა მათი თხოვნა აასრულაო (იქვე * 407, გვ. 190). მართლაც გუარამ კურაპალატმაო **„ერისთანი ქართლისანი ვერ სცვალნა საერის-თავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელი მკჳიდრობისანი“-ო** (**იქვე * 410, გვ. 192**). უკვე განსვენებულმა მ. ბროსსემ გამოარკვია, რომ ჰურმიზდის დროს ამგვარი შემთხვევა არა ყოფილა (Histoore de la Gèorgie I, 216, შენ. 1) მაგრამ თუმცა ზემომოყვანილი ცნობების ისტორიული **სამოსელი საეჭვო ღირსებისაა, თვით ცნობები-კი ერისთავობის მემკვიდრეობით თანამდებობად ქცევის შესახებ შესაძლებელია მართალი იყოს**. უეჭველია უმეფობის დროს ერისთავები უფრო უნდა გაძლიერებულიყვნენ და მეფეთა მაგიერობა უნდა გაეწიათ ქართველ ერისთავებს. მაგრამ უცხო მებატონე ძალას საქართველოს გადაყენებულ სამეფო. საგვარეულოს გავლენის შესარყევად და მოსასპობლად მართლაც შეეძლოთ თჳს-თჳსად გამდგარ ერისთავთათვის განსაკუთრებული მფარველობა გაეწიათ და ამ გზით მათ „**შეუცვალებლობისა**“-თვის ნიადაგი მოემზადებინათ და ხელი შეეწყოთ.

ამ ფრიად საყურადღებო საკითხის გადასაწყვეტად ჩვენ ჯერ ცნობები არ მოგვეპოვება: ჩვენ არ ვიცით სანანელთა გაბატონებამდე აღმოსავლეთს საქართველოში ერისთავობა მართლა პირადი ჴელისფლობა იყო, თუ იქნებ მაშინაც „შეუცვალებელნი“ იყვნენ? მხოლოდ აბო ტფილელის მარტჳლობითგან ცხადად სჩანს, რომ მე-VIII-ე საუკუნეში ერისთავობა უკვე თვით ერისთავებს საგვარეულო კუთვნილებად მიაჩნდათ და მხოლოდ არაბები ზოგჯერ არღვევდენ ხოლმე ამ წესს (იხ. ქ˜ლ ერის ისტორია II.) როდესაც საქართველოში მეფობა განახლდა, თვითოეულს სამეფოში უნდა დაწყებულიყო ბრძოლა ერისთაობის „**შესაცვლელობისა**“ და „**შეუცვლელობის** გამო: მეფენი რასაკვირველია შესაცვლელობის მომხრენი იქმნებოდენ და ეცდებოდენ თანდათან ეს განეხორციელებინათ, თვით ერისთავნი-კი თავიანთ „შეუცვალებლობის" უფლების დამცველნი იქნებოდენ.

ჯერჯერობით თითქმის არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება თუ როგორ მიმდინარეობდა ეს ბრძოლა მე-IX-X-ეს., მაგრამ ბაგრატ III დროს ერისთავთა „შეუცვალებლობას“ უკვე ბოლო მოღებული აქვს და მან არაერთხელ და ორჯელ „ურჩნი თჳსნი სცუალნა დიდებისაგან, ადგილთა მათთა განადიდნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა“ (მ˜ტნე ქ˜ჲ * 467, გვ. 242 და * 465, გვ. 240). მართლაც ქართ. წყაროებში აღნიშნულია ხოლმე, რომ მეფემ ამა და ამ პირს ერისთავობა ჩამოართვა და სხვას მისცაო. მაგ. როდესაც ლიპარიტი და ბაგრატ IV შერიგდენ, მეფემ მას „**უბოძა ქართლის ერისთავობა**“ (მ˜ტნე ქ˜ჲ * 487, გვ. 260). ხოლო იმავე მატიანეში, რომელსაც ეს ცნობა მოჰყავს, ამ ხანის უწინარეს

ქართლის ერისთავად ივანე აბაზასძეა დასახელებული (იქვე, * 484, გვ. 258). ალბათ ბაგრატ IV მისთვის ერისთავობა ჩამოურთმევია და იქნებ ამ ნიადაგზე იყო აღმოცენებული ის მტრობა, რომელიც გიორგი ხუცეს მონაზონის სიტყვით აბაზასძეთა და მეფეს შორის ყოფილა ჩამოვარდნილი.

ბაგრატ III-აც რომ ჰერეთი შემოიერთა, მან. თავისი კაცი დანიშნა ერისთავად და „განაჩინა მთავრად აბულალ (მ˜ტნე ქ˜ი * 468, გვ. 243). მხოლოდ, როცა ბაგრატ მეფე გარდაიცვალა, მაშინ ჰერეთ-კახეთი აჯანყდა და "ეპყრობილ იქმნეს ერისთავნი" ბაგრატ III-ის მიერ დადგენილნი (სუმბატ ძე დავითისი. ც˜ა და უწყება * 584, გვ. 353).

საყურადღებოა, რომ აფხაზთა მეფეები თავდაპირველად ქართლის ერისთავთ-ერისთავებად. თავიანთ უფლისწელებს ნიშნავდენ (ქ˜ლი ერის ისტორია II, 378, 385 და 387).

ყველა ერისთავთ-ერისთავთა საგამგეო ერთნაირ ღირსებითად არ ითვლებოდა: მათ შორის ზოგი უფრო საპატიოდ იყო ცნობილი, ზოგს კიდევ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. საერისთავთ-ერისთავოთა ანუ. სამთავროთაგან ყველაზე უფრო მეტი ხარისხი ეპყრათ და უაღრესად საპატიოდ ისეთი ადგილები ითვლებოდენ, რომელნიც წინათ მეფეთა საჯდომად და სამეფოებად იყვნენ. ის ხელისუფალი, რომელსაც ამგვარ სამთავროს მართვა-გამგეობა ჰქონდა ჩაბარებული, იყო „**მჯდომი მეფეთა ადგილისა**", „**მეფეთა ადგილსა ზედა**" დადგენილად ირიცხებოდა და ეს-კი საქვეყნოდ გამგე ჴელისუფალთათვის, რასაკვირველია, უაღრესი პატივისცემა უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც. თამარ მეფის ისყორიკოსის თხზულებაში მხოლოდ ორი ამგვარი „**მეფეთა ადგილისა ზედა მჯდომი**"-ა დასახელებული: ერთი იყო „გუზანი, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა", რომელიც საქართვლოს მბრძანებელს „ძუელთა მეფეთა ტაოელთა[1]) ადგილსა **ზედა** შეეწყალა" (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 649, გვ. 434), მეორეს კიდევ ზაქარია მხარგრძელს იხსენიებს ქართ. ისტორიკოსი, „მჯდომსა სომეხთა მეფეთა ადგილსა" (იქვე * 657, გვ. 444).

თუმცა სხვები მოხსენებულნი არ არიან, მაგრამ საფიქრელია, რომ სრულიად საქართველოს ყველა იმ საერისთავთ-ერისთავების ადგილებიც, რომელიც წინათ, გაერთიანებამდე დამოუკიდებელ სამეფოებად ითვლებოდენ, როგორც მაგ. კახთა ღა რანთა სამეფო და სხვა, განსაკუთრებით საპატიო სახელისუფლოდ იყვნენ ცნობილნი და ამ საჴელოთა მქონელნიც მეფეთა ადგილსა მჯდომად იყვნენ ცნობილნი.

საქართველოში ამირობაც არსებობდა და ისეთი ხელისუფალნიც იყვნენ, რომელთაც „**ამირა**" ეწოდებოდათ. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს მაგ, მოხსენებული ჰყაეს „ლიპარიტ **ამირა**" (ც˜ა დ˜თსი * 521, გე. 288). თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებამიაც დასახელებულია ერთი „მკჳდრთა ტფილისისათაგანი, თავადი და მეფეთა-მეფისაგან წყალობა-ჴელდასხმული **ამირად ქართლისა და ტფილისისა**. სახელითა აბულასან" (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 635, გვ. 415). ვინ იყო ამირა და რა თანამდებობა ჰქონდა მას? თუ უკანასკნელ ცნობას დავაკვირდებით, აბულასანი ყოფილა „ამირად ქართლისა და ტფილისისა". ეს აბულასანი კიდევ ორს წარწერაში იხსენიება. ერთში, ხატზე თვით აბულასანი თავის თავზე, ამბობს: „შეიწირე... ესე მსახურებაი ჩემგან **ერისთავთ-ერისთავისა** და მეჭურ[ჭლეთ]-უხუცესისა·აბულასანისაგან, იობის ძისა"-ო (ე. თაყაიშვილის Арх. экс. II, 70). მეორეგან, ვერეს „ლურჯ მონასტრად" წოდებულის ეკლესიის კარიბჭის წარწერაში აბულასანის ძმა, „ბასილი ქართლისა მთავარეპისკოპოს-ყოფილი, **ძე კეთილ-ნათესავისა იობისი**" ამბობს, რომ მან ააგო ეკლესია „ნაცვალსაგებელად ჩემთჳს და საყუარელისა ძმისა ჩემისა, **ერისთავთ-ერისთავისა ქართლისა ამირთა-ამირისა რუჲსთავისა და შჳდთა მთეულეთთა პატრონისა აბულასანისათჳს** (ე. თაყაიშვილის Арх. экс. IV, 149-150). ამ უკანასკნელ წინადადებაში სასვენი ნიშნები განგებ გამოვტოვეთ იმგვარადვე, როგორც თვით წარწერა უსასვენ-ნიშნებოდ არის, რომ მკითხველისათვის ცხადი იყოს, რამდენად ძნელი და პასუხისაგები საქმეა ხოლმე ზოგჯერ ერთ სასვენ ნიშნის, მძიმის დასმაც-კი.

მთავარი, სიძნელე ის არის, თუ სად უნდა დაისვას მძიმე, რომ ეს წინადადება ისე გავიგოთ, როგორც თვით აბულასანის ძმას ბასილს ესმოდა, როდესაც ამ წარწვრას

[1] იხ. „მეფენი ტაოსნი" (ქ˜ლ ერის ისტორია II 396).

აჭრევინებდა. თუ რომ მძიმე „ერისთავთ-ერისთავისა“ შემდგომ დავსვით, გამოვა, რომ აბულასანი „ქართლისა ამირთ-ამირა“ ყოფილა. ხოლო თუ მძიმე „ქართლისა“-ს შემდგომ დავსვით, მაშინ ის ყოფილა „ერისთავთ-ერისთავი ქართლისა“ და არა „ქართლისა ამირთ-ამირა“.

ძველ ქართულ სინტაქსის მიხედვით განმარტება განსამარტებადს სიტყვას მისდევდა ხოლმე, მაგ.: „ერისმთავარი იგი ქართლისაჲ... ნერსწ" (ც˜ჲ ჰაბო˜სი 15), „**სტეფანოზ ერისთავმან ქართლისამან**“ (**იქვე 23**). „უწყო ზრახვად **ერისთავთა ქართლისათა**“ (ც˜ა ვხ˜ტნგ გრგს˜ლსა * 406, გვ. 190), „**ერისთავნი ქართლისანი** ვერ სცვალნა“-ო (იქვე * 410, გვ. 192). მაგრამ უკვე მე-XI-ე საუკუნეში ძველი სინტაქსიური წესის მაგიერ ახალი შემოდის და ხშირად განსამარტებადს სიტყვას განმარტება წინ მიუძღვის მაგ. „მოეგება წინა **ქართლისა ერისთავი** იოანე მარუშის ძე“ (მ˜ტნე ქ˜ჲ * 461, გვ. 737), „ბაგრატ **ქართველთა მეფე** (იქვე * 466. გვ. 241), „ბაგრატ **აფხაზთა მეფე** (იქვე * 467. გვ. 241), „უბოძა **ქართლისა ერისთავობა** (იქვე * 487, გვ. 260) თვით თამარ მეფის ისტორიკოსსაც უკვე ამგვარი წესი ეხერხება: „**ქართლის ერისთავი** სუმბატის ძე ლიპარიტ (ის˜ტრნი და აზმ˜ნი * 615, გვ. 389), „ქართლის ერისთავად რატი სურამელი და კახეთის ერისთავად ბაკურ-ყმა ძაგანის ძე (იქვე * 632, გე. 411).

მაშასადამე ძველ ქართულ სინტაქსისის მიხედვით უნდა ყოფილივო. „ერისთავთ-ერისთავისა ქართლისა, ამირთა ამირისა“, მაგრამ მე-XI-ე და განსაკუთრებით მე-XII-ე საუკ. თამარ მეფის დროსაც, რომელ ხანასაც ეს წარწერა ეკუთვნის, უფრო მოსალოდნელია და ალბათ ასეც ექმნებოდა თვით ვასილს ნაგულისხმევი: „ერისთავთ-ერისთავისა, ქართლისა ამირთა-ამირისა“ და სხვა.

ერთი სიტყვით აბულასანს მისი ძმა ერისთავთ-ერისთავს და ქართლის ამირთა ამირას ეძახის. როგორც ვნახეთ თვით აბულასანიც ამგვარადვე თავის თავს ერისთავთ-ერისთავს უძახის სადაურობის აღუნიშვნელად.

მაგრამ თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვები გვიჩვენებენ, რომ ვასილს თავის წარწერაში თავის ძმას აბულასანის მოჴელეობის ნუსხა სრულის სისწორით ვერ აღუნიშნავს. მართალია, რომ ის იყო ამირთა - „ამირად ქართლისა“, მაგრამ მას დავიწყებია დაჟმატებინა, რომ ის მარტო ქართლის ამირად-კი არ იყო, არამედ ერისთავთ-ერისთავად, „**ამირთა ამირად ქართლისა და ტფილისისა**“.

მაშასადამე ირკვევა, რომ საქართველოში ისეთი ჴელისუფლებიც ყოფილან, რომელთაც „**ამირთა-ამირა“ ეწოდებოდა**, თვით ჴელისუფლობას კი თურმე „**ამირთა-ამირობა** (ის˜ტრნი და აზ˜მნი * 699, გვ. 496) რქმევია. უეჭველია ეს სამოჴელეო სახელი ტფილისის არაბ საამიროს დროინდელი ნაშთი უნდა იყოს, მაგრამ ამირობა საქართველოს სამოჴელეს წესწყობილებაში, როგორც ეტყობა ჯერ კიდევ იმ ხანში უნდა შემოსულიყო, როდესაც ტფილისი ქართველებს დაპყრობილი არა ჰქონდათ. მაგალითად დავით აღმაშენებელის მეფობის პირველ წლებშივე „ლიპარიტ ამირა“-ა მოხსენებული, ტფილისი-კი მხოლოდ დავითის მეფობის უკანასკნელ წლებში, 1122 წ. იყო აღებული. მაშასადამე ამირობის თანამდებობის არსებობა ტფილისის დაპყრობით არ ყოფილა გამოწვეული. თუ ლიპარიტის ამირობის დროს ტფილისი ჯერ კიდევ ტფილისის ამირას ხელთ იყო, სამაგიეროდ ტფილისის საამიროს მომეტებული ნაწილი ქართველებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ, თვით ქალაქს გარდა თითქმის მთელი სანახები ქართველებს ეკუთვნოდათ. აი სწორედ საამიროს ყოფილ სამფლობელოს შემოერთების დროს შეიძლება გაჩენილიყოს პირველად საქართველოშიც ქართლის ამირას თანამდებობა. ხოლო როდესაც ტფილისი დაპყრობილი იყო, მაშინ უკვე განნდებოდა „ამირთა-ამირა ქართლისა და ტფილისისა“.

ამირთა-ამირა უმთავრესად რასაკვირველია ქალაქის უფროსი იყო. მერმინდელი საბუთები გვიჩვენებენ, რომ ამირთა-ამირა ქუთაისშიაც ყოფილა, მაშასადამე ეს ჴელისუფლობა მარტო საქართველოს დედაქალაქში კი არ ყოფილა დაწესებული, არამედ დიღმნიშვნელოვან ქალაქების უფროსთა ერთგვარ საზოგადო სახელად გამოდის. ამ აზრს საუცხოვოდ ის გარემოებაც ადასტურებს, რომ თამარ მეფემ, რაკი 1206 წ. ქალ. კარი ქართველთა მიერ დაპყრობილ იქმნა (იხ. ქ˜ლ ერის ისტორია II, 611-612), „დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე“ და მასაც უბოძა **ამირთა-ამირობა**“ (ის˜და აზ˜მნი * 699, გვ. 496).

ამირთა-ამირა გარდა საქართველოში თურმე „**ქალაქის ამირანი**“-ც იყვნენ (კ. გარ. 8174). მაგრამ ისინი, როგორც უკვე დავრწმუნდით (იხ. მეჭურჭლეთ-უხუცესი), მეჭურჭლეთ-უხუცესის ქვეშეთი მოჯელენი ყოფილან. ხოლო რაც შეეხება საქალაქო წესწყობილებას საქართველოში, რაკი ყველა ცნობა ამის შესახებ „საქართველოს ეკონომიურ ისტორია“-შია გამოქვეყნებული, (წ. 1, 23-28) აქ მეტს აღარას ვიტყვით.

რათგან ტფილისის ამირთ-ამირა იმავე დროს ქართლის ამირთ-ამირად და ერისთავთ-ერისთავადაცკ ითვლებოდა, ამიტომ უნებლიეთ იბადება საკითხი, თუ როგორ უნდა ყოფილიყო განაწილებული ქართლის ერისთავთ-ერისთავისა და ქართლის ამირთ-ამირას საბრძანებელნი, როდესაც ეს ორი მოჯელეობა ერთსა და იმავე პირს არ ებარა? მაგრამ ამ საკითხის გამორკვევისათვის ჯერჯერობით არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

გელათის 1078 წ. სიგელში და თამარ მეფის გელათისადმივე 1189 წ. ბოძებულს სიგელში მოხსენებულნი არიან „**ოთხმისდურნი**“ (ქ˜კბი II, 50), ან „**ოთხმესდურნი**“ (ქ˜კბი II, შვ-74). პირველ საბუთში ეს სამოჯელეო სახელი ერისთავთ ერისთავთა და ნაცვალთა შუაა დასახელებული, ხოლო. მეორეში აზნაურთა და ნაცვალთა შუა ისე, რომ ჯერ ერისთავნი არიან, მერე აზნაური, შემდეგ „ოთხმესდურნი“. სხვა საბუთებში არსად გვხვდება ეს სახელი და იქნებ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ყოფილიყოს ამგვარი სამოჯელეო სახელი? არავითარი ცნობებია' თანამდებობაზე არ მოგვეპოვება. ისიც-კი არ ვიცით, დარბაზის კარს მყოფი მოჯელე იყო ოთხმისდური, თუ საქვეყნოდ გამრიგე? თვით აგებულობითაც კი ეს სიტყვა უცნაურია და მხოლოდ კიდევ ერთი სიტყვაა, -- მანდატური, რომელიც ამგვარისავე აგებულობის არის მანდატური როგორც ვიცით უცხო სიტყვაა, ლათინურ-ბიზანტიურია, ოთხმისდური-კი მის პირველი ნაწილი მაინც არც ლათინურს, არც ბერძნულს არ მიაგავს.

ზოგიერთს შემთხვევაში როგორც ეტყობა, მეტადრე როდესაც საქართველოს სამეფო ჯარი და ჭელმწიფე მტრის ქვეყანას იპყრობდენ და საქართველოს "შემოუერთებდენ ხოლმე, ახალ შემოერთებულ ქვეყნის მართვა-გამგეობა სათანადო ვაზირთა შორის-კი არ იყო ხოლმე განაწილებული და თვითოეულს თავ-თავისი დარგი-კი არა ჰქონდა მინდობილი, არამედ ერთს ვაზირთაგანს ჩაებარებოდა ხოლმე ყველა აქაურ საქმეების უზენაესი გამგებლობა, იგი მეფის მოადგილესავით იყო ხოლმე. მაგ, როდესაც დავით ადმაშენებელმა „აღიღო ქალაქი შამახია... და სრულიად ყოველი შარვანი.... **განმგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდატურთა აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თჳსი ჭყონდიდელი მთავარ ეპისკოპოსის**“ (ც˜ა მ˜ფსა დ˜თსი * 544, გვ. 311). როდესაც გიორგი III ანისი აიღო, მან „დაიმჭირა... ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებელად“, ხოლო **ახალშემოერთებულ ქვეყნის მართვა-გამგედ დანიშნა ივანე ორბელი ამირსპასალარი** და მანდატურთ-უხუცესი „**თანაშემწეობითა** სარგის მჴარგრძელისათა და სხუათა თემისა დიდებულ[თა] აზნაურთათა“ (ის˜ტრნი და აზმ˜ნი * 598, გვ. 368).

ერთს 1053 წ. დაწერილ წიგნის ანდერძში მოხსენებულია „ბოცოჲსა **მარზაპნისა** ჯაყელისა“ ძე არსენი ეპისკოპოსი (მ. ბროსსე Voyage, onz, rap. 30 და ქ˜კბი 1, 194), ხოლო ვანანა-ვანქის მონასტრის კედლის წარწერაში ნათქვამია: მე გიორგი მთავარ-ეპისკოპოსმა „ძემან დემეტრე **მარზაპნისამან** ავაშენე ესე ეკლესიაჲ“-ო (მ. ბროსსე, Voyage, Six rap.135, შეად. ქკ˜ბი I, 243-244). ამ წარწერას თარიღად 1022 წელი უზის, მაგრამ რაკი ამასთანვე აღნიშნულია „დავით [მე]ფობასა-“ო, ამიტომ მ. ბროსსე ფიქრობს, რომ წარწერის თარიღში იმგვარადვე, როგორც აქა-იქ სხვაგანაც ასოები აკლია, და ქრონიკონში „შეცდომაა: „ს“ (200)-ის მაგიერ „ტ" (300) უნდა ეწეროსო. მაშინ წარწერის თარიღად 1122» წ. გამოვა, დავით აღმაშენებელის მეფობა, ამ ორ შემთხვევის გარდა თუ არ ვცდები, სხვაგან ამ ხანაში სამოჯელეო სახელი „მარზაპანი“ ჯერ აღმოჩენილი არ არის. ამის გამო დანამდვილებით ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება ამ მოჯელეობის შესახებ, ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ამგვარი სამოჯელეო სახელი „**მარზპანი**“ და თვით თანამდებობაც სასანიანთა მეფობის დროინდელ სპარსეთში არსებობდა. ქართულ ძველ წყაროებშიაც გვხვდება, მაგრამ როგორც სპარსული სამოჯელეო სახელი მარზპანები სპარსთა მიერ დაპყრობილ ქვეყნების უზენაესი მმართველნი იყვნენ, ხოლო თვით სიტყვა სამზღერის მცველსა ნიშნავს (იხ. ქ˜ლ ერის ისტორია I, 230-231). ცხადია, ეს სიტყვა ღა თანამდებობა ქართულში და საქართველოს საჭელმწიფო ცხოვრებაში 'შერჩენილა, მაგრამ იმავe

მნიშვნელობით, თუ მას, როგორც სხვა შემთხვევებში არა ერთხელ მომხდარა, მნიშვნელობაც და მოვალეობაც შეეცვალა, ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვება.

ქართულ ძველ საჴელმწიფო. სამართლის ტერმინოლოგიაში და თვით სამოჴელეო წესწყობილებაშიც იყო ისეთი სიტყვა. და თანამდებობაც, რომელიც მნიშვნელობით სპარსულს „მარზპან"ს მოგვაგონებს თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება გვიმტკიცებს, რომ საქართველოში საგანგებო ჴელისუფალი ყოფილა, რომელსაც თურმე „**მონაპირე**" რქმევია. ის საჴელმწიფოს ახალ შემოერთებულ ქვეყნის და სამზღვრის მცველად და გამგედ ითვლებოდა. როდესაც საქართველომ ქ. კარი დაიპყრა და შემოიერთა, თამარ მეფემ მაგ, „დაუტყვა **კარის მცველად** ახალციხელი ივანე და აჩინა **მონაპირედ**" (ის˜ტრნი და აზმ˜ნი * 699, გვ. 496).

„მარზპანი"სა და „მონაპირე"-ს მნიშვნელობათა მზგავსების გამო საკითხი იბადება, ეს ორი სახელი სხვა და სხვა თანამდებობის აღმნიშვნელი იყო, თუ ერთისა და იმავესი. მაგრამ თუ მომავალში რაიმე ახალი ცნობები არ აღმოჩნდა, ისე ამ საკითხის გამორკვევა შეუძლებელია.

დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე -XVIII-ე საუკუნეში

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

რუსეთ-საქართველოს ურთიერთშორისი დამოკიდებულებისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ გამოკვლევანი და წერილები წინათაც საკმაოდ მოიპოვებოდა, მათ შორის ხელთუფლიშვილისა და ზ. ავალიშვილისა ცნობილი თხზულებებიც ითვლება. ამისდა მიუხედავად ამ მონოგრაფიის გამოქვეყნება განსაკუთრებით იმიტომ გადავსწყვიტე, რომ ყველა აქამდის გამოცემულს თხზულებებში რუსეთში არსებულ პოლიტიკურ და საცენზურო პირობების სიმკაცრის წყალობით ავტორებს ისტორიული სიმართლის სრული სინამდვილითა და გულახდილობით გამოთქმა არ შეეძლოთ. ეს ნაკლი უნდა იყოს შევსებული და ჩემი მონოგრაფიის უმთავრეს მიზანსაც სწორედ ეს შეადგენდა. ამას გარდა ვითარცა ისტორიკოსს მე იმდროინდელი ამბების ფარული ამამოძრავებელი ძალისა და მისწრაფების სიცხადით გამოაშკარავება მაინტერესებდა. თვით რუსეთ-საქართველოს 1783 წ. ხელშეკრულების განხილვაც ახალი თვალსაზრისით შეიძლებოდა და საჭიროც იყო. მკითხველი ალბათ შეამჩნევს რომ ყველა ამ მხრივ ამ მონოგრაფიაში არა ერთი ახალი შეხედულებაა, ან ძველი წინანდელზე უფრო მეტი ხაზგასმულობითა და დასაბუთებით არის გამოთქმული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელთუფლიშვილისა და ავალიშვილის თხზულებები რუსულად არიან დაწერილნი და სრულებით შეუწყნარებელი მდგომარეობა იყო, რომ აქამდის ასეთ დიდმნიშვნელოვან ხანისა და საკითხის შესახებ ქართულად ერთი სპეციალური ცალკე მონოგრაფია არ იყო გამოცემული. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე მოვალეა თავის ქვეყნის წარსული იცოდეს, განსაკუთრებით ისეთი ხანა, როგორიც მე-XVIII-ე ს-ეა. აწინდელმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულშიაც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისთვისაც ბევრი რამე საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს.

სტამბოლი. 1919 წ. თებერვალი – მარტი.

წყაროების შემოკლებულ სათაურებისა და სიტყვების განმარტება

АКАГК – Акты изданные Кавказской археографической коміией.

Бурнашевъ Картина – С.Д. Бурнашевъ. Картина Грузіи или описаніе политическаго состоянія царствъ Карталинскаго и Кахетиснскаго. Тифлисъ 1896 г.

Матеріалы аб Мат. – П.Г. Бутковъ. Матеріалы для новой исторіи Кавказа съ 1722 по 1803 годъ I და II წ. СПБ. 1869 წ.

ჩუბ. - დ. ჩუბინაშვილის გამოცემას.

პროფ. ცაგარელი Грамоты = Грамоты и другік историческіе докусенты XVIII столътія, относящіеся къ Грузіи.

ჭიჭ. - ზ. ჭიჭინაძის გამოცემას.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

აღმოსავლეთ საქართველოს საზოგადო მდგომარეობა მე-XVIII-ე საუკუნის დამდეგს.

საქართველოს და ქართველი ერის ცხოვრებაში ეროვნული თვალსაზრისით უაღრეს გაჭირვებისა და განსაცდელის ხანად მე-XVIII-ე ს. უნდა ჩაითვალოს. მას შემდგომ, რაც ქართლის სამეფო ტახტზე სპარსეთის შაჰმა 1634 წ. როსტომი დაამტკიცა, აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის წამლეკავ გავლენის ასპარეზად იქცა. თვით სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდილი და სპარსულ-მაჰმადიანურ ზნე-ჩვეულებებისა და დაწესებულებათა თაყვანისმცემელი როსტომ მეფე ამ გავლენის გავრცელებას საქართველოში შეგნებულად უწყობდა ხელს. ქართული სახელმწიფო სამართლის ტერმინების მაგიერ მან სპარსულ-თურქული შემოიღო. თვით სახელმწიფო წესწყობილებაშიაც მან ზოგიერთი იმგვარი ცვლილება შეიტანა, რომელიც სპარსულს უახლოვდება. სპარსული ენა და მაჰმადიანობა მეფის წაბაძულობით ქართველთა უმაღლეს წრეებში თანდათან უფრო-და-უფრო ვრცელდებოდა. ეს და ბევრი სხვაც ქართულ ეროვნულ თვითშემეცნებას და არსებობასაც კი დიდ საბრთხეს უმზადებდა.

1636 წ. რომ სპარსეთმა და ოსმალეთმა ერთმანერთს შორის მუდმივი მტრობის მოსასპობად საქართველო ორად გაჰყვეს და აღმოსავლეთი ნაწილი ოსმალთა მიერ სპარსთა უცილობელ გავლენის სფეროდ იყო ცნობილი, დასავლეთი საქართველო კი სპარსეთმა ოსმალეთს დაუთმო, დასავლეთ საქართველოშიც ოსმალთა გავლენამ ისე იჩინა თავი, რომ ქართულ ეროვნულ საქმისთვის საშიში შეიქმნა.

პირადად როსტომ მეფე ქვეყნის ურიგო მმართველი არ ყოფილა: ქვეყნის კეთილდღეობაზე და ქონებრივ მოღონიერებაზე ზრუნავდა, მაჰმადიანობის-და მიუხედავად განსაკუთრებით თავის სახელოვან თანამეცხედრის მარიამ დედოფლის გავლენით ქართული ეკლესიების განახლებასაც კი მისდევდა, მაგრამ თვით ის სპარსული გავლენა, რომელსაც იგი აღმოსავლეთს საქართველოში აძლიერებდა მთელს მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას უკუღმართობის დაღს ასვამდა და ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველად ხდიდა.

ამას ერთი უფრო ახირებული გარემოება დაერთო ზედ. რაკი სპარსეთის შაჰები ხშირად თავიანთ სარდლებს არ ენდობოდნენ ხოლმე, ქართველთა პირიანობა და ფიცგაუტეხლობა-კი გამოცდილებით იცოდნენ, ამის გამო ისინი თავიანთ დახლართულ სამხედრო საქმეების მოწესრიგებას ქართველ მეფეებს ანდობდენ ხოლმე. ამის წყალობით ისეთ ნიჭიერ სამხედრო პიროვნებებს, როგორიც მაგ. გიორგი XI იყო, უნებლიეთ სპარსეთის აჯანყებული ქვეშევრდომების დამორჩილება უნდა ეკისრა და ხან ავღანისტანში ყოფილიყო, ხან ბელუჯისტანში, ხან სხვაგან სადაც-კი ამბოხება იფეთქებდა. ამიტომ ისე მოხდა, რომ ქართველ მეფეებს თავიანთ საბრძანებელში წასვლისა და მართვა-გამგეობის საშუალება არ ჰქონდათ და თავიანთი ძალა და ნიჭი სპარსეთის შაჰების ტახტის გამაგრებისთვის უნდა შეელიათ. ამის გამო ისინი იძულებულნი იყვნენ თავიანთ მაგიერ მახლობელი ბატონიშვილები მეფის მოადგილედ დაენიშნათ ხოლმე საქართველოში და მათთვის მიენდოთ ქვეყნის მზრუნველობა. სპარსეთის სამეფო კარი მაშინ დაუსრულებელი ვერაგობისა და ქიშპობის ბუდედ იყო ქცეული. ცვალებადი იყო ხოლმე იქ გავლენა და ამასთანავე ცვალებადი იყო ხოლმე სპარსეთის შაჰების პოლიტიკაც ქართველ მეფეების მიმართ, ეს გარემოება შხამავდა ჰაერს და სრულ გაურკვევლობის გრძნობას ჰქმნიდა საქართველოში. ქართველი ერი ამ დროს მართლაც უაღრეს განსაცდელში იყო ჩავარდნილი. მისი მომავალი სახეიროს არას მოასწავებდა, თუ რომ ის მთელს თავის სულიერს ძალას არ მოიკრებდა და ეროვნულ განსაცდელის თავითგან აცილებას არ ეცდებოდა.

საბედნიეროდ ქართველობამ ეს შესძლო. ამ საშინელ გასაჭირში მან მართლაც მთელი თავისი ენერგია და შემოქმედებითი ნიჭი მოიკრიფა და გამანადგურებელ მიმართულებას წინააღუდგა. ქართული ენა რომ სპარსული სიტყვებით არ შერყვნილიყო და ნამდვილი ქართული უცხოურისგან გაერჩიათ, დიდი ქართული ლექსიკონის შედგენას მიჰყვეს ხელი. გიორგი XI-ის წინადადებით ამ გვარი შრომა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და მოღვაწემ

საბა-სულხან ორბელიანმა შეადგინა, რომელსაც მან 30 წელიწადი მოანდომა. ეს შესანიშნავი ნაწარმოები ეხლაც ძვირფას განძად ითვლება მეცნიერებისათვის, მაშინ ხომ იგი ცის მანანასავით უნდა მოვლენოდა ქართველობას. უცხო ენის ზეგავლენით რომ ქართული ენის ბუნება და კანონები არ შებღალულიყო, ქართული გრამატიკა იქმნა შედგენილი ჯერ მოკლე შანშოვანის მიერ, ხოლო უფრო გვიან ვრცელი ანტონი კათოლიკოზის მიერ.

ეროვნულ თვითშემეცნების გამოღვიძებისა და გაღვივებისთვის, განსაკუთრებით კი განმტკიცებისთვის წარსულის ცოდნას აქვს დიდი მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოვებს და იმავე დროს საჭირო სიღრმესა და საფუძვლიანობას ანიჭებს. ეს კარგად ესმოდა საქართველოს დიდებულ მეფეს ვახტანგ მე-VI-ეს (1703-1714, 1719-1724 წ.წ.), რომლის მრავალმხრივი, დაუღალავი მოღვაწეობა საქართველოს საკეთილდღეოდ ქართულ ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო ფურცელს შეადგენს. ყოველს განათლებულ ქართველს რომ საშუალება ჰქონოდა თავის ერისა და ქვეყნის თავგადასავალი სცოდნოდა, მან ქართველ ისტორიკოსთა კომისია მოიწვია, რომელსაც ამის შესაფერისი შრომა უნდა გაეწია. ქრონოლოგიურად დალაგებული ქართული სხვა და სხვა საისტორიო დროის თხზულებები ძველ დროსვე ერთ კრებულად იყო შედგენილი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ სახელით არის ცნობილი. ეს კრებული მხოლოდ მე-XIV-ე ს-ის დამდეგამდის იყო მოყვანილი. ამ სახითაც ხელნაწერები იშვიათი საშოვარი შეიქმნა იმიტომ, რომ მომეტებული ნაწილი მტრების შემოსევების დროს დაიღუპა. ვახტანგ მეფემ შეაგროვა ყველა საუკეთესო ხელთნაწერები, აგრედვე ყველა ის საისტორიო წყაროები, რომელნიც ჯერ იმ კრებულში შეტანილი არ იყვნენ, და სიგელ-გუჯრებიც, მოგროვილ საისტორიო მასალებისდა მიხედვით მან ამ კრებულის გაგრძელების შედგენა დაავალა, რომ მე-XIV-ე ს-ითგან მოყოლებული საქართველოს ისტორია მე-XVIII-ე ს-ის დამდეგამდის ყოფილიყო მიყვანილი. შემდეგ ან ნაშრომის გავრცელება უკვე ადვილი საქმე იყო.

ეს დავალება ისტორიკოსთა კომისიამ შეძლებისდაგვარად აასრულა კიდეც. რათგან ქართული წყაროების ძიებასა და შესწავლას შეუდგენ, ამ გარემოებამ ქართული საისტორიო მწერლობა კვლავ გამოაღვიძა და გააცხოველა. იმავე მიზანს, რომელიც ვახტანგ VI-ის მიერ მოწვეულს კომისიასა ჰქონდა დასახული, ისტორიკოსი ფ. გიორგიჯანიძის ფრიად საგულისხმიერო და შინაარსიანი ნაწარმოებიც ემსახურებოდა. ვახტანგ მეფისავე თანამედროვე იყო ისტორიკოსი ს. ჩხეიძე. მაგრამ ამ ხანის ქართულ საისტორიო მწერლობის საუკეთესო სამკაულად ბატონიშვილი ვახუშტის განთქმული საისტორიო და საგეოგრაფიო თხზულებები უნდა ჩაითვალოს. პირველი წყაროების შესანიშნავ კრიტიკულ განხილვითა, ხოლო მეორე საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებისა, ზნე-ჩვეულებისა და ტანისამოს-თავ-საბურავის მოკლე, მაგრამ საუცხოვო მკაფიო ისტორიული მიმოხილვით არის შემკული. ორთავე თხზულებას, განსაკუთრებით საქართველოს გეოგრაფიულ აღწერილობას მეცნიერებისთვის ეხლაც თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ქართული მოწინავე წრეები საისტორიო თავგადასავალთა და თემებით იყვნენ გატაცებულნი სხვათა შორის ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ იმ ხანაში პოეტებმა განსაკუთრებით საისტორიო პოემების წერას მიჰყვეს ხელი. ქართული მხატვრული მწერლობის სხვა დარგებსაც ეროვნული სიმთა ჟღერა დაეტყოთ. ეს გარემოება საზოგადოებრივ ჰანგებზე ამღერებულს ქართულს ამ დროინდელს პოეზიას სამშობლოს გაჭირვებული მდგომარეობის გამო ჩუმი მწუხარების ელფერს სდებდა.

თავის ნაყოფიერი მოღვაწეობა ვახტანგ მეფემ სახელმწიფო საქმეებშიც გამოიჩინა. მას მშვენიერად ესმოდა, რომ წესიერი და კარგად მოწყობილი სახელმწიფოსთვის თავი და თავი სამართალია. საქართველოს სახელმწიფოს წესწყობილება რომ მკვიდრ საფუძველზე ყოფილიყო დამკვიდრებული, უნდა მტკიცედ გარკვეული ყოფილიყო ყველა დაწესებულებათა და მოხელეების უფლება-მოვალეობანი. როგორც უკვე წინათაც და მე-XIV-ეს-შიც არსებობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში დავიწყებული და უყურადღებოდ მიტოვებულ იქმნა, ვახტანგ მეფემ ისევ შეაგროვა წინანდელ ქართველ მეფეთა ყველა განკარგულებანი და დადგენილებანი როგორც სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა, ისევე სხვა და სხვა მოხელეების უფლება-მოვალეობათა შესახებ, დაალაგა შინაარსისდა

მიხედვით, მოაწესრიგა და სახელმწიფო კანონების სახელმძღვანელო წიგნად აქცია. ამ ძეგლით, რომელსაც ვახტანგ VI-ემ „დასტურლამალი“ უწოდა, ქართულ სახელმწიფო სამართლის განვითარებას და შესწავლას მკვიდრი საფუძველი დაუდვა.

საქართველოში მართლმსაჯულების ასამაღლებლად და განსამტკიცებლად ვახტანგ VI-ემ ამ გვარადვე ჯერ ქართული სამართლის ყველა ძეგლები შეაგროვა, რომელიც კი ძველ დროითგან შერჩენილი იყო, შემდეგ სხვა ერთა კანონმდებლობითგანაც გამოარჩია სამართლის წიგნები და სამართლის ყველა ამ ძეგლების განსაკუთრებული კრებული შეადგინა, რომელსაც მისგანვე მოწვეულ ქართულ საკანონმდებლო კრების მიერ შედგენილი სამართლის წიგნი დაურთო. უკანასკნელი ნაწარმოები მაშინდელ ცხოვრების უფლებრივ ვითარების უფრო შესაფერისი გამომხატველი იყო. დიდი ხანია უკვე რაც სპეციალისტებს აღნიშნული აქვთ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ლმობიერებისა და ჰუმანურ მისწრაფების უტყუარი თვისებები.

დაუფასებელია ის დიადი ღვაწლი, რომელიც ვახტანგ მეფეს, მის უფროსს, თანადროულსა და უმცროს თანამშრომლებს მიუძღვით ქართველი ერის წინაშე. მათი წყალობით ხალხის თვითშემეცნება ფხიზელი გახდა და გაღრმავდა. ყველაფერს კულტურული აღორძინების იერი დაეტყო. ხელშემწყობი პოლიტიკური ცხოვრების პირობები-ღა იყო მხოლოდ საჭირო, რომ ეს აღორძინება განმტკიცებულიყო და თანდათან აყვავებისა და ძლიერების ხანად ქცეულიყო. ვახტანგ მეფეს ჩრდილოეთითგან მოსულმა ერთმა ამბავმა იმედი მისცა, რომ საქართველო მალე ცხოვრების ამ ხელშემწყობ პირობებსაც ეღირსებოდა.

ეს ამბავი რუსეთითგან მოვიდა.

I თ ა ვ ი. რუსეთის პოლიტიკური დახმარების მოიმედეობა ვახტანგ VI–ის დროს საქართველოში და მისი შედეგი

რუსეთს სპარსეთში განსაკუთრებული ეკონომიური ინტერესები ჰქონდა. პეტრე დიდს უნდოდა, რომ სპარსეთის ვაჭრობა რუს ვაჭრებს ჩაეგდოთ ხელში და მთელი აბრეშუმი სპარსეთითგან რუსეთში ყოფილიყო შეტანილი. სპარსეთის ეკონომიურად ხელში ჩაჭერა რომ უფრო გაადვილებულიყო და შემდეგ უფრო ვრცელი პოლიტიკური ზრახვის განხორციელება შესძლებოდა, პეტრე I გადასწყვიტა, კასპიის ზღვის მიდამოები ამიერკავკასიაში ჯერ თავის მფარველობის ქვეშ მოექცია, შემდეგ ქვეყანა დაეპყრა და შიგ რუსი ჯარისკაცები ჩაესახლებინა. ავღანელთა მიერ სპარსეთის დაპყრობის შიშმა თითქოს დააჩქარა ამ წადილის განხორციელება (Бутковъ Матеріалы I, 4-6). ამ იდუმალი გეგმის ასასრულებლად რუსეთისთვის საქართველოს სამეფოს სამხედრო დახმარება იყო საჭირო. ამიტომ პეტრე დიდმა გადასწყვიტა საქართველო და მეფე ვახტანგიც ჩაერია ამ საქმეში და რუსეთის სასარგებლოდ გამოეყენებინა. პეტრე I-მა სწორედ ამგვარი საიდუმლო დავალებით 22 მარტს 1720 წ. ვოლინსკი ამტრახანში გუბერნატორად გაისტუმრა. მას ვახტანგ VI უნდა დაერწმუნებინა, რომ პეტრე I მისა და ქრისტიანებისადმი უაღრესად კეთილგანწყობით არის გამსჭვალული, და თანაც დაეიმედებინა, რომ რუსეთის ხელმწიფე მას მაჰმადიან ძლიერ სახელმწიფოებისგან მფარველობას გაუწევდა (ბუტკოვი. МатеріалыI, 6)[1].

რუსეთის ხელმწიფის ელჩმა ისე ოსტატურად მოაწყო და მოაჩვენა საქმე ქართველებს, თითქოს პეტრე I-ს შეეტყოს ვახტანგ VI გაჭირვებული მდგომარეობა. მისი შველა და დახსნა

[1] «Волвнскій... получилъ указъ тайно приготовленія къ персидскому походу... и склонять карталинского царя Вахтанга и прочихъ христіанъ къ пользамъ Россіии, увъряя ихъ въ благорасположеніи Петра I и обнадеживая ихъ въ государевомъ покровительствъ».

სდომნოდეს სპარს-ოსმალთა კლანჭებისგან და სწორედ იმიტომ აპირებდეს იგი სპარსეთის წინააღმდეგ ამხედრებას. მეფე ვახტანგმა და ქართლის სამეფოს გავლენიანმა წრეებმა ეს დიპლომატიური ხრიკები სინამდვილედ მიიჩნიეს. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ ძლიერ ქრისტიან ხელმწიფეს გულში სხვა რაიმე იდუმალი ზრახვა ექმნებოდა და ვახტანგ VI დარწმუნებული იყო კიდეც, რომ რა წამს იგი პეტრე I-ს და რუსთა ჯარს მიემხრობოდა, პეტრეც თავის მხრივ მის მეთაურობით საქართველოს მტრის წინააღმდეგ გაილაშქრებდა (დ. გურამიშვილი დავითიანი. ზ. ჭიჭ. გამ. 33[1]).

როდესაც ეს საკითხი სახელმწიფო დარბაზში ირჩეოდა, ყველა დარბაისელნი არ იყვნენ ამ სამხედრო გეგმის მომხრენი. პირიქით ზოგი საღი შორსგამსჭვრეტელობით ამტკიცებდა კიდეც რომ ამ ომში ჩარევა საქართველოსთვის ფრიად სახიფათო და სწორედ დამღუპველი ნაბიჯი იქმნებოდა, რომლითაც ქართველთა მრავალრიცხოვანი გარეშე მტრები ისარგებლებდნენ და რუსთა ჯარის ამიერ-კავკასიაში მოსვლამდის ჩვენს ქვეყანას ააოხრებდნენ (იქვე 35)[2].

მაგრამ მეფე ვახტანგი ისე გატაცებული იყო რუსთა ხელმწიფის წინადადებით, რომ არავითარი ეჭვიც არ ებადებოდა და ღრმად დარწმუნებული იყო, რომ პეტრე I-თან თანხმობრივი სამხედრო მოქმედება საქართველოს ბედნიერებას მოანიჭებდა, ამიტომ ის და მისი თანამოაზრე დარბაისელნი დაუყონებლივ გალაშქრების მომხრენი იყვნენ.

რაკი მეფე თავისას არ იშლიდა, მოწინააღმდეგე წინდახედულმა ჯგუფმა ურჩია მეფეს რუსთა ხელმწიფისთვის მხოლოდ ფარული დახმარება გაეწია და მარტო პატარა ლაშქრით და საიდუმლოდ წასულიყო პეტრე I მისაშველებლად (დ. გურამიშვილი. დავითიანი 35). მაგრამ ვახტანგ მეფემ არც ეს ისურვა: პეტრე I -ს მისივე მოციქულის პირით თანხმობა შეუთვალა და მზადებას შეუდგა (დ. გურამიშვილი იქვე 36 და Бутковъ Материалы I, 16).

2 ივლისს 1722 წ. პეტრე I-მა მეფე ვახტანგს ბორის თურქისტანოვის პირით შემოუთვალა, რომ ის მალე სპარსეთის საზღვრებს მიადგება და ამიტომ მეფე საჩქაროდ ლეკებს უნდა დასცემოდა, ამასთანავე თავის დაწყობილ ლაშქრითურთ სპარსეთს შეჰსეოდა და იქ მოეცადა, სანამ პეტრეს მოსვლის შესახებ ცნობები მოუვიდოდა, თუ სად შეყრილიყვნენ ერთად (Бутковъ I, 19).

ვახტანგ მეფემ სიხარულით 30.000-40.000 ჯარისკაცი შეჰყარა, მსწრაფად განჯისკენ გაილაშქრა და შანქორში დაიბანაკა რუსთა ხელმწიფისა და ძლიერ ლაშქრის მოუთმენლივ მომლოდინემ. 6 ენკენისთვეს 1723 წ-სა პეტრეს ეს ამბავი დარუბანდში მიუვიდა, 7 ენკენისთვეს-კი ის დაიძრა და წავიდა, მაგრამ საქართველოს ჯართან შესაერთებლად კი არა, არამედ შინ, აშტრახანისკენ (ს. ჩხეიძე, ჭიჭ. 34. ჩუბ. 330, Бутковъ. Мат. I, 30-31).

იმ დროს რუსეთი სპარსეთისადმი მხოლოდ იმ ეკონომიური გამორჩენის თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა, რომელიც პეტრე I, მხოლოდ თეორიულად, გეგმის მიხედვით ეხატებოდა. მაშინ რუსეთს იმდენად მოჭარბებული ძალღონე არ ჰქონდა, რომ მისთვის სპარსეთის ბაზარი სააღებმიცემო ასპარეზად აუცილებლად საჭირო ყოფილიყო. სპარსეთში იგი თავის მრეწველობის ნაწარმოების გასაღებისთვის-კი არ შედიოდა, არამედ რუსეთის სავაჭრო მოქმედების გეგმა მხოლოდ უბრალო შუამავლობაზე იყო აგებული.

ამგვარ პირობების გამო პეტრე I–ისთვის და რუსეთისთვის სპარსეთთან ომი პირველ-ხარისხოვანი, აუცილებელი მოვლენა არ ყოფილა. ამიტომაც არის, რომ პირველივე დაბრკოლების შემდგომ, რომელიც რუსთა ხელმწიფის გეგმის განხორციელებას გადაეღობა, მან ამ საქმეს უყოყმანოდ თავი დაანება და შინ დაბრუნდა.

სულ სხვა მდგომარეობაში იყო საქართველო: მისთვის რუსეთის მიმხრობა და ომში მონაწილეობა სპარსეთის წინააღმდეგ იმოდენად საბედისწერო და თავგანწირული ნაბიჯი

---

[1] პეტრე I „საქმე ვახტანგ მეფისა სცნა, მისი შველა ენება: ზღვა გავლო, დაჰკრა ავღანთა, სოლაღს დაუწყო შენება და დაღისტანს მოხვდა ღვთის რისხვა...
ხელმწიფემ ვახტანგს მისწერა: მოდი მიგიჩნევ მამადო... გიჯობს მე ზურგი მომყუდო, გულზედა გული მამადო და მერმე შენს მტერზედ მომიძღვე“...

[2] „მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოდგების და ვინემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხვდების“.

იყო, რომ თუ რუსეთის ხელმწიფე ამ ომს წააგებდა, საქართველოს პოლიტიკური არსებობა უუკიდურეს განსაცდელში უნდა ჩავარდნილიყო, – მას უკან დასახევი გზა აღარ ექმნებოდა და ხსნა არსაითგან იყო მოსალოდნელი.

„აღმოსავლეთის ქრისტიანეთა მფარველი“ ხელმწიფე პეტრე I ამ გარემოებას ოდნავაც არ შუფიქრიანებია: მას ამის გამო თავისი გადაწყვეტილება არ შეუცვლია. მეფე ვახტანგი 40.000 ქართველი ჯარითურთ იდგა და უცდიდა „ქრისტეს მოყვარე“ სახელმწიფოს და ვერ გაეგო თუ რატომ „შეიქმნა დაყოვნება ხელმწიფისა“ (ს. ჩხეიძე, ჭიჭ. 34. ჩუბ. 330). დაპირებული თანხმობრივი სამხედრო მოქმედების მაგიერ სპარსეთის წინააღმდეგ პეტრე I ვახტანგ მეფეს თავისი დესპანი გამოუგზავნა, რომლის პირითაც მეფეს ურცხვად ურჩევდა საქმე განეგრძო: თუ გაიმარჯვებ, მაშინ დიდად მოიგებ იმიტომ, რომ ურწმუნოთა ბატონობისგან განთავისუფლდები და ჩვენგანაც იქაურ ქრისტიანებზე უფლება მოგეცემაო. რუსთა ხელმწიფე ვახტანგს თითქოს იმ ცნობით ანუგეშებდა, რომ იგი ამ საქმეს სრულიად თავს არ ანებებდა და მომავალში ამ ომისათვის კვლავ მზადებას შეუდგებოდა (Бутковъ. Матеріалы I, 31-32).

მხოლოდ ამ ამბის გაგებისთანავე შეიტყო მეფემ დაყოვნების ნამდვილი მიზეზი, რომ „თურმე ხელმწიფე აშტრახანიდამ დაბრუნებულიყო“ თავის ქვეყანაში (ს. ჩხეიძე, ჭიჭ. 34. ჩუბ. 330). მაშინ-კი დარწმუნდა ვახტანგ მეფე რომ ლაშქრობის მოწინააღმდეგე დარბაისელნი მართალნი იყვნენ. „შეექმნა მეფეს ჭმუნვა დიდი“, მაგრამ რაღა დროს (იქვე).

საქმე გაცილებით უფრო ცუდად დატრიალდა, ვიდრე ომის მოწინააღმდეგე დარბაისლებს გათვალისწინებული ჰქონდათ. მათაც-კი ფიქრად არ მოსვლიათ, რომ რუსთა ხელმწიფე თავის სიტყვას არ აასრულებდა და საქართველოს განრისხებულ მტრებს უმწეოდ მიუტოვებდა. სანამ პეტრე I-ი ვახტანგ მეფეს შეაცდენდა და საბედისწერო ნაბიჯს გადაადგმეინებდა, ოსმალეთი არზრუმის ფაშის პირით ვახტანგ VI მფარველობას ჰპირდებოდა (Бутковъ. Матеріалы I, 32). მას რომ სპარსეთის წინააღმდეგ რუსეთის ომში მონაწილეობა არ მიეღო და რუსეთს ცხადად არ მიჰმხრობოდა, ოსმალეთისგან მაინც საქართველოს განსაცდელი არ მოელოდდა. მაგრამ რაკი ოსმალეთმა დაინახა, რომ რუსეთი სპარსეთის დაპყრობას ლამობდა და ქართველებიც მათი მოკავშირენი იყვნენ, რუსების შიშით დაიძრა და ჯერ ერევნითგან თავრიზამდის მთელი ქვეყანა დაიჭირა, ხოლო შემდეგ გამოილაშქრა თვით საქართველოს წინააღმდეგაც (Бутковъ. Матеріалы I, 31).

მეორეს მხრით განა სპარსეთს-კი შეეძლო საქართველოსთვის მისი მოქმედება ეპატიებინა? სპარსეთის შაჰს ვახტანგ მეფეზე მოახსენეს: ის იმდენად „არის მტერი შენი“, რომ „ეყმო ხელმწიფესა რუსეთისასა“ და „ამოსწყვიტა რჯულისა შენისა მოსავნიო“ (ს. ჩხეიძე, ჭიჭ. 35. ჩუბ. 330). საქართველო გადიდებისა და გაძლიერების მაგიერ მტრის სათარეშოდ გახდა: ქართლი აოხრდა და ოსმალებს ჩაუვარდა ხელში, ლეკებმა ხალხს ცარცვა-გლეჯა დაუწყეს. ვახტანგ მეფეს, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი, კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის დაუღალავი შრომა ჰქონდა გაწეული და ქვეყნის აღმაშენებლობითი მუშაობით იყო გატაცებული, პეტრე I-ისაგან ასე მოტყუებულსა და ყოვლად უმწეოდ მიტოვებულს საქართველოდან გახიზვნის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. ქართლში ოსმალები გაბატონდნენ.

მაგრამ საქმე მარტო ამით არ დამთავრებულა. როდესაც პეტრე I-მა დაინახა, ოსმალეთი რუსთა სამხედრო მოქმედებით სპარსეთში იმდენად განრისხებული იყო, რომ რუსეთისთვის ომის გამოცხადებას აპირობდა, 12 ივნ. 1724 წ. მსწრაფლად ოსმალეთთან ზავი შეჰკრა, რომლის პირველ მუხლში რუსთა ხელმწიფემ მთელი აღმოსავლეთი საქართველო ოსმალეთს დაუთმო, თუმცა იგი მას სრულებითაც არ ეკუთვნოდა (Бутковъ. Матеріалы I, 57 гл. 11, 58-59, 62-63 და მისიონ კრუზინსკის Tragica vertentis Belli Persici historia sub II. ზ. ავალიშვილი Присоединение Грузіи къ Россіи, მეორე გამოც. 60). ასე უკუღმართად დამთავრდა საქართველოსთვის რუსთა ხელმწიფის მიერ აღქმული აღმოსავლეთის ქრისტიანთა „მფარველობა“: ჯერ თავის სასარგებლოდ ქართველთა ომში ჩათრევით და შემდეგ მტრის წინაშე უმწეოდ მიტოვებითა და მტრისთვის გაცემით. პეტრე დიდმა ისეთი უმადურობაც-კი გამოიჩინა, მის მიერვე მოტყუებული და გაუბედურებული მეფე ვახტანგისათვის შესაფერისი თავშესაფარისა და საცხოვრებელი ადგილის მიჩენა არ ნებავდა. როდესაც ვახტანგ მე-VI-ემ თავის ოჯახობით

აშტრახანში დასახლების ნებართვა ითხოვა, პეტრე I განრისხებული იყო: დახედეთ, უბედურების დროსაც მეფე მაინც ამპარტავნობას არ იშლისო.[1] რუსეთის მეფის აზრით ვახტანგ VI-ე უნდა სადმე საქართველოს სამზღვრის მახლობლად დასახლებულიყო და სწორედ ასეც მოხდებოდა, აშტრახანის გუბერნატორს რომ გულუბრყვილობა არ გამოეჩინა და ხელმწიფის დაუკითხავად პეტრეს სახელით ვახტანგისათვის მისი სურვილის აღსრულება არ აღექვა (Бутковъ. Матеріалы I, 63).

II თ ა ვ ი. აღმოსავლეთ საქართველოს განსაცდელი და თეიმურაზ II და ერეკლე II ღვაწლი საქართველოს წინაშე

საქართველო, განსაკუთრებით აღმოსავლეთი, მტრების სათარეშოდ იქცა. ჯერ ოსმალეთი, შემდეგ ნადირშაჰის დროს სპარსელები სცარცვამდენ და აოხრებდენ ქვეყანას. აღმ. საქართველოს სახელმწიფოებრივი მანქანა მთლად მოშალეს, ყოველგვარი ადგილობრივი დაწესებულება მოსპეს და ჯერ ოსმალთა ფაშები, შემდეგ სპარსეთის ვექილები განაგებდენ საქმეს. მხოლოდ ფრთხილი, შორსგამჭვრეტელი პოლიტიკისა და დაუცხრომელი თანდათანობითი სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობის წყალობით მეფე თეიმურაზ II-ემ და ერეკლე II-ემ და მათმა ღირსეულმა თანამშრომლებმა აღმოსავლეთი საქართველო იმ საშინელ განსაცდელს გადაარჩინეს, რომელშიაც იგი პეტრე I-ის გადამკიდე ჩავარდნილი იყო.

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის ღვაწლი მარტო საქართველოს სამხედრო გაძლიერებითა და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფით-კი არ ამოიწყვება, თვით იმ დროინდელი ქართველობის ცხოვრებისა და კულტურის ვითარებაც მხოლოდ გარეგან წესიერებასა და მშვიდობიანობის დამყარებით-კი არ განისაზღვრება, არამედ თვალსაჩინო შინაგანი აღმაშენებლობაც სწარმოებდა, სახელმწიფოებრივს წესწყობილებაშიაც, ეკონომიურს სფეროშიაც, მეცნიერებასა და ხელოვნებაშიაც საგულისხმიერო და ცხოველმყოფელი შემოქმედება იყო.

სპარსთა და ოსმალთა გამანადგურებელი ბატონობის წყალობით გახრწნილი სახელმწიფო წესწყობილება მეფე თეიმურაზისა და ერეკლეს წყალობით განახლებული იქმნა: ჯერ საგანგებო გამოკვლევების საშუალებით ქართული სახელმწიფო სამართლის სხვადასხვა სფეროები იყო შესწავლილი, ხოლო შემდეგ სწყდებოდა ხოლმე საკითხი იმის შესახებ, თუ რა ცვლილება იყო საჭირო ამათუიმ დაწესებულებაში, რომ იმ დროინდელი ცხოვრების შესაფერისი ყოფილიყო. ამ გვარად გადასინჯული და შესწორებულ-შევსებული იყო ადგილობრივი მართვა-გამგეობის საკითხი (ქიზიყისა და კახეთის გარიგება), საქალაქო მმართველობის და თვითმმართველობის ძირითადი დებულებანი (ქალაქის მოურავის სარგო და გარიგება), კვლავ განახლებული იყო საქართველოს მკვიდრთა დროგამოშვებითი აღწერა და შემოსავლის დავთრების შედგენა. ერეკლე მეფემ მორიგე ჯარის დაწესება შემოიღო მუდმივ ჯარის არსებობას საქართველოში საძირკველი ჩაუყარა. ამავე დროს მოხდა ქართული სამართლის ძეგლების შესწავლა შინაარსის მხრივ და საკოდიფიკაციო მუშაობის პირველი საფეხური განვლილი იყო.

საქართველოს ეკონომიური და საფინანსო ძალის გამოსაცოცხლებლად და გასაღონიერებლად ერეკლე მეფემ საქართველოს მდიდარი მადნების დამუშავება განაახლებინა, უცხოეთითგან დახელოვნებული მემადნენი დაიბარა და წინანდებურად ქართულ ლითონის ფულის მოჭრა დაიწყო.

[1] «Хотя уарб и въ бѣдствѣ, но гордости не оставляеть».

საქართველოში ევროპულ სამეცნიერო ცოდნის გასავრცელებლად უცხო ენებითგან საუკეთესო თხზულებები ითარგმნებოდა, თანაც მეცნიერების ყოველ დარგისათვის პატარ-პატარა სახელმძღვანელოები მზადდებოდა. ამ სფეროში განსაკუთრებული ღვაწლი ანტონ კათალიკოსს მიუძღვის, რომლის ღრმა და მრავალმხრივი სამეცნიერო ცოდნა იმდენადვე გასაოცარია, როგორადაც მისი დაუღალავი ენერგია და ნაყოფიერება. ბატონიშვილი ვახუშტის შესანიშნავი კრიტიკული მიმართულების წყალობით ქართულმა საისტორიო მწერლობამაც თვალსაჩინო წარმატება გამოიჩინა. საქართველოს ისტორიის ძველი შრომა გადასინჯული იყო და წყაროების ფაქიზი სარგებლობის მხრივ ფრიად შინაარსიანი ახალი მატიანე დაიწერა. მშვენიერია თავის ღრმა აზროვნებითა და შორს-გამსჭვრეტელობით პაპუნა ორბელიანის ორიგინალური საისტორიო თხზულება თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის მოღვაწეობის შესახებ, რომელშიაც ასე საუცხოოდ სჩქეფს ავტორის მამულიშვილური გრძნობა და გამოსჭვივის ისტორიკოსის მიუდგომელი, ბრძენი გონება.

თვით მხატვრულს მწერლობასაც თვალსაჩინო წარმატება ემჩნევა: ძველი, უკვე დრომოჭმული ენისა და იერის მაგიერ უკვე ახალი, ხალხურ პოეზიის სალაროთგან მომდინარე მიმართულებისა და ენის ნიშან-წყალი ეტყობა. ამ მხრივ იგი ახალი ქართულ მწერლობის წინამორბედი იყო. ერთი სიტყვით ყველაფერი ცხოველმყოფელი შემოქმედებითი სულით იყო მონაბერი და მომავალ თვალსაჩინო აღორძინების მომასწავლებელი იყო. ცხადია, რომ ამისთვის მხოლოდ ხელშემწყობი, მყუდრო ცხოვრება იყო საჭირო და თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის მუდმივი საზრუნავიც სწორედ ეს იყო.

III თ ა ვ ი. დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის1783 წ. ხელშეკრულებამდე

§ 1. რუსეთ-ოსმალეთის პირველი ომი ეკატერინე II დროს, საქართველოს ჩათრევა ამ ომში ოსმალეთის წინააღმდეგ და ამის შედეგი

თეიმურაზ მეფეს უნდოდა რომ თავისი პოლიტიკური გამარჯვების შედეგი სამუდამოდ უზრუნველ ეყო. ამიტომ მან იფიქრა რომ ორ ძლიერ მაჰმადიან სახელმწიფოს, ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ პატარა ქართველ ერს და საქართველოს ძლიერი მფარველი მოკავშირე ესაჭიროებოდა. მას ეგონა, რომ ასეთ მფარველად სწორედ ერთმორწმუნე რუსეთი და მათი მფარველები გამოდგებოდნენ, ამიტომ 1752 წ. თეიმურაზ მეფემ რუსთა ხელმწიფეს ელისაბედ პეტრეს ასულ სვიმონ მაყაშვილი და ათანასე ტფილელი ელჩად გაუგზავნა და მაჰმადიან ძლერ მეზობლებისგან მფარველობა და შველა სთხოვა. მაგრამ რუსეთითგან მფარველობაზე უარი მოუვიდა: რუსეთს არავითარი სურვილი არა ჰქონდა, რომ საქართველოს გულისთვის ოსმალეთს და სპარსეთს წასჩხუბებოდა. მშვიდობიანობა იყო და საქართველო მაშინ რუსეთს მაშინ არ ესაჭიროებოდა (Бутковъ. Матеріалы I, 240. პ. ორბელიანი. ჭიჭ. 217, ჩუბ. 458).[1]

მაგრამ თექვსმეტი წლის შემდგომ, 1768 წ., როდესაც ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა და რუსეთი უნებლიედ უნდა ბრძოლაში ჩაბმულიყო, მაშინ მისთვის საქართველო რასაკვირველია ძალიან გამოსადეგი იქმნებოდა და ამიტომ საქართველოს არსებობაც გაახსენდა. რუსეთის სამხედრო გეგმა ისე იყო შედგენილი, ოსმალეთთან ომში ბერძნები და სლავები და საქართველოს სამეფოებიც უნდა ყოფილიყვნენ ჩათრეულნი (პროფ.

[1] «Не принять, чтобы не ссориться съ Турками и Персами» (Бутковъ იქვე). შედ. პ. ორბელიანისა დაიმ დროინდელ ქართველთა ამ უარის გულუბრყვილო და მარტივი განმარტება (პ. ორბელიანი იქვე).

ა. ცაგარელი Грамоты I, gv. II და Бутковъ. Матеріалы I, 274, 275). მაგრამ ქართველებს გარდა სხვებმა ყველამ სიფრთხილე და წინდახედულობა გამოიჩინეს და რუსეთის მთავრობის დაგებულს ქსელში არ გაებნენ.

ამ გეგმის განსახორციელებლად რუსეთის დეფოფალმა ეკატერინე II-ემ მინისტრთა უპირველესმა იმერეთის მეფეს სოლომონ I-ს საგანგებო მოციქულის თ-დ ხვაბულოვის (ქობულიშვილის) ხელით მოსწერა, რომ რუსეთი ოსმალეთს ეომება და ეს ომი მას სწორედ ეხლა საუკეთესო საშუალებას აძლევს დააღწიოს თავი ოსმალთა ბატონობას. ამისთვის მას ჯარი უნდა შეეყარა და თანაც ცდილიყო, რომ ამავე ომში ერეკლე მეფეც გაერია და მათ ორთავეს საქართველოს შეერთებულ ლაშქრობით რუსების დახმარებით ოსმალთა წინააღმდეგ ებრძოლათ (იხ. პროფ. ცაგარელის Грамоты I, 21, 25). რუსეთის მინისტრთა უპირველესი დედოფლის მაგიერ ატყობინებდა, რომ ზავის შეკვრის დროს საქართველოს თავისუფლების შესახებაც ხელშეკრულებაში პირობა იქმნებოდა შეტნილი (პროფ. ცაგარელის Грамоты I, 24 და Бутковъ Матеріалы I, 277). სოლომონსაცა და ერეკლე მეფესაც ეგონათ, რომ ეხლა კი ნამდვილად ეღირსებოდნენ იმ სამხედრო დახმარებას, რომელსაც საქართველო ასე დაჟინებით სთხოვდა რუსეთს. ორთავემ სიხარულით ომში ჩარევის თანხმობა განაცხადეს იმ პირობით კი, რომ რუსეთიც თავის მხრივ საქართველოში საკმაო ჯარს გამოგზავნიდა (ბუტკოვი I, 277-278).

იმავე დროს, როდესაც ერეკლე მეფესთან რუსეთის ხელმწიფის ელჩი ტფილისში ჩამოვიდა და ცდილობდა, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ომში საქართველოსაც, ვითარცა რუსეთის მოკავშირეს, მონაწილეობა მიეღო, ტფილისშივე ერეკლე მეფესთან ოსმალეთის დესპანები იმყოფებოდნენ, რომელნიც თავის მთავრობის პირით მხოლოდ იმას სთხოვდნენ, რომ ამ ომში საქართველო არ ჩარეულიყო. ერეკლე მეფემ ოსმალეთის ელჩები უპასუხოდ გაისტუმრა და უყოყმანოდ რუსეთს მიემხრო (Бутковъ, Матеріалы I, 278).

რუსეთის მთავრობამ საქართველოში ოსმალეთის საწინააღმდეგოდ სამხედრო მოქმედებისთვის გენ. გრაფი ტოტლებენი გამოგზავნა ერთი ქვეითი პოლკით, 2 ასეული ცხენოსან კარაბინერებით, 2 ასეულ ცხენოსან ჰუსარებით, 200 დონის ყაზახით, 300 ყალმუხით და 12 საველე ზარბაზნით (ომან ხერხეულიძე. ჭიჭ. 264, ჩუბ. 491 და Бутковъ, Матеріалы, 280-281).

1770 წ. ერეკლე მეფე საქართველოს ჯარითურთ და ტოტლებენი რუსის ჯარითურთ ახალციხის საფაშოს შეესივნენ და აწყურის ციხეს მიადგნენ. სამი დღის ბრძოლის შემდგომ რუსეთის ჯარის უფროსმა მოულოდნელად ბრძოლის ველს და აღმ. საქართველოს ჯარს თავი მიანება და მთელი თავისი ლაშქრითურთ უკან გაბრუნდა (ხერხეულიძე. ჭიჭ. 264, ჩუბ. 491 და Бутковъ I, 281-282).

თავზარდამცემი იყო რუსეთის მხედრობის უფროსის ღალატის მსგავსი საქციელი და ამიტომ „მეფე ერეკლე მრავალს ეხვეწნა“ ტოტლებენს, მაგრამ „მან არა უსმინა“ (იხ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 264, ჩუბ. 491). ამგვარად რუსეთისავე წყალობით და რუსთა გულისთვის ოსმალეთთან ომში ჩათრეულ აღმოს. საქართველო რუსეთის ჯარის სარდლის მიერვე მრავალრიცხოვან მტრის წინაშე მუხანათურად მარტოდ-მარტო იყო დატოვებული. საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ ამ უაღრეს განსაცდელის დროსაც ერეკლე მეფის დიდებულმა სამხედრო ნიჭმა იხსნა ჩვენი ერი და სამშობლო სხვაფრივ აუცილებელი განადგურებისაგან: მცირე ლაშქრითურთ მან სამხედრო გეგმისა და ხერხის წყალობით რუსთა მოქმედებით გათამამებული ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი ჯერ ადგილობრივ, შემდეგ ს. ასპინძასთან საშინლად დაამარცხა და მთლად მოსპო (იხ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 264-266, ჩუბ. 491-492 და Бутковъ Матеріфкს I, 282).

რუსთა ჯარის მიერ ვერაგულად მიტოვებულსაც მოსვენებას არ აძლევდა ერეკლე მეფეს რუსეთის „მინისტრად წარმოვლენილი“ ლვოვი და ოსმალეთის წინააღმდეგ სხვა და სხვა საბუთებით საომრად აქეზებდა. სწორედ „ამისა რჩევით“ მეფე ერეკლე 1771 წ. კვლავ ახალციხის საფაშოს შეესია და ხერთვისის ციხე და ქალაქი აიღო, მაგრამ როდესაც ციხეში თავის მეციხოვნენი შეაყენა, რუსეთის წარმომადგენელმა ამას წინააღმდეგობა გაუწია იმიტომ, რაკი ოსმალთა დიდ ჯარის მოსვლისა ეშინოდა, რომ მოვიდენ და „ძალად აგართგან სირცხვილი არისო“ (იხ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 266, ჩუბ. 492-493).

მეორედაც 1772 წ. ლვოვმა კიდევ იმდენი მოახერხა, რომ ერეკლე მეფეს ჩააგონა „ერთხელ კვლავ დაჰკარ ხვანთქრის მამულსაო“ და მანაც სოლომონ მეფეც მოიმხრო და შეერთებულის ლაშქრით ჯერ ჯავახეთის ახალქალაქს გარს-შემოერტყნენ და სოლომონ მეფე საოფლით რომ არ გამხდარიყო, აიღებდენ კიდეც, შემდეგ როდესაც ამ მოარულის გამო აქეთგან აიყარნენ, მოარბიეს ახალციხის, არტაანის და ჯავახეთის ოლქები (იხ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 267, ჩუბ. 493).

ორთავე შემთხვევა სრულებით ცხადჰყოფს, რომ რუსეთის წარმომადგენელს თავის მთავრობის გეგმისაებრ საქართველოს დანიშნულებად ამ ომში მიწა-წყლის დაჭერა-კი არ მიაჩნდა, არამედ უმთავრესად შესევითა და თარეშის საშუალებით ოსმალეთის მუდმივი შეწუხება, რომ ოსმალეთის მთავრობა იძულებული ყოფილიყო აქ საკმაო ჯარი დაებანდებინა.

როდესაც ტოტლებენი რუსის ჯარითურთ დასავლეთს საქართველოში გადავიდა, იქ იგი სოლომონ მეფეს ქართულ ლაშქარს შეუერთდა. შეერთებულის ძალით ოსმალები შორაპნისა, ბაღდადისა და ქუთაისის ციხეებითგან განდევნილ იქმნენ (Бутковъ. Матеріалы I, 282-284). შემდეგ ფოთის ციხე უნდა წაერთმიათ თურქებისთვის, ვერც ტოტლებენმა და ვერც მის მაგიერ დანიშნულმა გენ. სუხოტინმა ჯარის სიმცირის გამო ფოთის აღება ვერ მოახერხეს.

1771 წ. რუსეთის ჯარმა ჯერ ფოთს თავი მიანება, მერმე დასავლეთი საქართველოც სრულებით მიატოვა და აღმ. საქართველოში გადავიდა სადგომად, ხოლო 1772 წ. რუსეთის დედოფალმა „წარასხნა მხედრობა თვისი მიზეზითა ამით, რომელ ზავ-ჰყო ხონთქრისა თანა“ (Бутковъ. Матеріалы I, 285-6 და ომ. ხერხეულიძე, ჭიჭი. 267, ჩუბ. 493).

ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო რუსეთის წყალობით ოსმალეთთან ომში ჩაბმული საქართველო, როდესაც ეკატერინე II-ის ბრძანებით რუსეთის მცირერიცხოვანმა ჯარმაც-კი საქართველო მიატოვა! თვით ხონთქარი ხომ რასაკვირველია საქართველოზე განრისხებული იყო და რაკი „განძვირდა მეფის ირაკლის ზედა“, მას არც ფული, არც ჯარები დაუზოგია, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ომში ჩარევისთვის სამაგიერო გადაეხადა. ოსმალებმა ფულით ლეკებიც საქათველოზე აამხედრეს და ჩრდილო-აღმოსავლეთითგან დაღესტნელი, სამხრეთ-დასავლეთითგან ოსმალები ქვეყანას მოსვენებას არ აძლევდნენ და აოხრებდნენ (იხ. ხერხეულიძე, ჭიჭ. 267-268, ჩუბ. 494, Бутковъ. Матеріалы I, 289).

მეორეს მხრით არც სპარსეთს მოსწონებია საქართველოსაგან რუსეთის ცხადი მომხრობა და სამხედრო მოკავშირეობა. რუსეთის მსწრაფს გაძლიერებას და გადიდებას იგი შიშის თვალით შეჰყურებდა და რასაკვირველია, როდესაც სპარსეთის შაჰის მოადგილემ ქერიმხანმა „სცნა მეფის ირაკლისაგან რუსეთის იმპერიასა საფარველსა ქვეშე შესვლა, განძვინდა ამისთვის“ და საქართველოს წინააღმდეგ ჯარითურთ წამოვიდა (იქვე ჭიჭ. 268, ჩუბ. 494).

აი რა მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთის მთავრობამ საქართველო თავისი სამხედრო გამარჯვების გულისათვის.

ადვილი არ იყო ამგვარ ორპირ მოვლენილ განსაცდელისაგან თავის დაღწევა. როდესაც ერეკლე მეფემ ქერიმხანის გამოლაშქრების ამბავი შეიტყო „არა მცირედ მწუხარე იქმნა, ვინაიდგან იმედეულმან რუსეთისა მფარველობისამან არა რიდა ბრძოლად ხვანთქარისა და არცა-ღა ჰმორჩილებდა მოადგილესა ყაენისასა და ამ ჟამად დაშორებული იყო მფარველობა რუსეთისა“ (იხ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 268, ჩუბ. 494).

რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია, ოსმალეთის ომის საფრთხე ზავის გამო უკვე აღარ არსებობდა. ამიტომ საქართველოსაც მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა და დანაპირებ მფარველობის გაწევა თითქო დაავიწყდა კიდეც. სხვა საშუალება აღარ იყო, საქართველოს ისევ თავი საკუთარი ძალით და გამჭრიახობით უნდა მოეწყო ძლიერ მეზობლებთან ასე მოუფიქრებლივ გაფუჭებული დამოკიდებულება.

§2. აღმ. საქართველოს მდგომარეობა 1773-1883 წ. ერეკლე II დამოუკიდებული პოლიტიკის წყალობით

თავის დიდი დიპლომატიურ ნიჭის წყალობით ერეკლემ მეფემ დესპანების პირით როგორც იყო დაამშვიდა ქერიმ-ხანი და სპარსეთის მხრით განსაცდელი საქართველოს თავითგან ააცილა (ომ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 268-270, ჩუბ. 494-495).

ოსმალეთის წინააღმდეგ ერეკლე მეფეცა და სოლომონიც სამხედრო ძალით იბრძოდენ და მსწრაფი, ყოველთვის საუცხოვოდ მოფიქრებულ სამხედრო მოქმედების წყალობით ერეკლემ ისე შეაწუხა ყარსის, ბაიზეთისა და ახალციხის საფაშოები, რომ სულტანი იძულებული იყო სპარსეთის მბრძანებლისათვის დახმარება ეთხოვა, რომ მას ოსმალეთი საქართველოს მეფის თავდასხმისაგან განეთავისუფლებინა. ქერიმ-ხანის თხოვნით ერეკლემ II-ემ ზავი ჩამოაგდო ოსმალეთის სულტანთან, რომლისგანაც ძვირფასი საჩუქრები და ტყვეობითგან განთავისუფლებული ქართველები მოუვიდნენ (იხ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 270, ჩუბ. 495-496 და Бутковъ. Матер. I, 288, 289).

ერეკლე მეფე კვლავ მარტო თავისი ქვეყნის ძალით შეუდგა საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ მდგომარეობის განმტკიცებას და ზოგან მოხერხებული დიპლომატიური მოლაპარაკებითა და ჩაგონებით, ზოგან თავის პირად სამხედრო ნიჭითა და ქართ. ჯარის მამაცობით, მან არამც თუ მშვიდობიანი დამოკიდებულება ჩამოაგდო მეზობლებთან, არამედ ზოგი მათგანი ისევ ყმად-ნაფიცად გაიხადა. ერეკლესაგან განჯის ხანად დადგენილი შუშის ხანი მისი უერთგულესი მოხარკე იყო ისე, რომ ყოველწლიური გადასახადის გარდა თვით განჯაში საქართველოს მეფეც თავის წარმომადგენელს ნიშნავდა (Бурнашевъ Картина 13), ისე რომ „ერთი ამის (მუშის ხანის) კაცი და ერთი მეფის ირაკლისა განაგებდენ ქალაქსა განჯისასა“ (ომ. ხერხეულიძე, ჭიჭ. 274, ჩუბ. 498), თუმცა 1780 წ. ერევნის ხანმა ასანალი ხანმა ურჩობა გაბედა და ხარკის მოცემა აღარ ჰსურდა, მაგრამ მეფე ერეკლემ მის წინააღმდეგ გაილაშქრა და იგი დაემორჩილა: „ევედრა ერევნის ხანი და დაიდვა ვიდრე ოთხიათას თუმნამდე გარდაკვეთით“ ყოველწლიურ ხარკად (ომ. ხერხეულიძე, ჭიჭ. 273, ჩუბ. 497-498. Бутковъ Матеріалы, II, 75). ამას გარდა საქართველოს მეფემ ერევანის ხანს „განუწესა მოურავიცა თვისი მუხრან ბატონი“. ამის შემდგომ ასან ალიხანს, არც მის შვილს საქართველოსთვის აღარ უღალატიათ, მოცემულს ფიცს და პირობას ერთგულად ასრულებდენ (ომ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 273, 498. Бутковъ. Матеріалы II, 75 და Бурнашев Картина 14). იმას გარდა რომ „დამორჩილებულ იყვნენ ირაკლისადმი განჯა, ყარაბაღი“ და ერევანის ხანი, მან ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ ყოველი ადრიბეჟანის (sic) ხანები დაემორჩილნენ მეფესა ირაკლისა და მოართვეს ელჩნი და ფეშქაშნი ძვირფასნი თავრიზის ხანისაგან, ხოის ხანისა, ურუმის ხანისა, შაყაყის ხანისა, ბაიზეთის ფაშისა და ყარსის ფაშისაგან“. დასასრულ „მრავალთა ქურთთა მეპატრონემ“ შამადინაღამ „მისცა თავი თვის ყმად“ საქართველოს და „შორაგალის სულტანიც ერეკლე მეფეს მოერთვა ყმად“ (ომ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 272, ჩუბ. 496-497. Бурнашевъ Матеріалы 14).

IV თ ა ვ ი. 1783 წ. ხელშეკრულება რუსეთ საქართველოს შორის

§ 1. მისი წარმოშობის ისტორია

ამ თვალსაჩინო პოლიტიკურ გამარჯვებისდა მიუხედავად ერეკლე მეფეს საქართველოს ბედი და თავისი თავი მთლად უზრუნველყოფილად არ მიაჩნდა. მას განსაკუთრებით ოსმალეთის გავლენა აფიქრებდა დაღესტანზე და ის ტახტის მაძიებელი, რომელიც

რუსეთითგან ჩამოვიდა და სახელმწიფოს მყუდროების დარღვევას და გამეფებას ცდილობდა. თუმცა ამ ტახტის მაძიებელის წადილი უნაყოფო გამოდგა, მაგრამ რაკი ოსმალეთის მთავრობა თავის მიზნებისთვის დაღესტანს ფულის საშუალებით საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებდა ხოლმე და არც სპარსეთის შაჰი შეჰყურებდა ერეკლე მეფეს მოწყა;ეს თვალით, ამის გამო მას მომავალი საკმაოდ უზრუნველყოფილად არ მიაჩნდა. ერეკლე მეფე გრძნობდა, რომ მტრებისგან თავდაცვისთვის საქართველოსათვის მუდმივი ჯარია აუცილებლად საჭირო. ამის შესანახად-კი ფული მას საკმაო არ ჰქონდა. ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება ამ გაწეულ ხარჯს აინაზღაურებდა და მხოლოდ დროებითი დახმარება ესაჭიროებოდა.

ამ თავის გეგმის განსახორციელებლად მან ჯერ დასავლეთ ევროპას მიჰმართა თხოვნით. 1781 წ-ს. ერეკლე მეფემ რომის იმპერატორ იოსებ II-ს წერილი მისწერა, რომელშიც სესხსა სთხოვდა საქართველოსა და ქრისტიანობის გადასარჩენად მტრებისაგან. მაგრამ მეფის ელჩი გზაში მოკვდა. ამის გამო 1782 წ. ამგვარივე თხოვნა ხელმეორედ გაგზავნა და თანაც თავის მხრივ ჰპირდებოდა რომ, თუ იმპერატორი სესხს მისცემდა, ოსმალეთის ომის დროს იმპერატორისა და გერმანიასთან საქართველო მთელი თავისი ძალღონით თურქების წინააღმდეგ იმომქმედებდა. გამოურკვეველი მიზეზების გამო მეფე ერეკლეს არც ამის პასუხი მოსვლია (Бутковъ. Матеріалы, II, 120).

რუსეთს კი უკვე 1778 წ-ლითგან მოყოლებული საიდუმლო გეგმა ჰქონდა სპარსეთის შესახებ და ამის სამზადისში იყო (Бутковъ. Матеріалы, II, 70). ამ გეგმის ფარული მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა კასპიის ზღვაში ასტარაბადის ყურეს პირდაპირ მდებარე კუნძული დაეჭირა და რუსთა ახალშენი, წინასწარ „მელიტონისად“, ე.ი. ფუტკართ კუნძულად წოდებული, დაეარსებინა აქეთგან რუსეთის ვაჭრობის გასავრცელებლად თვით აღმოსავლეთ ინდოეთამდის (იქვე, II, 71-72). მწარე გამოცდილებამ რუსეთის მთავრობა დაარწმუნა, რომ სპარსეთში მარტო კასპიის ზღვითგან ფეხის მოკიდება შეუძლებელი იყო. ამისთვის სხვა გზაც იყო საჭირო.

ერეკლე მეფესთან საქართველოში გერმანელი მოგზაური დოქტორი რაინეგსი ცხოვრობდა, რომელმაც ვითარცა აღმოსავლეთში ნამყოფმა კაცმა ადგილობრივი ენებიც კარგად იცოდა. სხვათა შორის ქართულიც შეისწავლა და ერეკლე მეფესთან დაახლოვებული იყო. რუსეთის სახელმწიფო მხედართ-მთავარმა, ფელდმარშალმა თავადმა პოტიომკინმა ეს რაინეგსი საქართველთგან თავისთან დაიბარა და 1782 წ. შემოდგომას ისევ საქართველოშივე გამოისტუმრა, მაგრამ ეხლა უკვე ვითარცა რუსეთის წარმომადგენელი ერეკლე მეფისა და სოლომონ მეფის წინაშე. მას საგანგებოდ დავალებული ჰქონდა, ერეკლე მეფისათვის ჩაეგონებინა, რომ მას რუსეთის თვითმპყრობელისაგან მფარველობაა ეთხოვა ფორმალურად (Бурнашевъ. Матеріалы 118[1]).

ამ დროს პატარა საქართველო და მისი გმირი, ნიჭიერი მეფე განმარტოებული და განათლებულ ქვეყნიერებას ყოველ მხრივ მოწყვეტილი იყო. საქართველოს მთავრობა დარწმუნდა, ამაო იყო ყოველივე მისი ცდა ევროპის სახელმწიფოებამდის ხმის მისაწვდენად, რომ მოზღვავებულ მტრების წინააღმდეგ იქითგან დახმარების მოლოდინი ტყუილი ოცნება იქმნებოდა. ასეთს გარემოებაში ერეკლე მეფე და საქართველოს მთავრობა რაინეგსის რჩევას, რომელიც, როგორც ეხლა ირკვევა თვით რუსეთის მთავრობის მიერ დავალებული საიდუმლო მინდობილობა ყოფილა, რასაკვირველია სიამოვნებით შეიწყნარებდა. რუსეთის მეტი მომშველებელი მაშინ მათ აღარავინ ეგულებოდათ და ისევ ამ ძლიერს ჩრდილოეთის სახელმწიფოს მიჰმართეს.

ოფიციალური თხოვნა გაიგზავნა რუსეთში.

---

[1] Въ Грузіии пребывалъ... докторъ Рейнегсъ, который... знакомъ былъ съ состояніемъ дѣль сего края... Князь Потемкинъ вызваль его къ себѣ и обратно отправить въ Грузію осенью 1782 г. въ качествѣ коммисіонера своего при царяхъ Иракліѣ и Соломонѣ... Рейнегсу поручено было подвигнуть Ираклія искать формально покровительства самодержицы Россійской, на что послѣдовало Высочайшее соизволеніе.

რუსეთის მთავრობას ძალიან ეამა ეს ამბავი. ეკატერინე II-ეც ამ საქმისგან რუსეთისათვის დიდს სარგებლობას მოელოდდა (1783 წ. წერილი იხ. Дубровинъ. Исторія войны т. II, 11). 24 ივლისს 1783 წ. აღმ. საქართველოს და რუსეთის წარმომადგენლებმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.

§ 2. 1782 წ. ხელშეკრულების შინაარსი და მის მიერ დამყარებული უფლებრივი დამოკიდებულება

ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია უფლებრივი დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის. მეექვსე მუხლში სახელდობრ ნათქვამია, რომ „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა **ქართლისა, კახეთისა (ქართლ-კახეთისა) და საქართველოის სამეფოებზე უზენაესი ხელმწიფებისა (**верховная власть**) და მფარველობის** კეთილმოსურნეობით მიმღები თავისი და თავის შთამომავლობის სახელით აღთქმასა სდებს: 1) რომ **ამ სამეფოთა ერნი მის** სახელმწიფოსთან **მჭიდრო კავშირში და სრულს თანხმობაში ჩასთვალოს** და მაშასადამე მისი მტრები თავის მტრებად **მიიჩნიოს**“.

ამისდა მიხედვით რუსეთის ხელმწიფე თავის და თავის შთამომავლობის სახელით „უზაკველის აღთქმით“ აღთქმასა სდებს, რომ „მოწყალება და მფარველობა მათი ქართლისა და კახეთის (ქართლ-კახეთის) მეფეებს არას დროს არ ჩამოშორდებათ“ (§ 2). საქართველოს მეფეთა უფლება მემკვიდრეობით გადავიდოდა და რუსეთის ხელმწიფე აღთქმასა სდებდა, რომ ერეკლე მეფე და მისი შთამომავლობა მუდამ, განუწყვეტლივ სამეფო უფლებით მოსილი იქმნებიან (§ 6_2). საქართველოს სამეფო ტახტზე მისი მეფეები მემკვიდრეობის ძალით ადიან. დამოკიდებულება რუსეთის ხელმწიფესა და საქართველოს მეფეს შორის ამ მხრივ მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ მემკვიდრეობის უფლებით საქართველოს ტახტზე ახლად ასულს მეფეს უმალ ეს ამბავი უნდა რუსეთის ხელმწიფისათვის ეცნობებინა და თავის დესპანის პირით საინვესტიტური სიგელით და სამეფო ნიშნების გამოგზავნით დამტკიცება ეთხოვა. ამაების მიღებისთანავე მეფეს უნდა რუსეთის მინისტრის თანდასწრებით რუსეთის სახელმწიფოს ერთგულებისა და გულმოდგინებისა, ხოლო სრულიად რუსეთის ხელმწიფეების **უზენაესი ხელმწიფებისა (**верховной власти**) და მფარველობის** ცნობის აღთქმა დაედვა (§ 3).

სამეფოს შინაურ საქმეების მართვა-გამგეობაში, კანონმდებლობაში და უზენაეს მართმსაჯულებაში, გადასახადების დაწესებასა და აკრეფაში საქართველოს მეფე სრულიად დამოუკიდებელი იყო (§ 6_3).

თვით რუსეთის ხელმწიფის კარზე საქართველოს მეფეს თავისი მინისტრი, ანუ რეზიდენტი ჰყავდა და რუსეთის ხელმწიფესაც თავის მხრივ საქართველოს სამეფო კარზე რუსეთის წარმომადგენელი მინისტრი, ანუ რეზიდენტი იმყოფებოდა (§ 5). საქართველოს მეფეს საერთაშორისო დამოკიდებულების უფლებაც ჰქონდა, მხოლოდ იმ მხრივ შეზღუდული, რომ ამ ურთიერთობისათვის რუსეთის მინისტრ-რეზიდენტისა და მონაპირეთ-მთავართან წინასწარი შეთანხმება იყო საჭირო. სხვა სახელმწიფოების დესპანებისათვის, ან მიღებული წერილების გასაცემ პასუხის შესახებაც რუსეთის იმავე წარმომადგენელთან თათბირი უნდა ჰქონოდა (§ 4).

ამ ხელშეკრულების მიზანი საქართველოსთვის იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის სახელმწიფო საქართველოს მიწა-წყლისა, მეზობლებისა და მტრებისგან დაცვა-დახმარებას კისრულობდა. ამისთვის მას ქართული ლაშქრისთვის მისაშველებლად აღმოსავლეთ საქართველოში 2 სრული ბატალიონი ქვეითობა, ოთხი ზარბაზნითურთ უნდა ჰყოლოდა (ცალკე არტიკ. § 2). ეს მუხლი აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ მაშინდელ სამზღვრების ხელშეუხებლებას ეხებოდა.

მაგრამ ერეკლე მეფეს მარტო ამისთვის არ დაუდვია ეს ხელშეკრულება: მას უფრო ფართო და შორსგამჭვრეტელი მიზანი ჰქონდა დასახული. ქართველების გაერთიანებასა სრულიად საქართველოს აღდგენაზე ოცნებობდა. ამიტომ ამ ხელშეკრულებაში მან

განსაკუთრებულ მე-4-ე არტიკულად შეატანინა, რომ რუსეთის ხელმწიფე აღთქმასა სდებდა ომის დროს იარაღის საშუალებით, ხოლო მშვიდობიანობის დროს თავგამოდებით ყოველგვარად ეცდებოდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დაუბრუნდენ და მის სამფლობელოდ დარჩენ ყველა ის ადგილები, რომელიც მას ძველითგანვე ეკუთვნოდნენ. ამასთანავე რუსეთის ხელმწიფეები აღთქმას სდებდენ, რომ საქართველოს ამ ახლად დაბრუნებულ და შემოერთებულ ქვეყნების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის თავდებობასაც კისრულობდნენ (არტიკ. 2).

თავის მხრივ საქართველოს მოვალეობად ჰქონდა, რუსეთის სახელმწიფოს მიხმარებოდა და რუსეთის ქვეშევრდომებისადმი საქართველოში განსაკუთრებული მფარველობა გამოეჩინა (არტიკ. 7). მაგრამ ცხადია ამით არ განისაზღვრებოდა ის სარგებლობა, რომელიც ამ ხელშეკრულებას რუსეთისთვის უნდა მოეტანა. რუსეთის მთავრობა განსაკუთრებით იმ იდუმალ დიდ სარგებლობაზე ოცნებობდა, რომელსაც ასეთი წინასწარი სიამოვნებით მოელოდდა ეკატერინე II-ე.

თავდაპირველად ისე იყო გადაწყვეტილი, რომ 1783 ხელშეკრულება უნდა მთელ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოსთან ყოფილიყო დადებული და ამ ხელშეკრულების შავად დაწერილი დედანი სწორედ ასეც არის შედგენილი: ყველგან იქ ერეკლე მეფის სახელის გვერდით ქართლ-კახეთის სამეფოს მოხსენების დროს დამატებულია „იმერეთის მეფე სოლომონ“, ან „იმერეთის სამეფო“ (იხ. პროფ. ა. ცაგარელის გამოც. Грамоты м др. историческіе документы, относяіеся дл Грузіи. т. II, вып. II გვ. 32-37). თვით სოლომონ მეფეც მოწადინებული იყო, რომ ეს ხელშეკრულება მასთანაც ყოფილიყო დადებული. მაგრამ რუსეთის მთავრობას ოსმალეთისა ეშინოდა, რომლისაგანაც რუსეთის თანხმობით დასავლეთი საქართველო ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებისდა მიხედვით ერთგვარს დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. სოლომონ მეფესთან და დასავლეთ საქართველოსთან ამგვარივე ხელშეკრულების დადება გადაწყვეტილი იყო მაშინვე, როცა კი ამისთვის ხელშემწყობი გარემოება იქმნებოდა (Бутковъ. Матеріалы II 135).

რა თვისების საერთაშორისო დამოკიდებულება მყარდებოდა 1783 წ. ხელშეკრულებით აღმ. საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოს შორის? ამის შესახებ მკვლევართა შორის სრული თანხმობა არის.

ბრიუსელის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ცნობილი პროფესორი ერნესტ ნჯსი (Ernest Nys) იმ აზრისაა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წ. მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულება იყო დადებული იგი ამბობს: „C'etait un traitè d'amitiè et d'alliance ou se trouvaient les formules les plus expressives du respect gue le gouvernement russe prètendait manifester pour les droits des Gèorgiens“.

ბერლინის უნივერსიტეტის განთქმული პროფესორის ფონ ლისტცის სიტყვით-კი ეს ხელშეკრულება რუსეთის პროტექტორატს და სუვერენობას ამყარებდა საქართველოზე, რომელიც შინაურ მართვა-გამგეობაში, კანონმდებლობაში და საეკლესიო სფეროში თუმც სრულებით დამოუკიდებელ, მაგრამ მაინც მის ვასსალურ სახელმწიფოდ ხდებოდა (Die völkerrechtliche Stellung der Republik Georgien. Ein Gutachten von Professor von Liszt-Betrlin. Als Manuskript gedruckt. გვ. 2). თითქმის იგივე აზრი გამოთქმული აქვს ზ. ავალიშვილსაც თავის წიგნში (Присоединеніе Грузіи въ Россіи). მას აღნიშნული აქვს, რომ ის პოლიტიკური დამოკიდებულება, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წ. ხელშეკრულების ძალით შეიქმნა, არც ვასალურ დამოკიდებულებას წარმოადგენს, არც პროტექტორატს, მფარველობას, არამედ ერთსა-და-იმავე დროს მფარველობაც, პროტექტორატიც იყო და ვასალური დამოკიდებულებაც (იხ. მეორე გამ. გვ. 141 და 143).[1]

[1] «Была-ли Грузія (отъ 1783-1801 г.) въ вассальной зависимости отъ Россіи, или находилась подъ ея протекторотомъ? Ни то, ни другое, или лучше сказать, одновременно и то и другое» (გვ. 141). «Итакъ, разбиракмый случай не подходить ни подъ понятіе смыслѣ, и подходить одинаково и подъ одно, и подь другое, если разумѣть ихъ болѣе обще» გვ. 143).

მ. ხელთუფლიშვილის აზრით 1783 წ. რუსეთს საქართველოს მიმართ წმინდა პროტექტორატის უფლება და მხოლოდ მფარველობა მიენიჭა (Вступленіе Грузіи въ составъ Россійской имперіи, 1901 წ. გვ. 88-89).

ასეთი აზრთა სხვადასხვაობა იმ გარემოებით აიხსნება რომ ხელშეკრულება ყოველმხრივ სრულს იურიდიულ ნაწარმოებს არ წარმოადგენს და იქითგან თანამედროვე საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის თვალსაზრისით თვითოეულ ზემომოყვანილ შეხედულების გასამართლებლად საბუთის მოყვანა შეიძლება.

მაგრამ წარსული საკითხების დაფასება, თუნდაც ეს საკითხი სამართლის მეცნიერების სფეროს ეხებოდეს, თანამედროვე სამეცნიერო ნორმების მიხედვით-კი არ შეიძლება, არამედ ამისთანა შემთხვევებში ისტორიული თვალსაზრისი აუცილებელი და ერთადერთი უტყუარი გზა არის. თუ გამორკვეული იქმნება რა თვისების დამოკიდებულების დამყარება ჰსურდათ საქართველოს და რუსეთის მთავრობებს, როდესაც 1783 წ. ხელშეკრულებას სდებდენ, და თანაც გვეცოდინება, თუ რა სახელს უწოდებდენ იმ დროინდელი ქართველები და რუსები ამ დამყარებულ საერთაშორისო დამოკიდებულებას, მაშინ თვით საკითხიც არსებითად გამორკვეული იქმნება.

ზემოთქმულიდან უკვე ცხადია, რომ საქართველო რუსეთისაგან დახმარებას და „მფარველობას“ ითხოვდა. იმ სრულრწმუნებულების ქაღალდში, რომლითაც მეფე ერეკლემ თავის დესპანებს ხელშეკრულების დადება მიანდო, ნათქვამია, რომ ისინი უნდა ცდილიყვნენ აღმოს. საქართველოს მეფეების „მიღებისათვის… მფარველობასა ქვეშე იმისის იმპერატორებითის დიდებულებისასა“ (პრ. ა. ცაგარელის Грамоты II, 99). თვით რაინეგსაც რუსეთის მთავრობისაგან, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სწორედ ilსეთი მინდობილობა ჰქონდა, რომ ერეკლე მეფისთვის რუსეთისაგან მფარველობის თხოვნა ერჩია. რუსეთის იმ დროინდელი ელჩი საქართველოში იმ დამოკიდებულებას, რომელიც 1783 წ. ხელშეკრულების ძალით დამყარდა, „მფარველობას“ „მფარველობით უფლებას“ («Покровительсво» «покровительствующая ыласть Россіи») უწოდებს (Бурнашевъ. Картина 11-12, 15, 18). მას აღნიშნული აქვს, რომ საქართველო მეფეები „ყოველთვის ერთმორწმუნეობის გამო **დახმარებას და მფარველობას**“ ეძებდნენ სრულიად რუსეთის ხელმწიფეებისაგან («Всегда искали по единовѣрію помощи и покровительства Всероссійскихъ Великихъ Государей იქვე 18»).

უფრო დიდმნიშვნელოვანია ის საბუთი რომელიც 1783 წ. ხელშეკრულების შედგენის დროს ოფიციალურად თვით რუსეთის დედოფლის ეკატერინე II-ის ბრძანებით სახელმძღვანელოდ იყო დაწერილი. ამ საბუთებს სათაურად აქვს «Высочайше указанныя омнованія для заключенія Русско-Грузинскаго Трактата».

იქ სრულებით გარკვევით ნათქვამია, თუ რა თვისების ხელშეკრულება უნდა დადებულიყო და რაგვარი უფლებრივი დამოკიდებულება უნდა დამყარებულიყო ამ ხელშეკრულებით რუსეთის მთავრობის სურვილისაებრ საქართველოსა და რუსეთის შორის. ამ საბუთში სწერია: «Мнѣніе Ея Величества было... заключить съ Грузинскими Царями союзный трактатъ, не именуя ихъ поданными, но союзниками отъ Имперіи Всероссійской покровительствуемыми» (პრ. ა. ცაგარელი Грамот. II, в. II, 30) „მის უდიდებულესობის აზრი იყო, რომ **ქართველ მეფეებთან.** (ე.ი. ერეკლე II-სთან და სოლომონთან) დადებულიყო **მოკავშირეობის ხელშეკრულება** ისე, რომ ისინი ქვეშევრდომებად კი არა, არამედ სრულიად რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშე მყოფ **მოკავშირეებად** ყოფილიყვნენ წოდებულნი“.

იმაზე მკაფიოდ წადილისა და აზრის გამოთქმა შეუძლებელია.

საკმარისია 1783 წ. ხელშეკრულება გადაიკითხოს ადამიანმა, რომ დარწმუნდეს, თუ როგორის სისწორით აუსრულებიათ რუსეთის დედოფლის ეკატერინე II-ეს ზემომოყვანილი დავალება: არსად მართლაც საქართველოს მეფის და ქართველ მოქალაქეთა შესახებ რუსეთის ქვეშევრდომობის ხსენებაც არ არის. სამაგიეროდ ისევე, როგორც თვით რუსეთის ხელმწიფესაც ჰსურდა, იქ ნათქვამია, რომ რუსეთის ხელმწიფე პირადადაც და თავის შთამომავლობის

მაგიერადაც აღთქმასა სდებს საქართველო რუსეთის სახელმწიფოსთან „მჭიდრო კავშირში და სრულს თანხმობაში მყოფად ჩასთვალოს“ და მისი მტრები თავის მტრებად მიიჩნიოს.

მეორე მხრით ისევ ფრიად საყურადღებოა, თუ როგორ უყურებდა ერეკლე მეფე ამ ხელშეკრულებას და რანაირ დამოკიდებულებად სთვლიდა იმ მდგომარეობას, რომელიც ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიქმნა? როგორც ქვევით თავის ადგილას აღნიშნული იქმნება, ერეკლე II-ემ ვითარცა სრულიად საქართველოს უზენაესმა მეფემ დასავლეთ საქართველოს მეფესა და მთავართა მოთხოვნით იკისრა მათთვისაც ისეთი უფლებრივი დამოკიდებულება მოეპოვა რუსეთთან, როგორიც თვით მას ჰქონდა 1783 წ. ხელშეკრულების ძალით. ამის შესახებ ერეკლე მეფის წერილობითი განცხადებაა შენახული და სწორედ ამ საბუთითგან ნათლად სჩანს მისი აზრი საქართველო-რუსეთ შორის მყოფ უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ. მას ნათქვამი აქვს: ვკისრულობ „შუამდგობითა ჩემით მოგიპოვოთ მფარველობა და კავშირი უზენაესი საიმპერატორო მთავრობისა“-ო).[1] ხოლო იქ სადაც იმერეთის მეფე, სამეგრელოს მთავარი და გურიელი თავის მხრითაც აღთქმას უდებდენ, რომ ამ ფარგლებში რასაც-კი, ერეკლე მეფე გაარიგებდა, უთუოდ შეიწყნარებდენ, მათ ნათქვამი აქვთ: „უზენაეს საიმპერატორო მთავრობის მფარველობა და კავშირი თქვენის უმაღლესობით ჩვენდა სასარგებლოდ მოპოვებული მოვალე ვარ მივიღო“-ო (იხ. პრ. ა. ცაგარლის Грамоты II, в. II 69).[2] ამგვარად სრულებით ცხადია, რომ ერეკლე მეფე, სოლომონ მეფეც და მთავრებიც ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოს რუსეთთან ჰქონდა მხოლოდ „მფარველობა და კავშირი“.

მაშასადამე 1783 წ. ხელშეკრულება თვით ხელშემკვრელ მხარეებს „მფარველობითი მოკავშირეობის“ ტრაკტატად მიაჩნდათ და ჩვენც არავითარი უფლება არა გვაქვს გვერდი ავუხვიოთ მათს ცხადად გამოთქმულს ამ ნებისყოფას და იმ ზოგიერთი განსხვავების გამო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებასა და მაშინდელ უფლებრივ შეხედულებათა შორის არსებობს, 1783 წ. ხელშეკრულობა სხვა თვისების საბუთად ჩავთვალოთ.

V თ ა ვ ი. 1783 წ. ხელშეკრულების შედეგი

1783 წ. ხელშეკრულებას საქართველოსთვის სარგებლობა არა მოუტანიარა. ზიანი-კი აუარებელი. პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა. ხმა ამ ხელშეკრულებას და რუსეთის საელმწიფოს მფარველობას დიდი ჰქონდა. საქმით კი ძალიან მცირედი იყო ის დახმარება, რომელიც რუსეთის მხრით საქართველოს აღმოეჩინა. ხელშეკრულების თანახმად საქართველოში 2 ბატალიონი რუსის ჯარი მოვიდა სამაგიეროდ შეექმნათ „შიშნეულობა მხედრობისა გამო რუსეთისა“ ადერბეჯანის ხანებს, რომელთაც წინათ, როგორც აღნიშნული იყო, მეფე ერეკლესთან კარგი განწყობილება ჰქონდათ. მათ საღი ალღოთი იგრძნეს, რომ საქმე მარტო საქართველოს მფარველობით არ გათავდებოდა და ამას აუცილებლად მოჰყვებოდა მათი „დაპყრობა ძალითა როსიის მხედრობისათა“. ამ მოსალოდნელ განსაცდელის წინაშე ადერბეჯანის ხანებმა ერთიერთმანეთის მტრობა დაივიწყეს და შეექმნათ ერთი-ერთმანეთისადმი დაფარვით დინ-თასლიბისა თანხმობა“ (ომ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 274, ჩუბ. 498. Бутковъ. Матеріалы II, 132. Бурнашевъ Картина 15-16).

არაფრად მოეწონათ საქართველოს რუსეთთან დაკავშირება ოსმალებს და ახალციხის ფაშას სულეიმანსაც. წინათ მასაც ერეკლე მეფესთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, 1783 წ. ხელშეკრულებამ ისიც დააფრთხო და საქართველოს მეფის მტრად აქცია (ომ. ხერხეულიძე ჭიჭ. 247, ჩუბ. 498). ოსმალეთმა თავის ჩვეულებრივს ხერხს მიჰმართა და ფულით დაღესტანიც აამხედრა საქართველოს წინააღმდეგ (Бурнашевъ Картина 16). „სულეიმან ფაშამ მოუწოდა

[1] «Доставить Вамъ покровительство и союзъ верховныя Императорскія власти черезъ посредство ходаитайства Моего».

[2] «Покровительство и союзъ верховныя Императорскія власти, снискиваемыя В.В. къ нашему благу, обязанъ принятъ».

დაღესტნის ომარხანს, ხუნძახის ბატონს“, და ისიც 30.000 ჯარით კახეთს შემოესია (ომ. ხერხეულიძე იქვე).

თვით ერეკლე მეფის უერთგულესი ყმად-ნაფიცი და მეგობარი შუშის ხანიც-კი რუსების შიშით საქართველოს მეფეს გადუდგა და გადაემტერა. მის ჩაგონებით განჯელებმა ერეკლე მეფის მიერ დანიშნული განჯის გამგე გააძევეს (იქვე). ყაზახისა, შამშადილისა და შამქორის ელებიც, რომელთაგან საქართველოს 6000-მდე საუკეთესო ცხენოსანი მებრძოლი ემატებოდა ხოლმე, ამავე პოლიტიკურ მიზეზის გამო შუშის ხანს მიემხრნენ და მტრობა დაიწყეს (Бурнащевъ 16).

დაღესტნელების შემოსევა რომ უკუექცია ერეკლე მეფემ სექტ. 1783 წ. ქართული და რუსული მხედრობითურთ განჯის წინააღმდეგ გაილაშქრა. სრული გამარჯვება იყო მოსალოდნელი, რომელსაც ერეკლე მეფის წინანდელი სახელი უნდა აღედგინა. მაგრამ სრულებით მოულოდნელად რუსის ჯარის უფროსს მინისტრ-რეზიდენტს ბურნაშევს პოტიომკინისგან საქართველოთგან დაბრუნების შესახებ ბრძანება მოუვიდა. მან განუცხადა მეფეს, რომ „დღესვე უნდა გავბრუნდეო“ და რამდენი არ სთხოვა ერეკლემ, რომ ლაშქრობის დამთავრებამდის მაინც მოეცადა, არ დარჩა: საჩქაროდ აიყარა და გამობრუნდა ტფილისისკენ, ხოლო იქითგან რუსეთში გაემგზავრა მთელი ჯარით (ომ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 275-276, ჩუბ. 499. Бутковъ. Матеріалы II, 194-195).

1783 წ-ის ხელშეკრულების წყალობით საქართველო გაძლიერების და გარეშე მტრებისგან უზრუნველყოფის მაგიერ სამის მხრით მტრებით შემორტყმული გახდა და განუწყვეტლივ საომარ განწყობილებაში ჩავარდა იმ თავის მეზობლებთანაც, რომელნიც წინათ მისი ერთგული მოკავშირენი იყვნენ. თვით ერეკლე მეფეც და მმართველი წრეები ხედავდენ, რომ ამ პოლიტიკურ ნაბიჯის გამოისობით საქართველო ისეთს საშინელს განსაცდელში ჩავარდა, რომლის მსგავსში შაჰაბაზის შემდგომ არ ყოფილა (Бутковъ. Матеріалы II, 188).

ოსმალეთმა ახალციხის ფაშის პირით ერეკლე მეფეს შემოუთვალა, რომ ოღონდ ის რუსეთს ჩამოჰშორებოდა და რუსის ჯარი საქართველოთგან გაესტუმრებინა, და არამც თუ წინანდელი კეთილ-მეზობლური დამოკიდებულება საქართველოსთან აღდგენილი იქმნებოდა, არამედ გაცილებით უფრო მეტს სარგებლობასაც ჰპირდებოდა. ერეკლე მეფემ უარი შეუთვალა. ამის გამო 1786 წ. თურქები ფოთისა და ბათუმის გამაგრებას შეუდგნენ. 12000 დაღესტნელიც საქართველოს წინააღმდეგ იყო მათ მიერ ნაქირავები.

ერეკლე მეფე რწმუნდებოდა, რომ რუსეთის დახმარება და მფარველობა იმდენად მცირედი (სულ 1800 ჯარის კაცი) იყო, რომ ის ვერაფერს უშველიდა. ამიტომ რომ ქვეყანა მოსალოდნელი შემოსევისაგან და ოსმალეთის გულისწყრომისაგან ეხსნა, იძულებული იყო ახალციხის ფაშისათვის დაზავების პირობად აღეთქვა, რომ ის მეტს რუსის ჯარს საქართველოში აღარ შემოიყვანდა. მაგრამ ოსმალეთმა[1] ეს საკმარისად არ დაინახა და ამ დაპირების ასრულების საწინდრად 12 საუკეთესო თავადთა საგვარეულოთგან ორი წარმომადგენელი ამანათად მოითხოვა. ერეკლე მეფე იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ იძულებული გახდა 1787 წ. ივნისში ეს მძიმე და დამამცირებელი მოთხოვნილება აესრულებინა (Бутковъ. Матеріалы II, 191-193).

რუსეთმა თავისი ჯარი საქართველოთგან იმიტომ გაიყვანა, იძულებული იყო ოსმალეთთან ომში ჩაბმულიყო. ერთ-ერთ მიზეზად, რომელმაც ოსმალეთი რუსეთის მტრად აქცია და ომი გამოიწვია, რუსეთის საქართველოში მფარველის სახით შემოსვლა იყო. 15 ივლისს 1787 წელს ოსმალეთმა რუსეთის დესპანს გადაჭრით მოსთხოვა, რომ მას საქართველოსთვის თავი დაენებებინა და ამ ქვეყნისა და სახელმწიფოს საქმეებში აღარ გარეულიყო. მალე ოსმალეთმა რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედება დაიწყო კიდეც, ხოლო 7 ენკ. 1787 წ. რუსეთმაც ოსმალეთს ომი გამოუცხადა (Бутковъ. Матеріалы II, 198).

ასეთ პირობებში იმ მცირედ ჯარის გაყვანის მაგიერ, რუსეთისგან, ვითარცა მფარველის მხრივ, სრულებით ბუნებრივი იყო საქართველოსთვის უფრო მეტი ჯარის მოშველება იმიტომ, რომ რაკი უთანხმოების ერთ-ერთ მიზეზად საქართველო ითვლებოდა, ოსმალეთის მხრით ამ

[1] დაბეჭდილია: ოსმალთემა

ქვეყნის წინააღმდეგ მტრული მოქმედება თავისდათავად მოსალოდნელი იყო. მაგრამ რუსეთის სამხედრო შტაბმა სამხედრო გეგმა ისე შეადგინა, რომ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა ამ მხრითგან განზრახული არ იყო. ამიტომ რუსეთის მთავრობამ საქართველო მიატოვა და გადასწყვიტა, რომ საქართველოსთვის უკეთესი იქნებოდა თავის ძალით და წინანდელ მშვიდობიანი კავშირის აღდგენით თავისი თავი ამ ომის დროს ოსმალეთისაგან უზრუნველ ეყო (Бутковъ. Матеріалы II, 196).[1] ასე უცნაურად, სხვა არა იყოს რა, მსჯელობდა საქართველოს „მფარველი“ რუსეთის სახელმწიფოს მთავრობა, რომლის თაოსნობითაც, როგორც ვიცით, დადებული იყო 1783 წ-ის ხელშეკრულება ეგოდენ მშვენიერ საზეიმო აღთქმებით აღსავსე.

რუსეთის მთავარსარდალმა და ფელდმარშალმა თავად პატიომკინმა კიდევ იმდენი ურცხვობა გამოიჩინა, რომ 1788 წელს ასე უმწეოდ მიტოვებულს საქართველოს მეფესა ერეკლე II-ეს აქეზებდა, რომ მას სოლომონ მეფესთან შეთანხმებით ოსმალთა წინააღმდეგ ემოქმედა. მაგრამ მეფის გული მწუხარებისა წყრომისა ცეცხლით იყო მოცული და მწარე გამოცდილებამ მას უკვე საკმაოდ თვალი აუხილა, რომ ასეთ უცნაურ რჩევისთვის ყური ეთხოვებინა (Бутков Матеріалы II, 197).

VI თ ა ვ ი. რუსეთის მიერ მიტოვებულ საქართველოს მდგომარეობა

საქართველო ისევ მარტოდ-მარტოდ დარჩა. ერეკლე მეფემ ამ გაჭირვებულ მდგომარეობაშიც იმდენი დიპლომატიური ნიჭი გამოიჩინა, რომ აბობოქრებული მტრები დააშოშმინა და მეზობლებთან შედარებით მყუდროება ჩამოაგდო (Бутковъ. Матеріалы II 197, 277-278. 282, 293). ამასთანავე მან ძლევამოსილ სამხედრო მოქმედებით 1788 წ. განჯაც დაიმორჩილა (იქვე II 278-283). განჯაში გაქცეული შამშადილისა და ყაზახის ელნიც ისევ საქართველოში დაბრუნდნენ (იქვე, II, 278).

1790 წელს საქართველოს მეფე-მთავრების სრული შეთანხმება მოხდა და მათ შორის ერთობის კავშირი იყო შეკრული. „ვინაითგან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისასა აქვთ ერთმორწმუნეობა, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ… სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთსა შორის, ამისთვის ჩვენ ზემოხსენებულნი ქვეყანათა ივერისათა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოისა პირობისა… აღვსთქვამთ მტკიცესა ამასა ერთობასა“ (პრ. ა. ცაგარელის Грамоты II, 1. gv. 183-184).

ამ ხელშეკრულებით საქართველოს განცალკევებული ნაწილების პოლიტიკური ერთობა მყარდებოდა კავშირის სახით. ამ კავშირს ერთი უზენაესი თავი ჰყავდა, რომელიც უაღრესი ხელმწიფებით იყო მოსილი. საქართველოს სამეფო-სამთავროთა კავშირის ასეთ თავად ქართლ-კახეთის მეფე იყო ცნობილი იგი კავშირის დანარჩენ ნაწილების წარმომადგენლებს შემდეგს პირობას უყენებდა: ჩვენ „მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ირაკლი მეორე… გარწმუნებთ ყოვლისა საიმერეთოსა მეფესა… სოლომონსა და მთავარსა ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიანს გრიგოლს და მთავარსა გურიისასა სვიმონს და ერთობით თავადთა, აზნაურთა და ერთა“ დასავლეთ საქართველოისათა, რომ „ვიყო მ წ ა დ ნ ე ლ ი ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს ა თ ქ ვ ე ნ ი ს ა თ ვ ი ს ა და დ ა ც ვ ა დ ზ ე თ ა ი მ ე რ ე თ ი ს ა თ ა (ე.ი.

[1] “Причины побудившія къ выводу изъ Грузіи россійских войск заключались во многих статьяхъ; 1-я, что въ планъ войны вновъ открывшейся съ Турками не было предложено дѣйствовать противу ихъ въ сей сторонѣ; 2-я, что царю Ираклію удобнѣе будетъ въ теченіе сей войны обезопасить себя чрезъ возобновленіе прежнихъ своихъ сюзовъ, разрушившихся единственно пребываніемъ въ землѣ его россійскихъ войск»... (იქვე).

ლიხი იმერ.) ვითარცა მამა საზოგადო მათი“ და „უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა დიდი ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმითა... მზა ვიყო შემწედ თქვენადა“ (იქვე II, 1, გვ 183-184).

მაშასადამე კავშირის თავი მოვალე იყო მთელი საქართველოს დაცვაზე და კეთილდღეობაზე ეზრუნა და მთელი თავისი სამხედრო, თუ დიპლომატიური, ან სხვა გვარი ძალა შეეწირა ამ მიზნის მიღწევისათვის. თავის მხრივ დასავლეთი საქართველოს ყველა მეფე-მთავრები ამ კავშირის თავის, ქართლ-კახეთის მეფის, უზენაესს უფლებასა და ხელმწიფებას აღიარებდენ. ეს გარემოება კავშირის ყველა წევრებს იმერეთის მეფეს სოლომონ II-ესა, სამეგრელოს მთავარს გრიგოლს და სვიმონს გურიის მთავარს სათითაოდ საკუთვრივ აღნიშნული აქვსთ: „თქვენი უმაღლესობის უზ ე ნ ა ე ს ხ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ა ს მამებრ – საგონებლობითს აღვიარებ“-ო (იქვე Грамоты II в. II 6[1]).

რუსეთმა, რომ ოსმალეთთან ომი გაათავა, 1792 წ. თვალი კვლავ სპარსეთისაკენ იბრუნა. სპარსეთში თანდათანობით აღამაჰმედ ხანი ძლიერდებოდა. 1786 წ. აღამაჰმედ ხანმა, როცა ჯერ კიდე თავის მეტოქეებთან ბრძოლა ჰქონდა, ერეკლე მეფეს შემოუთვალა, რომ ის მისი მეგობარია და მასთან კავშირის შეკვრა სწადიან, მთელ ადერბაიჯანსაც კი მის სრულუფლებიან მართვა-გამგეობაში გადმოსცემდა, ოღონდ მისთვის რუსეთის ხელმწიფის კეთილგანწყობილების მოპოვებაში დაჰხმარებოდა (Бутков Матеріалы II 301). პირველ ხანებში რუსეთი მას დიდის ყურადღებით ეპყრობოდა კიდეც (იქვე II. 304-305). მაგრამ იმავე დროს რუსეთის მთავრობა მის მოქიშპეს გილანის მმართველს მურთუზა-ყული ხანსაც მფარველობას უწევდა და ეხმარებოდა იმიტომ, რომ ის თავისი თავის გასაძლიერებლად რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების სურვილის გამჟღავნებასაც-კი არ დაერიდა (იქვე. II, 304). ეს რასაკვირველია არაფრად მოეწონა აღა-მაჰმედ ხანს. მან ბრძანება გასცა, რომ გილანი აეღოთ, მურთუზალი ხანი მოეკლათ, რუსთა ახალშენი ენზელში მოესპოთ და რუსის ქვეშევრდომები აეკლოთ (იქვე II, 309). მრავალგზისი ბრძოლის შემდგომ მურთუზა-ალი-ხანი იძულებული იყო სპარსეთითგან გაქცეულიყო და რაკი ამაში რუსები ეხმარებოდნენ, აღა-მაჰმედ-ხანსა და რუსებს შორი მტრული განწყობილება ჩამოვარდა (იქვე II, 323-326).

1791 წ. აღა-მაჰმედ-ხანმა ადერბეჯანში გაილაშქრა იქაურ ხანების დასამორჩილებლად და იმითაც შიშით მძევლები მისცეს და ყოველწლიური ხარკი დაიდეს. ჯერი შემდეგ ყარაბაღისა და ერევნის ხანებზეც მიდგა. ორთავემ აღა-მაჰმედ-ხანის მოთხოვნილება უარჰყვეს. ერევნის ხანმა იბრაჰიმ-ხანმა თანაც შეუთვალა, რომ ის საქართველოს მეფის ერეკლე II-ის სრულს მორჩილებაშია და სწორად ამიტომაც არ შეუძლიან აღა-მაჰმედ-ხანის მოთხოვნილება აასრულოს. ამ უკანასკნელს გადაწყვეტილი ჰქონდა ორთავე ხანი ძალით დაემორჩილებინა. ასეთ გარემოებაში სრულებით ბუნებრივი იყო, რომ ერეკლე მეფეს აღა-მაჰმედ-ხანის შემოსევის მოლოდინი ჰქონდა (Бутковъ. Матеріалы II, 319-320). რუსეთის მთავრობამ ყველა ეს ამბები მშვენიერად იცოდა, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმ საბრთხეს, რომელიც მის ერთგულს მოკავშირეს, პატარა საქართველოს სპარსეთისაგან მოელოდდა. მაშინ 1792 წ. თვით ერეკლე მეფემ რუსეთის მთავრობას 1783 წ. ხელშეკრულების არსებობა მოაგონა და ამის ძალით საქართველოში მეშველი ჯარის გამოგზავნა მოითხოვა. რუსეთის ხელმწიფემ ეკატერინემ 8 მაისს იმავე წელს საქართველოს მეფეს მოკლედ და ცივად შემოუთვალა, რომ „საქართველოში ჯარის გამოგზავნა ეხლა საჭიროდ არ არის ცნობილი[2] და სანამ საამისოდ ხელსაყრელი შემთხვევა და ხელშემწყობი პირობები არ შეიქმნება, ჩვენი ჯარების მანდ ყოფნის საკითხი გადადებულიაო“ (Бутков. Матеріалы II, 334). ისე გამოდიოდა, რომ ხელშეკრულებას მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, როდესაც ამას რუსეთი საჭიროდ დაინახავდა და არა მაშინ, როცა საქართველოს უჭირდა.

საბედნიეროდ სპარსეთში ატეხილმა არეულობამ აღა-მაჰმედ-ხანს 1792 წ. საშუალება არ მისცა, რომ თავისი ზრახვა განეხორციელებინა: ის იძულებული იყო შინ გაბრუნებულიყო.

---

[1] «Признаю верховную власть вашего высочества отцепочитательную».

[2] «Нынъ отправлять въ Грузію войска за благо не пріемлется».

VII თ ა ვ ი. აღა-მაჰმედ-ხანის შემოსევა საქართველოში

1794 წ.-ს აღა-მაჰმედ ხანმა სძლია თავის უკანასკნელს მოწინააღმდეგეს ლოფტ-ალი-ხანს, რომელსაც თვალები დაათხრეინა. ამის შემდგომ აღა-მაჰმედ-ხანმა თავისი თავი სპარსეთის ერთად-ერთ ბატონ-პატრონად იგრძნო და თავი სპარსეთის შაჰის ჯიღით შეიმკო. მაშინვე ის სპარსეთის სამზღვრების გაფართოვებას შეუდგა და პირი კვლავ ადერბაიჯანისა და საქართველოსაკენ იბრუნდა (იქვე II, 327-328). იმავე 1794 წ. მეფე ერეკლემ რუსეთში თავის დესპანად გენერალი გარსევან ჭავჭავაძე გაგზავნა (იქვე II, 335), რომელსაც, ვითარცა რუსეთში წინათაც ნამყოფს, პეტერბურგის მთავრობაზე გავლენა შეეძლო მოეხდინა, რომ ხელშეკრულება რუსეთის მხრით ასრულებული ყოფილიყო.

1795 წ. მაისში აღა-მაჰმედ-ხანმა არდაველში 100,000 კაცამდე ჯარის შეგროვება დაიწყო იმ მიზნით, რომ ჯერ ადერბეჯანის ყველა ხანები ძალით დაემორჩილებინა, ხოლო შემდეგ საქართველოს დასაპყრობად წამოსულიყო, რომ ამ უკანასკნელისათვის ძალა დაეტანებინა და სპარსეთის უზენაესი უფლება ეცნობებინა (Бутков. Матеріалы II, 331-332).

ერეკლე მეფემ მოსალოდნელი უბედურების ამბავი იმავე 1795 წ. მაისში რუსეთის მონაპირე ჯარის უფროსს აცნობა და ხელშეკრულების ძალით 3000 ჯარისკაცის მოშველება სთხოვა (იქვე II, 335). ერეკლე მეფეს რუსეთის მხრით დახმარების სრული იმედი ჰქონდა და ეჭვიც არ ებადებოდა, რომ მეშველი ჯარი მოუვიდოდა. იგი თავის ერთგულს ყმადნაფიცს შუშის ხანს ქართველი ჯარით ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით მიეშველა. ამის წყალობით სპარსეთის შაჰის ლაშქარი დამარცხებული იქნა (იქვე II, 333).

აღა-მაჰმედ-ხანმა თავის ელჩის პირით ერეკლე მეფეს მოსთხოვა, რომ რუსეთის ხელმწიფის მფარველობა ერთხელდა სამუდამოდ უარეყო და სპარსეთისა აღიარებინა. რუსეთითგან მეშველ ჯარის მომლოდინემ ერეკლემ შაჰს ცივი უარი შეუთვალა (იქვე II, 337).

რუსეთის მონაპირე ჯარის უფროსმა 1792 წ. უარყოფითი განკარგულების გამო თავისი მეშველი ჯარის საქართველოში გამოგზავნა ვერ გაბედა და 7 მაისს 1795 წ. ერეკლე მეფის თხოვნა თავის მთავრობას აცნობა. მაგრამ რუსეთის მთავრობა არ ჩქარობდა: პასუხი არ მოდიოდა.

ერეკლე მეფე გრძნობდა აუცილებელ განსაცდელს და რუსეთს შველას ემუდარებოდა. 2 აგვისტოს მონაპირე ჯარის უფროსმა თავის მთავრობას საქართველოს გაჭირვებული მდგომარეობა და ერეკლე მეფის თხოვნა ხელმეორედ აცნობა (იქვე, II, 335). ამასობაში აღა-მაჰმედ-ხანი დაიძრა, 10 ენკენისთ. 1795 წ. ცხენოსანი ჯარით მსწრაფად საქართველოს დედაქალაქს მოადგა და ორი დღის შემდგომ აიღო: ჯერ მთლად გაცარცვა და წაიღო რის წაღებაც-კი სამეფო სახლითგან შეიძლებოდა, შემდეგ ეს მშვენიერი სასახლე მთლად დაანგრია და ქალაქი ცეცხლით გადასწვა.

შაჰის ჯარმა საშინელი სიმხეცე გამოიჩინა. ტფილისის მიდამოებიც მოკლული მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვების გვამებით იყო მოფენილი. სატახტო ქალაქს რომ მორჩნენ, მერმე შიდა და ქვემო ქართლის აოხრებას შეუდგენ. განძვინებულნი იჭერდნენ ხალხს და ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა ხოცავდენ, დანარჩენი ტყვეთ მიჰყავდათ. აღა-მაჰმედ-ხანის შემოსევამ ისე გაანადგურა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო, რომ იმ 61 000 კომლითგან, რომელიც შემოსევამდე მაგალითად თუნდ 1783 წ.-ს იყო, 1795 წ-ის შემოსევის შემდეგ 35 000 კომლი ძლივს-ღა იქმნებოდა შერჩენილი (Бутковъ. Матеріалы II, 339-340).

სიბერის დროს ძლიერ „მფარველ“ მოკავშირის მიერ მოტყუებული, ამ პირველ თავზე დამტყდარ საშინელ უბედურებით გულგატეხილი, ოთხმოცი წლის მოხუცი მეფე იძულებული იყო მწუხარებითი და სასოწარკვეთილებით აღსავსე ანანურის მონასტერში შეხიზნულიყო. მაგრამ სპარსეთის შაჰმა არც აქ მოასვენა: აღა-მაჰმედ-ხანმა ერეკლე მეფეს კვლავ შემოუთვალა, რომ თუ ის მის უზენაეს უფლებას სცნობდა და ერთ-ერთ ბატონიშვილს მას მძევლად გამოუგზავნიდა, მაშინ შაჰი თავის მხრივ ყველა ტყვეს განუთავისუფლებდა, ყველაფერს, რაც თბილისში ომისგან დაზიანებული იყო, შეაკეთებინებდა და თანაც მოკავშირეობის ხელშეკრულებასაც დასდებდა. ამ აუწერელ უბედურებაში მყოფმა მეფე ერეკლემ თავის

დამცირება მაინც არ ინდომა და მოსისხლე მტერს არავითარი პასუხი არ აღირსა (Бутковъ. Матеріалы II, 341).

8 დღის განმავლობაში ქართლის აოხრებისა და დაწიოკების შემდგომ, აღა-მაჰმედ-ხანი უკვე კახეთში აპირებდა გალაშქრებას, რომ ერთბაშად საქართველოთგან გასვლა ამჯობინა, რათგან ყარაბაღის ხანი და ზოგი სხვაც დამორჩილებული არა ჰყავდა და ამის გამო ზურგი უზრუნველყოფილი არა ჰქონდა. საქართველოს სრული განადგურება მან შემდეგი, უფრო მარჯვე დროისთვის გადასდვა (იქვე II, 341).

ტფილისის აღებისა და განადგურების მხოლოდ 18 დღის შემდგომ, 1 ოქტომბერს, მოუვიდა რუსეთის მონაპირე ჯარის უფროსს თავის მთავრობისაგან ბრძანება, ხელშეკრულების ძალით და ჩვენი ღირსებისა და ინტერესების თანახმად საქართველოს მეფეს ორი სრული ბატალიონი ჯარით მიეშველეთო. მას ამასთანავე უფლება ეძლეოდა საჭიროებისამებრ კიდევ ორი ბატალიონი მიემატებინა დამხმარე რუსთა ლაშქრისთვის (Бутковъ. Матеріалы II, 344). ეს მეშველი ორი ბატალიონი აღმ. საქართველოში მხოლოდ 1795 წ. დეკემბრის დამდეგს მოვიდა.

ერეკლე მეფე ქვეყნის აოხრების გამო რუსეთის მთავრობას 1.000.000 მ. სთხოვდა სესხად და საწინდრად თავისი და თავის სახლობის მამულებს იძლეოდა, მაგრამ ამის პასუხი არ მოდიოდა. ამავე დროს ოსმალეთის მთავრობა ამ სესხს აძლევდა რასაკვირველია იმ იმედით, რომ საქართველოს გული თავიანთვის მოეგოთ და რუსეთისაგან აეყრეინებინათ. რაკი რუსეთის სამხედრო დახმარებაც მაშინდელ პირობებში მეტად მცირედი იყო და სესხის შესახებაც რუსეთის მთავრობისაგან არავითარი პასუხი არ მოსდიოდა, ერეკლე მეფეს გამოცდილების გამო ეჭვი შეეპარა, რომ რუსეთისგან შეპირებულ ძლიერს სამხედრო დახმარებას ოდესმე მართლაც ეღირსებოდა. ამიტომ ერეკლე მეფე ყოყმანში იყო, უარეყო თუ არა ოსმალეთის წინადადება (იქვე II, 345).

VIII თ ა ვ ი. რუსეთის გალაშქრება აღა-მაჰმედ ხანისა და სპარსეთის წინააღმდგ. 1796 წ., მისი მოჩვენებითი და ნამდვილი მიზეზები და დასასრული.

1796 წ. მარტში რუსეთის მთავრობამ სპარსეთს ომი გამოუცხადა. ეკატერინე მე- II-ის მანიფესტში, რომელიც ომის დაწყებისთანავე გამოქვეყნდა, ნათქვამი იყო, რაკი სპარსეთის მთავრობის ზოგიერთი მოხელეები რუს ქვეშევრდომ ვაჭრებს ავიწროვებდენ, ხოლო თვით აღა-მაჰმედ-ხანმა რუსეთის წარმომადგენელს შეურაცხყოფა მიაყენა, დასასრულ, რათგან სპარსეთის შაჰი საქართველოს შეესია და მოსამზღვრე ხანებს მოსვენებას არ აძლევს, ამიტომ საქართველოს მეფის თხოვნა მფარველობისა და დაცვის შესახებ შევისმინეთ და ჩვენს ჯარს სპარსეთის სამზღვრების გადალახვა ვუბრძანეთო (Бутковъ. Матеріалы II, 371).

რუსეთის მთავრობამ ეს საჯარო განცხადება ომის მიზეზების შესახებ სპარსულად, ქართულად და სომხურად დაბეჭდა და ამ ხალხთა შორის გაავრცელა. ერეკლე მეფეს, შუშის ხანს იბრაჰიმ-ხანსა და ყარაბაღის მელიქებს და დაღესტან-შირვანის მფლობელით ამას გარდა საგანგებოდაც აცნობეს, რომ რუსეთი თავის მხედრობით მათ განსათავისუფლებლად მოდის და ამიტომ მათგან მადლობასა და დახმარებას ელის (იქვე II, 372).

მაშასადამე რუსეთის მთავრობას საქმე ისე ჰქონდა საქვეყნოდ მოჩვენებული, ვითომც ის საქართველოს აოხრების გამო შურის მაძიებლად გამოდიოდა და შუშისა, შირვანისა და დაღესტნის ხანებისა და ყარაბაღის მელიქების მყუდროებას იცავდა. მაგრამ ეს მხოლოდ თვალების ასახვევად და შესაცდენად იყო გამოცხადებული. ომის ნამდვილი მიზეზი და მიზანი კი სულ სხვა ყოფილა.

1795-1796 წ-ის ზამთარში აღა-მაჰმედ-ხანის ბრძანებით ენზელში რუსთა ყველა ხომალდები და ვაჭრები დაიჭირეს (Бутковъ. Матеріалы II, 354). რუსეთის მაშინდელი

მთავრობა მეტად ფხიზლად ადევნებდა თვალყურს თავის ქვეშევრდომების სავაჭრო ინტერესებს, მეტადრე სპარსეთში ცდილობდა ამ მხრივ მტკიცედ ფეხის მოკიდებას, რათგან აქეთგან მას ფართო და უაღრესად მიმზიდველი სამოქმედო ასპარეზი ეხატებოდა. ამიტომ რუსეთის მთავრობამ ზემოაღნიშნულs შემთხვევას დიდი ყურადღება მიაქცია (იქვე).

რუსეთის მთავრობა ხედავდა, რომ სპარსეთში მომხდარი ამბები იმ ინტერესებისათვის და მიზნისათვის, რომელიც მას დასახული ჰქონდა, მეტად სახიფათო იყო. მას-კი ჰსურდა, რომ რუსეთის ვაჭრობა სპარსეთში ისე გაძლიერებულიყო, რომ მარტო კასპიის ზღვის პირას-კი არა, არამედ ქვეყნის თვით შუაგულშიც ყოფილიყო გავრცელებული. მას იმედი ჰქონდა, რომ ამ ადგილებითგან ინდოეთისაკენ გზის გახსნა უფრო მარჯვედ მოხერხდებოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამნაირად რუსეთი ინდოეთის მდიდარს ვაჭრობას ევროპელ ხალხებზე გაცილებით უფრო მოკლე გზით ჩაიგდებდა ხელში, რათგან ისინი ამისთვის „კეთილი იმედის კონცხს“ უვლიდნენ ხოლმე. ამის გამო რუსეთის მთავრობას ამ გეგმის განხორციელების წყალობით აურაცხელი სიმდიდრე და სარგებლობა ეხატებოდა (Бутковъ. Матеріалы II, 355)[1].

რუსეთის მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა, რომ სპარსეთში ერთის მხრით მშვიდობიანობა და წესიერება ყოფილიყო, იმიტომ რომ უამისოდ მისი საკომერციო ფართო გეგმის განხორციელება შეუძლებელი იქმნებოდა. ამისთვის კი ძლიერი გაერთიანებული მთავრობა უნდა ყოფილიყო სპარსეთში. მაგრამ მეორეს მხრით რუსები ფიქრობდნენ, სპარსეთის გაერთიანება და გაძლიერება რუსეთისთვის სასარგებლო კი არა, სახიფათოც იყო[2]. ეს აღა-მაჰმედ-ხანის მოქმედებამაც ცხად-ჰყო. ამიტომ რუსეთმა გადასწყვიტა, რომ აღა-მაჰმედ-ხანის გაძლიერება და მის საბრძანებლის სამზღვრების გაფართოება რუსეთის მთავრობის ფართო ეკონომიურ და პოლიტიკურ გეგმას ეწინააღმდეგებოდა და სავაჭრო ინტერესებისათვის ფრიად სახიფათო იყო. აღა-მაჰმედ-ხანი უნდა დაუძლურებულიყო, სპარსეთშიაც რუსეთისთვის კარი ფართოდ უნდა გაღებულიყო.

ასეთ პირობებში რუსეთს საქართველოს გამოყენებაც მშვენივრად შეეძლო. ის ჯერ ეს ერთი გამოდგებოდა პოლიტიკურად მით, რომ ოსმალეთთან და სპარსეთთან ომის დროს რუსთა საქმისთვის სასარგებლო იქმნებოდა. ამიტომ მისი გაძლიერებაცა და გაფართოებაც ამ ჟამად ურიგო არ იქმნებოდა. მეორეც ისა, რომ რუსეთს საქართველოს გამოყენება შეეძლო ეკონომიურადაც, რათგან მის საშუალებით უფრო განმტკიცდებოდა და უზრუნველყოფილი იქმნებოდა რუსეთის ვაჭრობა სპარსეთში[3] (Бутковъ. Матеріалы II, 366).

ამ სარგებლობის აზრმა ისე გაიტაცა რუსეთის მთავრობა, რომ განჯის და ერევნის სახანოს შემოერთებაც კი უნდოდა საქართველოსთვის (იქვე II. 365).

ამ გვარად სრულებით ცხადია, რომ რუსეთის დედოფლის მანიფესტში მოხსენებული ცნობა, ვითომც რუსეთს სპარსეთისათვის ომი იმიტომ გამოეცხადებინოს, რომ აღა-მაჰმედ-შაჰმა საქართველო ააოხრა და საქართველომ მის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა, მხოლოდ თვალთმაქცობა და ლამაზი, მაგრამ ყალბი სიტყვები იყო. თვით ამ სპარსეთის ლაშქრობის მონაწილე და რუსთა ჯარის სარდლის შტაბის ადიუტანტი ბუტკოვი პირდაპირ ამბობს: ეკატერინე დიდის სურვილ იყო, რომ რუსეთს საქართველოს აოხრებისათვის აღა-მაჰმედ-ხანის დასჯის მომიზეზებით ესარგებლა და სპარსეთთან რუსეთის ვაჭრობა განსაკუთრებით

[1] “Спокойствіе... въ Персіи откроеть Россіи богатый торгъ не только при берегахъ моря Каспійскаго, но и внутри предѣловъ персидскихъ областей; посредствомъ сихъ послѣднихъ удобовоз, можно будеть открыть путь въ Индію и привлечъ къ намъ богатѣйшій торгъ сей кратчайшими путями, чѣмъ тогъ, коему слѣдутъ всѣ народы европейскіе, обходя мысъ Доброй Надежды».

[2] Полъза имперіи россійской взыскнуть предостерегать и не допускать до соединенія и утвержденія всѣхъ силъ народа сего воедино (Бутковъ. Матеріалы II, 336).

[3] «Сіе... дастъ способъ царству сему безъ нашей помощи не то[льк]о противостоять надъ ними пойски, весъма для насъ полезные при случаѣ войны съ Турками. Чрезъ посредство распространенной такимъ образомъ Грузіи, болѣе утвердится и обезпечится наша торговля съ Персіей» (II, 366).

განემტკიცებინა“-ო (Матеріалы II, 367-8)[1], რათგან ამ ომის „უმთავრესი მიზანი ვაჭრობის გავრცელება“ იყოო (იქვე II, 367)[2] .

რუსეთის მთავრობას ეშინოდა, რომ თუ ვინიცობაა მისი ნამდვილი ზრახვა და იდუმალი გეგმა გამოაშკარავდებოდა, მას არავინ, არც საქართველოში არც შირვანისა და შაქის სახანოებში, მხარს არ დაუჭერდა. ამიტომ არავის ენდობოდა. თვით მეფე ერეკლესაც კი ის ეჭვის თვალით უყურებდა და რომ თავის თავი საქართველოსაგან უზრუნველეყო, მან ერთს, თუმცა უკადრისს, მაგრამ მეტად მოხერხებულ საშუალებას მიჰმართა. მან გადასწყვიტა, რომ საქართველოს მეფისაგან სხვათა შორის ერთი რჩეული ათას კაცამდის ქართული სამხედრო ნაწილის შედგენა მოეთხოვა, რომელიც რუსთა ჯარისათვის უნდა მიემატებინათ და მასთან ერთად წაეყვანათ ომში. ამ ნაწილში თვით ბატონიშვილებიც უნდა ყოფილიყვნენ ჩარიცხულნი განსაკუთრებით ისეთები, რომელნიც მშობლებისათვის უფრო ძვირფასნი იყვნენ, როგორც მაგ., ბატონიშვილები იულონი და დავითი. ამგვარადვე მოწინავე ქართველობის საუკეთესო წარმომადგენელნი უნდა ამ რაზმში შესუკიყვნენ. რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ არ რჩეულ ქართულ სამხედრო ნაწილს საიდუმლოდ საქართველოს მეფისა, დედოფლისა და ერის ერთგულების მძევლად ჩასთვლიდა (Бутковъ. Матеріалы II, 368-369)[3]. ასე ეპყრობოდა ქართველობას ის „მფარველი“ რუსეთი, რომელიც საზეიმო მანიფესტში საქართველოს გულისთვის სპარსეთს ომს უცხადებდა!

სამხედრო მოქმედება უკვე თავისი ბუნებრივი გზით მიმდინარეობდა და თავიანთი მომავალი გამარჯვების გამოსაყენებლად რუსებს მრავალი ერთი მეორეზე უფრო საოცნებო გეგმები ეხატებოდათ, რომ 1796 წ. ნოემბერში ეკატერინე II გარდაიცვალა. 6 დეკემბერს იმავე წელს რუსების ჯარების მთავარსარდალს თავის მთავრობისაგან გადაჭრილი ბრძანება მოუვიდა ყოველგვარი სამხედრო მოქმედების შეჩერებისა და მთელი ჯარითურთ რუსეთში დაბრუნების შესახებ (იქვე II, 419). მართლაც სამხედრო მოქმედება შესწყდა და რუსის ჯარი შინისაკენ მიმავალი საქართველოში დაბრუნდა რომ იქითგან რიგრიგობით რუსეთში წასულიყო. ჯარის ერთი ნაწილი იმავე ზამთარში წავიდა საქართველოთგან (იქვე II, 423).

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა ნაირად უნდა თავზარდაცემული ყოფილიყო საქართველო და ერეკლე მეფე. სხვა ხანებიც, რომელნიც სპარსეთის ამ ლაშქრობაში რუსებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ. როდესაც რუსეთის მთავრობის უპირობამ ამ შემთხვევაშიაც თავი იჩინა. აღა-მაჰმედ-შაჰი კი სიხარულით ცას ეწეოდა, ყველგან ფირმანებს გზავნიდა, რომ რუსთა ჯარი მას შეუშინდა და უკან გაბრუნდაო. მრისხანე ბრძანება ბრძანებაზე მოსდიოდათ ყველას, ვინც კი მის საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობის მიღება გაბედა.

1797 წ. გაზაფხულსვე აღა-მაჰმედ-შაჰი შუშის ხანის დასასჯელად დაიძრა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა რომ აქეთგან პირდაპირ საქართველოს ასაკლებად წამოვიდოდა, მცხოვრებლებს აჰყრიდა და შაჰაბაზის მსგავსად სპარსეთში გადაასახლებდა (Бутковъ. Матеріалы II, 427). საქართველოს სრული განადგურება აუცილებელი იყო, რომ 4 ივნისს მის სიმკაცრით გაბოროტებულ მსახურთ მძინარე აღა-მაჰმედ-შაჰისთვის თავი არ მოეჭრათ (იქვე II. 430).

ასე სრულებით შემთხვევით გადაურჩა საქართველო აოხრებას და დაღუპვას. თუმცა რუსებმა ეს თავის თვალით ნახეს და კარგად გრძნობდენ რა განსაცდელშიც იყო საქართველო, მაგრამ მაინც გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ და 1797 წ. ენკენისთვეში თავიაანთი ჯარის

---

[1] «Предметомъ введенія въ Персію войскъ Великой Екатерины было не суетное желаніе побѣдъ, ни распространеніе пределовъ и безъ того оьширнѣйшей въ свѣтѣ имперіи, но чтобъ ходъ предлогомъ наказанія Ага-Магометъ-Хана за Грузію, главнѣйше основать твердымъ образомъ съ Персіею нашу торговли».

[2] «Главнѣйшій же предметъ, распространеніе торговли».

[3] «Дабы имѣит въ рукахъ своихъ зпложниковъ въ вѣрности царя грузинскаго, жены, дѣтей его и лучшихъ людей народа сего, нужно будеть присоединить и взять къ войскамъ нашимъ... хоия до I т. человѣкъ отборных грузинъ и при нихъ тѣхъ изъ сыновей царицы, къ которымъ она наиболѣе привязана, т.е. ц=ча Юлога, тоже и ц-ча Давида».

უკანასკნელი ნაწილიც ჩვენი ქვეყნითგან გაიყვანეს (Бутковъ. Матеріалы II, 423). სპარსეთთან ომის გაგრძელება მათ საჭიროდ არ მიაჩნდათ. ხოლო რუსეთის მთავრობამ რომ თავის მოქმედებით საქართველოს უსაშინელეს მდგომარეობაში აგდებდა და ჯარის გაყვანა მის მხრივ 1783 წ. ხელშეკრულების დარღვევა იყო, ამგვარ წვრილმან გარემოებას იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

IX თ ა ვ ი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთი დამოკიდებულების საფუძველი და მისწრაფებათა შეურიგებლობა

უნებლიეთ საკითხი იბადება, თუ რა მიზეზი იყო, რომ დიდი რუსეთის მთავრობა ასე ექცეოდა პატარა საქართველოს ან როგორ ახერხებდა რუსეთი საქართველოს ისე მოჯადოებას, რომ იგი რამდენიმე მწარე გამოცდილების შემდგომაც მაინც „ქრისტესმოყვარე“ რუსეთის მფარველობის გულწრფელი მოიმედე იყო?

პირველი საკითხის გადაწყვეტა ყველა ზემოთხრობილის შემდგომ ძნელი არ არის.

რუსეთის მაშინდელი მთავრობის ბრძანებებითგან და მიწერ-მოწერითგან, აგრედვე სხვა ყველა იმდროინდელი საბუთებითგან და თვით მოქმედებითგანაც, სრულის სიცხადით ირკვევა, რომ რუსეთის მთელი პოლიტიკა და მოქმედება საქართველოს მიმართ ნამდვილად რუსულ პოლიტიკურ ინტერესებით იყო ნაკარნახევი და მხოლოდ ნიღაბჩამოფარებული, მაგრამ ტლანქი ეროვნული ეგოიზმის განხორციელება იყო.

მაშინ რუსეთს ამიერ-კავკასიაში და სპარსეთში იმდენად პოლიტიკური ინტერესები არა ჰქონდა, რამდენადაც ეკონომიური. ის განსაკუთრებით, რუსული აღებმიცემობის სპარსეთში გავრცელებაზე ზრუნავდა, რითაც მას ინდოეთის მდიდარი ვაჭრობის ხელში ჩაგდების იმედი ჰქონდა. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ უკვე საკომერციო ინტერესები რეალურ გეგმას წარმოშვამდენ, რომელიც ინდოეთის დაპყრობის გამამართლებელ საბუთად გამოდგებოდა. მაგრამ რუსებს ეს მხოლოდ შორეულ, მომხიბლავ მომავაად ეხატებოდათ. მათ ხალხურ ზღაპრებშიაც თვალწარმტაცის მიმზიდველობითა და სიმდიდრით იყო მოსილი ინდოეთი და თვით რუსეთის მთავრობაც უფრო ოცნებისა და სიზმარეთის სამეფოში დანავარდობდა, ვიდრე ცხოვრების სინამდვილეში იმიტომ, რომ მისი გეგმების სივრცე და სიუხვე ოდნავადაც არ შეეფერებოდა იმდროინდელი რუსეთის ეკონომიურ ძალას და წარმოებას.

რუსეთის მთავრობას გულის სიღრმეს არ მოჰხვედრია ქართველი ერის მისწრაფება, მისი დაწინაურებული, განათლებული ყოფა-ცხოვრების დაუშრეტელი წყურვილი და მუდმივი ლტოლვა თავისუფლებისადმი. არა, რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგს იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენიერად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. ეს აზრი თვით რუსეთის მთავრობას აქვს ცინიკური, გულახდილობით გამოთქმული გრაფი ნ. პანინის პირით ერთს საიდუმლო მიწერილობაში, რომელიც მან სახელმძღვანელოდ საქართველოში მყოფს რუსეთის წარმომადგენელს გენერალ ტოტლებენს გამოუგზავნა: უნდა ეცადოთ საქმე საქართველოში ისე მოვაწყოთ, რომ ყველაფერი ჩვენი „ხელმძღვანელობით ხდებოდეს“, თვით ქართველებს კი ისე ეგონოთ, ვითომც ისინი თავიანთ მთავრობის განკარგულებას ასრულებდენ, თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქოს ყველაფერი მისი სურვილისა და ნების თანახმად ხდებოდეს, ერთი სიტყვით, ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს, მაგრამ იმ ნაირად-კი, რომ „სული აქაური (ე.ი. რუსული) იყოს“, სხეული-კი ქართული“-ო.[1] მაშასადამე რუსეთის მთავრობას უნდოდა რომ ქართველები

[1] «Главнѣйшая нужда, чтобъ Гпузины намъ въ войнѣ помогали такимъ образомъ, чтобъ... мнили исполнять повелен Главнѣйшія своихъ владѣтелей, а сіи равнымъ образомъ оказываемую намъ услугу

უსულო იარაღივით გამოეყენებინა თავის პოლიტიკური მიზნებისა და ზრახვების მისაღწევად.

მაშინდელი ქართველობა კარგა ხანს ამ გარემოებას ვერ ამჩნევდა და გულწრფელად დარწმუნებული იყო, რუსთა ხელმწიფეს და მთავრობას საქართველოსთვის მართლაც გული შესტკივოდა და მის მწუხარება თავის მწუხარებად მიაჩნდა. ამგვარი განუსაზღვრელი და დაუშრეტელი რუსებისადმი ნდობა იმაზე იყო დამყარებული, რომ საქართველოს იმდროინდელი მტრები სპარსეთ-ოსმალეთი მაჰმადიანები იყვნენ, რუსეთი კი, ვითარცა ქართველთა ერთმორწმუნე სახელმწიფო, თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ.

ქართველებს შორითგან გაგონილი ჰქონდათ რუსთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა და ეჭვი არ ებადებოდათ, რომ რუსეთი ქართველთა სულის კვეთებას ადვილად გაიგებდა და მათს თავგანწირულს ბრძოლაში სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ წრფელის გულით ძლიერს დახმარებას გაუწევდა.

რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, როდესაც-კი რუსეთის სამხედრო თვალსაზრისით ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალეთის, ან სპარსეთის წინააღმდეგ საჭიროდ მიაჩნდათ, სწორედ ქართველთა ამ სუსტ გრძნობაზე და გულუბრყვილობაზე იყო დამყარებული. „ქართველებს მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა აქვთ და ამაზეა დამოკიდებული მათი გულმოდგინეობა სრულიად რუსეთის კარისადმი და კეთილმოსურნეობა რუს ხალხისადმი“-ო[1], ასე ამბობდენ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელნი, – და ამ და ქართველთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობის საშუალებით ცდილობდენ და ახერხებდენ კიდეც ქართველების იმდენად მოჯადოვებას, რომ რუსეთის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ.

როცა რუსეთისთვის საჭირო იყო, მაშინ მას აგონდებოდა, რომ ქართველები მხურვალე ქრისტიანები იყვნენ და მაჰმადიან ძლიერი სახელმწიფოების მძლავრობისაგან უკიდურესად შევიწროებულნი იყვნენ. ამ დროს, ის ვითომცდა კაცთმოყვარეობის გრძნობით აღსავსე არწმუნებდა საქართველოს, რომ მუდამ მის დახმარებაზე ოცნებობს და მისთვის ზრუნავს. ასე იყო ხოლმე სანამ საქართველოს არ შეაცდენდა და თავის სამხედრო გეგმისდა მიხედვით ოსმალეთთან ან სპარსეთთან ომში, რომელსაც იგი განიზრახავდა, არ ჩარევდა. მაგრამ რა წამს რუსეთს თავისი პირადი მიზანი მიუღწეველად მიაჩნდა, ან ომის გაგრძელებას თავისთვის ხელსაყრელად აღარა სთვლიდა, ის საქართველოს უყოყმანოდ მიატოვებდა ხოლმე და მაშინ მას ყველაფერი ავიწყდებოდა, ქართველთა ქრისტიანობაც და გაჭირვებაც. ასეთს შემთხვევებში ის იმაზეც-კი აღარ ფიქრობდა, რომ საქართველო სწორედ მის წყალობითა და მის მოქმედებით წინანდელზე უფრო უარესსა და უმწეო მდგომარეობაში ვარდებოდა ხოლმე.

გარეგნულად რუსეთის მთავრობა ვითომც სწუხდა რომ საქართველო პოლიტიკურად დასუსტებული სახელმწიფო იყო და თითქოს ცდილობდა, რომ მისი სამხედრო ძლიერება გაზრდილიყო და საერთაშორისო მდგომარეობა გამტკიცებულიყო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მაგ., თავის წარმომადგენელს საქართველოში კოვალენსკის სწერდა, რომ მას საქართველოს მეფისათვის ერჩია მუდმივი ლაშქარი დაეარსებინა და ხეირიანი არტილერია შეექმნა, რომ ამგვარად მეფეს საშუალება ჰქონოდა საჭიროებისამებრ პატარა სამხედრო ძალითაც სპარსთა მრავალრიცხოვანი, თავზეხელაღებული ბრბოებისათვის წინააღმდეგობა გაეწია. ამ საქმის განსახორციელებლად რუსეთის ხელმწიფე საქართველოს მეფეს ნებას აძლევდა საქართველოში დანიშნული იეგერთა პოლკის უფროსი და ოფიცრები

своему усердію собчтвенному побужденію прочитать, но въ самомъ дѣлѣ все то производилось здѣшнимъ руководствомъ и просвѣшеніемъ, - коротко сказать; была бы душа здѣшняя, атѣло грузинское» (პროფ. ალ. ცაგარელის Грамоты etc. I, 155-156).

[1] “Теплота вѣры въ Грузинуахъ великая» გვ. 7? «одинаковое исповѣденіе вѣры съ господствующей здксъ происходящее отъ въ нихъ ко всероссійскому Императорскому двору усердіе и доброжелательство къ Россійскому народу, надежда... лутмія получить успѣхи» (Разсужденіе о способахъ, какими Грузинцы преклонены быть могуть къ воспріятію участія съ Портою Оттом. войнѣ. პროფ. ალ. ცაგარელის Грамоты I, გვ. 7 და 6)

ხელმძღვანელად გამოეყენებინა(*). მაგრამ ეს 1799 წელს იწყებოდა, როდესაც უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის ბედი თვით რუსთავე წყალობით გადაწყვეტილი იყო, ისე რომ ამ რჩევას მაშინ აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

განსაკუთრებით საყურადღებო-კი სწორედ ის გარემოებაა, რომ თვით საქართველოს მთავრობა მუძამ ცდილობდა დაწინაურებული სამხედრო ტექნიკა და მეტადრე ზარბაზნების ჩამოსხმა-მოხმარება შეესწავლა, ხოლო რუსეთის მთავრობა იდუმალად ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ საქართველოს თავის ეს წადილი ვერ განეხორციელებინა. ისე რომ თუ საქართველოს მე XVIII ს.-ის დასასრულს, როდესაც რუსეთის მთავრობის ზემომოყვანილი რჩევა იყო შედგენილი, შესაფერისი არტილერია არ ებადა, ამაში უმთავრესად თვით რუსეთის მთავრობის წარმომადგენლეს უძევთ ბრალი.

საქართველოში ძალიან კარგად ესმოდათ კარგ არტილერიის უაღრესი მნიშვნელობა ქვეყნის გარეშე მტრისგან უზრუნველყოფისათვის და სწორედ ამიტომაც არის, რომ ერეკლე მეფე სულ იმის ცდაში იყო, რომ ვისგანმე ზარბაზნების გაკეთება და ხმარება შეესწავლა.

მან ისარგებლა კიდეც შემთხვევით, რომ რუსთა ჯარში, რომელიც ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად მაშინ საქართველოში იყო გამოგზავნილი, არტილერიის საქმის მცოდნე პირები ქართველები იყვნენ და მათ მიჰმართა, რომ თავისი დიდი ხნის ნატვრა აესრულებინა. არტილერიის პოდპოლკოვნიკს ჩოლაყაშვილს და თავად თარხან-მოურავს სიხარულით უკისრიათ ეს საქმე. ისინი თურმე ერეკლე მეფეს ზარბაზნების, მორტირების და ჰაუბიცების გაკეთებასა და დადგმას ასწავლიდენ.

მოულოდნელად ამის გამო მთელი აურზაური ატყდა. თუმცა მაშინ ეს ქართველებს ეუცნაურათ, მაგრამ რუსეთის ჯარის უფროსმა ტოტლებენმა რომ ეს გარემოება შეიტყო, მაშინვე ჩოლოყაშვილსაცა და თარხან-მოურავსაც სასტიკად აუკრძალა, რომ მეფე ერეკლესათვის საარტილერიო ხელოვნება ესწავლებინათ.

ამ ორს ქართველს არტილერისტს, როგორც სჩანს, ტოტლებენის ამგვარი ბრძანება უკანონოდ მიაჩნდათ და ეტყობა გულწრფელად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთისათვისაც ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, თუ-კი საქართველოს მეფეს, ვითარცა რუსეთის ერთგულს მოკავშირეს და მის მფარველობის ქვეშე მყოფს, სამხედრო საქმე კარგად შესწავლილი ექმნებოდა. ამიტომ ორივენი ისევ ტფილისში დარჩნენ და წინანდებურად ერეკლე მეფეს ასწავლიდენ. მაშინ ტოტლებენმა 6 თებერვალს 1770 წელს რუსეთის მთავრობას ფრანგულად დაწერილი საიდუმლო მოხსენება გაუგზავნა, რომელშიაც ატყობინებდა, რომ ჩოლაყაშვილი და თარხან-მოურავი ერეკლე მეფეს ზარბაზნების ჩამოსხმასა და დადგმას ასწავლიანო. თუმცა საქართვლოს მეფე, სწერდა ტოტლებენი მთავრობას, რუსეთის ხელმწიფის მფარველობის ქვეშ არის, მაგრამ რუსეთის ინტერესებისათვის სასურველი არაა, საქართველოში რუსეთის ხელმწიფის ზარბაზნებს გარდა სხვისი ვისიმე ზარბაზნები იყოსო. ამიტომ ტოტლებენი მთავრობას სთხოვდა, რომ ყველა ქართველი ოფიცრები და თავადი თარხან-მოურავი საქართველოთგან ისევ რუსეთში წაეყვანათ (წერილი იხ. А. Цагарели. Грамоты I, 20, შედ. 198-199)[1].

ქართველი ოფიცრები თავის მამულიშვილური გრძნობისა და პოლიტიკური სიბეცისათვის სასტიკად დაისაჯნენ. იძულებით რუსეთში წაყვანილნი და დაპატიმრებულნი საქმის გამოძიებას უცდიდნენ, სანამ მათი უდანაშაულობა ყველასათვის ცხადი არ შეიქმნა.

ამ საიდუმლო მოხსენებითგან ცხადად სჩანს, რომ რუსეთის მთავრობისათვის საზოგადოდ საქართველოს გაძლიერება სრულებითაც საჭირო არ იყო. საქართველო ისეთ

[1] «Г.-м графъ отъ 6 февр. 1770 года представляль сюжа, что пртиллерійскі1 подполковникъ Чолокаевъ, не смотря на ордены его, графа Тотлебена, остается въ Тифлисѣ съ н. с. кн. Моуравовымъ, показывая царю Ираклію дѣлать мортиры и гаубицы и ставить пушки на лаыкты; а по мнѣнію его, графа Тотлебена, хотя царъ и кнзбя его и вступили въ протекцію ея И. В., однакожъ дла Высочайшихъ интересовъ предосудительно, чтобъ въ Грузіи были пушки кромѣ принадлежащихъ ея И. В., и такъ просилъ онъ объ отозваніи назадъ всѣхъ офицеровъ грузинской націи и князя Моуравова (А. Цагарели, Грамоты etc. I, 198-199, ფრსნგული მოხსენება ტოტლებენისა იმავე საგნის შესახებ იქვე I, 205).

მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთის დაუხმარებლივ მას თავისი თავის დაცვა არ შესძლებოდა და მუდამ მხოლოდ რუსეთის შემავედრებელი და ხელში შემყურე ყოფილიყო[1].

მაშასადამე ყოველთვის ისე იყო ხოლმე, რომ რუსეთის „დახმარებას“ დასაწყისში გარეგნულად საქვეყნოდ დიდი სახელი და რიხი ჰქონდა, შედეგი-კი მუდამ საშინელი და დამღუპველი იყო ჩვენი პატარა, მტრებით შემორტყმული, ქვეყნისა და ერისათვის.

რუსეთის უპირობა და საქართველოს უმწეოდ მიტოვება მტრებთან ბრძოლის დროს ჩვენს ქვეყანას მარტო საერთაშორისო დამოკიდებულებას-კი არ უფუჭებდა, მარტო მის გარეშე მტრებს კი არ ათამამებდა, არამედ შინაურ ცხოვრებაშიც არევ-დარევასა და სხვადასხვა პოლიტიკურ დასთა შორის ბრძოლას ამწვავებდა, მეფისა და მთავრობის პატივისცემისა და უფლების გაქარწყლებას ხალხის თვალში ხელს უწყობდა. ბევრნი ხედავდენ, რომ მთავრობის მთელი პოლიტიკა საქართველოს უბედურების მეტს არას უმზადებდა და ამის გამო სპარსეთთან და ოსმალეთთან შეთანხმების მომხრენი დაუნდობლად ებრძოდენ იმ წრეებს, რომელნიც რუსეთის მფარველობასა და მოკავშირეობის მომხრენი და მოთავენი იყვნენ. ეს შინაური უთანხმოება და ქიშპობა ძირს უთხრიდა ისედაც დაუსრულებელი ომებისა და მტრების შემოსევისაგან დასუსტებულ სახელმწიფოს.

ერეკლე მეფე ღრმად მოხუცებული მოუსვენარ ცხოვრებისა და თავდატეხილი უბედურებისაგან დაავადებული გულის ტკივილით შეჰყურებდა, როგორ ინგრეოდა ის პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე, ქონებრივი კეთილდღეობაც, რომელიც მის მამის თეიმურაზ მე II-ისა და მის პირად დაუღალავ შრომითა და გამჭრიახობით იყო მოპოვებული. მის სიბერის დღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამლული, რომ ამის ბრალი მის პირადს პოლიტიკურს გულუბრყვილობას და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობასაც ედებოდა.

ერეკლე მეფეს დიდ ხანს აღარ უცოცხლია… 11 იანვარს 1798 წ. 1. თელავში გარდაიცვალა 78 წლის მოხუცი გმირი პატარა-კახი.

X თ ა ვ ი. საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა რუსეთის მთავრობის მიერ და რუსეთთან შეერთება

სამეფო ტახტზე ასულს გიორგი მეფეს არც მამის ნიჭი და პირადი სიქველე ჰქონდა, არც საიმისო გავლენა მოეპოვებინა ხალხში, რომ ესოდენ გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობითგან ბრძნულის შორსმჭვრეტლობითა და სიფრთხილით საქართველო სამშვიდობოს გამოეყვანა. პირიქით შინაური უწესოება გაძლიერდა, გარეშე მტრები უფრო გათამამდნენ, გულწრფელი მეგობრული გრძნობითა და უანგარო გრძნობითა და კეთილმოსურნეობით გამსჭვალული ძლიერი მოკავშირის მფარველობა და დახმარება-კი არა სჩანდა.

ასეთ გარემოებაში მყოფს გიორგი მეფეს რუსეთის მხრივ შველი იმედი აღარა ჰქონდა და ამის გამო მან გადასწყვიტა დარიალის კარი ჩაეკეტა და სამხრეთისაკენ გზა რუსებისათვის სამუდამოდ დაეხშა. მას ეგონა, რომ ისევ ოსმალეთთან პოლიტიკური შეთანხმება და მისი მოკავშირეობა მიანიჭებდა ღონემიხდილს საქართველოს მშვიდობიანობას. მეფემ უკვე დესპანიც-კი გაგზავნა ახალციხის ფაშასთან, რომ იქითგან სტამბოლში წასულიყო ამ საქმის მოსაწყობად. მაგრამ დესპანი ჯერ ახალციხეს არ გასცილებოდა, რომ რუსეთითგან ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი დავითი ჩამოვიდა, რომელმაც რუსეთის ხელმწიფეს პავლეს საქართველოსადმი კეთილ განწყობილების ამბავი ჩამოიტანა. მაშინვე კვლავ „ქრისტეს

[1] 1783 წ. ხელშეკრულების დადების შემდგომ რუსეთის მთავრობამ ზარზაზნები დაამზადა საქართველოსათვის, მაგრამ აქეთგან მხოლოდ 2 ზარბაზანი გამოუგზავნა, იმათაც ძლივს-ძლიობით მხოლოდ 1788 წ. მოაღწიეს საქართველომდის. დანარჩენი რუსეთში ჩარჩა.

მოყვარე“ რუსეთის მხრით უანგარო დახმარების იმედი დაიბადა და საქართველოს ელჩი ახალციხითგან სწრაფად უკან დაბრუნებული-იქმნა (Бутковъ. Матеріалы II, 446).

როდესაც გორგი მეფემ რუსეთის ხელმწიფეს პავლეს თავის სამეფო ტახტზე ასვლა აცნობა, პავლემ მოლოცვასთან ერთად მოსწერა, რომ 1783 წ. ხელშეკრულების ძალით იგი მოვალეა რუსეთის იმპერატორს დამტკიცება სთხოვოს (იქვე II, 448). თითონ მას კი ავიწყდებოდა, რომ ამ ხელშეკრულებამ მარტო საქართველოს არ დააკისრა მოვალეობა, არამედ რუსეთის სახელმწიფოსაც და რომ თვით რუსეთს არც ერთი ეს მოვალეობათაგანი ჯერ ასრულებული არ ჰქონდა.

16 აპრ. 1799 წ. საქართველოში რუსეთის ელჩი დაინიშნა და 2 ბატალიონი ჯარიც გამოიგზავნა ვითომც საქართველოს დასაცავად (Бутковъ. Матеріалы II, 449). ერთმაცა და მეორემაც საქართველოს მხოლოდ ამავე წლის დასასრულს მოაღწიეს (იქვე II, 451). რუსეთის მთავრობამ თავის ელჩს დაავალა, რომ მას მეფისათვის საიდუმლოდ თვალყური ედევნებინა. მაშასადამე თვით მეფეც კი საეჭვოდ მიაჩნდათ და მის ერთგულებას არ ენდობოდენ, თუმცა საქართველოს მთავრობამ რუსეთისადმი განუსაზღვრელი და გადამეტებული ნდობა არა ერთხელ დაამტკიცა და ამის წყალობით ძალიანაც იზარალა.

ყველაფერი მოწმობდა, რომ რუსეთი ეხლა კი თითქოს მართლაც დაინტერესებული იყო საქართველოს მდგომარეობით და ჩვენ ქვეყანასთან მჭიდრო კავშირიცს დაჭერას ცდილობდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც რუსეთს საქართველოსთვის არ შეუწუხებია თავი, არამედ მხოლოდ პირადი სარგებლობით ხელმძღვანელობდა იგი და თავის საიდუმლო გეგმის განხორციელებაზე ზრუნავდა.

კამერჰერმა გრაფმა მუსინ-პუშკინმა იმპერატორ პავლეს წინაშე იშუამდგომლა, რომ მას ნება და საშუალება მისცემოდა საქართველოში გასამგზავრებლად და იქაურ მთების მდიდარ მადნეულობის გამოსაკვლევად. 17 ოქტ. 1799 წ. მან ნებართვა მიიღო და გამოემგზავრა კიდეც. როდესაც საქართველოს ადგილობრივ სიმდიდრის შესწავლამ მას თვალწინ გადაუშალა ჩვენი ქვეყნის მთელი საუნჯე, ბუნების მშვენიერება და „სამოთხის მსგავსი ჰავა“, მან 1800 წ. თავის ხელმწიფეს მოხსენებაში საქართველოს ყველა ზემოაღნიშნული ღირსებანი აუწერა და ის მნიშვნელობაც გაუთვალისწინა, რომელიც ჩვენს სამშობლოს რუსეთისათვის ექმნებოდა, საქართველო რომ რუსეთს დაეპყრო. მაშინ რუსეთი მდიდარს ქვეყანას შეიძენდა და კავკასიის მთიელთა თავდასხმისაგან სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქმნებდაო იმიტომ, რომ ორთავე მხრივ ჩაჭერილნი ისინი ვეღარას გაბედავდენ, ოსმალეთთან, ან სპარსეთთან ომის დროსაც რუსეთს დიდი სამხედრო უპირატესობა ექმნებოდა. მაგრამ ამას გარდა რუსეთს სპარსეთისა და ინდოეთის ვაჭრობის ფართო ასპარეზიც გაეხსნებოდაო (Бутковъ. Матеріалы II, 463-464). მაშასადამე ჩვეულებრივს ეკონომიურ ინტერესებს გარდა, ზღაპრულ ინდოეთზე ოცნებასთან ერთად, აქ უკვე გარკვეული პოლიტიკური გეგმაცაა გათვალისწინებული.

ეს აზრი პეტერბურგში მოწონებულ იქმნა. 18 დეკემბ. 1800 წ. პეტრე იმპერატორმა ხელი მოაწერა მანიფესტს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ და შემდეგ კი გიორგი მეფეს წინდაწინვე დამზადებული გაუგზავნეს ხელმოსაწერად, რომელშიაც ვითომ თვით მეფე სთხოვდა რუსეთის ხელმწიფეს, რომ მას საქართველო ერთხელ და სამუდამოდ რუსეთთან შეეერთებინა და რუსეთის განუყოფელ ნაილად ექცია. მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ მთელი ეს შეთხზული გეგმა ჩაიფუშა: გიორგი მეფე გარდაიცვალა 22 დეკემბერს 1800 წ. ისე, რომ ხელმოსაწერი ქაღალდი მას თვალითაც არ უნახავს, რათგან მისი მომტანნი ამ დროს ჯერ საქართველოში ჩამოსული არც კი იყვნენ (Бутковъ. Матеріалы II, 465).

ასეთი შესაძლებლობა რუსეთის მთავრობას წინდაწინვე გათვალისწინებული ჰქონდა და ამისთანა შემთხვევისათვისაც მას უკვე 15 ნოემბერს თავის წარმომადგენლისათვის საქართველოში ნაბრძანები ჰქონდა, რომ რა წამს გიორგი მეფე გარდაიცვლებოდა, საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლის ნება არავისთვის მიეცათ. ეს გარემოება გენ. კნორინგმა გიორგი მეფის გარდაცვალებისთანავე აცნობა საქართველოს მცხოვრებთ და თანაც იმ ოთხ ბატალიონ ჯარის გარდა, რომელიც რუსებს ამ დროისათვის ჩვენს ქვეყანაში მოეპოვებოდათ, საჩქაროდ კიდევ ერთი ბატალიონი დაიბარა (იქვე II, 465-466).

1783 წ. დადებულ ხელშეკრულების მე 12-ე მუხლში ნათქვამია, რომ ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან შევსება მხოლოდ ორთავე მხრის თანხმობით შეიძლებოდა.[1] რათგან 1783 წ. შემდგომ აღარავითარი სხვა ხელშეკრულება საქართველოს და რუსეთს შორის არ დადებულა და არც რაიმე ცვლილება ყოფილა შეტანილი ორთავე მხარის თანხმობით, ამიტომ რუსეთის მთავრობას[2] უნდოდა, რომ მას რაიმე საბუთი ჰქონოდა იმის დასამტკიცებლად, ვითომც თვით საქართველოს ჰსურდა თავისი სახელმწიფოს მოსპობა და რუსეთის განუყოფელ ნაწილად გადაქცევა. რაკი გიორგი მეფის სიკვდილის გამო ეს მათი გეგმა ფიზიკურადაც განუხორციელებელი იყო, ამიტომ რუსეთის მთავრობამ აღარც ხელშეკრულების ცხადს დარღვევას და არც საჯარო სიცრუეს მოერიდა და რაწამს მან გიორგი მეფის სიკვდილის ამბავი შეიტყო, მაშინვე 18 იან. 1801 წ. პავლე პირველის მანიფესტი გამოაქვეყნა, რომელშიაც ნათქვამია, ვითომც თვით მეფე გიორგისა, მოწინავე წრეებისა და ქართველ ერის სურვილითა და თხოვნით რუსეთმა საქართველო სამუდამოდ შემოიერთა (Бутковъ. Матеріалы II, 466-467). არც მეფე გიორგის, არც მით უმეტეს ქართველ ხალხს ეს არც სდომებია და არც უთხოვია.

პავლე I-ს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ საქართველო ერთბაშად რუსეთის გუბერნიად ექცია და სენატისა და სინოდისათვის დაემორჩილებინა (იქვე II, 469). 12 მარტს 1801 წ. პავლე გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ ალექსანდრე I-მა იგრძნო საქართველოს შეერთების მთელი უკანონობა და ამიტომ გადაწყვიტა გამოერკვია, რამდენად მართალია, რომ მთელ საქართველოს თავის ნებით მოესურვოს რუსეთთან განუყოფლად შეერთება და რომ მას თავის თავის დაცვა გარეშე და შინაურ მტრებისგან არ ძალუძს. ამ საკითხების გამორკვევა მან გენ. კნორინგს მიანდო, რომელმაც საქართველოში ჩამოსვლისთანავე გააუქმა ყველაფერი, რაც ტახტის მემკვიდრის ბატონიშვილი დავითის ბრძანებით იყო შემოღებული, და ტფილისში საქართველოს უზენაესი მთავრობა დააარსა (Бутковъ. Матеріалы II, 473-475). უკვე ეს მისი ნაბიჯი ცხად-ჰყოფს, თუ როგორი მიუდგომლობით გამოარკვევდა და სინამდვილით აუწერდა იგი ჩვენი ხალხის გულის ნადებს და მისწრაფებას. ხოლო, რომ საქართველოს გარეშე მტრების წინააღმდეგ დახმარება ესაჭიროებოდა, ეს გარემოება თვით საქართველოსაც არ დაუმალავს, 1783 წ. ხელშეკრულებაც ხომ სწორედ ამ მიზნით იყო რუსეთთან დადებული.

როგორც რუსეთის მთავრობას საქართველოს შეერთება თავის სახელწიფოსთვის სასურველად და სასარგებლოდ მიაჩნდა (იქვე II, 473-4), გენ. კნორინგმაც ისე წარუდგინა ალექსანდრე I-ეს, თუმცა არ შეეძლო დაემალა, რომ საქართველოს უმაღლეს წრეების ყველა წარმომადგენელნი ამ შეერთების მომხრენი ყოფილიყვნენ. მისი სიტყვითაც ნახევარ თავადაზნაურობისას საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება ჰსურდაც (იქვე II, 475-484, განსაკ. 482). გრაფ.მუსინ-პუშკინმა, რომელმაც პავლე I-ს ჩააგონა საქართველოს რუსეთთან შეერთების უაღრესი სარგებლობა, ეხლაც ამ გვარივე შინაარსის მოხსენება მიართვა ალექსანდრე I-ს (იქვე II, 484 შენ. 1).

რამდენად გულწრფელი უნდა ყოფილიყო რუსეთის მთავრობის სურვილი ვითომც მას საქართველოს პოლიტიკურ ზრახვის უტყუარი ხმის გაგონება ნდომებოდეს, იქითგანაც სჩანს, რომ მთელ ამ ამბავს საქართველოს სრულუფლებიან დესპანს უმალავდენ და მთელ ამ საქმეს საქართველოს შეერთების შესახებ ფარულად აწარმოებდენ (იქვე II, 485) იმიტომ, რომ კარგათ იცოდენ, რომ საქართველოს დესპანები მათთვის სასიამოვნოს არას იტყოდენ და ცხად-ჰყოფდენ, რომ საქართველოს რუსეთის მხოლოდ კავშირი და მფარველობა ჰსურდა და სხვა არაფერი (Акты Кавк. Археолгр. Ком. II, 304).

საქართველოში რომ არც ხალხი და არც თვით გიორგი მეფე თვის სახელმწიფოს დამოუკიდებელ არსებობის მოსპობაზე სრულებითაც არა ფიქრობდა, ამას ის გარემოებაც ნათლად ამტკიცებს, მომ მაშინ ჩვენს სამშობლოში მოწინავე წრეებში ინტენსიური კულტურული მუშაობა სწარმოებდა და მტკიცე სამზადისი იყო როგორც სახელმწიფო წეს-

[1] «Сей договоръ дѣлается на вѣчныя времена; но ежел чио либо усмотрѣно будетъ нужнымъ перемѣнить или прибавить для взаитной пользы, оное да возъимѣетъ мѣсио по обостороннему соглашенію».

[2] დაბეჭდილია: მრავრობას

წყობილების გასაუმჯობესებლად და ევროპიულის მსგავსად გადასაქმნელად, ისევე ევროპიული მეცნიერების, ფილოსოფიისა და მწერლობის საქართველოში გადმოსანერგავად. საუკეთესო თხზულებები და სახელმძღვანელოები, რომელიც ფილოსოფიაში, ფიზიკაში და სამათემატიკო მეცნიერებაში და ბუნების მეტყველებაში, აგრეთვე სამხედრო ხელოვნებაში ევროპაში გამოდიოდა, ქართულადაც იყო ნათარგმნი. სასწავლებლებში სახმარად და წასაკითხავი წიგნები მზადდებოდა. იოანე ბატონიშვილმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა გიორგი მეფეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო საქართველოს სახელმწიფოს წეს-წყობილება, რომელშიაც სხვათა შორის სამი ლიცეუმის მსგავს უმაღლეს სასწავლებლის გახსნა იყო გათვალისწინებული. მეფე გიორგიმ 1799 წ. დაამტკიცა ეს პროქტი და მისი განხორციელება უნდა დაეწყოთ.

ასეთს სამზადისში მყოფ საქართველოს მოწინავე წრეებისათვის ცხადი იყო, რომ ძლიერი მოკავშირეს მფარველობითა და დახმარებით, ჩვენი ქვეყანა მოღონიერდებოდა, გარეშე მტრებს მოიგერიებდა და მყუდრო ცხოვრების შემდგომ მტკიცე და ჩქარი ნაბიჯით წარმატების გზას დაადგებოდა.

მაგრამ 12 ენკენისთვეს 1801 წ. პეტერბურგში საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ ალექსანდრე I-ის მანიფესტი იყო გამოცხადებული, რომელშიაც ფარისევლურად ნათქვამი იყო, ვითომც ეს აქტი მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობის ძლიერი სურვილით ყოფილიყოს ნაკარნახევი. ლამაზს სიტყვებს რასაკვირველია არ შეეძლოთ მაინც გაექარწყლებინათ ის შთაბეჭდილება, რომ რუსეთის მთავრობის საქციელი შემაძრწუნებელი უპირობა, ფიცისა და აღთქმის დარღვევა და ძალმომრეობა იყო და სხვა არაფერი.

ადვილი წარმოსადგენელია, რაოდენ თავზარდამცემი უდა ყოფილიყო ეს ამბავი ქართველ მოწინავე, შეგნებულ წრეებისა და მთავრობისათვის. რაკი რუსეთის მთავრობამ იცოდა, რომ საქართველო ამის გამო აღშფოთებული იქმნებოდა, შვიდი თვის განმავლობაში ამ მანიფესტს საქართველოში არ აცხადებდა. ხოლო როდესაც მეტი დამალვა აღარ შეიძლებოდა და მისი გამოქვეყნება და ხალხის დაფიცება აუცილებელი შეიქმნა, მაშინ გენ. კნორინგს იმედი არა ჰქონდა, რომ ქართველები ნებაყოფლობით საკუთარ დამოუკიდებლობის მოსპობაზე თანხმობას განაცხადებდენ და რუსეთის ქვეშევრდომობის ფიცს მიიღებდენ. ამიტომ გადასწყვიტა ეს საქმე მოტყუებითა და მუქარით მოეხერხებინა. მან დაჰპატიჟა გავლენიანი წრეები, თავად-აზნაურობა და ქ. ტფილისის მოქალაქენი და როდესაც ყველამ თავი მოიყარა, მან ბრძანება გასცა, რომ მათთვის საიერიშოდ განმზადებული («???турмомъ») რუსის ჯარი შემოერტყათ მაშინდელი ერთი რუსული ცნობის მიხედვით „ლომების ხახასავით განხმული იყო“ თურმე იქ ზარბაზნების პირი. გენ. კნორინგმა ამის მნახველს ხალხს წინადადება მისცა რუსეთის ქვეშევრდომობისა და ერთგულობის ფიცი მიეღოთ. ქართველობა გაოცებული და აღშფოთებული იყო ასეთი უმსგავსო საქციელით. მოწინავე წრითგან მრავალმა იმოდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ გარშემორტყმულ ჯარს არ შეუშინდა, ძალით ფიცი არ მიიღო და ეკლესიითგან გავიდა. მაშინვე გენ. კნორინგმა ბრძანება გასცა, რომ უკმაყოფილონი დაეჭირათ და ციხეში ჩაესვათ (Исторія войны.. на Кавказѣ III, 444).

მაინც ბევრისათვის იმდენად ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ „ქრისტესმოყვარე“ რუსეთის ხელმწიფეებს ფიცისა და ხელშეკრულების დარღვევა შეეძლოთ და პატარა საქართველო „მფარველს“ მოკავშირეს ძალმომრეობით დაეპყრათ, რომ ეს ყველაფერი საქართველოში გამოგზავნილი რუს მოხელეთა პირადი თვითნებობა და მეტიჩრობა ეგონათ. ეს ქართველები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საქართველოს შელახულ უფლებათა და დამოუკიდებლობის აღსადგენად საკმარისი იყო მხოლოდ რუს ხელმწიფისათვის საქმის ნამდვილი ვითარება ეცნობებინათ (იქვე 446). თვით პეტერბურგში მყოფი საქართველოს ელჩი გარს. ჭავჭავაძეც თუმცა აღშფოთებული იყო იმ გარემოებით, რომ მეფე გიორგის არც ერთი მონდობილოა და სურვილი ასრულებული არ იყო, პირიქით მეფობა მოსპეს და საქართველო საშინლად დაამცირეს, მაგრამ მასაც ეგონა, რომ ეს გენ. კრონინგის ცრუ ცნობებით სავსე მოხსენების წყალობით მოხდა და ვითომც საკმარისი იყო ქართველ ხალხს რუსეთის ხელმწიფისათვის თავისი ნამდვილი გულისწადილი ეცნობებინა, რომ მაშინვე ყველაფერი გამოსწორებულიყო (АКАГК II, 304). გამოცდილებამ და რუსეთის მთავრობის პოლიტიკამ საქართველოში ნათლად დაამტკიცა ამ განუსაზღვრელი ნდობისა და გულუბრყვილობის სრული უსაფუძვლობა!..

საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული [1]

შესავალი

საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოს სამზღვრები არა ერთხელ ტომობრივ მოსახლეობის სამზღვრებს გასცილებია, და ძლიერების ხანაში XI-XIII ს.-მდე, განსაკუთრებით მე-XII-ე საუკუნეში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს საქ-ლოს, მთელი ამიერი კავკასიაც-კი ეკუთვნოდა. ქვემომოყვანილს მონოგრაფიაში განხილულია საქ-ლოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული სამზღვრები, ისე როგორც თვით ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრედვე გეოგრაფიულ და ეკონომიურ პირობების წყალობით იგი ჩამოყალიბდა. თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალ მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით-კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოვოდ გარემოზღუდვილს ქვეყანას წარმოადგენს. სხვათა შორის ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავისი ხანგრძლივ ისტორიულ არსებობის დროს მრავალ და ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერ მტრების მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა. ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ არა-ერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაჭერა და ჩამოშორება უცდიათ. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებს და მთავრობასაც თავისი სახელმწიფოს ამ ბუნებრივ სამზღვრების დაცვის უაღრესი მნიშვნელობა ჩვენი ერის არსებობისათვის მშვენიერად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამის გამო მტრების ყოველს ამგვარს განზრახვასა და წადილს მედგარს წინააღმდეგობას უწევდენ.

წინამდებარე მონოგრაფია სწორედ საქართველოს სამზღვრებს არკვევს ისტორიულადაც, – თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში ან როგორ იცავდა ამ სამზღვრებს ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში, – და თანამედროვე ცხოვრებისა და აწინდელ პირობებისდა მიხედვით, – თუ რა ნაირად უნდა შემოიხაზოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამზღვრები ამ ჟამად, რომ საერთაშორისო სამართლისა, 1783 წ. რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობითა და ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფილი ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები არ შეილახოს და სამართლიანობა აღდგენილი იქმნას.

სამზღვრების მიმოხილვა ჯერ დასავლეთ-ჩრდილოეთითგან იწყობა, შემდეგ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ მიდის, მერმე აღმოსავლეთის სანაპირო ხაზს და სულ ბოლოს სამხრეთის სამზღვარს ეხება აღმოსავლეთითგან მოყოლებული დასავლეთის ხაზის უკიდურეს წერტილამდე.

---

[1] წყარო: ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფ. 1919. ასევე ამ ნაშრომის დედანი, რომელიც დაცულია აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ივანე ჯავახიშვილის ფონდი, # 369.

I თ ა ვ ი. ჩრდილოეთის სამზღვარი

§ 1. ჩრდილო-დასავლეთის ხაზი. აფხაზეთ-ჯიქეთი

სრულიად საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის უკიდურეს სამზღვარზე აბხაზეთი იყო და ეხლაც იგივე კუთხე ჰსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკას. ისტორიულის ცნობების მიხედვით მე-XI-ე ს-ეში ეს მოსამზღვრე ხაზი საართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა, სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი იწყობოდა. მოსამზღვრე ხაზად მდ. ყუბანის შესართავი და კავკასიის ქედის წვერი ითვლებოდა (ლ. მროველი, იხ. ქართველი ერის ისტ. II, 311 და 266). ასე ჩრდილოეთით იმიტომ იყო სამზღვარი წაწეული, რომ მაშინ ჯიქეთი და ალანთა ქვეყანაც აბხაზეთს ეკუთვნოდა. თუ ჯიქნი აბხაზთა მოძმე ტომი იყო და მათი აბხაზეთთან ერთობა სრულებით ბუნებრივად უნდა მიჩნეული იქმნას, ალანთა შესახებ ამის თქმა არ შეიძლება.

მაინცადამაინც ცხადია, რომ დოაბზუ ანუ ტუაფსე აფხაზთა საკუთრება იყო იმიტომ, რომ თვით ეს საგეოგრაფიო სახელი სწორედ ამასა ნიშნავს. მაგრამ საკუთრივ აბხაზეთის ჩრდილოეთის სამზღვარი ბიჭვინტის მონასტრის ჩრდილოეთით მდებარეობდა (იხ. ქართველი ერის ისტ. II, 315), ხოლო ამის შემდგომ უკვე აბხაზთა ტომის ჯიქების მიწა-წყალი იწყობოდა.

ვახუშტის სიტყვით მის დროინდელს, მე-XVIII-ე ს-ის, აბხაზეთსა და ჯიქეთს შორის სამზღვრად ზღვა და კაპოეტის წყალი იყო (გეოგრაფია 406 და 408), ჯიქეთის ჩრდილოეთის სამზღვარი-კი წინანდებურად კავკასიონის ქედი ყოფილა. დასავლეთ საქართველოს 1732 წ. რუკაზეც ჯერ სწერია „კაპოეტის წყალი“, შემდეგ ხაზია გასმული და ნათქვამია „აქეთ ჯიქეთი“-ო (იხ. რუკა), ე.ი. ჯიქეთი კაპოეტის წყლის იქით, ანუ ჩრდილოეთით მდებარეობსო. თანამედროვე რუკებზე კაპოეტის წყალი არ არის აღნიშნული, მაგრამ 1732 წ. ალექსანდრე მეფის ბრძანებით შედგენილს დასავლეთ საქ-ლოს რუკაზე და სრულიად საქართველოს მოსკოვში 1743 წ. გადახატულ რუკაზე ეს მდინარე ბიჭვინტის ჩრდილოეთით არის აღნიშნული. მაშასადამე **კაპოეტი ეხლანდელი მდ. ბზიბის ძველი სახელი უნდა იყოს.**

თუ 1743 რუკას დავხედავთ, იქითგან სჩანს, რომ სამზღვარი მდ. კაპოეტის წყალზე ანუ ბზიბზე-კი არა ყოფილა, არამედ ამ მდინარის ჩრდილოეთით მდებარე კავკასიონის ქედ-ქედ. ბურნაშევის მიერ შედგენილს რუკაზედაც სამზღვარი კაპოეტის წყლის ანუ ბზიბის საკმაოდ მოშორებით, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და მიმდინარეობს. **ყველა ამ საბუთების გამო უნდა დავასკვნათ, რომ მდ. ბზიბი მთლად თავის შემდინარეებით აფხაზეთის სამზღვრებში იყო. ამიტომ მოსამზღვრე ხაზი უეჭველია ამ მდინარის აუზის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გამყოფელი ქედის-ქედ უნდა ყოფილიყო გავლებული.**

ამ ადგილითგან მოყოლებული აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადახრილი სამზღვრის ხაზი კავკასიონის მთავარ უღელტეხილის ქედ-ქედ მიდიოდა და ეხლაც მიდის სვანეთამდის.

ტომობრივ მოსახლეობის მხრივ მე-XVIII-ე ს-ის დასასრულს აფხაზეთი შემდეგ ნაწილებად იყოფებოდა: ერთი იყო ბზიბის ხეობა, რომელიც შეიცავდა მდ. ბზიბის ქვემო ნაწილისა და აღმოსავლეთით გუდაუთამდე, მეორე გუდაუთსა და მდ. კოდორს შუა საკუთრივ აფხაზთა სათემო იყო. მესამე, აფშილეთი, მდ. კოდორსა და ღალიძგას შუა მდებარეობდა. მეოთხე სამურზაყანო, რომელშიაც მოსახლეობა მეგრული იყო და ეხლაც არის, მხოლოდ აბხაზური ენა და ზნე-ჩვეულებაც შეთვისებული აქვთ, მოთავსებული იყო ღალიძგასა და ენგურს შორის შავი ზღვის ნაპირას და მეხუთეს, წიბელდას მდ. კოდორის ხეობის შუა ნაწილი ეკავა.

ცნობილია, რომ აღმ. საქართველოს 1783 წ. რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობამ და შემდეგ 1801 წ. შეერთებამ მთელი საქართველოს ბედ-იღბალიც გადასწყვიტა და სრულიად საქართველოს რუსეთის მიერ შეერთება მხოლოდ-და-მხოლოდ ხელსაყრელ დროზე იყო დამოკიდებული. ვერც აფხაზეთი გადაურჩა ამ ბედს. თუმცა 17 თებერ. 1810 წ. აბხაზეთის მთავარმა სეფერბეი შარვაშიძემაც რუსეთის მფარველობა მიიღო, მაგრამ კარგა ხანს მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგამდე აბხაზეთში მაინც რუსებმა ფეხი მტკიცედ ვერ მოიკიდეს და მხოლოდ 1 მაისს 1864 წელს აბხაზეთი რუსეთთან საბოლოოდ შეერთებული იყო, თვით აბხაზეთის მთავარს-კი მთელის შთამომავლობით მთავრის უფლება სამუდამოდ ჩამოერთვა. აბხაზები უბრძოლველად არ შეჰრიგებიან დამოუკიდებლობის მოსპობას და 1866 წელს აბხაზეთში აჯანყება დაიწყო, რომელიც რუსთა ძლიერ ჯარის მოსვლისთანავე ჩაქრა. მაგრამ 1877-78 წ. ომის დროს აბხაზეთში კვლავ აჯანყება მოხდა.

ყველაზე ძლიერსა და მედგარს წინააღმდეგობას რუსეთის გაბატონებას აბხაზეთში წიბელდა უწევდა. მე-XIX-ე საუკუნის 30 წლებითგან მოყოლებული რუსეთის მთავრობა არა ერთხელ ამ კუთხეში დამსჯელ რაზმებს გზავნიდა ხოლმე და ბოლოს მკვიდრი მცხოვრებნი იქითგან აყრილ და განდევნილ იქმნენ (В. Т. Маевскій, Кутайсская губерния. Военно-статисстическое описание. ტფილისი,1896 წ. დამატ. # 1. გვ. 54.).

1840 წ. ატეხილ ამბოხების გამო ამ კუთხის მაღლობი ადგილებითგან, დალითგანაც, რუსებმა ყველა მეკომურნი აჰყარეს (იქვე, 56). ხოლო 1867 წლის აბხაზეთის აჯანყების შემდგომ, წიბელდის მოსახლეობის უკანასკნელი ნაწილიც დიდით პატარამდე, დედბუდიანად აყრილი და ოსმალეთში განდევნილი იყო (იქვე, 57). ჯერ კიდევ 1850 წელს აქ 14000 სახლობა ითვლებოდა. 1867 წელს-კი მთელს ამ კუთხეში რუსთა წყალობით 27 ოჯახის მეტი აღარავინ იყო (Иваненко, Гражд. упр. 430). ამ დროითგან მოყოლებული კოდორის და მის შემდინარეების ხეობანი სრულებით გაუკაცრიელდა. ამის შემდგომ რუსეთის მთავრობა მთელს თავის პოლიტიკას შავი ზღვის ნაპირას ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით-კი ქართველთა საწინააღმდეგოდ აწარმოებდა: ქართველებს აქ დასახლება და უძრავი ქონების შეძენა აკრძალული ჰქონდათ, რუსებს-კი, განსაკუთრებით მოხელეებსა და სამხედრო პირებს, ჩალის ფასად აძლევდენ ამ სამოთხესავით მშვენიერსა და ბუნებით უხვად დაჯილდოვებულს მხარეს. მხოლოდ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის წყალობით გაჩნდა ქართველების გვერდით სხვა ეროვნების ხალხიც.

რუსეთის მთავრობის ზემოაღწერილი პოლიტიკისა და საახალშენო მოღვაწეობისდა მიუხედავად სამურზაყანო აბხაზეთში და ჯიქეთის სამხრეთის მცირე ზოლში, ანუ სოხუმისა და სოჭის ოლქებში 1916 წ. აღწერისდა თანახმად 141.000 მცხოვრებთა შორის 71.000 ქართველი და 43.000 აბხაზი იყო, 6.000 სომეხი და 21.000 სულ სხვადასხვა ეროვნებისა.

§ 2. ჩრდილოეთის ხაზი. დვალეთი

საქ-ლოს ჩრდილოეთის სამზღვარი აფხაზეთის შემდგომ სვანეთის ჩრდილოეთის სამზღვრით არის მოხაზული და აქაც ეს ხაზი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ ზღუდეს მისდევს, კავკასიონის მთავარ უღელტეხილის მარადთოვლიანს ქედს რაჭის სამზღვრამდის. შემდეგ საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი თემი რაჭაა და მისი სამზღვრის ხაზიც ჩრდილოეთით იმავე უღელტეხილის მთავარ ქედზე მიდის დვალეთამდე.

დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ, მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შუა არის მოქცეული. ეს ქვეყანა ყოველმხრივ მარადთოვლიან მთებით არის გარშემოზდუდული, ისე-კი, რომ ჩრდილოეთით მდებარე ქედი, ე.ი. პირიქითელი სამხრეთისაზე უფრო მაღალია და ერთ ალაგს გარდა

სრულიათ გაუვალია. ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო.

ძველითგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ამ სამზღვარს მე-XII-ე ს.-ითგან მიექცია და პოლიტიკურად მტკიცედ აქ ქართველობამ ფეხი მოიკიდა დავით აღმაშენებელის დროს. შემდეგშიაც, თვით საქართველოს პოლიტიკურ დაუძლურების დროსაც, მე-XVIII-ე ს.-ის დამდეგსაც, დვალეთი ქართველთა ხელში იყო და ვახუშტის მოწმობით „მეფეთა ქართველთა... მისცემენ დღემდე ხარკსა"(გეოგრაფია, 460). ვახტანგ მე-VI-ე იყო ის მეფე, რომელმაც საქ-ლოს ჩრდილოეთის სამზღვრის ეს მონაპირე კუთხე 1711 წელს ჯარითურთ შემოიარა, შევიდა შიგ, „ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის-ხევი და გარდმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული". სწორედ მან კვლავინდებულად მტკიცედ „დაიპყრა დვალეთი და დასდვა ხარკნი"(ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, 118).

აღმოსავლეთით მას საზღვრავს „თრუსოს და ჴევის საზღვარი, მერმე მყინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, რომელნი ძენან სამჴრიდან ჩდილოდ და დასწყდების ხევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა, მერმე ლომეკის მდინარე ვიდრე ხეთაძე ჩერქეზის მთამდე. სამჴრით მზღვრის კავკასი ხევის ყელიდამ წარსული დასავლეთად, რომელ არს ბრუც-საბძელამდე და ზეკარ-კედელა და რაჭა-დიგორ-ბასიან შორისი კავკასნი. ხოლო ჩდილოთ ჩერქეზსა და მას შორის მთა მაღალი... და დასავლეთით მზღვრის კავკასივე რაჭასა და ჟღელეს შორისი, მერმე ბასიანსა და სვანეთს შორისი" (იქვე, 428-430). ეხლანდელს რუსულს საგეოგრაფიო რუკებზე მიღებული სახელები რომ ვიხმაროთ, მაშინ დვალეთის სამზღვარი ასე გვეხატება: ჩრდილოეთით ადაჲ-ხოხითგან (=ქართულ ხოხის მთას) ხაზი მიდის აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ არხონამდის (=ქართულ ახოტს), ხოლო დასავლეთით ამავე ადაი-ხოხის მწვერვალითგან ხაზი სამხრეთისაკენ მიდის ქედ-ქედ მწვერვალ ყაზი-ხოხამდის. შემდეგ სამხრეთის სამზღვარი იწყობა ამ ადგილითგან და ქედ-ქედ მიდის: საუხოხზე, ხალიწაზე, ზეკარზე, ბრუტსაბძელზე, ხოხზე, შემდეგ როქზე არხონამდის.

დვალეთი ძველადაც და ეხლაც რამდენიმე ხეობად იყოფებოდა: კასრის ხევად, ზრამაგად, ჟღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად (ვახუშტი. გეოგრაფია, 428).

ამ დვალეთზე „გარდავლენან... გზანი დიგორს... და... გზანი ვალაგირსა და ფაიქომსა" (ვახუშტი, გეოგრაფია, 444). **იქ, სადაც კასრის ხეობა „მოვიწვროვდების ხოხის მთის ჩამოსულის კლდითა და გლოლისა და ამის შორის კავკასის ჩამოსულის კლდითა", გაკეთებული ყოფილა „კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, დიდ-კამაროვანი მდინარესა ზედა".** ეს კარი-ბჭე თურმე საქართველოს „მეფეთაგან ქმნული" ყოფილა იმ მიზნით, რომ **„არა ვიდოდენ თვინიერ მათსა ოვსნი".** ამგვარად ბუნებრივადაც და ხელოვნურადაც „არს ხეობა ესე ფრიად მაგარი და შეუვალი" (იქვე, 444) .

ძველად ამ კუთხეს საქართველოსთან პოლიტიკურს გარდა სარწმუნოებრივი და კულტურული კავშირიც ჰქონდა: ქრისტიანობა აქ ქართველი მქადაგებლების მიერ იყო გავრცელებული და თვით ეკლესიის ნანგრევებს, მაგ. როქის ხეობაში ეხლაც ეტყობა ქართული ასომთავრული წარწერები. ვახუშტის სიტყვით ამ ქვეყნის მკვიდრნი იყვნენ **„სამწყსონი ნიქოზლისანი"** (გეოგრაფია, 434). მე-XVIII-ე ს.-ის დამდეგს **ბლომად ყოფილა „ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვითკირისანი", რომელნიც საქართველოს „მეფეთაგან ნაშენნი"** ყოფილან. თვით ხალხში ამ ძეგლების შესახებ თქმულებები ყოფილა და ვახუშტის ცნობით **„უმეტეს იტყვიან... თამარ მეფისაგან" აგებულადო** (იქვე, 438).

მე-XVIII-ე ს.-ში **ეს კუთხე ეკონომიურადაც საქართველოსთან ყოფილა დაკავშირებული:** მარილს, ცხვრის ტყავს, სვიას და სხვა სახმარს, რაც-კი თავიანთ ცივ ქვეყანაში ვერ შოულობდენ, თურმე ქართლითგან და რაჭითგან ზიდავდენ (ვახუშტი, გეოგრაფია, 438).

ბუნებამ დვალეთი მადნით უხვად დააჯილდოვა და იქ ვახუშტის სიტყვით „გამოიღებენ მიწიდამ ბრპენსა, გვარჯილასა, გოგირდსა“ (იქვე, 438). ამასთანავე „ლითონი ბრპენისა მრავალი“ ყოფილა. ხოლო „გოგირდი ფრიად კარგი“. ზემოაღნიშნულის გარდა იქ არსებობდა „ლითონიცა ვერცხლისა“ (იქვე, 444) .

ამ ჟამად ამ კუთხეს არდონის ანუ ნარდონის ქვაბ-ხეობა ეწოდება. ეს არდონის ქვაბა-ხეობა, რომელიც ყოველმხრივ გარშემოზღუდულია, მაგრამ რომელსაც ჩრდილოეთისაკენ მხოლოდ ერთად-ერთი ზემოაღნიშნულ ხეობაზე მდებარე გასავალი აქვს, სამხრეთით-კი საქართველოსთან მას 11 გარდმოსავალი აერთებს , **მე-XIX-ე საუკუნეშიც თავდაპირველად ტფილისის გუბერნიის სამზღერებში იყო მოქცეული და ამ გუბერნიის მთიულეთის ოლქს ეკუთვნოდა.** (Филипов, Военный обзор Тифлис. Губ. СПБ. 1872 წ. გვ. 7-8.) **მისი სივრცე 497 ოთხკუთხ ვერსს არ აღემატება. შემდეგში რუსეთის მთავრობამ დვალეთი ანუ არდონის ქვაბ-ხეობა საქართველოს ჩამოაშორა და თერგის ოლქს შეუერთა.**

საუკუნეთა განმავლობაში, როგორც დავინახეთ, **საქართველოს მთავრობა ამ კუთხეს საქართველოსთვის ფრიად მნიშვნელოვან კარად სთვლიდა და ამის გამო მას ფხიზელ დარაჯად უდგა, საგანგებოდ არდონის გასავალთან ზღუდეც-კი ააგო,** რომ თუ საჭირო იქმნებოდა მტრის შემოსვლის მხრივ ამ სახიფათო გზის კარის დახშვა ადვილად შესძლებოდა. **ამ კუთხის ბუნებრივ აგებულებასა და თვისებას თუ დავაკვირდებით, ცხადი იქმნება, რომ იგი საქართველოსთან უფრო მრავალრიცხოვან გზებით, სხვადასხვა მხრით თერთმეტი გარ-დმოსავლით, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოსთან არის შედარებით მჭიდროდ დაკავშირებული. ჩრდილოეთთან-კი მას მხოლოდ ერთი გასავალი აერთებს.** ყველა ამ მოსაზრების გამო უფრო ბუნებრივია და ხელსაყრელი, რომ **წინანდელი მდგომარეობა კვლავ აღდგენილ იქმნას: რუსეთის მთავრობის შეცდომა შესწორდეს და დვალეთი, ანუ არდონის ქვაბ-ხეობა ისევ აღმოსავლეთს საქართველოს, ტფილისის გუბერნიას დაუბრუნდეს. მაშინ ამ ადგილას საქართველოს სახელმწიფო სამზღვარი იმ ხაზს გაჰყვება, რომელიც ხოხის მთას (=ადაᲥ ხოხ) და ახოტის მთას (=არხონ) შუა გაივლება.**

§ 3. ჩრდილოეთის ხაზი. დარიალანი და საქართველოს კარი

დვალეთის აღმოსავლეთით საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვარი ისევ კავკასიონის მთავარ უღელტეხილის ქედზე მიდის და მხოლოდ დარიალის ხეობასთან იგი ქედს იქით გადადიოდა და უფრო ჩრდილოეთით იყო წაწეული. აქ, დარიალის ხეობაში საქართველოს მისაბჯენ ციხედ ჰქონდა „გორის ციხე, ფრიად ძველი, ძველებურ წესზე აგებული, კოშკებით შემკული სიმაგრე, რომელიც მდ. თერგის სათავის მიდამოებში, მთებში მდებარეობდა“. ამ ციხეს „ფრიად მაგარი მდებარეობა ჰქონდა“(Бурнашевъ, Картина Грузии или описание полит. состояния царствъ Карталинскаго и Кахетинскаго. Тифлисъ, изд. Бегичева 1896. წ. გვ. 9). ეხლანდელ რუკებზე ამგვარი საგეოგრაფიო სახელი არ არის აღნიშნული, ამის გამო ამ ციხის მდებარეობაც გამოურკვეველი რჩება.

მაგრამ უფრო დაწვრილებითი და მკაფიო ცნობები საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვრის შესახებ ბატონიშვილს ვახუშტსა აქვს. მისი სიტყვით თერგს **„გველეთს ქვეით ერთვის... ხევი“, რომელიც „სამხრეთ-აღმოსავლეთიდამ გამოსდის გუდამაყრისა და ძურძუკის კავკასსა... ამ ხევს ქვეით დავიწროვდების ხევი ესე კლდითა და აქა არს ციხე დავითისა... აღმაშენებელის აღშენებული. ამას ქვეით არს დარიელა“, თერგის „აღმოსავლით კიდესა ზედა მეფის მირვანის მიერ“ აგებული. მან „შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათჳს, რათა უმისოთ ვერაღარა ვიდოდნენ.“ ხოლო „ამას ქვეით ნასასახლევი მეფეთა: ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად მუნ დადგიან“-ო** . (გეოგრაფია, 228).

სახელოვან ქართველ გეოგრაფის აღწერილობა იმდენად ნიშან-დობლივია, რომ თვითეული მის მიერ დასახელებული ადგილის პოვნა ეხლანდელს 5-ვერსიან რუკაზე ძნელი არ არის. ამაში მისივე შედგენილი რუკაც დიდად გვშველის. გველეთის ჩრდილოეთით თერგს მართლაც სამხრეთ-აღმოსავლეთითგან ერთი პატარა წყალი ერთვის, რომელსაც ქისტურა (Кистинка) ეწოდება. აქ ვიწრო ხეობაში ყოფილა მეფე დავით აღმაშენებელის მიერ აგებული ციხე. ეს ის ადგილი უნდა იყოს, რომელსაც საქართველოს-სამხედრო გზაზე რუსებმა სად. „Даріальское“ უწოდეს. აქ მართლაც რუკაზე ნათქვამია („Бывшее укрепление“) „ციხის ნანგრევიო“. ამის ჩრდილოეთით **მირვან მეფის მიერ აგებული ყოფილა დარიალის კარი, რომელიც ოს-ხაზართათვის გზის შესაკრავად იყო განკუთვნილი. ეს ის ადგილი უნდა იყოს, სადაც ეხლა სად. ლარსია. ამაზე უფრო ჩრდილოეთით-კი ყოფილა საქართველოს სამფლობელოს უკანასკნელი ფეხმოსაკიდებელი ადგილი „ნასასახლევი მეფეთა“, რომელიც დაახლოებით ეხლანდელს „ჯერახოვსკოე“-ს მიდამოებში უნდა ყოფ**ილიყო. აქაც, 5-ვერსიან რუკაზეც ნათქვამია ციხის ნანგრევიო (Бывшее укрепленіе) თვით ბატონიშვილ ვახუშტის დაწვრილებითს რუკაზე (იხ. ბროსსეს გამოც.. # 3 Karthli au N. du Kour)“ **„ნასასახლევი მეფეთა“** (Rtsidence royale) **მართლაც „ჯარიეხის“** (=ეხლანდელს „ჯერახოვსკოე“-ს) **მახლობლად, ცოტა სამხრეთით არის აღნიშნული და სწორედ საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოეთის სამზღვარი ამ ადგილის წინ, დაახლოვებით ჯარიეხითგან ერთი ვერსით, სამხრეთით მიდიოდა** (იხ. იგივე რუკა) .

ზემოაღნიშნულ მოსამზღვრე ადგილითგან მოყოლებული სამზღვარი მდ. ქისტურას ხეობის გაყოლებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იხევდა და კვლავ კავკასიონის უღელტეხილის მთავარს ქედს აღწევდა, ხოლო შემდეგ საქართველოს სამზღვარი მუდამ სწორედ ამ მთავარ უღელტეხილს ქედ-ქედ მიდიოდა იმგვარადვე როგორც მე-XIX-ე საუკუნეშიაც რუსთა მფლობელობის დროს აღმოსავლეთ საქართველოს, ტფილისის გუბერნიის სამზღვარი იყო მოხაზული.

II თავი. აღმოსავლეთის სამზღვარი

§ 1. აღმოსავლეთის ხაზი. ჰერეთი

საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთს კუთხეს მტკვრამდის ძველ დროს ჰერეთი ეწოდებოდა. ჯერ ამ კუთხის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უნდა იყოს განხილული, რომლის **სამზღვრად ჩრდილო-აღმოსავლეთით დაღესტანის მთები იყო, სახელდობრ კავკასიონის მთავარ უღელტეხილის ალაზნის შემდინარეების გამყოფელი ქედი. ჩრდილოეთით მას არიშის წყალი, სამხრეთით-კი ჯერ ალაზნისა და იორის შესართავი ჰსაზღვრავდა, ხოლო შემდეგ საზღვარი ალაზნის პირას ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა იმ ადგილამდის, საცა გიშის წყალი ალაზანს ერთვის. მერმე მოსამ-ზღვრე ხაზი ამ გიშის წყალს სამხრეთით მდინარის გასწვრივ მისდევდა მის სათავემდე, რომელიც კავკასიონის უღელტეხილში იყო** (ქართველი ერის ისტ. II, 309 და ვახუშტი, გეოგრაფია 304). რომ სამზღვარი გიშის წყლის სამხრეთით იყო, ეს ბურნაშევის 1784 წ. რუკითაც მტკიცდება (იხ. რუკა).

მაგრამ სამხრეთის ამ ხაზის მდებარეობა ჩვენთვის ცხადი მხოლოდ მაშინ გახდება, თუ-კი გიშის წყლის მდებარეობა გამორკვეული გვექნება. თანამედროვე რუსულ რუკებზე ამგვარი მდინარე და ციხე არსად არის აღნიშნული, მაგრამ **ძველ ქართულს გიშს 5-ვერსიან რუკის მდ. კიში** (р. Кишъ) **უდრის, ხოლო გიშის ციხე დაახლოვებით იქ უნდა ყოფილიყო, სადაც ეხლა კიშ-კიშლაღი** (Кишъ-кишлахъ) არის აღნიშნული (ჟ 9 , 640 30'- 410 15'). ამ ჟამად რუკებზე სახელები ისე სწერია, რომ გიშის წყალი არსად ერთვის ალაზანს, არამედ იგი ე.წ. აგრი-ჩაის შემდინარეა. ცხადია, რომ **ძველ დროს თვით ეხლანდელს აგრი-ჩაისაც იმ ადგილითგან მოყოლებული, სადაც ეხლანდელი გიში** (Кишъ) **ერთვის, გიშის წყალი რქმევია.** თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ გიშის წყალი მართ-ლაც ალაზნის შემდინარედ გამოვა და ამ ადგილას საქ[ართვე]ლოს განმსაზღვრელი ხაზის მდებარეობა სრულებით ნათლად წარმოგვიდგება.

საქართველოს ამ ნაწილს დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. აქეთგან ავრცელებდა ქართველობა თავის გონებრივსა და სარწმუნოებრივს გავლენას დაღესტანზე და შაჟზე. მაშინაც-კი, როდესაც საქართველო მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წყალობით პოლიტიკურად დასუსტებული იყო, ქ[ართვე]ლ ერს იმოდენი კულტურული ძალა შესწევდა, რომ თავისი განმანათლებელი მოღვაწეობა არ შეუწყვეტია და დაღესტანში ქრისტიანობას ჰფენდა. ისტორიას შენახული აქვს ცნობა, რომ მე-XIII-ე ს-ის დასასრულს გამოჩენილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ პიმენ სალოსმა ბელაქნითგან თავისი ქადაგება ლეკეთში[ც]-კი გადაიტანა, „ნათესავი ლეკთა წარმათობისაგან მოაქცივნა" და გააქრისტიანა (ჟამთააღ. * 889, გვ. 731). წერილობითი მოწმობის გარდა ქართველთა დაღესტანში განმანათლებელ მოღვაწეობის ძეგლებიც, ეკლესიის ნანგრევების სახით იქაურ ეკლესიის ნანგრევის ქვა არის შენახული და თვით ხუნზახშიაც-კი იყო ქართული ასომთავრული წარწერით შემკული (იხ. ე. თაყაიშვილი, Арх. экскурсий. II, 63).

ვითარცა მოსამზღვრე კუთხეს საქ[ართვე]ლოს ამ ნაწილსაც ბედმა მრა-ვალჯერ მიაყენა ზიანი და არა ერთხელ გაანადგურა. პირველად ჯერ კიდევ მე-XIII-ე ს.-ში მონღოლთა ბატონობის წყალობით სხვათა შორის ჰერეთიც ძალზე დაზიანდა . მაგრამ ამ ქვეყანას განსაკუთრებით შაჰაბაზმა მიაქცია თავისი მსახვრელი ყურადღება და ჯერ ისე ააოხრა და გააუკაცრიელა, რომ მცხოვრებნი აჰყარა და სპარსეთში გადაასახლა, ხოლო შემდეგ მათ მაგიერ თავის ერთგულ მაჰმადიან ტომს მისცა. მეტადრე მე-XVI1-ე ს-ითგან მოყოლებული სპარსეთის შაჰების წყალობით და დაღესტანელთა შემოსევის და დაშენების გამო, მაჰმადიანობამ ქრისტიანო-ბას დაძლევა დაიწყო და ქართველი მოსახლეობაც შემცირდა. ძველი საგეოგრაფო

სახელების მაგიერ ახალი გაჩნდა. გარეშე ძალის გავლენით ეს კუთხე სამ ერთეულად გაიყო. ერთს დაერქვა „ალის-სასულთნო“, მეორეს „ელისენი“, მესამეს „ჭარი“. უკანაკნელი სახელი ფიფინეთის ხეობას დაერქვა. ვახუშტის ცნობით ეს ხეობა არჩილ მეფის „შემდგომად იწოდა ჭარი“ (გეოგრაფია, 306).

რუსულ 5-ვერსიან რუკაზე ფიფინეთის მაგიერ მთა ფიფანი (დიდი და პატარა _ М. Пипанъ, Б. Пипанъ) არის აღნიშნული, ჭარის მაგიერ-კი „ჯარი“-ა (Джары) დაბეჭდილი. მეფე ლევანმა ვახუშტის სიტყვით აქ თურმე ლეკები დაასახლა და ყოველწლიურად გადასახადად მხოლოდ ის მოვალეობა დააკისრა, „რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიდამ ყინული“(იქვე, 306). მაშასადამე ფიფინეთის ხეობა ანუ ჭარი დაღესტნის მოსამზღვრე ნაწილია. ელისენად იწოდებოდა ქვეყანა ბელაქნის „წყალსა და გიშის წყალს შორისი ალაზნამდე და კავკასამდე“(ვახუშტი, გეოგრაფია, 306) . მაგრამ ნამდვილად-კი ელისენსა და კავკასიონის ქედსშუა, შუაგულში მაინც, ჭარი იდვა. ამიტომ ცხადია, რომ ამ ადგილას ელისენი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით კავკასიონის ქედს ვერ აღწევდა.

ალისულთნის სამფლობელოს სამზღვრები ვახუშტს გარკვევით არა აქვს აღნიშნული (გეოგრაფია, გვ. 394, შეად. 306). ანტონ კათალიკოზს თავის 1757 წ, დაწერილს თხზულებაში ნათქვამი აქვს ალისულტანი თავდაპირველად „კახის სულტნად სახელდებული“ ყოფილა (იხ. მ. ჯანაშვილი, საინგილო, ძველი საქართველო II, 14). მაგრამ სამზღვრები არც მას, აქვს დასახელებული.

ე.წ. თათრებისა და დაღესტნითგან ლეკების ჩამოსახლებამ სა-ქართველოს მტრებს ჩვენს ქვეყანაში ამ მხრითგან შემოსევა გაუადვილა, რათგან სარწმუნოებრივი ერთობის წყალობით სპარსეთის შაჰის ჯარს ადვილად ემხრობოდენ ხოლმე. **საქართველოს მეფეებსა და იმ დროინდელს მოღვაწეებს კარგად ესმოდათ ამ კუთხის უაღრესი მნიშვნელობა, რომ რაკი „არს ქვეყანა ესე ძნელად შესასვლელი, ტყიანი, მრავალ-წყლიანი და მაგარი“** (კათალიკოზი ანტონი, იხ. მ. ჯანაშვილის საინგილოში, გვ. 15), **ამიტომ საქართველოსთვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით საუცხოვო საფარს წარმოადგენდა**. თუმცა ლეკები, რომელნიც ჭარში იყვნენ ჩასახლებულნი დრო-გამოშვებით არამც თუ ურჩობდნენ, არამედ ცარცვაგლეჯასაც-კი მისდევდნენ კახეთში, მაგრამ მაინც ერეკლე მეფის დროს, რუსეთთან **1783 წ. ხელშეკრულობის დადების დროსაც ეს კუთხე, როგორც საქართველოში მყოფ რუსეთის იმდროინდელ ელჩის ბურნაშევის რუკაზეც აღნიშნულია, საქართვე-ლოს სამზღვრებში შედიოდა და კახეთის ნაწილად ითვლებოდა.**

როდესაც რუსეთის მთავრობამ აღმ. საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო და შემოიერთა, ჭარი და ბელაქნის ოლქი, როგორც მას რუსები უწოდებდენ, ანუ საინგილო, როგორც ქართველები ეძახიან, ამ დროს არ დაუპყრიათ, არამედ მხოლოდ 1803 წ. დაიდო საინ-გილომ ხარკი და მორჩილება განაცხადა, საბოლოვოდ-კი 1830 წ. იყო შემოერთებული.

1886 წელს ზაქათალის ოლქში სულ 74449 მცხოვრები ითვლებოდა, აქეთგან 40225 ლეკი იყო, 21090 მუღანლო და 12430 ქართველი, 521 სომეხი (მ. ჯანაშვილი, საინგილო, 6).

1916 წელს ზაქათალის ოლქში მცხოვრებთა საერთო რიცხვი 76000 იყო. აქეთგან 19000 ქართველი და 45000 ლეკი, ხოლო თურქები, სპარსელები და ქურთები 12000 ითვლებოდა.

III თავი. სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი

§ 1. ჰერეთი, ქიზიყი, ყარაია

ზაქათალის ოლქის შემდგომ საქართველოს უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვარი იწყობა. ძველ დროს მთელი ეს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილიც მტკვრამდე და დებედას წყალთ-გამყოფელ მთე-ბამდე ჰერეთის ნაწილად ითვლებოდა. მისი უკიდურესი აღმოსავლეთი კუთხე, რომელიც ზაქათალის ოლქს ზედ ეკვრის კამბეჩოანის ანუ ქიზიყის სახელით არის ცნობილი. **ძველი ქიზიყის, რომელიც ეხლა სიღნაღის მაზრად იწოდება, სამზღვრად იყო „სამხრით უფადარი და წინამინდორი ხორანთამდე“** (ვახუშტი, გეოგრაფია, 310). **წინამინდორად იწოდებოდა ის ველი, რომელიც** სამხრეთით იორისა და ალაზნის შესართავთან თავდებოდა (ვახუშტი, გეოგრაფია, 310). იგი **დაახლოვებით ეხლანდელს ელდარის მინდორს უდრის, უფადარად-კი**, დაახლოვებით ის სამხრეთით მდებარე **ადგილი იყო, რომელსაც ეხლა ჯეირან-ჩელი ეწოდება.** მაშასადამე **სამზღვარი იწყობა ჯერ იქ, სადაც გიში ალაზანს ერთვის, შემდეგ სამხეთისაკენ მიდის ალაზნის გასწვრივ, მისი და იორის შესართავამდე. აქეთგან დაწყობილი სამზღვარი პირდაპირ მტკვარზე გადადიოდა** (ვახუშტი, გეოგრ. 310-312 და ბურნაშევის 1784 წ. რუკა) **და მერმე საქართველოს სამხრეთის სამზღვარი ამ მდინარის პირს დასავლეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით მისდევდა დაახლოვებით იმ ადგილამდის, სადაც მდ. აღსტაფურა მტკვარს ერთვის.** ძველად საქართველოს ეს სამხრეთის კუთხეც, როგორც აღნიშნული იყო, ჰერეთის ნაწილად ითვლებოდა.

საქართველოს სამხრეთის მოსამზღვრე ქვეყნის აღმოსავლეთს კიდეს იმ ადგილითგან მოყოლებული, **სადაც სამზღვრის ხაზი იორ-ალაზნის შესართავითგან მტკვარზე გადმოდიოდა ყარაიამდე ჯეირან-ჩუღურეთის ველის სახელი ერქვა. შემდეგ-კი ყარაია იწყობოდა.** ამ ყარაიას ველის მდებარეობის შესახებ ვახუშტს ნათქვამი აქვს, რომ მთა „იალღუჯის აღმოსავლით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტან-ქალაქი, რომელი არს რუსთავი , ხოლო აწ ნაგები“-ო. ამ ნაგებისა და მაშასადამე იალღუჯის „აღმოსავლით და სამხრით არის ველი დიდი ყარაიისა“ (ვახუშტი, გეოგრ. 180). აი სწორედ ეს ველიც ძველად ჰერეთს ეკუთვნოდა. შემდეგში-კი, და უკვე ვახუშტის დროს, მას თურმე „ყარაიას“ უწოდებდენ (იქვე, 182). ეს სახელი მას ეხლაც შერჩენილი აქვს.

ჰერეთის ამ ნაწილს სამზღვრად ჰქონდა ჩრდილო-დასავლეთით მთა გარეჯისა მწარე-წყლამდე, ხოლო სამხრეთით მწარე წყალი (იქვე, 180), ე.ი. დაახლოვებით იმ ადგილამდის, სადაც აღსტაფურას წყლის შესართავია.

ეს კუთხე ოდესღაც ქართული კულტურის დიდებული კერა იყო (იქვე, 182). საკმარისია ადამიანმა დაათვალიეროს ქ[ართუ]ლი ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძეგლი და ქ[ართუ]ლი მხატვრობის მრავალი განმაცვიფრებელი ნაწარმოები, რომელნიც დავით გარესჯის უდაბნოში შენახული [არიან] და რვა საუკუნის განმავლობაში ყოველგვარ მტრის გამანადგურებელ შემოსევას გადურჩენ, რომ ნათლად წარმოიდგინოს ადამიანმა რამდენად დაწინაურებული ქ[ართუ]ლი კულტურული ცხოვრების ასპარეზი იყო ეს კუთხე.

სამხედრო ბედის ულმობელმა ტრიალმა მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წყალობით ეს ქვეყანაც გააუკაცრიელა და უდაბნოდ აქცია. შემდეგში სპარსთა შაჰების გეგმისაებრ აქ უბინადრო ელი დემურჩი-ასანლუ შემოვიდა, რომელიც თარაქამათა ტომს ეკუთვნოდა და მესაქონლეობას მის-დევდა (ვახუშტი, გეოგრ. 182)

ჰერეთის იმ ნაწილს, რომელიც ბოლოს დროს ყარაიად იწოდა, დასავლეთ-სამხრეთით უკვე **ქვემო ქართლი** ეკვროდა და ამ ადგილითგან მოყოლებული სწორედ ეს ქვეყანა იყო იმავე დროს **საქართველოს აღმოსავლეთ-სამხრეთის სამზღვარი და მონაპირე კუთხე.**

§ 2. საქართველოს სახელმწიფოებრივ სამზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ხაზი

ქვემო ქართლის აღმოსავლეთი ნაწილი და სამზღვარი იმავე დროს გარდაბანის საერისთავოს ნაწილი და სამზღვარი იყო და მას ჰსაზღვრავდა „აღმოსავლეთით მტკვარი და ხუნანის გამართებით ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა“ (ვახუშტ. გეოგრ. 178). მაშასადამე, ქვემო-ქართლის ანუ ეხლანდელი ბორჩალოს მაზრის აღმოსავლეთის სამზღვრად ჯერ მდ. მტკვარია დაახლოვებით ყიზყალას ციხის ნანგრევების ცოტა აღმოსავლეთ-სამხრეთით, ხოლო შემდეგ ქურდ-ვაჭრის ხეობის ქედი, რომელიც დებედას აღმოსავლეთით მდებარეობს და დებედას შემდინარეების გამყოფელი მთა არის.

მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრივი სამზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით საქართველოს პოლიტიკურ სისუსტის დროსაც, თუნდა მე-XVIII-ე [საუკუნე]შიც, იქ-კი არ თავდებოდა, სადაც ქვემოქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვარი იყო, არამედ გაცილებით უფრო შორს მიდიოდა. თუნდაც, რომ განჯისა და ერევნის სახანოებს თავი დავანებოთ, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ერეკლეს ყმად ნაფიცნი იყვნენ და ყოველწლიურად ნებაყოფლობით ხარკს იხდიდნენ და რომელთა მმართველები ხანებად მეფის მიერ იყვნენ ხოლმე დამტკიცებულნი (Бурнашевъ, Картина ete. 12, 13, 14. da Инструксия из Госуд. Коллегии, Коваленскому 1799 w. А.К А.Г.К. w. I, 94 $ 7), ყაზახი, შამშადილი და შამქორი ხომ საქ[ართველო]სთან უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებულნი და მუდამ ქ[ართვე]ლთა ერთგუ-ლობას იჩენდენ. ამ ორთავე ქვეყნითგან ომიანობის დროს საქ[ართვე]ლოს საუკეთესო, 6000 კაცისაგან შემდგარი, ცხენოსანი ჯარი მოსდიოდა ხოლმე (იქვე, 6,16). განსაკუთრებით საყურადღებოა ის დიდმნიშვნელოვანი გარემოება, რომ ეს მაჰმადიანი ხანები საქართველოსთან უფრო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი და ქართველობის უფრო ერთგულნი ყოფილან, ვიდრე თვით ერთმორწმუნე და თანამონათესავე სპარსეთის შაჰებისა. ამ მხრივ მე-ტად საგულისხმიეროა, რომ ერევნისა და ყარაბაღის ხანები სპარსეთის შაჰს აღამამედხანს-კი არ მიემხრენ, არამედ ერეკლე მეფესთან საგანგებოდ შაჰის საწინაადმდეგოდ ხელშეკრულება დასდეს და ფულიც მიაშველეს ამ საქმის განსახორციელებლად (Записка с.с. Коваленскаго о Грузии А. К. А. Г. К. w. I, gv. 118). ამიტომაც არის, რომ ბურნაშევის მიერ 1784 წ-ს შედგენილს საქ[ართვე]ლოს რუკაზე ყაზახი, შამშადილი, შამქორი განჯითურთ ქართლის სამზღვრებივით წითელი ფერით არის შემოხაზული.

IV თავი. სამხრეთის საზღვარი

ქვემო ქართლი. გამყოფელი ხაზი საქართველოსა და სომხეთს შორის

ქვვმო ქართლის სამხრეთის სანაპირო ხაზი იმავე დროს ქართველთა და სომეხთა მიწაწყლისა და სამფლობელოს გამყოფელი სამზღვარი იყო ძველ დროითგანვე მოყოლებული.

§ 1. ისტორიული მიმოხილვა. ბრძოლა ამ საზღვრის გამო II ს. ქ. წ. – XI ს. ქ. შ.

ჯერ კიდევ ქრისტეს წინათ საქართველო და სომხეთი მეზობლად ყოფილან. მაგრამ თავდაპირველად სომხეთს მცირე მიწაწყალი ეკავა და მხოლოდ მას შემდგომ რაც ანტიოქოს დიდის სარდლებმა არტაქსიმ და ზარიადრმა ცალ-ცალკე ორი სომეხთა სამეფო დაარსეს, თვით სომხეთის ვი-თარცა პოლიტიკურ ერთეულის სამზღვრებიც გაფართოვდა (ჩემი ქართველი ერის ისტ. I, 59, და Адонцъ, Армения в эпоху Юстиниана, 395). ეს ზრდა მათი მოსახლეობის ბუნებრივ განვითარებისა და გამრავლების შედეგი არა ყოფილა. სხვათა შორის **სტრაბონის** ცნობით სომხეთის მეფეებმა მეზობლებს მიწები წაართვეს. სხვათა შორის **მაშინ ქართველთა ტომებისთვისაც წაურთმევიათ პარიადრის სანახები, რომელიც ტაოსა და სპერს შეიცავდა, ხორზენი და გუგარეთი (გუგარენი), ხოლო ხალიბებსა და მოსინიკებს – კარინი და დერქსინი** (იქვე). ეს ამბავი 191 წ. (ქ. წ.) შემდეგ მომხდარა და **სომეხთა პირ-ველი იერიშია ქართველთა მიწა-წყლის დასაპყრობად .** ამ დაპყრობილი ქვეყნების ბედი ამით სამუდამოდ და საბოლოოდ არ გადაწყვეტილა.

სტრაბონის გუგარენა ანუ გუგარეთი ეხლანდელ ბორჩალოს მაზრის სამხრეთის ნაწილს უდრიდა, რომელიც დაახლოვებით ჭოჭკანისა, ბოლნის-დბანისის, ლოქის ხეობათა, ლორესა, ტაშირს, აბოცს და თრიალეთის სამხ-რეთ ნაწილს შეიცავდა. ზოგჯერ გუგარეთს პოლიტიკურ მიზეზების გამო უფრო ვრცელი მნიშვნელობა ენიჭებოდა და უფრო ფართოდაც იყო ხოლმე შემოხაზული. ამ ქვეყნის წინანდელი სახელის კვალი შერჩენილა ეხლანდელ საგეოგრაფიო სახელ გუჯარეთში (Адонцъ, Арм. 425, შენ.). ქართული საგეოგრაფიო ტერმინთლოგიით ეს გუგარეთი უფრო ხშირად ქვემოქართლად იწოდებოდა, ხოლო რუსთა ბატონობის შემდგომ ბორჩალოს მაზრის სახელით არის ცნობილი.

ტოპოგრაფიულად ეს გუგარეთი ანუ ქვემოქართლი სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით თვით ბუნების მიერ არის გარემოზღუდული: სამხრეთით მას უდარაჯებენ მაღალი (8000 ფ.) ციცაბო, ორ ადგილს გარდა გარდაუვალი, ტყით მოცული ერევნის მთები, რომელთაც რუსული საგეოგრაფიო ტერმინოლოგიით ბამბაკის ქედი ეწოდება. ამ მთების გასწვრივ ჩრდილოეთით მდებარეობენ ე.წ. სომხეთის მთები, რომელიც აგრეთვე მაღალია ისე, რომ ზოგიერთი მწვერვალი 8000 ფ.დე აღწევს. **მთელი ეს ქვეყანა გეოგრაფიულად ისე მჭიდროდ არის საქართველოსთან დაკავშირებული, რომ როგორც თვით ქვეყანას, ისევე ყველა იქაურ მდინარეებსა და რასაკვირველია გზებსაც ჩრდილოეთისაკენ, მტკვრისა და ტფილისისაკენ აქვთ პირი მიბრუნებული.**

სტრაბონის დროსაც I ს-ის დასასრულს ქ. წ. და I ს-ის დამდეგს ქ. შ. ეს კუთხე ჯერ კიდევ სომეხთა ხელში ყოფილა. მაგრამ უკვე 35 წ-ითგან ქ. შ. მოყოლებული, როდესაც ტაციტის სიტყვით იბერიის მეფეები იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ სომხეთში შემოჭრილ სპარსელებს ებრძოდნენ, და როცა თვით სომხეთშიც-კი ქართველი უფლისწული გამეფდა, ცხადია მდგომარეობა თვალსაჩინოდ უნდა შეცვლილიყო.

შესაძლებელია ამავე დროს ქართველებს სომეხთა მიერ მითვისებული გუგარეთიც უკან დაებრუნებინათ (ქართველ ერის ისტ. I, 173-177). ამას ის მეგობრული განწყობილებაც გვაფიქრებინებს, რომელიც აღმოს. საქართველოს მეფეებს რომის კეისრებთან ჰქონდათ (იქვე, 178-9).

პლინიუსის სიტყვებითაც მტკიცდება, რომ თეზი და თრიალეთი მაინც, რომელიც აგრედვე ფართოდ ნაგულისხმევ გუგარეთის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, პირველ საუკუნეში ქ. შ. უკვე იბერთ ჰკუთნებიათ (Natur, his. cap. VI § 26. ქართველ ერის ისტ. I, 60).

მაგრამ გუგარეთის ქართველთა მიერ უკან დაბრუნების შესახებ გარკვეული პირდაპირი ცნობები მე-IV-ე ს-ითგან ქ. შ. მოიპოვება. 374 წ. სომეხთა მეფე პაპი მოკლულ იქმნა და ამის შემდგომ სომეხ არშაკუნიანთა სამეფო შეუჩერებლივ ეცემოდა. ამ სამეფოს პოლიტიკურს დაუძლურებას ხელი შეუწყო იმ ქიშპობამ და ბრძოლამ, რომე-ლიც ამ ქვეყანაში უფლისწულთა არშაკისა და ხოსროს შორის ატყდა სომხეთის სამეფო ტახტის გამო. ეს ცილობა 387 წ. სომხეთის ორ სამეფოდ გაყოფით დამთავრდა და სწორედ ამ დროს **ქართველებსაც სომხებისაგან თავიანთი ქვეყნები გუგარეთი, გარდაბანი და კარწახი უკან დაუბრუნებიათ** (Адонцъ, Армения. 225-226).

მალე თვით სომეხთა ამ სამეფოების დამოუკიდებელი არსებობაც მოისპო და სომხეთი სპარსეთისა და ბიზანტიას შორის იქმნა განაწილებული: სომეხთა ამგვარმა დაუძლურებამ ზემოჩამოთვლილი ქვეყნების ბედი და საქართველოსთან შეერთება ხანგრძლივობით განამტკიცა (იქვე, 230). იმ ხნის განმავლობაში, როდესაც გუგარეთი სომეხთა ხელში იყო, ამ კუთხეში ქართულ მოსახლეობას სომხობაც შეერია და ქართულის გარდა სომხურიც გავრცელდა (იქვე).

მე-V-ე საუკუნეშიაც მაგ. ვახტანგ გორგასალის მეფობაში გუგარეთი წინანდებურად იბერიის სამეფოს საზღვრებში შედიოდა (Адонцъ, Арм. 222). მაგრამ **მარტო პოლიტიკურად კი არა, არამედ საეკლესიო წესწყობილების მხრივაც** იგი საქართველოს განუყოფელს ნაწილს შეად-გენდა: როგორც მე-VI-ე საუკუნის დამდეგს მომხდარ საეკლესიო კრების მონაწილე მღვდელმთავართა სიითგან სჩანს, ბოლნისის, ცურტავისა და რუს-თავის საეფისკოპოსოები მცხეთისა კათალიკოზს ექვემდებარებოდენ (ix. Գիրք թղթոց 183).

გუგარეთის საქართველოსთან დაკავშირების სიმტკიცე და მისი განუყრელი კუთვნილება შემდეგში მომხდარ უბედურებამაც გამოააშკარავა, **როდესაც სპარსთა მიერ 532 წ. აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა ძალმომრეობით მოსპობილ იქმნა და ქვეყანას თვით სპარსთა შაჰები დაეპატრონენ** (ქართველ ერის ისტ. I, 195-197). **ასეთ უკიდურეს გაჭირვების და პოლიტ[იკური] ბედის უკუღმართობის დროსაც გუგარეთი საქართველოს სამზღვრებში შედიოდა. მე-V11-ე საუკუნის დამდეგსაც, როცა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებრივი უთანხმოება და მტრობა ჩამოვარდა**, რომელიც ამ ორი ერის ეკლესიების სრული განხეთქილებითა და განშორებით დამთავრდა, იგი **კვლავინდებურად ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა** (იხ. ჩემი История церков. Разрыва). საქართველოს ამ პოლიტიკურ დაკნინებისა და განსაცდელის ხანაშიაც რომ გუგარეთი მართლაც კვლავ საქართველოს ეკუთვნოდა, სულიერად და პოლიტიკურადაც მასთან იყო მჭიდროდ დაკავში-რებული, ამას თვით სომხურივე მე-VII-ე საუკუნეში შედგენილი საისტორიო გეოგრაფიაც ცხადად ამტკიცებს. იქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ეს ქვეყანა ამ დროს ქართველების ხელში იყო (იქვე, გვ. 20 და ცემი ქართველი ერის ისტორია, I, 60).

643-645 წლებში არაბთა ლაშქარი და სარდალი ეწვია კავკასიას და საქართველოს. მთელი სამხრეთი და აღმოსავლეთი კავკასია და აღმოსავლეთი საქართველოც არაბთა ბატონობის ქვეშ მოექცა. სომხეთიცა და აღმოსავლეთი საქართველოც მათ ემორჩილებოდა. თავისდა თავად ცხადია, რომ ამ დროს შეუძლებელი იყო საქართველო-სომხეთის სამ-ზღვრებში რაიმე ცვლილება მომხდარიყო: გუგარეთი წინანდებურად ქართველთ უცილობელი კუთვნილება იყო. არაბთა პოლიტიკურმა ძლიერებამ რომ შემდეგში თანდათანობით იკლო და მათი შეუჩერებელი მიდრეკილება განკერძოებისადმი ცხადი გახდა იმ მხრივაც, რომ ერთი მთლიან სახელმწიფოებრივ სხეულის მაგიერ მრავალი სანახევროდ დამოუკი-დებელი საამიროები დაარსდა, დაპყრობილმა ქვეყნებმა თავისუფლად ამო-ისუნთქეს. სხვათა შორის ტფილისისა და ქართლის საამიროც შეიქმნა. ტფილისის ამირათა ურჩობა ასუსტებდა არაბთა ბატონობას კავკასიაში, საქ[ართვე]ლოსი და სომხეთის აღდგენას-კი ხელს უწყობდა.

ტფილისისა და ქართლის საამიროს სამზღვრებში შედიოდა სხვათაშორის ქვენაქართლის ის ნაწილი, რომელსაც გუგარეთი ერქვა.

მე-IX-ე საუკუნითგან მოყოლებული საქართველოსა და სომხეთს პოლიტიკური მოღონიერება დაეტყო. ქვეყანა აღორძინების გზას დაადგა: ჯერ რამდენიმე საერისთავთერისთავოები გაჩნდა, შემდეგ დაიწყო ცალცალკე ბრძოლა საქართველოსა და სომხეთის გაერთიანებისათვის. ასეთ პირობებში ბრძოლა ტფილისისა და ქ[ართ]ლის ამირასთანაც და ურთიერთთან აუცილებელი იყო: არაბებს უნდა ჩამორთმეოდათ მათ მიერ დაპყრობილი აღმ. საქართველოს მიწა-წყალი. ქართველ ერის-თავთერისთავთა ურთიერთშორის ბრძოლას-კი მიზნად დანაწილებული საქართველოს გაერთიანება ჰქონდა. ყოველი ქართველი მთავარი და მეფე ხან პირადად, ცალცალკე, ხან ჯგუფობრივ, შეერთებულს ძალით ამ საქმის განხორციელებას ცდილობდა. სხვათა შორის საქართველოს არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლებას გუარამ მამფალიც († 882 წ.) მამაცურად ხელს უწყობდა. მედგარი ბრძოლის წყალობით მან დაიპყრა კიდეც **ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტაანი** (მატიანე ქართლისა, * 445, გვ. 223. ქართველ ერის ისტ. II, 378). თრიალეთი, ტაშირი და აბოცი როგორ ვიცით სწორედ ძველ გუგარეთს ეკუთნოდენ. მაშასადამე, **საქართველოს განახლების განთიადზე ქართველმა მთავრებმა ეს კუთხე ისევ საქართველოს სამზღვრებში მოაქციეს.**

მაგრამ საქართველოს გაერთიანებისათვის პროცესში მალე გარეშე ძალაც ჩაერია: სომეხთა ერისთავთერისთავმაც აშოტ ბაგრატუნიმ ამ ბრძოლაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო, მხოლოდ რასაკვირველია თავის სასარგებლოდ.

სომეხთა ერისთავთერისთათ-ერისთავი აშოტ ბაგრატუნი, რომელმაც სომხეთის სამეფო აღადგინა, თავის სამფლობელოს სამზღვრების გასაფართოებლად ჩრდილოეთისკენ მოისწრაფებოდა და ქართლის დაპყრობას ლამობდა (ქართვეი ერის ისტ. II, 379). იგი ამ ქვეყანას აფხაზთა მეფეს ეცილებოდა, რომელიც თავის მხრივ კარგა ხანია საქართველოს გაერთიანებისთვის იღვწოდა (380). სომეხთა მეფე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს მხარს უჭერდა. გვარამ მამფალმა სამაგიეროდ „აბოცი განუყო ცოლის ძმასა თვისსა სომეხთა მეფესა“ (მატიანე ქართლისა, * 445, გვ. 223). ამგვარად საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლთა შორის სომეხთა მეფეც გაერია და აფხაზთა მოწინააღმდეგე ჯგუფში **ჩადგა. ამის წყალობით სომეხთა მეფეებს ქვემოქართლის ნაწილის ზოგიერთი ადგილები ჩაუგდია [ხელში], სხვათა შორის ტაშირი** (იქვე, 380-381). **ამ გარემოებას აშოტ ბაგრატუნი ესეოდენ დიდ მნიშვნელობას აძლევდა, რომ მან თავის თავისათვის სომეხთა და ქართველთა ერისთავთერისთავის სახელწოდება მიუკუთვნებია** (ასოღიკ, ქართველ ერის ისტ. 380). **აქეთგან ცხადია, რომ გუგარეთი მასაც ქართლად და ქართველთა მიწაწყლად მიაჩნდა და სწორედ ამ ქართველთა ქვეყნის დაპატრონების ძალით მან თავის თავს ქართველთა ერისთავთერისთავი დაარქვა.** ალბად მას კარგად ესმოდა, რამდენად ძვირფასი იყო ქართლის ის ნაწილი, რომელიც მას ხელში ჩაუვარდა, საქართველოს თავდაცვისათვის.

ამგვარად, **ეს სომეხთა მეორე იერიში იყო საქართველოს სამხრეთის სამზღვრების გადმოსალახავად და ქვენაქართლის, ყოფილ გუგარათის დასაპყრობად.** საგულისხმიეროა, რომ სომხეთის და საქართველოს პოლიტიკური განახლება ამ დროსაც სომეხთა შემო-სევით დაიწყო.

სტეფანე მტბევარის მიერ 814-918 წ. (იხ. ჩემი ისტორიის მიზანი, 44) დაწერილი გობრონის წამება ამ-ტკიცებს, რომ შემდეგშიაც „ტაშირი და კაღფაქარი“ მეფის სუბატის ხელ-ში ყოფილა (საქართველოს სამოთხე, 394). შემდეგშიაც ეს კუთხე მათ ხელითგან არ გაუშვიათ. რაკი სამხრეთით და დასავლეთით ძლიერი მეტოქეები, არაბები და ბიზანტიელნი, ჰყავდათ, ჩრდილოეთით-კი მათ იმ დროს ღონიერი მოწინაღმდეგე არ ეგუ-ლებოდათ, რათგან საქართველოს ჯერ კიდევ ძალა მთლად მოკრებილი არ ჰქონდა, ამიტომ სომეხთა ენერგია იქითკენ მიისწრაფებოდა, სადაც ნაკლებ წინააღმდეგობას მოელოდნენ.

მე-X-ე საუკ.-ის დასასრულსაც ტაშირი და **„ქართველთა ველი“** (Վրաց դաշտ), ბოლნის-დმანისის ხეობანი, სომეხთ ეჭირათ და დავით გურგენის შვილს ეპყრა. ქ. სამშვილდე მან თავის საჯდომად აქცია და ქ. დმანისიც აიღო. გაგის ციხის მფლობელი დემეტრე მარზპანი, თუმცა გრიგორიანი იყო, მაგრამ მოინათლა და ქართველებს მიემხრო. მისი შვილი ტაშირის „მამფალი“ იყო. დავით გურგენის შვილმა იგი გაგითგან განდევნა, მაგრამ უკვე 1001 წ. თვით დავითიც მისი ბიძის სომეხთა მეფის გაგიკის მიერ დამორჩილებული იქმნა (ქართველი ერის ისტ. II, 420-421).

§ 2. ქვემოქართლის ვითარება და მნიშვნელობა XI-XII საუკუნეებში

ვერც ამ მეორეგზისმა სომეხთა მიერ დაპყრობამ შესცვალა არსებითად ქვემოქართლის, ანუ გუგარეთის ძირითადი კუთვნილების საკითხი. თუმცა მართალია თავიანთ მფლობელობის დროს სომხებმა აქა-იქ საეკლესიო ძეგლები და კულტურული კერა შეჰქმნეს, რომელთაც სომეხთათვის თავის დროზე მნიშვნელობა ჰქონდათ და თვით მოსახლეო-ბაშიაც დროებითი პოლიტიკური ბატონობის წყალობით სომხობა წინანდელთან შედარებით უფრო უნდა გაძლიერებულიყო, მაგრამ **თვით ქვეყანა წინანდებურად ქართული იყო და ქვემოქართლის სამხრეთ ნაწილად ითვლებოდა.**

ამიტომაც იყო, რომ მე-XI-ე საუკუნის ქართველ ისტორიკოს ლეონტი მროველს ქართლის სამზღვრად აღნიშნული აქვს **„აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდაოჯისი... სამხრითა მთა, რომელი მიჰყუე-ბის ბერდაოჯის მდინარის თავსა“** (ლ. მროველი, ცხოვრება მეფეთა, * 97, გვ. 2). მაშასადამე, **ტაშირიც, ლორეც, ბოლნის-დბანისის ხეობანიც მას წინანდებურად ქართლის კუთვნილებად და ნაწილად მიაჩნდა.**

საისტორიო გეოგრაფიას სომეხთა დროის ამ კუთხეში პოლიტიკური მბრძანებლობის სახსოვრად ტერმინი „სომხითი“ შერჩა. ეს სახელი ძველად სრულებით უცნობი იყო და მხოლოდ მე-X-ე საუკუნითგან მოყოლებული გვხდება. „სომხითი“ ეწოდებოდა მხოლოდ ბოლნის-დბანისის ხეობებს და ლორეს ველსაც და საყურადღებო ისაა, რომ **ვითარცა საგეოგრაფიო ტერმინი მარტო ქართულად და ქართულ მწერლობაში იხმარებოდა: სომხები და სომხური საისტორიო მწერლობა ამ ქვეყანას „სომხითს“ არ ეძახდენ.** პირიქით ისინი **ლორე-ტაშირის ველს „ქართველთა ველს“ უწოდებდენ** (იხ. ზევით და Brjsset Description geographique de la Georgie ete 148, 2) და **ამ ტერმინში უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია შენახული, რომ თავიანთ პოლიტიკურ ბატონობისდა მიუხედავად თვით ქვეყანას სომხებიც თავისდა-თავად ქართველთა კუთვნილებად სთვლიდენ.**

მე-XI-ე საუკ-ის პირველ ნახევრითგან მოყოლებული თანდათან მდგომარეობა იცვლება. მას შემდგომ რაც ბაგრატ III-ემ აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო საბოლოვოდ გააერთიანა, ქართველობამ წელი გაიმაგრა და საქართველოს მერმინდელი მეფეები ჩვენი ქვეყნის იმ კუთხის მტრისაგან განთავისუფლებას შეუდგენ, რომელიც ჯერ კიდევ უცხო, გარეშე ძალის ხელში შერჩენილი იყო. თბილისის საამირო და სომეხთა მიერ დაპყრობილი მიწები იყო შემოსაერთებელი და მე-XI-ე ს-ში ქართველთა მთელი ძალ-ღონე სწორედ ამ მიზნის განხორციელებას მოჰხმარდა.

1032 წ. ლიპარიტ ერისთავმა და იოანე აბასასძემ ბაგრატ IV თანხმობით ტფილისის ამირას ჯაფარს **ბირთვისი წაართვეს** (ქართველი ერის ისტ. II, 433), ხოლო ცოტა ხნის შემდგომ 1037-8 წ. იმავე ტფილისის ამირას ხელითგან გამოაცალეს **ციხეები ორბეთი და ფარცხისი** (იქვე). ამ გვარად ქ[ართვე]ლობა ტფილისს ზურგით მოექცა და იქითგან მაჰმადიან ტფილისის ამირებს სამხრეთის დანარჩენ მაჰმადიანობასთან კავშირი მოუსპო. და გზები შეუკრა.

უფრო სამხრეთით სომეხთა მიერ დაპყრობილი ქვეყანა იწყობოდა. აქ 1065 წ. სამშვილდეში „სომეხთა მეფედ“ კვირიკე იჯდა, რომლის ძმასაც სუმბატი ერქვა. მას

ემორჩილებოდენ „ორნი ერისთავნი“: „ლოკის ერისთავი და კაქვაქარისა“, რომელთა ხელთ იყვნენ ოფრეთის, ქობა[ირ]ისა და ვარზაქარის ციხეები. ბაგრატ IV-მ კვრიკე მეფე ქუეშის ჭალას დააჭერინა და თუმცა სომეხთა ერისთავები სამსავე ციხეს აძლევდენ, მაგრამ „შეეწყალნეს ბაგრატ მეფესა“ და ამიტომ სამშვილდის მეტი არა ჩამოურთმევია რა. სამაგიეროდ **„საქართველოს მეფეს მონებდეს სომეხნი“** (ქართველი ერის ისტ. II, 449) .

ამგვარად ამ „სომხითის“ დამოუკიდებლობაც მოისპო და მისი მეფენი საქართველოს მოხარკედ იქცნენ.

ამის შემდგომ თვით ტფილისიც კვლავინდებურად საქართველოს მეფეს დაემორჩილა. 1068 წელს ბაგრატ IV ტფილისის ამირობა სითილ არაბს უწყალობა, მაგრამ თავის მოხარკედაც გახადა და სხვა ციხე-ქალაქებიც ჩამოართვა (ქართველი ერის ისტ. II, 455).

სელჩუკიან თურქთა შემოსევამ კავკასიაში და კერძოდ საქართველოშიაც გიორგი II-ის მეფობაში **გარეშე ძალის მიერ დაპყრობილი ქვემოქართლის კუთხის შემოერთების პროცესი დროებით შეაფერხა: თურქობა კვლავ ტფილისს, სამშვილდეს, აგარათ, რუსთავს დაეპატრონა. მათვე დაიპყრეს მთელი „სომხითიც“** (ქართველი ერის ისტ. II, 447-453). იმის შემდგომ ქართლის სამხრეთს ნაწილში „სომხითის“ მეფობის არსებობაც მოისპო. ამიტომ როდესაც დავით აღმაშენებელმა 1110 წ. ძერნა და სამშვილდე კვლავ დაუბრუნა საქართველოს (იქვე, 511), ხოლო ამის შემდგომ თავზარდაცემულმა თურქებმა უბრძოლველად დასცალეს **„უმრავლესნი ციხენი სომხითისანი“** (იქვე, 512), 1118 წელს-კი მან მტერს **„სომხითის ციხე ლორე“ და აგარანი წაართვა** (იქვე, 514), **ეს უკვე ქართლის სამხრეთის ნაწილის სომეხთა ბატონობისა და მძლავრობისაგან განთავისუფლება კი არ იყო,** – მაშინ ხომ „სომხითი“ ვითარცა პოლიტიკური ერთეული უკვე აღარ არსებობდა, – **არამედ სელჩუკიან თურქთა კლანჭებისაგან გამოგლეჯა. ამიერითგან მოყოლებული მთელი ეს კუთხე ქართლის სამხრეთი ნაწილი და თვით „სომხითი“-ც საქართველოს უცილობელ და განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა და სომხებს არას დროს აღარა სჭერიათ.**

ძველ დროსაც რომ ქართველებს ქვემოქართლის სამხრეთი ნაწილის ე.წ. სომხითის უაღრესი მნიშვნელობა საქართველოს თავდაცვისათვის კარგად ესმოდათ და მას განსაკუთრებულ მნიშვნე-ლობას ანიჭებდენ, ეს იქითგანაც სჩანს, რომ საქართველოს მეფეებმა ჯერ მიზნად ამ კუთხის უცხო ძალისგან განთავისუფლება დაისახეს, ხოლო შემდეგ, როდესაც ტფილისის სამხრეთით მდებარე ქვეყანა ქართველთა ხელში იყო, თვით დროებით მიტაცებულს საქართველოს დედაქალაქის შემოერთებას შეუდგენ. ტფილისის აღების შემდგომაც „სომხითს“ საქართველოს მთავრობის თვალში თავისი დიდი მნიშვნელობა არ დაუკარგავს, ამას ის გარემოებაც ნათლად ცხადჰყოფს, რომ **„სომხითის ციხე ლორე“ სრულიად საქართველოს ჯარის მთავარსარდლისა და სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის „საჯდომა“-დ ანუ რეზიდენციად ითვლებოდა,** უეჭველია იმ აზრით, რომ აქეთგან სამხრეთით მომავალი მტრისაგან საქართველოს დაცვა საუკეთესოდ შეიძლებოდა და აქ მცხოვრებ სამხედრო მინისტრს უფრო ფხიზლად ეჭირებოდა თვალი სახელმწიფოს ამ ფრიად მნიშვნელოვან საზღვრებზე.

§ 3. საქართველოს ვითარცა მფარველ და თავშესაფარ სახელმწიფოს მნიშვნელობა და მიმზიდველობა სომეხთათვის

დავით აღმაშენებლის (1089-1125 წ.) მეფობითგან მოყოლებული საქართველო იმდენად ძლიერ სახელმწიფოდ იქცა, რომ მისი ზრდა შეუჩერებლივ წინ მიდიოდა მე-XIII-ე საუკუნის პირველ მეოთხედამდის. ვითარცა ერთადერთი ძლევამოსილი საქრისტიანო სახელმწიფო მცირე აზიაში, საქართველო მაჰმადიანთა მონობაში მყოფ სხვადასხვა ქრისტიან ერების

მფარველად და მხსნელად იყო. განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში და შევიწროებული იყო სომხის ერი, რომელიც ამიერკავ-კასიაში რამოდენიმე მაჰმადიან სახელმწიფოს შორის განაწილებული და იმდენსავე სულტანის ან მთავრის (შირვანშას, არმენშაჰის, კარის ამირას, რუმის სულტანის და სხვათა) თვითნებობას ემორჩილებოდა. მაშინ სომეხნი პირადადაც შევიწროებულნი იყვნენ და მათი სარწმუნოებრივი და ეროვნული გრძნობაც იმდენად შელახული იყო, რომ მათი საუკეთესო სალოცავი კათოლიკე ეკლესია ანისში მიზგითად იყო გადაკეთებული (მათე ურჰაელის ისტ. 451-445 და ვარდანის მსოფლიო ისტ. 156-157 და ქართველ ერის ისტ. II, 526-527), ხოლო წირვის დარეკვის უფლებაც არა ჰქონდათ.

ამიტომაც იყო რომ **სომხობა ასეთი სიხარულით ეგებებოდა საქარ-თველოს სამხრეთისაკენ ძლევამოსილს წინსვლას. ქართველთა ბატონობას მათთვის ფიზიკური განადგურებისაგან და მაჰმადიან მმართველთა აუტანელი და თავმოყვარეობის შემლახველი ძალმომრეობისაგან ხსნა მოჰქონდა.**

სწორედ ამ დროს, დავით აღმაშენებელის, დიმიტრი I, გიორგი III და თამარის მეფობაში, როდესაც საქართველომ მცირე აზიაში არზრუმის სულტანს მოახრევინა ქედი, ხოლო სპარსეთში ქ. ყაზმინამდე და გურგანამდე მიაღწია, შავი ზღვითგან კასპის ზღვამდე იყო გადაჭიმული. სომხებმა თავისუფლად ამოისუნთქეს: მათ ძლიერი მფარველი ჰყავდათ. შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ ქ. ანისის კულტურული და მოქალაქეობრივი უაღრესი აყვავების ხანა სწორედ ქართველთა პოლიტიკური ბატონობის დროს იყო. უეჭველია, **საქართველოს ძლევამოსილმა წინსვლამ სამხრეთისაკენ სომეხთა ერს საუკეთესო საშუალება მისცა თავისი ფიზიკური არსებობაც შეენარჩუნებინა და მომავალ განსაცდელის საბრძოლველადაც მოღონიერებულიყო.**

§ 4. ქვემოქართლის მნიშვნელობა საქართველოსთვის და სამხრეთის სამზღვრები XVI-XVIII საუკუნეებში

შემდეგში როცა საქართველო პოლიტიკურად დაუძლურდა და რამდენიმე სამეფოდ იქცა, სახელმწიფოებრივი სამზღვრებიც მე-XII-ე საუკუნესთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, ქვემოქართლის ანუ ლორე-ტაშირ-„სომხითის“ საქართველოს გარეშე მტრისაგან თავდაცვისათვის უაღრესი მნიშვნელობა უფრო ცხადი და თვალსაჩინო გახდა. ამიტომაც იყო, რომ მთელი ეს ტფილისის სამხრეთით მდებარე ქვეყანას ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით „მეწინავე დროშა“ ეწოდებოდა: ეს კუთხე იყო, რომ სამხრეთითგან შემოსეულს მტერს უნდა დახვედროდა და სწორედ ამ მიწაწყალზე უნდა გაეწია ქართველ ჯარს მისთვის პირველი და გადამწყვეტი წინააღმდეგობა.

საქართველოს მტრებსაც ამ ქვეყნის უდიდესი მნიშვნელობა მშვენიერად ჰქონდათ გათვალისწინებული. მათ ესმოდათ, რომ მისი დაპყრობა აღმოსავლეთ საქართველოსა და ტფილისში შემყვანელი კარების ხელში ჩაგდებას უდრიდა. აკი საქართველოს დაუძინებელმა მტერმა შაჰაბაზმა გიორგი მეფეს მოსთხოვა: „ჯერ-არს რათა მომცე ჯილდოდ ლორე ბერდუჯის მდინარით“-ო. მაშინ ბერდუჯის მდინარე საზღვარი იყო ქართლის სამეფოსი და ძალზე შეწუხდა, „შეუძნდა ესე ფრიად მეფესა“. ჯილდოს შენგან მოველოდდი და არა წართმევას „მიხმასა საზღვართა ჩემთასა“-ო. მაგრამ შაჰაბაზმა იცოდა რასაც თხოულობდა და სწორედ ამიტომაც მისი სურვილი შეუდრეკელი იყო (ვახუშტი, საქართველოს ცხორება, ჭიჭ. 52). სახელოვანი ქართველი მეცნიერი ბატონიშვილი ვახუშტი სრულებით მართალი იყო, როდესაც ამ გარემოების შესახებ ამბობდა: **ეს ქვეყანა „შაჰ-აბაზ ამისის განზრახვით მიიღო რამეთუ «მექმნებისო შესავალ-გასავალი ქართლსა შინა-ო“** (გეოგრაფია, 140-142). სწორედ ეს

გარემოება იყო და არის, რომ საქართველოს მტრებს ეს კუთხე ასე იზიდავს და ყურადღებას იპყრობდა.

იგივე გარემოება მეორეს მხრით თვით საქართველოს მმართველ წრეებს და ერს საქართველოს ამ მართლაცდა „მოწინავე დროშისა“ და სამხრეთის ერთად-ერთ საფარის ფხზელ დარაჯად ხდიდა და თუმცა სპარსეთის ბრძანებელნიც, ოსმალეთის ფაშებიც მუდამ ამ კუთხის დაპყრობას ლამობდენ, მაგრამ ქართველობას ამ ქვეყნის შესანარჩუნებლად თავისი სიცოცხლეც არ დაუზოგიათ.

და სწორედ ამიტომაც გაიმარჯვა კიდეც: თვით აღმ. საქართველოს დაკნინების დროსაც-კი, **ვახტანგ VI მეფობაში და მე-XVIII-ე ს-ის პირველ ნახევარშიაც, ქართლის სამეფოს სამზღვარი სამხრეთით იყო იქვე, სადაც თავდაპირველად.** წერილობითი ცნობებს გარდა ამას ის საქართვე]ლოს 1743 წ. რუკაც ამტკიცებს, რომელიც ინახება რუსეთის მთავარ შტაბის სამხედრო-სამეცნიერო არქივში #-ით 505 «Иверская Земля» [1].

ერეკლე მეფის დროსაც, თუნდ 1783 წ., **როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება დაიდო, სამხრეთით სამზღვარი და მთელი ქვენა-ქართლი, ანუ სომხით-ლორე-ფამბაკ-ბორჩალუ საქართველოს უცილობელს საკუთრებას შეადგენდა** და კვლავინდებურად **სამზღვარი უფრო სამხრეთისაკენაც მდებარეობდა და გამყოფელ ხაზად ერევნის (ფამბაკის) მთები ითვლებოდენ. ეს შეურყევლად მტკიცდება საქართველოში იმ დროს მყოფ რუსეთის ელჩის ბურნაშევის, როგორც წერილობით აღწერილობითგან** (იხ. Картина Грузіи, полн. описание etc. გვ. 2.), რომელიც მის მიერ 1786 წ. არის შედგენილი , ისევე და **უფრო თვალსაჩინოდ მის მიერვე 1784 წ. დახატულ საქართველოს საერთო რუკითგან , სადაც სამზღვარი წითლად არის შემოხაზული** (იხ. С.Н. Бурнашевъ-is Новая Мат. რუკა მეორე).

დასასრულ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ **აღამაჰმადხანის შემოსევის შემდგომაც და აღმ. საქართველოს რუსეთთან შეერთების დროსაც ეგრედ წოდებული „სომხითი“ ბორჩალო, ფამბა-კი, ყაზახი, და შამშადილი საქართველოს უცილობელს კუთვნილებას შეადგენდა და შურაგელიც მასვე ეკუთვნოდა** (Дубровинъ, Истор. ტ. III, 38I-382).

განმსაზღვრელ ხაზის მდებარეობის გამოსარკვევად მკაფიო ცნობები ვახუშტსა აქვს მოყვანილი. მისი სიტყეით „სომხით-ერევნისა და ამისი (ე.ი. ბაბაკის) გამყოფელ არს მთა დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი და კალთათა ტყიანი... რომელი წარვლის დასავლით არტანამდე, ხოლო აღმოსავლით რანსა და გელაქუნს შუა განვლის და ვიდრე რახსამდე მივალს[:] მთისა ამის სამხრით კერძი სომხით-ერევნისა არის , ხოლო ჩრდილოთ კერძი ბერდუჯისა და რანისა... ხოლო **მთა მცირე ბერდუჯისა** ძეს ჩრდილოეთით და სამხრით და მიადგების **წინ-თქმულსა ერევნის მთას.** აღმოსავლეთის კერძი მთისა ამის რანისა და დასავლეთით კერძი არს ბერდუჯისა“ (ვახუშტი, გეოგრაფია, 140).

ამ სიტყვებითგან სჩანს, რომ **ვახუშტი ორ მთას ასახელებს საქართველოს სამხრეთით:** ერთს, რომელიც დიდი და მაღალია იმდენად, რომ მარადის თოვლიანად მიაჩნდა, დასავლეთით არტაანამდის აღწევს, აღმოსავლეთით კი რანსა და გელაქუნს შუა გადის და რახსამდე მიდის, **ერევნის მთა ჰრქმევია.** ხოლო მეორე მთა პატარა ყოფილა და როგორც ეტყობა ორ ტოტად იყოფებოდა ისე, რომ ვახუშტის სიტყვით ეს მთა „ძეს ჩრდილოეთით და სამხრით“ ამასთაავე იგი თითქოს ერევნის მთის შტოდ გამოდის და მას „მიადგების“-ო. **ამ მთას ბერდუჯის მთა ჰრქმევია.**

ამ ტექსტის ფრანგულს თარგმანში აკად. მ. ბროსსეს შენიშვნაში ერევნის მთის შესახებ ნათქვამი აქვს, ვითომც იგი რუსულს ბეზობდალის მთას უდრიდეს (გეოგ. 141, შე. 1). მაგრამ საკმარისი იყო ბროსსეს თავის გამოცემული ვახუშტის მიერ დახატული რუკა აეღო, სადაც

[1] „Копироваль её въ Москвъ въ мъсяцъ Іюль 1743 г. полевой артиллеріи каптенармусь Даника Гем...“ გვარი სრულად არ იკითხება (იხ. დედნის ფოტოტ. პირი და С.Н. Бурнашевъ. Новая Мат. для жизне-описанія дъятельности С.Д. Бурнашева. СПБ. 1901. გვ. IV).

ქვემო ქართლია (# 2. Géorgie au s. du Kour) და იქ ჩაეხედა, რომ მაშინვე დარწმუნებულიყო, რამდენად შემცდარი იყო მისი ზემოაღნიშნული აზრი. იქ სახელდობრ ერევნის მთა მდ. ბამბაკის სამხრეთით არის დახატული. მაშასადამე ცხადია, რომ ყოვლად შეუძლებელია ვახუშტის ერევნის მთები რუსთა საგეოგრაფიო სახელს ბეზობდალის მთებს უდრიდეს იმიტომ, რომ ეხლანდელი ბეზობდალის მთები ბამბაკის ჩრდილოეთით მდებარეობენ. იგივე გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ **ვახუშტის „ერევნის მთები“ შეიძლება მხოლოდ აწინდელს რუსულს რუკაზე აღნიშნულს „ბამბაკის მთებს“ უდრიდეს,** რომელთა მიმდინარეობაც აღმოსავლეთით მართლაც ისეთია, როგორც ვახუშტს აქვს აღწერილი, და გელაქუნის ანუ გოგჩის ტბის ჩრდილოეთით უვლის.

ვახუშტის იგივე რუკა ამტკიცებს, რომ ბერდუჯის მთები უნდა მდ. ბერდუჯის ანუ დებედას, რომელსაც ამ ადგილას რუსები კამენკას უწოდებენ, სამხრეთით მდებარედ ვიგულისხმოთ. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ **ვახუშტის ბერდუჯის მთა უნდა რუსების მეზობდალის მთებს უდრიდეს.**

ამგვარად ირკვევა, რომ **საქართველოს სამხრეთით (სომხეთისაგან) ერევნის სახანოსაგან გამყოფელ ხაზად ერევნის მთები ითვლებოდა, რომელთაც ეხლა „ბამბაკის მთები“ ეწოდება. ამ დასკვნის სიმართლეს მოსკოვში 1743 წ. დახატული რუსულ-ქართული რუკაც ადასტურებს, რათგან ამ რუკაზეც საქართველოს სამხრეთის სამზღვარი ბამბაკის მდინარის სამხრეთით არის გახაზული. ბურნაშევის მიერ 1784 წ.-ს შედგენილ საქართველოს რუკაც ამასვე ამტკიცებს:** იქაც ეს სამზღვარი მდ. ბამბაკის კარგა სამხრეთით ხატია. მაშასადამე, მე-XVIII-ე ს-ის დასასრულსაც, საქართველოს რუსეთთან 1783 ხელშეკრულობის დადების ჟამსაც საქართველოს სამხრეთის სამზღვრად კვლავინდებურად ერევნის, ანუ, როგორც ეხლაა მიღებული „ბამბაკის მთები“ ყოფილა.

§ 5. ქვემოქართლის უაღრესი ეკონომიური მნიშვნელობა საქართველოსთვის

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ **ქვემოქართლი მარტო სამხედრო თვალსაზრისითა და მნიშვნელობით-კი არ იყო დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული, არამედ მაშინაც მთელ თავის მდებარეობით და გზებით, მთელ თავისი ქონებრივი ძალღონითაც, ეკონომიურადაც ის დანარჩენ საქართველოსთან და აღმ. საქართველო მასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული.** პაპუნა ორბელიანის საისტორიო თხზულებითგან სჩანს, რომ **ტფილისი სომხით-ბორჩალოთგან, სამხრეთითგან შემოსულ სურსათით იკვებებოდა.** მაგრამ მარტო ეს არა კმარა. თუმცა აღმოს. საქართველოს სხვადასხვა ადგილას ოქროსი და ვერცხლისა, უფრო-კი სპილენძის მადნები ქონდა. განსაკუთრებით მაინც მადნეულობა იმ მთებში მოიპოვება უხვად, საქართველოს რომ ერევნისაგან ჰსაზღვრავდენ. (ბურნაშევ, Картина 2).

ქვემო-ქართლში, ან ე.წ. „სომხით“-ში მდებარე ოქრო-ვერცხლისა და სპილენძის მაღაროების საქართველოს ეკონომიურ კეთილდღეობისა და ძლიერებისათვის უაღრესი მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ვახტანგ VI-ეს და ერეკლე მეფეს, რომელთაც არაფერი დაუზოგიათ, რომ დროთა ვითარების გამო მიტოვებული და მივიწყებული სამთამადნო საქმე კვლავ განახლებულიყო და გაცხოველებულიყო.

ეს მადნები საქართველოს სახელმწიფოს ფულის მოსაჭრელ ლითონსაც აძლევდენ, – ამით სჭრიდენ მეფეები ქართულ ფულს, – და ამას გარდა წმინდა შემოსავალსაც, რომელსაც მეფეები ჩვენი ქვეყნის გარეშე მტრისაგან დაცვას ახმარებდენ. ნ. ბუტკოვს აღნიშნული აქვს, რომ მის დროს 1778 წ. ერეკლე მეფემაც თავის სახელმწიფოს ყოველ-წლიური შემოსავალი

გააძლიერა ახტალაში და სხვა ადგილებში აღმოჩენილი ოქრო-ვერცხლისა, სპილენძისა და რკინის მადნეულობით, რომ მან ამ მადნების დასამუშავებლად ბერძნები გამოიწერა და შემოსავლით ნაქირავებ ჯარს ინახავდა საქართველოს დასაცავად (Материаль для истории Кавказа, I, 337).

საქართველოს მეფეების მზრუნველობა ქვამადნის განვითარებაზე რომ ბრძნული იყო და ანგარიშში არ მოტყუებულან, ამას ის მრავალმეტყველი გარემოებაც ამტკიცებს, რომ ერეკლე მეფის უკანასკნელ წლებშიაც-კი, მე-XVIII-ე ს-ის დასასრულს, მადნის მაღაროების წმინდა შემოსავალი სახელმწიფოს ყოველწლიურ ოქროსა და ვერცხლის ფულად შემოსავლის ერთს მეოთხედს უდრიდა: 400 000 მინ.-ში (ბურნაშევი, Картина 5) 100 000 მინ.-მდე მადნების წმინდა შემოსავალი იყო.

§ 6. ამ კუთხის მოსახლეობის ბედიღბალი XVII - XVIII ს.ს. და სომეხთა გადმოსახლება

თვით ქვემოქართლის სტრატეგიული მდგომარეობის გამო, ვითარცა საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანს ქვეყანასა და „მეწინავე სადროშოს“, მას ხშირად ბრძოლისა და მტრის თავდასხმის ასპარეზად ხდიდა და ამის გამო მოსახლეობა **აქ მრავალჯერ დაზარალებულა და არაერთხელ სრულებით ამოწყვეტილა კიდეც.** უფრო ძველ დროსაც რომ თავი დავანებოთ, მარტო შაჰაბაზის შემოსევამაც ამ მხრივ დიდი ზიანი მოუტანა. ამას გარდა, სპარსეთის შაჰებს რომ საქართველოში მუდამ ერთგული წინამავალნნი და მომხრენი ჰყოლოდენ, შაჰაბაზმა აქ თურქთა ელი ბორძალუ ჩაასახლა. თანდათანობით ყაზახ-შამშადილო-ლორეს ხანებიც გაჩდენ (ვახუშტი, 70). ხშირი სამხედრო მოქმედების გამო ეს ქვემოქართლი, **„თრიალეთი, ტაშირი და აბოცი“ მთლად აოხრებული იყო: იქ „კაცნი არღარა იყუნენ“ და მხოლოდ ვახტანგ V-ემ კვლავ დაასახლა იგი** (იქვე).

თუ საქართველო, რომელსაც თავისი სახელმწიფო ჰქონდა მე-XVI-XVIII-ე საუკუნეებში შეწუხებული იყო გარეშე მტრისაგან, ადვილი წარმოსადგენელია რა საშინელს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო სომხობა, რომელიც მე-XI-ე ს.-ითგან მოყოლებული საკუთარ სახელმწიფოებრივობას მოკლებული იყო და მე-XVI-ე ს.-ითგან მოყოლებული ხომ მაჰმადიან თურქ სახანოების ქვეშევრდომებად ითვლებოდა. **აუტანელ მდგომარეობის გამო, სარწმუნოებრივ და ეროვნულ-პოლიტიკურ დევნისაგან სომხობა თავის ქვეყნითგან იყრებოდა, მამაპაპეულს მიწაწყალს სტოვებდა და სხვა უფრო მყუდრო ქვეყნებში და სახელმწიფოებში ეძებდა თავშესაფარს.** საქართვლო სომხებისათვის ყველაზე უფრო მახლობელი ქვეყანა და სამეფო იყო, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება, – საქართვეოლოში არასდროს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა, – და თანაც საქართვე-ლოში შემოხიზნულს სომხებს უფრო მეტი იმედი ჰქონდათ, რომ თუ გარემოება მათთვის ხელსაყრელად შეიცვლებოდა, იქითგან თავიანთ სამშობლოში ადვილად დაბრუნდებოდენ. ამიტომ იყო, რომ **დევნილი სომხები საქართველოში იხიზნებოდენ, ჩვენში ეძებდენ და პოულობდენ კიდეც თავიანთვის თავშესაფარს.**

სრულებით ბუნებრივია, რომ **ისინი სახლდებოდენ განსაკუთრებით იმ კუთხეში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მოიპოვებოდა**. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ისინი შემოიხიზნებოდენ ხოლმე **სწორედ ქვე-მოქართლში, რომელიც ჩრდილოეთით ერევნის მთებს ეკრა ე.წ. სომხითში, ლორეში, ტაშირში და სხვაგან.** ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ „სომხით“-ში ვახტანგ VI **დროს „მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნით**

ქართულითა“-ო (გეოგრაფია, 146). ტაშირის შესახებაც მას ნათქვამი აქვს, რომ იქ **„მსახლობელნი არიან სარწმუნოებით სომეხნი...** და მოსილნი არიან ბინძურად და გაზეთილნი, გრძელ-ჩოხიანნი, ავფერად-უშვერად, გარნა არიან ჰაეროვანნი და ტანოვანნი, შემძლენი, ლაშქრობათა შინა გამოუცდელნი, უხმარნი“-ო (იქვე, 148).

მაგრამ არც ეს სომხური შემოხიზნული მოსახლეობა შერჩენილა აქ დიდ ხანს. თურქების შემოსევის დროითგან მოყოლებული მე-XVIII-ე ს-ის მეორე მეოთხედშიც, თურქებისა და ლეკებისაგან სხვებზე უფრო ძლიერად ეს კუთხე დაზიანდა (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, 122, 137, 139, 140. პ. ორბელიანი).

ამ ხნის განმავლობაში ეს საქართველოს სამხრეთის კუთხე ისე აოხრდა და გაუკაცრიელდა, რომ 1760 წ.-ისათვის როგორც რუსეთის ხელმწიფისათვის გაგზავნილს აღწერილობაში ერეკლე მეფე სხვათა შორის ამბობს, **მოსახლეობის 1-2%-ზე მეტი შერჩენილი არ იყო.**

მე-XVIII ს-ის მეორე ნახევარში ამგვარ აოხრებისა და ხალხის გადასახლების წყალობით სომეხთა მოსახლეობა თვით მათს მკვიდრს მიწა-წყალზეც ისე შემცირდა, რომ ერევანის სახანოში ითვლებოდა 3000 სახლობა, ნახჭავანში 500, ყარაბაღში 7000, ყარადაღში 300, განჯაში 1500. დანარჩენნი უკვე მათ სამშობლოში აღარა სცხოვრობდენ. დარუბანდში 1000, მარაღაში 2000, ხოიში 1000 სახლობა ითვლებოდა (ნ. ბუტკოვი, Материалы, II 142). ამგვარად სომეხთა რიცხვის ჯამი მთელს ამიერკავკასიაში 17000 ოჯახობას უდრიდა.

§ 7. სომეხთა გადმოსახლების განსაკუთრებული ხასიათი XVIII-XIX ს.-ში

ერეკლე მეფის დროს სომეხთა საქართველოში შემოხიზნის ხასიათი, როგორც ეხლა ირკვევა, **თვალსაჩინოდ იცვლება. თუ წინათ ეს გადმოსახლება სტიქიური თვისებისა იყო და მას არავითარი პოლიტიკური მიდრეკილება და მნიშვნელობა არ ჰქონდა, მე-XVIII-ე საუკ-ის დასასრულს გარკვეული პოლიტიკური ელფერიც ზედ დაერთო.** თუ წინათ საქართველოში მომავალი სომხები საქართველოს მფარველობისა და ქვეშევრდომობის მოიმედენი იყვნენ ხოლმე, **ამიერითგან ისინი უკვე გარეშე ძალის მფარველობას ეძებდენ და მათის დახმარებით ცდილობდენ საქართველოში თავიანთ საქმის გაკეთებას**. როდესაც სომხებმა შეიტყეს, რომ ერეკლე მეფე რუსეთთან ხელშეკრულობასა სდებდა და რუსეთის კავშირსა და მფარველობას ეძებდა, ჯერ კიდევ ხელშეკრულობა დადებული და ხელმოწერილი არ იყო, რომ სომეხთა ეპისკოპოსებმა, მელიქებმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა რუსეთის მთავრობას 1783 წ. 3 მარტს შედგენილი თხოვნა მიართვეს, რომელშიაც ყარაბაღისა და ყარადაღის სომხები რუსეთის სამეფო სახლობას ერთგულებას უცხადებდენ და თანაც უცხო თესლთა ბატონობისან განთავისუფლებას სთხოვდენ. რუსეთის მთავრობას ეს რასაკვირველია მო-ეწონა და მან გადასწყვიტა მეფე ერეკლეს დახმარებით შუშის ხანი დაემხო და ყარაბაღითგან და ყარადაღითგან ერთი **სომხური ოლქი (область) შეედგინა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რუსეთისაგან უნდა ყოფილიყო დამოკიდებული.** ამ ოლქს მართვა-გამგეობა სომეხთა თანამემამულეს უნდა ჩაჰბარებოდა და კარგად უნდა მოწყობილიყო, რომ დანარჩენ სომხების ოლქებსაც ყარაბაღელი სომხებისათვის მიებაძათ და მათთან შეერთებულიყვნენ. ამ გზით რუსეთის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ აზიაში საქრისტიანო სახელმწიფოს ააღორძინებდა (Н. Бутков, Материалы , II 142).

ეს უკვე გარკვეული პოლიტიკური გეგმაა, რომელიც თითქოს სომეხთა საკეთილდღეოდ იყო შედგენილი, მაგრამ რომლის განხორციელებაც **რუსეთს ამიერკავკასიაში**

მტკიცედ ფეხს მოაკიდინებდა. საქრისტიანო სომხურ სახელმწიფოს აღორძინება უეჭველია სომეხთა გულითადი ნატვრა იყო და საფიქრებელია, რომ **რუსეთის მთავრობის მიერ სწორედ მათ მისაზიდავად** და აღსაფრთოვანებლად იყო ამ გეგმაში ეს აზრი შეტანილი.

ამიერითგან მოყოლებული უცნაური მდგომარეობა შეიქმნა: **სომხები ორმაგს კავშირს იჭერდენ ერთის მხრით საქართველოსთან,** მეფე ერეკლე II ან გიორგი მეფესთან, საქართველოში შემოიხიზნებოდენ ხოლმე, ვითარცა დევნილნი, და შედარებით მყუდრო თავშესაფარს პოულობდენ. იმავე დროს, **მეორე მხრით-კი იდუმალ რუსეთის მფარველობას ამოეფარებოდენ ხოლმე და რუსეთის მთავრობის დახმარებით საქართველოში თავიანთ საქმეს იკეთებდენ.**

როგორც არა ერთხელ ეს ქართველებსაც შემთხვევიათ, სომხებმაც პირადად გამოსცადეს, რამდენად სახიფათო იყო რუსეთის დახმარების მოიმედეობა: რუსეთმა რომ ერეკლე მეფესთან დადებული ხელშეკრულობისდა მიუხედავად საქართველოთგან მეშველი ჯარი მთლად გაიყვანა და ჩვენი ქვეყანა გააფთრებულ მტრების პირისპირ დასტოვა, ამის საბედისწერო შედეგი მარტო საქართველომ კი არ იგრძნო, არამედ სომხებმაც და თვით ყარაბაღის მფლობელმა იბრაჰიმ ხანმაც. **აღამახმედ ხანის შემოსევის დროს ყარაბაღის ხანი იძულებული იყო ყველა სომხებისათვის**, ვისაცა-კი იარაღის ხმარების უნარი არ ჰქონდა ან ციხეში არ დაეტივნენ, **მეზობელთა სამფლობელოებში, განსაკუთრებით საქართველოში, გახიზვნის ნება მიეცა იმ იმედით,** რომ როცა ქარიშხალი დაწყნარდებოდა **ისევ უკან დაებრუნებინა,** მაგრამ არამც თუ გახიზნებული სომხები ყარაბაღში აღარ დაბრუნებულან, სხვებმაც-კი მათ მიჰბაძეს: თავიანთ მელიქების წინამძღოლობით აიყარნენ და ზოგი განჯაში, ზოგი კიდევ ისევ საქართველოში გადასახლდენ (იხ. Записка с.с. Коваленскаго о Грузии, АКАГК т. I, gv. 120).

იმ დროს, როდესაც ერთი მხრით სომეხთა კათალიკოზმა ლუკამ საქართველოს ასაოხრებლად 1795 წ. მომავალს სპარსეთის შაჰს აღამაჰმედხანს, ალბად შიშით, „სამხედრო ხარჯების დასაფარავად“ 100.000 მ. მისცა, მეორეს მხრით იმავე დროს შეძლებული სომხები ყარაბაღითგან, ერევნითგან, ნახჭავნითგან და სხვა ადგილებითგან მაჰმადიან მცხოვრებლებთან ერთად საქართველოში გამორბოდენ და იქ ბამბაკის ხეობაში იხიზნებოდნენ იმ იმედით, რომ აღამაჰმედხანი საქართველოში შესევას ვერ გაბედავდა (Бутковъ, Материалы II, 337).

ტფილისის აოხრების შემდგომაც მელიქები აბოვი და მეჯლუმი თავის ყმებიანად ისევ ერეკლე მეფეს შეეხეეწნენ და საქართველოში დასახლების ნებართვა სთხოვეს (АКАГК т. I, 123 და 134). ერეკლე მეფემ მელიქ აბოვის ვედრება შეისმინა, ს. ბოლნისი მისცა და კოლპის გზის დაცვა ვალად დააკისრა (იქვე, I, 116 შენ.).

დანარჩენმა სომეხმა მელიქებმა სხვა გზა ირჩიეს: **მელიქების ჯიმშედისა და ფრიდონის მეთაურობით საქართველოს მეფეს ზურგი აუქციეს და პირდაპირ რუსეთის მთავრობასთან დაიჭირეს საქმე. წავიდენ და ხუთივე სომეხ მელიქის სახელით რუსთ ხელმწიფეს იდუმალი თხოვნა მიართვეს, თქვენ ქვეშევრდომებად და მფარველობის ქვეშ მიგვიღეთო. ამასთანავე ისინი თხთულობდენ, რომ მათ რუსთ ხელმწიფესაგან, ან რუსეთში შეხიზვნის, ან იმავე პირობებით საქართველოში დასახლების ნებართვა მისცემოდათ** (იქვე, I, 123 და 134).

უეჭველია ეს უკვე სრულებით შეუწყნარებელი საქციელი იყო: საქართველოს დამოუკიდებელ არსებობის წყალობით სომხები თავიანთთვის საქართველოში აუცილებელ განადგურებისაგან თავშესაფარს პოულობდენ და მადლობის მაგიერ საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მიწა-წყლის მიღება ჰსურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა და ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა ხელს.

როგორც ეტყობა სომეხი მელიქები ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ. იმათ კარგად იცოდნენ რასაც სჩადიოდნენ და დარწმუნებული იყვნენ, რომ თავიანთ მიზანს მიაღწევდენ.

მართლაც, **რუსეთმა ისინი თავის მფარველობის ქვეშ მიიღო და, თუმცა-კი ეს დადებული ხელშეკრულობის დარღვევა იყო, მაგრამ მაინც რუსთ ხელმწიფეს მათთვის სხვის სახელმწიფოში, საქართველოში, დასახლების ნებართვა მიუცია. ასე იყო ეს საქმე მოწყობილი ფარულად. ოფიციალურად-კი რუსეთის ელჩს საქართველოში დავალებული ჰქონდა,** რომ ის საქ[ართვე]ლოს მეფესთან ცდილიყო და სომეხ მელიქებისა და მათ ყმებისთვის დასასახლებელი მიწები განსაკუთრებით შეღავათიან პირობით დაეთმობინებინა. მიწერილობაში ნათქვამი იყო, რომ ელჩს უნდა ჩაეგონებინა მეფისთვის, **ვითომცდა რუსეთის მთავრობა თვით საქართველოს საკეთილდღეოდ ცდილობდა და კისრულობდა ამ საქმეში შუამავლობას** (იხ. Иностр. изъ Госуд. Кол. Иностр. делъ Коваленскому. АКАГК т. I, 94 § 10).

ყველამ კარგად იცის, რომ დიდ „მფარველ“ სახელმწიფოს თხოვნა პატარა სახელმწიფოსთვის იძულებას უდრის. ამის წყალობით **სომხებმა და რუსეთის მთავრობამ თავიანთ წადილს მიაღწიეს: სომხებმა მიწები მიიღეს, რუსებმა-კი საქართველოში იდუმალი ქვეშევრდომები და თავიანთ გაბატონების უერთგულესი წინამავალი რაზმი გაიჩინეს.** ერეკლე მეფემ დაასახლა ისინი ზოგი თელავში, ზოგი სიღნაღში.

ქვემო ქართლში ე.წ. სომხითში და ლორეში, მელიქ აბოს გარდა არავინ დასახლებულა. ის მაშინაც, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა, თითქმის უკაცრიელი იყო და მხოლოდ 1827-9 წლებში, როდესაც ოსმალეთითგან 100 000 სული მცხოვრები, ხოლო სპარსეთითგან 30 000 სული შემოიხიზნა და ნაწილი მათგანი ბორჩალოს მაზრაში, ნაწილი ერევნის გუბერნიაში დაეშენა, მხოლოდ ამ დროითგან მოყოლებული ჩნდება ქვემოქართლში მჭიდრო და შედარებით მრავალრიცხოვანი სომეხთა მოსახლეობა (ივანენკო, История гражд. упр. და Шахатунянъ, Админ. перед. 168-179).

§ 8. ქვემო ქართლის კუთვნილების საკითხი ისტორიულისა და თანამედროვე თვალსაზრისით

ამგვარად, ორი გარემოებაა სრულებით ცხადი: ერთი ის, რომ ამ კუთხის ახალშენი სომხები იმ სომეხთა მემკვიდრეები არ არიან, რომელნიც ოდესღაც საქართველოს ამ კუთხის სომეხთა მიერ ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ მიტაცებისა და ბატონობის გამო აქ ქართველ მკვიდრ მცხოვრებთა შორის გაჩნდენ, არც იმ სომეხთა მემკვიდრენი არიან, რომელნიც შემდეგ საუკუნეებში საქართველოს მთავრობის ნებართვით დროგამოშვებით სახლდებოდენ. (ის მოსახლეობა ხომ რამდენჯერმე ხან აიყარა სამუდამოდ, ხან მტრის მრავალგზისი შემოსევისაგან მკვიდრ ქართველებთან ერთად ამოწყდა), – მეორეც ის, რომ სომეხ მცხოვრებთა ეხლანდელი სიმრავლე საქართველოს სამხრეთის სამზღვარზე გარემოებათა ბუნებრივი შედეგი კი არ იყო, არამედ მხოლოდ რუსთა მთავრობის პოლიტიკურ გეგმისდა თანახმად მათი უცხოეთითგან ხელოვნური გადმოსახლების შედეგი.

ამ ხელოვნურ ხელშემწყობ პირობებისდა მიუხედავად სომხები მაინც მცხოვრებთა შორის აბსოლუტურ სიმრავლეს კი არ შეადგენენ, არამედ მხოლოდ შედარებითს. 1897 წ-ის საყოველთაო აღწერისდა თანახმად ბორჩალოს მაზრაში სულ 128 587 მცხოვრები ითვლებოდა და მათ შორის სომხები 48 609, თურქ-თათრები 37 609, ბერძნები 21 347 და ქართველები 6 685 (იხ აგრეთვე А. Шахатунянъ, Адм. пер.72).

საგულისხმიეროა და დამახასიათებელი, რომ **საქართველოს და სომხეთის პოლიტიკური განახლება და დამოუკიდებლობის აღდგენა ამ ჟამადაც სომეხთა იერიშით და ომით დაიწყო ისევ საქართველოს იმავე სამხრეთის სამზღვარზე მდებარე ქვეყნის, ქვემოქართლის, ანუ როგორც იგი რუსების მიერ წოდებულია, ბორჩალოს მაზრის დასაპყრობად.**

ზემოთქმული ვრცელი მიმოხილვის შემდგომ, რომელშიაც აღნუსხული იყო საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ამ კუთხის მდგომარეობა, დასკვნის გამოყვანა ძნელი არ არის. თავისდათავად ცხადია სომეხთა უკანასკნელი დასახლება ქვემო ქართლში საქართველოს ამ განუყოფელ ნაწილის მდგომარეობას ვერც ერთის მხრით ვერ შესცვლიდა. რუსეთთან 1783 წ. დადებული ხელშეკრულების ძალითაც და პოლიტიკურად რეალური მფლობელობითაც საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს იგი საქართველოს უცილობელი კუთვნილება იყო. ხოლო რუსეთთან შეკრული კავშირსა და მფარველობის ერთად-ერთი მიზანი საქართველოსთვის ჩვენი ქვეყნის მიწაწყლისა და დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობა შეადგენდა. ეს დებულება თვით ხელშეკრულებაშიც არის შეტანილი და იქ მეორე მუხლში ნათქვამია, რომ რუსეთის ხელმწიფე თავდებობას კისრულობს, რომ მეფე ერეკლეს მაშინდელ სამფლობელოს ანუ სამეფოს მთლიანობა და ხელშეუხებლობა დაცული იქნებოდა (Е.В. даеть Императорское свое ручательство на сохраненіе целости настоящихъ владеній Е. С. Царя Ираклія Теймурзовича).

მაშასადამე, **როდესაც რუსეთის მთავრობა ამ ქვემოქართლში სომხებს დასახლების ნებას აძლევდა, ეს შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ეთნოგრაფიული თვისების მოვლენა ყოფილიყო და თვით საქართველო და ქართველობა ამ გარემოებას ვერას გზით მის მიწა-წყლის სახელმწიფოებრივ სამზღვრებს შემცვლელ გარემოებად ვერ ჩასთვლის** მით უმეტეს, რომ სომეხთა სამშობლოთგან აყრა და საქართველოში გადმოსახლება მათი ოსმალეთისა და სპარსეთს მიერ დევნის შედეგი იყო და ცხადია, რა წამს მდგომარეობა მათთვის საკეთილდღეოდ შეიცვლებოდა, ისინი ისევ თავიანთ სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნ.

რაკი სომეხთა დასახლებით ქვემოქართლში, ბორჩალოს მაზრაში, იმ კუთხის გეოგრაფიული თვისებებიც, თავის-თავად ცხადია, არ შეიცვლებოდა, საუკეთესო გზებიც ტოპოგრაფიული პირობების გამო **ტფილისისაკენ არის მიმართული და ამის გამო ეს მხარე წინანდებურად დანარჩენ საქართველოსთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული. ამიტომ ეკონომიურ[ი] დამოკიდებულების ვითარებაც მისა და ჩვენი ქვეყნის დანარჩენ ადგილებს შორის არ შეცვლილა,** – კვლავინდებურად ეხლაც ეს კუთხე საქართველოსთან არის დაკავშირებული. **ეს გარემოება ამ კუთხის თვით ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენლებსაც არაერთხელ ხმამაღლა აღუნიშნავთ** იმ დროსაც, როდესაც პოლიტიკური საკითხის წამოყენება ჯერ ფიქრადაც არავის მოუვიდოდა, იმ დროს, როდესაც კავკასიაში მეფის მოადგილედ სომეხთა თავგამოდებულ მომხრეობით ცნობილი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი იყო. სომხებმა ისარგებლეს ამ ხელსაყრელ შემთხვევით და ვორონცოვ-დაშკოვის წყალობით წამოაყენეს საკითხი ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფისა და გუმბრთან შეერთების შესახებ, რომ ამგვარი სრულებით ხელოვნური საშუალებით გუმბრის (ალექსანდროპოლის) გუბერნია შეექმნათ.

რომ სომეხთა სურვილი განხორციელებულიყო ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა ეს საკითხი შეესწავლათ და შესაფერისი მოხსენება დაემზადებინათ. ამიტომ 1913 წელს, 6 ნოემბერს და 18 დეკემბერს ტფილისის გუბერნატორმა ბორჩალოს სამაზრო კომისიას მიწერილობა გაუგზავნა, რომ მას მცოდნე პირთა თანდასწრებით ადგილობრივ გამოერკვია, შესაძლებელია თუ არა, რომ ბორჩალოს მაზრა გუმბრს (ალექსანდროპოლს) შეუერთდეს ერთ საგუბერნიო ერობის შესადგენად. ამ სამაზრო კომისიამ, რომელშიც ერთი რუსი იყო (მომრიგებელი მოსამართლე ბურნაშოვი), 6 სომეხი (გადასახადთა ინსპექტორი ზახარიანცი,

შულავერის საზოგადოების წარმომადგენელნი ერიბეკოვი და ვ. მეჰრაბოვი, ჯალალოღლის საზოგადოების წარმომადგენელნი ვ. სააკოვი და მ. ბახშინოვი, ბოლნის-ხაჩინის საზოგადოების წარმ[ომადგენე]ლი ვ. ავეტისოვი), 4 თათარი (მეჰტი-აღა-სულთანოვი, ახმედ მირზა მამედ-ოღლი შამილი, აბბას-ოღლი და აბდურახმან გაიბმოვი), 1 გერმანელი (იაკობ ტაუში) და 2 ქართველი (მაზრის უფროსის თანაშემწე ინალიშვილი, გადასახადთა ინსპექტორი ბარათაშვილი), ერთმხრივ დაადგინა, რომ ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფა სასურველი არ არის („единогласно высказались за нежелательность выделешя Борч. у. изъ состава Тифл. г.“). **თავიანთი დასკვნა მათ იმ მოსაზრებით აქვთ დასაბუთებული, რომ ეს მაზრა აღმოსაელეთით და სამხრეთით მთებით არის მორტყმული და გუმბრისაკენ მიმავალი ორი საურმო (ბეზობდაღისა და გულიბულახის) გზატკეცილები ზამთარში ნამქერების გამო გაუვალი ხდება, დანარჩენი გარდასავლები კი ამ მთებზე ზამთარში სრულებით შეკრულია ხოლმე, რომ ეკონომიურად მთელი ეს მხარე ტფილისთან არის დაკავშირებული:** იქ ჰყიდის თავის მოსავალს და იქვე ყიდულობს თავისთვის რაც რამე დასჭირდება.

ბორჩალოს სამაზრო კომისიის ეს დადგენილება 24 იანვარს 1914 წ.-ს ტფილისის საგუბერნიო განსაკუთრებულმა საბჭომ, რომელშიაც 11 რუსი სხვადასხვა მოხელე იღებდა მონაწილეობას გუბერნატორითგან მო-ყოლებული (ჩერნევსი , ს. პანოვი, სმირნოვი, კორვინ-პავლოვსკი, კ. სლა-ვინსკი, მ. შესტაკოვი, ე. ციგანკოვი, მ. მისენკო, ს. პერშკე, იზიუმსკი და ჟდანოვი), 3 ქართველი (კ. აბხაზი, ი. აბხაზი და ტ. ქიქოძე) და 2 სომეხი (კ. იუზბაშევი და ელიმიზროვი), **მოიწონა და თითონაც სრულებით მიემხრო** (იხ. ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრის ივ. აბხაზის მოხსენება).

ამ ერთმხრივ დასკვნას ორსავე განსაკუთრებულ საბჭოში და ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიის სამზღვრებითგან გამოყოფისა და გუმბრთან შეერთების აზრის ამ ერთმხრივ უარყოფას ორთვე განსაკუთრებულ საბჭოში მით უმეტეს აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ თვით ამ საბჭოების მონაწილეებმა კარგად იცოდენ, რამდენად ამ აზრის განხორციელებას თვით მეფის მოადგილე და მისი თანაშემწე თანაუგრძნობდენ. ამიტომ მოსალოდნელი იყო კიდეც, რომ **ისინი კავკასიის უმაღლეს მთავრობისა და სომეხთა გულისწადილს კვერს დაუკრავდენ. თუ ამისდა მიუხედავად ეს აზრი ერთმხრივ უარყოფილიყო ორჯერვე, ცხადია, რომ ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება და გუმბრთან შეერთება სრულებით შეუწყნარებელი და ბუნებრივ პირობების მოუხეშავი დარღვევა იქმნებოდა.**

V თ ა ვ ი. სამხრთ-დასავლეთის სამზღვარი მესხეთი ანუ ზემო ქართლი

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილს საზოგადო სახელად ზემოქართლი ეწოდებოდა, საკუთრივ-კი და უფრო ხშირად მას მესხეთს ეძახდნენ და სწორედ ამ სახელით იქმნება იგი ქვემოთ ნახ-სენები ხოლმე.

მესხეთი ბევრს სხვადასხვა სახელის მატარებელს თემს შეიცავდა. მესხეთის სანაპირო თემებად აღმოსავლეთითგან რომ მოვაყოლოთ შემ-დეგი ადგილები იყო: **ჯავახეთ-აბოცი, არტაჰან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის პირას ტრაპიზონამდის უკვე ლაზისტანი, ანუ ჭანეთი იყო.**

§ 1. პალაკაციო ანუ აბოცი და საქართველოს ამ სამზღვრის ხაზი

აბოცი ჯავახეთის სამხრეთით მდებარეობდა და ვითარცა მესხეთისა და ქვემოქართლის შუა მდებარე თემი ზოგჯერ მესხეთს ეკუთვნოდა. მაგრამ ხშირად და მე-XVII-XVIII-ე ს.-ში განსაკუთრებით ქვემო-ქართლის საზღვრებში იყო მოქცული.

აბოცს ძველად აგრედვე პალაკაციოსაც ეძახდენ, შემდეგში-კი, თუნდა მაგ. ვახტანგ VI-ის დროს, ყაიყული ეწოდებოდა. იგი „გამოხვეულია სრულიად მთითა და შუაში ვაკეა“ (ვახუშტი, გეოგრაფია, 148-150). აბოცს ტაშირისაგან იმგვარადვე როგორც ბერდუჯს, ანუ დებედას ბამბაკისაგან **„ჰყოფს მთა ირჯანისა და აწ ყარაღაჯად წოდებული“** (იქვე, 148). ამავე უკანასკნელ სახელით არის ეს მთა ეხლაც ცნობილი. მას ჩრდილო-სამხრეთით აქვს მიმართულება, „მდე-ბარებს სამხრიდამ ჩრდილოთ კერძ“ (იქვე). მაღალია, „მარადის თოვლიანი და უტყეო და კალთათა ბალახოვანი“ (იქვე).

დასავლეთ-სამხრეთით აბოცს სამზღვრად **აღაბაბას მთა** ჰქონდა, რომელიც ერთის მხრით ტბა **„პალაკაციოს** (Чалдырское оз.) და აბოცს შორის“ მდებარეობდა და ამასთანავე იყო **„საზღვარი ქართლისა და ყარსისა, ვიდრე თეთრციხემდე და ტბამდე ტაშაღანისა“** (ვახუშტი, გეოგრაფია 150).

ამ აბოცში მდებარეობდა „ყაზანჩი“, რომელიც თურმე „იყო ქალაქი მცირე“ (იქვე). ორივე სახელი ყაიყულიცა და ყაზანჩიც ვითარცა ნაშთი ეხლაც არის საგეოგრაფიო სახელად შენახული რუკებზე „ყაიყული-ყაზანჩი“-ს სახით სწორედ ყარაღაჯის ქედსა და აღაბაბას მთას შორის მდებარე მაღლობ ვაკეზე.

მაშასადამე, **აბოცის სამხრეთის სამზღვარი იწყობა იქ, სადაც ირჯინის ანუ ყარა-ღაჯისა და ბერდუჯის (ბეზობდალის) მთების შესაყარია. აქეთგან ხაზი მიდის ბაბას მთების ქედ-ქედ დიდ აღბაბის მწვერვალამდე, შემდეგ უკვე საკუთრივ მესხეთის სამზღვარი იწყობა და იმ მთავარ, ძველად ყარსის მთებად წოდებული, წყალთგამყოფელს მთების ქედს მისდევს, რომელიც მტკვრისა და ჭოროხის შემდინარეების აუზს არეზის აუზისაგან ჰყოფენ და რომელნიც ამ ჟამად ჯერ ყარსის გუბერნიის არტაანის ოლქისა და მერმე ოლთისის ოლქის სამხრეთ აღმოსავლეთს სამზღვარს ჰქმნის. შემდეგ სამზღვარი მიდის ძველ დროს ირიჯლუს მთებად წოდებულ ჭოროხისა და არეზის შემდინარეების წყალთგამყოფელს მთების ქედზე, მერმე ჩრდილო-დასავლეთით უხვევს, სანამ ლაზისტანის სამზღვარს არ მიადგება.**

§ 2. ტაო-ისპირის მოსახლეობა უძველეს დროს და VIII-XII ს.ს.

უძველეს დროს ლაზისტანივით **ტაო და ისპირიც ქართველთა ტომს ლაზებს (ხალიბებს) ეკუთვნოდა. მაგრამ მე-II ს. ქ. წ. სომხებმა მათ ტაო წაართვეს** და ამის წყალობით აქ შერეული მოსახლეობა გაჩნდა. გაქრისტიანების დროსაც ეს ქვეყანა ისევ სომეხთა ხელში ყოფილა. სპარსეთ-ბიზანტიას შორის მე-VI-ე ს. გამწვავებული და ხანგრძლივი ომიანობისა და ხოლერის მსგავსი საშინელი მოარულის მძვინვარების გამო თითქმის მთელს ზემოქართლში, ანუ მესხეთში, განსაკუთრებით-კი სამცხეში, შავშეთ-კლარჯეთში და ტაოში, ხალხი თითქმის სრულებით მოისპო (იხ. ქართველი ერის ისტ. II, 320, 327, 333). სხვათა შორის **ტაოში ყოფილი შერეული მოსახლეობაც ამოწყდა და თითქმის მთე-ლი ტაო უდაბურ ტყით შეიმოსა. მხოლოდ მე-IX-ე ს.-ში აქ კვლავ ქართული მოსახლეობა ჩნდება:** შიდა ქართლითგან ჯერ მეუდაბნოენი და მონაზონები შემოდიან და სახლდებიან, ხოლო მათ კვალს მდაბიო ხალხიც გაჰყვა, დაბურული ტყეები გაჩეხა, დასახლდა და ბერებისა და ახალშენთა დაუღალვი შრომის წყალობით ეს ქვეყნები ქართული საეკლესიო და სამოქალაქო კულტურის ნაყოფიერ ასპარეზად იქცა. **მე-IX-XIV-ე ს.ს.-ების ქართული ხელოვნების მრავალი საუცხოო ძეგლები, რომელთა ნაშთმა მთელს მესხეთში მრავლად მოაღწია ჩვენამდისაც კი, ამ გარემოების**

მჭერმეტყველი დამამტკიცებელი საბუთია. მესხ მოღვაწეთა და მწერლების ენაც საუკეთესო ქართულად ითვლებოდა.

§ 3. მესხეთის მდგომარეობა და პოლიტიკური ბედიღბალი XIII-XVIII ს. და მისი გამაჰმადიანება

ზემო ქართლი, ანუ მესხეთი საცხე-ჯავახეთითგან მოყოლებული ტაო-ისპირამდე ერთს საგამგეო ერთეულს, საერისთავთ-ერისთავოს და სამთავროს შეადგენდა. მე-XIII-ე ს.-ის მეორე ნახევარში **მესხების მთავრის განსაგებელი იწყობოდა ბორჯომის ხეობითგან, ტაშისკარითგან და კარნუქალაქამდის აღწევდა** (ჟამთააღ. * 875, გვ. 719). მე-XIII-ე ს.-ის დამდეგს თამარ მეფის მიერ დაარსებულს ტრაპიზონის იმპერიაში მოექცა **ლაზისტანი, ანუ ჭანეთი, მაგრამ შემდეგში იგი საქართველოს შემოუერთდა და ჯერ მესხეთის მთავარს, შემდეგ გურიელს ეჭირა, ხოლო 1511 წ. სამცხის მთავრის, ათაბაგის ხელში გადავიდა** (ვახუშტი, საქართ. ცხოვრება, 241).

ოსმალთა გაბატონებამ მცირე აზიაში და კონსტანეპოლში მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მეტადრე ეს უკანასკნელი **მონაპირე კუთხე, საშინელს განსაცდელში ჩააგდო**. საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთი **დაუცხრომელი სიმედგრით საქართველოს ამ ძვირფას და მშვენიერი ნაწილის ჩაყლაპვას ლამობდა.** ყოველგვარი საშუალებით, პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი დევნით და ეკონომიური შევიწროებით იგი **ცდილობდა, რომ ქრისტიანობა დაემხო აქაურ ქართველთა შორის და ქვეყანა გაემაჰმადიანებინა:** ჯერ უმაღლეს წრითგან დაიწყეს, შემდეგ ხანგძლივ ბრძოლის საშუალებით თვით ხალხშიც გაავრცელეს მაჰმადიანობა. **მე-XVII-ე ს-ის პირველ მე-ოთხედითგან დაიწყო გამაჰმადიანების პროცესი** (ვახუშტი, საქართველოს ც-ა, 254-247) და **მთელ მე-XVIII-ე და მე-XIX-ე ს-ის დამდეგამდის გაგრძელდა.** რომ წინანდელი დამოუკიდებლობისა და ქართველობის ხსენებაც-კი მოესპოთ, **ოსმალებმა სამცხის მფლობელნი „ახალციხის ფაშა"-დ გახადეს,** მხოლოდ ეს ღირსება ამავე საგვარეულოს მემკვიდრეობითი კუთვნილებად დასტოვეს. ამ საშუალებით ოსმალეთმა ეს მშვენიერი ქვეყანა საქართველოს მოსწყვიტა და მთლად შთანთქვა. **ოსმალთა დროს ახალციხის საფაშო (ფაშალიკ) კვლავინდებურად მთელი ჭოროხის მხარესაც შეიცავდა და 24 თემად ანუ სანჯაყად იყოფებოდა. თვითეულს თემს ან სანჯაყს სათავეში მემკვიდრეობითი მფლობელები სანჯაყბეგები უდგნენ.**

§ 4. უფლებრივი დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასა და მესხეთს შორის XVIII ს.

ადვილი წარმოსადგენია, რომ საქართველო ასეთი კუთხის დაკარგვას და ამოდენი მოძმე ქართველობის მოწყვეტას ისე ადვილად ვერ შეურიგდებოდა. უფრო ძველ დროითგანაც რომ არ დავიწყოთ, ისიც საკმარისი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ მე-XV1II-ე ს.-შიაც მაგ. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის დროს, საქართველოს მთავრობა ცდილობდა ახალციხის ფაშებთან, რომელთაც მაჰმადიანობისდა მიუხედავად თავიანთი ქართველობა დავიწყებული არ ჰქონდათ, ერთის მხრით განსაკუთრებით კეთილი მეზობლურ კავშირი ჰქონდათ და ეს ცდა უნაყოფო არ ყოფილა (Бурнашевъ, Картина Грузии. 14. და Н. Бутков, Материалы II, 141-142), მეორეს მხრით ყოველი ხელსაყრელი შემთხვევით სარგებლობდა, რომ თავიანთი უფლება მესხეთზე ანუ ახალციხის საფაშოზე გამოეაშკარავებინა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მეფეები თავიანთ თავს ასე ხაზგასმით სამეფო სახელწოდებაში ამ ქვეყნის მემკვიდრეობით

მფლობელად აცხადებდენ (იხ. Бурнашевъ-is Op. cit. 14 და Н. Бутков, Материалы II, 130). ამავე მიზნის მისაღწევად, სრულიად საქართველოს გაერთიანების განხორციელების ხელშემწყობ პირობების შესაქმნელად, განსაკუთრებით-კი სწორედ ამ ძველ ქვემოქართლის, ახალციხის საფაშოს, საქართველოსთან შემოსაერთებლად იყო სხვათა შორის 1783 წ. ხელშეკრულება ერეკლე მეფისა და ეკატერინე II შორის დადებული. ერეკლე მეფის წარმომად-გენლებმა ამ ხელშეკრულებაში მეორე მუხლად შეატანიეს, რომ რუსეთის ხელმწიფე არამცთუ ერეკლე მეფის მაშინდელ სამეფოს სამფლობელოს ხელშეუხებლობის თავდებობას კისრულობდა, არამედ ისეთისაც, რომელიც შემდეგში შეძენილი იქმნებოდა. და რომ ეს მუხლი სწორედ იმ აზრით იყო ჩართული ხელშეკრულობაში, ამას იმდროინდელი რუსეთის ერთ-ერთ წარმომაგენელის ნ. ბუტკოვის სიტყვებიც ცხად-ჰყოფენ. მას პირდაპირ აქვს ნათქვამი, რომ ამ „მეორე მუხლის შინაარსი სწორედ საქართველოს მეფეთა ძველ სამფლობელოს, ახალციხის საფაშოს, ანუ სამცხე-საათაბაგოს ეხებოდა“-ო . სწორედ ასე გაიგო ამ ხელშეკრულობის შინაარსი იმდროინდელმა ახალციხის ფაშამ და რაკი დარწმუნდა, რომ საქართველოს მეფისგან მის ფაშობას განსაცდელი მოელის, ამიტომ რუსეთთან ხელშეკრულობის დადების შემდგომ მეფე ერეკლეს გადაეკიდა და მტრობა დაუწყო (Н. Бутков, Материалы II, 142).

§ 5. რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთება და მისი შედეგი. სომეხთა გადმოსახლება ამ კუთხეში

როდესაც რუსეთმა საქართველო შემოიერთა, მესხეთი, ანუ ახალციხის საფაშო, ოსმალეთს შერჩა და **მხოლოდ 1828 წ.-ს დაპყრობილ იქმნა ამ საფაშოს ერთი ნაწილი, ანდრიანოპოლის ზავით რუსეთმა შემოიერთა 24-თიგან მხოლოდ 10 სანჯაყი: ქობლიანისა, ოძრხისა (= აბასთუმანისა), ახალციხისა, აწყვერისა, ასპინძისა, ხერთვისისა, ახალქალაქის, ჯარაქისა, ფოცხოვისა და პალაკაციოსი (= ჩალდირი-სა), რაც ძველსა სამცხეს, ჯავახეთს, პალაკაციოს და ერუშეთს უდრის**. ეს მხარე რუსთა მიერ შემდეგში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრად და ფოცხოვის უბნად იყო წოდებული.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წ. ომის შემდგომ მესხეთის მეორე ნაწილიც იყო შემოერთებული, სახელდობრ აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი, ოლთისი. აქეთგან სამი პირველი თემი, ანუ სანჯაყი ბათუმის ოლქად იქმნა წოდებული, ხოლო ერუშეთი, არტაანი და ოლთისი რუსეთის მთავრობამ ყარსის ოლქის სამზღვრებში მოაქცია, თუმცა ერუშეთი (= ფოცხოვის უბანს) ყარსის მხარეს 7-8 თვის განმავლობაში მოწყვეტილია და ფოცხოვის უბნის ბოქაული ამის გამო იძულებულია ახალციხეში იცხოვროს.

მთელ ამ კუთხეში, განსაკუთრებით ქართველ მაჰმადიანები ცხოვრობდენ (Иваненко, История гражданскаго управ. на Кавказе 265, 260). **რუსეთის აქ შესვლას 1828 წელს ამ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა მოჰყვა შედეგად, მეტადრე ჯავახეთითგან** (= ეხლანდელს ახალქალაქის მაზრას) და უფრო ნაკლებ სამცხითგანაც (= ახალციხის მაზ.). რუსებმა რომ ახალციხე აიღეს, კავკასიის მაშინდელს მთავარმართებელს ქართველი თავადაზნაურები წარუდგენ და საქართველოს მეფეთა წყალობის წიგნები მიუტანეს, რომლებითაც სამცხე-ჯავახეთში მათი მფლობელობითი უფლება მტკიცდებოდა, და ამ საბუთების ძალით თავიანთ უფლების აღდგენას თხოულობდენ, მაგრამ პასკევიჩს არამცთუ ეს თხოვნა არ შეუწყნარებია, პირიქით განრისხდა კიდეც (АКАГК. VIII # 291 da Иваненко, op. cit. 199) **ამავე დროს ოსმალეთითგან, ყარსისა და არზუმის საფაშოებითგან, იქაური სომხობა გამორბოდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა. რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია: თითოს**

25 მან. დახ-მარება აღმოუჩინა და 6 წლის განმავლობაში სახელმწიფო გადასა-ხადისგან გაათავისუფლა. ამის წყალობით 90 000 მეტი სომეხი ლტოლვილი მოაწყდა. მათ დასასახლებლად საახალშენო კომიტეტი იყო დაარსებული და ზემო მოყვანილი რიცხვითგან 30 000-მდე სომეხი დასახლებულ იქმნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში (Иваненко, op. cit. 265-266).

ამ გარემოებათა წყალობით ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მოსახლეობის სურათი არსებითად შეიცვალა: წინათ იქ შედარებით მჭიდრო მოსახლეობა იყო, 1832 წ. აღწერამ-კი დაამტკიცა, რომ მთელს ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანაში 50 000 ორთავე სქესის მცხოვრებიც-კი აღარ იყო. უწინ მაგ. 1828 წ. ამოდენი ხალხი მარტო ქ. ახალციხეში ით-ვლებოდა. **ეროვნული შემადგენლობის მხრივაც მდგომარეობა ჯავახეთში ანუ ახალქალაქის მაზრაში ძირ-ფესეიანად შეიცვალა: თუ წინათ აქ მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა, 1832 წ.-ს. ქართველთა მაგიერ უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდენ და ქართველ მაჰმადიანებს რიცხვით მხოლოდ მეორე ადგილი-ღა ეჭირათ** (Иваненко, op. cit. 267).

ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდენ სომხები ჯავახეთში, ქ[ართუ]ლი კულტურის ამ ძველის ძველს კერაში.

§ 6. სომეხთა წამოდავება ჯავახეთის სომხეთთან შესაერთებლად და ამ საკითხის ახლო წარსული

სომხებმა დაივიწყეს, რომ ისინი ჯავახეთში ოსმალეთითგან მოვიდენ მხოლოდ ვითარცა ლტოლვილნი, რომ სრულებით შემთხვევით ამ უძველეს დროითგან საქართველოს უცილობელს კუთხეში ისინი უმრავლესობად იქცენ და ამ გარემოებისდა მიუხედავად მაინც ახალქალაქის მაზრაც სომხეთის მიწაწყლად გამოაცხადეს (Шахатунянъ, Административный переделъ Закавк. края. gv. 70-72 da 132_133). რომ ეს განხორციელებულიყო, მათ ამ მაზრის ტფილისის გუბერნიის, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებითგან გამოყოფა მოითხოვეს, იმ მიზნით, რომ იგი დანარჩენ სომხურ მაზრებთან შეეერთებინათ და ამ გზით ერთი მთლიანი სომხური საერობო თვითმართველი ოლქი შეექმნილიყო. ეს აზრი წამოყენებული იყო სომხების მიერ 1913 წ.-ს, როდესაც კავკასიაში მეფის მოადგილედ სომეხთა მწყალობელი გრაფი ილ. ვორონცოვ-დაშკოვი იყო. მათი წადილი რომ უფრო სამართლიანად და ობიექტურ მოსაზრებით ნაკარნახევად სჩვენებოდა ადამიანს, სომხებმა საბუთად ისიც-კი წამოაყენეს, ვითომც ჯავახეთი ანუ ახალქალაქის მაზრა ეკონომიურად ტფილისის გუბერნიასთან-კი არა, არამედ გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) ყოფილიყოს დაკავშირებული.

ვორონცოვის სურვილისდა თანახმად, იმავე წელს ბრძანება იყო გაცემული, რომ ტფილისის გუბერნიის **ახალქალაქის სამაზრო კომისია** შემდგარიყო და გამოერკვია, შეიძლება თუ არა და რამდენად ხელსაყრელია, რომ ახალქალაქის მაზრა ტფილისის გუბერნიას ჩამოსცილდეს და გუმბრისას (ალექსანდროპოლს) მიემატოს, რომ მასთან ერთად ცალკე განსაკუთრებით სომხებით დასახლებული გუბერნია შემდგარიყო. ამ კომისიაში თავმჯდომარითურთ სულ **14 კაცი იღებდა მონაწილეობას, რომელთგან 8 კაცი რუსი** იყო (თავმჯდომარე მაზრის უფროსი პოდპოლკ. კალინინი, მომრიგებელი მოსამართლე მიტკევიჩი, ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსი დელიბაში, სამაზრო ბეითალი ტოროპოვი, საუბნო ბოქაულები ჩაპლიგინი და ლაზარევი, დუხობორების წარმომადგენელნი ალექსი უგლოვი და ვას. გრემიაკინი), 4 ქართველი (გადასახადთა ინსპექტორი თ-დი მაყაშვილი და მემამულეთა წარმომადგენელი ქ[ართ-ვე]ლ-მაჰმადიანნი მამედ-ალი-ბეგი და მუსტაფა-ბეგი

ფალავანდიშვილები, ბარალეთის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი მურჯიკნელი) და 2 სომეხი (ქალაქის მამასახლისი მეწატუნიანცი და ბოგდანოვკის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი კაროიანცი).

ბჭობის შემდგომ **სამაზრო კომისიამ ერთმხრივ უარჰყო ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება და გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) და ერევანთან შეერთება. თავის აზრის დასასაბუთებლად კომისია, სხვათა შორის, პირველად სწორედ ამ კუთხის ეკონომიურსა და მიმოსვლის საკითხს შეეხო და დაადგინა: შემცდარი აზრია, ვითომც ახალქალაქის მაზრა ქ. გუმბ-რთან** (ალექსანდროპთლთან) **ყოფილიყოს დაკავშირებული: მთელი ვაჭრობა** და ყველა საჭირბოროტო ინტერესები მცხოვრებლებს **განსაკუთრებით ტფილისთან აერთებს,** სადაც ისინი თავის საქონელს, სანოვაგესა და ადგილობრივ ნაწარმოებს ასაღებს და საითგანაც მოაქვთ საქონელი და ყველაფერი სახმარი მთელი მაზრისათვის. ამასათანავე **საქონლის გადატან-გადმოტანა მთელი წლის განმავლობაში, ზაფხულშიც და ზამთარშიაც, სწარმოებს ახალციხე-ბორჯომ-ბაკურიანის შარაგზით, აგრედვე როდიონოვკა-წალკა-მანგლისზე მოკლე, პირდაპირი საურმო გზით, რომელიც ზამთარშიაც-კი არ სწყდება ხოლმე. გუმბრთან-კი** (ალექსანდროპოლთან) ზამთარში ნამქერების გამო, ხოლო გაზაფხულზე წყალდიდობის და ტალახების გამო **მთელ თვეობით ყოველგვარი კავშირი, საფოსტოც-კი სრულებით შეწყვეტილია ხოლმე**. ზაფხულშიც-კი, როდესაც გუმბრის (ალექსანდროპოლის) გზა გახსნილია, მთელი სავაჭრო საქონელი ჯავახეთითგან (ახალქალაქის მაზ.) მაინც ახალციხეზედ, ბაკურიანზე მიდის და მხოლოდ ამ მაზრის ბოგდანოვკის უბნის სამხრეთს ნაწილს, ზოგიერთი საქონელი, მეტადრე ბრინჯი, ზაფხულობით გუმბრითგან (ალექსანდროპოლითგან) მოსდის ხოლმე.

ახალქალაქის სამაზრო კომისიის ზემოაღნიშნული **ერთმხრივი დადგენილება 24 იანვარს 1914 წ. ტფილისის განსაკუთრებულმა საბჭომ** იმავე შემადგენლობით, როგორიც ბორჩალოს სამაზრო კომისიის მსგავსივე საკითხის შესახები დადგენილების განსახილველად იყო შეყრილი, **ერთმხრივ დაამტკიცა** (Докладъ члена Тифлиск. губерн. по крестьянскимъ делам Присуствия И. Абхази Председателю Особаго Закавказскаго Комитета къ № 3651)[1].

§ 7. ჯავახეთ-სამცხის უმჭიდროესი ეკონომიური კავშირი საქართველოსთან წარსულშიცა და ეხლაც

თუ იმისდა მიუხედავად რომ ზემოაღნიშნულ **ორთავე საბჭოს წევრებმა რუსმა მოხელეებმა მეფის მოადგილის სურვილი იცოდენდნენ და მათ გაგონილი ჰქონდათ, რომ ის ამ გამოყოფას თა-ნაუგრძნობდა, მაინც ეს აზრი ერთმხრივ უარჰყვეს, ცხადია ჯავახეთის ჩამოშორება ტფილისის გუბერნიისგან და გუმბრთან შეერთება მართლაც სრულებით შეუწყნარებელი და ნაძალადევი გეგმა ყოფილა**. მართლაც-და, საკმარისია ადამიანმა ახალქალაქის გეოგრაფიული პირობები გაითვალისწინოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რამდენად თვით ამ ქვყნის ბუნებრივი აგებულობა ეწინააღმდეგება მის შეერთებას გუმბრთან (ალექსანდროპოლთან). ერევნის გუბერნიისა და გუმბრსა და ყარსისაგან ჯავახეთს და სამცხე-ერუშეთს ანუ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს და ყარსის ოლქის ფოცხოვის უბანს მაღალი 7-8 თვის განმავლობაში თოვლიანი და გაუვალი ჯერ ბერდუჯის მთების (=რუსულს Безобдальскій хреб.) დასავლეთი ნაწილი, შემდეგ აბოცის მთების (=რუსულს Мадатапинскій хреб.), მერმე ნიალისყურის მთის (=რუსულს Чаддырскій хреб. და Ульгарскій хреб. აღმოსავლეთს ნაწილს), დასასრული ერუშეთის მთის (=რუსულს Ульгарскій хреб.) სახელებით

[1] დედანში ამ დოკუმენტის ნომრად სხვა რიცხვია მითითებული: 3651. {რედ.}.

ცნობილი უღელტეხილი ჰყოფს. **ამ გვარ ოროგრაფიული თვისების გამო ეს მთები მტკვრის შემდინარეების წყალთ-გამყოფველი ქედია და გზებსაც ბუნებრივი მიმართულება სწორედ მტკვრის ხეობისაკენ, ე. ი. ჩრდილოეთისაკენ, აქვს და არა სამხრეთისაკენ. ამიტომაც არის, რომ ეკონომიურადაც ამ კუთხეს მხოლოდ საქართველოსთან შეეძლო რომ ჰქონოდა კავშირი. ასე იყო ყოველთვის წარსულშიც.** ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის სიტყვები მაგ. ცხად-ჰყოფენ, რომ **მე-XVIII-ე ს.-შიაც, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც-კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით-კი ჯავახეთსა და სამცხეს საქართველოსთან მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება ჰქონდა და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები,** სანოვაგე, განსაკუთრებით-კი **პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად** (იხ. ბროსეს გამ. Historie Le Georgie II, 466 და გორელი ქედხუდების არზა ერეკლე II-დმი მირთმეული).

ჯავახეთის (ახალქალაქის) სამაზრო კომისიის ზემომოყვანილი დადგენილება ამტკიცებს, რომ **ეხლაც ეკონომიური დამოკიდებულების ვითარება და მიმართულება არ შეცვლილა:** კვლავინდებურად იქითგან საქონელი ტფილისში ჩამოდის. მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებო ის გარე-მოებაა, რომ **ჯავახეთსა და სამცხეს, ანუ ახალაქალაქისა და ახალ-ციხის მაზრებს,** როგორც რკინისგზის საკომერციო განყოფილების ყოველწლიურ[ი] ანგარიშებითგანა სჩანს, **მარტო აღმოსავლეთ საქართვე-ლოსთან-კი არ ჰქონია ეკონომიური კავშირი** (საქონელი მარტო რკინის გზით-კი არა, იქითგან პირდაპირი, შარა და საურმე გზებითაც მოდის), **არამედ დასავლეთ საქართველოსთანაც,** ქუთაისის გუბერნიასთანაც. აი მაგ. ომამდის რამდენი პური და სხვა მარცვლეულობა გამოდიოდა ყოველწლივ ამ კუთხიდან დასავლეთ-აღმოსავლეთ საქ[ართვე]ლოში და რამდენი მიდიოდა მთელს დანარჩენს ამიერკავკასიაში, სომხეთში და ადერბეჯანში (ყარსში, ერევანში, ქამართულში, ბაქოში და სხვაგან):

საქართველოში:		დანარჩენ ამიერკავკასიაში:
1910 წ.	60 557 ფ.	462 ფ.
1911 წ.	152 858 ფ.	1 800 ფ.
1912 წ.	207 752 ფ.	3 588 ფ.
1913 წ.	96 074 ფ.	1 312 ფ.
1914 წ.	17 144 ფ.	1 238 ფ.

მაგრამ მარტო მიწათმოქმედების მხრივ-კი არ იყო ეს კუთხე დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული, **მესაქონლეობისა და მეცხვარეობის მთელი მეურნეობა საქართველოში უმჭიდროესად, შეიძლება ითქვას განუყრელად, ამ კუთხესა და ბორჩალოს მაზრის საზაფხულო საძოვრებთან არის დაკავშირებული. ასე იყო ძველად,** მაშინაც-კი, რო-ცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, ასეა ახლაც. რაკი საუკუნეთა განმავლობაში ადგილობრივ ჰავის პირობებისდა გვარად შემუშავებულმა ტეხნიკამ უთუო აუცილებლობით დაამტკიცა საზაფხულო საძოვრების საჭიროება, ამიტომ სწორედ აქ, თვით ბუნების მიერ შექმნილს საზაფხულო საძოვრებზე იყრიდა ხოლმე თავს საქართველოში მყოფი საქონელი. ეს კუთხე იმდენად აუცილებელი იყო საქართველოს მესაქონლეებისათვის, რომ **მაშინაც-კი როცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, საქონლის პატრონები, განსაკუთრებით მეცხვარეები, იძულებული იყვნენ სხვა სახელმწიფოში გადასულიყვნენ საქონლით და მთელი ზაფხული იქ გაეტარებინათ** (იხ. ვახუშტის გეოგრაფია, 182).

მესაქონლეობის მხრივ ეხლაც საქართველოში იგივე პირობებია, როგორიც წარსულში იყო. მთელს აღმოსავლეთს საქარ[თ]ველოში სულ 857 000 დეს. საზაფხულო საძოვარი

ითვლება, აქეთგან საუკეთესო საძოვრები ქვემო ქართლში და ჯავახეთში, ანუ ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებშია, სადაც 291 000 დ. საძოვარია.

ამჟამად მთელ აღმოსავლეთ საქართველოში 3 683 000 თავი საქონელი არსებობს, სომხეთის საზღვრებში-კი (ერევნის გუბ., ყარსის ოლქ. და განჯის მაღლ.) სომეხთა მთელ მოსახლეობას სულ 3 561 000 თავი საქონელი ჰყავს. ამ მაღლობებზე სომხებს დიდძალი 2 000 000 დეს. საუკეთესო საძოვარი აქვთ ისე, რომ მთელი ბალახი მოძოვილი იყოს მათი საქონელი ამისთვის საკმარისი არ არის და ვერც შესძლებს. ამიტომ სრულიად ცხადია, რომ **სომხებს მეტი საზაფხულო საძოვრები სრულებით არ ესაჭიროებათ. მაშასადამე მათთვის ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრები ამ მხრივ, ეკონომიურად არც გამოსადეგნი არიან და არც საჭირო. სულ სხვა მდგომარეობაშია აღმოსავლეთი საქართველო: უამმაზრებოდ აქ მთელი მესაქონლეობა უკიდურეს გაჭირვებაში და განსაცდელში ჩავარდებოდა, საქონელი, განსაკუთრებით ცხვარი, დაეხოცებოდა.**

თვით ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთაც შედარებით იმდენი საქონელი არა ჰყავს (ორთავეში 515 772 თავი ითვლება), რომ მარტო მათმა საქონელმა მთელი ამ ფართო და ღონიერი საზაფხულო საძოვრებს მოჭმა შესძლოს. მაგ. ბორჩალოს მაზრაში საიჯარო საზაფხულო საძოვარი **46 000 დეს. ითვლება, აქეთგან 26 სომეხთა სოფლის საზოგადოება 10 000 დეს.-ით სარგებლობს საქონლის საძოვრად, დანარჩენი 36 000 დეს.-კი აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მაზრებითგან მოსულს მესაქონლეებს უჭირავთ.** პირიქით, როგორც წარსულშიც, საუკუნეთა განმავლობაში, ეხლაც აღმოსავლეთ საქართველოს დიდძალი საქონელი პატრონებს აქ მოჰყავთ და აძოვებენ. მაშასადამე სრულებით **ცხადია, რომ თუმცა მე-XIX-ე ს.-ში შემთხვევითი მიზეზების გამო ბორჩალოს და ახალქალა-ქის მაზრებში სომეხი ლტოლვილები დაეშენნენ და ქართველთა მოსახლეობა აქ მცირერიცხოვანია, მაგრამ მთელს აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენს მოსახლეობას ამ მაზრებთან არამცთუ ეკონომიური კავშირი არ შეუწყვეტია, არამედ წინანდებურად უმჭიდროესად არის მასთან დაკავშირებული.**

§ 8. როგორ უნდა შევხედოთ სომეხთა წადილს ჯავახეთის დაპატრონებისას?

ყველა ზემონათქვამის შემდგომ **ცხადია, თუ როგორ შეიძლება შეხედოს ქართველობამ სომეხთა წადილს ჯავახეთის (ახალქალაქის მაზ. დასასაკუთრების შესახებ. საქართველოს ერეკლე მეფის პირით რასაკვირველია რუსეთთან იმისთვის არ დაუდვია 1783 წ. ხელშეკრულება, რომ მას შემდგომ, რაც მესხეთი ოსმალეთს ჩამოერო, ეს უხსოვარ დროითგან საქართველოს კუთვნილი ქვეყანა ქართული კულტურის ერთი ძლიერი კერათაგანი, სომხებს გადასცემოდა. სომეხთა ამ კუთხეში დასახლებისათვის ქართველობას შეეძლო შეეხედა მხოლოდ ვითარცა დროებითი მოვლენისათვის:** ვითარცა ოსმალთა მიერ დევნილი ხალხის დროებითი შემოხიზნისა და თავშეფარებისათვის. რა წამს სომეხთათვის პოლიტიკურად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, – ეხლა ხომ სწორედ ასეთი ხანა დადგა, – ეს ოსმალეთითგან შემოხიზნული სომხობა კვლავ თავის სამშობლოს, მამა პაპათა კერას უნდა დაუბრუნდეს, იქითგან-კი, ოსმალეთითგან აქ დაბრუნდებიან ამ მიწა-წყლის წინანდელი პატრონები. მე-X1X-ე ს.-ის განმავლობაში ამ ოსმალეთში გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანებს არა-ერთხელ უნდოდათ გულით თავიანთ სამშობლოში დაბრუნება და ჯავახეთ-მესხეთში, მამა-პაპეულ მიწებზე დასახლება, მაგრამ მათი ადგილი დაჭერილი იყო. ეხლა რაკი

სომხები თავიანთ წინანდელ ქვეყანაში, სომხეთში წავლენ, მაშინ სამართლიანობა აღდგენილი იქმნება და ორთავე ერს თავისი მამა-პაპეული კერა დაუბრუნდება.

VI თავი. საქართველოს სამზღვრის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის ხაზი

§ 1. კოლა-არტაანი, ტაო, თორთუმი და ისპირი

რაკი ეხლა საკითხი ჯავახეთის (ახალქალაქის მაზრის) შესახებ უკვე ყოველმხრივ გამორკვეული გვაქვს, უნდა საქართველოს დანარჩენ მონაპირე კუთხეების შესახებ ზოგიერთი ზედმეტი ცნობები დავურთოთ.

ზევით უკვე აღნიშნული იყო, რომ ეხლანდელ ყარსის გუბ-ის არტაანისა და ოლთისის ოლქები, რომლებიც ძველად კოლა-არტაანსა და ტაოს ჩრდილოეთს ნაწილს უდრის და რომ საუკუნეთა განმავლობაში ეს ქვეყანა ქართველ მოსახლეობას და ერს ეკუთვნოდა. მხოლოდ XVI1 ს-ითგან მოყოლებული არტაანისა და ოლთისის ოლქში ქართველ მაჰმადიანებს თურქთა 200 წლის ბატონობისა და ისლამის წყალობით ქართული ენა დავიწყებული აქვთ. მოსახლეობა აქ თხელია და 1897 წ . **არტაანის ოლქში 65 763 სული იყო და აქეთგან მხოლოდ 1923 სომეხი ითვლებოდა. ოლთისის ოლქში მთლად 31 519 მცხოვრებთა შორის სო-მეხი 3 130 იყო.**

ამგვარად ცხადია, რომ **არტაანისა და ოლთისის ოლქებში სომხები მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობას წარმოადგენენ. ამას ჯერ კიდევ შარშან, 1918 წ. თვით სომხებიც არ უარჰყოფდენ და ა. შაჰატუ-ნიანი** მაგალითად ამბობდა: აქ „სომხები უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ“-ო და ამის გამო ამიერკავკასიის გადამიჯვნის დროს სომხეთის სამზღერებს გარეშე დავტოვეთო (Административный переделъ Закавк. Края, ტფილისი, 1918 წ. გვ. 73-74 და 75). **ეს გარემოება სომხებს ეხლა ალბად დავიწყებიათ** და სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრებში მოქცევა ჰსურთ არტაანისა და ოლთისის ოლქისაც, რომელიც მათ არც ისტორიულად და არც სომეხთა თანამედროვე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არ ეკუთვნით.

ხოლო ოსმალეთის სამზღვრებში დარჩენილს მესხეთის ზემო ტაოს ნაწილში, თორთუმის ხეობაში მთელი მცხოვრებნი 14 000 სული მთლად გამაჰმადიანებული ქართველები არიან, მაგრამ ქართული დავიწყებული აქვთ. ისპირში-კი, პარხალის, ხევეკის, გუდახევის და ჭირჭიმის ხეობებში **ყველგან ქ[ართვე]ლ-მაჰმადიანები ცხოვრობენ და ქართულად ლაპარაკობენ.**

§ 2. ლაზისტანი

ქართველთა მოსახლეობის უუკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაპირი ჭანებს, ანუ ლაზებს უჭირავთ. ასე იყო წარსულშიაც. მათი კილო მეგრულს ახლო უდგება. ოდესღაც ლაზების ანუ ჭანების მო-სახლეობა ტრაპიზონსაც-კი სცილდებოდა და თვით ეს ქალაქი და ოლქიც მათ ქვეყანას ეკუთვნოდა. ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში, მაგ. 1868 წ. ლაზთა რაოდენობა ინგლისის კონსულის ვ. ჯიფფორდ პალჰერის ცნობით რამდენსამე ასიათასს აღემატებოდა (Извест. Кавк. отд. геог. Обш. 1881 წ. VII წ. № 1, დამატება გვ. 15, 17, 59-60 და 68).

პროფ. ნ. მარრის ადგილობრივმა დაკვირვებამ გამოარკვია, რომ ისლამის წყალობით ლაზების გათურქება მსწრაფი ნაბიჯით წინ წასულა.

ამ ჟამად ლაზური ან ჭანური მოსახლეობა მხოლოდ რიზეს სანჯაყით განისაზღვრება, რომელსაც ლაზისტანის სანჯაყსაც უწოდებენ. მაგრამ ეს მიწაწყლიც ორ მთავარ ნაწილად უნდა გაიყოს: რი-ზესა და ათინას ოლქად. პირველში ხალხს უკვე დედაენა დავიწყებული აქვს და თურქული შეუთვისებია, მეორეში-კი მცხოვრებთა დედაენა ჭანური ანუ ლაზურია. **ეს ათინას ოლქი საკუთრივ ათინასა და ხოფას ყაზებისგან შესდგება. სამხრეთ-დასავლეთით მისი სამზღვარი ქემერის კონცხთან (ქემერ-ბურუნ) იწყობა, შემდეგ აჰყვება მდ. ყინლი-დერეს, გადასჭრის ათინას წყალის და ბეჟუკ-დერეს სათავეებს და მიადგება პონტოს ქედის მწვერვალს, რომელსაც ვარსამბეკი (ვერშემბეკი) ჰქვიან. აქეთგან მოყოლებული ჭანეთის მიწა-წყალი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიემართება და პონტოს ქედსა და შავზღვას შუაა მოქცეული.** ეს ზოლი თანდათან ვიწროვდება და ბათუმის ოლქში სარპთან თავდება.

ათინას ოლქი ექვს უბნად იყოფება: ხოფას, არქაბეს, ვიწეს, არტაშენის, ათინას და ხემშინის უბნებად. სულ 178 სოფელი არის, აქეთგან 39 სოფელი ხემშინის ოლქში ითვლება, რომელშიც 12 778 სული მცხოვრებია. ხემშინები გამაჰმადიანებული და გათურქებული სომხები არიან. თვით ლაზთა რაოდენობის შესახებ ზედმიწევნითი ცნობები იმ გვარადვე, როგორც ოსმალეთში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა შესახებ, არ მოიპოვება. რუსეთის გენერ[ალური] შტაბის საიდუმლო გამოცემაში გენ[ერალ] ავერიანოვს თავს მონოგრაფიაში „Этнографическій и военно-политическій обзоръ азіатскихъ владеній Оттоманской имперіи“ (СПГ. 1912 г. издание отд. генералъ-квартирмеистера, გვ. 20) ლაზების რაოდენობა 200 000-ად აქვს აღრიცხული, როდესაც რუსეთის ჯარმა ამ მსოფლიო ომის დროს ლაზისტანი დაიჭირა, მცხოვრებთა უმრავლესობამ ოსმალთა ჯართან ერთად უკან დაიხია და ადგილობრივ მხოლოდ 35000 ლაზი-ღა იყო დარჩენილი. უდროვოდ განსვენებული პროფეს. იოს. ყიფშიძის მიერ ადგილობრივ შეკრებილი ცნობების მიხედვით ათინას ოლქში მკვიდრ ლაზთა რაოდენობა თუ მეტი არა 80000-მდე მაინც უნდა ყოფილიყო. ზედმიწევნითი რიცხვის გაგება მხოლოდ ეხლა სეიძლება, როდესაც მცხოვრებნი თავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდნენ, ისიც მხოლოდ ხალხის აღწერის საშუალებით.

ბოლოსიტყვაობა

ყველა ზემოაღნიშნული მკითხველს უეჭველია ნათლად დაანახვებდა თუ რა სამზღვრები ჰქონდა საქართველოს და როგორის თავგამოდებით იცავდა მათ ჩვენი ერი საუკუნეთა განმავლობაში. ამ სამზღვრებში მოქცეული მიწაწყალი და მოსახლეობა მთლიანს ერთეულს წარ,ოადგენს, რომელიც ბუნებრივ ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და, თანაც, ვიტარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიურადაც ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულია. თუმცა ისტორიული და საერთაშორისო სამართლის ძალით საქართველოს სწორედ ის სამზღვრები უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ზევით იყო აღნუსხული, მაგრამ ზოგან, სადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის უვნებლად დათმობა სეიძლება, მსაქართველოს შეუძლიან დაუთმოს მეზობლებს, რომ მეზობლური განწყობილება, რომელიც საქართველოს წარსულშიაც კარგი ჰქონდა, ეხლაც თანხმობითა და მშვიდობიანობით დაიწყოს.

სახელმწიფოებრივს ერთეულს თავისი აუცილებელი მოთხოვნილება და არსებობის პირობები აქვს, რომელტა შორის საპატიო ადგილი სამზღვრებს უჭირავს. საქართველოს სამზღვრების საბოლოვო მოხაზულობის გამორკვევის დროს ქართველ ერსა და მის მთავრობას შეუძლიან მხოლოდ სახელმნწიფოებრივი თვალსაზრისით იხელმძრვანელოს. მართალია

სომეხთა მმართველი წრეები და სომხეთის რესპუბლიკის მტავრობა ჩვენს ერსა და მთავრობას მხოლოდ ეთნოგრაფიულ თვალსაზრისით ხელმძრვანელობას ურჩევენ, მაგრამ რამდენად მათი რცევა გულწრფელია და გამოსადეგი, ის გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ თვით მათ პირადად ამ თვალსაზრისით არას დროს თავიანთ პოლიტიკურ გეგმაში არ უხელმძრვანელიათ. მათ მიერ თავდაპირველი კონფერენციისათვის წარსადგენად დამზადებული დიდი სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრები შავი ზღვითგან ხმელთაშუა ზღვამდე გადაჭიმული და ტფილისისა, ბათომისა და ტრაპიზონ-სინოპის შემცვლელი, ნათლად მოწმობს, რომ თვით მათ თავიანთ სახელმწიფოს სამზღვრების შემოხაზვის დროს არამცთუ თანამედროვე ეთნოგრაფიული მოსახლეობის პირობებით არ უხელმძღვანელიათ, არამედ ზოგან მეტისმეტად შორეულს ისტორიულს საბუთებზე, უფრო-კი მხოლოდ საკუთარ ნება-სურვილზე დამუყარებიათ თავიანთი მიწაწყლის მოხაზულობის რუკა. ამის შემდეგ სწორედ გასაოცარია, როდესაც სომეხთა პოლიტიკური და გავლენიანი წრეები ჩვენი მთავრობის წევრებს ნ. ჟორდანიასა და ე. გეგეჭკორს და საქართველოს საზავო დელეგაციის წარმომადგენლებს ნ. ჩხეიძეს და ირ. წერეთელს სტამბოლის სომხურს პრესაშიაც-კი პრინციპების ღალატსა და იმპერიალისტობას სწამებდენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საქართველოს რესპუბლიკის სამზღვრების შემოხაზვის დროს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისდით ხელმძღვანელობდენ და არა მარტო ეთნოგრაფიულით. როცა საერობო ერთეულზე იყო ლაპარაკი, ამგვარი მოსაზრება ასე-თუ-ისე კიდევ გასაგები იყო, სახელმწიფოს სამზღვრების სემოფარგვლის დროს კი უმთავრესი საფუძველი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი უნდა იყოს.

რატომ არის, რომ თვით სომეხთა პოლიტიკოსები ყოველთვის და ყველგან სომხეთის რესპუბლიკის სამზღვრების შემოხაზვის დროს ეთნოგრაფიულს პრინციპებს არ ემყარებიან? იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ეს პრინციპი თვით სომეხთათვის არის საზარალო. თუ ამისდა მიუხედავად ისინი ჩვენს მთავრობასა და წარმომადგენლებს ამ პრინციპით ხელმძრვანელობას ურჩევენ, ისინი ალბად ფიქრობენ, რომ ეს თვალსაზრისი მხოლოდ საქართველოსთვის არის სავალდებულო, სომხეთს-კი უფლება აქვს ყოველგვარ თვალსაზრისით იხელმძღვანელოს და რომ მაშინაც-კი, როცა ისინი სომხეთისათვის საფრანგეთზე დიდი მიწაწყლის დასაკუთრებას ლამობდენ და თავიანთ რესპუბლიკის სამზღვრებში სომხებზე უფრო მრავალრიცხოვან უცხო ტომთა მოქცევაზე ოცნებობდენ, ეს იმპერიალისტობა-კი არ არის, არამედ უაღრესი დემოკრატობაა.

სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მას გარეშე მტრის შემოსევისაგან თავდაცვის საშუალება ჰქონდეს და მისი მყუდრო სამოქალაქო ცხოვრება უზრუნველყოფილი იყოს. ამიტომაც არის რომ ქართველი ერის შეგნებულს ნაწილს, მისს მოთავეებსა და რესპუბლიკის მთავრობას არ სეუძლიანთ თავიანთ სახელმწიფოს სამზღვრების მოხაზულობას სამხედრო თვალსაზრისითაც არ შეხედონ. თვით სომხებმა და არარატის რესპუბლიკის მთავრობამ ამ მხრივ ქართველობას, რასაკვირველია ტავისდა უნებურად, დიდი სამსახური გაუწიეს და მეზობლურ ძმობა-ერთობაზე ტკბილ საოცნებო სიზმრებითგან გამოაფხიზლეს, როდესაც წინასწარი ფარული სამხედრო მომზადების შემდგომ მოულოდნელად საქართველოს სამხრეთის სამზღვრები გადმოლახეს და დაუნდობელი საომარი მოქმედება დაიწყეს. ბ-ნ ჩალხუშიანის როსტოვის რუსულ-სომხურ გაზეთში ამ ამბავის ერთი თვით უწინარეს მოთავსებული ცნობა, რო სომეხ-ქართველთა შორის ომია და ძლევამოსილი სომხები ტფილისს მიადგნენ, რომელიც დღე-დღეზე სომეხთა ჯარის მიერ აღებული იქმნებაო, აგრეთვე ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილი სომხეთის წარმომადგენელთა მიერ სომხეთისათვის მოთხოვნილი სამზღვრების მოხაზულობა და სტამბოლში გამოცემული სომხეთის ორი რუკა, რომელშიაც ტფილისი, მცხეთა, გორი და ბათუმიც სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრებშია მოქცეული, დასასრულ სომეხთა საომარ მოქმედების მთელი

მსვლელობა სრულის სიცხადით ააშკარავებენ, რამდენად ფართო გეგმა ჰქონდათ სომხეთის მთავრობასა და ხელმძრვანელებს: მათი მიზანი ტფილისის დაპყრობა და დასაკუთრება იყო, ხოლო თუ სამხედრო ბედი გაუღიმებდათ, იქნებ სომხურ რუკაზე მოხაზული მიწა-წყლის აღებაც. ადვილი წარმოსადგენელია როგორი ძმობა-ერთობის ჰანგებზე დამღერდენ დაშნაკელთა ბელადები და რა სამზღვრებს მიაკუთვნებდენ ისინი საქართველოს, მათ მოუფიქრებელს მოქმედებას მტელი ქართველობა რომ დიდით პატარამდე, კოდით კიდემდე არ სეეძრა და შემოსეული მტერი მედგრად არ უკუეგდო. თუ ეხლანდელი საშინელი განსაცდელისა და უბედურების შემდგომაც, თუ ისტორიისა და თანამედროვე მრავალი მწარე გაკვეთილებისდა მიუხედავადაც სომხეთის გავლენიანი წრეები მაინც საქართველოს სამზღვრების გადმოლახვას არ დაერიდენ და ჩვენი დედაქალაქის ზალით ხელში ცაგდება მოისურვეს, ძნელი წარმოსადგენელი არ არის, რამდენად მათ მადა მოემატებათ შემდეგში, როდესაც წარსულისა და აწმყოს მწარე დღეები დავიწყებული ექმნებათ. ამიტომ ქართველი ერი და მისი მტავრობა მთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა ტავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მოიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილ მეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისაგან გადაარჩენს. სწორედ ამ კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლებაზე იქ, სადაც საქართველოს ტავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს, მაგ., აღმოსავლეთით, საინგილოში სამზღვრად გიშის წყლის მაგიერ კაშკა-ჩაი დასდვას, სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვრის ხაზად-კი ისტორიულის მაგიერ დებედას შემდინარეების წყალთ-გამყოფელი მთა აირჩიოს, ხოლო სამხრეთის ხაზად ისტორიულის სამზღვრის ერევნის (= ბამბაკის) მთების მაგიერ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ბერდუჯის (= რუს. ბეზობდალის) მთები მიიჩნიოს მოსაზღვრე ხაზად: სახაქართველოს ხელში ბერდუჯის მთები იქმნება, სომხეთის ზღუდედ და სამზღვრად ერევნის მთები.

ამ მონოგრაფიას დართული აქვს რუკა[1], რომელიც დამზადებულია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილების მიერ, რისთვისაც მის უფროსს პროფ. გენ. ან. ბენაშვილს და ტოპოგრაფიულს განყოფილებას დიდს მადლობას მოვახსენებ.

ბათუმი-კონსტანტინეპოლი
1919 წ. იანვარ-მარტი.

შემოკლებულად დაბეჭდილ სათაურების განმარტება[2]

АКАГК- = Акти, собранные Кавказской Археографической комиссіею.

Бурнашевъ. Картина = С. Д. Бурнашевъ. Картина Грузіи или описаніе политическаго состоянія царствъ Карталинскаго и Кахетинскаго, Тифлисъ изд. Бегичева 1896 г.

С. Н. Бурнашевъ Новые Мат. = Новые Материалы для жизнеописанія С. Д. Бурнашева, бывшаго въ Грузіи съ 1783 по 1787 г., собралъ и издалъ съ приложеніемъ картъ, портретовъ и факсимиле С Н. Бурнашевъ СПБ. 1901 г.

Б. Бутковъ, Матеріалы = П. Г. Бутковъ Матеріалы для новой нсторіи Кавказа съ 1722 по 1803 годъ I da II w. - СПБ. 1869 წ.

[1] როცა მონოგრაფია დაიბეჭდა, მას თან რუკა არ მოყვა. რუკა გვიან დაიბეჭდა. {რედ.}.
[2] ავტორი მხოლოდ რამდენიმე ნაშრომს უთითებს და არა ყველას. {რედ.}.

ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს [1]

1.ქალაქები და სტატისტიკური ცნობები მათ შესახებ

ქვემდებარე საკითხის შესასწავლად საქართველოს ყველა ნაწილებისათვის თანასწორად არ არის შენახული მასალები და არც გამოქვეყნებულია. აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ ჩვენ საკმაოდ შინაარსიანი ცნობები მოგვეპოვება უცხოელ მოგზაურთა აღწერილობაშიაცა და ქართულ საისტორიო და სასამართლო ძეგლებში და თვით ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრებშიაც. დასავლეთ საქართველოს შესახებ ჩვენ ამგვარი ქართული წყაროები არ მოგვეპოვება, ჯერ-ჯერობით არც-კია აღმოჩენილი, უნებლიედ მხოლოდ უცხოელ მოგზაურთა ცნობებით უნდა დავკმაყოფილდეთ. ამის გამო ქვემოთ მოყვანილი გამოკვლევა სასურველს სისრულესა და მთლიანობას იქმნება მოკლებული. იმიერ-ამიერ საქართველოს წარსული ამ მჯრივაც თანასწორის ზედმიწევნილობით ვერ წარმოგვიდგება თვალწინ: თუ აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ქართლის, ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილების შესახებ ჩვენ შედარებით მრავალი სხვადასხვა მჯრივი ცნობები გვექმნება, დასავლეთის შესახებ უნებლიედ მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

დაწინაურებული სამოქალაქო ცხოვრებისა და ქვეყნის ეკონომიურ ძლიერების საუკეთესო გამომხატველად ქალაქების სიმრავლე და სიმდიდრე ითვლება. საკმარისია მარტო ამ მჯრივაც შევეხოთ საკითხს, რომ უმალ აღმოსავლეტ-დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო და ეკონომიურ ცხოვრების დიდი განსხვავება სრულებით ცხადი გაჯდეს. მთელი დასავლეთი საქართველო მეტად ჩამორჩენილი იყო. არქანჯელო ლამბერტიცა და შარდენიც მოწმობენ, რომ სამეგრელოში სრულებით არა ყოფილა ქალაქები. მთელ სამთავროში მხოლოდ ცხრა თუ ათი ციხე ყოფილა, რომელთა შორის უმთავრესსა და ამასთანავე სამეგრელოს მთავრის საჯდომს რუხის ციხე ეწოდებოდა (შარდენი, „სპარსეთში მოგზ.“, პარიზის 1723 წ. გამ. I, 133), არქანჯელო ლამბერტის სიტყვებითაც მტკიცდება, რომ სამეგრელოში სამოქალაქო ცხოვრებაც ძალზე დაქვეითებული იყო და ეკონომიური ვითარებაც თითქმის პირველყოფილ მდგომარეობის დონემდე იყო დაცემული. სამეგრელოს მთავარს ლევანს სდომებია, რომ ჭელოვნურ საშუალებითა და მფარველობით თავის საბრძანებლის ეკონომიური ცხოვრება გამოეცოცხლებინა, მაგრამ ხდამ თურმე ამაოდ ჩაუარა.

იმერეთის სამეფოც ამ მჯრივ მეტად დაქვეითებული ყოფილა, იმერეთის თვით სატახტო ქალაქი ქუტაისიც-კი იმოდენად პატარა იყო, რომ შარდენის სიტყვით იქ მხოლოდ 200 კომლი მცხოვრები ითვლებოდა (შარდენი, სპ. მოგზ. 1723 წ. გამ. II, 108), ისე რომ დიდსა და მჭიდროდ დასახლებულს სოფელს უფრო მიაგავდა, ვიდრე დედა-ქალაქსა და სავაჭრო ცენტროს. ამ მჯრივ საგულისხმოა, რომ ქ. ახალ-ციხეც-კი სამცხეში ერთი ორად ქუთაისზე მოზრდილი ყოფილა და 400 კომლ მცხოვრებლებზე მეტს შეიცავდა (იქვე, II, 94). ახლ-ცოხის მცხოვრებნი ხუთ ეროვნებას ეკუთვნოდენ თურმე: იქ თურქებიც ყოფილან, სომხებიც, ქართველებიც,

[1] საქართველოს ეკონომიურ ისტორიის ჯერ დაუბეჭდავ უკანასკნელ წიგნითგან არის ამოღებული.

ბერძნებიც და ებრაელნიც. თითქმის მთელს ახალციხეში ხის შენობები ყოფილა. ამ ქალაქში პატარა ქარვასლაც ჰქონიათ, მაგრამ ისიც ხისა იყო თურმე. სამცხეში ახალციხის გარდა აწყურიც (უსკერ) ქალაქად ითვლებოდა, მაგრამ პატარა ყოფილა. აწყურში თურქთა მონაპირენი იდგენ და საბაჟოც იქ იყო თურმე. (შარდენი, იქვე II, 94-96).

შარდენის სიტყვით არც აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილა მაინც-და-მაინც ბევრი ქალაქები (ამსტერდამის 1735 წ. გამოცემის გვ. 169), მაგრამ მაინც მარტო ქართლში მაშინ ოთხი ქალაქი ითვლებოდა: სურამი, ალი, გორი და ტფილისი (იქვე, გვ. 170). სურამი და ალი მეტად პატარა ქალაქები ყოფილა, განსაკუთრებით სურამი, რომელიც უფრო რომ ციხე იყო და გორის ნახევარს შეადგენდა (იქვე 160 და 170). გორიც პატარა ქალაქად ითვლებოდა, მაგრამ იმას გარდა რომ თავის საუცხოვო მდებარეობითა და ბუნებრივ მაგარ ციხით ქვეყნისათვის მნიშვნელობა ჰქონდა, ამასთანავე იგი თვალსაჩინო სავაჭრო ცენტროც ყოფილა. თუმცა სახლები და თვით ბაზარიც-კი ალიზისა ყოფილა (შარდენის მიერ აქ ნაჴმარი სიტყვა „მიწურს“ უდრის, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია და არც ქ. გორის შენახული ძველი სურათით მტკიცდება, რომ შენობები იქ მიწური ყოფილიყოს), მაგრამ იქ მდიდარი ვაჭრები ცხოვრობდენ და ყველაფერი, რაც კი ადამიანს საცხოვრებლად ესაჭიროება, თურმე ბლომად იშოვებოდა და იაფადაც შეიძლებოდა რომ ეყიდა. გორის მცხოვრებნი ყველა ვაჭრები არიანო, ამბობს შარდენი (იქვე 170). თვით გორის ციხეში-კი 100 სპარსელი მეციხოვნე მდგარა.

შარდენის დროინდ. ტფილისი ძალიან დიდ ქალაქად ვერ ჩაითვლებოდა, მაგრამ მაინც ფრანგ მოგზაურს მოზრდილად სჩვენებია. ამასთანავე შარდენი, რომელსაც სპარსეთიც მოვლილი და კარგად შესწავლილი ჰქონდა, მოწმობს, რომ თვით სპარსეთისთვისაც ტფილისი ერთ-ერთ უმშვენიერეს ქალაქად უნდა ყოფილიყო ცნობილი. ქალაქი სამხრეთით ჩრდილოეთისაკენ არის გადაჭიმული და სამხრეთით მთაზე დიდი ციხეა აგებული, რომელშიაც მაშინ თურმე მხოლოდ სპარსელი მეციხოვნენი და სპარსეთის ქვეშევრდომნი ცხოვრობდენ, ქალაქს ყოველმხრივ, მტკვრის სანაპიროებს გარდა, ლამაზი და მაგარი ზღუდე ჰქონია შემოვლებული (იქვე, პარიზის გამ. II. 155).

ტფილისში მაშინაც ბევრი კარგი დაწესებულებათა შენობები ყოფილა. ბაზრები და სავაჭრო სახლები დიდები იყო, ქვითკირით ნაშენი და კარგადაც ყოფილა შენახული. ქარვასლები და ფუნდუკებიც, სადაც მგზავრებს შეეძლოთ თავშესაფარი ეშოვათ, მოზრდილი და შესაფერისად მოწყობილები იყო (იქვე II. 159). მაღაზიებიც კარგად ყოფილა ნაშენი და მშვენივრადვე იყო თურმე მოწყობილ-შენახული (იქვე, II. 159-160).

ტფილისში ბევრი კოხტა და მოჴდენილი შენობა ყოფილა, მაგრამ საქართველოს დედა-ქალაქის საუცხოვო სამკაულად და მშვენებად მეფის სასახლე ითვლებოდა, რომელსაც მოჴდენილი დარბაზ-პალატები და მტკვარზე გადაკიდებული ლამაზი აივნები ჰქონდა. სასახლის წინ დიდი მოედანი იყო და გრძელი საბაზრო ადგილი. ამ ბაზრის თავითგან სასახლისაკენ მნახველს თვალწინ მშვენიერი გარდასახედი სურათი ეშლებოდა.

ტფილისშივე იყო თავის მოხდენილობითა და შემკულობით საყურადღებო კახთ ბატონის სასახლეც (იქვე II. 160). სამეფო კარი მრავალ-რიცხოვანი და ბრწყინვალე ყოფილა (იქვე, II. 163).

თვით ტფილისი მჭიდროდ დასახლებულბქალაქად სჩვენებია ფრანგ მოგზაურს და იქ დიდი ვაჭრობაც ყოფილა გაჩაღებული. მის განსაკუთრებულს ეკონომიურ მნიშვნელობას და სამოქალაქო ცხოვრების მყუდროებისა და წესიერების დამამტკიცებელ გარემოებად ისიც უნდა იყოს მიჩნეული, რომ საქართველოს დედა-ქალაქში ყოველგვარ უცხოელტაც ჰქონიათ მყუდრო ბინა (იქვე, II. 163).

მაგრამ შარდენმაც-კი იცოდა, რომ საქართველოს საქალაქო ცხოვრების ვითარება ძველად, მის დამოუკიდებლობისა და ძლიერების დროს, სულ სხვანაირი იყო და დიდად აყვავებული. იგი ქართლში თავის თვალითაც ჰხედავდა, რომ ქალაქებში ნანგრევების სიმრავლე მათ ოდინდელ სიფართოვეს და მერმინდელ განადგურებას მჭერმეტყველურად ჰმოწმობდა. მას აღნიშნული აქვს, რომ გორს მახლობლად, დასავლეთით, ერთი დიდი ქალაქი, ანუ უფრო რომ ნაქალაქევი იყო, რომელიც თითქმის მთლად დანგრეული ყოფილა. მისობას იქ 500 სახლზე მეტი არ ითვლებოდა, ოდესღაც კი ამ ქალაქში 12000 ყოფილა (იქვე, პარიზის გამ. 1723 წ. II. 97). ამავე ფრანგ მოგზაურის სიტყვით კახეთის სამეფოშიაც იმ რამდენიმე ქალაქთა რიცხვითგან, რომელნიც ძველად იქ იყო, მხოლოდ ერთი-ღა ყოფილა შერჩენილი, დანარჩენნი-კი მის დროს თურმე ყველა დანგრეული იყო (იქვე, ამსტერდამის გამოც. 1935 წ. გვ. 169).

მე-18-ე საუკუნეში, გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოშიაც ქალაქების რიცხვი არ გამრავლებულა. 1770 წლის აღმოსავლეთ საქართველოს მთავრობის სტატისტიკურ ცნობებით ქართლ-კახეთში მაგ. სულ 8 ქალაქი ყოფილა: ტფილისი, გორი, სურამი, ახალგორი, წილკანი, ანანური, თელავი და სიღნაღი. ქართლში მაშასადამე 4 ქალაქი იყო, კახეთსაც 4 ჰქონია, თუ რომ წილკანსა და ანანურს კახეთისად ჩავთვლით. საყურადღებოა, რომ ალი უკვე ქალაქად აღარ იჴსენიება. შარდენს ალი ქალაქად აქვს დასახელებული და ძველადაც იქ საჴელმწიფო საბაჟოც იყო.

ზემოთდასახელებულ 8 ქალაქში უუდიდესი რასაკვირველია საქართველოს დედა-ქალაქი უნდა ყოფილიყო. ტფილისში სულ 4000 კომლი მცხოვრები ითვლებოდა. შემდეგ კომლთა რაოდენობისდა მიხედვით თელავი მისდევდა, რომელშიაც 740 კომლი ყოფილა. მერე წილკანი თავის 700 კომლითურთ, გორი 500 კომლითურთ, სურამი 200 კომლით, ანანური 100 კომლითურთ და სიღნაღი, სადაც მეკომურნი იმდენივე იყვნენ, რამდენიც ანანურში ითვლებოდა. უკანასკნელი ორი ქალაქი მაშასადამე ქართლ-კახეთის ზოგიერთ სოფლებზე უფრო პატარა ყოფილა. მაგ., 1791 წ. საქართველოს მთავრობის სტატისტიკურ ცნობით ს. ქარელში 106 კომლი ირიცხებოდა, ხოლო ცხინვალში 116 კომლი.

ორთა შუა რიცხვით თითოეულს კომლში რომ 5 სული ვიანგარიშოთ, მაშინ ტფილისში დაახლოვებით 20000 სული მცხოვრები გამოდის, თელავში 3700 სული, წილკანში 3500, გორში 2500, სურამში 1000, ანანურსა და სიღნაღში ხუთას-ხუთასი სული მცხოვრები. რომ ეს ჩვენი სავარაუდო აღრიცხვა სიმართლეს უახლოვდება, ფრანგ მოგზაურ ტურნეფორის ცნობიტაც მტკიცდება. საქართველოში ის 1700 წელს იყო და ქ. ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობაზე ამბობს: ფიქრობენ, რომ ამ ქალაქში დაახლოვებით 20000 სული ცხოვრობსო (მოგზაურობა ლევანტში, ტ. I. გვ. 133, ამსტერდამის გამოცემა). ყურადღების ღირსია, რომ შარდენს თავის დროს ტფილისი მჭიდროდ დასახლებულ ქალაქად სჩვენებია (მოგზაურობა სპარსეთში, პარიზის 1723 წ. გამ. 163).

შენახულია სხვადასხვა წლების ცნობები ქალაქებში მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ, მაგრამ ბევრს სხვადასხვა საბუთებშია გაბნეული. როდესაც ამ ცნობებს ამოჰკრებთ და ერთმანეთს შეადარებთ, მეტად საგულისხმიერო სურათი გეშლებათ. ამგვარი შედარებითი დაკვირვება ამტკიცებს, რომ მე-18-ე საუკ. პირველად ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი 300 კომლს არ აღემატებოდა, 1770 წელს-კი იქ 500 კომლი ითვლებოდა.[1] მაშასადამე 200 კომლით უმატნია, მაგრამ შემდეგ მცხოვრებთა რიცხვი ქალაქებში თანდათან და სეუჩერებლივ

[1] ეს ბუნდოვანი წინადადება ბეჭდვის ლაფსუსია. შეცდომების გასწორებაში წერია: გამოტოვებულია მთელი წინადადება და დაბეჭდილის მაგიერ ასე უნდა იყოს: „მცხოვრებთა რიცხვი შედარებით მატულობდა, მაგ.: 1721 წ. ქ. გორში მცხოვრებთა რიცხვი 300 კომლს არ აღემატებოდა“ და სხვა. [რედ.].

კლებულობდა. მაგ. 1781-2 წ. ტფილისში 4000 კომლის მაგიერ (ამდენი იყო როგორც ვიცით 1770 წელს) 3478[1] კომლი-ღა ირიცხებოდა. ქ. ახალგორში 1781 წელს 100 კომლის მაგიერ 88 კომლი-ღა დარჩენილა, ხოლო ქ. გორში 1794 წელს იმ 500 კომლის მაგიერ, რომელიც იქ 1770 წელს ცხოვრობდა, მხოლოდ 227 კომლი ითვლებოდა.

რაკი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებითგან მცხოვრებნი ასე დაჟინებით და განუწყვეტლივ იყრებოდენ და იხიზნებოდენ, მეფე ერეკლემ რომ ეს აყრა შეეფერჴებინა, 1784 წელს ბრძანებაც კი გამოსცა, ამიერითგან ტფილისისა და გორის იმ მოქალაქეთ, რომელნიც სხვაგან გადასახლდებიან, ან უცხო ქვეყანაში გაიხიზნებიან, მამულები სამეფოდ ჩამოერთვას და ჩვენის ნებართვით სხვებს მიეყიდოსო (იხ. დ. ფურცელაძის Крестьянск. Грам. 12 სადაც სამწუხაროდ ამ საყურადღებო საბუთის მხოლოდ რუსული თარგმანია მოყვანილი).

საგულისხმოა, თუ რამდენად მჭიდროდ იყო მაშინ ქ. ტფილის სხვადასხვა უბანი დასახლებული. 1781-2 წ. ქ. ტფილისში ავლაბრით და გარეთუბნით სულ 3498 კომლი მცხოვრები იყო. აქეთგან თვით ქალაქში 2329[2] მცხოვრები კომლი ითვლებოდა, დანარჩენი 1181 კომლი ცხოვრობდა შიგნითსა და გარეთს ავლაბარში (375 კომლი), მეტეხის ციხეში ჴიდამდის (259 კომლი) და გარეთუბანში (550 კომლი).

ამგვარად ირკვევა, რომ მცხოვრებთა უმრავლესობას (2294[3] კომლს) ქალაქის შუაგულში ჰქონდა ბინა, ხოლო უბნებითგან ყველაზე მჭიდროდ გარეთუბანი იყო დასახლებული (550 კომლი), შემდეგ ავლაბარი (375), რომელიც ორად იყოფებოდა: გარეთ ავლაბარში იყო 156 კომლი, ხოლო შიგნით ავლაბრის ციხეში 219 კომლი. სხვებზე ნაკლები მცხოვრები ყოფილა მეტეხსი (259 კომლი), აქეთგან „მეტეხში ჴიდამდინ“ 73 კომლი, ხოლო „ჴიდიდამ კიხეში“ 186 კომლი ითვლებოდა (ივ. ჯავახიშვილი, აღმოსავ. საქართველოს ხალხის აღწერის დავთრები, გვ. 1).

ჩვენ ისეთი საკითხის გამორკვევაც შეგვიძლიან, თუ რა რიცხობრივი დამოკიდებულება არსებობდა მაშინ სოფლის მცხოვრებთა და ქალაქების მცხოვრებთა შორის. ქართლ-კახეთის სამეფოში დიდოეთისა და ყაზახ-შამშადილის გარდა მცხოვრებთა ერთობლივი რიცხვი 1770 წელს 55290 კომლს უდრიდა. აქეთგან ყველა ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი 6480 კომლი იყო, ხოლო სოფლის მცხოვრებთა რიცხვი 48810 კომლზე მეტი არ ყოფილა. მაშასადამე ქალაქების მეკომური მცხოვრებნი ასეულად ნაანგარიშევნი სამეფოს მეკომურთა ერთობლივ რიცხვის 11 2/3 % შეადგენდენ.

ერთი ფრიად საყურადღებო ცნობაა შენახული ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ ეროვნული კუთვნილებისდა მიხედვით. ფრანგი მოგზაური ტურნეფორი ამბობს, რომ 1700 წელს ქ. ტფილისის 20000 სულ მცხოვრებთა შორის 14000 სომეხი ყოფილა, 3000 მაჰმადიანი, 2000 ქართველი და 500 სული რომის კათოლიკენიო (მოგზაურობა ლევანტში, I. 133). მაშასადამე იმ დროს ქართველთა რიცხვი ტფილისში სომეხთა რიცხვის მხოლოდ 1/7-ედს შეადგენდა. მე-19-ე საუკუნის დასასრულს ოფიციალურ ცნობითაც ქართველები ტფილისში უკვე სომეხ მცხოვრებთა რიცხვის ნახევარს აღემატებოდენ, ხოლო 1917 წ. საყოველთაო აღწერამ ტფილისში გამოარკვია, რომ ეხლა ქართველთა რიცხვი ჩვენ დედა-ქალაქში სომეხთა რიცხვს სჭარბობს. საყურადღებოა ქართველთა ეს გასაოცარი, ბუნებრივი და არა-ჴელოვნური ზრდა.

---

[1] შცდომების გასწორებაში მითითებულია: უნდა იყოს 3498. [რედ.].
[2] შცდომების გასწორებაში მითითებულია: უნდა იყოს 2314. [რედ.].
[3] შცდომების გასწორებაში მითითებულია: უნდა იყოს 2314. [რედ.].

ეხლა რაკი ჩვენ უკვე ვიცით ქ. ტფილისის მცხოვრებთა დანაწილება ეროვნულ კუთვნილებისდა მიხედვით, შეიძლება მეორე საყურადღებო საკითხის გამორკვევასაც შევუდგეთ, სახელდობრ იმისას, თუ როგორ იყო დანაწილებული ჩვენი დედა-ქალაქი მესაკუთრე მფლობელობის მჯრივ. ჯერჯერობით ამის გამოსარკვევად მხოლოდ ერთი სტატისტიკური ძეგლი მოგვეპოვება, ქ. ტფილისის 1781-2 წ. ხალხის აღწერის დავთრითგან ამოღებული მოკლე საზ. ცნობების სახით. ქალაქ ტფილისის 3498 კომლ მცხოვრებთაგან 1781-2 წ., ყმათა მფლობელობის მჯრივ პირველი მესაკუთრე ტფილისში მეფე იყო: სამეფო სახლობას ერთობლივ საკუთრებად სახასო ყმა ქალაქში ავლაბრითა და გარეთუბნითურთ ჰყავდა 1589 კომლი, ხოლო დანარჩენ მესაკუთრეებს საერთოდ 1811 კომლი ყმა (აღმოსავ. საქართველოს ხალხის აღწერის დავთრები, გვ. 7).

თუ მფლობელთა ეროვნებისდა მიხედვით ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ ყველა სომეხ მესაკუთრეებს, მათ შორის მოქალაქეებსა და სომეხთა ეკლესიებსაც, ერთობლივ ჰყოლიათ 429 კომლი ყმა. ქართველებს კი სამეფო გვარეულობითურთ ერთობლივ ჰყავდათ 3069 კომლი, ანუ ერთი შვიდად, თითქმის ერთი რვად, უფრო მეტი ვიდრე სომეხ მესაკუთრეებს. თუნდაც რომ სამეფო სახლობის სახასო ყმების რიცხვი 1589 კომლი გამოვაკლოთ, მაინც ქართველ მებატონეების საკუთრება 1480 კომლს უდრის და მაშინაც სომეხ მფლობელთა რაოდენობას ერთი-სამად უფრო მეტადაც სჭარბობს. აქეთგან ნათლადა ჩანს, რომ მაშინ ტფილისი მფლობელობის მჯრივ ქართველებს ეკუთვნოდათ. მაშასადამე ცხადია, რომ ტფილისის საკუთრების თვალსაზრისით ქართველებს მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაუკარგავთ.

ამისდა გვარად ვითარცა ყმათა მფლობელი, ტფილისში ქართველთა ეკლესია სომეხთა ეკლესიაზე უფრო შეძლებული იყო: ქართულ ეკლესიას 365 კომლი ჰყავდა, ამათგან საპატრიარქო საყდარს 198 კომლი ეკუთვნოდა, დანარჩენი 167 კომლი 19 ეკლესია-მონასტრის საკუთრება იყო. სომეხთა ეკლესიას საერთოდ 72 კომლი ყმა ჰყავდა ტფილისში, ამათგან 49 კომლი ეჩმიაწინის საკათალიკოზო ტახტს ეკუთვნოდა, დანარცენი 32 კომლი 7 ეკლესია-მონასტრისა იყო.

წოდებრივად თუ გავარჩევთ ყმათ მფლობელები ოთხ უმთავრეს ჯგუფად განიყოფოდენ: 1. სამეფო სახლობა, რომელსაც 1589 კომლი ეკუთვნოდა; 2. თავადაზნაურობა და მსახურები; მათ ერთობლივ 1426 კომლი ყმა ჰყავდათ; 3. ეკლედსია: ქართული 365 კომლის მფლობელი იყო, სომხური 72 კომლისა; 4. მოქალაქენი, „მოქალაქეთა ყმები“ სულ 46 კომლს არ აღემატებოდენ (იხ. აღმ. საქარ. ხალხის აღწერის დავთრები, გვ. 5).

2. საქალაქო წეს-წყობილება და ცხოვრების ვითარება

ქალაქის უზენაეს გამგედ მოურავი იყო. როგორც ვიცით უძველეს დროს, მაგ. XII საუკ. ამგვარ უფლებით აღჭურვილს „ამირა“ (საქართველოს ეკონომიური ისტორია I, 23) ეწოდებოდა. მე-XVII-XVIII საუკუნეებში არც საბუთებსა და არც დასტურლამალში „ამირა“ აღარ გვხვდება და ქალაქის მთავრად ქალაქის მოურავი ჩანს. როდის უნდა გაჩენილიყო „მოურავი“, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება.

ყურადღების ღირსია რომ 1608 წლის ლუარსაბ II-ის სიგელშიც გიორგი სააკაძე, დიდ მოურავად ცნობილი, ჯერ კიდევ ძველებურად „ქალაქის ამირათ-ამირა“-დ იწოდება (სქს სიძველენი, II, 50), ხოლო უკვე 1620 წლის სასამართლოს განჩინების წიგნში იგი „ბატონ-მოურავად“ არის მოჯსენებული (იქვე, II, 51). თუ ამ შემთხვევაში მოურავი ქალაქის მოურავსა ჰნიშნავდა, მაშინ ეს სამოჯელეო სახელწოდება ტფილისისათვის უნდა მე-XVII საუკუნის

დამდეგს იყოს შემოღებული, 1608-1620 წლებს შუა. ყოველ სემთხვევაში მოიპოვება 1673 წლის საბუთი, რომელშიაც დასახელებულია „ქალაქის მოურავი“ (სქს სიძველენი, III, 3) და ამ საბუთითგან არა ჩანს, რომ ეს თანამდებობა სწორედ იმ წელს იყოს დაწესებული, პირიქით საბუთი ამ სახელწოდებას იჴსენიებს ვითარცა ჩვეულებრივს მოჴელეობას. მოურავნი ძველს უკვე მე-XI-XII საუკუნის საბუთებშიაც არიან მოჴსენებულნი. მაგრამ გარკვევით არა ჩანს, რომ იქ ქალაქის მოურავნი ყოფილიყვნენ ნაგულისხმევნი. მცხეთის 1448 წ. სიგელში-კი უკვე პირდაპირ ქალაქის მოურავი იჴსენიება, სახელდობრ **„გორის მოურავნი“** (ისტ. საბ. III, 28). ტფილისის სიონის 1552 წ. სიგელშიაც ნათქვამია „ქალაქისა მოურავოო“ (ისტ. საბ. II, 41). ამიტომ სიმართლეზე ახლო უნდა იყოს თუ დავასკვნით, რომ „ქალაქის მოურავი“-ს სახელი საბოლოოდ და საყოველთაოდ XVII ს. დამდეგს შემოღებულ იქმნა „ქალაქის ამიარა“-ს მაგიერ. რომ ეს დასკვნა დაახლოვებთ სწორე უნდა იყოს, სხვათა შორის შეიძლება1781 წლის ერეკლე მე-2-ის სიგელიც დავიმოწმოთ. მეფე ამ საბუთში ბრძანებს: „ქალაქის მოურავო დავით! როგორადაც ბატონის პაპის ჩვენის მეფის ირაკლის დროს და მეფის ვახტანგის დროს და სანატრელის ბატონის მამის ჩვენის დროს ქალაქის მოურავები ყოფილან და ქალაქში უმოურავნიათ, თქვენთვისაც იმავ წესით გვიბოძებია მოურავობა“-ო (სქს სიძველენი, 3, 12). მაშასადამე ეტყობა ქალაქის მოურაობის წესი, ისეთი, რომელიც სამაგალითოდ იყო მიჩნეული, ირაკლი I-ისა 1688 და ვახტანგ მე-VI-ის დროსა ყოფილა დადებული, პირველი ვითარცა ამ თანამდებობის გამჩენი და ხოლო მეორე ვითარცა კანონმდებელია დასახელებული.

ქალაქის მოურავის შესახებ „დასტურლამალ“-შიაც მოიპოვება ცნობები, მაგრამ იქ მის უფლებისა და მოვალეობის შესახებ არავიტარი „გარიგება“ არ არსებობს. მხოლოდ § 100-ში, რომელსაც ეწოდება სათაურად „მდივანბეგის გარიგებისათვის“ და 1701 წელს საქართველოს ჯანიშინის შაჰნავაზის ნაბოძებ „მდივანბეგობის წესისა და რიგის დასტურლამა“ არის, სხვათა შორის ნათქვამია, თუ ქალაქის მოურავის სამოსამართლო საქმეებში რა-და-რა ეკითხებოდა („დასტურლამალი“, 57), ხოლო იქვე § 210 განსაზღვრულია მოურავის სარგოც. სწორედ ამ ცნობებითგანა ჩანს, რომ ქალაქში ერთი მოურავი იყო. ყურადღების ღირსია მხოლოდ, რომ ერეკლე მეფის დროს ქ. ტფილისში რამდენიმე მოურავი ყოფილა სხვადასხვა უწყების წარმომადგენელი: საკათალიკოზო მოურავი და სხვათა. ამით რასაკვირველია ქალაქის მოურავის უფლება უნდა შელაჴულიყო და საქმეების წარმოება სრულებით დაიხლართებოდა. თუმცა ეს ისედაც ცხადი უნდა ყოფილიყო მთავრობისათვის, მაგრამ რათგან სხვა უწყებათა მოურავები და მათი ბატონები, როგორც ეტყობა ამტკიცებდენ ვითომც წინადაც ჩვეულებრივ ქალაქში ერთი მოურავი კი არა, არამედ რამდენიმე ყოფილიყოს, მთავრობამ 1781 წელს თავისი თავი მოვალედ ჩათვალა მოხუცებულ მოქალაქეთა, ქედხუდათა და სამღვდელოების შორის „სწორე და ჭეშმარიტი“ ცნობები შეეკრიბა: „ამ ქალაქში მეფის მოურავის მეტი და მელიქის, მამასახლისის, ნაცვალის მეტი ყოფილა ვინმე, თუ არა ბატონის მეფის ირაკლის დროსა, მეფის ვახტანგის დროსა, სანატრელის მეფის თეიმურაზის დროსა? ამ მეფეებს გარდა ამ ქალაქში სხვათ მოჴელეები ამ მეფეების ჟამში ყოლიათ ვისმეს, თუ არავის არა ყოლიაო“ (სქს სიძველენი 3, 15). სამღვდელოებამ და ქალაქში მყოფმა ერის კაცებმა, ქედხუდებმა თუ დაბალმა ხალხმა „ფიცით მოაჴსენეს“: „ჩვენ მნახავნიცა ვართ და მამა-პაპისაგანაც გაგონილი ვართ (ასეა!), რომ ქალაქში ერთი მოურავი ყოფილა, ერთი მელიქი ყოფილა, ერთი მამასახლისი ყოფილა და ერთი ნაცვალი ყოფილა: სხვისა არავის ყოფილან არცა მოურავი, არც მელიქ-მამასახლისი და არც ნაცვალი“-ო (იქვე, გვ. 15-17). როცა შეკრებილი ცნობები ერეკლე მეფეს მიართვეს, მან შემდეგი მსჯავრი დასდო: „რადგანაც ამდენი სამღუდელო და საერო კაცნი მოწმობენ, რომ **ქალაქში ძველთაგან ერთის მოურავის მეტი არა ყოფილა**, ჩვენ ამდენის კაცის მოწმობის ძალით **ჩვენს გარდაისად, სხვას ვისაც ქალაქში მოურავები ჰყავს ისინი მოურაობიდან დაგვიყენებია**“-

ო (იქვე, 17). ამ გვარად შემთხვევით შემოპარული მრავალ-მოურაობა მოსპობილა და ძველი წესი აღდგენილ იქმნა: ერთი ქალაქის მოურავი-ღა დატოვეს.

ქალაქის მოურავს მეფე ჰნიშნავდა; ეს ზემომოყვანილ 1784 წლის საბუთითაც მტკიცდება (სქს სიძველენი, 3, 12). ქალაქის მოურავს დიდი უფლება ჰქონდა. მოურავი ქალაქის პატრონი იყო: **„ქალაქის სამოქალაქოსი ყოველივე მოურავს უნდა ეკითხოს“.** ნათქვამია დებულებაში (სქს სიძველენი 2, 528, § 44). იმის დაუკითხვად უმაღლეს მთავრობასაც არაფერი არ უნდა გაეკეთებინა ქალაქში: „რაც ბატონმა ქალაქს ან სთხოვოს, ან შეაწეროს, ან სხვა რამე საქმე იყოს“, ვიდრე საქმეს გადასწყვეტდენ და აღსრულებას შეუდგებოდენ, თავდაპირველად მოურავის აზრი უნდა გაიგოს მთავრობამაო. (იქვე).

როცა მეფე „დიდ კაცებთან“ ერთად „საქვეყნო საქმეებზე“ ბჭობდა ხოლმე. ჩანს, ქალაქის მოურავიც იღებდა მონაწილეობას (1791 წ. საბუთი: სქს სიძველენი 3, 13).

ქალაქის მოურავის მოვალეობა იყო ქალაქისა და მცხოვრებთა კეთილდღეობაზე და მათ ქონებასა და სიცოცხლის ჴელშეუხებლობაზე ეზრუნა. **„მოურავი ქალაქისა და მოქალაქის მოვლას დიდად უნდა სცდილობდეს ყოვლის თავის გარჯით და თავდადებითა“**-ო ბრძანებდა დებულება (სქს სიძველენი, 2, 528, § 44). ერეკლე მეფეც თავის 1784 წელს გამოცემულს ბრძანებაში ქალაქის მოურავს ავალებდა: „ჭეშმარიტს სამართალს და **ქალაქის მოვლასა და ბეჯითად გარჯას** ნუ დააცადებთ“-ო (სქს სიძველენი, 3, 12). ქალაქის საზოგადო კეთილდღეობაზე ზრუნვას გარდა მოურავს, მაშასადამე უნდა სამართლიანობა დაემყარებინა და მცხოვრებთა ზნეობისათვის თვალყური ედევნებინა: საჩივრები გაერჩია, დამნაშავენი შეეპყრო და მსჯავრი დაედო. რა საქმეები და როდის ეკითხებოდა ხოლმე ქალაქის მოურავს, ამის შესახებაც გარკვეული ცნობები მოიპოვება.

სასამართლოს საქმეები ქალაქში ორ მოჴელეს შორის იყო განაწილებული მდივანბეგისა და ქალაქის მოურავს შუა. მკვლელობა ყოველთვის მარტო მდივანბეგს ეკითხებოდა. „თუ ქალაქში კაცის სიკვდილი მოჴდეს ან მოქალაქისაგან, ან სხვისაგან, იმის სამართალი კარზედ მდივანბეგმან უყოს“-ო ბრძანებდა „დასტურლამალი“ (გვ. 57). რაც შეეხება სამოქალაქო სამართლის საქმეს მდივანბეგი მხოლოდ იმ შემთხვევაში არჩევდა ხოლმე საჩივარს, „თუ მოქალაქე კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს, ან გარეშე კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს, ან ორნი მოქალაქე კაცნი თავის ნებით მივიდნენ და მდივან-ბეგს სემოსჩივლონ“-ო (იქვე, იმავ 57 გვერდზე და 58 გორის შესახებ ამგვარადვე. მასასადამე როცა საქმე გარეშე კაცს შეეხებოდა, სულერთი იყო თუნდ ორივ მჴარე, – მოჩირვარი და მოპასუხე, – ტუნდ მხოლოდ ერთ-ერთი მჴარე ამ ქალაქის კვიდრად არ ითვლებოდა, სოფლელად და გარეშე კაცად ირიცხებოდა) მოქალაქეთა შორის დავის გარჩევის უფლება მხოლოდ მაშინ ჰქონდა მინიჭებული, როცა ორივე მჴარე თვით მოისურვებდა, ნებაყოფილობით მივიდოდა მდივანბეგთან საცივლელად. წინააღმდეგ შემთხვევაში როცა ერთ-ერთ მჴარეს არა სურდა მდივანბეგის მსჯავრის მოსმენა, ჩვეულებრივ საჩივრების გარჩევა მოქალაქეთა შორის ქალაქის მოურავის უფლებას შეადგენდა: „მოქალაქის საჩივარი ერთმანეთში მოურავმა გაურიგოს“-ო ბრძანებდა საჴელმწიფო სამართალი („დასტურლამალი“, 57). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული „გარეშე კაცსა“, ან სოფლელსა და მოქალაქეს შორის ატეხილ საჩივრის დროს დებულება უპირატესობას მოქალაქეს კი-არა, „გარეშე კაცს“ აძლევდა და საქმეს ჩვეულებრივი მსაჯული, მდივანბეგი არჩევდა ხოლმე. ეს საზოგადო წესრიგი შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეცვლილიყო „თუ მდივანბეგი იქ (ქალაქში) არ იყო“, მხოლოდ ამ დროს აძლევდა ნებას კანონი: „მოქალაქეს კაცისაგან სოფლელმან კაცმან ქალაქის მოურავს შესჩივლოს, მოურავმან გაურიგოს“-ო (დასტურლამალი, 57).

ქალაქის მოურავის პირდაპირ მოვალეობად ითვლებოდა ქურდებისა და „ბოზების“ დევნა და დასჯა. დებულებაში პირდაპირ არის ნათქვამი: „მოურავი მუდამ ქურდსა და ბოზს უნდა ეძებდეს“-ო (სქს სიძველენი, II, 529 § 13); ამისთვის მას ასასასები ჰყავდა, „ორი-სამი გამოულევლად ახლდნენ“ და „ქურდსა და ბოზს მოახსენებდნენ ხოლმე“-ო (იქვე, II, 530, § 22). მოურავს დამნაშავეთათვის „ჯარიმა“ უნდა გადაეჴდევინებინა (იქვე, II, 527, § 38 და 530, § 22).

სხვაფრივ მაშასადამე როცა სამოქალაქო სამართლის შესახებ საჩივარი მოქალაქეთა შორის ჩამოვარდებოდა ხოლმე, ქალაქში სამართლის წარმოება ქალაქის მოურავის ჴელში იყო: „ქალაქის მოურავი ქალაქში უნდა სამართლობდეს“-ო ნათქვამია ერთს სესანიშნავს საბუთში (საქართ. სიძველენი II, გვ. 523, § 1). მასზე იყო დამოკიდებული მისი მოქმედება: მას შეეძლო ან პირადად მიეღო მონაწილეობა, ან თავის წარმომადგენელს მიანდობდა. როდესაც მოურავი თვითვე ინებებდა მოსამართლედ დაჯდომას, მაშინ კანონი ბრძანებდა: **„სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე** თან ახლდეს სამართლის ბჭობაში“-ო (იქვე). იმის ნებაყოფილობაზე იყო აგრეთვე დამოკიდებული, „მოურავი, თუნდა მელიქ-მამასახლისს და ნაცვალს სამართალში დაისწრებს და თუ უნდა არ დაისწრებს, ქედხუდები ახლდებიან“-ო (იქვე). მაშასადამე მელიქ-მამასახლისი და ნაცვალი სამართლისწარმოებისათვის საჭირონი არა ყოფილან: იმ შემთხვევაშიც კი როცა მოურავი მათ მოიწვევდა, მაშინაც ისინი „სამართლის ბჭობაში“ მოქმედ პირებად არ ითვლებოდენ, ისინი მხოლოდ„ ესწრებოდნენ“ იმ გვარადვე, როგორც ქედხუდები მორავს „ისრე უნდა ახლდნენ“ ხოლმე. სასამართლოს მოქმედებაში და სამართლის „ბჭობაში“ მონაწილეობას იღებდენ თვით მოურავი ვითარცა ტავმჯდომარე და „სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე“ ვითარცა მოსამართლე წევრები. „მოჩივარი“ მოურავთან უნდა მისულიყო და მისთვის საჩივარი მიერთმია (იქვე, § 2).

მოურავს შეეძლო თითონ არ გაერჩია საჩივარი; ამისთანა შემთხვევაში, „თუ თითონ არ ინებებს სამართალს“, იგი მოჩივარს „თავის იასაულს გაატანს“ (იქვე, § 2). იასაული მისი წარმომადგენელია მხოლოდ, მოსამართლედ კი ისევ „სარწმუნო“ მოქალაქე უნდა ყოფილიყო: მოურავს „ორი უნდა თუ სამი მოქალაქე, იმათ დასმენ და სამართალს მოქალაქენი იქმნენ“-ო (იქვე, § 2).

შეიძლება ქალაქის მოურავი სამართალში მარტო წევრადაც ყოფილიყო, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოჴდებოდა ხოლმე, **„ბატონის ბძანებით ქალაქის მპურავი და მდივანბეგი რომ სამართალში დასხდებიან“**-ო (იქვე, § 3), მაშასადამე როცა სასამართლო მეფის ბრძანებით მოქმედებდა.

ყურადღების ღირსია რომ ერეკლე მეფე თავის 1781 წლის ბრძანებაში ქალაქის მოურავს ავალებდა „საბწოდ ჯდომის“ დროს სამართლის თანასწორობა და მიუდგომლობა დაეცვა: „თავაზსა და ხათრს წესიერსა და კანონიერს საქმეზედ ნურავის შეუნახავთ“-ო (საქართ. სიძველენი, III, 12).

„საბჭოდ ჯდომისთვის“ და მოსამართლეობისთვის, – თვითონ იღებდა მონაწილეობას „სამართლის ქმნა“-ში, თუ თავის წარმომადგენელსა ჰგზავნიდა, – ქალაქის მოურავს სარგო ჰქონდა გაჩენილი, ამ სარგოს „**სამდივანბეგო“** ჰრქმევია და მისი რაოდენობაც მკაფიოდ განსაზღვრული იყო დებულებაში, სადაც ნათქვამია: „ამაში აქვს სარგო თუმანზედ სამდივანბეგო ხუთი აბაზი მოურავს და ამ სამდივანმეგოში ჴელი არა აქვსთ მელიქ-მამასახლისს, ნაცვალს და ქედხუდებს“-ო (სქს სიძველენი, II, 523, § 1. 2). რაკი თუმანზედ 5 აბაზი ყოფილა, მაშასადამე „სამდივანბეგო“ 10 პროც. უდრიდა. ეს სარგო მოურავის განსაკუთრებული საკუთრება ყოფილა და დანარცენი მოჴელეები რომელნიც „ბჭობა“-ში მოურავს ახლდენ, არავითარ სასყიდელს არ იღებდენ. ჰქონდათ თუ არ**ა რაიმე სარგო იმ 3-4 სარწმუნო მოქალაქეს,** რომელნიც მოურავს „სამართლის ბჭობა“-ში თან ახლდენ, დებულებაში

არაფერია ნათქვამი, მაგრამ **ვგონებ რომ არა ჰქონიათ.** ეს იმითი მტკიცდება, რომ იმ შემთხვევაშიაც კი, როცა მოურავი თვით არ ინებებდა მოსამართლედ დაჯდომას და საქმის გარჩევას იასულსა და მოქალაქეთ მიანდობდა, „იქიდამაც თუმანზედ ხუთი აბაზი მოურავისა არის, რადგან მოურავი გაგზავნის ამისათვის“-ო (იქვე, § 2).

მაშასადამე ამ შემთხვევაშიაც-კი **სარწმუნო მოქალაქეთა „სამართლის ქმნა“ უსასყიდლო ყოფილა.** მით უმეტეს უსასყიდლო იქნებოდა მაშინ, როცა სასამართლოში თვით მოურავი ბრძანდებოდა. სამდივანბეგო მოურავის სრულ საკუთრებას არ შეადგენდა მხოლოდ მაშინ, როცა იგი მეფის ბრძანებით მდივანბეგებთან ერთად „სამართალში დასხდებოდენ“. მაშინ „რაც სამდივანბეგო შემოვა როგორც რიგი არის, მოურავი და მდივანბეგები ისრე გაიყოფენ“-ო (სქს სიძველენი, ტ. 2, გვ. 523 § 3). სამწუხაროდ არც თვით საბუთსი არც „დასტურლამალში“ არ არის განმარტებული სამდივანბეგოს განაწილების „რიგი“ მოსამართლეთა შორის, როცა სასამართლო მეფის ბძანებით „საბჭოდ დაჯდებოდა“, ვიცით მხოლოდ რომ საზოგადოდ „ჯარიმა ბატონისა“ ესე იგი მეფისა იყო („დასტურლამალი“, 57).

ქალაქის მოურავი ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებდა: **აღებ-მიცემობა და მისი კანონიერი წარმოება მის ზედამხედველობის ქვეშ იყო.** საქართველოს ქალაქებში სანოვაგესა, სურსათსა, ხილეულობასა და მაგარ სასმელებზე ბაზრულ ფასებს მთავრობა აწესებდა ხოლმე. ამგვარ გადაკვეთილ მტკიცე ფასებს „ნიხრი“ ეწოდებოდა. ეს სიტყვა სპარსული ნიხრისაგან არის წარმომდგარი, რომელსაც იგივე მნიშვნელობა ჰქონდა. ნიხრით ვაჭრობა სავალდებულო იყო არებ-მიცემობის შემდეგ დარგების წარმომადგენლობისათვის: ყასპებისა (სქს სიძველენი, ტ. 2, 525, § 18), მეთევზეებისა (გელაქნურზე, იქვე 22, განჯის ორაგულზე, იქვე 22, ზუთხზე, 23, ხრამულზე და ფიჩხულზე § 24), ბაყლებისა (ზეთისხილზე, იქვე 28, განჯის ყურძენზე, იქვე 26, ახალციხის და ახალქალაქის ხილზე, იქვე § 30) და სირაჯებისათვის (ღვინოზე, იქვე ტ. 2, 525, § 19).

ქალაქში ნიხრის დაწესებაც, რომელსაც „ნიხრის მიცემა“ ერქვა, მოურავის უფლება და მოვალეობა იყო: დებულებაში პირდაპირ იყო ნათქვამი: „ნიხრი მიეცემა მოურავისაგან“-ო (სქს სიძველენი, ტ. 2, გ. 525, § 18), „ნიხრი მოურავმა უნდა მისცეს“-ო (იქვე, ტ. 2, 256 § 26). მხოლოდ ქალაქ გორში მის მოურავს, ამილახორს ნიხრთან საქმე არა ჰქონდა და ნიხრის მიცემა „ქედხუდებისა არის“-ო ნათქვამია ერეკლე მეფისადმი მირთმეულს გორელ ქედხუდების საჩივარში. კახეთსა და ქიზიყში „ნიხრი ვაჭრისა“ თურმე ნაცვალს უნდა „გადაეჭრა“ (კახეთ-ქიზიყის გამოსავლის გარიგება, სქს სიძველენი, ტ. 3, 137).

ნიხრი ცვალებადი იყო: იმისდა მიხედვით თუ რამდენად ადვილად აიწევ-დაიწევდა ხოლმე ამა თუ იმ საქონლის ფასი, ნიხრიც ზოგიერთ საგანზე უფრო ჴშირად იცვლებოდა.

საზოგადო წესი ბრძანებდა, რომ მოურავმა „სამს თვეში ერთხელ უნდა ნიხრი მისცეს ქალაქს“-ო (იქვე, ტ. 2. გ. 530, § 24). მაგრამ ჴორცის ნიხრი წელიწადში შეიძლება მრავალჯერ შეცვლილიყო: „წელიწადში რამდენჯერაც ნიხრი მიეცემა მოურავისაგან ყასაპს და მიემატება, თითოს მომატებაზედ ყასაპმა საერთოდ ნიხრანა“ უნდა გადაიჴადონო (იქვე, ტ. 2. 525, § 18). ზოგს საქონელს როგორც მაგალითად ხილეულობასა და თევზეულობას, წელიწადში ერთხელ აქვს ხოლმე შემოსვლის დრო. ამიტომ ასეთ საგნების ნიხრი მაშინ უნდა დაწესებულიყო, როცა ქალაქში შემოიტანდნენ. დებულებაში სწერია, რომ ესა და ეს საქონელი „ქალაქში რომ შემოვიდეს“, „მომტანთ მოურავი უნდა ნახონ და ნიხრი მისცეს“-ო.

რაკი ყოველ ნიხრის მიცემისათვის მოურავს ვაჭრებისაგან გარკვეული „ნიხრანა“-დ წოდებული გადასაჴადი უნდა ნიეღო, ამიტომ რასაკვირველია, ქალაქის მოურავისთვის უკეთესი იყო თუ ნიხრი ჴშირად შეიცვლებოდა. ამას გარდა, რათგან დებულებაში ნათქვამი იყო რომ ნიხრის „თითოს მომატებაზედ ყასაპმა საერთოდ ნიხრანა... მოურავს უნდა

მიართვან“-ო (სქს სიძველენი, 2, 525, § 18), ამიტომ სასყიდლის ჴშირად მიღების გულისათვის მოურავს შეეძლო ნიხრისთვის მოემატებინა ხოლმე. ამის გამო ალბად მოურავის ანგაარების ასალაგმავად და მოქრთამეობის შეაფერჴებლად, სამართალი აწესებდა: „მოურავი ყოველს ნიხრზედ, თუ ბატონის ნაცვალს არ დაისწრებს, ქედხუდებს დაისწრებს ორსა და სამსა“-ო (იქვე 2. 526, § 24). მეორე საბუთში უფრო ვრცლად არის განმარტებული: მოურავმა „მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი და ქედხუდები უნდა დაისწრას და ისე უნდა მისცეს ნიხრი“-ო (იქვე, 530-531, § 24). ერთის სიტყვით მოურავს ნიხრის საქმე ჩუმად და საისუმლოდ არ შეეძლო გაერიგებინა, არამედ ქალაქის დანარჩენ მოჴელეთა და პატივცემულ მოქალაქეთა თანდასწრებით. რასაკვირველია, მოქრთამეობა და ანგააარების ჩადენა უფრო ძნელი იქნებოდა. მოურავს თვალყური უნდა ედევნებინა რომ ნიხრი არავის დაერღვია: ნიხრის მიცემის უკან, რომელმაც „ასნაფმა დააშოროს მოურავმა უნდა გადააჴდევინოს“-ო, ნათქვამია დებულებაში (იქვე, ტ. 2. გვ. 531, § 24).

ვაჭარს მარტო ფასში არ შეეძლო მუშტრის მოტყუება. უფრო ძნელი შესატყობი იყო მისი ეშმაკობა, როცა ის მრუდე და ნაკლებიანს საწყავ-საზომსა ჴმარობდა ხოლმე. ეს მოვალეობა მეფისა და მოურავის საგანგებო მოჴელეებს ჰქონდათ დაკისრებული. დებულება ბრძანებდა: „ბატონის ნაცვალი და მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯავდეს ლიტრას, ადლს, საწყაოს და ყოველსავე საწონს და გასაზომს და თუნგს და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეამჩნდეს, ჯარიმა უნდა წაერთვას“-ო (იქვე, ტ. 2. გვ. 527. §[1]). ორ მოხელეს მუდამ დღე ვაჭრების „საწყაო“ და „საზომი“ უნდა ესინჯა, რომ სიმრუდე და ნაკლებობა არცერთ სავაჭრო იარაღში არა ყოფილიყო. ამაზე განსაკუთრებით მოურავის ნაცვალს უნდა ეზრუნა, ამიტომაც იყო რომ დებულებაში ეწერა: „მოურავის ნაცვალი მუდამ ბაზარში უნდა დავიდოდეს და იჯდეს“-ო (იქვე, ტ. 2. 529, § 14).

მრუდე და ნაკლებიან იარაღის პატრონ ვაჭრებისათვის ნაცვლებს ჯარიმა უნდა წაერთმიათ (იქვე, ტ. 2. გვ. 527 და 530, §§ 37, 14).

ქალაქი მაშინაც აღებ-მიცემობისა და ჴელოსნობა-მრეწველობის დედაბუდე იყო, განსაკუთრებით იქა ჰქონდა მას ბინა მიჩენილი. რასაკვირველია, რადგან ჯერ ხანად უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებული საბუთებისა ეკლესიებსა და აზნაურთა გვარებს ეკუთვნის, ამიტომ ამ საგნის შესასწავლად ჯერ ძალიან ცოტა მასალები მოპოვება, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენს ჴელთ არის ორი საუკეთესო წყარო „დასტურლამალი“ და „ქალაქის მოურავის სარგო“-ს დებულება. ორსავე საბუთებში ძვირფასი ცნობები მოიპოვება, აღებ-მიცემობა ქალაქში ერთის მჴრით ადგილობრივ ნაწარმოებებით იკვებებოდა, მაგრამ მის დიდ ნაწილს მაინც გარეთგან შემოტანილი საქონელი შეადგენდა.

ქალაქ ტფილისს ექვსიჰქონდა (იხ. ქალაქის მოურავის სარგო, § 4, სქსს სიძველენი, ტ. 2. 523): ერთ ერქვა „აბანოს კარი“, მეორეს „განჯის ჯარი“ (იქვე, ტ. 2, გვ. 523, § 5), მესამეს „დიღმის კარი“, მეოთხეს „კოჟრის კარი“ (იქვე, ტ. 2. 424, § 7), მეხუთეს „წყალყინის კარი“ (იქვე 524, § 7), მეექვსის სახელი კი მოჴსენებული არ არის.

ბატონიშვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიაში ამბობს რომ „სოლოლაკის ჴევის კარს უწოდებედ განჯის კარად“-ო (ბროსეს გამოცემა, ჯანაშვილის გამოცემა, გვ. 70). ამასთანავე აღნიშნული აქვს რომ „კალა მოზღუდა მეორე შააბაზ პირველ შემუსვრილი: სამხრით მოავლო სოლოლაკის კლდეზედ, დასავლით ქმნეს ორი კარი, ჩრდილოეთით ორი კარი“-ო (იქვე, გვ. 72). ყოველგვარი საქონელი ტფილისში ქალაქის ექვსივე კარებით შემოჰქონდათ (ქ. მოურავის გარიგება § 4, სქს სიძველენი, II, 523). მხოლოდ შეშა შემოდიოდა როგორცა ჩანს მხოლოდ სამ

[1] პარაგრაფის ნომერი გამორჩენილია. [რედ.].

კარით – დიღმის, კოჯრისა და წყალყინის კარებითგან (იქვე, 524, § 7). ალბად იმიტომ რომ, სწორედ იქით მჴრისკენ მოიპოვებოდა მახლობლად ტყიანი ადგილები.

როგორც შარდენის ცნობებითგანა ჩანს, ქალაქ გორსა და ტფილისში ყველაფერი რაც კი ადამიანისათვის საჭირო იყო იშოვებოდა და გაჩაღებული აღებ-მიცემობა სუფევდა. „დასტურლამალსა“ და „ქალაქის მოურავის სარგო“-ში ვაჭრობისა და ჴელოსნობის შემდეგი დარგების წარმომადგენლები არიან მოჴსენებულნი: მეპურეები (საქართ. სიძ. II, 528, § 43), ყასპები (იქვე, II, 524, §§ 10, 18, 43), ბაჰყლები (იქვე, 524, § 11, 13; 528, § 43), მეთევზეები (დასტურლამალი, 40, 126), სირაჯები (სქს სიძველენი ტ. 2. 524 § 19 და 528 § 43), მეწვრილმანეები (იქვე, 528, § 13), ბაზაზები (იქვე, 527, §§ 34, 35), მკუპრავები (იქვე, 528, § 42), საზანდრები (დასტურ. 68), მღებრები (დასტუ. 125). ტფილისის 1781-1782 წ. აღწერის დავთრის ერთ ნაწყვეტში მარტო ნაზარბეგიანთ ქარვასლაში მყოფად დასახელებულია: 2 სარაჯი, 1 მესტვირე, 2 ოქრომჭედელი, 1 მეჩახმახჩე, მჭედელი, 1 მკალავი, 2 მექვაბე, 2 ნალბანდი, 1 დაბაღი, 2 ჭონი, 1 ხარაზი, 1 მეწუღე, 7 ფეიქარი, 1 მკერვალი, 1 ქურქჩი, 2 ბაზაზი, 1 მჩიტავი, 2 მეწისქვილე, 1 ხაბაზი, 1 მეფურნე, 1 მზარეული, 2 გალატოზი, 1 ხურო, 1 ქვის მჭრელი, 2 მესანთლე, 1 მეზეთე, 1 მეაბანოე, 2 ვაჭარი, 1 ბაღალბაში, 2 ბაყალი, 1 ჩარჩი, 1 მუშა და სხვანი.

ამის გარდა ჴელოსნების სხვა დარგების წარმომადგენლებიც უნდა ყოფილიყვნენ და იყვნენ კიდეც. ვაჭრებსა და ჴელოსნებს საქართველოში თავიანთი კავშირი ჰქონდათ, რასაც ეხლა „ამქარი“ ეწოდება, ხოლო მასინ „ასნაფი“ ერქვა (დასტურლამალი 24, 64: სქს სიძველენი 2, 524, § 10, 12,; 528 § 43, გორელ ქედხუდების საჩივარი ერეკლე II-სადმი). როგორც დასტურლამალითგან ჩანს „ასნაფი“ ერთისა და იმავე ჴელობის კაცთა ჯგუფს და წრეს ეწოდებოდა. სიტყვა ასნაფი არაბულია და იქაც ჯგუფებს, წრეებს, ამქრებს ნიშნავს. იგი მრავლობითი რიცხვია, ხოლო მხოლობითი რიცხვი „სინფ“ ჴელოსანსა და ამქარს ნიშნავს. ქართულად მაშასადამე თუმცა ამ სიტყვის მრავლობითი რიცხვია შეთვისებული, მაგრამ მხოლობითი რიცხვის მნიშვნელობა მიუღია და ამქარს გარდა ამქრის წევრებსაც, ჴელოსანს და ვაჭარსაც ეწოდებოდა (სქს სიძველენი 2, 528), როგორც დასტურლამალითგანა ჩანს ამქარს ქართულად აგრედვე „თაბუნი“ ერქვა: ასნაფი და თაბუნი დასტურლამალში ერთი-მეორის მაგიერ იჴმარება, მაგ. § 115-ს სათაურად აქვს „სალაროს ნაზირისა და მისის ასნაფებისათვის“, ხოლო შემდგომ მისდევს: „არის სალაროს ნაზირის სახელო და თაბუნი კაცნი“-ო.

ქალაქებში ასნაფებს რასაკვირველია იქ ექმნებოდათ ბინა და საჴელოსნოები, სადაც ყველა სხვა სავაჭრო დაწესებულებანიც იყვნენ შეჯგუფულნი, ბაზარში, გორელი ქედხუდების საჩივრითგან ნათლად ჩანს, რომ გორშიც ასნაფები ბაზარში მდგარან.

თვითოეულ დარგის ყველა ვაჭრები და ჴელოსნები ერთს კავშირს ეკუთვნოდენ, ერთს ასნაფს შეადგენდენ. საბედნიეროდ ჩვენ ასნაფების აგებულების ცნობებიც მოგვეპოვება: ასნაფის სათავეში „უსტაბაში“ მდგარა. ეს სიტყვა სპარსულ-თურქულია (უსტა – მასწავლებელი, ოსტატი; ბაში – თავი). იმ ასნაფის სახელის მიხედვით, რომლის მოთავედაც იგი ითვლებოდა, მას აგრედვე ან „სირაჯბაში“ (იქვე, ტ. 2. 525, § 20), ან „ბაჰყალბაში“ (იქვე) ან „საზანდარბაში“ (დასტურლამალი, 68) და სხვანაირად ეწოდებოდა. დასტურლამალში „მეთევზეების უფროსი“ და მღებარტუხუცესი“-ც არის დასახელებული, მაგრამ ნათლად არა ჩანს, უსტაბაში იყო თუ არა იგი.

საფიქრებელია რომ ძველად მაინც ეს ორი სახელი სწორედ უსტაბაშობის ქართული სახელწოდება უნდა ყოფილიყო და ალბად ბაჰყალბაშისა და სხვა ამის მსგავს სახელების მაგიერ ბაჰყალთ უხუცესი ან უფროსი იქმნებოდა.

ასნაფის თვითოეული წევრი ამქრის, ამხანაგობისა და უსტაბაშის სასარგებლოდ გადაკვეთილს წვლილს იჴდიდა (საქარ. სიძვ. ტ. 2, 528, § 13). საზოგადო, საამქრო საქმეების

გარჩევა-გადაწყვეტა თვიტ „ასნაფზე“ იყო დამოკიდებული. უსტაბაშსა და ასნაფის წევრებზე, ჴელოსან ვაჭართა საზოგადო კრებაზე. ეს იქითგანა ჩანს, რომ დებულებაში პირდაპირ არის აღნიშნული საამქრო გადასაჴადისაგან განთავისუფლებული „უნდა იყოს გათარხნებული უსტაბაშისა და მეწვრილმანეებისაგან“, როცა გასათარხნებელი მეწვრილმანე იყო, საზოგადოდ იგი თვითეული „ასნაფებისაგან შეღავათ ნაქნარი და განთავისუფლებული უნდა იყოს“ (საქ. სიძ. ტ. 2. 528, § 43). უმეტეს სემთხვევაში სხვადასხვა სამოურავო სარგოსაც ამქარი ანუ ასნაფი „საერთოდ“ (საქ. სიძ. ტ. 2. გვ. 525, § 18, 19) იჴდიდა, როგორც ერთი დაწესებულება (საქ. სიძ. ტ. 2. გვ. 524, § 10, 11, 13, 13; 525, § 14, 18, 19). უსტაბაში ასნაფის ტავი და წარმომადგენელი იყო მთავრობის წინაშე და განსაკუთრებულ შემთხვევებსი, როცა მთელი ამქარი რაიმე დღესასწაულსი მონაწილეობას იღებდა, იგი თავის ასნაფს წინამძღვრობდა. დებულებაში მაგალითად ნათქვამია რომ როცა დიდის ხნის „სხვაგან“ სადმე წასული ქალაქის მოურავი ქალაქში დაბრუნდებოდა, მას ასნაფები მიეგებნონო, „სირაჯბაში სირაჯებს უნდა მიუძღოდეს და მოურავს ტიკით ღვინო უნდა მიართვან, აგრეთვე ბაჰყალბაშმა ხილი უნდა მოართვან“-ო (საქ. სიძ. ტ. 2. გვ. 525, § 20).

მრეწველობა და ვაჭრობა დაბუდებული იყო ქარხანასა და დუქანში. „ქარხანა“ (დასტურლამალი, 24, 34, 40, 41, 54, 55, 62, 64, 84, 124, 127) სპარსული სიტყვაა და ნიშნავს საჴელოსაც და სახლს, დაწესებულებას, სადაც გასაყიდავ საქონელს ამზადებდენ. ქართულად ამ სიტყვას ფართო მნიშვნელობა ჰქონდა: „ქარხანას“ ეძახდენ ყველა საწყობსა და დაწესებულებას, რომელიც ამა თუ იმ საქმისა ან ჴელობისათვის იყო. მაგ. დასტურლამალში სამეფო სამზარეულოს „ქარხანა“ (გვ. 34) ეწოდება, ამგვარადვე სამეჯინიბოსაც „ქარხანა“ ექრვა (იქვე, 40, 41), სამეფო შემოსავლის კოდის პურის საწყობსაც (იქვე 54, 55), შემოსულ ფეშქაშის შესანახავ ადგილსაც (იქვე, 84) „ფეშქეშის ქარხანა“, იმ დაწესებულებასაც, სადაც ინახებოდა აღებული ჯარიმა („ჯარიმა ნაცვალმა უნდა აიღოს და ბატონის ქარხანასი მიაბაროს“, იქვე, 124) და სალაროს, სადაც ფული ინახებოდა („მეთევზის უფროსს ორი თუმანი ქარხნიდამ უნდა მიეცეს“-ო, იქვე, 124).

ერთი სიტყვით ქარხანად ყოველგვარი, როგორც კერძო ისე სამეფო, სამეურნეო-სამრეწველო დაწესებულება იწოდებოდა. ქარხანა საზოგადო სახელწოდება იყო, ხოლო იმისდა მიხედვით თუ მრეწველობის რომელ დარგს აწარმოებდა, იწოდებოდა ან „ყასაბხანად“ (დასტურლამალი, 24), როცა საქონლის დაკვლა ჰქონდა საქმედ, ან „დაბაღხანად“ (იქვე, 92), როცა რყავის გამოყვანა აქვს საგნად, ან „ქუზიხანა“-დ (იქვე, 124), ან ჭურჭლის ქურახანად“ (საქ. სიძ. 527, § 34. 35), როცა ჭურჭლის გაკეთებას მისდევდენ. ყველა ზემომოყვანილი სიტყვები სპარსულითგან არიან შემოღებულნი და ორ-ნაწილედი აგებულება აქვთ. მეორე ნაწილი ყოველთვის „ხანა“-ა იგივე რაც „ქარხანა“-შია და ჰნიშნავს სახლს, ხოლო პირველი ნაწილი ჴელობის იმ დარგს აღნიშნავს, რომელსაც იგი მისდევს: ყასაბხანა (მესაკლავეთა სახლი), დაბაღ-ხანა (ტყვავის მკეთებელტა სახლი), ქუზი-ხანა (კოკების, ჭურჭლის ქარხანა, სახლი), აუშ-ხანა (საჭმლის სახლი, სასადილო). ზოგიერთ ქარხანას ქართული სახელიც ჰქონდა, მაგალითად „სამღებრო“ (დასტურლამალი 125). ვახტანგ მეექვსის დროს ზოგიერთი ქარხნები მეფის განსაკუთრებული საკუთრება იყო. მაგ. ყველა სამღებროები და „უზი-ხანა (დასტ. 124, 125). მათთვის განსაკუთრებული „ქარხნის სახლები“ (იქვე, 124) არსებობდა და თუ ეს შენობა დაზიანდებოდა და სეკეთება საჭირო იყო „კედელი, თუ გადალესვა მსუბუქი“ (იქვე, 124) მოქალაქეთა მოვალეობად ითვლებოდა.

ქარხნის მომსახურეებს მაშინ „ქარხნის კაცებს“ ეძახდენ (დასტ. 24).

სავაჭრო შენობას „დუქანი“ (საქ. სიძველენი, ტ. 2. 525, § 14) ეწოდებოდა. მაგ. ქ. მოურავის სარგოში ნათქვამია: „ყასპებმა რაც დუქანი არის, დუქანზედ მოურავს გადასახადი უნდა მიართვან“-ო. დუქანი სპარსული სიტყვაა და სპარსულშიც იგივე მნიშვნელობა აქვს.

დუქანსი **„დაზგები“** იდგა. ქ. მოურავის სარგოს დებულებაში მაგ. სწერია: „ყასპებმა, რაც დუქანი არის, დუქანზედ მოურავს 3 ლიტრა ქონი უნდა მიართვან... თხის ქონი; ღორის ქონი. ერთს **დაზგაზედ** რამდენიც ამხანაგი არიან კაცის თავს 3 ლიტრა ქონი უნდა გამოერთვას მოურავისათვის. ის ქონი კაცის თავზედ აიღება და არა **დაზგაზედ**. დაზგაზედ ღორისა... აღებაში მოურავისათვის ერთი მხარი და ერთი ბარკალი უნდა მოიკრიფოს“-ო (საქ. სიძველენი, II, 525, § 15-17). მაშასადამე დუქანში დაზგები იდგა. **„დაზგა“** სპარსული სიტყვაა („დაზგაჰ“) და იქ საჴელოსნო იარაღს, საჴელოსნო მაგიდას, საფეიქრო მანქანას და თვით მაღაზიასაც ჰნიშნავს.

როგორც ზემო მოყვანილ მაგალითითგანა ჩანს, ქართულში დაზგა სავაჭრო და სამრეწველო დახლსა ჰრქმევია. იგი თითქოს თვით ვაჭრობისა და მრეწველობის სიმბოლო ყოფილა.

საქმის წარმოება და თვით საქმე შეიძლებოდა ერთი კაცის საკუთრება ყოფილიყო ან რამდენსამე კაცს ერთადა ჰქონოდა. მაშინ ისინი „ამხანაგებად“ (იქვე, II, 525, § 16) ითვლებოდენ. სეიძლებოდა მაშასადამე „ერთს დაზგაზედ რამდენნიმე ამხანაგნი“ ყოფილიყვნენ.

ზემოაღნიშნულის გარდა სხვა კიდევ ბევრი ცნობებია გაფარნტული ძველ ქართულ წყაროებში. ამ მასალების წყალობით სხვათა შორის ისეთ საყურადღებო საკითხის გამორკვევაც კი შეიძლება, თუ რადარა და რამდენი საქონელი, სანოვაგე, ან სხვაგვარი საჴმარი შემოჰქონდათ ხოლმე ყოველწლიურად ჩვენს დედა-ქალაქში. მაგრამ ეს მონოგრაფიული გამოკვლევა ჟურნალისათვის ისედაც დიდი გამოვიდა და რაკი ამ საკითხის გამორკვევისათვის რთული გამოანგარიშებაცაა საჭირო, ამიტომ მას აქ აღარ შევეხებით.

თანამედროვე საქალაქო თვითმმართველობის ორგანოთა მთავარი დანიშნულება და სამოქმედო მიზანი ქალაქისა და მის მცხოვრებთა კეთილდღეობაზე და მშვიდობიან ცხოვრებაზე ზრუნვა შეადგენს. მაგრამ ამას გარდა ისინი მოვალენი არიან ყოველი ღონისძიება იჴმარონ, რომ ცხოვრებისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე და სხვაგვარი საჴმარი ქალაქში ბლომად მოიპოვებოდეს და პირიან ფასადაც იყიდებოდეს, ამასთანავე ფხიზლად თვალ-ყური ადევნონ, რომ საწყავ-საზომების სიმრუდითა და ნაკლებობით ვაჭრებმა მოქალაქეთა ჯიბეები არ შეათხელონ. ამ ჩვენი გამოკვლევის გულდასმით გადამკითხველისათვის იმედია ცხადი გაჴდება ჯერ ერთი ის, რომ ეს მიზანი და მოვალეობა ძველ საქართველოშიაც კარგად გათვალისწინებული და შეგნებული ჰქონიათ და ქალაქის მმართველთ აუცილებელ ვალადა ჰქონდათ დაკისრებული, ხოლო მეორეც ის, თუ რაოდენად შემცდარია გაბატონებული აზრი, ვითომც საქალაქო მართვა-გამგეობის წესწყობილება ჩვენში პირველად რუსეთის მთავრობას შემოეღოს. ყველა ზემონათქვამითგან ვგონებ აშკარა უნდა იყოს, რომ ძველ საქართველოში მართვა-გამგეობის ეს დარგიც საკმაოდ შემუშავებული იყო და რომ საქალაქო თვითმმართველობის ჩანასახი უკვე მაშინაც არსებობდა.

ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტის მდგომარეობა (პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება)

ბ-ნ სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგს

ივლისის 14 1920 წლ. თქვენის წინადადებით შემდგარმა კომისიამ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორი ექ. ს. ჯაფარიძე, განათლების სამინისტროს წარმომადგენელი კანცელარიის დირექტორი ვუკ. ბერიძე და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი კანცელარიის დირექტორი დ. ჩხეიძე და ექსპერტი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ალ. ადაშვილი[1], დაათვალიერა ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტისა და მისი დაწესებულებები, განიხილა საჭირო საბუთები და ცნობები, თქვენ მიერ მონდობილი საქმე დაამთავრა. როგორც ამ კომისიის თავმჯდომარე პატივისცემით მოგართმევთ ქვემო მოყვანილს მოხსენებას, რომელიც კომისიის ნამუშევარის საზოგადო დასკვნას შეიცავს, ყველა მასალებითა და ცნობებით Записка о прошлом и настоящемъ положении Зак. Ун. № 2 უ-ტის და სამზრუნველო კომიტეტის წესდება სასწავლო ნაწილისა და მოსწავლეთა პირადი შემადგენლობის სიები, სასწავლო გეგმები და სასწავლო დაწესებულებათა ნუსხა, # 3, პროფ. ალადაშვილის მოხსენება.

ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის საბჭო და სამზურვნელო კომიტეტი თავის წერილებში (записка) ამტკიცებენ. რომ უნივერსიტეტი დიდი სამეცნიერო სასწავლო ცენტრია, რომელიც მსმენელებსაც იზიდავს და ავტორიტეტიც აქვს მოხვეჭილი. მაგრამ სტუდენტთა პირადობის გასინჯვამ გამოარკვია, რომ ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის გამგეობის ცნობა მის მოხსენებაში მოთავსებულ ვითომც მსმენელთა რიცხვი 1919 წლ. გაზაფხულის სემესტრში 2000-მდე ასულიყოს, ხოლო ამ ჟამად ვითომც 1200 კაცი იმყოფებოდეს, გადაჭარბებულია. მაინცა და მაინც გამგეობის მიერ გამოყვანილს ნუსხაში აღნიშნულია, რომ 1919-20 წლ. სამკურნალო ფაკულტეტზე 955 კაცი ირიცხებოდა, რომელთაგან 164 კაცს სწავლის ფული არ შემოუტანია, ხოლო 58 კაცს თავისი ნებით დაუნებებია სწავლისათვის უნივერსიტეტში თავი, ისე რომ ამ ჟამად სულ 733 კაცია. 1919-20 წ. საბუნებისმეტყველოზე 155 კაცი იყო, მაგრამ 51 კაცს ფული არ სემოუტანია, ხოლო 17 კაცი თავის ნებით გამოსულა, ამგვარად ამ ჟამად მხოლოდ 87 სტუდენტი და მსმენელი უნდა ვიანგარიშოთ. მაშასადამე მთელს უ-ტში სტუდენტი და მსმენელი 820 კაცი აღმოჩნდება. მას შემდგომ რაც ამიერ-კავკასიის კერძო უ-ტის გამგეობის ყოველგვარი ცდა, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებისათვის ის აზრი ჩაენერგა, რომ მათი უ-ტის, ვითარცა საერთო ოლქობრივი (Обшекраевое) უმაღლეს სასწავლებლის, არსებობა აუცილებლად საჭირო იყოს, ამაო გამოდგა და არცერთმა რესპუბლიკათაგანმა დახმარების აღმოჩენა საჭიროდ არ სცნო, ამიერკავკასიის კერძო უ-ტის პოლიტიკას ორგვარი მიმართულება დაეტყო: 1). ქონებრივ სფეროში „გარეშე დახმარების“ იმედი. („без крупной помощи извнеъ Закавказской Университетъ будетъ поставленъ перед. почти непреодолимыми материальними затруднениями“) ხოლო 2). უფლებრივი მდგომარეობის შესაქმნელად ამიერკავკასიის კერძო უ-ტის საბჭო და სამზრუნველო კომიტეტი საქართველოში მყოფ რუსთა, სომეხთა და ებრაელთა ეროვნულ საბჭოებს უმტკიცებს, ვითომც მათი უნივერსიტეტი უპირველესად ყოვლისა ამ ეროვნებათა უნცირესობის ინტერესებს ემსახურებოდეს („обслуживаетъ въ первую очередь интересы

[1] შეცდომაა. უნდა იყოს ალადაშვილი. {რედ.}.

молодожи этихъ национальных меншинствъ“) და შუამდგომლობს სხვა და სხვა ეროვნულ საბჭოების წინაშე „о признании Закавказскаго университета высшимъ учебнимъ заведениемъ насиольнаго меншинство Грузий“, რომელთა საბჭოების წარმომადგენელნი უ-ტის სამზრუნველო საბჭოში უნდა შესულიყვნენ. როგორც ეტყობა ამიერკავ. კერძო უ-ტის გამგეობას სურს და განზრახვა აქვს, რომ ეს საკითხი ამ ეროვნულ საბჭოებმა ჩვენი მთავრობისა და უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულების წინაშე აღძრან და ამიერკავკასიის კერძო უ-ტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადდეს, ვითომც საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა უმციროებებათათვის.

თავისთავად ცხადია, რომ ყოველი სახელმწიფო მოვალეა მხოლოდ თავის მოქალაქეების მოთხოვნილებას და განათლებას ემსახუროს და მხოლოდ ამნაირად შეიძლება გამართლებულ იყოს ამიერკავკასიის კერძო უ-ტის წადილი. მაგრამ რამდენად სამართლიანია მათი მტკიცება, ვითომც ისინი უპირველეს ყოვლისა მართლაც საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უნტერესს ემსახურებიან, ამის გამოსარკვევად საჭირო იყო სტუდენტ-მსმენელთა ქვეშევრდომობის შესახებ ცნობები. რაკლი ასეთი ცნობები მათ არ აღმოაჩნდათ, ამის მაგიერ მოეთხოვათ ცნობები სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ, რაც ამავე დროს მოქალაქეობის საკითხისაც გადასაწყვეტად სრულებით მტკიცე და სანდო ცნობებს შეგვძენდა.

სტუდენტ-მსმენელთა პირადობის სიიდგან ირკვევა, რომ ამჟამად უნივერსიტეტში 733 სამკურნალო ფ-ზეა და 87 საბუნებისმეტყველოზე. აქედან სამკურნალოზე საქართველოს მოქალაქე მხოლოდ 115 ყოფილა. მათ შორის 80 ქართველი და მარტო 35 არაქართველი.

საბუნებისმეტყველოზე საქართველოს ქვეშევრდომი სულ 14, აქედან ქართველი 10 და არაქართველი 4. მაშასადამე ამიერკავ. კერძო უ-ტის სტუდენტ-მსმენელთა საერთო რიცხვი 830-ითგან საქართველოს მოქალაქე ორსავე ფაკულტეტზე მხოლოდ 129-ა, ანუ 15,2 პროცენტი, მაგრამ მათ შორის 90 ქართველია და მარტო 39 არა ქართველი. დანარჩენი 691 სტუდენტ-მსმენელი თავისთავს ან მომეტებულ ნაწილად სომხეთის ან ადერბეჯანის ან რუსეთის ან ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკების ქვესევრდომებად სთვლის ან ისეთი სომხები, რუსები და ებრაელები არიან, რომელტა ქვეშევრდომობის შესახებ არავიტარი ცნობები არ მოიპოვება. უკვე 830 მოყვანილ რიცხვთაგან საკმაო სიცხადიტა სცანს, რომ ამიერკავკ. კერძო უ-ტი საქართველოს მოქალაქეებს, რომელნიც 129-ს ან 15,2 პროცენტს არ აღემატებიან, ყველაზე ნაკლებ ემსახურება. ეს რიცხვიც გარემოების ნამდვილს ვითარებას ვერ გვისურათებს, რადგან ამ 11 პროცენტში 90 ქართველი, რომელთა რაოდენობა უნდა საერთო რიცხვს გამოეკლოს, რომ გამოეკლოს, რომ გამოირკვეს მართლა საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნილებასა და განათლებას ემსახურება თუ არა. თ 820-90=730, ამ 730 სტუდენტ-მსმენელთა შორის საქართველოს მოქალაქე არაქართველი მხოლოდ 39 ყოფილა, ე.ი. 5,34 პროცენტი. მაშასადამე ამიერკავ. კერძო უ-ტის 94,66 პროცენტი კი უცხო სახელმწიფოთა ქვესევრდომები ყოფილან და ეს უნივერსიტეტი, როგორც ირკვევა, სწორედ უცხოელ ქვესევრდომებს ემსახურება და არა საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა უმცირესობას, როგორც ამას ამ უ-ტის საბჭო და სამზრუნველო კომიტეტი ამტკიცებს. უ-ტის სასწავლო ნაწილის თვით საბჭოს და სამზრუნველო კომიტეტის სიტყვით 1919 წლ. განვიტარების მაგიერ სწრაფი ნაბიჯით დაქვეიტებისაკენ მიექანებოდა, ისე რომ უ-ტი იძულებულ იყო შეეკვეცა თავისი მოქმედება: „была прекрашена деятельность историко-словеснаго факультета, оставшагося въ тому же почти безъ преподавателей вследствие переезда их въ Баку. Были произведены значит. Сокрашения остальныхъ факултетахъ, Пришлось отказаться отъ мысли объ открытии IV курса Медицинскаго факултета и отъ расширения некоторыхъ учебно-

вспомогательныхъ учреждений“. ამას დაერთო აგრეთვე „чувствительныя потери въ составе профессоровъ“. უეჭველია ასეთს პირობებში უ-ტი უნდა თავისტავად დაკეტილიყო, მაგრამ 1919-20 წლ. მოულოდნელად უ-ტის საქმე გამოკეთებულა და უ-ტის საბჭოს სამეცნიერო ნაწილის პირადი შემადგენლობის შევსება მოუხერხებია: „Совету Университета удалось привлечь въ Тифлисъ целый рядъ научныхъ силъ“. უ-ტის ამ სასწაულებრივი გამობრუნების მიზეზს ადვილად მიხვდება ადამიანი: ბოლშევიკების შემოტევამ და დენიკინის სრულმა განადგურებამ სამხრეთ -რუსეთის ყველა უ-ტეტების პროფესორები ლტოლვილად აქცია და სწორედ ამ შემთხვევითმა გარემოებამ ცოტად მაინც გამოასწორა დაკეტვის აუცილებლობის წინაშე მდგარი ამიერკავკ. კერძო უ-ტის მდგომარეობა.

მაგრამ უ-ტის გამგეობის ყოველგვარი ცდის და მიუხედავად ამიერკავკ. უ-ტისათვის იმთავითვე არსებულ ობიექტური პირობების გამო, უ-ტს ბევრი რამე აკლია, რომ თავიუსი დანიშნულება პირნათლად აასრულოს. თუმცა უ-ტის საბჭო და გამგეობა ამტკიცებს, რომ უ-ტი წარსულ წლის განმავლობაში სრულებით გამაგრდა და სწავლის საქმის შესაფერისად ამაღლება მოახერხა, მაგრამ მასაც არ სეუძლიან უარჰყოს, რომ „Совету у-та не вполне удалось преодалеть все трудности, возникшия после прошлогоднаго ухода части профессоровъ, и нелоторыя кафедри остались вакантными“.

მაგრამ რამდენად არ შეესაბამება სინამდვილეს უ-ტის გამგეობის მტკიცება სასწავლებლის სრულ გამაგრების შესახებ, ამას სამკურნალო უ-ტის[1] მდგომარეობაც ცხადჰყოფს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორის ექ. ს. ჯაფარიძის და სახელ. უ-ტის პროფ. ალექსანდრე ალადაშვილის მოხსენებიდან ჩანს, რომ პროფესორთა პირადი შემადგენლობა შეიძლება გაიყოს სამ ჯგუფად. სრულუფლებიანი 9 პროფესორი ყოფილა, მაგრამ მათგან 3 ტფილისის სახელ. უ-ტის პროფესორია, ხოლო 3 პროფ. და ორი პრივატ.დოცენტი რუსეთის უ-ტისა. უკანასკნელთაგან პროფ. ანფიმოვს მხოლოდ რამდენიმე ლექცია წაუკითხვას კერძო კურსისა, პოროფ. შიროკოგოროვი მთელი წლის განმავლობაში ბაქოში ცხოვრობდა, სადაც ის უ-ტის რექტორად იყო და ამიერ-კავ. უ-ტში მას ლექციები არც წაუკითხვას და ფიზიკურად არც შეეძლო წაეკითხა. პრივატ-დოცენტი ტიხანოვიჩი მხოლოდ 1920 წლ. მაისის 20 არის მოწვეული და ჯერ თავისი საგანი არ წაულითხავს. ამიტომ პროფესორ-დოცენტთა რიცხვი 1919/20 წლ. ფაქტიურად გაცილებით ნაკლები ყოფილა, ვიდრე აღნიშნულია. აღსანიშნავია აგრედვე, რომ უ-ტს ჰყავს სამი პრივატ-დოცენტი, რომელტაც ეს წოდება ამიერ-კავკ. უ-ტისაგან მიუღიათ და მათ შორის ერთს არავიტარი სამეცნიერო ხარისხი არ მოეპოვება, ხოლო ბ-ნ იუზბაშიანს მაიდერბერშის უ-ტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი აქვს, თუმცა ჰისტოლოგიასა კითხულობს სამკურნალო ფაკულტეტზე. სამკურნალო ფ-ტზე კითხულობს 7 პრაქტ. ექიმი, რომელთა შორის მხოლოდ სამსა აქვს მედიცინის დოქტორის ხარისხი, 3 სრულებით უხარისხონი არიან.

ერთი და სრულებით შეუწყნარებელი წესი ჰქონდათ მიღებული სამკურნალო ფ-ტზე: პათოლოგიურ ანატომიას მთელი წლის განმავლობაში ექიმი მუხრანსკი კითხულობდა, ჰისტოლოგიას კი ფილოსოფიის დოქტორი იუზბაშიანი. პროფ. შიროკოგოროვი, რომელსიც მტელი წლის განმავლობაში ბაქოში იყო, მხოლოდ წლის დამლევს ცამოსულა, გამოცდები მოუხდენია და მატრიკულში სტუდენტებისათვის მასვე მოუწერია ხელი ისე, რომ ოფიციალურად ისე გამოდის, თიტქოს ლექციებს პროფ. შიროკოგოროვი კითხულობდა და არა მუხრანსკი და იუზბაშიანი. ამგვარადვე საერთო ქირურგიას ექიმი ვესელოვზოროვი კითხულობდა, გამოცდებს კი ახდენდა და ხელს აწერდა მატრიკულებში პრივატ-დოცენტი

[1] შეცდომაა: უნდა იყოს ფაკულტეტის [რედ.].

ტიხანოვიჩი, რომელიც მხოლოდ მაისის 20 იყო მიწვეული. უ-ტში რამდენად საგრძნობია პროფესორთა ნაკლებობა იქიდანაცა სცანს, რომ პრივატ-დოცენტი მალენიუკი სამ საგანს კითხულობდა, ფიზიოლოგიურ ქიმიას, საერთო პათოლოგიას და ფარმაკოლოგიას, რაც ფიზიკურადაც კი შეუძლებელია. ამავე დროს ფიზიოლოგია პროფ. როსტომოვცევს მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში წაუკითხვს და ერთი სემესტრის განმავლობაშივე იკითხებოდა პათოლოგიური ანატომიაც.

უ-ტის დაწესებულებათა დათვალიერებამაც გამოარკვია, რომ მხოლოდ ფიზიოლოგიური ქიმიის ლაბორატორია ყოფილა კარგად მოწყობილი, მომეტებული ნაწილი კაბინეტებისა და ლაბორატორიებისა ვიწროა და მოწყობილობით მეტად ღარიბი. მაგ. პათოლოგიურს ანატომიას ექ. მუხრანსკი ნაწილობრივ უ-ტის აუდიტორიაში კიტხულობდა რუსთაველის პროს-ზე და ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში. ექ. მუხრანსკის ჩვენებით ლექციებს აქ ათი, თხუთმეტი მსმენელი ესწრებოდა მხოლოდ. თვით პროზექტურა უ-ტის დაწესებულებად არ ითვლებოდა და სწავლა კერძოდ სწარმოებდა უფროსი ექიმის კერძო ნებართვით. დიაგნოსტიკის და თერაპევტიკული ფ-ტის კლინიკა[1] სომეხ ექიმთა კავშირის საავადმყოფოში ყოფილა მოთავსებული. მაგრამ რაკი სომეხ ლტოლვილთათვის ყოფილა დაარსებული და როცა ლტოლვილნი სამშობლოში დაბრუნდნენ, საავადმყოფოც დაიკეტა და უ-ტის უკლინიკოდ დარჩებოდა. მაინცადამაინც დათვალიერება ამ ჟამად უკვე შეუძლებელი იყო. უ-ტში ოფიციალურად მე-3 კურსი არსებობდა, ფაქტიურად კი მე-4 გახსნილი ყოფილა, რომელზედაც ლექციებს ტფილისელი პრაქტ. ექიმები კითხულობდნენ და მხოლოდ 5 საგანი წაუკითხავთ. ამ კურსისათვის უ-ტის კლინიკები არ მოუწყვიათ, მხოლოდ დეკანის განმარტებით მე-4 კურსი არ სესდგა და არსებობდა ვითომც ე.წ. „პრივატისსიმა“-ს სახით, რაც არც დარქმეულის სახელს შეეფერება და არც შესაწყნარებელია. ამ მოკლე მიმოხილვიდან ცხადი გახდება, თუ რამდენად შეეფერება საქმის ნამდვილს ვითარებას ამიერ-კავკ. კერძო უ-ტის საბჭოს და სამზრუნველო კომიტეტის მტკიცება უ-ტის სრული გამაგრების შესახებ. ზემონათქვამის შემდგომ მოკლედ შეიძლება ასე დავასკვნათ: გამოცდილებას ამიერკავკ. კერძო უ-ტი დაურწმუნებია, რომ ამიერკავკასიაში არსებული რესპუბლიკებისაგან რაიმე ქონებრივ დახმარებაზე არ უნდა იოცნებოს. სტუდენტ-მსმენელთა შემადგენლობის დაკვირვებამ გამოარკვია, რომ ამ უ-ტეტს უფლება არა აქვს საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა უმცირესობის დამაკმაყოფილებელ უმაღლეს სასწავლებლად ჩასთვალოს თავისი თავი და მაშასადამე არც საქართველოში მცხოვრებ ერთა ეროვნულ საბჭოებისაგან და არც მით უმეტეს საქართველოს რესპუბლიკისაგან სენახვის იმედიც კი არ სეიძლება რომ ჰქონდეს. ასეთს პირობებში ამიერკავკ. უ-ტის ქონებრივი მომავალი მართლაც რომ სრულიად უიმედოა, რადგან უკანასკნელი სახსარი, საკუტარი სახლი ანასტასიას ქუცაზე, უკვე მარტში გაყიდულიქმნა და შემოსული ფულიც დახარჯული აქვს.

სამეცნიერო-სასწავლო მხრივაც უ-ტი სრულებით უზრუნველყოფილი არ არის და ეხლაც ტავის დანიშნულებას არ აკმაყოფილებს. ამ უ-ტს საზოგადოდ საარსებო ნიადაგი და მომავალი იმედები არა აქვს და საკმარისია რუსეთში მდგომარეობა გამოკეთდეს, რომ იმ მცირერიცხოვანმა რუს პროფესორებმა, რომელთაც ვითარცა ლტოლვილებს აქ თავშესაფარი უპოვიათ, ამ სასწავლებელს მაშინვე ტავი დაანებონ. შესაბრალისია ამიტომ ის მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელსაც ეხლანდელ პირობებში იქ სწავლა უხდება.

კომისიის თავმჯდომარე

ივ. ჯავახიშვილი

[1] ბეჭდვის ლაფსუსია. ალბათ უნდა იყოს: ფ-ტის დიაგნოსტიკის და თერაპევტიკული კლინიკა [რედ.].